

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

ელენე მეტრეველი

100

Elene Metreveli

თბილისი • TBILISI

2018

რედაქტორი	თამარ ოთხმეზური
საგამომცემლო ჯგუფი	ირმა ბერიძე ლანა გრძელიშვილი თამარ ჭუმბურიძე
დაკაბადონება/ყდის დიზაინი	ვლადიმერ პერანიძე
ინგლისური თარგმანი	მაია მაჭავარიანი

Editor	Thamar Otkhmezuri
Editorial team	Irma Beridze Lana Grdzelishvili Tamar Chumburidze
Text layout/Book cover design	Vladimer Peranidze
English translation	Maia Machavariani

გარეკანზე: მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ (cod. S-425, 41v)
Cover: Michael Modrekili's *Iadgari* (cod. NCM S-425, 41v)

ISBN 978-9941-9564-7-8

© კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018



ج. ۲/۱۵۴/۳۷

1917-2003

საიუბილეო კრებული „ელენე მეტრეველი 100“ უმთავრესად შედგება სტატიებისაგან, რომლებიც მოხსენებების სახით იყო წარმოდგენილი 2017 წლის 13-14 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარებულ მეცნიერის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე. კრებულში ასევე შესულია 2018 წლის 28-30 ივნისს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული საერთაშორისო კონფერენციის – „ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა“ – იმ სესიის მასალები, რომელიც მიეძღვნა ელენე მეტრეველის დაბადებიდან 100 წლისთავს.

კრებული ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში შესულია სტატიები, რომლებშიც სხვადასხვა კუთხითაა წარმოჩენილი აკად. ელენე მეტრეველის პიროვნება, მისი სამეცნიერო მოღვაწეობა და ღვაწლი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში. მეორე ნაწილში გაერთიანებული სამეცნიერო სტატიების თემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საკითხებთან, რომლებზეც წლების განმავლობაში მუშაობდა მეცნიერი. წარმოდგენილია კვლევები ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების იმ დარგებში, რომელთა განვითარებაშიც ელენე მეტრეველს დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ესენია: ძველი ქართული ფილოლოგია, არქეოგრაფია, კოდიკოლოგია-პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

სტატიათა ავტორები, უმეტესწილად, ელენე მეტრეველის კოლეგები და მისი მოწაფეები, ნაწილი კი, ახალგაზრდა მკვლევრები – ელენე მეტრეველის „მოწაფეთა მოწაფენი“ არიან, რაც დასტურია იმისა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ღვაწლმოსილი მეცნიერის საქმე დღესაც გრძელდება.

თამარ ოთხგუშური

შინაარსი

თამარ ოთხმეზური / THAMAR OTKHMEZURI ელენე მეტრეველი / Elene Metreveli.....	11
ეთერ ქავთარაძე / ETER KAVTARADZE ელენე მეტრეველის არქივი / Elene Metreveli's Private Archive.....	24
ცისანა ბიბილეიშვილი, თამარ ჭუმბურიძე / TSISANA BIBILEISHVILI, TAMAR CHUMBURIDZE ელენე მეტრეველის ურთიერთობა უცხოელ ქართველოლოგებთან / Elene Metreveli's Contacts with Foreign Kartvelologists.....	31
ციალა გრიგოლია / TSIALA GRIGOLIA ელენე მეტრეველი – ქართულ-ბერძნული ჰიმნოგრაფიის მკვლევარი / Elene Metreveli – Researcher of Georgian and Greek Hymnography	39
ლია კიკნაძე / LIA KIKNADZE ელენე მეტრეველი – მოგზაურობის ჟანრის თხზულებათა მკვლევარი და გამომცემელი: ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ / Elene Metreveli – Researcher and Editor of Travelogues: Timothy Gabashvili's <i>Pilgrimage</i>	43
ვლადიმერ კეკელია / VLADIMER KEKELIA „უცნობი“ ელენე მეტრეველი – მასალები პირადი ბიბლიოთეკიდან / “Unknown” Elene Metreveli – Materials from Her Private Library	54
ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი „იადგარის“ უცნობი პალიმფსესტური ხელნაწერი სინური კოლექციიდან	62
ZAZA ALEKSIDZE, DALI CHITUNASHVILI Unknown Palimpsest of an Iadgari from the Sinai Collection of Georgian Manuscripts.....	70
ციალა გრიგოლია, ხათუნა კარტოზია მარიამ ეგვიპტელის უცნობი საგალობლის ფრაგმენტი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან.....	71
TSIALA GRIGOLIA, KHATUNA KARTOZIA An Unknown Fragment of a Hymn Dedicated to Mary of Egypt from the <i>Moscow State University Library</i>	80

ციცინო გულდანი	
დიმიტრი ბაქრაძე სვანეთის ხელნაწერების შესახებ	81
TSITSINO GULIDANI	
Dimitri Bakradze about Georgian Manuscripts of Svaneti	93
ნინო დობორჯინიძე	
ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის	
ციფრული დოკუმენტირების პროექტები.....	94
NINO DOBORJGINIDZE	
Projects on Digital Documentation of Old Georgian Texts.....	108
ეკა დუღაშვილი	
ბიზანტიურ-ქართული ჰიმნოგრაფიის ურთიერთმიმართების	
ერთი საკითხისათვის.....	110
EKA DUGASHVILI	
Relationship Problems of the Georgian-Byzantine Hymnography	
(Michael Modrekili's <i>Iadgari</i>).....	122
მაია კარანაძე	
ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულება	
XII-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ჭედურ ყდებზე	123
MAIA KARANADZE	
An Image of Christ Pantocrator on the Repoussé Metal Covers of the 12 th -13 th cc.	
Georgian Manuscripts	131
HUBERT KAUFHOLD	
Ein Pionier der georgischen Studien in Deutschland.	
Der Briefwechsel zwischen Ignaz Rucker und Korneli Kekelidze.....	132
ჰუბერტ კაუფჰოლდი	
ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი	
პიონერი გერმანიაში იგნაც რუკერისა და კორნელი კეკელიძის მიმონერა	143
დარეჯან კლდიაშვილი	
ახალი მასალა მოსკოვის ისტორიული	
მუზეუმის ქართული ოთხთავიდან ერუშეთის ეპარქია	144
DAREJAN KLDIASHVILI	
New Materials from the Georgian Gospel of the	
Moscow State Historical Museum: the Eparchy of Erusheti.....	162
ექვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ანჩინური კრიპტოგრამები	
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერში – S-421.....	164
EKVTIME KOCHLAMAZASHCILI	
“Anchinuri” Cryptograms in the Codex of National Centre of Manuscript – S-421	173
† თამილა მბალოზლიშვილი	
ქართული ქრისტიანობის სათავეებთან.....	175

† TAMILA MGALOBlishvili	
On the Origin of the Georgian Christianity.....	189
დამანა მელიქიშვილი	
ელნოფილური მიმართულების მთარგმნელთა	
იდენტიფიკაციის საკითხისათვის (მეთოდოლოგიური საკითხები	
და მათი გადაჭრის გზები).....	191
DAMANA MELIKISHVILI	
On Identification of Georgian Hellenophile Translators	
(Solving Problems of Methodological Issues)	209
ნათია მიროტაძე	
სად წაიყვან სადაურსა: ბიბლიის XIII საუკუნის	
კოდექსი მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების კოლექციაში	211
NATIA MIROTADZE	
“Whence and Whither Earnest Thou”: The 13 th Century Biblical	
Codex From the Collection of Georgian Fragments of Matenadaran.....	221
მამდა მჭედლიძე	
იოანე პეტრიწის „განმარტების“ უნიტარულობის	
პრობლემა: პირველი თავის აგებულებისა და საზღვრისათვის	223
MAGDA MCHEDLIDZE	
The Problem of Unity of Ioane Petritsi’s Commentaries:	
on Structure and Border of the First Chapter	242
ნუგზარ პაპუაშვილი	
რუსთველოლოგიის ისტორიიდან: პავლე სვეტლოვი	
– კალისტრატე ცინცაძეს რუსთაველის შესახებ.....	243
NUGZAR PAPUASHVILI	
From the History of Rustvelology: Pavel Svetlov’s Letter about Rustaveli Addressed	
to Kalistrate Tsintsadze	253
CHARLES RENOUX	
L’importance historique et théologique du Iadgari.....	254
შარლ რენუ	
იადგარის ისტორიული და თეოლოგიური მნიშვნელობა.....	264
ვერონიკ სომერსი, თამარ პატარიძე	
გრიგოლ ნაზიანზელი: ლუვენ-ლა-ნევესა	
და თბილისს, ბეჭდურ გამოცემებსა და ონლაინ „თესაურუსებს“ შორის.....	266
VÉRONIQUE SOMERS, TAMARA PATARIDZE	
Gregory of Nazianzus: Between Louvain-La-Neuve and Tbilisi, Printed Editions	
and Online Thesauruses	285
მზია სურგულაძე	
ტაო-კლარჯეთი ბიზანტიური თანამეგობრობის	
პოლიტიკურ კონტექსტში.....	287

MZIA SURGULADZE	
Tao-Klarjeti in the Political Context of the <i>Byzantine Commonwealth</i>	300
ზაზა სხირტლადი	
კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს 1218 წლის დაკარგული წარწერის ახლად მიკვლეული ფრაგმენტები	301
ZAZA SKHIRTLDZE	
Newly Revealed Fragments of the Lost Inscription of the Catholicos-Patriarch Etiplane of the 1218	313
ბერნარ უტიე	
სინას მთის ქართული ხელნაწერები <i>N/Sin. geo. 84</i> და <i>N/Sin. geo. 90</i> : მათი რაობის ახლებური გააზრება	315
BERNARD OUTTIER	
Georgian Manuscripts of the Sinai Manuscript Collection <i>N/Sin. geo. 84</i> and <i>N/Sin. geo. 90</i> : a New Survey of Their Content.....	321
თინათინ ქრონცი	
ახალი დაკვირვებები სინური კოლექციის ქართულ წინათონურ კურთხევანებზე	322
TINATIN CHRONZ	
New Surveys of Georgian Pre-Athonite <i>Euchologia</i> of the Sinai Manuscript Collection.....	331
დავით შულღიაშვილი	
ნეგმების მრავალსახეობა მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“	332
DAVID SHUGLIASHVILI	
Multiplicity of the Neumes in the <i>Iadgari</i> of Michael Modrekili.....	352
ლელა ხაჩიძე	
რომანოზ მელოდოსის საგალობლების ძველი ქართული თარგმანები (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ მიხედვით).....	353
LELA KHACHIDZE	
Old Georgian Translations of the Hymns by Romanos the Melodist (According to the <i>Triodion</i> Edited by Giorgi the Hagiorite).....	377
ელგუჯა ხინტიბიძე, ირმა მაკარაძე	
შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი „ვარლამი და იოასაფი“: გარდატეხა მეცნიერულ შესწავლაში და კვლევის შემდგომი პერსპექტივები.....	379
ELGUJA KHINTIBIDZE, IRMA MAKARIDZE	
Medieval Byzantine Novel <i>Barlaam and Josaphat</i> : Turn in a Scholarly Study and Perspectives of the Further Research.....	390

თამარ ოთხმეზური

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ელენე მეტრეველი

ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თიუბინგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის საპატიო დოქტორი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი 1968-1988 წლებში; მოღვაწეობის სფეროები: ქართული ფილოლოგია, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები, ლიტერატურათმცოდნეობის, არქეოგრაფიის, კოდოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის საკითხები; ავტორი 130-მდე სამეცნიერო შრომისა, რომელთა შორის 15 მონოგრაფიაა, არაერთი წიგნის რედაქტორი – ამ მშრალი ინფორმაციის მიღმა მდიდარი სულიერი ცხოვრების, მაღალი ეთიკური ნორმებისა და ღრმა ინტელექტის მქონე მეტად საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნება – ელენე მეტრეველი დგას.

პედაგოგების ოჯახში გატარებული წყნარი, სითბოთი სავსე წლები, ბავშვობიდანვე დინჯი, შრომისმოყვარე, მუდამ სამეცადინეოდ განწყობილი. შემდგომ – 40-იანი წლების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი გამორჩეული პედაგოგებითა და არანაკლებ გამორჩეული თანაკურსელებით. აი, რას წერს მისი კურსელი და მეგობარი, შემდგომში ამერიკაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი, ვახტანგ ჯობაძე: „ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებული იყო ელო მეტრეველი, უკვე სტუდენტობის დროს მეცნიერებაში ღრმად ჩახედული, საქმიანი, სერიოზული, მაგრამ ხუმრობაში და კარგ კამპანიაში ენთუზიასტი მონაწილე“ (*ჩემი თავგადასავალი*, 2009, გვ. 47); უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ – არცთუ ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობა, და 1946 წელს, 29 წლის ასაკში, მუშაობის დაწყება ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში – პირველი შეხვედრა ხელნაწერებთან. ამ პერიოდიდან მოყოლებული თითქმის 50 წლის განმავლობაში ის აღარ დაშორებია ამ სფეროს: 1958-1968 წლებში ხელმძღვანელობდა ახლად დაარსებული კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილებას, 1968-1988 წლებში იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი.

აკადემიკოს ელენე მეტრეველის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. დღეს კიდევ ერთხელ გვეძლევა საშუალება, თვალი გადავავლოთ მის მოღვაწეობას, გავიხსენოთ ის, როგორც მეცნიერი და ხელმძღვანელი.

მაღალი პროფესიონალიზმი, გამორჩეული აკადემიზმი, კვლევის მასშტაბურობა – ასე შეიძლება დახასიათდეს ელენე მეტრეველის სამეცნიერო საქმიანობა. სამეცნიერო მუშაობა, ინტელექტუალური შრომა მისი ცხოვრების წესი, მთავარი მოწოდება იყო. ჩვენი წერილი ვერ დაიტევს ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა იმ სფეროს შესახებ საუბარს, რომელშიც ელენე მეტრეველს შეტანილი აქვს თავისი წვლილი, ამიტომ შევეხებით მხოლოდ ნაწილს, ჩვენი აზრით, ყველაზე არსებითს.

ელენე მეტრეველის სამეცნიერო ძიებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო შუა საუკუნეების ქართული მნიგნობრობა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის სამონასტრო ცენტრებში. პირველწყაროების ფილოლოგიური თუ ისტორიული ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა დაადასტურა არაერთი მანამდე უცნობი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო კერის არსებობა, ახლებურად წარმოაჩინა ამ კერათა ისტორია და როლი როგორც ქართული, ისე ბიზანტიური კულტურის ისტორიაში.

ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ივირონის მონასტერს და ქართველი მთაწმინდელების მოღვაწეობას. მეცნიერი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა პარიზის „ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელ ცენტრთან“ – იმ დროს პარიზში, ფაქტობრივად, იწერებოდა ივირონის ისტორია. ქართველი მკვლევრის მონაწილეობას ამ პროექტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი ორიენტალისტის, პაულ პეტერსის მიერ რამდენიმე ხნით ადრე გამოთქმული თვალსაზრისის ფონზე, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ერთ-ერთი ივირონელი მოღვაწის, ჩორდვანელების გვარის ცნობილი წარმომადგენლის, იოანე-თორნიკეს ქართულ წარმომავლობას (P. Peeters, Un colophon géorgiens de Thornik le Moine, *Analecta Bollandiana*, 50, 1932). ელენე მეტრეველის მონაწილეობით პარიზში 90-იან წლებში გამოქვეყნდა ივირონის ბერძნული აქტების ოთხტომეული ვრცელი შესავლით (J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachrysanthou avec la collaboration d'Hélène Métrévélí, *Actes d'Iviron*, I-IV, Paris: Peeters Publishers, 1985, 1990, 1994, 1995); სწორედ ქართველი მეცნიერის მონაწილეობამ ამ პროექტში, მისმა კომპეტენტურმა აზრმა საკვლევი საკითხების შესახებ და ავტორიტეტმა შედეგი გამოიღო: უცხოეთის სამეცნიერო წრეებში დამკვიდრდა მართებული, ობიექტური თვალსაზრისი ქართველი მთაწმინდელების, მათი წარმომავლობისა და განსაკუთრებული როლის შესახებ ბიზანტიის იმპერიის ამ უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურულ-პოლიტიკური ცენტრის ისტორიაში.

ათონის მნიგნობრულ კერაზე ხანგრძლივი, ინტენსიური მუშაობის შედეგია 90-იანი წლების ბოლოს გამოცემული ელენე მეტრეველის ორი ნაშრომი: „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ (1996) და „ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი“ (1998). ქალბატონი ელენე ამ დროს საერთოდ ვეღარ ხედავდა. როგორც ცნობილია, სიცოცხლის ბოლოს მას დიდი პრობლემები ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებით და ამ წიგნებზე მუშაობისას მას კოლეგები ეხმარებოდნენ. რომ არაფერი ვთქვათ საკითხის ღრმა ცოდნასა და მეცნიერის უტყუარ ალღოზე, გასაოცარია აზრის ის სიცხადე და სიცხოველე, რომელიც ამ ნაშრომებში ჩანს. ავტორს ისე აქვს გათავისებული ათონის სამყარო და იქ მოღვაწე მნიგნობართა ცხოვრება, ყოფა, თითქოს, მონმე ყოფილიყოს იმ დრამატული მოვლენებისა, რომლებიც X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ათონზე ქართველთა დამკვიდრებისას, იქ გათამაშდა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნაშრომი ოთხი ოშკური ნუსხის შესახებ (ოშკის ბიბლია, ოშკის „სამოთხე“, „განძი“, რომელიც დღეს ფრაგმენტის სახითაა ჩვენამდე მოღწეული და „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერი). ეს ხელნაწერები, როგორც ცნობილია, იოანე-თორნიკეს ინიციატივით ახლად დაარსებულ ივირონში გაიგზავნა ტაო-კლარჯეთიდან, ოშკის მონასტრიდან. ამ ხელნაწერებთან დაკავშირებით მართლაც არის ერთი პრობლემა: მათი შექმნის თარიღები, ერთი შეხედვით, თანხმობაში არ არის, უფრო ზუსტად, წინ უსწრებს იმ ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებიც ამ ხელნაწერთა კოლოფონებშია ასახული. და სწორედ ამიტომ იყო ისინი (განსაკუთრებით, „განძის“ ხელნაწერის ფრაგმენტი) პაულ პეეტერსისა და სომეხი მეცნიერების მიერ არაავთენტიურად და, შესაბამისად, ნაკლებ სანდოდ მიჩნეული. არადა, სწორედ ამ ხელნაწერთა ანდერძები შეიცავენ უმნიშვნელოვანეს ნერილობით დოკუმენტებს ჩორდვანელთა ოჯახისა და მათი წვლილის შესახებ ივირონის დაარსებისა და ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შესახებ. ელენე მეტრეველის მიერ ჩატარებულმა დეტალურმა ანალიზმა ამ ხელნაწერების ანდერძებში დაადასტურა ორი ქრონოლოგიური პლასტის არსებობა – უდიდეს გამოცდილებაზე დამყარებული ერთი მახვილგონივრული მიხვედრა და ხელნაწერებში დალაგდა ყველაფერი: მოვლენები, თარიღები, ანდერძებში მოხსენიებული ისტორიული პირები, და კიდევ ერთხელ დაადასტურდა და წარმოჩნდა ამ უძვირფასესი ხელნაწერების ისტორიული ღირებულება. „შენი დიდებული წიგნი (იგულისხმება „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“) კიდევ წავიკითხე და ვფიქრობ: საქართველოში მას ორიოდ დაღლილი მეცნიერი წაიკითხავს, შეგაქებს და დაგლოცავს, მაგრამ ეს არა კმარა: ეს წიგნი უნდა დაიზეპირონ მეცნიერებმა, რომლებიც ენების უცოდინრობის გამო ძველი, ტენდენციური, დაჟინებული თეორიებით იკვებებიან, ამიტომ უნდა ითარგმნოს“, – წერს ელენე მეტრეველს პირად წერილში ბ-ნი

ვახტანგ ჯობაძე. კიდევ ერთი ნაწყვეტი ბ-ნი ვახტანგის პირადი მიმონერიდან, ამჯერად – ლალი ჯავახიშვილის მიმართ: „ეს ნაშრომი უთუოდ უნდა ითარგმნოს დასავლეთელების რომელიმე ენაზე და გამოიცეს, რომ ამით ჩვენი სამშობლოს და წინაპრების მეობა ევროპელების ან მსოფლიოს თვალში ამაღლდეს“.



დგანან: სოლომონ ყუბანიეშვილი, მიხეილ ჩიქოვანი, ილია აბულაძე; სხედან: კორნელი კეკელიძე, ელენე მეტრეველი, 1960 წ.

ათონისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან ამჟერად ჩანს, რომ ივირონი ელენე მეტრეველისათვის არა მარტო საკვლევი თემა, არამედ დიდი გატაცებაც იყო, რადგან, ჩვენი აზრით, ის მიზნები და ფასეულობები, რომლებიც ქართველ ათონელთა წინაშე იდგა, ძალიან ახლოს იყო ქ-ნი ელენეს ეთიკურ, ეროვნულ თუ სამეცნიერო პრინციპებთან. ის იყო თავისი წინამორბედი დიდი ქართველი მეცნიერების – კორნელი კეკელიძისა და ილია აბულაძის – იდეების მიმდევარი, მაგრამ არა ბრმად, არამედ მუდმივი განახლებისა და შევსების მიზანდასახულობით; მისი საქმიანობა ყოველთვის

ატარებდა ეროვნულობის ნიშანს, მაგრამ ამ იდეის ყოველგვარი აფიშირების გარეშე; მისი პუბლიკაციები მეთოდოლოგიითა და თემატიკის აქტუალობით შეესაბამებოდა ევროპის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს; დაბოლოს, ელენე მეტრეველს სრულად ჰქონდა გააზრებული თავისი და ხელნაწერთა ინსტიტუტის სკოლის სამეცნიერო მისია – ქართული სამეცნიერო აზრის საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა და მისი დამკვიდრება უცხოეთის სამეცნიერო წრეებში.

შავი მთის მნიგნობრული სკოლის შესახებ ელენე მეტრეველს მხოლოდ ორი სტატია აქვს გამოქვეყნებული; ერთი შავი მთის ცნობილი მოღვაწის, ეფრემ მცირის ავტოგრაფის იდენტიფიკაციის შესახებაა (1959), რასაც მკვლევარი პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური კვლევისა და ხელნაწერის შედგენილობის შესწავლის საფუძველზე სრულიად დამაჯერებლად ასაბუთებს; ხოლო მეორე შედარებით ადრეულ, XI საუკუნის პირველი ნახევრის შავ მთასა და ცნობილ გადამწერებს, ჯიბისძეებს ეხება (1959). ამ სტატიებში პირველწყაროების ანა-

ლიზზე დაყრდნობით, ფაქტობრივად, სრულად არის რეკონსტრუირებული შავი მთის სკოლის სამწიგნობრო საქმიანობა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელენე მეტრეველი სისტემატურად აწვდიდა მასალას ბ-ნ ვახტანგ ჯობაძეს, როდესაც ის მუშაობდა თავის ცნობილ ნიგნზე: *Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes* (Corpus Scriptorum Christianorum orientaliu, 372, Subsidia, 48), Louvain, 1976.

სწორედ ამ ნიგნში გამოქვეყნებულმა პირველადმა წყაროებმა, რომლებიც ელენე მეტრეველმა და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა გაუგზავნეს ბ-ნ ვახტანგს, მისცეს მას საშუალება, წარმატებით ჩაეტარებინა ამ რეგიონში არქეოლოგიური გათხრები და დაედასტურებინა ქართველთა იქ ყოფნისა და მოღვაწეობის ნივთიერი კვალი. რომ არა დროულად წარმოებული გათხრები და ამ საქმეში ქართველ მეცნიერთა მიერ განეული დახმარება, ჩვენი კულტურის ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ფაქტობრივად, დაკარგული იქნებოდა; როგორც ცნობილია, ამ რეგიონში დღეს ისტორიული ძეგლების კვალი საერთოდ წაშლილია.

ელენე მეტრეველის თითქმის მთელ სამეცნიერო საქმიანობას 40-იანი წლებიდან მოყოლებული ლაიტმოტივად გასდევს იერუსალიმური კვლევები. მის შემოქმედებაში ამ საკვლევო თემის ისტორიას რომ გავადევნოთ თვალი, წარმოგვიდგება სამეცნიერო სამუშაოს დაგეგმვის მთელი სურათი: მუშაობა იწყება, უპირველეს ყოვლისა, წყაროების გამოცემით, ეს არის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (1962) და გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ (1967), რასაც მოსდევს 70-იან წლებში დაწერილი ათამდე სტატია; ჯვრის მონასტრის ხელნაწერების უძვირფასესი ანდერძ-მინაწერების ანალიზის შედეგად იკვეთება X-XII საუკუნეების ისტორიული პალესტინის მანამდე უცნობი ქართული მონასტრები და სკრიპტორიუმები – შეჰანი, დერტავი, დერთუფა და სხვ., იქ მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნებით, მათი ურთიერთკავშირებითა და კონტაქტით „უცხოებთან“ – ადგილობრივ ბერძნებთან თუ მუსლიმთაგან იერუსალიმის დასაცავად იქ დამკვიდრებულ ლათინებთან. მკვლევარი მცირე მინაწერების ანალიზის საფუძველზე აკეთებს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ დასკვნებს, გაბმულია მტკიცე კავშირები ანდერძებს, მოსახსენებლებს, „ცხოვრებებსა“ და ადგილობრივ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის, რის შედეგადაც თანდათანობით იკვეთება ქართველთა იერუსალიმური ცხოვრების ცოცხლი სურათი. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მკითხველი თანამონაწილეა მეცნიერის მიერ წარმოებული კვლევისა. ინდივიდუალური მუშაობის პარალელურად, 80-იან წლებში, იგეგმება ჯგუფური სამუშაოებიც ამ თემის ირგვლივ, საფუძველი ეყრება უმნიშვნელოვანეს, ფუნდამენტურ კვლევას, გრძელვადიან პროექტს, რომელიც დღესაც გრძელდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა თუ მის კედლებს მიღმა.



გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების შემსწავლელი ჯგუფი: ბელგიელი მკვლევარი პროფ. ფუსტინ მოსე, თამარ ოთხმეზური, ცისანა ბიბილეიშვილი, ელენე მეტრეველი, მაია მაჭავარიანი, მაია რაფავა, ციალა ქურციკიძე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1989 წ.

იერუსალიმურ კვლევებთან მჭირდო კავშირშია ელენე მეტრეველის ნაშრომები ძველ ქართულ ორიგინალურ თუ ნათარგმნ ჰიმნოგრაფიაში – მისი მონოგრაფია „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი“ (1971) და მისი თანაავტორობით გამოცემული „უძველესი იადგარი“ (1980). ამ ძეგლების პუბლიკაციამ ახალი ეტაპი შექმნა ქართულ-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლაში, საფუძველი დაუდო ჰიმნოლოგიური კვლევების ქართულ სკოლას, რომელიც დღეს დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ამ დარგის ევროპელ თუ ამერიკელ მკვლევართა წრეებში.

სწორედ ელენე მეტრეველის დამსახურებაა ის, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ხელნაწერთა ინსტიტუტი ჩაერთო საერთაშორისო პროექტში, რომლის მიზანი იყო ადრექრისტიანული სასულიერო მწერლობის ცნობილი ავტორის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სხვადასხვაენოვანი სრული კორპუსის გამოცემის მომზადება. პროექტს ხელმძღვანელობდა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი. ამ პროექტით განახლდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლობა ცნობილი ორიენტალისტის, ჟერარ გარიტის სკოლასთან (როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში ჩვენს ინსტიტუტსა და მის იმჟამინდელ დირექტორს, ილია აბულაძეს, ახლო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდა ჟერარ გარიტთან). ამ საერთაშორისო პროექტის თავდაპირველი მიზანი საკმაოდ კონკრეტული და, შეიძლება ითქვას, ცალმხრივიც იყო: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სხვადასხვაენოვანი, მათ შორის, ქართული თარგმანების გამოცემა ბერძნული კრიტიკული ტექსტის დადგენის მიზნით. მაგრამ ელენე მეტრეველის მიერ

დაგეგმილი მრავალმხრივი კვლევის წყალობით, პროექტზე მუშაობამ გრიგოლ ღვთისმეტყველის კვლევის ქართულ ჯგუფში სულ სხვა გაქანება და მასშტაბი მიიღო. ეს იყო ტექსტების კვლევის საფუძველზე შუა საუკუნეების ქართული სააზროვნო პროცესების შესწავლა, ქართული საღვთისმეტყველო და სალიტერატურო სკოლების კულტურული ინტერესებისა და მთარგმნელობითი პრინციპების წარმოჩენა. კვლევის ამგვარი გეზი თავისი შედეგებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო როგორც ბიზანტინისტიკისათვის, ისე ქართველოლოგიისათვის. გრიგოლ ღვთისმეტყველთან დაკავშირებული მდიდარი ქართული მასალაც ნამდვილად იძლეოდა ამგვარი ფართომასშტაბიანი, სიღრმისეული კვლევის გაშლის შესაძლებლობას. ეს იყო წინაათონური, ათონური, შავი მთისა და გელათის სკოლების გამორჩეული მნიგნობრების მაღალი დონის თარგმანები, შესრულებული სრულიად განსხვავებული მთარგმნელობითი პოზიციებიდან. ამ პროექტის ფარგლებში, ლუვენში ტექსტების პუბლიკაციასთან ერთად (გამოქვეყნებულია ქართული თარგმანების 7 ტომი: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. I, II, III, IV, V, VI, VII ed. H. Metreveli *et al.*, Corpus Christianorum. Series Graeca, 36 / 42 / 45 / 52 / 58 / 78 / 86, Corpus Nazianzenum, 5 / 9 / 12 / 17 / 20 / 26 / 28, Turnhout: Brepols, 1998, 2000, 2001, 2004, 2007, 2013, 2017, გამოსაცემად მზადაა კიდევ 6 ტომი), ჯგუფის წევრების მიერ შეიქმნა ათამდე მონოგრაფია, დაიწერა შვიდი სადისერტაციო ნაშრომი და 100-ზე მეტი სტატია. მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თუ დღეს ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის კვლევაში ყველაზე ღრმად და საფუძვლიანად ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობითი საქმიანობაა შესწავლილი, ეს სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის კვლევის ევროპული პროექტისა და მისი ქართული ჯგუფის ხელმძღვანელის, ელენე მეტრეველის დამსახურებაა. თავად ელენე მეტრეველს ამ პროექტის ფარგლებში დაწერილი აქვს ორი ნაშრომი: ერთი – ბელგიელ მეცნიერთან, გიომ ლაფონტენთან ერთად (კრებულში *Symposium Nazianzenum II*, 1983), რომელშიც, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა სხვადასხვაენოვან თარგმანებთან ერთად, ზოგადად არის მიმოხილული ქართული თარგმანები; მეორე – გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების პუბლიკაციის I ტომის შესავალი წერილი (1998), რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა გრიგოლის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველი კრებულების სტრუქტურის კვლევას. მხოლოდ თავისი საქმის უდიდეს პროფესიონალს, დიდი გამოცდილებისა და ინტუიციის მქონე მკვლევარს შეეძლო ხელნაწერთა „ზანდუკება“ და საკითხავთა თანამიმდევრობაში დაენახა გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართულად გადმოტანის ერთიანი სურათი, წარმოედგინა სხვადასხვა ეპოქისა და მნიგნობრული სკოლის მოღვაწეთა ერთსულოვანი, კოორდინირებული, მიზანმიმართული საქმიანობის სქემა, დაბოლოს, ერთიანი მიზანი – ქართველ მთარგმნელთა უდიდესი მცდელობა მნიგნობრული ცივილიზაციის მიღწევებთან გათანაბრებისა.



გურამ თოფურია, უცხოელი სტუმრები, ელენე მეტრეველი, ალექსანდრე ბარამიძე, ჯონდო ბარდაველიძე, სტუმარი, ლაშა ჯანაშია. ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1970-იანი წლების ბოლო.

ცალკე საკითხია ელენე მეტრეველი და ხელნაწერთა „აღწერილობები“. როგორც ცნობილია, ის უშუალოდ მონაწილეობდა ინსტიტუტის ამ უმთავრეს, უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში – ხელნაწერთა აღწერაში, იყო „აღწერილობათა“ არაერთი ტომის რედაქტორი. მისი ინიციატივით ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფაქტობრივად, ერთდროულად დაიგეგმა ათონის, სინასა და იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერის საკმაოდ რთული, კომპლექსური სამუშაოები. ამ კოლექციათა აღწერის პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ხელნაწერების ადგილობრივ კოლექციათა აღწერაზეც. ვფიქრობთ, ეს იყო ამ საქმისადმი უცხოეთის ქართულ კოლექციათა პირველადმწერლების – ცაგარელისეული, მარისეული, ჯავახიშვილისეული მიდგომა, მეცნიერებისა, რომლებსაც სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული ცალკეული კოლექციის სპეციფიკა და, ამავე დროს, ის მჭიდრო კავშირები, რომლებიც ამ კოლექციათა შორის არსებობდა, როდესაც ერთი კერის ხელნაწერთა შესწავლა მომენტალურად წამოჭრიდა დანარჩენი კერების ხელნაწერების კვლევის აუცილებლობას ქართული კულტურისა და ისტორიის ძირეული პრობლემების ერთიანი წარმოდგენისათვის. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ელენე მეტრეველი აქტიურად იყო ჩართული ხელნაწერთა აღწერის მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავებაში. მას გვერდს უმაგრებდა აღმწერელთა დახელოვნებული ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები კოდიკოლოგიისა და პალეოგრაფიის საკითხების ცოდნასთან ერთად, ღრმად ერკვეოდნენ ძველი ქართული მწერლობის ჟანრებში, და, ზოგადად, ქართული ლიტერატურის პრობლემატიკაში.

ელენე მეტრეველი 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, საკმაოდ რთულ, კომპლექსურ დანესებულებას, რომელიც, სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, მოიცავს არა მარტო კვლევით ნაწილს, არამედ ქართველთა ინტელექტუალურ საგანძურს – მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს, რაც აათმაგებს ამ დანესებულების ცალკეული თანამშრომლისა და, რა თქმა უნდა, დანესებულების ხელმძღვანელის, დირექტორის პასუხისმგებლობას. ერთი მხრივ, ამ უდიდესი საგანძურის დაცვა, მოვლა, ხოლო, მეორე მხრივ, ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის წარმართვა – წინამორბედი დირექტორის, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლის, ილია აბულაძის ჩანაფიქრის ხორცშესხმა – იყო ელენე მეტრეველის, როგორც დირექტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, მთავარი მიზანი. ელენე მეტრეველმა ღირსეულად იმემკვიდრა ილია აბულაძისაგან ხელმძღვანელობა ქართველი ჰუმანიტარების იმ საუკეთესო ნაწილისა, რომელსაც ილია აბულაძის სკოლა ჰქონდა გამოვლილი. მკვლევართა ეს მძლავრი ჯგუფი – „ხელნაწერთა ინსტიტუტის სკოლა“, როგორც მას მოიხსენიებენ ხოლმე, – მუშაობდა ამ ორი დიდი მეცნიერის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით და ამ ჯგუფში მომუშავეებს ერთი მიზანი აერთიანებდა: ძველი ქართული წყაროების პუბლიკაციით ქართველთა ინტელექტუალური საგანძურის – ლიტერატურული, ფილოსოფიური, თეოლოგიური, მეცნიერული, მხატვრული ნააზრევის წარმოჩენა და კვლევა.

ელენე მეტრეველმა განავრცო და ახალი ელფერი მისცა იმ სამეცნიერო თემატიკას, რომელიც ილია აბულაძის მიერ იყო დანერგილი ხელნაწერთა ინსტიტუტში. მისი დირექტორობის პერიოდში საინსტიტუტო კვლევისათვის წამოიწია ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებო იყო ორიენტალისტიკისა და ბიზანტინისტიკისათვის. ამ ტიპის თემატიკა იყო არაჩვეულებრივი საფუძველი უცხოელი მეცნიერების, მსოფლიო დონის სპეციალისტების დაინტერესებისა და მოზიდვისა ხელნაწერთა ინსტიტუტში. სწორედ ამ კუთხით წარმართულ მუშაობას მოჰყვა შედეგად გასული საუკუნის 70-80-იან წლებში უცხოეთის სამეცნიერო წრეებში ქართველოლოგიისადმი განსაკუთრებული ინტერესის გაჩენა. აი, რას წერს ცნობილი ბიზანტინისტი მეიენდორფი ელენე მეტრეველისადმი მიწერილ პირად წერილში: „ბიზანტინისტიკის საკითხების კვლევა წარმოუდგენელია ქართული მასალების შესწავლისა და პუბლიკაციის გარეშე. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში დაფარული სიმდიდრე უდიდეს განცვიფრებას იწვევს. ბიზანტინისტებს ნამდვილად მოუწევთ ქართული ენის შესწავლა“ (ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 2001). ელენე მეტრეველმა დაანახვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას ქართული კულტურისა და მნიგნობრობის როლი ძველი ცივილიზებული სამყაროს ჩამოყალიბებაში, თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით და ხელნაწერთა ინსტიტუტში მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილი

ნაშრომებით ხელი შეუწყო ქართული სამეცნიერო აზრის გატანას საქართველოს ფარგლებს გარეთ და ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

ელენე მეტრეველის მიერ ფართო თვალსაზრისით გააზრებულ თემატიკას – ფართომასშტაბიან სამეცნიერო პროექტებს – კარგად მომზადებული სამეცნიერო კადრი ესაჭიროებოდა, რაზეც ელენე მეტრეველი მუდმივად ზრუნავდა. ის ყოველთვის ცდილობდა, შეექმნა ყველანაირი პირობა ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერული განვითარებისათვის. მისი დიდი შრომისა და მონდომების ფასად ხელნაწერთა ინსტიტუტში ბინა დაიღო პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების, და-ძმა ნინო და კალისტრატე სალიების ბიბლიოთეკამ, რომლის საშუალებითაც თანამშრომლებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ევროპულ კვლევებს, მეცნიერებაში დამკვიდრებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს. ის იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული ჟურნალის, „მრავალთავის“, ასევე, სერიის – „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ – დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. ეს სერია გულისხმობდა ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების პუბლიკაციას. პირველი ტომის („მატბერდის კრებული“, 1979) სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობაში ამგვარადაა დასახული სერიის მიზანი: „სერიის ყოველ პუბლიკაციას დაერთვის ძეგლის ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა, რომელიც მიზნად დაისახავს გაარკვიოს ამ ძეგლის ადგილი და მნიშვნელობა უფრო ფართო კულტურული წრისათვის – ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა მწერლობისათვის“. მართლაც, ხელნაწერთა ინსტიტუტის სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები არ იყო შემოფარგლული წყაროების ფილოლოგიური კვლევით, რაც, თავისთავად, მეტად მნიშვნელოვანი მხარეა წყაროს შესწავლისა, არამედ ამ ნაშრომებში ძეგლები ყოველთვის განხილული იყო ფართო თვალსაზრისით, ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობისათვის შექმნილი იყო არაჩვეულებრივი პირობები. ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა ინფორმატიკის განყოფილება, რომლის ფუნქცია იყო, ეთარგმნა თანამშრომლებისათვის მათთვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურა ინგლისურიდან, ფრანგულიდან და გერმანულიდან, ასევე, ეთარგმნა თანამშრომელთა სტატიები უცხოეთში გამოსაქვეყნებლად. აქტიურად მუშაობდა ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდი, უცხოეთში სისტემატურად გადიოდა ინსტიტუტის პერიოდული გამოცემა „მრავალთავი“ და თანამშრომელთა პუბლიკაციები, შემოდიოდა უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები. ინსტიტუტს ხშირად სტუმრობდნენ საკმაოდ მაღალი დონის უცხოელი მეცნიერები, ელენე მეტრეველის კოლეგები და მოწაფეები, რომლებიც კითხულობდნენ მოხსენებებსა თუ ლექციებს. სისტემატურად ჩატარებული სემინარები თუ განყოფილების სხდომები, რომლებსაც ელენე მეტრეველი ან თავად ატარებდა, ან აუცილებლად ესწრებოდა, არავის

აძლევა მოდუნების საშუალებას. ელენე მეტრეველი იყო არაჩვეულებრივი მსმენელი, რომელსაც ინსტიტუტში მიმდინარე ყველა სამუშაოზე შეეძლო კომპეტენტური აზრის გამოთქმა. ყველა მღელვარებით ელოდებოდა ხოლმე მოხსენების შემდეგ მის რეპლიკას: „იცით რა, მე ერთი რამ მაინტერესებს ...“ და ამას მოჰყვებოდა ისეთი შეკითხვა თუ კომენტარი, რომელიც გზას უხსნიდა მომხსენებელს სამომავლო კვლევისაკენ.

ელენე მეტრეველი ძალიან ადვილად და დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა ყველანაირ სიახლეს. ხელნაწერთა ინსტიტუტი იყო პირველი დაწესებულება ჰუმანიტარულ ინსტიტუტებს შორის, სადაც მასალის დამუშავებისა და კლასიფიკაციისათვის გამოყენებული იყო იმ დროის დიდი სიახლე – კომპიუტერი.

განსაკუთრებული იყო ელენე მეტრეველის დამოკიდებულება ახალგაზრდა თანამშრომლების მიმართ. პირველი დავალებები ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის იყო რუტინული და, შეიძლება ითქვას, მოსაწყენიც. თუმცა, თუკი ახალგაზრდა ამ გამოცდას გაუძლებდა, ის საკმაოდ მნიშვნელოვან პროექტში აღმოჩნდებოდა ჩართული გამოცდილ მეცნიერთან ერთად. ინსტიტუტში მუშაობდა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო და სემინარი, რომელსაც ქ-ნი ელენე ყოველთვის ესწრებოდა. ის ხშირად თავის პირად კონტაქტებს იყენებდა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის უცხოეთში ახალგაზრდების გასაგზავნად.

ყოველივე ამის შედეგიც სახეზე იყო – ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემები სამეცნიერო დონით არასოდეს ჩამორჩებოდა უცხოური, ევროპული მეცნიერების მოთხოვნებს ჰუმანიტარულ სფეროში, ისინი ქართული ფილოლოგიის უმაღლესი დონის გამოვლინებად იყო მიჩნეული ევროპულ სამეცნიერო წრეებში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ელენე მეტრეველი არ იყო ხელგაშლილი, როდესაც საქმე ეხებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში დაცული მასალის პუბლიკაციას „უცხო“ მეცნიერების მიერ. ის მიიჩნევდა, რომ ეს მასალა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაემუშავებინათ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებს. ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, ეფუძნებოდა მეტი ნდობის არსებობას საკუთარი სკოლის მიმართ, რომლის მუშაობა თავიდან ბოლომდე იქნებოდა გაკონტროლებული პირადად მის, თუ ინსტიტუტის სხვა რომელიმე გამოცდილი მეცნიერის მიერ. ყველამ კარგად იცის, რა დაბრკოლებას ქმნის ხოლმე „ცუდ ხელში“ მოხვედრილი მასალა.

ცალკე საკითხია ელენე მეტრეველის დამოკიდებულება ხელნაწერების მიმართ. 1978 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ელენე მეტრეველთან სათაურით „ფიქრი ძველ ქართულ ხელნაწერებზე“. „მოდით ხმამაღლა ვიოცნებოთ ქართული ხელნაწერების მომავალზე“ – სთავაზობს ჟურნალისტი ქ-ნ ელენეს. პასუხი ამგვარია: „რაკი ოცნებაში საზღაურს არავინ ითხოვს, ამიტომ მეც არ შევიზღუდები: ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის აშენდება ახალი საფონდო და საგამოფენო კორპუსი თავისი

მინისქვეშა სახიზარით, რომელიც ჩვენი სულიერი კულტურის საუნჯეს დაიცავს ყველა დროსა და ვითარებაში. საცავებში ლაღად და შეუზღუდავად განლაგდება ფონდები, საგამოფენო დარბაზებში ერთდროულად მოწყობა რამდენიმე თემატური გამოფენა“. სამწუხაროდ, ელენე მეტრეველის ეს ოცნება დღესაც აქტუალურია და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა ოცნებად რჩება. თანამედროვე დონეზე მოწყობილი საცავები, შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორია ელენე მეტრეველის მუდმივი საზრუნავი იყო. ის დეტალურად იყო გარკვეული და ჩართული რესტავრაციისა და კონსერვაციის განყოფილების საქმიანობაში, ხშირად უცხოეთში საკუთარი ხარჯებით შექმნილი მასალით ამარაგებდა ლაბორატორიას. არასოდეს დაგვავიწყდება სამოქალაქო ომის დღეებში, 1992 წლის 2 იანვარს, ხელნაწერთა ძირითად საცავში, გასაშლელი კიბის ბოლო საფეხურზე მდგომი ქ-ნი ელენე (ის მაშინ 73 წლის იყო), როდესაც მთელი ინსტიტუტი იღებდა მონაწილეობას ძირითადი საცავებიდან ხელნაწერების ქვემოთ, სარდაფში ჩატანაში.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელენე მეტრეველის დამოკიდებულება ხელნაწერების მიმართ არასოდეს ყოფილა ფანატიკური – მისი კომპეტენცია და ავტორიტეტი სრულიად გამორიცხავდა ირაციონალური შიშებითა და ფსევდოპატრიოტული სპეკულაციებით გაჯერებულ განწყობებსა და ლაპარაკებს ხელნაწერთა საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანის საფრთხის შესახებ. ის ქართული ხელნაწერების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას ეროვნულ მისიად მიიჩნევდა; ელენე მეტრეველის პირადი პასუხისმგებლობით, 80-იან წლებში ქართული ინტელექტუალური საგანძური – შუა საუკუნეების რვა ხელნაწერი – მთელი თავისი დიდებულებით წარსდგა მსოფლიოს წინაშე პარიზში გამართულ ქართული ხელოვნების გამოფენაზე.

ელენე მეტრეველის ძლიერი პიროვნება ერთმანეთში ითავსებდა მაღალ აკადემიურობას, პრინციპულობას, მომთხოვნელობას, სიმკაცრეს (მის სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა. „მკაცრი იმიტომ არის, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს, როგორც დირექტორი“, – ასე ამართლებდა ქ-ნი ქეთო, ელენე მეტრეველის და, მის ამ თვისებას) და, ამავე დროს, გულისხმიერებას, თანადგომას, რაც არაერთგზის გვიგრძვნია მის კოლეგებსა თუ მოწაფეებს. მას უყვარდა მუსიკა, თავადაც ჩინებულად უკრავდა ფორტეპიანოზე, ძალიან კარგად იცნობდა თანამედროვე ევროპულ თუ ამერიკულ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, რომ ის მთლიანად იყო მოცული სამეცნიერო საქმიანობითა და ინსტიტუტის პრობლემებით, ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მისგან არაერთხელ მოგვისმენია 90-იანი წლების მოვლენათა ღრმა ანალიზი.

მიუხედავად თავისი სტატუსისა და ავტორიტეტისა, ელენე მეტრეველი ბუნებით მოკრძალებული ადამიანი იყო. აი, რას ამბობს ის 1978 წელს მიცემულ ინტერვიუში: „სიტყვა „აღმოჩენა“, რომელიც ძალიან ბევრს ხიბლავს,

ფილოლოგიაში უნდა შეიცვალოს სიტყვებით „მიკვლევა“ და „მიგნება“. ისე კი, „აღმოჩენაშიც“ ბევრი რამ არის „აღმოსაჩენი“ – ახალი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენებისა და ფაქტების დადასტურება, რაც წყაროებისა და ლიტერატურული პროცესების გაღრმავებული შესწავლის შედეგად შეიძლება მივიღოთ. გამოსავლენი და შესასწავლი კი ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრია“. „სამკალი ფრიად არს“ – ეს იყო ელენე მეტრეველის საყვარელი გამოთქმა.

ვფიქრობთ, ხელნაწერთა ინსტიტუტის სკოლის ფუძემდებლების, ილია აბულაძისა და ელენე მეტრეველის დამსახურება უნდა იყოს ისიც, რომ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მთელს მსოფლიოში ჰუმანიტარული მეცნიერებების შეზღუდვისა და მათ მიმართ გამოჩენილი გულგრილობის მიუხედავად, ეს სკოლა ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას. ამისი საბუთია ის წიგნები, რომლებსაც დღეს ქმნიან ამ სკოლის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კედლებსა თუ კედლებს მიღმა. რამდენიმე ბოლოდროინდელ ნაშრომს დავასახელებთ: დასრულდა ათონური ხელნაწერების აღწერილობა, რომელიც, როგორც ცნობილია, საერთაშორისო მასშტაბს იღებს, სულ ახლახან გამოიცა გიორგი მთაწმინდელის „დიდი სვინაქსარი“ (2017), „ძველი მეტაფრასული კრებულები“ (2017) და, რაც მთავარია, გამოიცა ქართული ბიბლია – ძველი აღთქმის წიგნები (2017) (ეს სწორედ ინსტიტუტის ფუძემდებელთა მიერ 60-70-იან წლებში დაგეგმილი პროექტებია). პალეოგრაფიულ კვლევებში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია „თარიღიანი ქართული ხელნაწერების ალბომის“ გამოქვეყნება (2015), გრძელდება გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული თარგმანების გამოცემის საერთაშორისო პროექტი; დაბოლოს, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა არაერთი ალბომი, რაც, სხვათა შორის, ასევე შედიოდა ელენე მეტრეველის სამომავლო გეგმებში. მისი პასუხი კორესპონდენტის შეთავაზებაზე – „მოდით, ხმამაღლა ვიოცნებოთ“ – ამგვარ პასაჟსაც შეიცავს: „მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა ისეთი შესანიშნავი ხელნაწერები, როგორებიცაა ბექთაბეგისეული ვეფხისტყაოსანი, გელათის, ვანის, ჯრუჭისა და მოქვის ოთხთავები, მიქაელ მოდრეკილის იადგარი ...“

ხელნაწერთა ინსტიტუტის სკოლის შემქმნელების, ილია აბულაძისა და ელენე მეტრეველის მიერ მეცნიერების დამსახურება და სიყვარულში განვლილი ცხოვრების გზა ჩვენ ამ სკოლის შენარჩუნებას გვაავალდებულებს.

ეთერ ქავთარაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ელენე მეტრეველის არქივი

ელენე მეტრეველის არქივი, შეიძლება ითქვას, ორმაგი დატვირთვის მატარებელია. როგორც პირადი არქივი, ის წარმოაჩენს მისი ცხოვრებისა და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა ასპექტს. ამასთანავე, ამ არქივში აისახა ხელნაწერთა ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია. ეს ბუნებრივია, რადგან ელენე მეტრეველი ამ ინსტიტუტის განუყოფელი ნაწილი და მისი შექმნის მონაწილე იყო. მან ღირსეულად გააგრძელა ინსტიტუტის დამაარსებლის, ილია აბულაძის გზა, მისი ყველა ჩანაფიქრის სამსახურში ჩადგა, კიდევ მეტ პრობლემას შეეჭიდა და ინსტიტუტის განვითარების, მისი მეცნიერული პოტენციალის ფართო ასპარეზზე გატანის ახალი პერსპექტივები დაინახა. როგორც მეტ-ნაკლებად ყველა საარქივო ფონდში, ელენე მეტრეველის არქივშიც ვერბალურის მიღმა არავერბალური ინფორმაციებიცაა ჩატვირთული. ეს განსაკუთრებით გამჭვირვალეა და ზედაპირზე ძვეს. არქივი ნათლად აცოცხლებს ახლო წარსულის ყოფას, იმ იდეოლოგიურ წნეხს, რომელთან გამკლავებაც ძალით შეუძლებელი იყო. საჭირო იყო მეცნიერული კვლევისა და ბეჭდური პროდუქციის „შეფუთვა“. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ის, რომ ინსტიტუტში დაცული ძველი ქართული სასულიერო ტექსტები „ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ სერიით გამოდიოდა.

ელენე მეტრეველის საარქივო მასალა ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა ოჯახმა. არქივი დამუშავდა 2008 წელს და იმავე წლის ბოლოს გამოიცა მისი აღწერილობა (მ. მამაცაშვილი, ე. ქავთარაძე, *ელენე მეტრეველის პირადი არქივის აღწერილობა. პირადი არქივების აღწერილობა*, 1, თბილისი, 2008).

არქივი 3070 ერთეულს შეიცავს; 277 დოკუმენტი მისი ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი საქმიანობის ამსახველია, 330 კი – შემოქმედებითი მოღვაწეობისა. აქ დაცულია ელენე მეტრეველის 635 წერილი 105 ადრესატთან და 107 პიროვნების 1732 წერილი ელენე მეტრეველთან. ამ მასალაში ასახულია ხელნაწერთა ინსტიტუტის შექმნისა და განვითარების გზა. ხელნაწერთა ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ქართული ფილოლოგიის განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც თავის თავში შეიცავს ქართველოლოგიის მთელ ისტორიას.

არქივში დაცულ ელენე მეტრეველის ერთ გამოუქვეყნებელ წერილში კარგად წარმოჩნდა, რა სირთულესთან იყო დაკავშირებული ეს პროცესი და

რა ძალისხმევის ფასად მოვიდა შედეგი. ამ თავნაკლულ წერილში ელენე მეტრეველი მიმოიხილავს ქართველოლოგიის განვითარების გზას ევროპაში. მიმოიხილავს იწყებს XX საუკუნის ოციანი წლებიდან, როდესაც ფრანგული სკოლის შემდეგ სადავეებს ხელში იღებს ქართველოლოგიის ბელგიური სკოლა:

„პაულ პეტერსმა საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ შტუდიებს ევროპაში. ამის შემდეგ ინტერესი ქართული მწერლობისა და კულტურისადმი გაიზარდა და ქართველოლოგიამ ორიენტალისტურ პრობლემებს შორის თავისი ადგილი დაიკავა. ორმოციანი წლებში ქართველოლოგია ახალ ეტაპზე აიყვანა ბელგიელმა ორიენტალისტმა ჟერარ გარიტმა. მან აამალა ქართველოლოგიური შტუდიების დონე ევროპაში. ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი იქცა ქართველოლოგიური კვლევის ცენტრად“ (ელენე მეტრეველის არქივი, №524).

შემდეგ ელენე მეტრეველი ლაპარაკობს იმ შიშზე, რომელიც ქართველ მეცნიერებს, კერძოდ, კორნელი კეკელიძეს გაუჩნდა. ევროპაში მიმდინარე პროცესებმა დაბადა შიში, რომ ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი საქართველოდან ევროპაში გადაინაცვლებდა. ელენე მეტრეველი ხაზს უსვამს, რომ ეს შიში რეალური გახდა კორნელი კეკელიძისა და ილია აბულაძის გარდაცვალების შემდეგ:

„ჩვენ აღმოჩნდით ლუვენის უძლიერესი ორიენტალისტური სკოლის პირისპირ. საჭირო იყო ბრძოლის მოგება. ჩვენი უძველესი, უნიკალური ძეგლების შესწავლისა და კრიტიკული გამოცემებისთვის უნდა მოგვეკიდა ხელი იმ დონეზე, რომ კონკურენცია გაგვეწია ლუვენის ძლიერი ცენტრისთვის. ისეთი გამოცემები უნდა მოგვემზადებინა, სადაც ამ ძეგლის შესწავლის შედეგით აშკარა გახდებოდა მისი მნიშვნელობა და ადგილი არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური, ქრისტიანულ-არაბული და სირიული ლიტერატურის ისტორიისთვის“ (ელენე მეტრეველის არქივი, №524).

ის იხსენებს, რა გაკეთდა ინსტიტუტში ამ მიზნის მისაღწევად:

„ამ თვალსაზრისით დაიგეგმა ჩვენთან კადრების მომზადება ასპირანტურაში, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება სემინარების გზით, ზრუნვა საზღვარგარეთის დიდი და მცირე ქართული ხელნაწერების კოლექციების მიკროფირების მიღებისთვის, რაც ტექსტოლოგიური და ფილოლოგიური მუშაობისთვის აუცილებელი პირობაა“ (ელენე მეტრეველის არქივი, №524).

წერილში ელენე მეტრეველი იხსენებს 1980 წელს პარიზში მივლინების დროს ახალგაზრდა ბიზანტინისტიებთან შეხვედრას, რომელთაც სურთ ქართული ენის შესწავლა, რადგან სჯერათ, რომ ბიზანტინისტიკასა და ორიენტა-

ლისტიკაში დღეს ქართული ენისა და ქართული წყაროების გარეშე მუშაობა შეუძლებელია.

ამ პროექტების შედეგი მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ინსტიტუტში გამოცემულმა ტექსტებმა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი აღიარება მოიპოვა, რისი დასტურიცაა არქივში დაცული წერილები უცხოეთის ყველა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ცენტრიდან. ისინი ითხოვენ ინსტიტუტის გამოცემებს და მაღალ შეფასებას აძლევენ მას. შემდგომ ასეთი საერთაშორისო დონის მეცნიერულ ცენტრად ხელნაწერთა ინსტიტუტიც იქცა. ამაზე ნათლად მიგვანიშნებს არქივში დაცული მასალა.

1994 წელს თიუბინგენის კათოლიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად ელენე მეტრეველის წარდგენაში მისი მეცნიერული მიღწევების მიმოხილვის შემდეგ ნათქვამია:

„როგორც ღირექტორი, ბევრს ეცადა იმისათვის, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილი სამეცნიერო ცენტრი გამხდარიყო“ *(ელენე მეტრეველის არქივი, №184)*.

ამ საკითხთან დაკავშირებით არქივში ინახება ასევე ელენე მეტრეველის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები კორნელი კეკელიძის შესახებ. დოკუმენტი უთარილოა. ელენე მეტრეველი წერს, რომ ამ დროს ხშირი შეხვედრები ჰქონდა კორნელი კეკელიძესთან და მათი საუბრები ქართველოლოგიური კვლევების როლს შეეხებოდა:

„მსოფლიო მეცნიერებისათვის ნათელი გახდა ახლო აღმოსავლეთის კულტურისა და ადრებიზანტიური მწერლობის შესასწავლად რაოდენ ძვირფას მასალას შეიცავდა ქართული ხელნაწერები. ამას მოყვა სინა-პალესტინის ექსპედიცია ჟერარ გარიტის თაოსნობით. ძველი ქართული მწერლობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი პერიოდის ქართული ნათარგმნი თუ ორიგინალური მწერლობის შესწავლის ინიციატივა სინური კოლეჯიის მიხედვით მთლიანად ჟერარ გარიტის ხელში გადავიდა“ *(ელენე მეტრეველის არქივი, №570)*.

ამ რეალობას ელენე მეტრეველი ხედავდა და ფიქრობდა პრობლემებზე, რომელთა გადაჭრის აუცილებლობა იდგა.

„საჭირო იყო ამ კოლეჯიის უნიკალური ხელნაწერების შესწავლა. ეს დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა. არ იყო კადრი. უკეთეს შემთხვევაში გამოქვეყნება შეიძლებოდა, მაგრამ მათი ახლო აღმოსავლეთის მწერლობასთან შეპირისპირებით შესწავლა, ქრისტიანულ-არაბულთან, კოპტურთან, სირიულთან მიმართების გარკვევა და მათთვის ადგილის მიჩენა თხოულობდა უნივერსალური განათლების ორიენტალისტს“ *(ელენე მეტრეველის არქივი, №570)*.



ელენე მეტრეველი, ილია აბულაძე, ჟერარ გარიტი და მისი მეუღლე, ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები. ხელნაწერთა ინსტიტუტი, 27 სექტემბერი, 1966 წ.

ელენე მეტრეველი, როგორც მეცნიერი და ინსტიტუტის დირექტორი, გამუდმებით ზრუნავდა კადრების მომზადებაზე და მიზანმიმართულად ებრძოდა დაბრკოლებებს. ერთ-ერთ ჩანაწერში ის წერს: „საბედნიეროდ, არ გამართლდა კორნელი კეკელიძის შიში, რომ ქართველოლოგიის კვლევის ცენტრი ევროპაში გადაინაცვლებდა“.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ელენე მეტრეველი უპირისპირდებოდა ბიზანტინისტიკის ევროპულ ცენტრებს. მაღლიერებითა და მოწინებითაა საკვსე მისი წერილები უცხოელ ქართველოლოგებთან. აი, რას სწერს ის ჟერარ გარიტს 1984 წელს:

„გთხოვთ, ირწმუნოთ ქართველი ფილოლოგების თქვენდამი უღრმესი პატივისცემა, განსაკუთრებით ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივისა. თქვენი შესანიშნავი შრომები ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგებისთვის იყო, არის და იქნება სახელმძღვანელო წიგნები, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც მუშაობს ადრეული წინაათონური პერიოდის ქართულ თარგმანებზე, სინურ და იერუსალიმურ ხელნაწერთა შესწავლა-პუბლიკაციებზე. ქართული ფილოლოგიისა და ევროპული ქართველოლოგიის განვითარების ისტორიაში თქვენი წვლილი ძალზე დიდია“ (ელენე მეტრეველის არქივი, №663).

ელენე მეტრეველი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი იყო. მის მეცნიერულ მიღწევებს აღიარებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. ამის დასტურია მისი ხანგრძლივი თანამშრომლობა ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან, ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ინსტიტუტთან (პარიზი), ტექსტების ძიებისა და ისტორიის ინსტიტუტთან (პარიზი), პატრისტიკის საერთაშორისო ცენტრთან და ა. შ. ჩამონათვალი ვრცელია. ამ ურთიერთობების მთელი ისტორია გადმოცემულია ასობით წერილში, რომელთაც გზავნიდა და იღებდა ელენე მეტრეველი. არქივში ნათლად აისახა მისი და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერული მოღვაწეობის ყველა ასპექტი და მიმართულება, ის წვლილი, რომელიც მათ ზოგადად ორიენტალისტურ კვლევებში შეიტანეს.

ელენე მეტრეველს, როგორც მეცნიერს, მოქალაქესა და დანებებულების ხელმძღვანელს, აფიქრებდა ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ მეცნიერული კვლევის მაღალ დონეზე ასვლას, არამედ უპირველესად ხელნაწერთა დაცვას, შეგროვებას და ხელნაწერთა ინსტიტუტის ქვეყნის მთავარ საცავად ქცევას. ის დღენიადაც ცდილობდა, მოეპოვებინა უცხოეთის საცავებში დაცული ქართული მასალის ფოტოკოპირები და მიკროფირები, ზრუნავდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ბაზაზე ქართული კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის დაარსებაზე.

არქივში დაცული მდიდარი მიმოწერიდან გამოიყოფა ელენე მეტრეველისა და ვახტანგ ჯობაძის მიმოწერა. ეს არის დიდ მეცნიერთა ინტერდისციპლინური, ილბლიანი ტანდემი. ისინი ერთმანეთს ინტენსიურად უზიარებდნენ მეცნიერულ მიღწევებს, აზუსტებდნენ და ათანხმებდნენ კვლევის ცალკეულ დეტალებს. წერილების რაოდენობამ და საკითხთა აქტუალობამ ელენე მეტრეველს აფიქრებინა მათი გამოცემა და მისწერა ამის შესახებ ვახტანგ ჯობაძეს. მან კი მისთვის ჩვეული იუმორით უპასუხა:

„ძვირფასო ელო, ვის აინტერესებს ჩვენი მიმოწერა, რატომ უნდა შევანუხოთ მშვენიერი ხეები და მათი ნაწარმი ქალაქი. თანაც, ჩემო ძვირფასო, პირად წერილებს ადამიანის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ

აქვეყნებენ. თუმცა ჩვენ შემდეგ ვინ დაინტერესდება ამით“ (ელენე მეტრეველის არქივი, №2903).

ალექსანდრე ბარამიძისადმი მიძღვნილი წერილის შავ ვარიანტებში წავაწყდით პატარა ჩანაწერს, რომელშიც კარგად იკითხება ხელნაწერისადმი ელენე მეტრეველის დამოკიდებულება:

„ადამიანი, რომელსაც უმუშავია ხელნაწერზე, ეპყრობა მას, როგორც ცოცხალ არსებას, ესმის ხელნაწერის იდუმალი ხმა, მის წინაშე ხელნაწერი იხსნება, როგორც დიდი საიდუმლოება და იწყებს მასთან საუბარს. მხოლოდ დიდი სიყვარული ხელნაწერისადმი, მუდმივი შეხება მასთან უმუშავებს მკვლევარს სრულიად თავისებურ ინტუიციას და უნარს ხელნაწერის გახსნისა. მხოლოდ ამ ინტუიციით აღწევენ მკვლევარები გასული საუკუნეების ცხადლივ ხილვას და მისი ლიტერატურული პროდუქციის ნამდვილ შესწავლას. თუ მკვლევარი ერთხელ ჩასწვდა ხელნაწერის შესწავლის სიამოვნებას და დაავადდა მისი ტრფიალით, შემდეგ ვეღარ მოწყდება. ეს ავადმყოფობა კი სიმამაგეს ედრება, მისგან ვეღარ განთავისუფლდება“ (ელენე მეტრეველის არქივი, №532).

თავად ელენე მეტრეველიც ამ „სენით“ შეპყრობილთა რიცხვში იყო. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულმა ქალბატონ ელენეს მძიმე ხანდაზმულობა მოუმზადა. არქივში არის დღიურის ხასიათის ჩანაწერები, რომელთა ერთ ნაწყვეტში იკითხება:



ელენე მეტრეველი და ვახტანგ ჯობაძე. თბილისი, 1990-იანი წლები.

„არც სინათლე გვაქვს, არც გაზი, არც გათბობა. ცივა გარეთ, ასევე, ცივა ბინაში. რაც უფრო მცივა და მოკლებული ვარ არსებობის ელემენტარულ პირობებს, მით უფრო ძლიერდება სურვილი, ბოლომდე მივიყვანო მრავალწლიანი სამუშაოები: გამოკვლევა გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვათა კორპუსზე, ათონის აღაპთა გამოცემა და ივირონის მონასტრის პერსონალიზზე დაწერილი შრომების თავმოყრა. ღმერთმა ქნას, რომ მეყოს ძალა ყველა ამის გამოცემისათვის, ან დამთავრებისათვის მაინც“ (ელენე მეტრეველის არქივი, №565).

ეს ჩანაწერი 1994 წლის 24 ნოემბრით თარიღდება. 1995 წლის მაისში კი ის ვახტანგ ჯობაძეს სწერს:

„წერაც მიჭირს და კითხვაც. დამხმარეთა გარეშე ვერაფერს ვაკეთებ. ჩემთვის სოფელი დღი-

ცისანა ბიბლიეშივილი

კავკასიის უნივერსიტეტი

თამარ ჭუმბურიძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ელენე მეტრეველის ურთიერთობა უცხოელ ქართველოლოგებთან

ძალიან დიდია ელენე მეტრეველის წვლილი ხელნაწერთა ინსტიტუტის საერთაშორისო სარბიელზე გაყვანის საქმეში. ამას, შესაძლოა, მისი დირექტორობის პერიოდმაც შეუწყო ხელი, მაგრამ მთავარი მაინც მისი კომპეტენცია, საქმისადმი დამოკიდებულება და ადამიანური თვისებები გახლდათ. ბევრ უცხოელ ქართველოლოგთან ჯერ კიდევ ილია აბულაძეს ჰქონდა მიმონერა, მაგრამ ის უცხოელებთან ურთიერთობაში ძალიან ფრთხილი იყო და ეს, იმ დროს თუ გავითვალისწინებთ, არც არის გასაკვირი. ელენე მეტრეველმა შეძლო გაეფართოვებინა და გაეღმავებინა ეს კონტაქტები: მეტი მკვლევარი დაინტერესებინა ქართული მასალით და ინსტიტუტის თანამშრომლებიც დაეკავშირებინა მათთან ან ჩაერთო ისინი საერთაშორისო კვლევებში. მისი არქივისთვის ერთი თვალის გადავლებითაც ნათლად ჩანს, რამდენად ვრცელია მის კორესპონდენტთა გეოგრაფიული არეალი, მრავალფეროვანია კონტინგენტიც. სწერენ სრულიად უცხო სტუდენტები, ქართველოლოგიით დაინტერესებული პირები, დამწყები ქართველოლოგები და ისეთი მეტრეები, როგორებიც იყვნენ ჟერარ გარიტი, პოლ ლემერლი, ჟილბერ დაგრონი, იულიუს ასფალგი, ჰუბერტ კაუფჰოლდი, ვახტანგ ჯობაძე, მიშელ ვან ესბროკი და სხვ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ელენე მეტრეველმა დიდი როლი შეასრულა ევროპაში, და არა მხოლოდ ევროპაში, ქართველოლოგთა რიგების გაფართოების საქმეში. ის დამწყებთ აკვალთანებდა, უგზავნიდა ლიტერატურას, ათარგმნინებდა და აქვეყნებდა მათ სტატიებს, იწვევდა ხელნაწერთა ინსტიტუტში სამუშაოდ და აქ უკვე დედასავით ზრუნავდა როგორც მათ სამეცნიერო საქმიანობაზე, ისე ყოფით პირობებზე, ცდილობდა უკეთ გაეცნო მათთვის საქართველო. საოცრად უხაროდა ქართველოლოგიით დაინტერესებული ყოველი ახალი პირის გამოჩენა და ყველაფერს აკეთებდა, მათ არჩეული გზიდან რომ არ გადაეხვიათ. ისინიც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდნენ, სისტემატურად აბარებდნენ ანგარიშს განეული მუშაობის შესახებ, რჩევას ეკითხებოდნენ და თუ საკუთარ ძალებში ეჭვი შეეპარებოდათ, სწერდნენ:

„თუ ქართველოლოგი ვერ დავდგები, ჩემზე განუელ ამავს იმით მაინც გადავიხდით, რომ აქაურებს უკეთ გავაცნობ საქართველოს“ [ანდრე ჯაკობსი, *ელენე მეტრეველის პირადი არქივი*, № 2761].

უცხოელი მეცნიერები დიდად აფასებდნენ ელენე მეტრეველსა და მის ნაშრომებს. ამას მოწმობს მისი მონაწილეობა ვენის ორიენტალისტთა კონგრესსა (1981) და გერმანიაში ბიზანტინისტთა კონგრესზე (1977), ასევე მისი არჩევა თიუბინგენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (1994). სამწუხაროდ, ქალბატონი ელენე აღარ იყო ისე მხნედ, რომ დასწრებოდა საპატიო დოქტორად არჩევის ცერემონიალს, მაგრამ გერმანიიდან გამოგზავნილ ფირზე აღბეჭდილია სიტყვა, რომელიც მის საპატიო დოქტორად არჩევასთან დაკავშირებით წაიკითხეს საზეიმო სხდომაზე და კარგად ჩანს, თუ რამდენად აფასებდნენ გერმანიაში მის მოღვაწეობას. ქართველოლოგიის ისეთი მეტრი, როგორც ჟერარ გარიტი იყო, მიუხედავად მისთვის ჩვეული სიტყვაძუნობისა, ელენე მეტრეველის ნაშრომებით გამონვეულ აღტაცებას ვერ მალავდა. 1980 წელს, როცა გაიგო, რომ პარიზში წასვლას აპირებდა, ქალბატონ ელენეს მოსწერა:

„ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ იქიდან ბელგიაში ჩამობრძანდებით და თქვენთვის სასურველ ნებისმიერ საკითხზე წაიკითხავთ მოხსენებას“.

1982 წელს ჟ. სანდერსი ამსტერდამიდან ელენე მეტრეველის ერთ-ერთი ნაშრომის გაცნობის შემდეგ წერდა:

„თქვენი ნაშრომი, ისევე როგორც უდიდესი მეცნიერის, კორნელი კეკელიძის ნაშრომები, ხელნაწერთა ინსტიტუტის გვირგვინის ნამდვილი მარგალიტია“ [*ელენე მეტრეველის პირადი არქივი*, № 3245].



ელენე მეტრეველი და იულიუს ასფალგი
გერმანია, 1977 წ.

მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორ იულიუს ასფალგთან ხელნაწერთა ინსტიტუტს ილია აბულაძის დირექტორობის პერიოდშივე ჰქონდა კონტაქტი, მაგრამ ქალბატონმა ელომ ეს კონტაქტი არა მარტო გაააქტიურა, არამედ უფრო უშუალო და მეგობრულიც გახადა. იმ ბარათში, რომელშიც ქალბატონი ელო მაღლობას უხდის ასფალგს ილია აბულაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოთქმული

თანაგრძნობისათვის, დასძენს: „იმედი მაქვს, ჩვენი კონტაქტები გავრძელდება. გამოვიგზავნი თქვენთვის საჭირო

სხვა წიგნებს“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, №614]. ამ გამოცემების გაგზავნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა ევროპაში სცოდნოდათ აქაური გამოკვლევების შესახებ და ასფალგსაც სისტემატურად გამოექვეყნებინა ცნობები საქართველოში გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომებზე. ქალბატონი ელო იულიუს ასფალგის საშუალებით დაუკავშირდა მის მოსწავლეებს, ჰუბერტ კაუფჰოლდსა და ფერი ლილიენფელდს, რომლებთანაც ასევე ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. გერმანიიდან ჩამოსული ქალბატონი ელენე თავის წერილში დიდ მადლობას უხდის ასფალგს და კაუფჰოლდს:



კოტე წერეთელი, ელენე მეტრეველი და ჰუბერტ კაუფჰოლდი
გერმანია, 1977 წ.

„დაუფინყარი დარჩება ჩემთვის ბავარიის ალპებში მოგზაურობა, მრავალრიცხოვანი ტაძრები და თქვენი და კაუფჰოლდის განუსაზღვრელი ყურადღება და დიდი სურვილი, რაც შეიძლება მეტი გვენახა. თუ არა თქვენ, მე, ალბათ, ბევრი რამ უნახავი დამრჩებოდა. დიდი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც გერმანიაში ყოფნისას მონიჭეთ“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 630].

უცხოელი მეცნიერებისაგან იღებდა ქალბატონი ელო ცნობებს ქართული ხელნაწერების შესახებ. მაგალითად, სწორედ ასფალგისაგან მიიღო მან ცნობა, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ანტიკვარს, ჰანს პეტერ კრაუსს, ხელთ ჰქონდა X საუკუნის ქართული ხელნაწერი და სასწრაფოდ მისწერა ვახტანგ ჯობაძეს, გაეგო ამ ხელნაწერის ბედი ან მიკროფირი მაინც მოეპოვებინა. მიკროფირების მოპოვებაც დიდი საქმე იყო ინსტიტუტისათვის. ჯერ კიდევ 1970 წელს წერდა ქალბატონი ელო ვახტანგ ჯობაძეს:

„უკანასკნელი ცნობებით, ათონისა და სინას მონასტრებიდან იკარგება ქართული ხელნაწერები. ეს, რა თქმა უნდა, ახალი ამბავი არ არის. სიძველეთა „მოყვარულნი“ დიდ ხანია, ეზიდებიან სინა-ათონიდან ქართულ ხელნაწერებს, მაგრამ დღეს ამან, ეტყობა, მასიური ხასიათი მიიღო. მოპარული თუ გაყიდული ხელნაწერები საბოლოოდ დიდ წიგნთსაცავებში ხვდება, ამიტომ განვიზრახეთ ჩვენ საზღვარგარეთის წიგნთსაცავების ამ თვალსაზრისით შესწავლა. ამ ერთი თვის წინ ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მივიღეთ ოთხი ქართული ხელნაწერის მიკროფილმი. სამი მათგანი ჯვრის მონასტრიდანაა წამოღებული. მივიღეთ, აგრეთვე, პრინსტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან X საუკუნის პალიმფსესტური ხელნაწერის მიკროფილმი. ხელნაწერი სინურია. ერთი X საუკუნის ხელნაწერი ხელთ აქვს ნიუ-იორკის ანტიკვარს კრაუსს (ცნობა ასფალგმა მოგვანოდა). ჩვენთვის უცნობია, რას უპირებს ანტიკვარი ამ ხელნაწერს. ხომ არ გაქვს შესაძლებლობა, მიაწვდინო მას ხმა და გაიგო ამ ხელნაწერის ბედი. მეშინია, არ დაიკარგოს მისი კვალი, რაკი კერძო პირის ხელშია. გაიგე, თუ იძლევა უფლებას ამ ხელნაწერის მიკროფილმირებისა. ყველაზე ძნელია ჩვენთვის ივირონის მონასტრის ხელნაწერებზე რაიმე ცნობის მიღება. არა და, იქ, მგონი, ყველაზე მეტად იკარგება და იყიდება ხელნაწერები. თუ შენ გაქვს ივირონის რომელიმე ხელნაწერის მიკროფირი, ძალიან გთხოვ, გამოგვიგზავნე. ჩვენ გადავიღებთ პირს და უკან გამოგიგზავნით. ჩვენი სიმდიდრის – უძველეს ხელნაწერთა დაცვა და თავმოყრა საშვილიშვილო საქმეა და როგორმე უნდა მივხედოთ მათ, სადაც ხელი მიგვინვდება“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 1130].

კრაუსის ხელნაწერი აღმოჩნდა ცაგ. 81, რომელიც მარს სინაზე უკვე აღარ დახვედრია. ის 95 000 დოლარად შეაფასეს. ცხადია, ინსტიტუტი ვერაფრით შეიძენდა მას. ამიტომ წერდა ქალბატონი ელენე იულიუს ასფალგს: „*მოხარული ვარ, რომ აქვეყნებთ ამ ხელნაწერის ისტორიას და აღწერილობას. გთხოვთ, ამონაბეჭდი გამოგიგზავნოთ*“. [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 617].

შემდეგში, როცა იულიუს ასფალგი თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად უნდა აერჩიათ, სწორედ ქალბატონმა ელენემ დაწერა ასფალგის ღვანლზე ქართველოლოგიის სფეროში და დაახასიათა, როგორც „ქრისტიანული აღმოსავლეთის მწერლობისა და კულტურის ისტორიის ფართო ხედვის შესანიშნავი მეცნიერი“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 180].

სხვადასხვა დროს ქალბატონი ელენეს მოწვევით ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩამოვიდნენ პადრე პოჯი იტალიიდან, რესტავრაციის სპეციალისტი, პროფ. ვებტერი ვენიდან, პროფ. ლაფონტენი ბელგიიდან, ფერი ლილიენფელდი, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, გერმანიიდან და სხვა მკვლევრები.



ფერი ლილიენფელდი, იულიუს ასფალგი
და ელენე მეტრეველი
გერმანია, 1977 წ.

უნდა ითქვას, რომ ქ-ნ ელენეს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ მეცნიერებთან. პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრის დირექტორის, პროფ. ჟილბერ დაგრონისა და ათონის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელის, პროფ. პოლ ლემერლის წინადადებით, ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, მონაწილეობდა ათონის მთის მონასტრებში დაცული აქტების შესწავლაში, კერძოდ, კითხულობდა მათზე დატანილ ქართულ ხელნაწებზე და მინაწერებს. როცა ივირონის მონასტრის დრო დადგა, მას უფრო აქტიური თანამშ-

რომლობა შესთავაზეს. წლების განმავლობაში, სანამ აქტების ფოტოგრაფირება დასრულდებოდა, ურთიერთობას წერილობითი ხასიათი ჰქონდა, 1981 წლიდან კი განსაკუთრებით გააქტიურდა. ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, პოლ ლემერლის გარდაცვალების შემდეგ კი, მისი ხელმძღვანელი პროფ. ჟაკ ლეფორი სისტემატურად ჩამოდიოდა ხელნაწერთა ინსტიტუტში სამუშაოდ, ელენე მეტრეველს კი პარიზში ინვეზდნენ. ხდებოდა მოპოვებული მასალის შეჯერება ქართული წყაროების მონაცემებთან, ქალბატონი ელო აწვდიდა მათთვის უცნობ ქართულ მასალას, ყოველი ტომის საბოლოო ვარიანტს მას უთანხმებდნენ, მის აზრს ითვალისწინებდნენ, რაც კარგად ჩანს მეტრეველის არქივში დაცული მასალიდანაც. მის მიერ ივირონის აქტების ოთხტომეულზე განეული შრომა ფრანგმა მეცნიერებმა ასე შეაფასეს: პოლ ლემერლი (1985):

„იმედი მაქვს, იანვარში მიიღებთ „ივირონის აქტების“ I ტომს, რომელიც დიდადაა დავალებული თქვენგან და პატივი აქვს გარეკანზე თქვენი გვარი ეწეროს“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, №2122].

ჟაკ ლეფორი (1995):

„აი, დასრულდა „ივირონის აქტების“ IV ტომი. დიდად მადლობელი ვარ როგორც პარიზში, ისე საქართველოში განეული დახმარებისთვის. მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ ასე დაგვხმარებოდით [...] რომ არა თქვენ და „საალაპე წიგნის“ თქვენეული ცოდნა, „ივირონის აქტები“ ვერასოდეს იქნებოდა ისეთი, როგორიც არის“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, №1854].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალბატონი ელოსა და ფრანგი მეცნიერის, ათონის აქტების შემსწავლელი ჯგუფის წევრის დენიზ პაპახრისანთუს მეგობრობა. მათ არა მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ, არამედ ახლომეგობრულიც, პირად პრობლემებსა თუ სიხარულსაც სისტემატურად უზიარებდნენ ერთმანეთს.

ქალბატონი ელოს მიერ იყო წამოწყებული შემდეგი დიდი საერთაშორისო პროექტი: გრიგოლ ნაზიანზელის ქართული კორპუსის შესწავლა და ბელგიაში გამოცემა. ჟერარ გარიტის ინიციატივით, ჯერ პროფ. გი დე ლაფონტენი, ხოლო შემდეგ პროფ. ჟუსტინ მოსე და ბერნარ კული ათანხმებდნენ მასთან ერთობლივი პროექტის გეგმას (ამისათვის მისი პარიზში ყოფნითაც კი ისარგებლეს) და ამ თანამშრომლობის ნაყოფია, ბელგიაში გამოცემული ტომები, რომლებიც ყველასათვის ცნობილია. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ელენე მეტრეველის დაჟინებული მოთხოვნით, გრიგოლ ნაზიანზელის ქართულ კორპუსს, სხვაენოვანი კორპუსებისგან განსხვავებით, ქართველი მეცნიერები ამუშავებდნენ.

ცალკე საუბრის საგანია ელენე მეტრეველის დამოკიდებულება ნინო და კალისტრატე სალიებისადმი, მათთან თანამშრომლობა. ისინი მას უახლოეს ადამიანად მიიჩნევდნენ, ჭირსა თუ ღვინის უზიარებდნენ და ღრმად მოხუცებულთ მხოლოდ მისი იმედილა ჰქონდათ. ისიც შეძლებისდაგვარად პატრონობდა, სისტემატურად ურეკავდა, სწერდა, ფრანგ მეგობრებს სთხოვდა ყურადღება მიექციათ მათთვის.



ბერნარ უტიე და ელენე მეტრეველი
გერმანია, 1977 წ.

1971 წელს ნინო და კალე სალიებმა ქალბატონ ელოს გააცნეს ორი დამწყები ქართველოლოგი, მიშელ ვან ესბროკი და ბერნარ უტიე. მან ისინი ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიწვია. მალე ქალბატონ ელოსა და მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო. ქალბატონი ელო ინტერესდებოდა მათი საქმიანობით, უგზავნიდა წიგნებს. ისინიც სისტემატურად სწერდნენ რა გააკეთეს და

რას აპირებდნენ, ეს იყო მოწაფეების ანგარიში მასწავლებლის წინაშე. ქ-ნი ელო მათთვის არა მხოლოდ მასწავლებელი იყო, როცა ისინი საქართველოში იმყოფებოდნენ, არამედ დედასავით მზრუნველი ახლობელი ადამიანი. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით კარგად ჩანს ფრანგი მეცნიერის, ბერნარ უტიეს წერილებიდან. მისი პირველი წერილები იწყება მიმართვით „ძვირფასო ქალბატონო ელენე მეტრეველი!“, მერე – „ძვირფასო ქალბატონო ელო“, დაბოლოს – „ჩემო ქართველო დედა!“



ელენე მეტრეველი, ცისანა ბიბილეიშვილი,
შარლ რენუ და ლილი ხევსურიანი
თბილისი, 1980-იანი წლები

ქალბატონი ელოსა და მისი ნაშრომის დიდი დამსახურებაა, რომ ფრანგი მეცნიერი, პროფესორი შარლ რენუ, რომელსაც გადამწყვეტილი ჰქონდა ქართველოლოგიისთვის თავი დაენებებინა, კიდევ უფრო ჩაუღრმავდა ამ სფეროს.

განსაკუთრებით ფაქიზი იყო ქალბატონი ელოს დამოკიდებულება ბატონ ვახტანგ ჯობაძესთან. ისინი ახალგაზრდობის მეგობრები იყვნენ, მერე, ბედის ირონიით, მრავალი წლით დაკარგეს ერთმანეთი და ურთიერთობა განაახლეს მაშინ, როცა უკვე ცნობილი მეცნიერები იყვნენ. ქალბატონი ელო იყო ბატონი ვახტანგის ნაშრომების პირველი შემფასებელი. ბატონ ვახტანგთან ყველაფერზე გულახდილად საუბრობდა, იქნებოდა ეს პირადული პრობლემები, პრობლემები მეცნიერებათა აკადემიაში თუ პოლიტიკაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მას შემდეგ, რაც ქალბატონი ელო ინსტიტუტის დირექტორი აღარ იყო და მხედველობაც ძლიერ გაუუარესდა, უცხოელ მეცნიერთა უმრავლესობას მასთან კონტაქტი არ შეუწყვეტია, ქალბატონი ელო თანამშრომლების დახმარებით მათთან კორესპონდენციასაც აგრძელებდა. 90-იან წლებში საქართველოში კონფერენციებზე ჩამოსულმა ჰუბერტ კაუფჰოლდმა თავისი თავისუფალი დღე ისე

დაგეგმა, რომ პირველ რიგში ქალბატონი ელენე მოენახულებინა, რომელიც იმ ხანად უკვე თითქმის ველარ ხედავდა და დასთან, ქალბატონ ქეთევანთან ცხოვრობდა. საუბარი კი, მიუხედავად ამისა, ძალიან საინტერესო ჰქონდათ და ევროპაში ქართველოლოგიურ კვლევას ეხებოდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალბატონი ელოს ინიციატივით ინსტიტუტში შეიქმნა საინფორმაციო ჯგუფი, რომელიც სულ სამ-ოთხ თანამშრომელს აერთიანებდა, მაგრამ ძალიან საჭირო საქმეს ასრულებდნენ. მათ ევალეობდათ სისტემატურად მიეწოდებინათ ინფორმაცია თანამშრომლებისათვის უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების შესახებ, ეთარგმნათ ან ანოტირებული სახით გაეცნოთ მათთვის საჭირო მასალა, ეთარგმნათ ასევე თანამშრომლების სტატიები ან ანოტაციები უცხოური ჟურნალებისათვის.

არ შემიძლია არ გაგაცნოთ 1981 წელს ვენის ბიზანტინისტთა საერთაშორისო კონგრესიდან დაბრუნებული ელ. მეტრეველის მიერ კალისტრატე სალიასთვის მიწერილი წერილის ფრაგმენტი:

„ევროპელ მეცნიერთა ქედმაღლობა ყოველთვის მალიზიანებდა და ამ კონგრესზეც დავრწმუნდი, რომ ისინი უფრო მეტს ხმაურობენ, ვინემ ქმნიან. მათ მიაჩნიათ, რომ მეცნიერება ეს მათი პრივილეგიაა, და თუ რამე დაიხელთეს ახალი, უცნობი მასალა, ყველა ღონეს ხმაურობენ, რომ დაეუფლონ მას და გამოსცენ – სულერთია როგორ. ასე მოუვიდა ქართულ არქიტექტურასა და კედლის მხატვრობას. გამოინაკლისია ხელნაწერთა მინიატურები, რომლებსაც მე არ ვალებინებ უცხოელებს, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ქართული ხელოვნების ეს დარგი, უნიკალური მასალის სახით წარმოდგენილი ხელნაწერებში, ქართველმა მკვლევარებმა უნდა დაამუშაონ და გააკეთონ. ზოგი რამ ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა, ზოგი კეთდება და მე იმედი მაქვს, რომ შედეგიც მალე გამოჩნდება. ჩვენს საგანძურს ჩვენვე უნდა მოუყაროთ“ [ელენე მეტრეველის პირადი არქივი, № 992].

სწორედ ამის გამო არ დართო მინიატიურებზე მუშაობის უფლება ვენის უნივერსიტეტის პროფესორს ჰელმუტ ბუმჰაუზენსა და მის მეუღლეს, რომლებსაც გელათის ოთხთავის გამოცემა უნდოდათ. თუმცა ისინი ინსტიტუტთან თანამშრომლობდნენ და რამდენიმე თანამშრომელი ვენაშიც მიიწვიეს.

აქედანაც კარგად ჩანს, რომ ელენე მეტრეველი და მთელი მისი მოღვაწეობა იმის ნიმუშია, როგორ უწყობდა ის ხელს უცხოელ მკვლევრებს ქართული მასალის შესწავლაში, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო ქართველი მეცნიერების ხარჯზე და კვლევის პრიორიტეტიც სწორედ მათ უნდა დარჩენოდათ.

ციალა გრიგოლია

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

ელენე მეტრეველი – ქართულ-ბერძნული ჰიმნოგრაფიის მკვლევარი

ოთხი ათეული წლის წინ ელენე მეტრეველმა ერთ ინტერვიუში „შუშა-ნიკის წამების“ შესახებ ისაუბრა. საუბარი გასცდა ძველთან დაკავშირებულ პრობლემატიკას და შეეხო ზოგადად ქართული მწერლობის ისტორიას, მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხებს, იმ პროცესებს, რომლებიც ძველ ქართულ მწერლობაში არსებობდა და რომლებიც ხელს უწყობდა მის განვითარებას. ქ-ნი ელენე შეეხო იმ ძირითადს, მთავარს, რაზეც დაფუძნებულია ამ პრობლემების წარმოჩენისა და, მრავალ შემთხვევაში, გადაჭრის პასუხი. ეს არის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დავანებული ფასდაუდებელი განძი – ხელნაწერები, რომელთა დაცვას, ხელშეუხებლობას წლების განმავლობაში, ემსახურებოდა ელენე მეტრეველი – 1968-1988 წლებში, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი.

ქ-ნი ელენე თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით წარმოჩნდება როგორც დიდი მეცნიერი, ფართო მასშტაბის მკვლევარი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მისთვის უმძიმეს პერიოდშიც კი, დიდ ეროვნულ საქმეს ღირსეულად ემსახურებოდა. ქ-ნი ელენე მრავალმხრივი მკვლევარი იყო. შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრო მისი სამეცნიერო მუშაობის სფერო, რომელიც ქართული მწერლობის ყველა დარგს მოიცავს: ბიბლიოლოგია, პატროლოგია, ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორია, ფილოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ლიტურგიკა-ჰიმნოგრაფია. ის წლების განმავლობაში იკვლევდა უცხოეთის ქართული სამნიგნობრო კერების ისტორიას, რაც შეჯამებულია მის სამეცნიერო სტატიებსა და საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომებში: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან“ (1962), „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ (1996), „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“ (1998) და სხვ.

უდიდესია ელენე მეტრეველის ღვაწლი ქართული საეკლესიო პოეზიის – ჰიმნოგრაფიის შესწავლის საქმეში. ელენე მეტრეველის უმნიშვნელოვანესმა გამოკვლევებმა ამ სფეროში, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ-

მა ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს ბიზანტიურ-ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევას საქართველოში. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა ხელნაწერთა ინსტიტუტის ჰიმნოლოგიური, ანუ ჰიმნოგრაფიის შემსწავლელთა ცნობილი სკოლა... ამ სკოლაში შემუშავებული აზრები აღიარებულია და მეტად კომპეტენტურადაა მიჩნეული ამ დარგის უცხოელ მკვლევართა მიერ“ (ქ. ბეზარაშვილი, ელენე მეტრეველი – პირონება, მეცნიერი და მასწავლებელი, კრებული: „ელო“, თბილისი, 2010, გვ. 15).

ქ-ნმა ელენემ ჰიმნოგრაფიის კვლევა დაიწყო X საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფიული კრებულთ, მიქაელ მოდრეკილის „იადგარით“ (S-425; 978-988 წწ.). ცოტა რამ ამ კრებულის კვლევის შესახებ: 1908 წელს თავის სადისერტაციო ნაშრომში „Грузинские литургические памятники в отечественных книгохранилищах“ (1908 წ.) კორნელი კეკელიძემ მოგვცა მიქაელ მოდრეკილის ამ უნიკალური კრებულის პირველი აღწერილობა და ამით განსაზღვრა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის. პავლე ინგოროყვამ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესწავლას, კერძოდ, ქართული ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების – „იადგარების“ – კვლევას. კვლევის მთავარი ღერძი მისთვის მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებული იყო X საუკუნის სხვა „იადგარების“ პარალელურად. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 1954 წელს.

ელენე მეტრეველის არქივში ინახება მისი ვრცელი ხელნაწერი ნაშრომი – „მიქაელ მოდრეკილის იადგარი“, რომელიც დაწერილია 1946 წელს. საინტერესოა, რომ ყველა საკითხი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა, რომელიც ამ ნაშრომისაგან სრულიად დამოუკიდებლად პავლე ინგოროყვამ დასვა და გააშუქა „გიორგი მერჩულეში“ (1954 წ.), ელენე მეტრეველმა რამდენიმე წლით ადრე თავის ხელნაწერ შრომაში წამოჭრა. როგორც წერილის შესავლიდან ირკვევა, ელენე მეტრეველის მიზანი იყო შეეჯამებინა ის დაკვირვებები, რაც მას მიქაელ მოდრეკილის „იადგარის“ მეცნიერულ აღწერილობაზე მუშაობის დროს დაუგროვებდა. ეს ხელნაწერი შრომა დაედო საფუძვლად მიქაელ მოდრეკილის „იადგარის“ აღწერილობას, რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა (S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1960, გვ. 544). მიქაელ მოდრეკილის კრებულს ერთვის მიქაელის კომენტარები, მინაწერები, ვრცელი ანდერძები კრებულის სტრუქტურის, ისტორიული პირების შესახებ. შენიშვნებს, მინაწერებსა და ანდერძებს ამ კრებულში განსაზღვრული ადგილი უჭირავს, ისინი უშუალოდაა დაკავშირებული მის ამა თუ იმ ნაწილთან. სწორედ ამიტომ ელენე მეტრეველმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ყოველგვარი ანდერძი თუ მინაწერი აღწერილობაში შეეტანა იმ მასალასთან, რომელთანაც ის კავშირშია, და არა ბოლოში, როგორც ეს აღწერილობის სქემის მიხედვით ხდება ხოლმე. ამით, მართალია, დაირღვა აღწერილობის ტრადიციული სქემა, მაგრამ მივიღეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული აღწერილობა.

1971 წელს გამოქვეყნდა ელენე მეტრეველის შრომა „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით“. წიგნში წარმოდგენილია ქართული ძლისპირებისა და მათი შესაბამისი ღმრთისმშობლისანების ორი უძველესი რედაქციის ქართული ტექსტი ბერძნული მოდელებით. „ღმრთისმშობლისანები“ ძლისპირთა ბერძნულ-სლავურ კრებულებში არ დასტურდება, შესაბამისად, ეს სტრუქტურული თავისებურება მხოლოდ ქართული კრებულების მახასითებელია – ასეთია გამომცემლის მნიშვნელოვანი დასკვნა. კრებულის შედგენილობა და მიმართება ბერძნულთან, „ჰმეანი“, ანუ რვა ხმაზე განწყობილი გალობა უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, მეხელები და მეხური გალობანი, საკითხი „დასდებლის მეცნიერების“ შესახებ, ქართული ძლისპირის რიტმული დაყოფისა და მისი ბერძნულ კილოსთან შეჯიბრი, საგალობლის ნევმები, ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ტერმინები („ახალნი“, „ძუენნი“, „მირთულნი“, „უცხონი“) – ეს გახლავთ, ძირითადად, იმ საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც ამ ნაშრომშია დასმული. X-XI საუკუნეების ქართულ-ბერძნულ ხელნაწერთა შეჯერების საფუძველზე ავტორმა წარმოადგინა ორი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული სამყაროს – ბერძნულისა და ქართულის – ურთიერთობის ნათელი სურათი და დაასკვნა: „ბერძნულ-ქართული ირმოლოგიონების ერთდროული და პარალელური შესწავლით შეიძლება წარმოვიდგინოთ ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების გაბმული პროცესი VIII-IX საუკუნეების მანძილზე; ქართული უძველესი ძლისპირის შესწავლით ივსება დიდი ხარვეზი ბერძნული ჰიმნოგრაფიისა, კერძოდ, ირმოლოგიონის განვითარების შესწავლის ისტორიაში“ (გვ. 095).

მნიშვნელოვანია ელენე მეტრეველის ღვაწლი ჰიმნოგრაფიული კრებულის, „უძველესი იადგარის“ შესწავლის საქმეში. ამ იერუსალიმური ტიპის ლიტურგიკული კრებულის შექმნისა და განვითარების ისტორია დაკავშირებულია იმ დიდ შემოქმედებით აღმავლობასთან ჰიმნოგრაფიის დარგში, რომელიც განხორციელდა პალესტინის სამნიგნობრო კერებში V-VIII საუკუნეებში. იერუსალიმური ლექციონარისა და „უძველესი იადგარის“ მსგავსება პირველად კორნელი კეკელიძის ნაშრომში „Иерусалимский Канонарь VII века“ (1908) არის შენიშნული. ამ ორი ძეგლის პარალელურმა შესწავლამ ნათლად გამოკვეთა ელენე მეტრეველის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „უძველესი იადგარი“ არ არის დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული ძეგლი. ის ამოიზარდა იერუსალიმური ლექციონარის საფუძველზე, რომლისგანაც მას მიღებული აქვს კალენდარი, განგებები და მთელი პოეტური რეპერტუარი. ელენე მეტრეველის უდიდესი დამსახურებაა იმის მიგნება, რომ „უძველესი იადგარის“ ცალკე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულად ჩამოყალიბების საფუძველი ლექციონარის ქართული თარგმანის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული მასალაა, რომელიც თანდათან შეივსო ბერძნულიდან თარგმნილი ახალი პოეტური რე-

პერტუარით. ამ პროცესმა კი განსაზღვრა „უძველესი იადგარის“ სტრუქტურა – ორფენოვნება, რომლის პირველი ფენა ემთხვევა სწორედ ლექციონარის ტექსტს. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ კოლექტიური ნაშრომში „უძველესი იადგარი“, რომელიც 1980 წელს გამოიცა ელენე მეტრეველის საერთო ხელმძღვანელობით (*უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980 წ.) თავისი დატვირთული პრობლემატიკით არის სრულიად ახალი სიტყვა ქართულ სასულიერო ლიტერატურის კვლევაში.

მაღალი კულტურის, ენციკლოპედიური განათლების მქონე საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის მიერ ათწლეულების წინ დაწყებული საქმე დღესაც გრძელდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ლია კიკნაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ელენე მეტრეველი – მოგზაურობის ჟანრის თხზულებათა მკვლევარი და გამომცემელი: ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“

განსაკუთრებულია აკადემიკოს ელენე მეტრეველის ღვაწლი მოგზაურობის ჟანრის მრავალმხრივ საინტერესო ორი თხზულების, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვისა“ და გიორგი ავალიშვილის „იერუსალიმში მოგზაურობის“ შესწავლა-გამოცემის საქმეში. მათ შესწავლას ქალბატონმა ელენემ მრავალი წელი მოანდომა და შედეგად შექმნა დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევები და კრიტიკულად დადგენილი ტექსტები, რომლებიც გამოსცა კიდეც 1956 და 1967 წლებში.

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვის“ კრიტიკული ტექსტისა და მის შესახებ გამოკვლევის გამოცემამ – *ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა*, თბილისი, 1956 – დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სათაური „მიმოსლვა“ ელენე მეტრეველის შერჩეულია ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით (H-2306; ნუსხებში თხზულება რამდენიმე სათაურით იხსენიება), რაც ზუსტად არის მორგებული შინაარსს.

ელენე მეტრეველის პუბლიკაციამდე ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება და შემოქმედება საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა. არ იყო ბოლომდე გარკვეული მისი როლი XVIII საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, აქედან გამომდინარე – ტიმოთეს ადგილიც XVIII საუკუნის „ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავ პლეადაში“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 077). თუმცა ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი იყო თხზულების პირველი პუბლიკაცია, რომელიც 1852 წელს განახორციელა პლატონ იოსელიანმა. როგორც ქალბატონმა ელენემ გაარკვია, ამ გამოცემის დედანია არა ავტოგრაფული, არამედ C რედაქციის ერთ-ერთი ხელნაწერიდან დავით რექტორის მიერ გადაწერილი ნუსხა, რომელიც სხვაობს დედნისაგან, უპირველეს ყოვლისა, ორთოგრაფიით – გადამწერს ტიმოთესეული მართლწერა შეუცვლია ანტონ I-ის შემოღებული ნორმებით, გარდა ამისა, ნუსხაში შეუტანია სტილისტურ-აზრობრივი შესწორებები, რაც ხშირ შემთხვევაში მცდარია; ტექსტში შესწორებები შეუტანია გამომცემელ

პლატონ იოსელიანსაც. ეს ყველაფერი, უნებლიე შეცდომებთან ერთად, აბუნდოვანებს ტექსტს და აკნინებს გამოცემის მნიშვნელობას.

ელენე მეტრეველს მიაჩნდა, რომ იმ სიახლეების საჩვენებლად, რაც ტიმოთე გაბაშვილმა შეიტანა ქართული მწერლობის ისტორიაში, აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მისი ცხოვრება-შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის ჩვენება, მეორე მხრივ კი – ათონსა და იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის გათვალისწინება.

ტიმოთე გაბაშვილის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ ცნობები მწირია და ურთიერთსაპირისპირო. მიუხედავად ამისა, ქალბატონმა ელენემ შეძლო სხვადასხვა ტიპის მასალიდან ამოეკრიბა მისი ბიოგრაფიის ფრაგმენტები და აღედგინა ტიმოთეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, კერძოდ: 1720-იან წლებში ტიმოთე გარეჯის უდაბნოში ჩანს, რასაც ადასტურებს მის მიერ 1729 წელს გადაწერილი ბ. ორბელიშვილის „გრდემლის“ ანდერძი. შემდეგ იმერეთშია, სადაც ქუთათელ მთავარეპისკოპოსად უკუერთებიათ. საეპისკოპოსო ადგილი, ბაგრატის ტაძარი, მას „გუმბათმოქცეული“ და „უნირველ-ულოცველი“ დახვედრია, ციხეები კი – ოსმალებით სავსე, რომლებიც ავინრობდნენ ხალხსა და ეკლესიას. ტიმოთე აქტიურად ჩაება ოსმალთა სანინააღმდეგო ღონისძიებებში და იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის ნდობაც დაიმსახურა. 1738 წელს ალექსანდრე V მას ქართლიდან გადმოსვენებულ შანშე ქსნის ერისთავთან ერთად ელჩად აგზავნის რუსეთის იმპერატორთან თხოვნით, ჯარით დაეხმაროს საქართველოდან ოსმალების გაყრაში. ელენე მეტრეველის აზრით, განათლებული, ენების მცოდნე (რუსული, სომხური, თურქული) ტიმოთე სწორედ რომ შესაფერისი კანდიდატი იყო ამ ელჩობისთვის.

ელჩებს საქმიან ქალღმერთსა და საჩუქრებთან ერთად მიჰქონდათ რუკა, რომელიც ელენე მეტრეველის შესწავლის შედეგად, ტიმოთეს შედგენილი აღმოჩნდა. რუკაზე აღნიშნული იყო დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი გამაგრებულობის ხარისხის ჩვენებით, ციხეები, სადაც ოსმალები იდგნენ, სადაზვერვო კოშკები, სამოქალაქო თუ საეკლესიო დანიშნულების ნაგებობები. ქვეყნის ლანდშაფტი რუკაზე რელიეფურად არის გამოსახული, ხუროთმოძღვრების ძეგლები კი ნახატებითაა წარმოდგენილი, რაც, ელენე მეტრეველის დაზუსტებით, ასევე ტიმოთეს ნახელავია. როგორც ქალბატონი ელენე მიიჩნევს, ტიმოთეს შედგენილი რუკა თავისი დროისთვის უდიდესი მნიშვნელობისა იყო და დღესაც საინტერესოა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და გეოლოგიის თვალსაზრისით.

ელჩობის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ ტიმოთე ჯერ პეტერბურგშია, შემდეგ – მოსკოვში. 1742 წელს კი ბევრხიფათგამოვლილი (ჩერქეზების მიერ დატყვევებული და ტყვეობიდან გამოპარული) საქართველოში ბრუნდება. 1742-1747 წლებში ისევ ქუთათელი ეპისკოპოსია. რუსული ორიენტაციის

გამო, რაც ოსმალებისთვისაც გახდა ცნობილი, ის იძულებულია ქართლში გადავიდეს, სადაც თანამოაზრე, კათალიკოსი ანტონ I ეგულებოდა. 1753 წელს ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსად აკურთხეს. ამ წოდებით ტოვებს ქართლს და 1755 წლის გაზაფხულზე ახლო აღმოსავლეთში იწყებს მოგზაურობას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ელენე მეტრეველმა არ გაიზიარა ტიმოთეს მოგზაურობაში წასვლის მიზეზების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, თითქოს მისი მოგზაურობა ანტონ კათალიკოსის მხილებასთან იყო დაკავშირებული (კ. კეკელიძე, პლ. იოსელიანი). მეცნიერის დაზუსტებით, ტიმოთე სამოგზაუროდ წავიდა 1755 წლის აპრილში, ხოლო კათოლიკეების დევნა თბილისსა და გორში დაიწყო იმ წლის 12 დეკემბერს, ანტონი კი პირველად 16 დეკემბერს გაასამართლეს.

გამგზავრებამდე ტიმოთე აქტიურად ყოფილა ჩართული ქართლ-კახეთის კულტურულ ცხოვრებაში, კერძოდ, სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელსაც ახორციელებდა კათალიკოსი ანტონი. პროგრამა ითვალისწინებდა სასწავლებლების გახსნას თბილისსა და თელავში, სახელმძღვანელოების შექმნას, მასწავლებლების მომზადებას ევროპული ინოვაციების საფუძველზე. ქალბატონი ელენეს აზრით, სწორედ სასწავლო მიზნით უნდა დაენერა ტიმოთეს „მარწუხი“, რომელიც ერთგვარი საცნობარო წიგნია ქრისტიანულ დოგმატიკაში. ანტონ კათალიკოსი ტიმოთეს, როგორც ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში დიდად განსწავლულს, ხშირად შესაფასებლად აძლევდა თავის ნაშრომებს, მაგალითად, „სპეკალს“ და „მზამეტყველებას“.

ელენე მეტრეველს მიაჩნია, რომ სწორედ აქ, ქართლში, უნდა გადაწყვეტილიყო ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მოგზაურობას, წმინდა ადგილების მოხილვასთან ერთად, სამხედრო და პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა, როგორც დააზუსტა ქალბატონმა ელენემ. მისი სიტყვებით, ტიმოთე, როგორც თავისი დროის დიდად განათლებული, ენების მცოდნე, დახელოვნებული ტოპოგრაფი, გამოცდილი დიპლომატი და „თურქეთის აგრესიულ პოლიტიკაში ღრმად ჩახედული ადამიანი... ყველაზე შესაფერისი კანდიდატი იყო თურქეთში გასაგზავნად პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვისათვის“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 0113-0114).

1759 წელს მოგზაურობიდან დაბრუნებულ ტიმოთეს ქართლში დაძაბული ვითარება დახვედრია: ანტონ I ქვეყნიდან იყო გაძევებული, „მრისხანების ჰუნესა მჯდომი“ ზაქარია გაბაშვილი კი ბოზოქრობდა და სასტიკად უსწორდებოდა ანტონის თანამოაზრეებს. ეს ამბავი ტიმოთემ ათონზე ყოფნისას შეიტყო და წინასწარ განჭვრიტა, რომ ქართლში დაბრუნებულს უსიამოვნება შეემთხვეოდა, ამიტომ 1755 წლის მიწურულს ივირონში სქემით შეიმოსა და იქ დარჩენა გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ, გადაიფიქრა. ქართლში დაბრუნებულ ტიმოთეს მთავარეპისკოპოსის ტახტი დაკავებული დაუხვდა. უეპარქიოდ დარჩენილი და საზოგადოებისგან გარიყული, იძულებული გახდა 1761 წელს

რუსეთში ნასულიყო. 1762 წელს ყიზლარშია, შემდეგ – ასტრახანში, სადაც გარდაიცვალა 1764 წელს – ასე ამთავრებს ტიმოთეს დრამატიზმით აღსავსე ცხოვრების მოკლე მიმოხილვას ქალბატონი ელენე.

ელენე მეტრეველმა დიდი შრომა გასწია „მიმოსლვის“ გამოსაცემად მომზადებისათვის: შეისწავლა თხზულების შემცველი 25 ნუსხა, რის შედეგადაც გამოყო 3 ავტოგრაფული (H-842, Q-80, S-3244) და ერთი ავტორიზებული ხელნაწერი. ეს უკანასკნელი გადანერილი ყოფილა დავით რექტორის, ხოლო ჩასწორებული და გავრცობილი ტიმოთეს მიერ (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტი [პეტერბურგი], E-31). მანვე გაარკვია, რომ სამი ავტოგრაფული ხელნაწერი წარმოგვიდგენს „მიმოსლვის“ სამ რედაქციას (A, B, C), რომლებშიც ასახულია მოგზაურობის ტექსტზე მუშაობის სამი ეტაპი. A რედაქცია შეიცავს ათონის მონასტრების მიმოხილვას, დაწყებული ათანასეს ლავრითა და ვათოპედის მონასტრით, დამთავრებული – სტავრონიკიტათი. ძირითადად ივირონში მცხოვრები ტიმოთე ქართულ მონასტერს „მიმოსლვაში“ დაწვრილებით აღწერს და წარუძღვარებს ივირონის კომპლექსის ყველა ნაგებობის ნახატს აღმშენებელთა სახელების მითითებით. ელენე მეტრეველმა დაადგინა, რომ ნახატი და მინაწერები ტიმოთეს ხელითაა შესრულებული. მანვე დააზუსტა ხელნაწერთა რედაქციების შექმნის თარიღები: A რედაქცია შექმნილია ივირონსა და კონსტანტინოპოლში 1756-1757 წლებში. B რედაქცია დაწერილია კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმისკენ მოგზაურობის დროს, C რედაქცია კი – 1758 წლის მინურულსა და 1759 წლის დამდეგს. B რედაქციაში, A-ს მასალის გარდა, ჯვრის მონასტრის ფრესკების პირებია შეტანილი, რომლებზეც გამოსახულია ქართველი მეფეები – მირიანი, ბაგრატ კურაპალატი და ვახტანგ გორგასალი. C რედაქცია B-ს გადამუშავებული ცალია და შექმნილია საქართველოში დაბრუნების შემდეგ, არაუადრეს 1759 წლისა. C რედაქციაში ქართველ მეფეთა – მირიანის, ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ გორგასალის – გამოსახულებები B რედაქციის სურათებისგან სხვაობს კოლორიტით, სამოსით, პროპორციებით, თუმცა უფრო დახვეწილია. ქალბატონი ელენე მათი ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ B რედაქციის ასლები უფრო ახლოს უნდა იყოს ორიგინალთან (ე. ი. ჯვრის მონასტრის ფრესკებთან) და „უკეთესის უქონლობის გამო... შეიძლება მივიჩნიოთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობის უძველეს (XVIII ს. 50-იანი წლები) პირებად“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 019).

ელენე მეტრეველმა ავტოგრაფული ნუსხები ერთმანეთს შეუდარა და გაარკვია, რომ A რედაქციის მასალა, გადატანილი B და C რედაქციებში, გადამუშავებული და შევსებულია. შედარებამ ნათელი გახადა ტიმოთეს მუშაობის მეთოდიც: საბოლოო C რედაქცია განტვირთულია მეორეხარისხოვანი ეპიზოდებისგან, სამაგიეროდ, გაზრდილია ისტორიული მასალის მოცულობა სხვა წერილობითი წყაროების მოშველიებით, როგორებიცაა: „ქართლის

ცხოვრება“, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია“, ბერძნული „ხრონოლოგის“ არჩილ მეფისა და ვ. სოლოლაშვილისეული თარგმანი. B რედაქციაში არსებული დაუფარავი სიძულვილი თურქებისადმი, რომლებმაც გაანადგურეს უამრავი ქრისტიანული ძეგლი, მიიტაცეს ქართველთა ტერიტორიები და კვლავაც აგრძელებდნენ ქრისტიანთა შევიწროებას, შეცვლილია პოლიტიკური სიფრთხილით ნაკარნახევი თავდაჭერილობით. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონმა ელენემ ავტოგრაფულ ხელნაწერებში „მიმოსღვის“ გარდა, გამოყო ტიმოთეს ორი „სწავლაც“.

მეცნიერს მიაჩნია, რომ B და C რედაქციები გადამუშავებულია იდეოლოგიურადაც. ის ასახელებს შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მაგალითს, რომლის ღვანლის დახასიათებას – „ჯუარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათი და ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს და თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული...“ – მოსდევს შოთას მისამართით ტიმოთეს გამკილავი მინაწერი: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სინმიდისა ნილ ბოროტი ბილწება და განჰრყუნა ქრისტიანობა...“. ელენე მეტრეველმა გაარკვია, რომ ეს ჩანაწერი თავდაპირველად B და C რედაქციების ძირითად ტექსტებში არ იყო, ის ჩანერილია მოგვიანებით საქართველოში C რედაქციის გადამუშავების შემდგომ და გამოძახილია ქართლის კლერიკალურ-რეაქციული წრის შეხედულებისა, რის გაზიარებასაც ტიმოთეს კარნახობდა იმდროინდელი სიტუაცია და მისადმი კლერიკალების მტრული დამოკიდებულება. გამკილავი შენიშვნა ტიმოთეს B რედაქციაშიც გადაუტანია შემოკლებით: „ბოროტი მესიტყვე“. ქალბატონი ელენეს აზრით, შოთა რუსთველის ნეგატიური დახასიათება რომ ორგანული არ არის „მიმოსღვის“ ტექსტისთვის, ადასტურებს მოგზაურის განცვიფრება და აღტაცება ქართველთა, მათ შორის, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ღვანლით: „ვიხილენით და აღმოვიკითხენით ჭირმრავლობით ნაღვანი მამათა ჩვენთა ქართველთანი და ფრიად გაკვირვებულ ვიყავ მათთვის, რამეთუ იგავადცა არა მსმენოდეს ესენი, რაოდენიცა მე აქა მათთვის აღვსწერენ“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 055).

როგორც ელენე მეტრეველმა გაარკვია, ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ოთხ წელს გაგრძელდა: 1755 წლის გაზაფხულიდან (აპრილი) 1759 წლის გაზაფხულამდე. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მოგზაურობას ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: ქართული კულტურის უძველესი კერების ნახვა-შესწავლა, მათი ისტორიის დანერა და სამხედრო და პოლიტიკური ცნობების მოპოვება თურქეთის შესახებ. ქალბატონ ელენეს მიაჩნია, რომ მოგზაურობა კარგად იყო მომზადებული ქართლ-კახეთის მეფეების, თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ და, როგორც ჩანს, მისგან სერიოზულ შედეგებსაც მოელოდნენ. ტიმოთე გამგზავრების წინ აღჭურვეს სარეკომენდაციო წერილებით კონსტანტინოპოლის სასულიერო და მაღალი თანამდებობის პირებთან, რამაც

შესაძლებლობა მისცა მოგზაურს ბევრი რამ გაეგო საბერძნეთისა და პალესტინის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ტიმოთემ გულდასმით შეასრულა ქართველ მეფეთა დავალება: დაწვრილებით აღწერა სრუტეების გასწვრივ განლაგებული თურქეთის სამხედრო ობიექტები – დააზუსტა, რა ძალებია იქ თავმოყრილი, როგორ არის გამაგრებული ისინი, რომელი მხრიდან არის უფრო იოლი მათი აღება და ა.შ.

* * *

ქალბატონი ელენე ანალიზებს ტიმოთეს ინტერესთა სფეროში შემავალი სამი პუნქტის – ათონის, კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის ირგვლივ თავმოყრილ მასალას და აღნიშნავს მოგზაურის დიდ ინტერესს ივირონში დაცული ქართული ხელნაწერების, მათ შორის, ალაპ-მოსახსენებლებისადმი, რომლებიც უცნობი იყო იმდროინდელი ქართველი მწიგნობრებისთვის. ხელნაწერების მეშვეობით მოგზაური გაეცნო ამაგდარი მოღვაწეების სახელებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში. ელენე მეტრეველის აზრით, ტიმოთემ „ივერიის მონასტრის კულტურულ მოღვაწეთა ფართო წრე შემოხაზა“, რომლებშიც შედიან: იოვანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, იოვანე თორნიკ-ყოფილი, გიორგი ოლთისარი, იოანე ნინოწმინდელი, იოანე რეხვაასძე, საბა თუხარელი, კლიმი მეუდაბნოე, ვასილი ულუმბელი, მღვდელი იაკობ მხატვარი და სხვ. (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 0208). მოგზაური მათ შრომას დიდად აფასებს და გაოცებას ვერ მალავს, რომ აქამდე არ იცნობდა ამ მოღვაწეების „ტკივილთმოყვარებით და რუდუნებით ნაღვანსა ... რომლისაგან განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა“.

ელენე მეტრეველი ყურადღებას ამახვილებს ტიმოთეს განსაკუთრებულ ინტერესზე სასწავლო დაწესებულებების მიმართ. მას, როგორც ანტონ I-ის გუნდის წევრს, რასაკვირველია, სიახლეების საქართველოში გადმოტანის სურვილიც ექნებოდა. ამიტომ ვრცლად მიმოიხილავს ვათოპედის აკადემიას, რომელსაც სათავეში ედგა სახელმწიფო-ეკლესიური ღმრთისმეტყველი და ფილოსოფოსი ეგგენი ბულგარისი. ქალბატონი ელენე ახასიათებს ამ სახელმწიფო-ეკლესიური პიროვნებას, რომელიც კრიტიკულად უდგებოდა ძველი ფილოსოფოსების ნააზრევს და ევროპული ინოვაციების დანერგვას ცდილობდა აკადემიაში, რაც ანტონ კათალიკოსის სანუკვარი ოცნებაც იყო. ამიტომაც ანტონის თანამოაზრე ტიმოთე აკადემიაში დასწრება სწავლის მიმდინარეობას და სასწავლებლის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების შესახებ ცნობებიც მოუპოვებია. გასცნობია აგრეთვე საფილოსოფოსო აკადემიას პატმოსის კუნძულზე და იზმირში (სმირნაში). ბულგარისის მეშვეობით ტიმოთეს გაუცვნია კონსტანტინოპოლის პატრიარქი კირილე და მასთან ახლო ურთიერთობა დაუმყარებია. ელენე მეტრეველს მიაჩნია, რომ ათონზე ყოფნის პერიოდი ტიმოთემ მაქსი-

მალურად გამოიყენა სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისთვის (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 044).

ქალბატონი ელენე გამოკვლევაში საგანგებოდ აღინიშნავს იმ მნიშვნელოვან სიახლეებს, რომელთათვისაც ტიმოთეს მიუკვლევეია ათონზე. მათ რიცხვშია ფილოთეოსის მონასტერში ნანახი ფრესკა, რომელზეც გამოსახული ყოფილა ქართლისა და კახეთის გვირგვინშემოსილი მეფე ლეონი და მისი ძე, ალექსანდრე, რომელთაც ხელთ მონასტრის მაკეტი სჭერიათ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 37). ტიმოთეს თქმით, ლეონს მონასტერი „თესითა საფასითა აღუშენებია საჯსენებლად საუკუნოდ“, ე.ი. ის თავის შვილთან ერთად კტიტორია. აქ ელენე მეტრეველი ახსენებს პლატონ იოსელიანს, რომელსაც 1848 წელს უნახავს ეს ფრესკა და გადმოუღია ბერძნული წარწერა, რომლის თანახმად, ლეონი და მისი ძე, ალექსანდრე, მონასტრის კტიტორებად არიან დასახელებულნი.

მთანმინდაზე, კარაკალოსის მონასტერში, ტიმოთეს მიუგნია სხვა მოგზაურების მიერ შეუმჩნეველი ფრესკისათვის წარწერით: „გუმბათი და პალატი დაქცეულა და გაუახლებიათ და ტყვიით გარდაუჭედიათ არჩილს, იმერელთ მეფეს, გიორგის, ძმასა მისსა და ვახტანგს, ქართველთ ბატონს და აშოთანს. და არს დღითი-დღე მათი მოჯსენება“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 38).

ათონიდან ტიმოთე კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, სადაც ორმოცი დღე დაჰყო. სარეკომენდაციო წერილების მეშვეობით, ის გასცნობია მაღალი თანამდებობისა და წოდების პირებს, მათთან საუბრებიდან კი – ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებას. ცხოვრობდა ქართულის მცოდნე გიორგი ლოლოთეცის სახლში, რომელსაც ელენე მეტრეველი დიდად განათლებულ და საინტერესო ადამიანად ახასიათებს. მასთან სიახლოვემ მოგზაურს საშუალება მისცა ზოგიერთი ცნობილი პირის პოლიტიკური ორიენტაცია დაეზუსტებინა. ტიმოთეს მასპინძელთან საინტერესო საუბრებიც ჰქონია მისთვის საჭირო თემებზე.

ტიმოთე კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრა იერუსალიმისკენ, იმ განსაკუთრებული ადგილისაკენ, რომელიც ქრისტიანთათვის საყოველთაო თაყვანისცემის ცენტრი იყო და არის დღესაც. როგორც ელენე მეტრეველი აღნიშნავს, მას იერუსალიმი ორი თვალსაზრისით აინტერესებდა – ზოგადქრისტიანული და ეროვნული. ამიტომ მოგზაურს პირველ რიგში მოუნახულებია წმ. საბას ლავრა, გოლგოთისა და უფლის საფლავის მონასტრები. ქართველთა მოღვაწეობის კვალის მაძიებელ ტიმოთეს იქაც მიუგნია უცნობი მასაღისათვის, კერძოდ, გოლგოთის ტაძარში, პატრიარქის სკამის ფეხის მარმარილოზე მას უნახავს ქართული წარწერა, რომელიც ქალბატონ ელენეს თავის გამოკვლევაში მოჰყავს: „კვალად მოუოხრებიათ სპარსთა და თურქთა იერუსალიმი და ქრისტეს საფლავი. ხოლო კეთილსმსახურს მეფესა ქართველ-

თა და კახთასა ლეონს, ბატონის თეიმურაზის პაპის მამას, მრავალი საფასე წარუგია და თურქთაგან აულია ადგილი ქრისტეს ვნებათა და წარმოუგზავნია ჯვარის მამა იოაკიმ საფასითა და მას აღუშენებია ახლად ქრისტეს საფლავი მარმარილოთა და გოლგოთა“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 0222). მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს წარწერა დიდად მნიშვნელოვანია არა მარტო ქართველთა ღვანლის წარმოსაჩენად, არამედ ზოგადქრისტიანული თვალსაზრისითაც, კერძოდ, ამ მონასტრების ისტორიისთვის და იქვე დანანებით აღნიშნავს, რომ 1808 წელს გოლგოთის მონასტერში გაჩენილმა ხანძარმა ეს წარწერაც გაანადგურა და ტიმოთეს მომდევნო მოგზაურებს – გიორგი ავალიშვილს, ნიკო ჩუბინაშვილს და ალექსანდრე ცაგარელს – ის არ უნახავთ. ამდენად, „მომოსლვა ერთადერთი წერილობითი ძეგლია, სადაც დაცულია გოლგოთას საპატრიარქო ტახტის ეს მნიშვნელოვანი ქართული წარწერა“ – ასკვნის ქალბატონი ელენე.

ელენე მეტრეველის გამოკვლევაში ხაზგასმულია ტიმოთეს დიდი დაინტერესება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმშენებლის, პროხორე შავშელის ცხოვრება-მოღვაწეობით, რაც მოგზაურს „მომოსლვაში“ შეუტანია მკითხველებისთვის გასაცნობად. ის დაწვრილებით გვაცნობს კედლებზე არსებულ ფრესკებს, რომლებზეც გამოსახულია მონამეობრივად აღსრულებული ქართველები: სალომე იერუსალიმელი, ჯვრის მამა ლუკა მუხაშვილი-აბაშიძე, ნიკოლოზ დვალი. როგორც ელენე მეტრეველი აღნიშნავს, ტიმოთე ქრისტიანობისთვის ქართველთა თავდადებას განიხილავს, როგორც დიდ დამსახურებას არა მარტო საქართველოს, არამედ ზოგადქრისტიანული ეკლესიის წინაშე. ტიმოთეს „მომოსლვაში“ შეუტანია ფრესკებზე გამოსახული სხვა ამაგდარი პიროვნებებიც: შოთა რუსთველი, ლევან დადიანი, აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე, ელისე ტფილელი, ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე და სხვანი, ასევე, წმინდა მამები და მოღვაწეები, რომელთა ნაწილი, ელენე მეტრეველის აზრით, დღესდღეობით „სრულიად დაკარგულია ქართული კულტურის ისტორიისათვის და თუ არა ტიმოთეს „მომოსლვა“, მათი სახელებიც არ გვეცოდინებოდა“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 0235).

ელენე მეტრეველი ხაზგასმით აღნიშნავს ტიმოთეს აღტაცებას ქართველ მონამეთა თავგანწირვით და მოღვაწეთა სასახელო საქმეებით, ბუნებრივად მიაჩნია მისი აღშფოთება ქართული საზოგადოების გულგრილობის გამო და მოჰყავს ციტატა თხზულებიდან: „ერთი ვინმე რისთვის ვერ მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეცყო, და ანუ ქვაზედ, ანუ წიგნთა შინა აღმოეკითხა ეს ამბები და საქართველოსთვის ეუწყებინა? არცა მე უწყოდი აქაური ესევეთარი საქმე. ჰოი მე, რა დიდის უგუნურებით არს ნათესავი ჩვენი!“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 85).

ქალბატონი ელენე ვრცლად მსჯელობს „მომოსლვის“ B და C რედაქციებში არსებულ ჯვრის მონასტრის ფრესკაზე, რომელზეც სამი ქართველი მე-

ფეა გამოსახული – მირიანი, ბაგრატ კურაპალატი და ვახტანგ გორგასალი, და მოჰყავს ტიმოთეს მოსაზრება მათ შესახებ: მირიან მეფე ქართველთა განმანათლებელმა ნინომ წარგზავნა იერუსალიმში და „ჯვარის მონასტრის ადგილი მას უშოვნია“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 77); ბაგრატ კურაპალატს „საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხოვრესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა“ (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 77), ე.ი. ის კტიტორია, ხოლო ვახტანგ გორგასალს „მეგვიპტელთაგან“ მისცემია იერუსალიმი და „მრავალ ჟამს ქერიათ იერუსალიმი და პალესტინე“ ქართველებსო [მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 78]. რამდენად შეეფერება სიმართლეს ტიმოთეს მოსაზრებები ამ მეფეებზე, დღეს ძნელი დასადგენია, მაგრამ ელენე მეტრეველი სკეპტიკურად არ უყურებს ამ საკითხს და მიაჩნია, რომ ტიმოთეს მეთოდებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს სიფრთხილეს მასალის შერჩევაში, საეჭვო მასალის შეცვლას სხვა წერილობითი წყაროების მონაცემებით, შეუძლებელი არაფერია. ტიმოთეს უთუოდ უნდა ჰქონოდა საბუთი ზემომოტანილი მოსაზრებებისა, იქნებოდა ეს ზეპირი წყაროები (თქმულება, გადმოცემა, მონათხრობი), თუ წერილობითი (ეპიგრაფიკა, ხელნაწერი, მოსახსენებელი). რაც მთავარია, არსებობს ფრესკა სამი მეფის გამოსახულებით, რაც ბევრის მთქმელია; მათ ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახვას, უთუოდ, საფუძველიც ექნებოდაო, ასკვნის მეცნიერი.

საინტერესოა ელენე მეტრეველის დამოკიდებულება იერუსალიმის იმ მონასტრების მიმართ, რომლებიც ტიმოთეს ქართველთა აშენებულად მიაჩნია. ამათგან, ერთ-ერთია იაკობ ალფესის მონასტერი, რომელსაც, ტიმოთეს თქმით, XIII საუკუნეში სომხები დაუფლებიან. მოგზაურის აზრით, ეს მონასტერი ქართველთა მეფე გიორგის აუშენებია. ელენე მეტრეველი იზიარებს ტიმოთეს მოსაზრებას და აზუსტებს, რომ ეს მეფე გიორგი კურაპალატი უნდა იყოს. ტიმოთეს იქ ყოფნის დროს, როგორც ჩანს, არსებობდა ამის დამადასტურებელი მასალაო, – დასძენს ქალბატონი ელენე და იქვე ახსენებს XVI საუკუნის დასაწყისში ბენა ჩოლოყაშვილის თავგამოდებას იაკობის მონასტერში ქართველთა უფლებების აღდგენის და იქიდან სომხების გაძევების საქმეში; ეს ფაქტი, რასაკვირველია, მხარს უმაგრებს ტიმოთეს მოსაზრებას.

ქართულ საზოგადოებას „მიმოსლვის“ მეშვეობით ეცნობა ბევრი სხვაც, – აღნიშნავს ქალბატონი ელენე და მაგალითად მოჰყავს ის ცამეტი ეკლესია-მონასტერი, რომლებიც ტიმოთეს „მიმოსლვაში“ შეუტანია, როგორც ქართველების მიერ აშენებული. ესენია: ჯვრის, იაკობ ალფესის, წმ. ნიკოლოზის ორი მონასტერი, იოანე ღვთისმეტყველის, წმ. აბრაჰამის, წმ. ბასილის (დედათა), წმ. თეკლას, წმ. გიორგის (ურიათუბანში), წმ. დიმიტრის, წმ. ეკატერინეს (დედათა), მირქმის მონასტერი და ქართველთა მონასტერი, რომლის ილუმინაცია ყოფილა ხარიტინი, ასული ანჩაფიშვილისა. მონასტრების ჩამონათვალს ახლავს აღმშენებელთა სახელებიც.

ქალბატონი ელენე მსჯელობს იმ წყაროებზეც, რომლებსაც ტიმოთე იყენებს ქართველთა მოღვაწეობის ისტორიის აღსადგენად ივირონსა და იერუსალიმში: ეპიგრაფიკა (მხატვრობა და მინაწერები), ჰაგიოგრაფიული ჟანრის ორიგინალური თხზულებები, სულთა მატიანეები, სხვადასხვა სახის დოკუმენტები, ზეპირი წყაროები (თქმულება, გადმოცემა, მონათხრობი). მოპოვებულ ცნობებს ტიმოთე აზუსტებდა არსებულ ისტორიულ თხზულებებთან შედარების გზით, როგორცაა: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“, ბერძნული „ხრონოგრაფი“.

ელენე მეტრეველს ძალიან საინტერესოდ მიაჩნია ტიმოთეს მიერ საკუთრივ მოგზაურობის შედეგების შეფასება. მოგზაურის აზრით, მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით ის არის, რომ „იგი თვითმხილველი, თვითმსმენელი და აღმომკითხველია“ იმ ამბებისა, რომელთა შესახებაც წერს.

დაბოლოს, მოვიყვანო ტიმოთე გაბაშვილისა და მისი ნაშრომის ელენე მეტრეველისეულ შეფასებას:

1. ტიმოთე გაბაშვილი პირველია მოგზაურთაგან, რომელმაც მიზნად დაისახა იერუსალიმის ქართული კოლონიის შესახებ ისტორიული ხასიათის მასალის მოძიება და მისი დოკუმენტური ისტორიის დაწერა.

2. ტიმოთე ახალი ტიპის მოგზაურია, რომელსაც აქვს მოპოვებული მასალის სისტემატიზაციის, ისტორიულ ქარგაზე განყოფილების უნარი, რაც სხვა მოგზაურებს არ გააჩნდათ. ამიტომ მისი მოღვაწეობა ახალი ეტაპია უცხოეთის ქართული სავანეების შესწავლის საქმეში.

3. ტიმოთემ გააფართოვა მოგზაურობის ჟანრის თხზულების საზღვრები ისტორიულ-მეცნიერული მასალით და ამ ჟანრის ახალი სახეობა შექმნა.

4. „მიმოსლვა“ ტიმოთესდროინდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნათა სიმალლეზეა, რადგან ის კვლევის იმავე მეთოდს იყენებს, რასაც იყენებდა ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისია და ვახუშტი ბაგრატიონი.

5. მღვდელმთავრის სამოსს ხელი არ შეუშლია ტიმოთე გაბაშვილისათვის, ყოფილიყო დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, გამოცდილი დიპლომატი, მონინავე იდეების მქონე მწერალი, ფართო მეცნიერული ინტერესების მქონე ისტორიკოსი, კარტოგრაფი და მხატვარი.

P. S. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ქალბატონი ელენეს მიერ არაჩვეულებრივი ექსპრესიით დაწერილი ქვეთავი სათაურით: „იერუსალიმის ქართველი მოგზაურ-მოღვაწენი“, რომელშიც წარმოდგენილია ქართველთა მოღვაწეობა საქართველოს ფარგლებს გარეთ დაწყებული IV-V საუკუნეებიდან, დამთავრებული XI საუკუნით, როდესაც ქართველთა მნიგნობრულ-კულტურულმა ცენტრებმა პალესტინიდან ბიზანტიასა და ბიზანტიის გავლენის მქონე არეალში (ათონი, სირია) გადაინაცვლა. ამის შემდეგ ძალზე საინტერესოაა გაანალიზებული მომდევნო საუკუნეების მოგზაურთა თუ დანგრეული ეკლესია-მო-

ნასტრების აღსადგენად იერუსალიმში ჩასულ ქართველ მოღვაწეთა, კტიტორ მეფეთა თუ დიდგვაროვან ფეოდალთა, სხვადასხვა იერარქიის სამღვდლო პირთა თუ უბრალოდ, ქრისტიანობისთვის თავდადებულ ადამიანთა ღვაწლი ქრისტიანული ძეგლების აშენებისა და დაცვა-აღდგენის საქმეში. ელენე მეტრეველის ნაშრომის ეს მონაკვეთი (მეტრეველი (გამოც.), *ტიმოთე გაბაშვილი*, გვ. 0159-0195) იმდენად საინტერესოა, რომ ცალკეც შეიძლება დაიბეჭდოს ყველა პროფესიის ქართველის ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად და იმის გასაცნობიერებლად, თუ როგორ უვლიდნენ და უფრო ხილდებოდნენ ჩვენი დიდებული წინაპრები ეროვნული კულტურის ბრწყინვალე ძეგლებს.

ვლადიმერ კეკელია

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„უცნობი“ ელენე მეტრეველი – მასალები პირადი ბიბლიოთეკიდან

„უცნობი“ დოკუმენტი: „მასალები იერუსალიმის ქართული
კოლონიის ისტორიისათვის“ (თბილისი, 1962)

ელენე მეტრეველის მინანური მისი ნაშრომის
„მასალები იერუსალიმის ქართული
კოლონიის ისტორიისათვის“ (თბილისი, 1962)
პირადი ეგზემპლარის შიდა ყდაზე

მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკების ცალკე, საერთო წიგნადი ფონდიდან დამოუკიდებლად შენარჩუნება-არსებობას საბიბლიოთეკო სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მსოფლიოს სხვადასხვა წიგნთსაცავში არსებობს ამგვარი კაბინეტ-ბიბლიოთეკები, რომელთა ბაზაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნილა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მეცნიერის ან საზოგადო მოღვაწის პირად წიგნებში არსებულ ჩანაწერებს და მათ კვლევას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ვოლტერის 6814 ტომისაგან (მათ შორისაა ხელნაწერებიც) შედგენილი ბიბლიოთეკა, რომელიც XVIII საუკუნეში იმპერატორმა ეკატერინე II-მ შეიძინა და დღეს ის რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სანქტ-პეტერბურგში ინახება. ვოლტერის თხზულებათა შემცველ ბევრ ეგზემპლარში დასტურდება ავტორისეული ჩანაწერები, რომელთა შესწავლაც თვალნათლივ წარმოაჩენს ამ დიდი მოღვაწის ნააზრევს. დღეს ამ წიგნების ბაზაზე, რომელიც საერთო საბიბლიოთეკო ფონდიდან არის გამოყოფილი, შექმნილია განმანათლებლობის ეპოქის შემსწავლელი ცენტრი, რომელშიც ფრანგული განმანათლებლობის შესასწავლად უაღრესად საინტერესო, უნიკალური მასალაა დაცული.

პირადი ბიბლიოთეკების თვალსაზრისითა და მათი სამეცნიერო მნიშვნელობით კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეცნიერების პირადი წიგნადი ფონდი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი უნიშვნელოვანესია. ამ წიგნებში არსებული შენიშვნები თუ მინაწერები ქართული სამეცნიერო აზრისა თუ სხვადასხვა კონკრეტული საკითხის შესასწავლად, საინტერესო მასალას წარმოადგენს.

ამ მხრივ გამორჩეულია აკადემიკოს ელენე მეტეველის 1962 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. XI-XVII სს.“ ეგზემპლარი, რომელიც მეცნიერის პირად ბიბლიოთეკაშია დაცული. აღნიშნულმა ეგზემპლარმა ჩვენი ყურადღება წიგნზე მუშაობისას თავისი მრავალრიცხოვანი მინაწერებითა და საყურადღებო შენიშვნებით მიიქცია.

როგორც მინაწერებიდან ჩანს, წიგნში წარმოდგენილ პრობლემატიკაზე ფიქრი ავტორს წიგნის გამოქვეყნების შემდეგაც არ შეუწყვეტია. მას სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომზე დაყრდნობით თუ პარალელური მასალის შესწავლის შედეგად თავის წიგნში შეჰქონდა შენიშვნები, დაჰქონდა მინაწერები, აკეთებდა სქოლიოებს და ჩასწორებებს. მინაწერები გაკეთებულია სხვადასხვა დროს, განსხვავებული სანერი საშუალებებით. ამას მონიშნავს კალიგრაფია, ლურჯი და წითელი მელნის მონაცვლეობა, ასევე ფანქარით ნაწერი ტექსტები. გარდა უშუალოდ წიგნის აშიებზე დანერილი შენიშვნებისა, მოცემულ ეგზემპლარში ჩანს ჩანაწერი ფურცლები მეცნიერის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით. ამ ჩანაწერებზე საგულდაგულო დაკვირვება იძლევა საშუალებას, ისინი წიგნის სათანადო ადგილებამდე მივიყვანოთ. რასაკვირველია, ამ ფურცლების მოცემულ ეგზემპლართან ერთად შენახვა (პრევენციის მიზნით, წიგნის სათანადო გვერდებზე დაფიქსირება) აუცილებელია.

ავტორისეული შენიშვნები მრავალმხრივ ფასეული და საყურადღებოა არამხოლოდ შინაარსობრივი თვალსაზრისით. ეგზემპლარი ნათლად აჩვენებს ამაგდარი მეცნიერის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდსა და სკრუპულოზურობას. წინამდებარე პუბლიკაციაში მხოლოდ რამდენიმე მკაფიო მაგალითს მოვიყვანთ.

მკვლევარი თავიდანვე გამოკვეთს მოცემული ეგზემპლარის სამუშაო ხასიათს; წიგნის დასაწყისში, საცავ ფურცელზე, წითელი ფერის ფანქრით არის მინაწერი:

„ამ ცალში შეტანილია გასწორებები“.

ამ წარწერის ქვემოთ კი აღნიშნულია:

„აღაპების დაკარგული დასაწყისი ნაწილი (Jer. 60-ის მიხედვით) გამოცემულია ცალკე. იხ. აღ. ბარამიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“.¹

წიგნის 36-37 გვერდებზე, იქ, სადაც საუბარია იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვრებზე, წითელი და ლურჯი მელნით, ასევე წითელი ფანქრით დატანილია ვრცელი შენიშვნები.

¹ იგულისხმება ელენე მეტრეველის სტატია „ერთი იერუსალიმური ხელნაწერის გამო“, საიუბილეო კრებული ეძღვნება ალექსანდრე ბარამიძეს, თბილისი, 1974, გვ. 185-195.

ჯვრის მონასტრის წინამძღვარ გიორგი ციდაშვილთან ყველგან მითითებულია „გიორგი ცოდვილი“. ერთგან სიტყვა „ცოდვილის“ ქვემოთ წითელი ფანქრით წერია ინიციალები პ. ი. [პავლე ინგოროყვა].

საინტერესოა წითელი მელნით შესრულებული კიდევ ერთი შენიშვნა:

„შდრ. ქრონიკები, I, გვ. 177. ნ. 1038. გიორგი ჯვარელი (ეს იერუსალიმის ჯვარი არ უნდა იყოს; მიქაელ ჩიხაურელი – საბას მონასტრის მამა. წიგნის „გარდამწამებელი“ (შესამონმებელი) მიქაელ დვალი“ (გვ. 36).

აქვე მოგვიანებით ლურჯი მელნით არის მინერილი: „ნამდვილად გიორგი ჯვარელია“. როგორც ჩანს, მკვლევარი არაერთი წყაროს გადამოწმების შემდეგ ისევ თავის პირვანდელ მოსაზრებას დაუბრუნდა.

მონასტრის წინამძღვარ იოსებთან დაკავშირებით დართულ შენიშვნაში ვკითხულობთ:

„იოსებთან დაკავშირებით იხ. ი. ლოლაშვილის „გრ. ჩახრუხაისძის ვინაობისათვის. ლიტ[ერატურული] საქ[ართვე]ლო, 1964. 30. X.“ (გვ. 37).

გვერდის ქვედა ნაწილში მინერილი ინფორმაცია ჯვრის მამების ქრონოლოგიას ავსებს:

„სიჯილის დოკუმენტი 1525 წლისა – საბუთების გაცემის აქტი. აქ დასახელებულია ჯვრის მონასტრის დღემდე უცნობი წინამძღვარი – ბასილი მამულას ძე, იხ. გერშონ ბენ-ორენი. „ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით“. თბილისი, „მეცნიერება“, 1991“ (გვ. 37).

მინაწერებით, შენიშვნა/ჩასწორებებით და ცალკეულ ფურცლებზე მოთავსებული ჩანაწერებით (ჩამატებებით) განსაკუთრებით გამოირჩევა გვერდები 40-41. მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელობის წარმოსადგენად, თვალსაჩინოებისათვის, გვერდები 40-41 და ჩამატებული ფურცლების ნაწილი ფოტოების სახით მოგვაქვს.

იოანეს ბეგე ყნფს აქამდის...
 წინამძღვრის კაცული (კითხის დასვლის
 სკოლის) ან. ხ.ა. 76. იან ვახტანგის დასრულები 548.

ქიშინი ივანე წამი შერი ყნფს
 ყოცს, ხაზოვ ნაიხის შარ ყანა/შა
 როინის/სა

აღაბები თარიღდებიან XV საუკუნის პირველი ნახევრით, უფრო ზუსტად ამ საუკუნის შუა წლებით. ჩვეულებრივ, ეკლესიის აღმასწენებლისათვის და მომხატველებისათვის, გარდა იმისა, რომ ისინი თვით ეკლესიის წარწერებში მოიხსენიებიან, წესდება აღაბები ჯვარის მონასტრის სააღაპე წიგნშიც, სადაც აღირიცხება იერუსალიმის ქართული კოლონიის მთელი საქმიანობა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღაბებში მოხსენიებული ზედგინდინი უნდა იყვნენ როგორც დაკავშირებულნი თეკლას მონასტრის მშენებლობასთან, მით უმეტეს, რომ ტიმოთეს ცნობით მონასტრის მშენებლები ~~ქობულთან~~ ერთად მისი ნათესავებიც ყოფილან. ~~ქობულთა~~ აღაბებში არ ჩანს (შეიძლება ეს აღაბი დაკარგულია სხვა მრავალ აღაბთან ერთად), მისი ნათესავების აღაბები კი მოგვეპოვება. მსგავსი ვითარებაა იერუსალიმის ბასილის მონასტრის აღმასწენებლის ამირანდო ზედგინიძე-ამილახორის მიხედვით, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ტიმოთე თავის „მიმოსლვაში“. ამავე დროს ამირანდოსა და მისი ნათესავების აღაბს ეპოლობით აღაბთა ტიმენდორფისეულ ნუსხაში (იხ. T-85 აღაბი). ამ ვარაუდის საფუძველზე ჩვენ ქრისტეფორე ზედგინიძეს, ჯვარის მამას, პირობით XV საუკუნის შუა წლების მოღვაწედ მივიჩნევთ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცნობები ქრისტეფორეს შესახებ არ მოგვეპოვება¹⁰².

ქრისტეფორე

ქრისტეფორე

ქრისტეფორე

- ამგვარად, შემოთავაზებული ცნობები რომ შევჯამოთ, XV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით ჯვარის მამაა შემდეგ სიას მივიღებთ:
17. ქრისტეფორე — XV საუკუნის
 - რე ზედგინიძე (პირობით).
 18. დანიელ ნიქოზელი — XV საუკუნის II ნახევარი.
 - * 19. ბენეა ჩოლაყაშვილი — 1511 წლიდან.
 20. იოაკიმე — 1538 წლიდან.
 21. ბარნაბა ბერილი — 1570-იან წლების ფარგლებში.
 22. ებოთანი — 1567-1593 წლები.

¹⁰² ამ ვარაუდს ერთგვარად ამაგრებს ისიც, რომ წერილობით წყაროებში თეკლას მონასტრის დამოწმება XV საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. თეკლას მონასტრის მოხსენიებულია იერუსალიმის № 161 ხელნაწერის მინაწერში, რომელიც პალეოგრაფიულად XV საუკუნისა უნდა იყოს: „ინიცა ძვე დაგიით თეკლასა წმიდასა გამთავოსა იერუსალემსა, გამომცა-იწვების სული მისი ღმრთისაგანა“ (1 r).

23. იოსებ არქიმანდრიტი — XVI საუკუნის მეწურული.
24. თეოდოსე რვეიშვილი — 1619 წ. აქ რომ მოიქცე აქვს 1631 წლის 1555.
25. ნეოფიტე — 1620 წლიდან.
26. მაკარი — 1635 წლის მახლობლად.
27. ნიკიტორე ჩოლაყაშვილი — 1643-1649 წ.
28. მარკოზი — 1649 წლიდან.
29. გაბრიელი — XVII საუკუნის მეორე ნახევარი.
30. იოსებ — 1666 წ.
31. მელეტი¹⁰⁴ — 1683. წ.
32. ქრისტეფორე¹⁰⁵ — 1701 წ.
33. არსენი — XVII ს. დამდევი და XVIII ს. დამდევი.
34. პარტენიოს¹⁰⁶ — XVIII ს. დამდევი.
35. გერასიმე¹⁰⁷ — 1739 წ.

ქრისტეფორე

¹⁰⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია მელეტი (მელენტიოს) ჯვარის მამის შედგენილი ერთი დოკუმენტი (Ad-100), სადაც აღნიშნულია, თუ რა რაოდენობის თანა მიიღო ჯვარის მამამ კათალიკოსის, დედოფლის, კახეთის თავადებისა და გლეხებისაგან იერუსალიმში წასაღებად ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რაზე დაინარჯა მიღებული თანხები (ამ დოკუმენტზე მიგვიითა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეტნ. თანამშრომელმა თ. ვნუქიძემ).

1666 წელს იერუსალიმის ჯვარის მამა მელეტი სწორდა იოსებ თბილელს: „... ასე, რომელ კურთხულმან ელისე (თფილელმან) საუფროს ალაგი მიბაძა და მე აღვაწუნე და ჩემი ძმა იმის ვაჟე და მას უკან მე ჯვარის მამად დამაწინეს. და მერმე ჩემი ძმა ახდულმესი ბატონს ციციის ვაჟე და მე იერუსალიმს წავედ და ის სახლ-კარო თქვენ მოვაბაჩე ანანთაოდ...“ (თ. გორდანიძე, ქრონიკები, II, გვ. 483-484).

¹⁰⁵ ქრისტეფორე ჯვარის მამის სახეზეა გაცემული 1683 წელს მეწურულობის წიგნი. გამცემნი გიორგი მეფე დადიან-გურიელი და მისი თანამეცხედრე ქართველი ბატონის ასული თამარ (Hd-10274-ბ).

¹⁰⁶ პარტენიოს ჯვარის მამა, რომლის მოსახსენებელი შესულია ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სულთა მატრიანში (იხ. ნ. მარი, აღაპნი, გვ. XX) XVII ს. დამდევისა და XVIII ს. დამდევის მოღვაწე უნდა იყოს. ამას გვაფიქრებენ ის, რომ პარტენიოსი „მატიანეში“ ნიკოლოზ ანბა ალავერდელის გვერდით მოიხსენება, ამ უკანასკნელის მოღვაწეობის წლები კი არის 1697-1721 წ. (იხ. ა. კლიმიან-შვილი—ქართლის ცხოვრების ერთი ახალი ნუსხა 1697 წლიდან; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთაბმეტ. XXIV, № 3. 1960, გვ. 373).

¹⁰⁷ 1739 წელს ჯვარის მამა პარტონის გერასიმეს სახელზე პატრონმა მამია გურიელმა გასცა საფიცრის წიგნი ჯვარის მონასტრის მამულების დაცვის შესახებ (Hd-10274 გ).

ქრისტეფორე

ქრისტეფორე

ქრისტეფორე

ქრისტეფორე

ის სია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს
აბსოლუტურად ზუსტი. ზოგ შემთხვევაში ჩვენს
დათარიღებას ვაგებთ ვარაუდებზე. ზოგჯერ წყაროებში
ჩვენ დაქვრივი გვაქვს ამა თუ იმ ჯვარის მამის
მოღვაწეობის ერთი რომელიმე წელი და არ ვიცით,
თუ როდის იწყება და მთავრდება მისი ჯვარის
მამობა. ეს სია შედგენილია იმ მცირერიცხოვანი
მასალის მიხედვით, რომელიც შემოგვინახა
ჯვარის მონასტრის ალაპებმა, სინის სულთა
მატიანემ, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერს-
მინაწერებმა და იერუსალიმის ქართული კოლონიის
ისტორიის ამსახველმა ზოგიერთმა სხვა
ისტორიულმა წყარომ. ახალი წყაროების მოპოვებით
შესაძლებელი გახდება ამ სისის თანდათან
შეესება, დაზუსტება და წყაროებით გაზიარება.

ეს სია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ზუსტი. ზოგ შემთხვევაში ჩვენს დათარიღებას ვაგებთ ვარაუდებზე. ზოგჯერ წყაროებში ჩვენ დაქვრივი გვაქვს ამა თუ იმ ჯვარის მამის მოღვაწეობის ერთი რომელიმე წელი და არ ვიცით, თუ როდის იწყება და მთავრდება მისი ჯვარის მამობა. ეს სია შედგენილია იმ მცირერიცხოვანი მასალის მიხედვით, რომელიც შემოგვინახა ჯვარის მონასტრის ალაპებმა, სინის სულთა მატიანემ, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერს-მინაწერებმა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველმა ზოგიერთმა სხვა ისტორიულმა წყარომ. ახალი წყაროების მოპოვებით შესაძლებელი გახდება ამ სისის თანდათან შეესება, დაზუსტება და წყაროებით გაზიარება.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან

პალესტინის ქართული კოლონიის საინტერესო და მრავალმხრივი მოღვაწეობა აისახა ქართულსა და უცხოურ ისტორიულ და სამოგზაურო ლიტერატურაში. ალაპთა დათარიღების შემდეგ ეს მასალა ჯვარის მონასტრის ისტორიის შესწავლის სახლო პირველწყაროდ იქცა. ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროთა და ალაპთა ცნობების შეჯერებით მოწმდება და დგინდება ზოგი ისეთი ფაქტი ქართული კოლონიის ისტორიიდან, რომლის შესწავლა მხოლოდ ქართული ან მხოლოდ უცხოური წყაროების საშუალებით ვერ ხერხდება.

ამ თვალსაზრისით გვინდა შევხებოთ რამდენიმე ეპიზოდს ქართული კოლონიის ისტორიიდან. ყველაზე მძიმე წლებად პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ივვებატის სულთან-ელ მელიქ ბეძარსის მფლობელობის წლები (1260—1277) იყო, როდესაც შეიხ ხიდრმა ხელში ჩაიგდო ჯვარის მონასტერი და იგი მიხვითად გადააქცია. ამის შესახებ ცნობები შემოუნახავს ქართულსა და არაბულ წყაროებს. ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია ჯვარის მონასტრის ალაპები და წმ. ლუკას წამება.

ლუკას წამების გამომცემელმა დ. ყიფშიძემ არაბული წყაროების მოშველიებით გაარკვია „წამებაში“ მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ამ გზით 1260—77 წლებით შემოფარგლა ქართველებისათვის მონასტრის წართმევის თარიღი¹⁰⁸.

¹⁰⁸ Д. Кипшидзе, даსახ. ნაშრ. გვ. 45

ჯვარის მონასტრის „დატყვევება“ (როგორც მას უწოდებენ ალაპებში) ქართველებმა განიცადეს როგორც დიდი ეროვნული უბედურება, ამიტომ დღიდან დატყვევების მონასტრის განთავისუფლებისათვის არა ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული როგორც მონასტრის კრებულის, ასევე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ.

ჯვარის მონასტრის განთავისუფლებისათვის ცდა და ბრძოლა აისახა ამავე მონასტრის ალაპებში. ალაპებს კი ვადაშწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხის შესწავლისათვის, ვინაიდან ალაპი იწყობოდა მომხდარი ამის თვითმხილველისა და თანამედროვის მიერ. ალაპი წარმოადგენს ჯვარის მონასტრისადმი გაწეული სასახურისათვის დაწერილ ერთგვარ პირობის წიგნს, რის გამოც მის ცნობათა კვშიარტებში იქცის შეტანა არ შეიძლება. ამას ასეთივე სიმტკიცით ვერ ვიტყვი უცხო წყაროებზე. ამიტომ მათი სისწორე ქართულ მასალასთან შეპირისპირებით უნდა შემოწმდეს.

ჯვარის მონასტრის „ტყვეობის“ დროინდელი ერთ-ერთი ალაპა № 206. ალაპი გაჩენილია მეფეთა მეფის ვახტანგისთვის და მეფულისა მისისა რიფსიმესთვის „მას ეამსა, ოღეს ჯუარისა მონასტერი კჳ წელსა სპარსთა წყელო, მაშინ რვათა თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სჳმონ მოვაგმარეთ მონასტერსა“, ვკითხულობთ ალაპში. იგულისხმება, რომ რვა თავი ლაპრი და ათასი თეთრი მამა სოლომონმა მიიღო ვახტანგ მეფისაგან ჯვარისათვის მოსახმარად, რისთვისაც მამა სოლომონმა მას ალაპი გაუწესა.

ალაპი დაწერილია მონასტრის ტყვეობის ოცდამეექვსე წელს. ხელის მიხედვით ალაპი ერთიანდება XLVIII ტაბულაში. ტაბულის ყველა ალაპი დაწერილია სენაქსარის განმაცხოველებლის ეფთვი-მეს ხელით. ვახტანგ მეფეთა მეფის ალაპს გარდა ამავე ტაბულაზეა, აგრეთვე, შემდეგი ალაპები: მოწამე ლუკა იერუსალიმელისა (№ 256), რომელიც სულთან ფუნდუხტის (ბეზარსის) განკარგულებით ჯვარის მონასტრის აწიკების დროს აწამეს, აფხაზთა მეფის კონსტანტინეს (№ 239), დემეტრე თავდადებულის ასულის რუსუდანისა და მისი მეფულის თაყა ფანაქერტელისა (№ 65) და ჯვარის მამის სოლომონისა (№ 227).

ამ ტაბულაში გაერთიანებული ალაპები თარიღდება XIII ს. მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით. ხერხდება ალაპთა უმრავლესობის ქრონოლოგიური საზღვრების დაიჭობება (იხ. დასახელებულ ალაპთა კომენტარები).

ის სია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ზუსტი. ზოგ შემთხვევაში ჩვენს დათარიღებას ვაგებთ ვარაუდებზე. ზოგჯერ წყაროებში ჩვენ დაქვრივი გვაქვს ამა თუ იმ ჯვარის მამის მოღვაწეობის ერთი რომელიმე წელი და არ ვიცით, თუ როდის იწყება და მთავრდება მისი ჯვარის მამობა. ეს სია შედგენილია იმ მცირერიცხოვანი მასალის მიხედვით, რომელიც შემოგვინახა ჯვარის მონასტრის ალაპებმა, სინის სულთა მატიანემ, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერს-მინაწერებმა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის ამსახველმა ზოგიერთმა სხვა ისტორიულმა წყარომ. ახალი წყაროების მოპოვებით შესაძლებელი გახდება ამ სისის თანდათან შეესება, დაზუსტება და წყაროებით გაზიარება.

იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან

პალესტინის ქართული კოლონიის საინტერესო და მრავალმხრივი მოღვაწეობა აისახა ქართულსა და უცხოურ ისტორიულ და სამოგზაურო ლიტერატურაში. ალაპთა დათარიღების შემდეგ ეს მასალა ჯვარის მონასტრის ისტორიის შესწავლის სახლო პირველწყაროდ იქცა. ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროთა და ალაპთა ცნობების შეჯერებით მოწმდება და დგინდება ზოგი ისეთი ფაქტი ქართული კოლონიის ისტორიიდან, რომლის შესწავლა მხოლოდ ქართული ან მხოლოდ უცხოური წყაროების საშუალებით ვერ ხერხდება.

ამ თვალსაზრისით გვინდა შევხებოთ რამდენიმე ეპიზოდს ქართული კოლონიის ისტორიიდან. ყველაზე მძიმე წლებად პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ივვებატის სულთან-ელ მელიქ ბეძარსის მფლობელობის წლები (1260—1277) იყო, როდესაც შეიხ ხიდრმა ხელში ჩაიგდო ჯვარის მონასტერი და იგი მიხვითად გადააქცია. ამის შესახებ ცნობები შემოუნახავს ქართულსა და არაბულ წყაროებს. ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია ჯვარის მონასტრის ალაპები და წმ. ლუკას წამება.

ლუკას წამების გამომცემელმა დ. ყიფშიძემ არაბული წყაროების მოშველიებით გაარკვია „წამებაში“ მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ამ გზით 1260—77 წლებით შემოფარგლა ქართველებისათვის მონასტრის წართმევის თარიღი¹⁰⁸.

¹⁰⁸ Д. Кипшидзе, даსახ. ნაშრ. გვ. 45

ჯვარის მონასტრის „დატყვევება“ (როგორც მას უწოდებენ ალაპებში) ქართველებმა განიცადეს როგორც დიდი ეროვნული უბედურება, ამიტომ დღიდან დატყვევების მონასტრის განთავისუფლებისათვის არა ერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული როგორც მონასტრის კრებულის, ასევე ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ.

ჯვარის მონასტრის განთავისუფლებისათვის ცდა და ბრძოლა აისახა ამავე მონასტრის ალაპებში. ალაპებს კი ვადაშწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხის შესწავლისათვის, ვინაიდან ალაპი იწყობოდა მომხდარი ამის თვითმხილველისა და თანამედროვის მიერ. ალაპი წარმოადგენს ჯვარის მონასტრისადმი გაწეული სასახურისათვის დაწერილ ერთგვარ პირობის წიგნს, რის გამოც მის ცნობათა კვშიარტებში იქცის შეტანა არ შეიძლება. ამას ასეთივე სიმტკიცით ვერ ვიტყვი უცხო წყაროებზე. ამიტომ მათი სისწორე ქართულ მასალასთან შეპირისპირებით უნდა შემოწმდეს.

ჯვარის მონასტრის „ტყვეობის“ დროინდელი ერთ-ერთი ალაპა № 206. ალაპი გაჩენილია მეფეთა მეფის ვახტანგისთვის და მეფულისა მისისა რიფსიმესთვის „მას ეამსა, ოღეს ჯუარისა მონასტერი კჳ წელსა სპარსთა წყელო, მაშინ რვათა თავი ლაპრი და ათასი თეთრი ჩუენ მამამან სოლომონ და სჳმონ მოვაგმარეთ მონასტერსა“, ვკითხულობთ ალაპში. იგულისხმება, რომ რვა თავი ლაპრი და ათასი თეთრი მამა სოლომონმა მიიღო ვახტანგ მეფისაგან ჯვარისათვის მოსახმარად, რისთვისაც მამა სოლომონმა მას ალაპი გაუწესა.

ალაპი დაწერილია მონასტრის ტყვეობის ოცდამეექვსე წელს. ხელის მიხედვით ალაპი ერთიანდება XLVIII ტაბულაში. ტაბულის ყველა ალაპი დაწერილია სენაქსარის განმაცხოველებლის ეფთვი-მეს ხელით. ვახტანგ მეფეთა მეფის ალაპს გარდა ამავე ტაბულაზეა, აგრეთვე, შემდეგი ალაპები: მოწამე ლუკა იერუსალიმელისა (№ 256), რომელიც სულთან ფუნდუხტის (ბეზარსის) განკარგულებით ჯვარის მონასტრის აწიკების დროს აწამეს, აფხაზთა მეფის კონსტანტინეს (№ 239), დემეტრე თავდადებულის ასულის რუსუდანისა და მისი მეფულის თაყა ფანაქერტელისა (№ 65) და ჯვარის მამის სოლომონისა (№ 227).

ამ ტაბულაში გაერთიანებული ალაპები თარიღდება XIII ს. მიწურულითა და XIV საუკუნის პირველი მეოთხედით. ხერხდება ალაპთა უმრავლესობის ქრონოლოგიური საზღვრების დაიჭობება (იხ. დასახელებულ ალაპთა კომენტარები).

A-96

უჩუკო ქვემოთ დაიდა, ვაჟი
1031 წლის წინ, გაბრიელის, კონსტანტინე
მონასტრის ვაჟი დაიდა, შვიდი
და წინაშეა დაიდა დაიდა
და.


ქვემოთ დაიდა დაიდა
დაიდა, დაიდა დაიდა
დაიდა დაიდა დაიდა
დაიდა დაიდა (1x).

1701

დაიდა დაიდა, დაიდა დაიდა
დაიდა დაიდა დაიდა

ამ ჩანაწერებში წარმოდგენილია ინფორმაცია ხელნაწერთა კოლოფონებიდან წმინდა მიწის ქართველ მოღვაწეთა შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, მეცნიერისათვის მოგვიანებით, ნაშრომის გამოცემის შემდეგ გახდა ცნობილი.

გარდა კვლევით ნაწილზე დართული საინფორმაციო და ანალიტიკური ხასიათის მასალისა, აღნიშნულ ეგზემპლარში, ჯვრის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეული ნუსხის პუბლიკაციაში (გვ. 72-78) ჩამატებულია იკითხვისები, რომლებიც ეფუძნება ტიშენდორფისეული აღაპების 1963 წლის გამოცემას (Georgische Handschriften Beschrieben von Julius Assfalg, Wiesbaden, 1963, pp. 60-71). როგორც ცნობილია, ელენე მეტრეველი „მასალებზე“ მუშაობისას სარგებლობდა 1954 წელს მოპოვებული ტიშენდორფისეული ხელნაწერის შავ-თეთრი მიკროფილმით, განსხვავებით იულიუს ასფალგისაგან, რომელსაც ხელთ თავად ხელნაწერი ჰქონდა. ტიშენდორფისეული აღაპების საკუთარ გამოცემაში ელენე მეტრეველმა გარკვეული უზუსტობები ჩაასწორა და გამოტოვებული აღაპები ჩაამატა. მაგალითად:



„აღვსებისა ხუთმ(ა)ბ(ა)თსა წირვ(ა)ჲ და აღაპი ს(აუ)კ(უ)ნ(ო)ჲ ფსიტაჲსაჲ და მეულლისა მისისა ნათელისი, შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმა)ნ“ (გვ. 73).

ამ აღაპს ახლავს ელენე მეტრეველის მინაწერი:

„ამას მოსდევს №40: აღდგომასა წირვაჲ და აღაპი [...]. ეს მე არ მაქვს სულ.“

№103 აღაპის (ე. მეტრეველის ნუმერაციის მიხედვით) შემდეგ მეტრეველის ხელთ არსებულ მიკროზე ტექსტი არ იკითხებოდა. ამ აღაპის ასფალგისეულ ნაკითხვაზე ასეთი შენიშვნაა მინერილი:

„ამ გვერდზე უკანასკნელი აღაპი ჩემს ფოტოებზე სულ არ იკითხება. ასფალგი კი ასე კითხულობს: [...] მისსა აღმ[?]... [აღ]დგომისა მად[ლი]თა და ჯ(უარ)ის[...] სნის (?) მადლ[ითა] კ(ურთ)ხ(ეუ)ლ არ[...]“ (გვ. 78).

ვფიქრობთ, აკადემიკოს ელენე მეტრეველის პირად ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების, ისევე როგორც კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული სხვა მეცნიერების პირადი წიგნადი ფონდის ამ თვალსაზრისით შესწავლა ჰუმანიტარული მეცნიერების არაერთი დარგისათვის საყურადღებო მასალას გამოავლენს.

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„იადგარის“ უცნობი პალიმფსესტური ხელნაწერი სინური კოლექციიდან

სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს სამონასტრო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ნუსხა – *N/Sin. geo. 7* (154 ფფ.) – საგალობელთა კრებულს წარმოადგენს. აღწერილობის მიხედვით დათარიღებულია XIII საუკუნით. მასში შესულია კალენდარულ დღეთა *ობითები*, *იბაკობები* და *იკოსები* (1r-64r), ასევე, გიორგი მთაწმინდელის „პარაკლიტონის“ ნაწილი, კერძოდ, პირველი ხმის საგალობლები ორშაბათიდან შაბათამდე (64v-154v). ხელნაწერი მთლიანად პალიმფსესტურია, თავბოლონაკლული, ანდერძის გარეშე. შესაბამისად, მისი გადაწერის დროისა და ადგილის შესახებ არაფერია ცნობილი.¹

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ხელნაწერის ქვედა ფენაში ორი ნაწილი განირჩევა – ტექსტის ორგანიზაციის, გრაფემათა მოხაზულობისა და შექმნის პერიოდის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ორივე ნაწილი ნუსხურად არის ნაწერი.

ხელნაწერის ერთი, ძირითადი ნაწილი (ფფ. 1-12; 49-154) მსხვილი ნუსხურით არის წარმოდგენილი, ერთ სვეტად, სვეტში, ძირითადად, 15 სტრიქონია, იშვიათად გვხვდება 14 ან 16 სტრიქონი. პალიმფსესტის ეს ნაწილი ფსალმუნის ტექსტს შეიცავს.

პალიმფსესტის ფფ. 13-48-ზე წარმოდგენილი ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად, დახვეწილი, წვრილი ნუსხურით, რომელიც პალეოგრაფიულად X საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. სტრიქონთა რაოდენობაა 22-23. შეიცავს იერუსალიმური პრაქტიკის ამსახველი ჰიმნოგრაფიული კრებულის – „იადგარის“ – ტექსტს. ერთ-ერთ საგალობელთან დაცული მოსახსენებელი კი ხელნაწერის დათარიღების საშუალებას იძლევა.

ეს არის ნიკოლოზ მირონლუკიელის საგალობლების ბოლოს მთავრულით შესრულებული მინაწერი:

„წ(მიდა)ო ნიკოლაოზ, მეოხ ეყავ თორნიკ ძმითურთ და შვილითურთ წ(ინა)შე ღ(მრ)თ[ისა]“.

¹ ალექსიძე et al., (გამოც.), *სინას მთის ქართული ხელნაწერები*, გვ. 251-252.

ვინ შეიძლება იყოს მოსახსენებელში მოხსენიებული *თორნიკ* და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ ხელნაწერთან?

პალიმფსესტის მოსახსენებელმა გაგვახსენა ოშკის ბიბლიის (978-979 წწ.) ერთ-ერთი მინაწერი, რომელშიც მოხსენიებულია X საუკუნის მეორე ნახევრის სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, ტაოს ცნობილი მოღვაწე, ჩორდვანელთა სახლის წარმომადგენელი, თორნიკე ერისთავი. ხელნაწერის 276v-ზე ვკითხულობთ:

„ქრისტე, ადიდე მამაჲ იოვანე-თორნიკ მოძღურით, ძმით და შვილითურთ“.²

როგორც ვხედავთ, პალიმფსესტში თორნიკე მოხსენიებულია მხოლოდ საერთო სახელით, მაშინ, როდესაც 978-979 წლებში გადაწერილ ოშკის ბიბლიაში მისი საერო სახელის გვერდით თორნიკეს ბერად აღკვეცის შემდეგ მიღებული სახელიც – *იოვანე* – გვხვდება. პალიმფსესტში არ არის თორნიკე ერისთავის მოძღვრის ხსენება, თუმცა ორივე მოსახსენებელში ნახსენები არიან თორნიკეს ძმა და შვილი.

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ პალიმფსესტის მოსახსენებელში სწორედ თორნიკე ერისთავისთვის შესთხოვეს წყალობას ნიკოლოზ მრონელუკიელს. სავარაუდოდ, თორნიკე ხელნაწერის დამკვეთი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მოხსენიება მხოლოდ საერო სახელით იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხელნაწერი თორნიკეს ბერად აღკვეცამდე, ანუ 973 წლამდე უნდა იყოს გადაწერილი.³ შესაბამისად, ხელნაწერი ტაოკლარჯული წარმოშობისა უნდა იყოს. ჩვენთვის უცნობია თავად *N/Sin.geo. 7*-ის წარმომავლობა, შესაბამისად, არც ისაა ცნობილი, სად ინახებოდა თორნიკე ერისთავის დაკვეთით გადაწერილი „იადგარი“ იქამდე, სანამ მას ახალი ხელნაწერის შესაქმნელად გამოიყენებდნენ.

„იადგარის“ ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პალიმფსესტში დაცულია იადგარის შედარებით გვიანდელი (ე. წ. ახალი) რედაქცია.⁴ პალიმფსესტში შემონახულია დეკემბერ-იანვრის თვის საგალობლები. საგალობელთა ერთი ნაწილის ამოკითხვა და იდენტიფიცირება მოხდა ე.წ. ახალი იადგარის X საუკუნის სინური ნუსხების *O/Sin. geo. 59*-ის, *O/Sin. geo. 64-65*-ის დახმარებით. კვლევისას ასევე გამოვიყენეთ ამ იადგარის ყველაზე სრული ნუსხა, მიქაელ მოდრეკილის „დიდი იადგარი“ (*S-425*), რომელიც 978-988 წლებში გადაინერა

² გიგინიშვილი – კიკვიძე (გამოც.), *ნიგონი ძუელისა აღთქუმისანი*, გვ. 561.

³ ელენე მეტრეველი იოვანე-თორნიკეს ათონზე ყოფნის, შესაბამისად, ბერად აღკვეცის ყველაზე ადრეულ თარიღად 973 წელს ასახელებს, იხ. მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, გვ. 9.

⁴ საგალობელთა ადრეულმა კრებულმა, „იადგარმა“, განვითარების გრძელი გზა გაიარა. მისი უძველესი რედაქცია ძირითადად წარმოდგენილია სინურ ხელნაწერებში (დღეისათვის გამოქვეყნებულია). საგალობელთა კრებულის განვითარების შედარებით გვიანდელი ეტაპიც მრავალრიცხოვანი ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე სინურ კოლექციამია დაცული.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე,⁵ იმავე არეალში, სადაც რამდენიმე წლით ადრე შეიქმნა პალიმფსესტური „იადგარი“.

დღეისათვის სრულად ან ნაწილობრივ იდენტიფიცირებული და ამოკითხულია შემდეგ წმინდანთა საგალობლები:

– დეკემბრის თვის საგალობლები: საბა განწმედილი (15v, 18v, 26r-v, 29r), ნიკოლოზ მირონლუკიელი (15r, 21v-r, 32r-v), იოანე [დამასკელი] (21r), ევსტრატე და მისი თანამოღვაწენი (22v-r), მოდისტოსი (25r, 28r, 42v), იგნატი (34rv, 37r), პავლე და ანტონი (25v), იაკობ, ძმა უფლისა (30r-v).

– იანვრის თვის საგალობლები: იუდა მოციქული (33r), ტიმოთე მოციქული (33v), ნინო (23r-v), მაქსიმე აღმსარებელი (38r), ანტონ დიდი (19r), თეოდოსი დიდი (14v), პავლე განშორებული (14v), ნათლისღება და იოვანე სოხასტრელი (17r-v, 16r-v), ფილოთეოსი (45v).

ყველაზე დიდი რაოდენობით პალიმფსესტში შემონახულია განცხადების საგალობლები.

იმის გამო, რომ ხელნაწერი პალიმფსესტურია, ხშირად რთულია საგალობელთა თანამიმდევრობის დადგენა და თითქმის შეუძლებელია ხსენებათა დღეების გარჩევა, რადგან ისინი, როგორც ჩანს, წითელი მეღვინით იყო შესრულებული და დღეს აღარ იკითხება; არ იკითხება საგალობელთა დასახელებები არც მულტისპექტრული გადაღებით შესრულებული ხელნაწერის დიგიტალურ ვერსიაზე.

შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, რომ პალიმფსესტური „იადგარი“ ხსენებათა თანამიმდევრობით მთლიანად არ ემთხვევა ე.წ. ახალი „იადგარის“ დღემდე ცნობილ არც ერთ ნუსხას. შესადარებლად მოგვყავს იანვრის თვის ხსენებათა ერთი ნაწილი:

პალიმფსესტი	<i>O/Sin. geo. 59</i>	<i>O/Sin. geo. 64-65</i>	დიდი იადგარი (S-425)
14 იანვარი <i>წმ. ნინო</i>	14 იანვარი <i>წმ. ნინო</i>	14 იანვარი <i>წმ. ნინო</i>	14 იანვარი სახელით ღმერთ- შემოსილთა ყო- ველთა სკიტელთა მამათა
			15 იანვარი ბაბილა ანტიოქელ მამადმთავრისაჲ

⁵ მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, S, I, გვ. 544.

16 იანვარი ქოზიბას წმიდისა ღმრთისმშობლისა სატფურება – დიდებული საიდუმლოჲ შვა ქალწულმან		16 იანვარი ქოზიბას წმიდისა ღმრთისმშობლისა სატფურება – ღმრთისმშობელი ქალწული	16 იანვარი ქოზიბას წმიდისა ღმრთისმშობლისა სატფურება – დიდებული საიდუმლოჲ შვა ქალწულმან
17 იანვარი წმ. ანტონი	17 იანვარი წმ. ანტონი	17 იანვარი წმ. ანტონი	17 იანვარი წმ. ანტონი
18 იანვარი პავლე განშორებუ- ლი	18 იანვარი პავლე განშორებუ- ლი	18 იანვარი პავლე განშორებუ- ლი	18 იანვარი ანტონი რავახისა
19 იანვარი თეოდოსი დიდისა	19 იანვარი ანტონი რავახი	19 იანვარი ანტონი ვარახი	19 იანვარი თეოდოსი დიდისა
	20 იანვარი მაქსიმე დამასკე- ლის	20 იანვარი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი	20 იანვარი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესი
21 იანვარი მაქსიმე დამასკე- ლის		21 იანვარი მაქსიმე დამასკე- ლის	21 იანვარი მაქსიმე დამასკე- ლის
22 იანვარი ტიმოთე მოციქუ- ლი		22 იანვარი ტიმოთე მოციქუ- ლი	22 იანვარი ანგელოზთმთა- ვართა
23 იანვარი იუდა მოციქული		23 იანვარი იუდა მოციქული	

როგორც ვხედავთ, შესადარებელი ხელნაწერებიდან პალიმფსესტი ხსენებათა დღეებითა და თანამიმდევრობით მსგავსებებს და განსხვავებებს თითქმის სამივე „იადგართან“ პოულობს, თუმცა ყველაზე ახლოს მაინც *O/Sin. geo.* 64-65 ხელნაწერთან დგას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კალენდარში არსებული განსხვავებები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალიმფსესტში ყველაზე ცუდად თვეთა დასახელებები და რიცხვები იკითხება, თუმცა მათი გარჩევა ზოგჯერ მაინც შესაძლებელია. უმეტესწილად შემონახულია მთავრული დამწერლობით შესრულებული

რიცხვები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით თვე და რიცხვი და ნაწილობრივ ამოკითხულია საგალობელიც, წმინდანის სახელის დადგენა რთულია. უფრო მეტიც, არც ერთი სხვა კალენდარი ამ დღეს ამ წმინდანების ხსენებებს არ შეიცავს.

პალიმფსესტის 25-ე ფურცლის v-ზე, რომელიც სინამდვილეში პალიმფსესტის r-ს წარმოადგენს, შემორჩენილია დეკემბრის თვის 16 რიცხვი (სამწუხაროდ, თვის დასახელება არ იკითხება, მაგრამ ფურცლის უკანა მხარეს მოდისტოს, იერუსალიმის პატრიარქის საგალობლებია წარმოდგენილი, რაც მიგვანიშნებს, რომ ხელნაწერში დეკემბრის თვის, კერძოდ, 16 დეკემბრის საგალობლებია. *O/Sin. geo.* 64-65 ხელნაწერის მიხედვით, 16 დეკემბერს მოდისტოსის ხსენების დღეა. 16 დეკემბრის წინ პალიმფსესტში საგალობლის ტექსტის ამოკითხვა შედარებით უკეთ არის შესაძლებელი. საგალობელში გვხვდება პავლეს და ანტონის სახელები. ერთად მოხსენიებული პავლე და ანტონი პავლე განშორებული და ანტონი დიდი უნდა იყვნენ. მათი ხსენება ძველ ლიტურგიკულ ტრადიციაში იანვრის თვეშია (17 და 18 იანვარი); ასეც გვხვდება მათი დღესასწაული როგორც სინურ „იადგარებში“, ასევე პალიმფსესტშიც. დეკემბრის თვეში კი არც ერთი კალენდარი პავლესა და ანტონის ხსენებებს არ შეიცავს.⁶ სწორედ ამგვარი თავისებურებები ანიჭებს სინურ პალიმფსესტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას „იადგარის“ განვითარების შესწავლის საქმეში.

იგივე შეიძლება ითქვას თავად საგალობლების არქიტექტონიკაზეც, რომელიც ჩვენს პალიმფსესტში ზოგჯერ განსხვავებულად წარმოგვიდგება. 978-979 წლებში გადაწერილ „დიდ იადგარში“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. ახალი „იადგარის“ ყველაზე სრულ ნუსხად მიიჩნევა, ანტონი დიდის რვა-ოდიანი გალობის პირველი გალობა განსხვავდება პალიმფსესტში წარმოდგენილი გალობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი ოდები ერთმანეთს ემთხვევა:

⁶ გამოცემული კალენდრებისა და ლიტურგიკული კრებულების გარდა, ვეყრდნობით ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ წმინდანთა კულტისადმი მიძღვნილ მონაცემთა ბაზას, იხ. <http://csla.history.ox.ac.uk/>

პალიმფსესტი	დიდი იადგარი
<p>გკქადაგე ერთი ღმრთეებაჲ სამგუა- მოვნებით, ღირსო მამაო ანტონი, ხოლო ერთი სამებისაგანი ორითა ბუნებით გკჩუენე ჩუენ და აღვიარებთ ყოველნი [.....]სამნი ყრმანი.</p> <p>[მ]ამაო ანტონი, განსწმიდე შენ გონება- ნი, სულნი და ჳორცნი და ტრფიალებითა ღმრთისაჲთა გ(ა)ნბრწყინვებული ესრეთ ლაღადებდი [... ..</p> <p>მამაო ანტონი, ყოველი სათნოებაჲ შრომითი შეჰკრიბე და იქმენ მონამე სისხლთა დაუთხვევლად და ღაღადებდი აკურთხევთ[ყოველნი საქმენი უფალსა და ამალღებდით]</p> <p>მამაო ანტონი, სათნოებისა ეტლთა შრომითა ამჴედრიდი [... ..]</p> <p>მამაო ანტონი, [საკრველ იქმნა] ჩუენ- გან ცხორებაჲ [შენი რამეთუ] იქმენ შენ მსგავს უჳორცოთა [იტყ]ოდე აკურ- თხვედით ყოველნი [სამებაჲ გუეც- ადიდებდითსა რომელმან წინაჲსწარ [...]</p> <p>[რ](ომე)ლნი საშუებელნი სოფლიონი გა- ნიძარცუნა და საჭურველი ქრისტესი შე- მოსა, ანტონი, ვითარცა სულთა ჩუენთა მეოხსა დაუცხრომელად[.....]</p> <p>მართალო [ანტონი] სარწმუნოებითა შეჭურვილსა</p>	<p><i>გიხაროდენ, თანაზიარო ანგელოზთა მაღალთა შინა, ანტონი, რამეთუ ამათ ცხორებაჲ ქუეყანასა ზედა მოიგე, მამაო, ჭეშმარიტებით, რაჟამს სინმიდით ჰმო- ქალაქობდი სათნოვებით და გამოშწინდი შენ ვითარცა.</i></p> <p>[მ]ამაო ანტონი, განსწმიდე შენ გონება- ნი, სულნი და ჳორცნი და ტრფიალებითა ღმრთისაჲთა გ(ა)ნბრწყინვებული ესრეთ ჰლაღადებდ... ..</p> <p>მამაო ანტონი, ყოველი სათნოებაჲ შრომითი შეჰკრიბე და იქმენ მონამე სისხლთა დაუთხვევლად და ღაღადებდი აკურთხევ.</p> <p>მამაო ანტონი, სათნოებისა ეტლთა შრომითა აჰმჴედრიდი...</p> <p>მამაო ანტონი, საკრველ იქმნა ჩუენ- გან ცხორებაჲ შენი, რამეთუ იქმენ შენ მსგავს უჳორცოთა მსახურ სამებისა და იტყოდე აკურთხევდით ყოველნი სამე- ბაჲ გუეც. ადიდებდითსა რ(ომელმან) წინაჲსწარ [...]</p> <p>[რ](ომე)ლნი საშუებელნი სოფლიონი გა- ნიძარცუნა და საჭურველი ქრისტესი შე- მოსა, ანტონი, ვითარცა სულთა ჩუენთა მეოხსა დაუცხრომელად[.....]</p> <p>მართალო ანტონი, სათნოვებათა მო- გებითა ზეცად აღინიე და შრომანი შეს- წირენ...სათნოვებითი შეჭურვილსა</p>

ასეთივე მდგომარეობაა თევდოსი დიდის საგალობელთან დაკავშირებითაც. როგორც ვნახეთ, პალიმფსესტმა 19 იანვარს შემოგვინახა თევდოსი დიდის საგალობლის ნაწილი. ეს საგალობელი ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის შექმნილია. „იადგარის“ შემცველი სხვა ნუსხებიდან იოანე მინჩხის ამ საგალობელს მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის „დიდი იადგარი“ შეიცავს (S-425, 110r-111v). საინტერესოა, რომეს ტექსტი არ გვხვდება „იადგარის“ არც ერთ სინურ ნუსხაში. მოდრეკილისა და პალიმფსესტის ტექსტების შედარებამ გარკვეული ვარიანტული განსხვავებები გამოავლინა. გარდა ამისა, როგორც შედარებიდანაც ჩანს, პალიმფსესტის ტექსტის შედგენილობაც განსხვავებულია:

სინური პალიმფსესტი	დიდი იადგარი
<p>14v სიბრძნით გ(ა)ნ(მ)გ(ე)ბელო ი(ე-სო)ჰ, სიტყუაო დაუბადებელო, დ(ა)ბ(ა)დებულნი გადიდებენ მ(ა)მ(ი)სა თ(ა)ნა ს(უ)ლით წ(მი)დითურთ, მ(არა)დის დაუდუმებელად. გიგალობენ ანგელოზნი და გმონებენ ადამიანნი სუფ(ე)ვაჲ შ(ე)ნი სუფევა არს უკ(უნისამდე). შენ იდიდები ქ(რისტ)ე ერნი ზ(ე)ც(ა)თანი, ს(უ)ლნი უჭორცოთანი, შ[(ე)ნ მოს]ცემ ლ(ო)ცვასა მდაბალთა ქ(უე)ყ(ა)ნისათა, მორწმუნეთა, ს(ა)თნოთა შ(ე)ნთა. რ(ა)ჟ(ა)მს [იყო] ურვასა შ(ი)ნა უმწყემსოებისა ზრუნვასა ერი იგი სამწყსოჲ ქ(რისტ)ესი, მ(ა)შინ მოვიდა მასთ(ა)ნ კაცი ღ(მრ)თისაჲ რ(ომე)ლი ეტყოდა: „ევედრენით ღ(მერთ)სა ფ(რია)დ და მ(ო)გცეს თქ(უე)ნ მწყემსი კ(ე)თ(ი)ლი“. მ(ა)შინ იწყო მ(ა)რხვად და ლ(ო)ცვად სიმრავლემან მ(ო)რწმუნეთამან, ერთობით ჳმობდეს ქ(რისტ)ეს მიმართ: „მოხედენ, მჴსნელო, ვენაჴსა ამას შ(ე)ნსა, რ(ომე)ლი დაასხი ჴელითა პირველ მეფისა კოსტანტინე მორწმუნისაჲთა“.¹</p>	<p>სიბრძნით განმგებელო იესუ, სიტყუაო დაუბადებელო, დაბადებულნი გადიდებენ მამისა თანა სულით წმიდითურთ, მარადის დაუდუმებელად. გიგალობენ ანგელოზნი და გმონებენ ადამიანნი. სუფევაჲ შენი სუფევა არს უკუნითი უკუნისამდე. შენ გადიდებენ ქრისტე ერნი ზეცისანი, სულნი უჭორცოთანი, შენ მოსცემ ლოცვასა მდაბალთა ქუეყანისათა, მორწმუნეთა, სათნოთა შენთა. რაჟამს იყო ურვასა შინა უმწყემსოებისა ზრუნვასა ერი იგი სამწყსოჲ ქრისტესი, მაშინ მოვიდა მათა კაცი ღმრთისაჲ რომელი ეტყოდა: „ევედრენით ღმერთსა ფრიად და მოგცეს თქუენ მწყემსი კეთილი“. მაშინ იწყო მარხვად და ლოცვად სიმრავლემან მორწმუნეთამან, ერთობით ჳმობდეს ქრისტეს მიმართ: „მოხედენ, მჴსნელო, ვენაჴსა ამას შენსა, რომელი დაასხი ჴელითა პირველ მეფისა კოსტანტინე მორწმუნისაჲთა“.</p> <p><i>ესმა ღმერთსა ჳმაჲ ვედრებისა მორწმუნეთა თჴსთაჲ, შეინირნა ლოცვანი მათნი და მოსცა მათ სარწმუნოჲ და გონიერი თევდოსი მართალი სათნოდ მეფედ და წინამძღურად, ვითარცა დავით ისრაჴლთა.</i></p>
<p>14r [.....]სცხო გონიერებაჲ, გ[არდაი]ცვ[ალა] გ(უ)ლი მისი და მეფეჲ ყოიონთა ზ(ედ)ა. შრომანი შ(ე)ნნი ს[ულიერნი] და კეთილნი სათნოებანი და გ(უ)ლი(ი)სა სინრფოებანი, დიდო თეოდოსი, იხილნა-რაჲ მალაღმან, [მოხედვა-ყო წყალობით, რომელი ჰხედავს] მდაბალთა და გადიდა [სულით და ჴორციით.] ს[აღმართოსა] ტ[აკუქსა]</p>	<p>სამუელ წინანარმეტყუელმან სცხო დავითს მწყემსობასა შინა, ხოლო ან თევდოსის მართალსა სიგლახაკესა შინა სულმან წმიდამან სცხო გონიერებაჲ, გარდაიცვალა გული მისი და მეფეჲ ყოიონთა ზედა. შრომანი შენნი სულიერნი და კეთილნი სათნოებანი და გულისა სინრფოებანი, დიდო თეოდოსი, იხილნა-რაჲ მალაღმან, მოხედვა-ყო წყალობით, რომელი ჰხედავს მდაბალთა და გადიდა სულით და ჴორციით. საღმართოსა ტაკუქსა. ღმრ.</p>

¹ პალიმფსესტში დასაწყისი სტრიქონები ჩამოჭრილია და მათი რაოდენობა მაქსიმუმ ორი შეიძლება იყოს. შესაბამისად, „დიდი იადგარის“ საგლობელში დახრილი შრიფტით წარმოდგენილი ოდა პალიმფსესტს მექანიკური ჩამოჭრის გამო კი არ აკლია, არამედ ის არც არასდროს ყოფილა ხელნაწერში.

<p>ვითარცა ეჟუანი წმატკბილი, შუენიერი დღესასწაული შ(ე)ნი ენითა ებანთა ღმრთისმეტყუელთა მგალობელთაათა დღეს ოხრის წმამამალლად ეკლესიასა შ(ი)ნა შ(ე)ნთა მ(ა)თ სათნოებათა და სიმდაბლეთა, ღ(მრ)თისმსახურო და მის მიერ პატივცემულო, დიდო მეფეო, თევდოსი ღ(მერ)თშემოსილო, რ(ამეთუ) სახე ექმენი პ(ი)რველთა მათ მეფეთა და რ(ომე)ლნი გემსგავსნეს იშუებენ ედემს შ(ი)ნა შ(ე)ნ თ(ა)ნა და[.....]ითხოვ ს(უ)ლთა [.....]მრ. ქ(რისტ)ეს მოყუარეო თევდოსი, ვერ შემძლებელ ვართ ჩ(უენ) შემსგავსებით ქ(ე)ბასა სათნოე(ბა)თა შ(ე)თასა, ა(რამე)დ მ(ა)დლი შ(ე)ნი შეგუენიენ მგალობელთა და ვადიდოთ დღეს(ა)სწაული შ(ე)ნი. შიში ღ(მრ)თის(ა)ჲ გაქუნდა მ(არა)დის, ნეტარო თევდოსი, და მ(ი)თ მოიძულენ შ(ე)ნ ყ(ოვე)ლივე ნებაჲ წ(ო)რცთაჲ და ვითარცა უწორცოჲ იქცეოდ[დე], რ(ომ)ლისათჳს საცნაურად გადიდა შ(ე)ნ ქ(რისტე)მან. ღ(მრ)თისა [მამი]სა სიმდიდრეო, [გ]იყუარან გლახაკნი და აცხო[ვნებ] მდაბალთა, რომელმან ალამალღე დღეს შ(ე)ნთჳს ნათეს...</p>	<p>ვითარცა ებანი წმატკბილი, შუენიერი დღესასწაული შ(ე)ნი ენითა შემასხმელთა ღმრთისმეტყუელთა მგალობელთაათა დღეს ოხრის წმამამალლად ეკლესიასა შინა შენთა მათ სათნოებათა და სიმდაბლეთა, ღმრთისმსახურო და მის მიერ პატივცემულო, დიდო მეფეო, თევდოსი ღმერთშემოსილო, რამეთუ სახე ექმენი შემდგომთა მათ მეფეთა და რ(ომე)ლნი გემსგავსნეს იშუებენ ედემს შ(ი)ნა შ(ე)ნ თ(ა)ნა ღმერთსა ევედრე ან მონიჭებად სულთა ჩუნეთა დღეს დიდი ნყალობაჲ. მრ?? ქ(რისტ)ეს მოყუარეო თევდოსი, ვერ შემძლებელ ვართ ჩ(უენ) შემსგავსებით ქ(ე)ბასა სათნოე(ბა)თა შ(ე)თასა, ა(რამე)დ მ(ა)დლი შ(ე)ნი შეგუენიენ მგალობელთა და ვადიდოთ წსენებაჲ შენი. შიში ღმრთისაჲ გაქუნდა მარადის, ნეტარო თევდოსი, და მით მოიძულენ შენ ყოველივე ნებაჲ წორცთაჲ და ვითარცა უწორცოჲ იქცეოდე, რომლისათჳს საცნაურად გადიდა შ(ე)ნ ღმერთმან. ღმრთისა მამისა სიმდიდრეო, გიყუარან გლახაკნი და აცხოვნებ მდაბალთა, რომელმან ალამალღე დღეს შენთჳს ნათესავთაგან...</p>
---	--

ამრიგად, პალიმფსესტური „იადგარის“ სახით ჩვენ ხელთ გვაქვს თორნიკე ერისთავის დაკვეთით შესრულებული კიდევ ერთი ხელნაწერი იმ ოთხ უძვირფასეს ხელნაწერთან (ოშკის ბიბლია, ოშკის „სამოთხე“, „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, „განძი“) ერთად, რომლებიც ასევე მისი დაკვეთით გადაიწერა და გაიგზავნა ახლად დაარსებულ ივირონში X საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში.

„იადგარის“ განვითარების ისტორიის კვლევისათვის მნიშვნელოვნად გვესახება სამომავლოდ ამ ჰიმნოგრაფიული კრებულის ცალკე შესწავლა და გამოქვეყნება.

დამონეხული ლიტერატურა:

ალექსიძე *et al.*, (გამოც.), *სინას მთის ქართული ხელნაწერები = სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, ათენი, 2005.

გიგინეიშვილი – კიკვიძე (გამოც.), *წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი = წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, შესაქმისაჲ, გამოსვლათაჲ*, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა, თბილისი, 1989.

მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, S, I = *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა*, I, შედგენილი და დასაბეჭდად დამზადებულია თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ, რედაქტორი ელ. მეტრეველი, თბილისი, 1959.

მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის = ე. მეტრეველი, ჩორდვანელთა დიდი სახლის ისტორიისათვის, ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996.

UNKNOWN PALIMPSEST OF AN IADGARI FROM THE SINAI COLLECTION OF GEORGIAN MANUSCRIPTS

Abstract

The 13th century *Collection of hymns* (*N/Sin. geo.* 7, 154 ff.) preserved in the collection of the Georgian manuscripts of St. Catherine's Monastery on Mont Sinai, is entirely palimpsest. One part of the lower layer of the manuscript (ff. 13-48) contains a collection of hymns of the Jerusalem rite – *Iadgari*. Study of the text revealed that it is the second stage of the development of *Iadgari* (so-called *New Iadgari*). The palimpsest *Iadgari* with its calendar and structure differs from all other surviving copies of *New Iadgari*. Therefore, this manuscript is important for the study of the history of the development of this hymnographical collection.

In the palimpsest next to the hymn dedicated to St Nicholas of Myra is preserved commemoration of Tornikios, a member of the distinguished Georgian family of Chordvanieli, one of the noblest families of Tao. Tornikios most probably was the benefactor of this manuscript; the manuscript can be dated based on his commemoration: as Tornikios is presented here only by his secular name, it should be assumed that the manuscript was copied before 973, when Tornikios took monastic vows and was named as Ioane ex-Tornikios.

Zaza Aleksidze

Dali Chitunashvili

Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi

ციალა გრიგოლია, ხათუნა კარტოზია
*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

მარიამ ეპიკთალის უცნობი საბალოზლის ფრაგმენტი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან*

ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა დღეისათვის, ძირითადად, აღნუსხული და აღწერილია, თუმცა დროდადრო ჩნდება სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი ხელნაწერების ფრაგმენტები, ძალიან იშვიათად კი ხელნაწერები, რომლებიც საყურადღებო მასალას – დღემდე უცნობ ტექსტებსა თუ ცნობილი ტექსტების განსხვავებულ რედაქციებს შეიცავენ. ამგვარი „უცხო“ მასალა ყოველთვის ინვესტს მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. ის პალეოგრაფთა, კოდიკოლოგთა თუ ტექსტოლოგთათვის კვლევა-ძიების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სფეროა.

2014 წლის თებერვალში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერების განყოფილებიდან იდენტიფიკაციისათვის გამოაგზავნეს ძველი ქართული ხელნაწერის ფრაგმენტის – ორი ფურცლის – ფოტო. მონოდებული ინფორმაციით, ქართული ხელნაწერის ეს ორი ფურცელი ჩადებული იყო კირილიცათი ნაბეჭდ XIX საუკუნის წიგნში – ძველ სლავურ „თვენი“. თავად წიგნი პერმის ოლქიდან (ცენტრალური რუსეთი) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოგრაფიულმა ექსპედიციამ მოსკოვში ჩაიტანა.

ჩვენი სტატია ეძღვნება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ფრაგმენტის რაობის განსაზღვრასა და ტექსტის პუბლიკაციას.

НБ МГУ (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი) №239 (ინვენტ. 3398-1-05).

ქალაქის მემკვიდრეობით ერთმანეთზე მიკრული ორი ფურცელი; ქალაქზე დასმულია მოსკოვის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერების განყოფილების ბეჭედი წარწერით ОРКиР (Отдел редких книг

* დიდ მადლობას ვუხდით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომელმაც მოგვცა უფლება, გამოგვექვეყნებინა ქართული ფრაგმენტის ფოტოები, ასევე, მადლობას ვუხდით ხელნაწერთა ფონდის მცველს, ქ-ნ ნატალია კობიაკს, რომელმაც გამოგვიგზავნა მაღალი ხარისხის ფოტომასალა და ფრაგმენტის კოდიკოლოგიური აღწერილობა.

и рукописей) და ლურჯი მელნით მიწერილია ხელნაწერის ნომერი. 1r-ს ზედა აშიაზე ფანქრით დაწერილია 2, რომელიც გადაშლილია და მიწერილი აქვს 1; ასევე, 2r-ს ზედა აშიაზე ფანქრით დაწერილია 3, რომელსაც გვერდზე მიწერილი აქვს 2.

კოდიკოლოგიურ-პალეოგრაფიული აღწერილობა

ფ. 1: სქელი, მოყავისფრო ეტრატი, ლაქებიანი; მელანი – ყავისფერი, ნითელი. ზომა: 202×134/136; ლინირებულია, სტრიქონთა რაოდენობა – 21. ნუსხური, საზედაო ასოები შესრულებულია მთავრულით. ხელწერა – ფორმალური, ტექსტი გაშლილადაა დაწერილი; პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით შეიძლება დათარიღდეს XI-XII საუკუნეებით. ტექსტი წარმოადგენს საგალობელს, შესაბამისად, დასტურდება რიტმული პუნქტუაცია: წერტილი, სტროფის ბოლოს – სამწერტილი, ძლისპირის ბოლოს – ორწერტილი.

ფ. 2: მუქი ფერის უხეში ეტრატი, ლაქებიანი; მელანი – შავი, ნითელი. ზომა: 197/183×133/134; ეტყობა ლინირების კვალი; სტრიქონთა რაოდენობა: 28, ნუსხური, საზედაო ასოები – მთავრული; ნაწერია მჭიდროდ, ნაკლებად კალიგრაფიული ხელწერით. პალეოგრაფიული მონაცემებით შეიძლება დათარიღდეს XIII-XIV საუკუნეებით. დასტურდება რიტმული პუნქტუაცია: წერტილი, სტროფის ბოლოს – სამწერტილი.

ფ. 2 წარმოადგენს პალიმფსესტს. ქვედა ფენა გასარჩევად რთულია. შესრულებულია მთავრულით, ყავისფერი მელნით. ასოთა მოხაზულობით ახლოსაა VII-VIII საუკუნეების პალიმფსესტურ მთავრულთან. შეინიშნება საკმაოდ მსხვილი ზომის საზედაო ასოები. სტრიქონთა რაოდენობა: 26. ზედა და ქვედა აშეები არ ჩანს, შესაბამისად, სტრიქონთა თავდაპირველი რაოდენობა შესაძლოა მეტიც იყოს. ეს უნდა იყოს ორ სვეტად ნაწერი მოზრდილი ხელნაწერის ფურცელი, რომელიც გაჭრილია შუაზე პერპენდიკულარულად და მისი ერთი ნახევარია გამოყენებული (ფურცელზე ერთი სვეტია წარმოდგენილი, v-ს მარჯვენა აშიაზე ჩანს მეორე სვეტის საზედაო ასოები). r-ზე, ფოტოს მიხედვით, ხერხდება ქვედა ფენის 3 სტრიქონის ნაწილობრივ ამოკითხვა, v-ზე – მხოლოდ ერთი სტრიქონის მცირე ფრაგმენტის:

r: ქვედა აშია, სამი სტრ.:
მ(არადი)ს და დაუცხრომელ[ად?]
არს ბრძოლა[დ] მი[ს?]
[.....სი]სა ბრძო[ლ...]

v: ზედა აშია, მე-2 სტრ.:
წამებაჲ ხად...

ძირითადი ტექსტის რაობა

ორ ფურცელზე წარმოდგენილი ტექსტი არის მარიამ ეგვიპტელისადმი მიძღვნილი საგალობლის ფრაგმენტი¹ (ხსენების დღე – 1-ლი აპრილი) საგალობლების კრებულიდან „თვენი“. ტექსტი თავბოლონაკლულია.

საგალობლის ტექსტი 1-ელ (XI-XII სს.) და მე-2 (XIII-XIV სს.) ფურცლებზე გაბმულადაა წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს არ არის ორი სხვადასხვა ხელნაწერის მექანიკურად გადაბმული ფურცლები. ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე, შემდეგი სურათი იკვეთება: XI-XII საუკუნეების საკმაოდ დაზიანებული „თვენის“ რესტავრაცია – ნაკლული თუ დაზიანებული ფურცლების ახლით შეესება – უნდა მომხდარიყო XIII-XIV საუკუნეებში; სარესტავრაციოდ გამოყენებული იყო ადრინდელი, საკმაოდ მოზრდილი, VII-VIII საუკუნეების ხელნაწერი, რომელიც სპეციალურად დაიჭრა ამ ხელნაწერის აღსადგენად. არ არის გამორიცხული, რომ მოგვიანებით, ეს ხელნაწერიც სპეციალურად დაიშალა ხელახალი გამოყენებისათვის. საგალობლის შემცველი ორი ფურცელი, შესაძლოა, დამცავ ფურცლებად იყო ჩართული გვიანდელ, სავარაუდოდ, უცხოენოვან ხელნაწერში. ამგვარი შეწყვილებული ფურცლები ხშირად სწორედ ამ ფუნქციით არის ხოლმე გამოყენებული გვიან საუკუნეებში.

ფრაგმენტში წარმოდგენილი საგალობლის ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა. მისი სრული ტექსტი დაცულია გიორგისეულ „თვენებში“: *Ath. geo.* 70-სა და H-2336-ში. ფრაგმენტში „სხუანების“ სიმრავლე – რამდენიმე წყაროს გამოყენება თარგმანის შევსების მიზნით – გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ამ საგალობლის ადრეული თარგმანი „სხუანის“ გარეშე დასტურდება წინათონურ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში – *O/Sin. geo.*: 59, 64-65.

ტექსტის პუბლიკაცია²

[1r] ...ი ჳორცნი მარხვითა
დაადვნა და განლინა,
და სნურ (*sic*)
ანგელოზთა გამოშჩნდა (*sic*).
ჰ, საკვრველებაჲ დიდი
შენი, წმიდაო,
ეჰა, სიმაღლე ღუანლთა
შენთაჲ, რომელნი დაითმინენ
ღმრთისათჳს,
სანატრელო დედაო!

¹ ჩხიკვაძე (რედ.), *ქართული ხელნაწერი*, გვ. 224.

² წარმოვადგენთ მარიამ ეგვიპტელისადმი მიძღვნილი საგალობლის დიპლომატურ გამოცემას. ტექსტში ჩვენ მიერ შეტანილია მხოლოდ სასვენი ნიშნები.

ჭ, სიმწენი შენნი,
ღირსო დედაო,
რომელნი აჩუენენ
უდაბნოთა მათ
შინა,
უვალთა და ვრცელთა,
უქმთა, უნაყოფოთა, სადა-
იგი გულისსიტყუანი
და ჯორცნი მოაკუდინენ,
სადა-
იგი თავსმდებსა შენსა
ქალწულსა ცრემლით ხადოდე და შემწე-გეყო,
და წყალობით
მოგხედნა
და თანა-მოდასედ უჯორცოთა
ჭეშმარიტად გამოსჩნდი.

მადლითა საღმრთოთა
აღიძრა ღირსი
ზოსიმე, ნეტარო,
რაათა გიხილოს
და განთქუას ცხორებაჲ შენი.
სარგებელად მრავალთა
და მსწრაფლ
უდაბნოდ წარემართა,
და ვითარცა გპოვა შენ,
ცრემლით
შეუფრდა ფერჯთა შენთა,
მარხვითა უჯორცო ქმნილთა.
და მიუთხარ მას
ყოველი ცხორებაჲ შენი,
და მისგან ეუნყა ცისკიდეთა
შენთჳს და ჰმადლობენ ღმერთსა.

რომელნი მოგიგებთ,
ღმრთისა დედაო,
ძალად და [v] სიმტკიცედ
და თანაშემწედ,
სურვიელად გადიდებთ,
მბრძოლთა ძალსა დავამჯობთ,

მტერთა
უხილავთა ვიოტებთ,
და ცრემლით გიღალადებთ:
შენ ხარ
ძალი შეუწვეწელთაჲ
და სასოებაჲ უსასოთაჲ,
რომელმან სრულ-ჰყავ
კეთილად მოქალაქობაჲ
მწევლისა შენისაჲ, უბინოო,
უაღრეს ბუნებისა.

სხუანი ბ გუერდი.

ყოველი სასოებაჲ.

ყოველთა ბრალთა შენთა
უყე არაჲ გიტევებდა
მიახლებად ჯუარისა
და შესლვად ეკლესიად,
ქრისტეს მწევალო!
ხოლო კეთილისა
საუნჯე, გონებაჲ,
და საქმეთა
შენთა განკითხვაჲ
და გულისწმისყოფაჲ
იქმნენს მიზეზ ცხორებისა შენისა,
რამეთუ მიხედენ ხატსა
კურთხეულისა
დედოფლისასა
და ბრალთა შენთა შენდობისა თავსმდებად მოიგე იგი,
და კადნიერად ამბორს-უყავ
ძელსა ცხოველსმყოფელსა.

თაყუანის-ეც წმიდათა
ადგილთა მიაღულებით,
და საგზლად ცხორებისად
მიიღე მადლი მათი.
და წარემართე
სრბასა მას კეთილსა,
და განჰვლე მდინარე
იორდანე,

ღირსო დედაო,
და უდაბნოთა მათ
წინამ[2r]ორბედისათა დაემკვდრე, და ველურებაჲ ვნებათაჲ
მოღუნებითა
მოაკუდინე,
რამეთუ ჴორცნი განჴლიენ მარხვისა მიერ ფიცხელისა,
ყოლადქებულო მარიამ,
მჴევალო უფლისაო!

უდაბნოს მკვდრობითა
ხატნი ვნებათა შენთანი
სრულად უჩინო-ჴყვენ
და ღმრთივბრწყინვალე ხატი
სათნოებათაჲ
სულსა შინა შენსა
დასწერე, წმიდაო,
და ესოდენ
წარემატე შენ,
ვიდრელა ფერჴითა
დაუნთქმელად ჴხვდოდე წყალთა ზედა
და ქუეყნით აჴმალღებოდე
ლოცვასა შინა, ღმრთივგანბრძნობილო,
ხოლო აწ კადნიერებით მდგომარე ხარ წინაშე ქრისტესა,
ითხოვე სულთა ჩუენთათჴს
წყალობაჲ, უბინოო!

გ გუერდი.

მჯდომარე.

საცთურთა მიერ წარტყუწნილ იქმენ პირველ,
რაჴამს მზაკუვარმან ვეშაჴმან წარწყმედისა
მთხრებლსა შთაგადო, ღირსო,
ცოდვისა სამჴედურითა,
ხოლო სიტყუამან
ცხოვრებისამან ფრთოვან-გყო შენ,
და უყისა მისგან მწურისა აღმოგიყვანა
და სახლ სინანულისა
გყო შენ, ღმრთივგონიერო,
ამისთჴსცა
ყოვლითურთ შეუდეგ შენ
მცნებათა ქრისტესთა

და იქმენ
ცოდვილთა
და მიმძლავრებულთა
სახე საღმრთოჲსა სინანულისა,
და იღუნი ჩუენთჳს
ნინაშე სამეგბისა.

ხატ სინანულისა ყოლადწმიდისა ექმნა
მოქალაქობაჲ შენი ყოველთა, დიდებულო,
რამეთუ ფრთოვან-ჰყავ შენ
სიყუარულითა საღმრთოჲთა
გონებაჲ შენი,
და ჴორცთა საჭუმილი დაშრიტე,
ბუნებისა
ვნებათა სრულიად მძლე-ექმენ,
რამეთუ გაქუნდა შემნედ
დედაჲ ქრისტეს მწსნელისაჲ,
რომელსაცა შეჰვედრე თავი შენი,
და აღტყინებულ-ჰყავ
წმიდაჲ სული შენი
უფროჲს [V] საჭუმილისა,
და საღმრთოდ სრულ-ჰყავ ცხორებაჲ შენი,
და იღუნი ჩუენთჳს
ნინაშე სამეგბისა.

სულისა საბრწენი და ვნებანი ჴორცთანი
მახვლითა მით მარხვსაჲთა მოჰკუჭთენ,
ხოლო გულისსიტყვთა
გონებისა მართნყობაჲ
დუმილითა მით
მოლუანებისაჲთა მოაშთვე,
და მდინარითა
ცრემლთაჲთა მოჰრწყენ უდაბნონი,
და აღმოგვცენე ჩუენ
ნაყოფი სულიერი
სინანულისა
ყოლადშუწნიერისაჲ,
ამისათჳს წმიდასა
ჴსენებასა შენსა ვდღესასწაულობთ ჩუენ,
ყოლადსანატრელო დედაო,

ითხოვე ჩუენთვის
ზეცით დიდი წყალობაჲ!

ჯორცთა ვნებანი, სულთა სანადირონი,
მარხვსა მახვლითა მოჰკუჭთენ, ნეტარო,
და გონებისა კერპნი
მოაშთვენ მოლუანებითა,
და განამტურიენ
დუმილითა უსაზღვროჲთა
და უდაბნოჲ
მოჰრწყე მდინარითა ცრემლთაჲთა,
და აღმოგვცენენ ჩუენ,
ყოლადბრძენო მარიამ,
ბრწყინვალენი
ნაყოფნი შრომათანი,
და სინანულისა
ყუავილი სულნელი.
ამისთვის საღმრთოსა
და წმიდა ჳსენებასა შენსა
ვდღესასწაულობთ,
გვთხოვე ჩუენ წყალობაჲ.

ჯორცთა გემონი, მტერთა მოპოვნებულნი,
და ნაყოფანებაჲ, სიმაძღრე და მთვრალობაჲ
შიშისა მიერ ღმრთისა
დაშრიტენ და უჩინო-ჰყვენ.
და მძლავრებანი
უნესოთა ბრძოლათანი
აღვრითა
მარხვისაჲთა მოჰკუჭთენ სრულად.
და ღმობიერებისა
და ტირილისა მიერ
სული შენი
თოვლებრ განასპეტაკე.
და ღირსსა ზოსიმეს
მსგავსად მთიებისა
ეჩუჳნე, მარიამ!
განათლებული ამისათვისცა
გნატრით მის თანა
და გალობით გადიდებთ.

დამონეხული ლიტერატურა:

ჩხიკვაძე (რედ.), *ქართული ხელნაწერი = ქართული ხელნაწერი ნიგნი საზღვარგარეთ*, შემდგენლები: მ. კარანაძე, ვ. კეკელია, ლ. შათირიშვილი, ნ. ჩხიკვაძე. ნ. ჩხიკვაძის რედაქციით, თბილისი, 2018.

AN UNKNOWN FRAGMENT OF A HYMN DEDICATED TO MARY OF EGYPT FROM THE MOSCOW STATE UNIVERSITY LIBRARY

The article discusses the fragment – two folios of the Georgian manuscript HB MFY №239 (3398-1-05), preserved in the Library of Moscow State University, Russia. The aim of the authors was dating, identification and publication of the text. One folio of the preserved fragment is dated to the 11th-12th cc., the second folio is dated to the 13th-14th cc. The second folio is palimpsest. The outlines of the letters of the written text is similar to mtavruli script of the 7th-8th cc. The fragment appeared to be the hymn dedicated to Mary of Egypt of George the Hagiorite's redaction.

We are very grateful to Natalia Kobiak, Curator of the Department of Rare Books and Manuscripts of Moscow State University Scientific Library for providing information about the Georgian fragment, sending the photographs and helping to get permission to publish them.

***Tsiala Grigolia
Khatuna Kartozi***

Georgian National Centre of Manuscripts

ციცინო გულედანი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დიმიტრი ბაქრაძე სვანეთის ხელნაწერების შესახებ

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის, დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე ძველი ქართული ხელნაწერების შეგროვება და მათი არქეოგრაფიული კვლევა იყო. მან 1879 წელს დიმიტრი ყიფიანთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ხელნაწერებისა და ძველნაბეჭდი წიგნების შეგროვება იყო. 1889 წელს უშუალოდ დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით შეიქმნა სიძველეთა თავმოყრისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი – თბილისის საეკლესიო მუზეუმი.

თავის ნაშრომებში, რომელთა უმეტესობა საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის შედეგად იქმნებოდა, ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა იმ ხელნაწერთა აღწერას, რომლებიც მას საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ხვდებოდა. 1858 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ხელშეწყობით, მან საქართველოს მაღალმთიან რეგიონში, სვანეთში იმოგზაურა, მდიდარი ეთნოგრაფიული თუ ეპიგრაფიკული მასალა შეაგროვა და მოგზაურობის აღწერილობა „Сванетия“ გამოსცა.¹ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველ ხელნაწერთა აღწერას, რომლებიც ბაქრაძემ სვანეთში მოგზაურობისას იქაურ ეკლესია-მონასტრებში ნახა. სწორედ ეს ნაშრომი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი გზამკვლევი ექვთიმე თაყაიშვილისათვის სვანეთში მოგზაურობისას და იქაურ მონასტრებში დაცული ხელნაწერების მოძიებისას.²

სტატიაში წარმოვადგენთ ბაქრაძის ნაშრომის იმ მონაკვეთების ქართულ თარგმანს, რომლებშიც მკვლევარი საუბრობს მის მიერ სვანეთის ეკლესია-მონასტრებში ნახი ხელნაწერების შესახებ; შეძლებისდაგვარად მოვახდენთ ამ ხელნაწერთა იდენტიფიკაციას.

ხელნაწერთა კოლოფონების ტექსტები, რომლებიც ბაქრაძის მიერაა მოყვანილი ნაშრომში, ჩვენს სტატიაში მისი წაკითხვითაა წარმოდგენილი. ეს

¹ Бакрадзе, Сванетия, с. 19-128.

² თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 135-431.

ნაკითხვები ზოგ შემთხვევაში არასწორია, მაგრამ ჩვენ თავი მოვარიდეთ მათ სწორებას. რაც შეეხება ბაქრაძისეულ მსჯელობებს ხელნაწერთა დათარიღების, გადამწერთა ვინაობისა თუ სხვადასხვა ძველი ქართული ტერმინის შესახებ, მათი ნაწილი დღეს აშკარად მცდარი და მოძველებულია,³ ამიტომ მათ აქ არ წარმოვადგენთ.

[გვ. 36] ყველგან გაგაოცებთ ხატების, ჯვრებისა და საეკლესიო წიგნების სიმრავლე, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია [სვანეთის] ზემო თემში: მუჟალში, მესტიაში, კალასა და უშგულში. ეკლესიებში მათი რიცხვი ზოგჯერ 50-60-ს აღწევს...

[გვ. 37] ვერ ნახავთ ტაძარს, რომელშიც არ იყოს ქართული წიგნები. მათი უმრავლესობა ეტრატხეა ნაწერი. დანგრეულ და მიტოვებულ ტაძრებშიც კი მტვერში მიმოფანტულია დაშლილი [წიგნების] ფურცლები. ეს წიგნებია: *ჟამნი, კურთხევანი, ტრიოდინები, მეტაფრასები*, ანუ *წმინდანთა ცხოვრებანი*, და საეკლესიო მამების თხზულებები. ყველა *კურთხევანი*, რომლებიც კი ვნახე, ჯოხზე დახვეულ გრძელ გრაგნილებზეა დაწერილი, რომელთა სიგრძე ზოგჯერ 4 არშინია. განსაკუთრებით მაოცებდა *სახარებები*, ანუ *ოთხთავეები*. ყველა *საქმე მოციქულთას* გარეშეა. მე ვნახე ათამდე სრულიად დაუზიანებელი ცალი. რამდენიმე *ოთხთავის* ყდა ვერცხლითაა მოჭედილი. მათ შორის დიდებულებით გამოირჩევა *ლატალის სახარება*, რომელიც თავისი გამორჩეული კალიგრაფიული ხელოვნებით, დიდი ოსტატობით შესრულებული შემკულობითა და მოხატულობით, ფილიგრანული მედალიონებით მოოქრულ ვერცხლის ყდაზე შეიძლება შევადაროთ *სახარებას*, რომელიც ინახება გელათის მონასტერში, ქუთაისის მახლობლად.

წმინდა კვირიკესა და ივლიტას (კირიკასა და იულიტას) ტაძარში, კალას თემში, ინახება ხელით ნაწერი ბერძნული სახარება;⁴ უცნობია, საიდანაა ის აქ მოხვედრილი.

[გვ. 38] სახარებებიდან სამი გადანერილია ბაგრატ IV-ის დროს; კერძოდ, ერთი – 1033 წელს, მეორე – 1048 წელს, მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ქორონიკონის გარეშეა, როგორც მინაწერშია აღნიშნული, ამავე ეპოქას განეკუთვნება; მეოთხე გადანერილია XIII საუკუნეში, დავით-ნარინის დროს. ერთი *მეტაფრასი* გადანერილია 1031 წელს, ასევე ბაგრატ IV-ის მეფობის დროს. მის მინაწერში ბაგრატი იწოდება კურაპალატად და მოხსენიებულია მისი დედა,

³ ასეთია, მაგალითად, ბაქრაძის შეხედულებები გიორგი მთაწმინდელის მიერ გამოყენებულ ტერმინთა „ხანმეტისა“ და „საბანმიდურის“ მნიშვნელობის შესახებ, ასევე, მსჯელობა გიორგი მთაწმინდელის, როგორც სახარებათა გადამწერის შესახებ და სხვ.

⁴ ეს არის კორიდეთის სახარება, რომელიც დღეს ინახება თბილისში, კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მარიამი. ხელნაწერებში ყველგან გვხვდება გადამწერთა სახელები და ადგილები, სადაც ეს სახარებებია გადამწერილი... მეტაფრასი გადამწერილია მარტვილის სვეტზე ვინმე ვახტანგ ფარჯანიანისთვის; გვარი სვანურია, რომელიც ამჟამად ლატალში არსებობს.⁵

1. სოფელი სუფი/სვიფი, ფარის თემი, მაის ხევი, წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

[გვ. 58] კარის ზემოთ განთავსებულ ძელზე ვნახე მთავრული ასოებით დაწერილი ქართული სახარება.

– არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს მაის ხევის საბუთების შემცველი სახარება, რომელიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – A-1699, X ს.⁶

2. ცხუმარის თემი, სოფ. ლაბსყალდი, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

[გვ. 73] სახარება, სიგრძით 1/4 არშინი. ყდას ამოფენილი აქვს ფარჩა, დაფარულია მოოქრული ვერცხლით, წარმოადგენს ძველებურ, მოხდენილ ნამუშევარს. კიდეებზე დამაგრებულია ოთხი მახარებელი, შუაში ტახტზე ზის იესო ქრისტე მაკურთხებელი ხელით, მეორე ხელში წიგნი უჭირავს. [ყდის] უკანა მხარეს არის ჯვარცმა, რომლის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. საერთოდაც, ეს სახარება კარგადაა შემონახული. ნაწერია ეტრატზე, ნახატები და მახარებელთა გამოსახულებები თითოეული სახარების დასაწყისს ამშვენებს. მინაწერები, რომლებიც აქ მოგვყავს, შესრულებულია საეკლესიო ნუსხური ასოებით.

მათეს სახარების ბოლოს, მათესგან:

„დაესრულა მათეს თავი სახარებაჲ: თავი ტნე, მუხლი ოფიდ. აღინერა იერუსალიმს ებრაელებრითა სიტყუთა: მერვესა წელსა ქეს ამაღლებითგან, ხ. იკითხვის მარტკლთაგან ვიდრე სეკდენბრამდე“.

მარკოზის სახარების ბოლოს, მარკოზისგან:

„† ქე შეინყალე სული ჩემ ცოდვილისა სტფნსი. დაესრულა მარკოზის სახარება. თავნი სლზ. მუხლი ჩფჟ. მეთორმეტესა წელსა აღინერა ბრძანებითა პეტრესითა. ხოლო იკითხვის წმიდათა მარხვათა“.

ლუკას სახარების ბოლოს, ლუკასგან:

⁵ აქ დასახელებული ხუთი ხელნაწერის შესახებ ბაქრაძე ქვემოთ ცალკე საუბრობს. იხ. შემდგომ.

⁶ სილოგავა (გამოც.), *სვანეთის წერილობითი ძეგლები, I*, გვ. 235; ბარამიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A, V*, გვ. 165.

„აღინერა სახარება ლუკასა შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუჴნისა იესო ქრისტესსა წელსა მეთხუთმეტესა. სტიქონი (*sic*) ორიათას სამეოც და ათი. თავნი საკითხავთა ჟვ.“.

იოანეს სახარების ბოლოს, იოანესგან:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წა ოთხთავი ახლად გვითარგმნია (*sic*) ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთთამე სულიერთათათა და ბერძულთა სახარებათა შეგვინამებია ფრიადითა გამოწვლილებითა და ვინცა ვინ დასწერდეთ ვითარცა აქა იპოვოთ ეგრე დაწერეთ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ. ღუთისათჴს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია ეგრე დასწერეთ და თუ არა რაჲმე გაქუნდესთ ჩუჴნნი ყოველნი სახარებანი პირველიდგან წმიდად თარგმნილნი და კეთილად ხანმეტნიცა და საბანძინდურნიცა მუნით დაწერეთ. ღუთისათჴს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გიორგისათჴს (*sic*), რომელმან ესე ვითარგმნე, ლოცვა ჰყავთ“.

ნითელი მელნით წვრილი ხელწერით:

„წმიდანო ღუთისანო ვინცა მიემთხვივნეთ წმიდასა ამას სახარებასა, ლოცუა ჰყავთ მდაბალთა მონაზონთა იოანეს და სჴმეონისათჴს“.

ყოველი სახარების წინ სათაურია, ან ყოველი თავის შინაარსი. სულ ბოლოს:

„სახელითა ღუთისათა ... ამათ ყოველთა წმიდათა მადლითა და შეწვევითა დავსწერე ანდერძი ესე ამ წმიდასა სახარებასა შინა მეფის მოძღვარმან (*sic*) ბერმან ილარიონ სოფრონისძემან, მას ჟამსა ოდეს პატრონმან დავით მეფემან ძემან რუსუდანისამან ოპიზით წამომიყვანეს და გელათს ქედსა წმიდათა მთავარანგელოზთა წინაშე მამყოფეს, ესე წმიდაჲ სახარება მიბოძეს და ვითა მმართველთა მათად სადიდებოდ და სალოცავად ქედსა წმიდათა მთავარ-ანგელოზთა შევსწირე და მათსა ეკლესიასა დავსდევე და რომელი ჩემგან ეგებოდა მათითა ნაბოძვართა რაჲცა აკლდა ესე სახარება შევეკაზმე და ბარძიმ ფეშხუმი ხური და კოვზი ვერცხლისა სინმიდის სამსახური სრული ლავრისაჲ ხატი წმიდათა მთავარ-ანგელოზთაჲ მომცროჲ დავახატვინე და მოვაჭედინე სამღვდელო შესამოსელი სრული წიგნი სანინასნარ-მეტყველოჲ ესე ყველაჲ პატრონისა ნაბოძვართა მათად სადიდებოდ და სალოცავად ვქმენ და ესეცა გავაჩინე წმიდათა მთავარ-ანგელოზთა წინაშე ოთხნი სანთელნი და ოთხნი კანდელნი სანთებად პატრონისათჴსვე, ან ვინცა და რამანცა გუარმან კაცისამან ამ წმინდისა სახარებისა და ესე რაჲცა ზემოთ დავგინერია ამა წმიდათა მთავარ-ანგელოზთა ეკკლესიისაგან გამოღებად ანუ გამოხუჭებად ანუ შეცვლად

რაესაცა მიზეზისა მოღებითა ჴელყოს და დააკლოს ჰრისხავსმცა მამაჲ, ძე და სული წმიდა: და ყოვლად წმიდა ხახულისა ღუთის-მშობელი, წმიდანი მთავარ-ანგელოზნი მიქეილ და გაბრიელ და ესე ზემო წერილნი ყოველნი წმიდანი ღუთისანი და კანონსამცა ქუჭშე არის წმიდათა მოციქულთა და მღვდელთ-მოძღვართაჲ, და კრულმცა არის დაუსაბოესა ღუთისა პირითა და ოდეს ყოველნი კრულნი განისხნენ დღესა მას საშინელსა განკითხვისასა იგიმცა ნუ განისხნების ყოველთა ღუთისა უარის-მყოფელთა და შემცოდეთა თანამცა დაისჯების სული მისი საუკუნოდ უკუნისამდე და ვინც მტკიცედ და უცვალებელად იპყრას ესე ყოველივე მადლი და კურთხევა ღუთისაჲ და ამა წმიდათა მთავარ-ანგელოზთა იყავნ მას ზედა და საუკუნომცა არის სახსენებელი მათი. და ვინცა კაცი რაესამცა მიზეზისათჳს ამ ანდერძისა შეშლასა ანუ ამოკვეთასა ეცადოს, კრულმცა არის ღუთისა მადლითა და ამათ ზემო კანონ-მთაცა ქუჭშე“.

ეს სახარება, ისევე, როგორც საქართველოში შემონახული სხვა [სახარებები], ერთობ ღირსშესანიშნავია არქეოლოგისათვის. ისინი ყველა ეტრატზეა ნაწერი. მახარებლების გამოსახულებები, სხვადასხვა ფიგურები და არაბესკები მკაფიოდაა შესრულებული. დამწერლობის ტიპი საეკლესიოა – მთავრული ან ნუსხური. ისინი საკმაო რაოდენობითაა შემონახული. რამდენიმე მათგანი ნახა აკადემიკოსმა ბროსემ 1847 წელს საქართველოში მოგზაურობისას. ისინი განსაკუთრებით ბევრია სვანეთში, თუმცა მათი დიდი ნაწილი დაშლილი სახით, თავბოლონაკული, ეკლესიებში მტვერში ყრია. მათგან უძველესი ინახება ჯრუჭის მონასტერში, იმერეთში. ის დანერილია ქართველთა მეფის, სუმბატის დროს შატბერდში, რომელიც ახალციხის ტერიტორიაზეა და მიეკუთვნება 936 წელს⁷. ...

გიორგი მთანმინდელის თარგმანიდან გადმონერილ ბევრ სახარებაში არის მინაწერი, რომელიც ჩვენ ლაბსყალდის სახარებაშიც დავადასტურეთ...

რომელ საუკუნეს განეკუთვნება ლაბსყალდის სახარება, უცნობია. მას არ აქვს ქორონიკონი. შესაძლოა, ის განეკუთვნება XI საუკუნეს. მონაზვნები იოანე და სვიმონი (სიმონი) უნდა იყვნენ მისი გადამწერები. როგორც ჩანს, ის წარმოადგენდა მეფე დავითის საკუთრებას, რომელიც მან თავის მოძღვარს, ბერ ილარიონ სოფრონიძეს აჩუქა. მას მიიჩნევენ რუსუდანის შვილად, შესაბამისად, ეს უნდა იყოს დავით-ნარინი, თამარ მეფის შვილიშვილი და მისი შვილის, რუსუდანის შვილი. ის ცხოვრობდა XIII საუკუნეში, საქართველოში მონღოლთა შემოსევის დროს. მინაწერში მითითებული ოპიზა არის ვრცელი

⁷ ბაქრაძე გულისხმობს სახარების ცნობილ ქართულ ხელნაწერს – ჯრუჭი I, რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ ჯრუჭის მონასტერში ინახებოდა. ამჟამად ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – H-1660, კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, H, IV, გვ. 81-82.

სავანე იოანე ნათლისმცემლისა, რომელშიც 12 მონასტერი იყო გაერთიანებული. ის აჭარაში მდებარეობს. აშოტ კურაპალატის შვილის, გურგენის მოღვაწეობის ხანაში IX საუკუნეში აშენდა და ის მრავლად იყო დასახლებული ბერებით. მონღოლების შემოსევისას, XIII საუკუნეში, ჯერ კიდევ დავით-ნარინის სიცოცხლეში, მონღოლების ერთ რაზმს უნდოდა მინასთან გაესწორებინა ოპიზა, მაგრამ ჟამთააღმწერლის მონათხრობით, სასწაულმა ძალამ გაფანტა და გაანადგურა ის. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია გელათში უნდა იყოს ის, რომელიც არის ნანგრევებში, შემალღებულზე, გელათის მონასტრის მიმდებარედ, აღმოსავლეთით.

– ეს არის ლაბსყალდის სახარება, რომელიც ამჟამად ინახება სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში – 482 (კ-71).⁸

3. ლატალის თემი, სოფ. [იფხი]

[გვ. 84] ჩინებული (საუცხოო, შესანიშნავი) სახარება: ყდა მოჭედილია ვერცხლით, მედალიონები წმინდანების გამოსახულებით მინანქრისაა. მახარებლების გამოსახულებები, ნახატები, არაბესკები, მთავრული ასოები და საერთოდ, მთელი ნაწერი დახვეწილია. ფერწერა ოქრონარევია. ვფიქრობ, რომ მთელ საქართველოში ასეთი სახარება მხოლოდ ორია. მეორე გელათის მონასტერში ინახება. ვფიქრობ კიდევაც, რომ ეს ორი სახარება ერთსა და იმავე დროსაა შექმნილი და ერთი ოსტატის ნახელავია, მიუხედავად იმისა, რომ მე ამ ხელნაწერში ვერ ვნახე ისტორიული მინანქრი. ის დაფარულია ჭვარტლით და ნახევრად დამპალია. დევს ტრაპეზის მაგიდაზე და მას ლატალელები ძალიან უფროთხილდებიან. ყდაზეა წარწერა, რომლის შინაარსიც ასეთია:

„ეს სახარება შექმნილია მისი უწმინდესობის, კათალიკოს სტეფანეს მიერ. ეს სახარება შემკულია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ქრისტე მოიხსენე...“.

არ ვიცი რამდენად სწორად აღვადგინე ამ წარწერის შინაარსი. კათალიკოსი სტეფანე ჩემთვის არ არის ცნობილი. მე ვფიქრობ, რომ არც კი შემხვედრია ქართველ ჟამთააღმწერლებთან კათალიკოსი ამ სახელით. ლატალის სახარების აშიებზე დასტურდება მინანქრები შესრულებული დაუდევრად სამოქალაქო ხელწერით, რომლებიც სხვადასხვა დროს მიეკუთვნება. ეს მინანქრები შემდეგი ხასიათისაა: სისხლის ფასის განმსაზღვრელი, ასევე, სხვადასხვა პირს, სოფელსა და თემს შორის ურთიერთვალდებულებათა დამარეგულირებელი და მათი ინტერესების ამსახველი დოკუმენტები. მსგავსი მინანქრები ხშირია ხელნაწერების უმრავლესობაზე სვანეთში. ზოგიერთი მათგანი დაკარგული

⁸ გლოველი (გამოც.), *რეგიონების ქართული ხელნაწერები*, გვ. 284; სილოგავა (გამოც.), *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, I, გვ. 49-51.

საიდუმლო დამწერლობის ტიპისაა, რომლებიც ყვავ-ფჩხილოვანის სახელით მოიხსენიება (ყვავის ბრჭყალთან მსგავსების გამო). ამ დამწერლობაში ასოების ფორმები მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და მათი გარჩევა რთულია...

თვითონ მინაწერები ჩვეულებრივი ხელითაა დაწერილი. ვფიქრობ, ისინი სვანი მღვდლების მიერაა შედგენილი, რომლებმაც, შესაძლოა, ქართული არცთუ კარგად იცოდნენ და ამიტომ წერდნენ ისე, რომ ხშირად აზრის ბოლომდე გაგება შეუძლებელია. აი, ერთი ასეთი მინაწერთაგანი, რომელიც გადმოვწერე ლატალის სახარებიდან:

„ქ. წმიდა იონას თავდებობითა და შუამდგომელობითა დავსწერეთ და დავზღვევით დაწერილი ესე ერთობილთა იონაბელთა ერთმანერთისა ნდომითა და დამონმებითა მტკიცე და უქცეველი და ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოჲ და რაჲსა გინდა ჟამისა შემოსრულობისა... უცვალებელი უთუოჲთ და უცი მას ჟამსა ოდეს მოგვინდა ჭენებიდგან ახლად სიმტკიცე ამ პირსა ზედა ვისაც იონას მოსავრსა კაცსა დაეჭიროს მისითა პირობითა ერთობილმან უშველოთ ვისაც ჭენსა მომართავს კაცსა საქმე და ვერ გავეყაროთ რას კაცის გულისათჳს არას ჭირმისათჳს არას მოჭირვებისათჳს შაპირობითა გაუყრელნი ვიყვნეთ, რომელმანც იონას მოსვარმან კაცმან ესე წერილი არ გაათავოს და უკუსდგეს ამა იონასაგან გამოსრული იყოს... და შეუყრელნი ვიყვნეთ ვინც ეს დაწერილი ამტკიცოს კურთხეულმცა არს ღუთისა პირითა“.⁹

როგორც ამ შეთანხმების, ისე სხვა მინაწერების მიხედვით, სვანეთში არსებობდა არაერთი საერთო კავშირი, ანუ გაერთიანებულ სვანთა კავშირები და სოფლებისგან შემდგარი საზოგადოებები, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი...

– ეს ხელნაწერი არის იენაშის ოთხთავი, რომელიც ამჟამად ინახება სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში – 483 (კ-72).¹⁰

4. სოფ. ლაილი, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია

[გვ. 86] ამ ეკლესიაში არის რამდენიმე ხატი, ჯვარი, ძველი, დაშლილი წმინდა წიგნები, ზარი და სპილენძის ჭურჭელი...

⁹ ეს საბუთი გამოქვეყნებული აქვს ვ. სილოგავას, იხ. სილოგავა (გამოც.), *სვანეთის წერილობითი ძეგლები, I*, გვ. 144.

¹⁰ სილოგავა (გამოც.), *სვანეთის წერილობითი ძეგლები, I*, გვ. 51; გლოველი (გამოც.), *რეგიონების ქართული ხელნაწერები*, გვ. 285; მამაცაშვილი – ქავთარაძე, *ელენე მეტრეველის არქივი*, №369, გვ. 57.

5. ლენჯერის თემი, სოფ. მუხელი (?),¹¹ მიქაელის სახელობის ეკლესია

[გვ. 93] აღსანიშნავია ეტრატის სახარება, არცთუ ისე დახვეწილი, მაგრამ საინტერესო მინაწერით, რომელიც შესრულებულია საეკლესიო ნუსხური დამწერლობით.

მათეს სახარების დასასრულს:

„მე საწყალი მწირი მიქლ გევედრები ლოცვასა წმიდაო მღვდელო სტეფანე და ყოველთა მკითხველთა ერთობით გევედრებით ამინ“.

ხელნაწერის ბოლოს:

„გევედრები კეთილო მღვდელო სტეფანე მოძღვარო სახელითა ლუთისათა მადლითა და სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისა მცხეთისაჲთა მე გლახაკი სტეფანე ხუცესი პალავრელი მნათე ყოფილი ყოველთა მოწესეთა ნარჩევი მინაჲ და მტვერი შვილი მცხეთისაჲ ღირს-მყო ღმერთმან მოუგონებელსა კეთილსა და წყალობასა მისსა და მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა ადგომასა უფლისა ჩუწნისა იესო ქრისტესა და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამანესეს მწირველად ქართლსა კათალიკოზისა ოქროპირისა წმიდა ეკკლესია გარდამოხსნისასა მლოცველად.

და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი სრულ ყოველთა სახმართა სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩემისა და მშობელთა და მოძღვართა ჩუწნთასა და ყოველთა ქრისტიანეთა სალოცველად. ქორონიკონი იყო სჲჴ“.

შემდგომად ჩემსა ვისაცა ღმერთმან მოგცეს და რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას ოთხ-თავსა სულთა განმანათლებელს წმიდასა ლოცვასა თქვენსა ჩვენცა მოგვიხსენებდით.

დაიწერა წმიდასა ადგილსა გესმანიას საფლავსა წმიდასა ლუთის მშობელისსა საბა წმიდისა განგებასა ზედა ბერძულსა დიად ხარკებითა ხელთა საწყალობელისა მიქაელ მეორისა მცხეთისავე მიწისაგან.

წმიდანო ლუთისანო ჩემგან უძროლისა რომელი ეგებოდა მშრომთა და მომიჭირვებია სულ დედასა წერილ არს.

მსგებსითა და საუფლოთა დღესასწაულთა ჟამის წირვისა ... შემოთლვა და შეცთომისა ... “

¹¹ ვფიქრობთ, ბაქრაძეს ემუქება სოფლის დასახელება, ამგვარი სოფელი ლენჯერის თემში არ არსებობს. ეს უნდა იყოს სოფ. ლამდღვერი, სადაც მდებარეობს მიქაელის სახელობის ეკლესია.

ლაშდღვერის სახარების გადამწერი ჩვენთვის არ არის ცნობილი; მინან-ერის მიხედვით, ის წარმოშობით მცხეთიდან იყო და მან თავისი ნაშრომი შეასრულა წმინდა მინაზე, გეთსიმანიაში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ცნობილია, რომ ქრისტიანობის თითქმის ყველა პერიოდში ქართველები ხშირად მოგზაურობდნენ წმინდა ადგილებში, მაცხოვრის ცხოვრებითა და სიკვდილით შთაგონებულნი, ბევრი მათგანი იქ სახლდებოდა. მკაცრი, მონასტრული ცხოვრებით [ცხოვრობდნენ], ეწოდნენ საეკლესიო წმინდა წიგნების თარგმნას ქართულ ენაზე ან ინერდნენ თარგმანებს თანამემამულეთათვის. ჩანს, რომ მათ შორისაა მიქაელ მცხეთელიც. ამ განდევილთა და მოღვაწეთა უმრავლესობა ცხოვრობდა პალესტინასა თუ მის გარეთ, ქართულ მონასტრებში, რომლებიც დაარსებული იყო ქართველი მეფეებისა თუ კერძო პირების მიერ საქართველოდან. ცნობებს ამ მონასტრების შესახებ ვხვდებით როგორც ქართველ ჟამთააღმწერლებთან, ასევე არქივისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის „მოგზაურობაში“, რომელიც ესტუმრა წმინდა ადგილებს XVIII საუკუნის II ნახევრის დასაწყისში, ასევე რუს და ევროპელ მოგზაურებთან, რომელთა შორის გამოირჩევა ანდრეი მურავიოვი. ყველაზე ღირსშესანიშნავი მონასტრებიდან იყო ივირონი ათონის მთაზე, წმინდა საბას და ჯვრის მონასტრები იერუსალიმში. ამ მონასტრების კედლებზე ამ დრომდე შემონახულია პორტრეტები მათი დამაარსებლებისა, ასევე სხვადასხვა შემონიშნული ნივთები და ქართული ბიბლიოთეკა. ამ მონასტრებს დღემდე აქვთ დასახლებული მინები საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რომლებსაც მართავენ ბერძენი არქიმანდრიტები. გოლგოთაზე და გეთსიმანიაში, რომლებიც ნახსენებია მინანერებში, ასევე იყო ქართული სავანეები...

– ეს ხელნაწერი დღეს დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, H-1741, 1048 წ.¹²

6. მესტია, სეტი

[გვ. 98] შესანიშნავი სახარება ეტრატზე, მთავრულით ნაწერი და მოხატული. ბოლოში ერთვის შემდეგი მინანერი:

„გლახაკმან ილარიონ, ძემან მასორისმან ... ეპისკოპოსმან მოვიგე წმიდა ესე ... და აღვწერე ლავრასა შინა კურთხეულისა წმიდისა წინა-მორბედისა იოვანესა ოპიზას ჳელითა გლახაკისა გაბრიელ გიორგის ძმისწულისათა ქორონიკონსა სნგ-სა სალოცველად და სადიდებელად ლუთივ მორწმუნეთა მეფეთა ჩუჴნთა ბაგრატ კუროპალატისა და დედისა მათისა მარიამ დედოფალთ დედოფლი-

¹² კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, H, IV, გვ. 173-174.

სა ადიდენ ღმერთმან სალოცველად ... და სულისა ჩემისა და სალოცველად ძმისწულისა იოვანესი და შკლთა მისთა ... და გიორგისთჳს“.

როგორც ჩანს, ეს სახარება გადაწერილია იოანე ნათლისმცემლის ლავრაში, ოპიზაში, გიორგის ძმისწულის, გლახაკი გაბრიელის ხელით, ეპისკოპოს ილარიონისათვის. ქორონიკონად მიჩნეულია 253-1033. ეს პერიოდი განეკუთვნება ბაგრატ IV-ის მეფობის ეპოქას, რომელსაც ნამდვილად ჰქონდა კურაპალატის ტიტული და რომლის დედასაც მარიაში ერქვა...

– ეს არის ე. წ. მესტიის ოთხთავი, 1033 წ.; ამჟამად დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში – 1 (კ-70).¹³

7. მულახის თემი, სოფ. ზარდლაში, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია

[გვ. 100] ქალაღდზე ნანერი კონდაკი, შეიცავს იოანე ოქროპირის ლიტურგიას, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლოცვებს მიცვალებულთათვის შემდეგი მინაწერებით:

„უნყოდეთ, რამეთუ ესე ლოცვანი არა აქუსთ ბერძენთა და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმული არს და ამისთჳს არც ჩვენ დაუტევეთ ... ღმერთო შეინყალე ცოდვილი მონა ლუთისაჲ პეტრე მღვდელი ორსავე სოფელსა შინა. ამინ“.

– იდენტიფიკაცია არ ხერხდება.

8. მუჟალ-მულახის თემი

[გვ. 108] სახარება, ნანერი ეტრატზე საეკლესიო ასოებით. მისი არაბესკები და სათაურები მშვენიერია. მარკოზის სახარების ბოლოს ვკითხულობთ:

„ლოცვა ყოველ გიორგი ბერისათჳს, დაინერა მთასა საკრველსა თორნესა წმინდისა სჳმეონისასა. ღმერთმან შეუნდგნენ ბასილსა დეკანოზსა დიდად მილუნა. თქვენცა აკურთხეთ“.

ლუკას სახარების ბოლოს:

„მას ჟამსაჲ დაინერა ესე ოთხთავი ოდეს ანტიოქია სომეხთა ადღეს. ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათჳს ამისსა მადლსა და გლხ ეხმარების“.

იოანეს სახარების ბოლოს:

¹³ გლოველი (გამოც.), რეგიონების ქართული ხელნაწერები, გვ. 281; სილოგავა (გამოც.), სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 41-42.

„მე გიორგი ბერი ლოცვას მომიხსენეთ და მშობელნი ჩემნი“.

– ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – H-1791.¹⁴ კოლოფონთა ნაწილი დღეს დაკარგულია.

9. მაცხოვრის სახელობის ეკლესია სოფელ მუჟალის მახლობლად

სახარება ეტრატზე, მის ბოლოს:

„სამებო ერთთაებო ... იხსენ სატანჯველთაგან გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი“.

– იდენტიფიკაცია არ ხერხდება.

... სვანეთი ქართველებს ყოველთვის მიაჩნდათ მეტ-ნაკლებად მიუვალად გილადა თავისი ბუნების გამო, სადაც საფრთხის შემთხვევაში მიჰქონდათ და ინახავდნენ სამეფო განძს. შემორჩენილი მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სვანეთი იყო სავსე ყველანაირი იშვიათობით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ ახლაც მაღავენ კოშკებსა და მიწის ქვეშ. სასურველია საგულდაგულო ჩხრეკა, ან ბოლოსდაბოლოს [დასაშვებია ისიც], რომ შესანიშნავი ხელნაწერები აქედან წაიღონ, მაგალითად, ლატალის დიდებული სახარება, რომელიც ჭვარტლითაა დაფარული და იღუპება, ასევე სახარების სხვა ხელნაწერებიც.

10. იფარის თემი, სოფ. ზეგანი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია

[გვ. 112] ძალიან საინტერესო ხელნაწერი, რომელსაც არქეოლოგმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს *მეტაფრასია*, ანუ *წმინდანთა ცხოვრება*. მის დასასრულს ასეთი მინაწერია:

„მე გლახაკმან იოვანე მესვეტემან აღწერე წამებაჲ ესე წმინდათა მოწამეთა, წმინდისა გიორგისა და წმინდისა თეოდორეს სასწაულნი სალოცველად ადიდენ ღმერთმან ვახტანგ ფარჯანიანისა და ღუთივ მონიჭებულთა შვილთა მისთა. ან ვინ იკითხავდეთ გულსმოდგინედ ულოცვედით რათა ღმერთმან ერთობით ადიდნეს შვილნი და მშობელნი ნებასა ზედა მათსა, ამინ.“

დაიწერა სვეტსა ზედა ჭყუნდიდისასა ადნ ღმერთმან მეფობასა ბაგრატ კუროპალატისასა ინდიკტიუნსა :დ: ქორონიკონსა ს:ნ:ა: ჴელთა იუვანე მესვეტისათა“.

– ეს *მეტაფრასული კრებული დღეს დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში* – Q-240, 1031 წ.¹⁵

¹⁴ ოთხმეზური (რედ.), *უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში*, გვ. 120.

¹⁵ ალექსიძე – კუდავა, *თარიღიანი ხელნაწერები*, გვ. 75; აბულაძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, Q, I, გვ. 246-247.

დამონეხული ლიტერატურა

- აბულაძე** (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, Q, I = ილ. აბულაძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია*, I, შემდგენლები: ე. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე, თბილისი, 1957.
- ალექსიძე – კუდავა** (გამოც.), *თარიღიანი ხელნაწერები = თარიღიანი ქართული ხელნაწერები IX-XVI სს., ალბომი*, შემდგენლები: ზ. ალექსიძე, ქ. ასათიანი, ბ. კუდავა, ე. მაჭავარიანი, თ. ოთხმეზური, მ. სურგულაძე, დ. ჩიტუნაშვილი, თ. ჯოჯუა, თბილისი, 2015.
- ბარამიძე** (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, A, V = ალ. ბარამიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია)*, V, შემდგენელი: ლ. ქუთათელაძე, თბილისი, 1955.
- გლოველი** (გამოც.), *რეგიონების ქართული ხელნაწერები = შ. გლოველი (გამოც.), საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები*, შემდგენლები: გ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, თბილისი, 2015.
- თაყაიშვილი**, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს* = ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, პარიზი, 1937.
- კეკელიძე** (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, H, IV = კ. კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია)*, IV, შემდგენელი: ე. მეტრეველი, თბილისი, 1950.
- მამაცაშვილი – ქავთარაძე**, *ელენე მეტრეველის არქივი = ელენე მეტრეველის პირადი არქივის აღწერილობა*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მ. მამაცაშვილმა და ე. ქავთარაძემ, თბილისი, 2008.
- ოთხმეზური** (რედ.), *უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში* = თ. ოთხმეზური (რედ.), *უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები საქართველოს სიძველეთსაცავებში, ილუსტრირებული კატალოგი*, შემდგენლები: ვ. კეკელია, ნ. მიროტაძე, თ. ოთხმეზური, დ. ჩიტუნაშვილი, თბილისი, 2018.
- სილოგავა** (გამოც.), *სვანეთის წერილობითი ძეგლები, I = სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986.
- Бакрадзе, Сванетия** = Д. Бакрадзе, *Сванетия, Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, VI*, 1861.

DIMITRI BAKRADZE ABOUT MANUSCRIPTS OF SVANETI

Abstract

An important part of the activities of the prominent Georgian historian, archaeologist and ethnographer, Dimitri Bakradze (1826-1890) was collection and study of the old Georgian manuscripts. In 1858 by support of the Geographical Society of Russia he took a journey in the mountainous region of Georgia, Svaneti. Description of the journey is presented in his book *Svanetia* (1861, in Russian). Big part of the work is dedicated to the description of the old Georgian manuscripts, which the scholar had found in the churches of Svaneti during his journey.

In the paper is presented Georgian translation of the parts of Bakradze's work, where the researcher recounts about the old manuscripts found in Svaneti. These manuscripts are identified by us, as far as it was possible. It appeared that some of these manuscripts nowadays are preserved in Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts. These are: the Gospel (A-1699, the 10th c.), the Gospel (H-1741, copied in Gethsemane in 1048), Collection of the metaphrastic works (Q-240, 1031), the Gospel (H-1791, copied in Antioch, at the Monastery of St. Simeon, 1213-1216). Some other manuscripts are preserved at the Historical and Ethnographical Museum of Svaneti: the Gospel of Labskaldi (482 k-71), the Gospel of Ienashi (482 k-72) and the Gospel of Mestia (1 k-70).

Tsitsino Guledani

Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi

ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის ციფრული დოკუმენტირების პროექტები

წინამდებარე სტატია ეხება ქველი ქართული ენობრივი მემკვიდრეობის თანამედროვე ციფრული დოკუმენტირებისა და კვლევის პრობლემატიკას. ამდენად, ის პირდაპირ უკავშირდება აკადემიკოს ელენე მეტრეველის საეტაპო ნაშრომებს. ვგულისხმობ მის მიერ ქველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურის კვლევას, მათ ბეჭდურ პუბლიკაციებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში,¹ რომელთა თანამედროვე ციფრული ანალოგები დღეს იქმნება და არაერთი ენობრივ-ტექსტოლოგიური თუ საისტორიო პრობლემატიკის წინაშე აყენებს გამომცემელს. სტატიაში ამ ფუნქციური პერსპექტივიდან შევხვები ქალბატონი ელენეს ღვაწლს, მისი გამოცემების ეპოქალურ მნიშვნელობას; ასევე ვისაუბრებ იმაზე, როგორ მესახება უმდიდრესი ქველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის თანამედროვე ციფრული სტანდარტული გამოცემების მომზადება.

ქველი ქართული ენობრივი მემკვიდრეობის მიმართ საერთაშორისო ინტერესის გაჩენა ევროპული სამეცნიერო პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილია; პირველად სწორედ ევროპაში შეამჩნიეს პრუსიისა და გერმანიის სამეფო აკადემიის, ავსტრიის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის სააზიო საზოგადოებებმა, მოგვიანებით ბელგიის ემისრებმა, რომ მაშინ რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო ქველი კულტურული სამყაროს უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო და მას, ლურსმულიდან დაწყებული (ურარტული), ქამარივით ერტყა გარს თითქმის ყველა ქველი ცივილიზაციის სარტყელი.² ამდენად, საქართველოს მრავალენოვანი ტექსტური მემკვიდრეობის, საქართველოში

¹ უცხოურ სამეცნიერო გამოცემათაგან განსაკუთრებული, საეტაპო მნიშვნელობისაა ელენე მეტრეველის ინიციატივით და ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერებმა ბელგიელ კოლეგებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საერთაშორისო სამეცნიერო სერიაში Corpus Christianorum (Turnhout, Brepols Publishers) გამოაქვეყნეს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქველი ქართული თარგმანები.

² შდრ. “Die frühen Zeichen- und Schriftfunde auf georgischem Boden lassen erkennen, dass Georgien zu jener Zone gehörte, die als Gürtel die ältesten Kulturzentren der Menschheit in Vorderasien umschloß. Dieses Gebiet hatte Kontakt zu den Völkern Kleinasien, des Mittelmeerraums und Mesopotamiens und zu deren kulturellen Errungenschaften”, იბ. Fährnich, Gab es eine georgische Schrift, S. 434.

აღმოჩენილი ან დაცული ურარტული, არამეული, ებრაული, ბერძნული თუ აღმოსავლურენოვანი ძეგლების (როგორც ეპიგრაფიკული, ისე ხელნაწერი) პუბლიკაცია და სიღრმისეული შესწავლა აუცილებელი წინაპირობა იყო ძველი მსოფლიოს დიდი კულტურული პროცესების საკვლევად.

აღმოსავლეთში ამ კულტურული კვალის ძიებამ ევროპული საუნივერსიტეტო საზოგადოება სამი საუკუნის წინ, 1702 წელს, მიიყვანა გერმანიაში ორიენტალისტიკის შემსწავლელი პირველი ინსტიტუტის Collegium Orientale Theologicum-ის დაარსებამდე.³ შემდგომში ამას მოჰყვა ინსტიტუტები, კვლევითი ჯგუფები და სააზიო საზოგადოებები ევროპის სხვადასხვა სამეფო აკადემიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბელგიაში. ამ პირველი სამეცნიერო ჯგუფების ფუნქცია იყო მათთვის წყაროებით ცნობილი აღმოსავლეთის, მათ შორის ქრისტიანული აღმოსავლეთის, სამწერლობო-კულტურული ტრადიციის დადასტურება, აღიარება, პუბლიკაცია და კვლევის არეალში შემოტანა.⁴

ძველი ქართულის, როგორც გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების აღმოსავლეთ-ქრისტიანული ტრადიციის მნიშვნელოვანი ნაწილის, საერთაშორისო სამეცნიერო ლეგიტიმაცია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნობილი ევროპელი მეცნიერების, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის, პაულ პეეტერსის, ჰუგო შუხარდტის, ჟერარ გარიტისა და სხვათა ღვაწლს უკავშირდება. სწორედ ამ ევროპელ მეცნიერთა დამსახურებაა საქართველოში დაცული უცხოენოვანი ძეგლებისა და ძველი ქართული ტრადიციის უმნიშვნელოვანესი ტექსტების პუბლიკაცია, მათი ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში; XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო მნიშვნელოვანი ძველი ქართული ძეგლების გამოცემა ისეთ ცნობილ საერთაშორისო სერიებში, როგორიცაა CSCO (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, Scriptorum Iberici), გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის ცნობილ გამოცემებში; ლათინურად, თუ ევროპულ ენებზე ითარგმნა გამორჩეულად საინტერესო ტექსტები. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართულ მეცნიერებაში, უნივერსიტეტის დამაარსებელთა პირველი თაობის მართლაც გარღვევა რუსული იმპერიიდან, როცა გასული საუკუნის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილმა გერმანიაში გამოსცა „ვესტატი

³ Collegium Orientale Theologicum – ასე ერქვა ჰალეს უნივერსიტეტში ცნობილი ორიენტალისტიკის, აუგუსტ ჰერმან ფრანკეს (August Hermann Franke) მიერ დაარსებულ კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ამ მიმართულებით პირველი იყო ევროპაში. Fleischhammer, Die Orientalistik an der Universität Halle, s. 877-884.

⁴ პირველ ასეთ აღიარებად შეიძლება ჩაითვალოს ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მოგზაურობის ჩანაწერები, რომელიც 1839-1843 წლებში ექვს ტომად გამოიცა პარიზში (Dubois, *Voyage*). ამ გამოცემაში შევიდა დიუბუას მიერ 1833 წელს საქართველოში მოგზაურობისას მიკვლეული ძეგლები, ასევე, მარი ბროსეს მიერ შესწავლილი ეპიგრაფიკული მასალა. ეს გამოცემა ევროპის სააზიო და გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა არაერთგზის დააჯილდოვეს, თავად დიუბუა კი შვეიცარიაში მიიწვიეს არქეოლოგიის მიმართულების კათედრაზე სამუშაოდ. იხ. სილოგავა, *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, 1; სილოგავა, მარი ბროსე; კალხიტაშვილი, *ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსი*.

მცხეთელის ნამების“ გერმანული თარგმანი გამოკვლევითურთ, მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ჰუმანიტარის, ადოლფ ჰარნაკის რედაქტორობით, ხოლო ჰანს კლაუს შულცეს რედაქტორობით – „აბო თბილელის მარტვილობის“ გერმანული თარგმანი.⁵

ქართული საუნივერსიტეტო მეცნიერების დამაარსებლების, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის მოწაფემ, აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის სამეცნიერო პუბლიკაციასა და კვლევაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო; კერძოდ, მან ქართულენოვანი მასალის ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევაში ფართო გაგებით დაამკვიდრა საერთაშორისო ტექსტოლოგიური და კოდიკოლოგიური სტანდარტი, შექმნა ახალი ეტაპი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ძველი ქართული ტექსტების პუბლიკაციითა და გამოკვლევებით, ათონის, ანტიოქიისა და იერუსალიმის სამწერლობო ცენტრების სისტემური შესწავლით. დღემდე გამოცანად რჩება, საბჭოურ პერიოდში როგორ მოახერხა ქალბატონმა ელომ ინსტიტუციურ დონეზე დასავლური კვლევითი მეთოდოლოგიისა და ტექსტის დოკუმენტირების სტანდარტების ნორმად დამკვიდრება.

1990-იანი წლებიდან, ანუ დამოუკიდებლობის პერიოდიდან მოყოლებული, ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერებები, მათ შორის, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური მიმართულება, არათუ გათავისუფლდა საბჭოური კლიშეებისგან, პირიქით, უფრო მკვეთრად ჩამორჩა დასავლურ სტანდარტებს. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით შესამჩნევი გახადა ამ პერიოდში ევროპულ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ციფრული ტექნოლოგიების დამკვიდრებამ. ამ უკანასკნელმა მთლიანად შეცვალა ნებისმიერ ენაზე ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავებისა და გადაცემის სტანდარტი, ბეჭდური გამოცემების, შესაბამისად, კრიტიკული გამოცემის სტანდარტის გვერდით გაჩნდა ციფრული მეთოდოლოგიური სტანდარტები, რომელთა მიხედვით შეიქმნა ტექსტური კორპუსები, მონაცემთა ბაზები.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებშივე გამოჩნდა ძველი ქართული ენის მდიდარი ტექსტური მემკვიდრეობის პირველი ციფრული რესურსები,⁶ ქარ-

⁵ Djavakhishvili, Das Martyrium, S. 875-902; Schultze, *Das Martyrium*.

⁶ ამ რესურსთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო 1999-2002 წლებში განხორციელებული საერთაშორისო პროექტი არმაზი (<http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm> Armazi Project *Caucasian Languages and Cultures: Electronic Documentation*), რომელსაც პროფესორი იოსტ გიპერტი ხელმძღვანელობდა. მასში გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა ქართული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუციები. ქართული მხარის აქტიური ჩართულობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ციფრული ჰუმანიტარიის სტანდარტების ჯეროვნად ათვისება და უმდიდრესი ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის კორპუსული პროექტების დამოუკიდებლად განხორციელება ქართულ საუნივერსიტეტო თუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებში. ძველი ქართული ტექსტების კომპიუტერული დამუშავების თეორიული საკითხები ზოგად კონტექსტში განხილულია მ. გურაბანიძის ნაშრომში, იხ. გურაბანიძე, *ქართული საისტორიო წყაროები*.

თულ სამეცნიერო სივრცეში ამ სტანდარტების ინსტიტუციური დამკვიდრება მოგვიანებით, 2010 წლიდან დაიწყო.

ქვემოთ განვიხილავ ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის რამდენიმე ციფრულ რესურსს, რომლებიც შექმნილია კორპუსული მეთოდოლოგიური სტანდარტის მიხედვით. ამ მიმართულებით პირველი პროექტი, „ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსი“, 2010-2012 წლებში განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში⁷ და მიეძღვნა პოემის პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლის იუბილეს. აღნიშნული პროექტი ერთ-ერთი ქვეკორპუსის სახით, შეტანილია ქართული ენის ყველაზე მასშტაბურ ანოტირებულ კორპუსში, რომელიც 130 მილიონამდე სიტყვა-ფორმას შეიცავს (იხ. სურათი 1) და შედგება მონოლინგუური და ბილინგუური ქვეკორპუსისგან. ამ ეტაპზე მონოლინგუურ ბლოკში წარმოდგენილია:

ა) ახალი და უახლესი ქართული ენის ტექსტური ბაზა, რომელშიც დოკუმენტირებულია სხვადასხვა ჟანრის 3500-მდე ტექსტი (მხატვრული, არამხატვრული, პუბლიცისტიკა); კორპუსში ჩაშენებულია ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორი, რომელიც შეიქმნა აგლუტინაციური ენებისთვის აპრობირებული მეოდოლოგიური ციფრული ხელსაწყოების მიხედვით.⁸

ბ) ძველი და საშუალო ქართული ენის კორპუსი, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს ძველ ქართულ მთარგმნელობით ქვეკორპუსებს⁹ და ორიგინალურ ლიტერატურას.

⁷ პროექტის იდეა ეკუთვნის პროფ. ირინა ლობჯანიძეს, რომელმაც ამ პროექტით ძველი ქართული ტექსტური კორპუსების შექმნის თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო.

⁸ მორფოლოგიური ანალიზატორი და ახალი და თანამედროვე ქართული ენის ანოტირებული ბაზა შეიქმნა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში (გრანტი Nr. FR17—62, ხელმძღვანელი ნ. დობორჯგინიძე). ქართულის საანალიზო ინსტრუმენტის მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ შერჩეული იყო კ. ბესლისა და ლ. კარტუნენის მიერ აგლუტინაციური ენებისთვის შემუშავებული სტანდარტი (Beeslay – Kartunnen, *Finite State Morphology*; Koskenniemi, *Two-Level Morphology*). მორფოლოგიურ ანალიზატორზე მომუშავე ჯგუფს ხელმძღვანელობდა ირინა ლობჯანიძე. ამჟამად, დამუშავების პროცესშია ძველი ქართული ენის მოდული, რომელიც ჩაშენდება მორფოლოგიურ ანალიზატორში. ძველი ქართულის ანალიზატორი, ჯერჯერობით, არაა შექმნილი. ძველი ბერძნულიდან ნათარგმნი ტექსტების მიხედვით პარალელური კორპუსის სიტყვათა გათანაბრებასა და ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულების ინდექსაციისა და ანალიზის პრობლემატიკაზე მუშაობს კვლევითი ჯგუფი ლუვენ-ლა-ნევის უნივერსიტეტში. იხ. Kindt, *Processing Tools*; Pataridze – Kindt, *Text Alignment*.

⁹ ამ ეტაპზე დასრულებულია V-X სს. წინათონური თარგმანებისა და X-XI სს. ათონური თარგმანების კორპუსები, ამჟამად მუშავდება XI-XII სს. ანტიოქიური და XII-XIII სს. გელათური სკოლის მთარგმნელობითი კორპუსის ტექსტები.

სურათი 1



თავის მხრივ, მთარგმნელობითი ქვეკორპუსები სათარგმნი ენის მიხედვით დაყოფილია სექციებად; წინათონური კორპუსის შემთხვევაში, გამოყოფილია ბერძნულიდან, სირიულიდან, არაბულიდან და სომხურიდან ნათარგმნი ტექსტების ბლოკები:


სურათი 2



ამგვარი კონცეპტუალური მიდგომით მთარგმნელობით კორპუსში მდიდარი ქართულენოვანი მემკვიდრეობა წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ისტორიული გრამატიკის პერსპექტივიდან (ძველი, საშუალი, ახალი, უახლესი ქართული), მეორე მხრივ, ქართულის უცხო ენებთან და კულტურებთან ურთიერთობების ჩარჩოს მიხედვით: ბერძნული, არაბული, სირიული და სომხური (იხ. სურ. 3).

ბილინგვურ ბლოკში წარმოდგენილია ქართულიდან უცხო ენებზე ნათარგმნი ლიტერატურა. ამ ეტაპზე დასრულებულია ორი პროექტი: „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური (ქართულ-ინგლისური) და „ქართლის ცხოვრების“ პარალელური (ძველი ქართული – ძველი სომხური – ახალი ქართული) კორპუსი.¹⁰

სურათი 3



„ვეფხისტყაოსნის“ კორპუსში შესულია როგორც პოემის ქართული ტექსტური და ვიზუალური მემკვიდრეობა,¹¹ ისე ინგლისურენოვანი პროზაული და პოეტური თარგმანები.¹² ტექსტური მემკვიდრეობის ბლოკი მოიცავს დღემდე ცნობილ ყველა ხელნაწერს, 50-ზე მეტ გამოცემას, ტექსტის მინაწერებს:¹³


¹⁰ <http://corpora.iliauni.edu.ge>; <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=node/11>

¹¹ იხ. ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკი <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/vizualuri—memkvidreoba>

¹² კორპუსში წარმოდგენილია მარჯორი უორდროპისა და ვენერა ურუშაძის თარგმანები.


¹³ აღნიშნული კორპუსის ლინგვისტურ-ტექნოლოგიური სტანდარტის, მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და ტექსტოლოგიური პრობლემატიკის შესახებ იხ. Doborjginidze – Lobzhanidze, Corpus, pp. 91-100.

სურათი 4




ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკში შესულია სხვადასხვა პერიოდში შესრულებული მინიატიურები, ყდები და თითო გვერდის ფოტო ყოველი ხელნაწერიდან. აღნიშნული ბლოკი მომზადდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად და მასვე ეკუთვნის კორპუსის ამ ბლოკში შესული ვიზუალური მემკვიდრეობის საავტორო უფლებები:

სურათი 5



გამოცემის მომზადებისას აღინერა და კორპუსულად გამოქვეყნდა რამდენიმე აქამდე აღუწერილი ხელნაწერი ან ცალკეული ფრაგმენტი, მომზადდა ხელახალი, შევსებული და შესწორებული აღწერილობა, გასწორდა ძველ აღწერილობებში არსებული უზუსტობები აკინძვის, ნუმერაციისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით;¹⁴ თითოეულ ხელნაწერს და გამოცემას კორპუსში დაერთო ახალი, კორექტირებული გარე აღწერილობა დაზუსტებების მითითებით:


სურათი 6




ტექსტური მემკვიდრეობის ბლოკში შესაძლებელია როგორც თითოეული გამოცემისა და ხელნაწერის, მათ შორის დაზიანებული ხელნაწერის (იხ. სურ. 7), ავთენტური ტექსტის გაცნობა, ასევე ძიება სპეციალური ფილტრების მეშვეობით (იხ. სურ. 8). ხელნაწერის დოკუმენტირებისას, ზუსტადაა დაცული პუნქტუაცია, დაზიანებული ადგილები და სხვა თავისებურებები.

¹⁴ შდრ. პირველად აღინერა და გამოქვეყნდა პომის ტექსტის შემცველი შემდეგი ხელნაწერები/ფრაგმენტები: Q-114, Fr. 147, Fr. 302. აღწერილობაში დაზუსტდა ხელნაწერების – H-66-ისა და H-743-ის რესტავრაციის ხარვეზი – არეული გვერდები. დაზუსტდა და აქამდე უცნობი მასალით შეივსო შემდეგ ხელნაწერთა აღწერილობები: H-757, H-1090, S-4997, S-2304, Q-1335, Q-1082, Q-376, H-3061, H-2055, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოპირები: W-17 და W-27 (ვორდროპების კოლექცია, ზოდლეს ბიბლიოთეკა, ოქსფორდი). აღწერილობისთვის პირველად მომზადდა და პორტალზე გამოქვეყნდა შემდეგი ხელნაწერების მინაწერები: A-363, H-167, H-403.

სურათი 7



სურათი 8




„ვეფხისტყაოსნის“ სტანდარტული კრიტიკული გამოცემა (ვგულისხმობ ეკ-დოტიკის პრინციპების მიხედვით სქემის დადგენას) არ არსებობს; გამოცემები და ხელნაწერები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება როგორც სტროფების რაოდენობის მიხედვით, ასევე შინაარსობრივად; შესაბამისად, პროექტის ფარგლებში საჭირო გახდა პროგრამული უზრუნველყოფის, Corpuser-ის შექმნა,¹⁵ რომელმაც ნახევრად ავტომატურ რეჟიმში შესაძლებელი გახადა ხელნაწერთა და გამოცემათა ტექსტების ერთმანეთთან გათანაბრება.

ამავე პრინციპითაა აგებული „ქართლის ცხოვრების“ პარალელური (ქართულ-სომხური) კორპუსი.¹⁶ ტექსტურ ბლოკში ავთენტური, ხელნაწერისეული ფორმატის დაცვით (იხ. სურ. 9), წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერი ტექსტები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე არც ერთ გამოცემაში ყოფილა გათვალისწინებული, მეტიც – აღწერილიც კი. ამ ეტაპზე, კორპუსის ტექსტურ ბლოკში წარმოდგენილია 45 დღემდე გამოუქვეყნებელი და 10 გამოქვეყნებული ხელნაწერი. ამავე ბლოკში წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი და ამ უკანასკნელის ახალი ქართული თარგმანი. ძეგლის განხორციელება შესაძლებელია სხვადასხვა ფილტრზე დაყრდნობით. ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკი აძლევს მომხმარებელს საშუალებას, დაათვალიეროს „ქართლის ცხოვრების“ შემცველ ხელნაწერებში დაცული მინიატიურების, ხელნაწერთა ყდებისა და კალიგრაფიის ნიმუშები.

¹⁵ ტექსტების დაბალანსების ეს პროგრამა შექმნა პროგრამისტმა მერაბ ზაკალაშვილმა.


¹⁶ კორპუსის შესახებ იხ. დობორჯგინიძე – ლობჯანიძე, ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი, გვ. 367-379.

სურათი 9



„ქართლის ცხოვრების“ ბილინგვურ ნაწილში წარმოდგენილი ძველი ქართული ტექსტი დაბალანსებულია მის უძველეს სომხურ თარგმანთან და ასევე ილ. აბულაძის მიერ ძველი სომხურიდან შესრულებულ (იხ. სურ. 10) ახალ ქართულ თარგმანთან.¹⁷

სურათი 10



¹⁷ იხ. აბულაძე (გამოც.), ქართლის ცხოვრება.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული ორიგინალი და მისი ძველი სომხური თარგმანი რობერტ ტომსონმა თარგმნა ინგლისურად და გამოსცა.¹⁸ პარალელური კორპუსის ნაწილში, სამომავლოდ, ვგეგმავთ ამ თარგმანისა და ასევე, XIX-XX სს. შესრულებული ფრანგული და გერმანული თარგმანების ჩართვას.

პარალელურ კორპუსში შესაძლებელია როგორც ლოკალური (კონკრეტული ხელნაწერი, გამოცემა), ისე გაფართოებული ძიება ტექსტის შემცველ ხელნაწერთა ჯგუფის, საცავის, ფონდის, კოლექციის, ტექსტის ავტორის, ენის, წერის სახეობის, შექმნის/გადანერის თარიღის მიხედვით:

სურათი 11

The screenshot shows a search interface for a parallel corpus. At the top, there is a search bar with the text "შეიძლება ავტომატურად დაგვამოძიოთ" and a "საძიებო" button. Below the search bar, there is a section titled "მართი წიგნის ბიბლიოთეკა" with a list of manuscript numbers and dates. The main search criteria section is divided into two parts: "საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა" and "საპროფესორო ბიბლიოთეკა". Each part has several input fields for search criteria, including manuscript name, author, date, and other identifiers. The interface is in Georgian and has a clean, modern design.


ძიება შესაძლებელია როგორც კონკრეტული სიტყვის, ისე სიტყვის ნაწილის მიხედვით; ძიების შედეგებს თან ახლავს რაოდენობრივი მაჩვენებელი: რამდენი სიტყვაა მთელ კორპუსში ან ძიებისთვის შერჩეულ ტექსტში, მათ შორის, რამდენია საძიებელი სიტყვა ან სიტყვის ფორმა და ა.შ.

¹⁸ Thomson, *Rewriting Caucasian History*.



საძიებელ სიტყვასთან დაკავშირებულია ამ სიტყვის შემცველი ხელნაწერის გარე აღწერილობა, რომელშიც სტანდარტული კორპუსული მეტაანოტირების შესაბამისად, დოკუმენტირებულია სრული ინფორმაცია როგორც კორპუსული პროექტის შექმნის, ისე ტექსტური და ტექსტთან დაკავშირებული ვიზუალური მემკვიდრეობის შესახებ.¹⁹ პორტალზე სრულად არის გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ მინაწერები:

¹⁹ გარე აღწერილობა შედგება შემდეგი ბლოკების/ქვებლოკებისგან: 1. პროექტის აღწერა: დამფინანსებელი ორგანიზაცია, წამყვანი ორგანიზაცია, პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, პასუხისმგებელი პირის ფუნქცია, პასუხისმგებელი პირი, ორგანიზაცია, პროექტის სახელწოდება; 2. ფაილის აღწერა: ფაილის ავტორის გვარი, სახელი, ფაილის წყარო, ფაილის ენა, ფაილის ზომა, კბ, ფაილის შექმნის თარიღი, ფაილის შექმნის ადგილი, ინფორმაცია ფაილში შეტანილი ცვლილებების შესახებ და ა.შ.; 3. ნაბეჭდი ტექსტის დაბასიათება: ტექსტის სახელწოდება, ავტორის სახელი, გვარი, წყარო ენა, ტექსტის შექმნის თარიღი, ტექსტის შექმნის ადგილი, გამომცემელი, გამომცემის ადგილი, გამომცემის თარიღი, რედაქტორი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, ტომების/ნომრების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა, ტექსტის გვერდები (-დან -მდე), ISBN/ISSN, ნვდომა, გამავრცელებელი, უფლებამოსილი ორგანიზაცია, შენიშვნები; 4. ხელნაწერის აღწერა: შენახვის ადგილი, საცავის სახელწოდება, საცავის ნომერი, კოლექციის სახელწოდება, დამატებითი საიდ. კოდი, კატალოგის ნომერი, ხელნაწერის ავტორის, გადამწერის ან შემდგენლის გვარი, სახელი, ხელნაწერის ავტორის ფუნქცია, ხელნაწერის სახელწოდება; 5. ხელნაწერის ენა და საწერი სისტემა: ხელნაწერის ენა და ანბანის ტიპი (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული); 6. ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა: ობიექტის ფორმა, მასალა, ქაღალდი, ფურცლების რაოდენობა, ფურცლის ზომა, სიმაღლე, სიგანე, ხელნაწერის მდგომარეობა (ცვლილებების, დაზიანებების აღწერა), ხელნაწერის ფურცლების დანომრვის აღწერა (მაგ., რექტო, ვერსო და ა.შ.); ფურცლების თანმიმდევრობის დაბასიათება (მაგ. არეული თანმიმდევრობა და ა.შ.); 7. ხელნაწერის შემადგენლობა: ხელის აღწერა, სკრიპტის აღწერა, მინიატიურებისა და დეკორაციების აღწერა, მინაწერები; 8. ხელნაწერის ისტორია: ხელნაწერის შექმნის ადგილი, ხელნაწერის შექმნის თარიღი (...-დან ... -მდე), ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ საცავში მოხვედრამდე (არსებობის შემთხვევაში), ინფორმაცია ხელნაწერის შექმნისა ან ჩუქების შესახებ.



ასომთავრული და ნუსხური ხელნაწერებისთვის მომზადდა სპეციალური კონვერტორი, რომელიც მომხმარებელს/მკითხველს აძლევს საშუალებას, გაეცნოს ასომთავრულ და ნუსხურ ხელნაწერებს მხედრულით.

ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის კორპუსული გამოცემების მომზადება მრავალწლიანი პროექტია და გრძელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.²⁰ 2018 წელს დასრულდა და ქართული ენის პორტალზე ინტეგრირდება ორი პროექტი: „*შუშანიკის ნამების*“ პარალელური (ქართულ-სომხური) კორპუსი; ანტიოქიური სკოლის მთარგმნელობითი კორპუსი.²¹

²⁰ 2010 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული კორპუსული ლინგვისტიკის, ზოგადად, ციფრული ჰუმანიტარიის პროექტები სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. მათგან უმნიშვნელოვანესია ციფრული ეპიგრაფიკა (საქართველოს ქართული, ებრაული, არამეული, ბერძნული და სომხურენოვანი ეპიგრაფიკის კორპუსი <http://epigraphy.iliauni.edu.ge/>) და ციფრული პროსოპოგრაფია (საქართველოს პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა და სოციალური კლასტიკების ანალიზი <http://prosopography.iliauni.edu.ge/>; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა <http://prosopography.iliauni.edu.ge/>; ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში. პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა <http://qakuna.iliauni.edu.ge/ka/>). დამუშავების პროცესშია საქართველოს კათოლიკური მისიებისა (XVII-XIX სს.) და ოსმალური დავთრების (*ვილაიეთის დიდი დავთარი*) პროსოპოგრაფია.

²¹ ძველი ქართული ტექსტური მემკვიდრეობის ხელნაწერების და გამოცემების კორპუსულ დოკუმენტაციაზე მუშაობენ ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევრები: ცინო ხახვიაშვილი, ნატო ბილანიშვილი, გიორგი ჩუბინიძე, შალვა თუმანიშვილი, ნინო დათაშვილი; პროექტის კონსულტანტი: თამარ პატარიძე; პროექტის ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე. პროგრამულ უზრუნველყოფასა და კორპუსის დიზაინზე მუშაობენ: თამარ კაპანაძე, ანი ასათიანი, გიორგი მირიანაშვილი.

დამონეხული ლიტერატურა

- აბულაძე** (გამოც.), *ქართლის ცხოვრება* = ი. აბულაძე, *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, რედ. აკაკი შანიძე, თბილისი, 1953.
- გურაბანიძე**, *ქართული საისტორიო წყაროები* = მ. გურაბანიძე, *ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება ლეონტი მროველის თხზულებათა მიხედვით*, თბილისი, 2004.
- დობორჯგინიძე – ლობჯანიძე**, ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი = ნ. დობორჯგინიძე, ი. ლობჯანიძე, ქართლის ცხოვრების პარალელური კორპუსი, *კადმოსი*, 7 (2015).
- კალხიტაშვილი**, *ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსი* = თ. კალხიტაშვილი, *ელექტრონული ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემის სტანდარტი* (სამაგისტრო ნაშრომი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.
- სილოგავა**, *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, 1 = ვ. სილოგავა, *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, 1, *დასავლეთ საქართველოს წარწერები*, თბილისი, 1980.
- სილოგავა**, მარი ბროსე = ვ. სილოგავა, მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 12 (1986).
- Beesley – Karttunen**, *Finite State Morphology* = K. R. Beesley, L. Karttunen, *Finite State Morphology, CSLI (Studies in Computational Linguistics)*, Stanford, California, 2003.
- Djavakhishvili**, *Das Martyrium* = I. Djavakhishvili, *Das Martyrium des heiligen Eustathus von Mzcheta, Sitzungsberichte der Königlich Preussischen Akademie der Wissenschaften*, 38, 1901.
- Doborjginidze – Lobzhanidze**, *Corpus* = N. Doborjginidze, I. Lobzhanidze, *Corpus of the “Man in the Panther Skin”*, *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies*, 25 (2015).
- Dubois**, *Voiage* = F. Dubois de Montpereux, *Voiage autour du Caucase chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crimee*, Paris, 1939-1843.
- Fähnrich**, *Gab es eine georgische Schrift* = H. Fähnrich, *Gab es eine georgische Schrift zur Zeit des Farnavas?* ნ. ვაჩნაძე (რედ.), *DEDICATIO. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი* (ექვნივება მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 75-ე წლისთავს), თბილისი, 2001.
- Fleischhammer**, *Die Orientalistik an der Universität Halle* = M. Fleischhammer, *Die Orientalistik an der Universität Halle 1694-1937, Wissenschaftliche Zeitschrift der Marthin-Luther-Universität Halle-Wittenberg, Gesellschafts-und sprachwissenschaftliche Reihe*, 7/4 (1958).
- Kindt**, *Processing Tools* = B. Kindt, *Processing Tools for Greek and Other Languages of the Christian Middle East*, *Journal of Data Mining and Digital Humanities*, 2018 (<https://jdmhd.episciences.org/4184/pdf>).
- Koskenniemi**, *Two-Level Morphology* = K. Koskenniemi, *Two-Level Morphology: A General Computational Model for Word-Form Recognition and Production*, (Publication 11, University of Helsinki), Helsinki, 1983.

- Pataridze – Kindt**, Text Alignment = T. Pataridze, B. Kindt, Text Alignment in Ancient Greek and Georgian: A Case-Study on the First Homily of Gregory of Nazianzus, *Journal of Data Mining and Digital Humanities*, 2018 (<https://jdmhdh.episciences.org/4182pdf>)
- Schultze**, *Das Martyrium = Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis*, übersetzt von K. Schultze, Leipzig, 1905.
- Thomson**, *Rewriting Caucasian History* = R. Thomson, *Rewriting Caucasian History: The Mediaeval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles. The Original Georgian Texts and The Armenian Adaptation*, Oxford, 1996.

<http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm> – პროექტი არმაზი. Armazi Project *Caucasian Languages and Cultures: Electronic Documentation*.

<http://corpora.iliauni.edu.ge> – ქართული ენის კორპუსი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=node/11> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=specializebuli—leqsikoni> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსის ხელნაწერთა მინაწერების ბლოკი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/vizualuri—memkvidreoba> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსის ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=miniaturebi> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსის ხელნაწერთა მინიატურების ბლოკი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/kaligrapia> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსის ხელნაწერთა კალიგრაფიული ნიმუშების ბლოკი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/yda> – ვეფხისტყაოსნის პარალელური კორპუსის ხელნაწერთა ყდის ნიმუშების ბლოკი.

<http://corpora.iliauni.edu.ge/qats/index.php> – ქართლის ცხოვრების პარალელური (ქართულ-სომხური) კორპუსი.

PROJECTS ON DIGITAL DOCUMENTATION OF OLD GEORGIAN TEXTS

Abstract

The article discusses challenges accompanying the digital documentation of old Georgian texts within the scope of projects in corpus linguistics, digital epigraphy, and digital prosopography implemented at the Institute of Linguistic Studies of Ilia State University from 2010 through 2018.

Georgian Language Corpus (GLC) <http://corpora.iliauni.edu.ge>

At present, GLC contains over 180 000000 tokens and has two main sections, monolingual and bilingual. The monolingual section consists of a) New and Modern Georgian Corpus (<http://corpora.iliauni.edu.ge/?q=search-words>), and b) Old and Middle Georgian Corpus. The New and Modern Georgian Corpus makes up the biggest part of

GLC, with 3500 fiction and non-fiction texts, books and periodicals including scholarly journals and magazines. It also incorporates a finite state morphological analyzer and generator of New and Modern Georgian language (Beeslay – Kartunnen, *Finite State Morphology*; Koskenniemi, *Two-Level Morphology*).

The Old and Middle Georgian Corpus contains translated texts grouped per translation schools, i.e. the chronological and stylistic principle (pre-Athonite, 5th-10th cc.; Athonite, 10th-11th cc.; Antiochian, 11th-12th cc. and Gelati School 12th-13th cc), as well as per source texts (Greek - Georgian, Syriac – Georgian, Christian Arabic – Georgian, Armenian – Georgian).

The bilingual section includes translations from Georgian into foreign languages. So far, it consists of: a) *The Georgian-English parallel corpus of Vepkhistaosani (The Knight in the Panther's Skin* <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=node/11>), b) The parallel corpus of the *Georgian Chronicle* (the Georgian original text and the Armenian translation from the 12th century <http://corpora.iliauni.edu.ge/qats/index.php>).

Thus, GLC comprises a monolingual corpus with original Georgian literature and translations into Georgian, and a bilingual corpus with translations from and to Georgian. The rich textual legacy of the Georgian language is presented not only from the perspective of historical grammar – Old, Middle, New and Modern Georgian – but also from the perspective of relations of Georgian with other languages and cultures.

The article also dwells on electronic documentation of multilingual (Georgian, Aramaic, Greek, Jewish, Armenian) epigraphic inscriptions discovered or preserved in Georgia according to the standards of EpiDoc, a digital successor to the Leiden convention (<http://epigraphy.iliauni.edu.ge/>), as well as point out on a number of issues related to the prosopographic database of Georgia ([http://prosopography.iliauni.edu.ge](http://prosopography.iliauni.edu.ge;); <http://society.iliauni.edu.ge/>).

Nino Doborjginidze
Ilia State University
Tbilisi

ეკა დულაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ბიზანტიურ-ქართული ჰიმნოგრაფიის ურთიერთმიმართების ერთი საკითხისათვის (მიქაელ მოდრეკილის „იადგარის“ მიხედვით)

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართულად თარგმნის ადრეული ეტაპი VIII-X საუკუნეებს მოიცავს. ერთსტროფიანი საგალობლების თარგმანები ჩნდება იერუსალიმურ ლექციონარში.¹ ვრცელი ფორმის სტიქარონებისა და კანონების თარგმანები დასტურდება IX-X საუკუნეების „უძველეს იადგარში“.² ძლისპირ-ტროპარის თანაფარდობაზე დამყარებული ბიზანტიური საგალობლების – ჰიმნოგრაფიული კანონების – თარგმნა იწყება საბანშიდის ლავრაში. ამ კერაში შექმნილი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები მოგვიანებით, გადადის სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში და იქ გრძელდება თარგმნის პროცესი. თარგმანის ერთგვარი შემაჯამებელი საფეხურის ამსახველი ძეგლია 978-988 წლებში შატბერდის სავანეში გადანერილი მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“. კრებულში, როგორც მასზე დართული ანდერძები გვაუწყებს, თავმოყრილია მისი თანამედროვე და ადრეული საგალობლების (ჰიმნოგრაფიული კანონებისა და მცირე ფორმის საგალობლების) სრული რეპერტუარი. სამეცნიერო ლიტერატურიდან (კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი, ლ. ჯღამაია) ცნობილია, რომ მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესული ჰიმნოგრაფიის უძველესი ქართული თარგმანები შესრულებულია მეხელთა მიერ. მეხელები იყვნენ მთარგმნელები და იმავდროულად მუსიკოსები, რომლებიც საგალობლებს თარგმნიდნენ ბერძნულიდან, მართავდნენ მათ რიტმულ-მელოდიური მოდელის მიხედვით, ხოლო ახალი ძლისპირების თარგმნისას, ახალ ჰანგებს ამკვიდრებდნენ. ამდენად, მეხელები არა მხოლოდ თარგმნიდნენ ან თხზავდნენ საგალობლის ტექსტებს, არამედ მათ სამუსიკო მხარეზეც ზრუნავდნენ, რაც „დასდებლის მეცნიერებით“ იყო განსაზღვრული. „დასდებლის მეცნიერების“ პრინციპები, როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა და საგალობლის ხმისა თუ ჰანგის შერჩევის გარკვეულ კანონს დაექვემდებარა, რაც ნათლად ჩანს ქართველი ჰიმნოგრაფების (გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი, ანტონ I კათალიკოსი) ანდერძებიდან. საყურადღებოა გიორგი მთაწმინდელის ანდერძი:

¹ Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, с. 47-51.

² მეტრეველი *et al.* (გამოც.), *უძველესი იადგარი*, გვ. 123-131.

„მე ზოგნი გალობანი, რომელნი ჳმაჲ მინდა, მისით მითარგმნია, მაგრა სიტყუა თუ ოდენ ჯერ იყო და მოჰვიდოდა, სიტყუანი იგივე არიან, ვითა ბერძულსა იყვნეს“.³

აქ იგულისხმება, რომ გიორგი მთაწმინდელი საგალობლის დედნისეულ ხმას ცვლიდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საგულისხმოა განმარტებაც, რომელსაც ანტონ I კათალიკოსი გვანწვდის:

„ხოლო ახლად გარდმოღებულნი სძლის-პირნი შესაძლებელ არს ქართუჭლთა მგალობელთა მიერ ახლად კილოსა ზედა შეწყობად, მაგრამ რომლისაცა ჳმისა იყოს სძლის-პირი იგი, ახლად გაკეთებულიცა კილო მსგავსი ჳმისა, რათა არა სხვსა ჳმისა სხუასა შინა შემოიტანოს“.⁴

საგალობლის, კერძოდ, ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტისა და მელოდიის ურთიერთმიმართებას არეგულირებს ძლისპირი, იგივე ირმოსი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არის საგალობლის რიტმულ-მელოდიური მოდელი. ამდენად, ძლისპირების თარგმნა და მათზე ოდების განწყობა საგალობელი რეპერტუარის შექმნის მთავარი პრინციპი იყო. მეხელთა მიერ შედგენილი „იადგარები“, მათ შორის, მიქაელის კრებულისც, „მეხურ იადგარად“ იწოდება. ელენე მეტრეველი სამართლიანად შენიშნავს, რომ, „მეხური იადგარი“, პირველ ყოვლისა, სასწავლო წიგნი იყო, განკუთვნილი მგალობელთა განსწავლისათვის, მაგრამ პირველი მთარგმნელ-მგალობლები, მეხელები, მიზნად ისახავდნენ გალობის ტექსტისთვის კილოს შეწყობის რთული ამოცანის გადაწყვეტას, ამიტომ ბერძნულ დასდებელთან შინაარსობრივ და რიტმულ შესატყვისობას ყოველთვის ვერ იცავდნენ.⁵

ელენე მეტრეველის მოსაზრებას ადასტურებს მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესული ქართული თარგმანების შედარება შესაბამის ბერძნულ დედნებთან. ცხადია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ქართული თარგმანის შინაარსი და ფორმა ორიგინალის შესატყვისი არ არის. აქ საყურადღებოა ერთი ფაქტი: მეხელები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ დედნისეული ფორმისა და ტექსტობრივი ადეკვატურობის შენარჩუნებას დედნის სირთულის, ბერძნული ტექსტის ვერბალურ-სახეობრივი, სიმბოლური თუ ალევგორიული შინაარსის გამო. საგალობლების თარგმნის საწყის ეტაპზე დედანთან მიმართება გარკვეულწილად თავისუფალი იყო. ელენე მეტრეველს გამოკვლევაში („ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი“, 1971) მოჰყავს გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელშიც საუბარია იმაზე, რომ მან „თთუენში“ შეიტანა მეხური გალობანიც, მაგრამ ამ გალობებს ის სიფრთხილით ეკიდებოდა – ადარებდა ბერძნულს და

³ სილოგავა, *ათონის ქართული სიძველეებიდან*, გვ. 18.

⁴ სუხიაშვილი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ, გვ. 34-36.

⁵ მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი*, გვ. 051.

ასწორებდა მათ დედანთან დაახლოების მიზნით. მეხური გალობის შესწორების საჭიროება გამოიწვია იმან, რომ მეხელებმა საგალობელნი „ახლად“, ანუ პირველად თარგმნეს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასდებლის საკმარისი „მეცნიერება“ (ცოდნა). ისინი, ზოგ შემთხვევაში, ვერ ჩასწვდნენ ბერძნული სიტყვის სიღრმეს და არაზუსტად თარგმნიდნენ; ზოგჯერ დედნისგან გადახრას მეხელებთან ის გამართლება ჰქონდა, რომ „ბუნებასა ეგრე მოაშუნდა“. ელენე მეტრეველი ფიქრობს, რომ ამ სიტყვებში იგულისხმება ქართული დასდებლის კილო (ბუნება), ანუ ტექსტის თარგმნის შემდეგ საგალობლის შეწყობა ქართულ კილოსთან.⁶

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შატბერდის კერაში გადაწერილი „იადგარი“ „მეხურ იადგართა“ შემაჯამებელი ეტაპის ამსახველი კრებულია. ამდენად, მეხელთა შემოქმედებითი პრინციპები ყველაზე სრულყოფილად სწორედ ამ ხელნაწერში უნდა იყოს ასახული.

საგალობლის ტექსტისა და ჰანგის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესული სამგალობლო რეპერტუარის კვლევა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ მეხელები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმნისას, „დასდებლის მეცნიერების“ რა კანონზომიერებებს ითვალისწინებდნენ ისინი.

განსახილველად შევარჩიეთ მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ დადასტურებული *განცხადების* (ნათლისღების) დღესასწაულისა და ცალკეული წმინდანისადმი მიძღვნილი კანონები (ნაკლულობის გამო ხელნაწერში შემორჩენილია მხოლოდ ქრისტეს შობისა და ნათლისღების საგალობლები, ღვთისმშობლის ციკლის საგალობელი რეპერტუარი მთლიანად დაკარგულია).

განცხადების კანონი ცნობილი ჰიმნოგრაფის, კოზმა იერუსალიმელის კუთვნილებაა. ეს ავტორი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის იტორიაში ცნობილია, როგორც ჰიმნოგრაფიულ კანონთა შემოქმედი და იმავდროულად ძლისპირთა აკოლუთიის ავტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი საგალობლები თვთავაჯებია (ბერძნ. ἀπτόμελον); საგალობლის შექმნისას ავტორი თავად ქმნის ირმოსებს (ძლისპირებს). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ჰიმნოგრაფები უკვე არსებულ ძლისპირებს იყენებენ საგალობლის შექმნისას, ანუ ტექსტს მართავენ არსებულ კილოზე. თარგმანის შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტია, როცა დედნისეული ძლისპირები დაცულია. კოზმა იერუსალიმელის *განცხადების* კანონის თარგმანში ვხვდებით საინტერესო შემთხვევებს.

საუფლო დღესასწაულებზე დაწერილი კანონების თარგმანების შედარება ბერძნულ დედნებთან ზოგადად გვიჩვენებს, რომ ისინი მეტ-ნაკლებად ახლოს დგას ორიგინალთან, თუმცა სიღრმისეული ანალიზი, ზოგ შემთხვევაში,

⁶ მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი*, გვ. 052.

მეხელთა განსხვავებულ მიდგომას წარმოაჩენს. სრულიად განსხვავებული მაგალითები გვხვდება ერთი კანონის თარგმანის ფარგლებში.

განცხადების კანონის ქართულ თარგმანში დედნის ირმოსების აკოლუთია, ძირითადად, შენარჩუნებულია, ანუ ოდები კოზმასეულ ძლისპირებზეა განყოფილი. საგულისხმოა, რომ კანონის თითოეულ ოდასთან ძლისპირები დასაწყისებით არის მოცემული. ზოგან ქართული თარგმანით, ზოგან კი – ბერძნული სიტყვების ქართული ტრანსლიტერაციით. მაგალითად, III ოდას (განძლიერდასა) მიწერილი აქვს *ისშოსოდიდოს*, რაც ბერძნული *ισχὺν ὁ δίδισ*-ის შეცდომითი წაკითხვაა. „იადგარებში“, როცა ძლისპირის მხოლოდ დასაწყისია მითითებული, ნიშნავს, რომ ის უკვე ნათარგმნია და კრებულის დასაწყისში მოთავსებულ ძლისპირთა ნაწილშია შესული. ასეა მიქაელ მოდრეკილის „იადგარშიც“; აღნიშნული ირმოსის თარგმანი ჩანს ძლისპირთა ნაწილში; მოვიყვანთ ბერძნულ ტექსტს და ქართულ თარგმანს:

Ἰσχὺν ὁ δίδισ,
τοις βασιλευσιν ἡμῶν Κύριος,
καὶ κέρασ χριστῶν αὐτοῦ ψῶν,
Παρθένου ἀποτίκτεται,
μολεῖ δε πρὸς τὸ βᾶπτισμα·
δὶο πιστοὶ βοήσωμεν·
„οὐκ ἔστιν ἄγιος, ὡς ὁ Θεὸς ἡμῶν,
καὶ οὐκ ἔστι δίκαιος, πλὴν σοῦ, Κύριε“

რომელმან მოსცა ძლევაჲ მეფესა
ჩუენსა უფალმან,
და აღამაღლა რქაჲ ცხებულისაჲ,
და ადიდა ეკლესიაჲ მართლმადიდებლობასა
შინა, ამას უგალობდეთ დღეს:
„არაჲ ვინ არს წმიდაჲ, ვითარ ღმერთი ჩუენი“⁷

დედნისა და თარგმანის შედარებისას ჩანს, რომ ქართული ტექსტის მხოლოდ დასაწყისი მისდევს ბერძნულს. ბოლო ფრაზა თავისუფალი თარგმანია. შუა ნაწილი კი სრულიად სხვაა. მოვიყვანთ ამ ნაწილის სიტყვასიტყვით თარგმანს:

Παρθένου ἀποτίκτεται	ქალწულისაგან იშვება
μολεῖ δε πρὸς τὸ βᾶπτισμα·	ნათლისღებისთვის,
δὶο πιστοὶ βοήσωμεν·	ამიტომ მორწმუნენი ვლალადებთ.

⁷ მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი*, №64.

„ὁὐκ ἔστιν ἄγιος, ὡς ὁ Θεὸς ἡμῶν,
καὶ ὁὐκ ἔστι δίκαιος, πλὴν σοῦ, Κύριε“

არავინ არის წმინდა, როგორც
ჩვენი ღმერთი,
და არავინ არის შენზე
სამართლიანი, უფალო!

აშკარაა, რომ მეხელთა მიერ ნათარგმნი ძლისპირი ტექსტობრივად ზუსტად არ მისდევს დედანს. დედანსა და თარგმანს შორის მარცვალთა ურთიერთმიმართება ამგვარია:

ბერძნული: 5 10 9 8 8 8 12 12 = 72

ქართული: 10 6 10 15 9 13 = 63

საზომითაც, ქართული თარგმანი 9 მარცვლით ნაკლებია. აშკარაა, რომ ქართული ძლისპირი ბერძნული დედნის წარმატებული ვარიანტი არ არის. 9 მარცვლით სხვაობა საგალობლის ფორმის დაცვის თვალსაზრისით, დედნისაგან საკმაოდ დაშორებას ნიშნავს. ეს ბერძნულიდან ნათარგმნი ძლისპირის ორიგინალური ჰანგით უნდა იყოს ნაკარნახევი. ამავე აკოლუთიის სხვა ძლისპირშიც 75 მარცვლია, მაგალითად:

Ωδή δ’

Ἀκήκοε Κύριε φωνῆς σοῦ ὄν εἴπα·

Φωνὴ βοῶντος ἐν ἐρήμῳ

Ἵστε ἐβρόντησας πολλῶν ἐπὶ ὑδάτων,

τῷ σῷ μαρτυρούμενος Υἱῷ, ὅλος γεγονὼς τοῦ παρόντος,

Πνεύματος δὲ ἐβόησε· Σὺ εἶ Χριστός, Θεοῦ Σοφία καὶ Δύναμις

(მარცვალთა რაოდენობა – 75)

ამ ძლისპირზეც გვაქვს მითითება ბერძნული ტრანსლიტერაციით: *აკე-კოენკუი*. მოვიყვანოთ მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ არსებულ თარგმანს:

სმენაჲ მესმა, უფალო,

შობაჲ შენი ჩუენ, კაცთათჳს,

შიშმან შემიჰყრა, რამეთუ

ჯერ-გიჩნდა,

დაუსაბამოო ქრისტე,

აღასარულსა ჟამთასა

მოსლვაჲ კაცთა ცხორებისათჳს,

ამისთჳსცა გილაღადებთ:

„ძალსა შენსა დიდებაჲ, მრავალმონყალე“.⁸

ქართულ თარგმანში 70 მარცვალია. ამ შემთხვევაში თარგმანი საზომით დედანთან უფრო ახლოს არის, მაგრამ შინაარსობრივად სრულიად გან-

⁸ მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი*, №67.

სხვაგვებულა, გარდა პირველი ფრაზისა. საინტერესოა, როგორია ძლისპირებსა და საგალობლის ოდებს შორის მარცვალთრაოდენობითი მიმართება:

სული მექნეს გონიერი,
პატივცემულ სიტყვთა,
და შეძრწუნებულ ვარ ნათლისცემად შენდა,
და მოიხილე შენ უსულონი:
მთაჲ მოტყინარე
და ზღუაჲ მონინებით მეოტი
და იორდანე ქცეული (IV ოდა).⁹

მარცვალთა რაოდენობაა 60. ჩანს, რომ ტროპარი მარცვალთრაოდენობის მიხედვით არც ძლისპირის ქართულ ვარიანტს და არც ბერძნულ დედანს ემთხვევა. აქ, ჩვენი აზრით, უნდა ჩანდეს ბერძნული დედნის მოდელზე ქართული კილოს შექმნის მცდელობა. ბერძნული დედნის სათაურის ზედწარწერა მხოლოდ კილოზე მითითებაა.

კიდევ უფრო საინტერესო მაგალითად მივიჩნევთ ამავე კანონის VII ოდის ძლისპირის თარგმანს. ამ ძლისპირის დასაწყისი მხოლოდ ქართულად არის მითითებული: *საკვრველი დიდებ.* „იადგარის“ ძლისპირთა ნაწილში ამგვარი დასაწყისით მართლაც არის ირმოსი, მაგრამ კანონის VII ოდის პირველი სტროფიც ძლისპირის მსგავსი შინაარსისაა. უფრო სწორად, კანონის მთარგმნელმა მიუთითა ძლისპირის დასაწყისი, ანუ იცოდა, რომ მისი თარგმანი არსებობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებული ვარიანტი არაზუსტ თარგმანად მიიჩნია და თავად თარგმნა ხელახლა. მოვიყვანთ ორივე ვარიანტს:

Μυστήριον παράδοξον,
ἢ Βαβυλῶνος ἔδειξε κάμινος,
πηγάσσα δρόσον,
ὅτι ῥεῖθροισ ἔμελλεν ἄσλον πῦρ
εἰσεδέχεσθαι ὁ Ἰορδάνης,
καὶ στέγειν σαρκί,
βαπτίζόμενον τὸν Κτίστην,
ὃν ἐβλογοῦσιν λαοί,
καὶ ὑπερψοῦσιν,
εἰς πάντας τοὺς αἰῶνας.

საკვრველი დიდებული
ბაბილონს შინა
საჭუმლიმან აჩუნა ცუარისა ცურევითა,

⁹ Cod. S-425, 67r-69r.

რამეთუ ყრმანი იქსნნა აღისაგან შემწუველისა
და მოწყვდნა ქალდეველნი წამისყოფითა სულგრძელებისაჲთა,
რომელსა ვაკურთხევთ ჩუენ
და ავამაღლებთ მას უკუნისამდე
(ძლისპირთა კრებულის თარგმანი)

ამ თარგმანშიც დედანთან საერთო არის მხოლოდ პირველი ფრაზა (საკრველი დიდებული ბაბილონს შინა საჭუმელმან აჩუენა ცუარისა ცურევი-თა) და ბოლო სტრიქონი (და ავამაღლებთ მას უკუნისამდე). დანარჩენი ნაწი-ლი შინაარსით დედნისგან სრულიად განსხვავებულია. ბერძნული ძლისპირის მარცვალთა რაოდენობა 78-ია. ქართულ თარგმანში კი 81 მარცვალია. ცხადია, რომ საგალობლის მთარგმნელმა მეხელმა არ მოიწონა უკვე არსებული თარგ-მანი და თავის ტექსტში საკუთარი ვარიანტი ჩართო:

საკრველი, დიდებული
ბაბილონს შინა
საჭუმელმან აჩუენა ცუარისა ცურევითა,
რამეთუ მოასწავა წყალთა იორდანისათა
შესლვად ცეცხლი უსხეულოჲ ნათლისღებად ქრისტესი ჳორცითა,
რომელსა ვაკურთხევთ ჩუენ
და ავამაღლებთ მას უკუნისამდე
(კანონის ტექსტში ჩართული თარგმანი)

ნათლად ჩანს, რომ ეს ვარიანტი ტექსტობრივად უფრო ახლოს დგას დედანთან, მარცვალიც 78-ია.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამავე კანონის VI ოდის ძლისპირმა. აქაც გვაქვს მითითება ძლისპირზე: ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსლიტერა-ციით – *იფონი ტუ ლოგუ*, ქართული – *იონა დანთქმულმან*.

ელენე მეტრეველს თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს ბერძნული ძლისპირი-სა და ქართული თარგმანის ტექსტები, რომელთა შინაარსი სხვადასხვაა:

Ἡ φωνὴ τοῦ Λόγου
ὁ λόγος τοῦ φωτὸς ὁ ἕως φέροντος
ὁ τοῦ ἡλίου πρόδρομος
ἐν τῇ ἐρήμῳ
μετανοεῖτε πάντα βιαῖ τοῖς λαοῖς
καὶ προκαταίρεσθε,
ἰδοὺ γὰρ παρέσθι Χριστὸς
ἐκ φθορᾶς τὸν κόσμον λυτρώμενος.

იონა დანთქმულმან
ზღუასა შინა პირველ ვეშაპისაგან, წინაჲსწარვე გამოსახა
დაფლვაჲ მჴსნელისაჲ
სამისა დლისა და ადგომაჲ უჴრწნელად,
და განაცხადა მან
სახჴ დიდებულისა ვნებისაჲ.

ნათლად ჩანს, რომ ბერძნულ დედანში იოანე ნათლისმცემლის უდაბნო-ში ქადაგებასა და მაცხოვარზეა საუბარი. ქართული ძლისპირი კი სულ სხვა შინაარსს გადმოსცემს, იონა წინასწარმეტყველის თემას ეხება. ამ ორ ირმოსს საერთო აქვს დასაწყისი, ხოლო მარცვალთა რაოდენობით ისინი სხვაობენ: ბერძნულ დედანშია 66, ქართულში კი – 58 მარცვალი. ელენე მეტრეველის დაკვირვებით, აქ ქართული ძლისპირის ზედწარწერა (*იფონი ტუ ლოლუ*) ქართული ძლისპირის ბერძნულ დედანზე კი არ მიუთითებს, არამედ იმ ბერძნულ ძლისპირზე, რომლის რიტმსა და კილოზეა გამართული ქართული თარგმანი¹⁰. ელენე მეტრეველის აზრით, ქართული ტექსტი შესაძლებელია იყოს თარგმანი ἄλλοις ἔργοις-ისა, ანუ „სხუა ძლისპირისა“, რომელიც არსებობდა კოზმას აღნიშნულ კანონთან. მისი დედანი ბერძნული ირმოლოგიონების არსებულ გამოცემებში არ ჩანს. შეიძლება ქართულ თარგმანს მართლაც ჰქონოდა სხვა დედანი, ცხადია, ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ ქართველი მთარგმნელი, მეხელი, შემოქმედებითად უდგებოდა ძლისპირის თარგმნას, რაც საგალობლის დედნისაგან განსხვავებულ კილოზე გასაწყობად სჭირდებოდა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა საფუძვლიანად არის შესწავლილი (თ. დეტორაკისი¹¹), გამოცემულია ტექტები კრიტიკული სამეცნიერო აპარატით, გათვალისწინებულია ყველა არსებული ხელნაწერი, რომელშიც შესულია ამ ავტორის ჰიმნოგრაფიული მასალა და, რა თქმა უნდა, მისი ირმოსების აკოლუთიები. არსად გვხვდება აღნიშნული ძლისპირის სხვა (ἄλλοις) ვარიანტი. ჩვენი აზრით, „იადგარში“ არსებული შემთხვევა სწორედ მეხელთა შემოქმედებით პრინციპს უნდა ასახავდეს. მეხელი ცვლის დედნისეულ ძლისპირს და უთითებს ბერძნულ დასაწყისს მხოლოდ კილოსათვის.

ამგვარად, საუფლო დღესასწაულების საგალობლების ზემოთ მოყვანილი თარგმანების მაგალითები ქართველ მთარგმნელ-მუსიკოსთა გარკვეულწილად თავისებურ მიდგომას ასახავს სათარგმნი მასალის მიმართ.

„იადგარში“ წარმოდგენილი ცალკეული წმინდანის სახელზე შექმნილი კანონები და სტიქარონებიც (მაგალითად, *უფალო ლალადყავსა*) უფრო მეტად თავისუფალი სტილის თარგმანებია. თვალშისაცემია ერთი კანონის

¹⁰ მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი*, გვ. 221.

¹¹ Δετοράκης, *Κοσμάς ὁ Μελωδός*, σ. 123-136.

ფარგლებში რამდენიმე წმინდანის ხსენების გაერთიანება (მაგალითად, 4 დეკემბერს წმინდა ბარბარეს, ივლიასა და იოანე დამასკელის ხსენება). კანონი კომპილაციურია, მასში სამივე წმინდანისადმი მიძღვნილი სტროფებია გაერთიანებული. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებსა და გამოცემებში ამგვარი კომპილაციური სახის კანონი არსად დასტურდება. ჩვენი ვარაუდით, ეს ფაქტი ქართველი მთარგმნელის ინოვაციაა. ცხადია, ამ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი ძლისპირების შერჩევაში მეტ თავისუფლებას ავლენს და ვფიქრობთ, ამ კანონთან ირმოსებიც მეხელების შერჩეულია. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ „იადგარების“ კვლევის პერიოდში, რაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო და ამჟამადაც მიმდინარეობს, ვერ მიაკვლიეს „იადგარების“ შესაბამის ბერძნულენოვან კრებულს, უფრო სწორად, მის წყაროს. მრავალწლიანი კვლევა ადასტურებს, რომ ამგვარი წყარო შეიძლება არც არსებობდეს ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში და ქართველი მთარგმნელები სხვადასხვა ბერძნული ხელნაწერთა სარგებლობდნენ „იადგარის“ შედგენისას. ბერძნულთან მიმართებით ქართული თარგმანების კვლევისას, ჩვენ ვსარგებლობთ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ტექსტების სხვადასხვა გამოცემით¹² და „თვენების“ ნუსხებით. ხშირ შემთხვევაში, ქართული თარგმანების დედნები ამ წყაროებში არ ჩანს. ზემოთ აღნიშნული კომპილაციური კანონის თარგმანს დასაწყისში მიწერილი აქვს *მხნეოთა ზედა*. ამგვარი დასაწყისის ძლისპირი არც ელენე მეტრეველის და არც გულნაზ კიკნაძის¹³ მიერ გამოცემულ ძლისპირთა კრებულებში ჩანს. ჩვენი აზრით, ეს ზედწარწერა საგალობლის კილოზე მითითება. სწორედ მითითებულ ძლისპირზე უნდა იყოს გამართული კომპილაციური კანონი.

საინტერესო შემთხვევად მიგვაჩნია წმინდა ეკატერინესადმი მიძღვნილი კანონის იადგარისეული თარგმანი. კანონი აქაც კომპილაციურია, მასში გაერთიანებულია თეოფანე გრაპტოსის (778-845 წწ.) და სხვა ავტორთა კანონები. ნაწილი ტროპარებისა უდავოდ თეოფანე გრაპტოსს მიეკუთვნება, ზოგიერთი სტროფის ავტორად გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „თვენში“ დასახელებულია იოანე მონაზონი, რამდენიმე სტროფის ბერძნულ დედას ვერ მივაკვლიეთ. რაც შეეხება ძლისპირებს, აქ საკმაოდ მრავალფეროვანი სურათია. გამოყენებულია იოანე მონაზონის, იოანე დამასკელისა და გერმანე პატრიარქის ირმოსები. სტროფებსა და ძლისპირებს შორის მარცვალთა ურთიერთმიმართება შეძლებისდაგვარად დაცულია, მაგრამ თავად კანონის ტექსტის ამგვარი კომპილაცია ქართველი მთარგმნელის შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს.

¹² Follieri, *Analecta*, II, pp. 54-55. Τὰ Μηναία.

¹³ კიკნაძე, *ნევემირებული ძლისპირნი*, გვ. 87-89

წმინდა ეკატერინეს კანონი

ღამითგანსა

(ძლისპირი)

ღამისაგან წყუდიადისა	9	იოანე მონაზონი
უგუნურებსა შეცდომილი გზათაგან შენტა	14	
ნათლითა შენმიერთა, უფალო,	11	
დამამტკიცე მე მშვიდობით,	8	
რაჲთა ვიდოდი მცნებათა შენტა.	10	
		(52 მარცვალი)

ღვთისმშობლისა

გამოვიდა შენგან, სძალო,	8	
სიბრძნე დამბადებელი და სიმტკიცე მორწმუნეთაჲ,	15	
ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო,	9	
ითხოვე ჩუენ, მგალობელთა	8	
შენტათჳს, ან დიდი წყალობა.	9	
		(49 მარცვალი)

τὸν ἐκ συκτὸς ἀγνοσίαις	8	
ἐπὶ τὴν ψυχάλωτον ὀδὸν ἀεὶ πλανώμενον	15	
τῷ φωτὶ τῆς γνώσεως σου, Κύριε,	11	
ποδηγῶν με ἐν τῇ τριβῶ	8	
τῶν ἐντολῶν σου καθοδηγήσων	10	
		(52 მარცვალი)

(სტროფი)

ღამესა დაბნელებულსა	8	
უღმრთოებისასა გამობრწყინდა ნეტარი ესე	15	
ნათლითა მით ქრისტეს მაცხოვრისაჲთა და	12	
ვითარცა მთიებმან რაჲ განიოტა ბნელი	13	
კერპთმსახურებისაჲ... ¹⁴	6	
		(54 მარცვალი)

შევჩერდებით კიდევ ერთ მაგალითზე – წმინდა ანასტასიას კანონის თარგმანზე. ამ საგალობლის ბერძნულ დედას ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით ვერ მივაგენით, მაგრამ აღმოჩნდა ძლისპირის საინტერესო შემთხვევა. იგივე თარგმანი გვხვდება მიქაელის „იადგარზე“ ადრეულ სინურ ნუსხაში *O/Sin*.

¹⁴ S-425, 169 r-v.

გეო. 1-ში, რომელშიც კანონის პირველ ოდას აქვს „კლარჯული იადგარისგან“ განსხვავებული ძლისპირი და ახლავს ზედწარწერა-დასაწყისი: *ხრისტოს იპაჯი.*

ქრისტე რაჟამს დაემშჷუალა	8
ჯორცითა ნეფსით	5
ჯუარსა ზედა კაცთათჷს,	8
ცხორებაჲ მოსცა,	5
მას მხოლოსა უგალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს.	16

(42 მარცვალი)

მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ ამ ადგილას სხვა ძლისპირია:

ღმერთსა, რომელმან იჯსნა პირველ	9
ერი ზღვსაგან	5
და დაანთქა ფარაო	7
წინააღმდგომი,	5
მას მხოლოსა უგალობდეთ, რომელიცა დიდებულ არს.	16

(42 მარცვალი)

პირველი ძლისპირის ბერძნული დედანი ბერძნულ ირმოლოგიონებში არ ჩანს. მიქაელის „იადგარის“ დედანი დაძებნილი აქვს ელენე მეტრეველს. ცხადია, რომ მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ შესულ ტექსტთან ქართველმა მთარგმნელმა – მეხელმა – შეცვალა ძველი ძლისპირი, თუმცა ამ ცვლილების ახსნა ძნელია. ორივე ძლისპირი რიტმულ-მეტრულად თანხვედრილია; შესაძლებელია, ეს ძველი ძლისპირი ხმარებიდან გასული იყო და მეხელმა ახალ ირმოსს შეუწყო გალობა.

„იადგარის“ ქართული თარგმანის ანალიზი კიდევ მრავალ თავისებურებას წარმოაჩენს. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მეხელთა შემოქმედების ერთი მიმართულება იყო ბერძნული საგალობლების თავისუფალი სტილით თარგმნა. რაც შეეხება თარგმანის მეტრულ მხარეს, აქაც მრავალფეროვანი სურათია. მეხელებისთვის თარგმანის ტექსტის ძლისპირზე განყოფისას, ზოგჯერ, ამოსავალი იყო დედნის კილო (მაშინ, როცა სრული თანხვედრა გვაქვს დედნისელ ძლისპირებთან), რაც ნიშნავს ბერძნულ ჰანგს. კილო, ანუ ჰანგი, როგორც ამას ანტონ კათალიკოსი ამბობს, „ახლად კეთდებოდა“. ამდენად, ამ შემთხვევაში იყენებდნენ „ახლად გაკეთებულ კილოს“, ე. ი. ორიგინალურ კილოს. ხოლო ზოგჯერ, დედნის ირმოსის შეცვლისას, აშკარად ჩანს საგალობლის სხვა კილოზე შეწყობის მცდელობა. ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუბრობს გიორგი მთანმინდელიც თავის ანდერძში. აქვე აღსანიშნავია, რომ გიორგი მთანმინდელმა, რომელიც წინაელინოფილური მიმართულების წარმომადგენელი იყო და უკვე ნათარგმნ საგალობელთა რეპერტუარს ბერძნულ დედნებს ადარებდა, მეხელების შემოქმედების გარკვეული

ნაწილი, მათ შორის, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კანონები, უცვლელად გადაიტანა „თვენი“. ჩვენი აზრით, ეს საგულისხმო ფაქტია, რადგან ქართველი მუსიკოს-მთარგმნელების მცდელობანი – საგალობლის დედნისაგან განსხვავებულ კილოზე შეწყობა (სავარაუდოდ, ქართულ სამგალობლო კილოზე) – გიორგი მთაწმინდელისათვის მისაღები იყო.

„იადგარის“ თარგმანების განხილული მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმნის ადრეულ ეტაპზე, X საუკუნეში, თარგმნის თავისუფალ სტილთან ერთად შეინიშნება საგალობლის ჰანგის შეცვლის მცდელობანიც. მსგავსი შემთხვევები, ჩვენი აზრით, მიუთითებს ნათარგმნი საგალობლის ქართულ ორიგინალურ, ან გაქართულებულ ჰანგთან შეფარდებაზე.

დამოწმებული ლიტერატურა

კიკნაძე, ნევმირებული ძლისპირნი = გ. კიკნაძე, ნევმირებული ძლისპირნი, თბილისი, 1980.

მეტრეველი *et al.* (გამოც.), *უძველესი იადგარი* = *უძველესი იადგარი*, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევი, თბილისი, 1980.

მეტრეველი (გამოც.), *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი* = *ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით*, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბილისი, 1971.

სილოგავა, *ათონის ქართული სიძველეებიდან* = ვ. სილოგავა, *ათონის ქართული სიძველეებიდან*, ახალციხე, 2000.

სუხიაშვილი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ = მ. სუხიაშვილი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ, *სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები*, თბილისი, 2001.

Δετοράκης Θεοχάρης, *Κοσμάς ὁ Μελαδός, Βίος καὶ ἔργο*, Θεσσαλονίκη, 1979.

Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь* = К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII века. Грузинская версия*, Тифлиς, 1921.

Follieri, *Analecta II* = E. Follieri, *Analecta hymnica graeca*, II, Roma, 1971.

Τὸ Μῆναϊα ὀλων τῶν ἐνιαυτῶν, ἐν Ἀθίναϊ, 1979.

ხელნაწერები

S-425 – მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“

Ath. geo. 65 – გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „თვენი“

**RELATIONSHIP PROBLEMS OF THE GEORGIAN-BYZANTINE
HYMNOGRAPHY: MICHAEL MODREKILI'S IADGARI**

Abstract

In the paper is discussed some aspects of the activities of Georgian “mekhelis” (hymnographers) based on the hymnographic repertory of Michael Modrekili’s *Iadgari* copied in the 10th century in the Monastery of Shatberdi. The comparative study of the Georgian and Greek hymnographical canons shows that at the early stage of translation of the Byzantine hymnography together with the free style of the translation was attested the fact of changes of the mode or the tone of hymns. Presumably such changes were caused by the wish to harmonize the text and the melody of the hymn. Due to this approach in some cases the translation was not precise and the tone of the original hymns was also changed.

Eka Dugashvili

Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi

მაია კარანაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქრისტა-ჰანტოკრატორის გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერი ნიგნების ჭედურ ყდაზე

მოოქრული ვერცხლის ძვირფასი რელიეფური მოჭედილი ყდით შემკული ხელნაწერების არსებობა უკავშირდება საერო არისტოკრატის მონაწილეობას ხელნაწერი ნიგნების შექმნასა თუ აღდგენა-განახლების პროცესებში. მოჭედილი ყდით შემკული ქართული ხელნაწერები XI საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება.¹ ამჯერად, ყურადღებას შევაჩერებთ XII-XIII საუკუნეების ოთხთავების – ბერთის (Q-906, ყდის ოსტატი – ბეშქენ ოპიზარი), წყაროსთავის (Q-907, ყდის ოსტატი – ბექა ოპიზარი), ტბეთისა (Q-929 – ოპიზის საოქრომჭედლო სკოლა)² და ლაბსყალდის ოთხთავის (მესტია-482/კ-71) მოოქრულ ვერცხლის ყდებზე (სურ. 1, 2, 3, 4), რომელთა მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა მეტყველებს როგორც ქართული საოქრომჭედლო სკოლის არსებობაზე, ასევე ქართველი ოსტატების განსწავლულობაზე, რომლებიც ნაზიარები იყვნენ ბიზანტიურ კულტურასთან.

დასახელებული ჭედური ყდები გამოირჩევიან დეკორატიულობით, რაც ფოთლოვან-ყვავილოვანი, მცენარეული ორნამენტების მრავალსახოვნებით, გეომეტრიული ფორმებისა და წმინდანთა ფიგურების გამოსახვის ვირტუოზული ტექნიკის შერწყმითაა მიღწეული. ბექა ოპიზრის ნამუშევრების შესახებ, ლ. ხუსკივაძის ნიგნში ვკითხულობთ: „დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულითაა დამუშავებული სხეულის ცალკეული ნაკვეთები, სამოსლის მკაცრი, მძიმე ნაკვეთები – აქ კარგად ჩანს წინა ეპოქის საუკეთესო მონაპოვარი. მაგრამ საკუთრივ სკულპტურული ამოცანები ოსტატს უკვე აღარ აინტერესებს,

¹ ადრეული პერიოდის ჭედური ყდის მქონე ხელნაწერია ГИМ, Шук. 760 (მოსკოვი), რომელიც გადაწერილია კონსტანტინოპოლის სანახებში, რომანას მონასტრეში, იხ. კლდიაშვილი, რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია 1054 წელს შავ მთაზე, კალიპოსის სამონასტრო ცენტრში ბავშვთა ფეოდალური სახლის დაფინანსებით გადაწერილმა ალავერდის ოთხთავის (A-484) მოჭედილმა ყდამ, რომლის აღწერილობასაც გვანდის ხელნაწერზე დართული 1059 წლით დათარიღებული კოლოფონი (315v). ალავერდის ოთხთავის ყდა, რომელიც დღეისათვის აქვს ხელნაწერს, XVII საუკუნით თარიღდება.

² ახვლედიანი *et al.*, ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები, გვ. 9-10, 36-43.

ფიგურათა დამუშავებაც ბექამ საერთო დეკორატიულ ამოცანებს დაუქვემდებარა, ამოცანებს, რომლებიც ბექას ეპოქაში ქართული ჭედურობის მთავარ, ძირითად პრობლემად იქცა³. დაახლოებით იგივე აზრია გამოთქმული ამ პერიოდის ქართული ჭედური ხელოვნების შესახებ თეიმურაზ საყვარელიძისა და გაიანე ალიბეგაშვილის ერთობლივ ნაშრომში.⁴

ბერთის, წყაროსთავის, ტბეთისა და ლაბსყალდის ჭედური ყდები განიცდიან ბიზანტიური ჭედური ხელოვნების გავლენას, რაც გამოიხატება წმინდანთა სხეულების თითოეული ნაწილის წაგრძელებული ფორმის თავისებურებებსა თუ მათ ჩაცმულობაში. თვალშისაცემია სამოსის დრაპირება, რაც წმინდანთა „სკულპტურულ“ გამოსახულებებს ერთგვარ დინამიკურობას ანიჭებს. ამ მხრივ, ცალკე აღნიშვნის ღირსია ქრისტე პანტოკრატორის, შეიძლება ითქვას, „სკულპტურამდე“ დაყვანილი გამოსახულება. როგორც ცნობილია, ქრისტე-პანტოკრატორის გამოსახულებებს საფუძვლად უდევს ყველასათვის კარგად ცნობილი VI საუკუნის შუა წლებში კონსტანტინოპოლში შექმნილი ხატი,⁵ რომელიც ინახება სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სიძველეთსაცავში. ზემოთ დასახელებული ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები საერთოს პოულობენ X-XI საუკუნეებით დათარიღებულ ბიზანტიურ ოქონის ვედრების ხატთან (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), წმ. სოფიის ტაძრის კედლებზე გამოსახულ ვედრების კომპოზიციებთან, ასევე დაფნის მონასტრის მაცხოვრის სახესთან (საბერძნეთი, XI ს.)⁶ და სხვ. როდესაც გავლენებზე ვსაუბრობთ, საყურადღებოა ბიზანტიური ხელობის ნიმუშის, ჯვრის ჩასადები ლუსკუმის მოჩარჩობა,⁷ რომელიც მსგავსებას პოულობს ოპიზის სკოლის ხელნაწერთა ყდების ჩარჩოდ გამოყენებულ ორნამენტთან.

ცალკე შევჩერდებით ლაბსყალდის სახარების⁸ ყდასა და მის ისტორიაზე. ხელნაწერი გადაწერისთანავე, XII საუკუნეში, უნდა აეკინძათ და ჩაესვათ ყდაში; მოგვიანებით, XIII საუკუნის II ნახევარში, მას გელათის საოქრომჭედლო სახელოსნოში მეფის მოძღვრის, ილარიონ სოფრომის ძის ინიციატივითა და მონაწილეობით ჩაუტარდა რესტავრაცია – ხელახლა ჩაისვა ყდაში. ილარიონ სოფრომის ძეს სახარება სხვა საეკლესიო ნივთებთან ერთად შეუწირავს

³ ხუსკივაძე, *ბექა ოპიზარი*, გვ. 13-14.

⁴ საყვარელიძე – ალიბეგაშვილი, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები*, გვ. 10-11. ჩვენი აზრით, ადრეული ეპოქის ჭედური ხატებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დეკორატიულობა, ანუ დეკორი როგორც ფონად, ისე არშიებზე ფოთლოვან-მცენარეული ნახატის შემცველი ორნამენტების სახით, იხ. ლების წმ. გიორგის ხატი (N 254), ვედრების კომპოზიციები (№№ 286, 365), *Чубинашвили, Грузинское чеканное искусство*.

⁵ Попова, *Византийские иконы*, с. 41-94.

⁶ Алпатов, *Феофан Грек*, с. 26.

⁷ Buckton (ed.), *The Treasury of San Marco*, p. 150.

⁸ ხელნაწერი აღწერილი აქვს ვალერი სილოგავას, სილოგავა, *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, გვ. 49-51. ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით საფუძვლიანად არის შესწავლილი ელენე მაჭავარიანისა და ალექსანდრე სამინსკის მიერ. მაჭავარიანი, *ლაფსყალდის ხელნაწერი*, გვ. 137-161; *Саминский, Оклад лабскалдского евангелия*, с. 245-262.

გელათის ახლოს მდებარე მთავარანგელოზის სახელობის ქედის მონასტრისათვის.

მოვიტანთ ილარიონ სოფრომის ძის კოლოფონს, რომელშიც ამის შესახებ არის საუბარი:

„...ამ(ა)თ ყ(ოველ)თა ნ(მიდა)თა მადლითა და შე(წე)ვნითა დაწერე ანდერძი ესე ამა წმიდასა სახარებასა შინა მეფისა მოძლ(უა)რმ(ა)ნ ბერმ(ა)ნ ილ(ა)ნრიონ (sic) სოფრომის ძემ(ა)ნ, მ(ა)ს ჟამსა, ოდეს პ(ა)ტრ(ო)ნმ(ა)ნ დ(ავი)თ მეფემან, ძემ(ა)ნ რუსუდანისმ(ა)ნ, ოპიზით წამომიყვანეს და გელათს, ქედს, ნ(მიდა)თა მთავარ(ა)ნგ(ელო)ზთა წ(ინაშე)ე მამყ(ო)ფეს, ესე წ(მიდა)ჲ სახარებაჲ მიბოძეს და, ვითა მმართვედა მათად სადიდებოდ და სალოცავად, ქედს წ(მიდა)თა მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ელო)ზთა შ(ე)ვსნირე და მ(ა)თსა ეკლესიასა დავდევე. და რომელი ჩ(ე)მგ(ა)ნ ეგებოდა, მ(ა)თითა ნაბოძვართა რაჲცა აკლდა, ესე სახარებ(ა)ჲ შევჰკაზმე... ხატი წ(მიდა)თა მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ელო)ზთაჲ, მომცროჲ, დავახატვინე და მოვაჭედინე...“ (264v-265r).

ხელნაწერის ყდას კიდევ ერთხელ თანამედროვე ეპოქაში (1970 წ.) ჩაუტარდა რესტავრაცია.⁹ დღეს ის ამგვარად გამოიყურება: თანამედროვე ტყავის ყდაზე გადაკრულია ძვირფასი ოქროსსირმებიანი ღია მწვანე ფერის ბიზანტიური სახიანი ქსოვილი, რომელზეც დამაგრებულია ძველი ყდის მოოქრული ვერცხლის როგორც სიუჟეტური, ისე დეკორატიული დეტალები (ძლიერ დაზიანებული).

ალექსანდრე სამინსკი გამოკვლევაში ხაზს უსვამს ლაბსყალდის ყდის კომბინირებულ ხასიათს და ქსოვილისა და მეტალის ელემენტების მიმართების შესახებ წერს: „таким образом, узоры ткани также сильно повлияли на выбор орнаментов для чеканного украшения... Состоя из отдельных частей, чеканный декор каждой стороны книги был тем не менее задуман и исполнен как цельная композиция“.¹⁰ მისივე თქმით, სწორედ ბიზანტიურ ხელნაწერებს აქვთ ქსოვილისა და მეტალისაგან გაკეთებული კომბინირებული ყდები: „В Византии ... существовала традиция украшения книжных переплетов драгоценными тканями с чеканными накладками...“.¹¹ რუსუდან ყენია კი ლაბსყალდის ყდის შესახებ წერს: „Первым делом следует отметить, что он не целиком обит металом, на котором вычеканены композиции, а отдельные чеканные изображения, крест и декоративные элементы, как аппликации, прикреплены на ткани. Этим создается не характерное для грузинских окладов иное впечатление“.¹² საზოგადოდ, ბიზანტი-

⁹ ლაბსყალდის ოთხთავს რესტავრაცია ჩაუტარდა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

¹⁰ Саминский, Оклад лабскалдского евангелия, с. 253.

¹¹ იქვე, с. 258.

¹² Кения, Особенности декоративного убранства, с. 12.

ური ყდის ისტორიაში მთლიანი ჭედური ყდები, შეიძლება ითქვას, იშვიათობაა, მათი უმეტესობა სწორედ კომბინირებული ხასიათისაა. მაგალითად, გვხვდება მეტალისა და სპილოს ძვლისაგან დამზადებული კომბინირებული ყდები, ასევე მეტალისა და ემალის ტექნიკით შესრულებული წიგნის ბუდეები და სხვ.¹³

ლაბსყალდის ყდის ხის დაფები სქელია და სწორად მოთლილი, სამივე კიდეზე დამაგრებულია მასიური სოლისმაგვარი შესაკრავები, რომელზეც ეცმებოდა თასმები (წინა კიდეზე სამი შესაკრავია, გვერდითა კიდეებზე კი – ორ-ორი), ეს დეტალები ყდას კიდევე უფრო მასიურს ხდის. საყურადღებოა ფაქტი, რომ ყდის ზედა ფრთაზე ტრადიციულ ჯვარცმის კომპოზიციას ანაცვლებს ქრისტი-პანტოკრატორის გამოსახულება. კუთხეებში ოთხი მედალიონია დამაგრებული მახარებელთა გამოსახულებებით. ყდის ქვედა ფრთაზე დამაგრებულია ჯვარცმა (ძლიერ დაზიანებული, ქვედა ნაწილი დაკარგულია) რელიეფური სამსჭვალებით (შემორჩენილია 14 ერთეული), მარიამ ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის მედალიონები – ჯვრის მკლავებთან, ხოლო ჯვრის ზემოთ – მედალიონი მთავარანგელოზის გამოსახულებით. ქვედა ფრთის კუთხეებში წინასწარმეტყველთა პორტრეტული გამოსახულებებია. მედალიონებს აქვთ ბერძნული განმარტებითი წარწერები. ყდას აკრავს სამყურას ტიპის, ფოთლოვან-მცენარეული ნახატის შემცველი ორმაგი დეკორატიული არშია. ყდაზე თავისუფალ ადგილს ავსებს მცირე ზომის მეტალის ვარდულები და დეკორატიული ფირფიტები (დ. ერმაკოვის ფოტოების მიხედვით, ვერცხლის დეკორატიული ფირფიტების საკმაოდ დიდი ნაწილი დაკარგული უნდა იყოს); ყდაზე დამაგრებული მეტალის ფრაგმენტები დაშტამპვის ტექნიკით უნდა იყოს მიღებული.¹⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით საყვარელიძისა და ალიბეგაშვილის ნაშრომში ვკითხულობთ: „შტამპურ ტექნიკას ადრეც მიმართავდნენ ქართველი ოსტატები (XI-XII საუკუნეებში), თუმცა ბევრად იშვიათად და უმთავრესად ორნამენტისათვის, ... რაც მთავარია, XI საუკუნეში ამოტიფრით შესრულებული ფორმები ზედმინევნიტ ზუსტი, მკაფიო და მკვეთრია, ხოლო მთელი ანაბეჭდი თავისი ტექნიკური და მხატვრული ხარისხით არაფრით არ ჩამოუვარდება ხატის დანარჩენ, ძირითად მოჭედილობას“.¹⁵ როგორც ვხედავთ, ქართველი ოქრომჭედლები XIII საუკუნის II ნახევრისათვის და შედარებით ადრეული დროიდანაც (მხედველობაში გვაქვს XI-XII სს.) უკვე კარგად ფლობდნენ მეტალზე დაშტამპვის ტექნიკას.

დაბოლოს, კიდევე ერთხელ მივუბრუნდებით ხელნაწერის კოლოფონს, კერძოდ, შემდეგ ფრაზებს კოლოფონიდან: „ესე სახარებ(ა)ჲ შევჰკაზმე¹⁶“ და „ხატი წ(მიდა)თა მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგელოზთაჲ, მომცროჲ, დავახატვინე და მოვაჭედინე“.

¹³ Buckton (ed.), *The Treasury of San Marco*, p. 153.

¹⁴ საუბარია ლითონისაგან დამზადებულ ყალიბზე, რომლითაც იჭრებოდა დეტალები ან საგნები.

¹⁵ საყვარელიძე – ალიბეგაშვილი, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები*, გვ. 11.

¹⁶ ტერმინ „შეკაზმვასთან“ დაკავშირებით იხ. კარანაძე, *ქართული წიგნი*, გვ. 31-45.

ყურადღებას იქცევს ზმნების ფორმები: „შევჰკაზმე“ (უშუალო კონტაქტი), რომელიც გამოყენებულია ხელნაწერის ყდასთან მიმართებით და „დავახატვინე“ და „მოვაჭედინე“ (შუალოებითი კონტაქტი), რომელსაც კოლოფონის ავტორი იყენებს მცირე ზომის ხატთან დაკავშირებით (ეს კიდეც ერთი საეკლესიო ნივთია, რომელიც ილარიონს შეუწირავს ქედის მონასტრისათვის). ზმნების განსხვავებული ფორმების გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ კოლოფონის ავტორს, თავად, უშუალოდ უნდა მიეღო მონაწილეობა ყდის შექმნაში („შევჰკაზმე“), ხოლო ხატი სხვისთვის უნდა შეეკვეთა დასამზადებლად („დავახატვინე“ და „მოვაჭედინე“).

პარალელისათვის მოვიყვანთ მინაწერს ერთ-ერთი იერუსალიმური ხელნაწერიდან:

„სულსა ანასტასიასსა შეუნდვენ ღმერთმან, ესე წიგნი სულთა განმანათლებელი დიდი სუნაქსარი განქრეული მან შ(ეაქ)აზმევი-ნა“ (*Jer. iber.* 77, 1r).

ე.ი. ყდის დამზადების ინიციატორი, ხარჯის გამღები ანასტასიაა, მან ხელნაწერი შეაკაზმინა, ანუ მისთვის ყდა გააკეთებინა სხვას.¹⁷

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, XII საუკუნეში გადანერილი ლაბსყალდის სახარების შემკაზმველი უნდა იყოს XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე, ილარიონ სოფრომის ძე. მან თავად ჩაუტარა ხელნაწერის ყდას რესტავრაცია, განაახლა და აღადგინა ის. ჩვენს ვარაუდს საფუძველს უმაგრებს ის ფაქტიც, რომ ილარიონი იყო ოპიზიდან („ოპიზით წამომიყვანეს“), სადაც, როგორც ცნობილია, საოქრომჭედლო სკოლისა და ყდებზე მუშაობის დიდი ტრადიცია არსებობდა.

¹⁷ Цагарели, *Сведения*, II, с. 23 (N 39 ცაგარელის ნუმერაციით). იერუსალიმური ხელნაწერების ბლეიკისეულ აღწერილობაში ეს მინაწერი არ დასტურდება.




სურ. 1: ბერთის ოთხთავი (Q-906), XII ს.
 ყდა – XII ს., ვედრების კომპოზიცია



სურ. 2: წყაროსთავის ოთხთავი
 (Q-907), 1195 წ.
 ყდა XII ს., ვედრების კომპოზიცია



სურ. 3: გბეთის ოთხთავი (Q-929), XII ს. ყდა XII ს., ქრისტეს წინაშე მავედრებული პეტრე და პავლე.



სურ. 4: ლაფსყალდის ოთხთავი (მესტია, 482/კ-71), XII-XIII სს. ყდა - XIII ს.-ის II ნახ.

დამონეხული ლიტერატურა

- ახვლედიანი et al.**, *ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები*, = ი. ახვლედიანი, ა. გვაზავა, თ. დვალისვილი, მ. კარანაძე, მ. პასერი, *ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები*, თბილისი, 2015.
- კარანაძე**, *ქართული წიგნი* = მ. კარანაძე, *ქართული წიგნის ყდის ისტორია*, თბილისი, 2002.
- კლდიაშვილი**, რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი = დ. კლდიაშვილი, გარეჯა-კონსტანტინოპოლი. თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი, *საქართველოს სიძველენი*, VII-VIII (2005), გვ. 143-167.
- მაჭავარიანი**, ლაფსყალდის ხელნაწერი = ე. მაჭავარიანი, ლაფსყალდის ხელნაწერი, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, V (1963), გვ. 137-161.
- საყვარელიძე – ალიბეგაშვილი**, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები* = თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები*, თბილისი, 1980.
- სილოგავა**, *სვანეთის წერილობითი ძეგლები = სვანეთის წერილობითი ძეგლები*, I, *ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები*, ტექსტი გამოსაცემად მოაზარდა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბილისი, 1986.
- ხუსკივაძე**, *ბექა ოპიზარი* = ლ. ხუსკივაძე, *ბექა ოპიზარი*, თბილისი, 1976.
- Buckton** (ed.), *The Treasury of San Marco = The Treasury of San Marco. Venice* (The Metropolitan Museum of Art), edited by D. Buckton with the help of Ch. Entwistle and R. Prior, Milan, 1984.
- Алпатов**, *Феофан Грек* = М. Алпатов, *Феофан Грек*, Москва, 1979.
- Кения**, Особенности декоративного убранства = Р. Кения, Особенности декоративного убранства окладов Евангелий, *IV Международный симпозиум по грузинскому искусству*, Тбилиси, 1983.
- Попова**, Византийские иконы = О. Попова, Византийские иконы VI–XV веков, *История иконописи. Истоки, традиции, современность. VI–XX века*, Москва, 2002.
- Саминский**, Оклад лавскалдского евангелия = А. Саминский, Оклад лавскалдского евангелия Грузинской константинопольской рукописи второй четверти XII в., *Древнерусское искусство, Искусство рукописной книги. Византия. Древняя Русь*, СПб., 2004.
- Цагарели**, *Сведения*, II = А. Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, II, СПб., 1889.
- Чубинашвили**, *Грузинское чеканное искусство* = Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Тбилиси, 1959.

AN IMAGE OF CHRIST PANTOKRATOR ON THE REPOUSSÉ METAL COVERS OF THE 12th-13th cc. GEORGIAN MANUSCRIPTS

Abstract

In the paper are discussed repoussé metal covers of the several Georgian manuscripts, copied in the monastic centres of Tao-Klarjeti: the Berta Gospel (Q-906, master of the cover – Beshken of Opiza), the Tskarostavi Gospel (Q-907, master of the cover – Beka of Opiza), the Tbeti Gospel (Q-929, Opiza goldsmith workshop), the Labskaldi Gospel (Mestia-482/3-71) with the depiction of Christ Pantokrator. The refined performing art of these covers shows that in Georgia of that period goldsmithery was highly developed, Georgian goldsmiths were eminent professionals, well familiar with the Byzantine book cover production.

In the paper is outlined the colophon of the Labskaldi Gospel (12th c.), which was added to the manuscript in the second part of the 13th c. This colophon is written by the monk from Opiza, Ilarion, son of Sophrom, who was closely connected to the royal circles. Ilarion participated in the restoration of the manuscript. Based on the analysis of the text of the colophon it is supposed that the cover of the manuscript was mastered by Ilarion, author of the colophon.

Maia Karanadze

Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi

Hubert Kaufhold

Prof., Dr.

Herausgeber des „Oriens Christianus“, München

EIN PIONIER DER GEORGISCHEN STUDIEN IN DEUTSCHLAND

DER BRIEFWECHSEL ZWISCHEN IGNAZ RUCKER UND KORNELI KEKELIDZE*

Der deutsche katholische Pfarrer Ignaz Rucker (20.10.1879-23.11.1957)¹ beschäftigte sich wissenschaftlich mit christologischen Fragen und war dabei auch auf die georgische Literatur gestoßen. Schon als Student an der philosophisch-theologischen Hochschule in Dillingen an der Donau hatte er syrisch und koptisch gelernt. Armenisch und Georgisch lernte er im Selbststudium. Für das Georgische benutzte er, wie er selbst schreibt², die kleine Grammatik von Adolf Dirr: „Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache“, erschienen 1904 in Wien und Leipzig in der Reihe „Die Kunst der Polyglottie“. Diese Grammatik war natürlich nur eine ungenügende Grundlage für die Beschäftigung mit dem Altgeorgischen.

Rucker stammte aus einfachen Verhältnissen. Seine Eltern bewirtschafteten ein kleines landwirtschaftliches Anwesen in dem Dorf Aindling in der Nähe von Augsburg. Er absolvierte 1900 das Gymnasium in Dillingen an der Donau, studierte in Dillingen Theologie, wurde dort am 31. Juli 1904 zum Priester geweiht und war dann zeitlebens in der Seelsorge tätig. Seit 1914 wirkte er für mehr als vierzig Jahre als Pfarrer des kleinen Dorfes Oxenbronn in Schwaben. Da die Gemeinde anfangs kaum 300 und später nur etwa 400 Einwohner hatte, blieb ihm genug Zeit für die wissenschaftliche Betätigung.

Sein besonderes Interesse galt dem ökumenischen Konzil von Ephesos (431 n. Chr.), dessen 1500-Jahrfeier für 1931 anstand. Ihn interessierten die in diesem Zusammenhang entstandenen christologischen Streitigkeiten und Schriften, die in griechischer,

* Eine erweiterte deutsche Fassung des Beitrags erscheint in Band 101 (2018) der Zeitschrift „Oriens Christianus“.

¹ Nicht zu verwechseln mit dem Theologen und Orientalisten Adolf Rücker (1880-1948), der Professor für Kunde des christlichen Orients, Alte Kirchengeschichte, Patrologie u. a. an der Universität Münster war.

² Brief an Kekelidze vom 8. 3. 1926 (s. unten).

lateinischer, syrischer und koptischer Sprache vorliegen, aber auch in armenischer und georgischer.

Rucker besaß zunächst wohl keine georgischen Bücher zu diesem Thema. Er war daher auf öffentliche Bibliotheken angewiesen. Deshalb wandte er sich 1921 an Korneli Kekelidze (1879-1962) in Tiflis, von dem er nur dessen Werk *Древнегрузинский Архιερατικονъ* („Altgeorgisches Archieratikon“; 1912) kannte.³ Auf Grund von dessen Titelblatt wußte er lediglich, daß der Verfasser Erzpriester (Προτ[οιερεί]) war. In einem lateinisch verfaßten handschriftlichen Brief vom 19. September 1921 redete er ihn an mit „Reverendissime Domine Pater Abbas“ („Hochwürdigster Herr Vater Abt“). In dem Brief äußert er drei Anliegen: 1. Er fragt, welche altgeorgische Ausgabe des Neuen Testaments die beste sei, wo man sie kaufen könne und was sie koste. 2. Ob es von dem dogmatischen Brief des Papstes Leo (440-461) an den Konstantinopler Patriarchen Flavianos, dem sog. Tomus Leonis, eine altgeorgische Ausgabe gebe und für welchen Preis sie zu kaufen sei. Für den Fall, daß der Text nur handschriftlich überliefert wäre, bat er um Abschriften einer Reihe von Stellen daraus, die er griechisch und lateinisch angab. 3. Für wieviel das Werk von [Michael] Sabini mit dem Titel „Paradisus Georgiae“ (საქართველოს სამოთხე), St. Petersburg 1882, zu kaufen sei. Er gibt den Titel dieses Buches auch in georgischer Schrift an. Die von ihm erbetene „wohlwollende Antwort“ blieb allerdings aus. Der Brief kam zwar bei Kekelidze an, denn er findet sich in seinem Nachlaß,⁴ aber der Zeitpunkt Ende 1921 war wohl für eine Antwort nicht günstig. In diesem Jahr hatte die russische Rote Armee Georgien besetzt. Daß Kekelidze an sich derartige Anfragen beantwortete, ergibt sich aus dem Folgenden.

Aber zunächst passierte fast fünf Jahre nichts. Rucker setzte seine Studien fort. 1925 kaufte er die ersten beiden Lieferungen der georgischen Ausgabe des Neuen Testaments von Benešević.⁵ Daran störte ihn aber die „Sacrschrift“ (*Nushuri*).

Mit einem Brief vom 6. Januar 1926 wandte er sich erneut an Kekelidze. Diesmal versuchte er es in griechischer Sprache. Als Anrede schreibt er: τιμώτατε πρωτοιερεῦ! („verehrter Erzpriester“) und am Schluß auf deutsch „Hochwürdigster Herr Protoierei“. Er möchte drei Bücher erwerben („εὔχομαι κτήσασθαι“), und zwar zwei Bücher von Kekelidze, nämlich das altgeorgische Archieratikon sowie das Jerusalemer Kanonar (beide 1912), weiterhin das 1879 in Tiflis gedruckte georgische Neue Testament der British Bible Society.

Diesmal hatte Rucker Erfolg. Am 3. März 1926 erhielt er von Kekelidze ein Paket mit dem Jerusalemer Kanonar und dem Neuen Testament, die ohne Begleitschreiben bei ihm eintrafen. Er hatte aber offenbar der Angabe des Absenders schon entnommen, daß es sich bei Kekelidze um einen Professor handelte, und redet ihn in seinem

³ Es ist in der Staatsbibliothek in München vorhanden.

⁴ Korneli Kekelidzis piradi arkivis aġceriloba, Tbilisi 1979, S. 151, Nr. 619.

⁵ Quattuor Evangeliorum versio Georgiana vetus, St.-Peterburg, Fasc. I und II, 1909, 1911.

Dankschreiben, das er einen Tag später, am 4. März 1926, wieder griechisch abfaßte, an mit: Τιμιώτατε καὶ εὐλαβέστατε Κύριε Προφασσορ. Zu seiner sicherlich großen Überraschung traf am nächsten Tag bei ihm ein vierseitiger handschriftlicher Brief Kekelidzes vom 20. Februar 1926 ein, der in deutscher (!) Sprache verfaßt war. Rucker setzt deshalb auf die Postkarte, mit der er sich für die Bücher bedankt, nachträglich noch folgenden deutschen Vermerk: „Vor Absendung dieser Karte erhalte ich Ihren sehr geschätzten Brief, den ich ausführlich zu beantworten gedenke.“

Der Brief Kekelidzes ist erhalten. Er beginnt wie folgt:

20, II, 1926.
Tiflis (Georgien)

Verehrter Herr Pfar[r]er!

Gemäss Ihrer Bitte schicke ich Ihnen zwei Bücher zu: 1) Novum Testamentum (Edit. British Bibl. Society 1879), 2) Ἱερουσαλίμσκій Κανοναὶ von mir; das dritte Buch, auch von mir – Древнегрузинскій Архιερατικὸν, ist vergriffen und auch ich habe kein einziges Exemplar, um Ihnen zur Verfügung zu überlassen.⁶

Was die Handschrift N 266 betrifft (im ecclesiasti. Museum hat man von ihr zweites Exemplar derselben N 618), so ist zu bemerken, dass sie von Jordania nicht genau und richtig {g}[b]eschrieben ist, durch diese Beschreibung werden die Forscher irreführt. Diese Handschrift enthält im An-(S. 2)fang Symbol. I. und II. Aecumen. [sic] Synodi et Epistol. Athanasii ad Epictet (S. 15-22), darauf aber - : Acta III. Aecumenici Synodi” (S. 22-446). Dieses letzte{n} ist im Allgemeinen desselben Inhalts, wie Labbe-Cottart-Hardouins Ausgabe, nur fehlen einige Artikel, dafür sind mehrere andere vorhanden. Das armenische Original dieser Actorum ist in V-VI. Jahrhund. übersetzt, einzelne Übersetzungsexemplare, von XVIII. Jahrh., werden unter NN 1686-1691 in Etschmiadziner Kloster (in Armenien) aufbewahrt.⁷ Es ist weder armenischer noch georgischer Text herausgegeben; ihre Ausgabe wird bis 6-7000 Mark. kosten. D. kurzes Inhalt Actorum III. Synodi ist folgendes: ...

Abschriften oder Photographien aus Homiliae Nestorii kann ich Ihnen nicht zuschicken, da in der Handschrift nur ein kurzes Homilia ist, welches so beginnt: „für verschiedene Männer sind verschiedene Berufe auf dieser Welt vorteilhaft: für einige Militär –, für andere Richter –, dann Seemann-, und Landmannberufung ...“

Ergebener

Professor an der Staats-Universität Tiflis

Cornelius Sam. Kekelidze

⁶ Wie sich aus dem Brief Ruckers vom 1. 5. 1926 ergibt, schickte ihm Kekelidze am 5. 4. 1926 das Archieratikon doch noch.

⁷ Zu der Frage vgl. jetzt auch S. Peter Cowe, The Armeno-Georgian Acts of Ephesus – A Reconsideration, in: The Journal of Theological Studies, NS 40 (1989), S. 125-129, der Rucker zitiert.

Rucker hatte in dem Katalog der georgischen Handschriften des früheren Kirchlichen Museums in Tiflis (jetzt Kollektion A des Nationalen Handschriftenzentrums in Tbilisi), den Teodore Žordania 1903 veröffentlicht hatte,⁸ die Hs. Nr. 266 entdeckt, die für ihn einschlägige Texte enthielt.⁹ Es ging ihm darum, Näheres darüber zu erfahren. Er hatte sich deshalb mit einem undatierten Schreiben in deutscher Sprache an die „Verehrl.[iche] Direktion des Kirchlichen Museums“ in Tiflis gewandt. Er fragt darin nach der Hs. Nr. 266, deren armenischer Vorlage und den Kosten für eine armenisch-georgische Edition und bittet um eine detaillierte Angabe des Inhalts der Hs. Nr. 266. Dieses Schreiben an das Kirchliche Museum gelangte an Kekelidze und befindet sich ebenfalls in seinem Nachlaß.¹⁰ Offensichtlich ist er in seinem soeben zitierten Brief vom 20. 2. 1926 auch auf dieses Schreiben Ruckers eingegangen.

Von nun an findet der Briefwechsel zwischen Kekelidze und Rucker ganz in deutscher Sprache statt. Rucker schreibt am 8. 3. 1926 einen vierseitigen Brief mit Anlagen. Er beginnt:

Hochwürdiger, Hochverehrter Herr Professor!

Empfangen Sie den aufrichtigsten und verbindlichsten Dank für Ihre große Liebenswürdigkeit und Gefälligkeit, daß Sie die beiden Bücher v. 19. 2. mir sandten, die ich Mi[ttwoch], den 3. ds.¹¹ erhielt, und für Ihren sehr geschätzten Brief, den ich Tags darauf erhielt (Tiflis 20. 2., Ox.[enbronn] 4. 3.).

Als ich Ihren Brief und seine Adresse mir ansah, war mein erster Gedanke: wie lange werde ich wohl brauchen, bis ich den wohl russischen oder georgischen Wortlaut werde entziffert und enträtselt haben; als ich aber den Brief öffnete, da hatten Sie mir alle Mühe vorweggenommen und sie selbst übernommen, was mich zu umso größerer Dankbarkeit verpflichtet, nicht zuletzt, da der ausführliche Brief auch Zeit und Mühe Ihnen kostete und dies jetzt noch während des Schuljahres.

Entschuldigen Sie darum gütigst meine Belästigung im Interesse der Kirche und Wissenschaft.

Entschuldigen Sie, bitte, auch gütigst, daß ich nur an πρωτοιερεϊ adressierte gemäß dem Titel ihres Buches; Ihren Wohnort Tiflis hatte ich nur vermutet; ich hatte auch

⁸ Opisanie rukopisei Tiflisskago Tserkovnago muzeya, Tiflis. Der Katalog war in der Bayerischen Staatsbibliothek in München vorhanden, so daß Rucker ihn dort einsehen konnte. Jetzt: Kriegsverlust.

⁹ Neue ausführliche Beschreibung: T. Bregadze u. a., Kartul ḥelnacert'a aġceriloba qopili saeklesio muzeumis (A) kollekciiisa tomi 13, Tbilisi 1980, S. 104-128.

¹⁰ Korneli Kekelidzis piradi arkivis aġceriloba, S. 154, Nr. 635. Da es nicht datiert ist, ist es an letzter Stelle der Schreiben Ruckers aufgenommen. Es muß aber spätestens Anfang Februar 1926 geschrieben worden sein, weil Kekelidze es in seinem Brief vom 20. 2. 1926 beantwortet. Vermutlich ist es zeitgleich mit Ruckers Brief vom 26. 1. 1926 (= Archivnummer 620).

¹¹ = dieses Monats.

keine Kenntnis, daß Ihre wissenschaftlichen Liturgie-geschichtlichen Arbeiten mit der ehrenvollen Stellung eines Professors an der Staats-Universität honoriert wurden.

[Rucker macht dann noch lange Ausführungen. Er schließt den Brief mit:]

Wäre Ihnen ausserordentlich dankbar, wenn Sie hierüber eine gedruckte Analyse mir zusenden könnten. Für eine Gesamtausgabe müßten mehr Stellen zusammensteuern.

In vorzüglicher Hochachtung

Hochwürden, Hochverehrten

Herrn Professor dankbar Ergebenst Ignaz Rucker Pfarrer.

Leider sind nur zwei Briefe Kekelidzes an Rucker bekannt.¹² Auf den zweiten komme ich noch zurück. Die Schreiben Ruckers an Kekelidze dagegen dürften vollständig im Nationalen Handschriftenzentrum in Tbilisi aufbewahrt sein (im Nachlaß Kekelidzes). Aus ihnen kann man auf Grund der Angaben Ruckers entnehmen, daß Kekelidze ihm mindestens fünfmal geschrieben hat, und auch wann dies geschah.¹³

Mit einem Brief von Ostern 1928 äußert Rucker wieder verschiedene Wünsche. In erster Linie bittet er um eine Abschrift oder Photographie der 20 Nestorius-Exzerpte in der Hs. 618. Außerdem schreibt er:

„Gibt es etwas ähnliches an der Staatsuniversität Tiflis wie an den abendländischen Universitäten übliche "Vorlesungsverzeichnis" der einzelnen Fakultäten? – über die einzelnen Fächer, – ordnungsgemäße und Pflichtfächer, fakultative oder Wahlfächer? Dürfte ich Sie bitten um ein altes oder neues Verzeichnis?

... Wenn Sie selbst einen Abriß der kirchlich-altgeorgischen Literatur geschrieben und ediert haben, so wäre ich für freundliche Zusendung sehr dankbar, eventuell einen anderen zuverlässigen Führer durch die altgeorgische patristische Literatur (Drucke und HSS), – nicht russisch, – sondern georgisch oder französisch –. Brosset ist doch sehr veraltet.“

Außerdem erwähnt Rucker in dem Brief Georg Graf und Theodor Kluge.

Aus dem zweiten Brief Kekelidzes ergibt sich, daß er Rucker auf diesen Brief hin weitere Materialien aus georgischen Handschriften geschickt hat. Der dreiseitige Antwortbrief Kekelidzes (s. das folgende Faksimile mit Vermerken Ruckers) hat folgenden Inhalt:

¹² Sie befinden sich jetzt in meinem Besitz. Rucker hat sie wohl Georg Graf überlassen und sie sind dann an meinen Lehrer Julius Abfalg († 2003) gelangt.

¹³ Die Schreiben Ruckers sind folgende: Brief vom 19. 9. 1921 (3 Seiten), Postkarten vom 6. 1. 1926 und 4. 3. 1926, Brief vom 8. 3. 1926 (4 Seiten und 6 Seiten Anlagen), Postkarten vom 1. 5. 1926 und 31. 1. 1928, Brief vom 27. 5. 1928 (4 Seiten), Postkarte vom 4. 12. 1928, Brief vom 29. 1. 1929 (3 Seiten und Anlagen), Postkarten vom 9. 4. 1929 und 14. 4. 1929, Briefe vom 7./9. 7. 1929 (4 Seiten und Anlagen), Postkarte vom 17. 2. 1930, undatiertes Brief (4 Seiten) (1926 oder früher; s. oben). Schreiben Kekelidzes: 20. 2. 1926 (erhalten), 5. 4. 1926, 7. 5. 1928 (erhalten), 22. 11. 1028 (Postkarte), 29. 3. 1929.

Den 7. Mai, 1928

Tiflis

Hochverehrter Herr Professor!

Erhielt Ihr wert. Schreiben und sende
Ihnen zuverlässige Abschrift aus Cod. №266-Ex-
cerpta so aus den Nestorius-Homilien; die
Abschrift hat einer meiner Schüler ausgeführt
mit der Handschrift habe ich sie selbst
vergleichen.

Ich hätte Ihnen gerne eine ausführliche-
re Beschreibung von Codex №266 gemacht,
leider gibt es aber in Tiflis weder Hardwin,
noch Latbe, noch Manti, es ist davon nur
eine russische Uebersetzung zu haben,
nach der russischen Uebersetzung aber
werden die Citate für Sie keinen Nutzen
haben. Zu meiner Verfügung stehen „Neue
Aktenstücke zum ephesinischen Konzil“ von

№168/1407

No 101) ^{§. 50-64} vorhanden, es wäre gut, wenn Sie sich die Mühe geben wollten und eine Anmerkung über dieses Buch zur Kenntnis der deutschen Gelehrten in einer der deutschen Zeitschriften drucken lassen.

In der Universität ist ein Vorlesungsverzeichnis der einzelnen Facultäten zu haben, es ist aber handschriftlich und kann es daher zu meinen Bedauern nicht zusenden.

Mit bestem Gruss
Ihr sehr ergebener

Kor. Kewelidze.

* Georgisch zwischen Baskisch und Ebruskisch.

I ~ 5. Jahrh. - Mitte des 8. Jahrh.

II 750 - 1000

III 975 - 1150

IV 1150 - 1600

Den 7. Mai, 1928
Tiflis

Hochverehrter Herr Pfarrer!

Erhielt Ihr wert.[es] Schreiben und sende Ihnen zuverlässige Abschrift aus Cod N266 - Excerpta 20 aus den Nestorius-Homilien; die Abschrift hat einer meiner Schüler ausgeführt; mit der Handschrift habe ich sie selbst verglichen.

Ich hätte Ihnen gerne eine ausführlichere Beschreibung von Codex N266 gemacht, leider gibt es aber in Tiflis weder Harduin¹⁴, noch Labbe¹⁵, noch Mansi¹⁶, es ist davon nur eine russische Uebersetzung zu haben, nach der russischen Uebersetzung aber werden die Citate für Sie keinen Nutzen haben. Zu meiner Verfügung stehen „Neue Aktenstücke zum ephesinischen Konzil“ von E. Schwartz¹⁷, aber aus dieser Ausgabe ist es schwer, die georgische Uebersetzung zu citiren.

Mir sind G. Graf's Corrigenda in der deutschen Übersetzung meines Kanonarions bekannt; überhaupt hat Klüge¹⁸, ohne die georgische Sprache zu kennen, den Text dieser Denkschrift dargestellt und dadurch Ant. Baumstark, sowie überhaupt deutsche Gelehrte, welche sich dafür interessieren, in Irrtum geführt.¹⁹

Vor einer Woche habe ich Ihnen aus der Universität meine Arbeit in der georgisch. Sprache „Geschichte der georg. Literatur“, Band I - Altkirchliche Literatur, zugesandt,²⁰ andere zuverlässige Führer durch die altgeorg. kirchliche Literatur gibt es nicht. Eine Aeußerung über diesen Band ist in „The Journal of theological Studies“, October, 1924 (Vo. XXVI, No 101) vorhanden; es wäre gut, wenn Sie sich die Mühe geben wollten und eine Anmerkung über dieses Buch zur Kenntnis der deutschen Gelehrten in einer der deutschen Zeitschriften drucken liessen.

In der Universität ist ein Vorlesungsverzeichnis der einzelnen Fakultäten zu haben, es ist aber handschriftlich und kann es daher zu meinem Bedauern nicht zusenden.

Mit bestem Gruß
Ihr sehr ergebener
Kor. Kekelidze.

¹⁴ Jean Hardouin (Harduinus), Acta conciliorum et epistolae decretales ac constitutiones summorum pontificum, 11 Bände, Paris 1714f. .

¹⁵ Philippe Labbe, Sacrosancta concilia ad regiam editionem exacta, 17 Bände, Paris 1671-1672

¹⁶ Giovanni Domenico Mansi, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio, 31 Bände, Florenz-Venedig 1759-1798.

¹⁷ Eduard Schwartz, Neue Aktenstücke zum ephesinischen Konzil von 431, München 1920.

¹⁸ Theodor Kluge (1880-1959), Architekt, Dr. phil., Dr.-Ing. und - nach eigener Einschätzung - „Privatgelehrter“ auf dem Gebiet der allgemeinen und vergleichenden Sprachwissenschaft. Vgl. Hubert Kaufhold, Zur Geschichte der georgischen Studien in Deutschland, in: Oriens Christianus 95 (2011), S. 175-212; hier: 200-203; Stefan Heid, Theodor Kluge, Privatgelehrter, Georgienforscher, in: Personenlexikon zur Christlichen Archäologie, hrsg. von Stefan Heid und Martin Dennert, Band 2, Regensburg 2012, S. 742f.

¹⁹ Kekelidze meint: Theodor Kluge – Anton Baumstark, Quadagesima und Karwoche Jerusalems im siebten Jahrhundert, in: Oriens Christianus 13 (1915), S. 201-233; dieselben, Oster- und Pfingstfeier Jerusalems im siebten Jahrhundert, ebenda 14 (1916), S. 223-239. Die Nachträge zu der erstgenannten Veröffentlichung (S. 359-363) beruhen auf Verbesserungen Grafs. Bei der zweiten wurde Graf schon bei der Ausarbeitung des Manuskripts herangezogen.

²⁰ Dieses Exemplar der ersten Auflage von 1923 ist erhalten und befindet sich in meinem Besitz. Es kam von Rucker aus unbekanntem Gründen an Georg Graf und dann an Julius Aßfalg.

Außer diesen Nestorios-Stellen hat ihm Kekelidze im Frühjahr 1929 noch Abschriften von Väterziten geschickt. Der entsprechende Brief vom 29. März 1929 ist nicht bekannt, doch ergibt sich dies aus Ruckers Dankeschreiben vom 14. April 1929 sowie aus einer Passage in Ruckers Buch „Ephesinische Konzilsakten in armenisch-georgischer Überlieferung“, München 1930, S. 32:

„Die Nestoriusstellen seit Frühjahr 1928 und die Väterzitate seit Frühjahr 1929 in georgischer Abschrift zu besitzen, verdanke ich der Freundlichkeit des H. Prof. Kekelidse-Tiflis, wofür auch hier öffentlich der gebührende Dank zum Ausdruck gebracht sei.“

Im Vorwort derselben Veröffentlichung bedankt Rucker sich allgemein (S. 4):

„H. Prof. K. Kekelidse-Tiflis, dem Herausgeber des altgeorgischen Kanonnars von Jerusalem (Tiflis 1912) und der altgeorgischen Jakobusliturgie von Jerusalem (Archieratikon, ebenfalls Tiflis 1912) bin ich für wiederholte briefliche Auskunft zu besonderem Danke verpflichtet. Auf Grund seiner neuen Schrift über georgische Patristika von nichteinheimischen Verfassern (Tiflis 1927) läßt sich eine Übersicht der wichtigsten Partien eines alten Corpus Ephesinum herstellen, das über eine armenische Zwischenstufe auf eine griechische Vorlage zurückweist, aber mit keiner der von Ed. Schwartz nachgewiesenen Handschriftengruppen sich deckt.“

Kekelidze hat ihm auch die eben genannte Veröffentlichung über die Patristika geschickt: უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში²¹. Aus den Briefen ergibt sich ferner, daß er Rucker noch weitere Arbeiten hat zukommen lassen. 1929 bekam er die auf deutsch verfaßte Schrift „Die Bekehrung Georgiens zum Christentum“, Leipzig 1928, direkt vom Verlag (so Ruckers Brief vom 29. 1929), im selben Jahr auch den Aufsatz „იერემია იბერეული“²² (Brief vom 9. 4. 1929) und 1930 den Aufsatz „კანონიკური წყობილება ძველი საქართველოში“ (Postkarte vom 17. 2. 1930).

Es ist erstaunlich, mit welcher Freundlichkeit und Geduld Kekelidze auf die Wünsche von Rucker eingegangen ist. Rucker war dabei keineswegs zurückhaltend, sondern machte längere Ausführungen über seine Ergebnisse und über ungelöste Probleme und erstellte lange Fragenkataloge, die teilweise etwas unübersichtlich und eng auf den Briefbögen zusammengeschrieben sind. Auch versuchte er, Kekelidze zu Veröffentlichungen über Themen zu animieren, die ihn interessierten. Anscheinend freute sich Kekelidze aber darüber, daß sich in Deutschland jemand mit der georgischen Literatur befaßte.

²¹ Laut Inhaltsverzeichnis: „Auteurs étrangers dans l'ancienne littérature géorgien“, in: Tp'ilisis Universitetis Moambe VIII (1928), S. 99-202.

²² In: Tp'ilisis Universitetis Moambe IX (1929), S. 187-198.

Mit Ruckers Karte vom 17. Februar 1930 reißt der erhaltene Briefwechsel aus unbekanntem Gründen ab.

Auch Rucker wird Kekelidze seine Bücher zugesandt haben, vor allem das folgende:

Ephesinische Konzilsakten in armenisch-georgischer Überlieferung (= Sitzungsberichte der Bayerischen Akademie der Wissenschaften. Philosophisch-historische Abteilung, Jahrgang 1930, Heft 3), München 1930 (112 Seiten) [= Studien zum Concilium Ephesinum. Zur 1500-Jahrfeier des dritten ökumenischen Konzils, Heft Ia]

Kekelidze erwähnt dieses Buch in den späteren Auflagen seiner Geschichte der kirchlichen Literatur (zweiter Teil, 9. Abschnitt, Kanonika).

Rucker veröffentlichte von 1931-1935 mehrere Arbeiten im Selbstverlag und auf eigene Kosten. Es gibt dazu einige grundsätzlich positive Besprechungen, so des katholischen Tübinger Kirchengeschichtlers Karl Bihlmeyer (1932) in der Theologischen Quartalschrift.²³ Er führt aus, der Verfasser werfe „mit großem Scharfsinn und ausgebreiteter Quellenkenntnis“ den „ganzen Komplex der geschichtlichen, literar-historischen, philosophischen, theologischen und juristischen Probleme“ auf. Der Münsteraner Patristiker Adolf Rucker lobte 1933 die „große Arbeitskraft“ Ruckers und seine „ungewöhnlich reiche Kenntnis der orientalischen Sprachen“. Der katholische Kirchenhistoriker Hugo Koch besprach 1933 vier „der wertvollen ... Arbeiten des sprachkundigen und gelehrten katholischen Pfarrers Ignaz Rucker“.²⁴ 1934 empfiehlt der Cambridger Theologe William Telfer (1886-1968) sechs Arbeiten Ruckers mit den Worten: „One cannot but admire both the fine scholarship of the work and the spirit with which it has been carried out. Any student who makes use of these studies will find himself indebted for the help and guidance which they give.“²⁵ Der Franzose Jean Gouillard schrieb 1939, daß „l'abbé I. Rucker poursuit avec une persévérance digne d'admiration ses études pénétrantes autant qu'austères sur le concile d'Ephèse“; er liefere „une solide documentation et donne une idée satisfaisante de la complexité des problèmes“.²⁶

Rucker scheint seine wissenschaftliche Tätigkeit auf diesem Gebiet nicht bis zu seinem Lebensende intensiv weiterbetrieben zu haben. Pläne hatte er offensichtlich noch genug, wenn man sich die – mehrfach wechselnden – Gliederungen seiner Reihe „Studien zum Concilium Ephesinum“ ansieht, die in den erschienenen Bänden abgedruckt sind; vieles davon ist wohl nicht ausgeführt worden, jedenfalls nicht erschienen.

²³ Band 113 (1932), S. 166-168.

²⁴ Theologische Literaturzeitung 1933, Sp. 285f.

²⁵ The Journal of Theological Studies 35 (1934), S. 78-80.

²⁶ Revue des Études Byzantines 195-196 (1939), S. 434f.

Nach einem Zeitungsbericht über die Feier zu seinem 50-jährigen Priesterjubiläum 1954 soll er seine priesterliche Tätigkeit in „zwei gleiche Abschnitte“ eingeteilt haben: „in 25 Jahre theologisch-wissenschaftliche Forschungsarbeit, der dann vor 25 Jahren als Einleitung des zweiten Abschnitts die Veröffentlichung der ersten Arbeit folgte.“²⁷ Er hat sich dann wohl mehr mit seinem Pfarrort beschäftigt. 1934 ließ er die aus dem Rokoko stammende Pfarrkirche renovieren. Außerdem war er Mitverfasser einer Ortsgeschichte von Oxenbronn.²⁸

Trotz seiner sehr speziellen wissenschaftlichen Tätigkeit stand Rucker mitten im Leben und war hochangesehen. Die Gemeinde Oxenbronn ernannte ihn 1950 zu ihrem Ehrenbürger. Zu seinem 50-jährigen Priesterjubiläum, das ungefähr mit seiner 40-jährigen Seelsorgstätigkeit in Oxenbronn und seinem 75. Geburtstag zusammenfiel, veranstaltete die Gemeinde am 17. und 18. Juli 1954 eine zweitägige Feier, an der das ganze Dorf und viele auswärtige Gäste teilnahmen.²⁹ Später wurde eine Straße in Oxenbronn nach ihm benannt. Sein Grab an der Oxenbronner Kirche ist noch erhalten.

In dem Nachruf des Dillinger Professors für Bibelwissenschaft Adalbert Vogel heißt es: „Still und anspruchslos hat er mit unsäglichem Fleiß der Kirche und der Wissenschaft gedient und war wegen seines bescheidenen und freundlichen Wesens bei Mitbrüdern und Volk geschätzt und beliebt.“³⁰

²⁷ Günzburger Zeitung vom 20. 7. 1954, Nr. 164, S. 8.

²⁸ Der erste Teil wurde 1950 aus Anlaß des 800-jährigen Ortsjubiläums veröffentlicht: Iganx Rucker – Ludwig Sauter, Die Geschichte des Dorfes Oxenbronn, Oxenbronn 1950, 31 Seiten.

²⁹ Berichte erschienen vor und nach der Feier in der Günzburger Zeitung vom Freitag, dem 16. 7. 1954, Nr. 161, S. 10 (mit Porträtfoto) und Dienstag, dem 20. 7. 1954, Nr. 164, S. 8. Das Photo ist nachgedruckt in Hubert Kaufhold, Zur Geschichte der georgischen Studien in Deutschland, in: Oriens Christianus 95 (2011), S. 175-212; hier: 200.

³⁰ In piam memoriam: Pfarrer Rucker †, in: Dilingana. Mitteilungen der Dillinger Studienvereinigung, Nummer 17, Sommer 1959, S. 19.

**ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ჰიონარი
გერმანიაში: იგნაც რუკერისა
და კორნელი კეკელიძის მიმონარი**

რეზიუმე

სტატია ეხება გერმანელი კათოლიკე მღვდლის, იგნაც რუკერისა და ქართველი მეცნიერის, აკად. კორნელი კეკელიძის მიმონერას. იგნაც რუკერის წერილები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კორნელი კეკელიძის არქივში, კორნელი კეკელიძისა კი – მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. იგნაც რუკერი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ საკითხებზე მუშაობისას დაინტერესდა ძველი ქართული სასულიერო მწერლობით და თვითონ შეისწავლა სომხური და ქართული ენები. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ეფესოს საეკლესიო კრება და ამ კრებაზე გამართულ ქრისტოლოგიურ კამათთან დაკავშირებული მასალები ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, სომხურ და ქართულ ენებზე. მისი მიმონერა კორნელი კეკელიძესთან 1926 წლიდან იწყება. იგნაც რუკერი უგზავნიდა მას წერილებს თავისი მუშაობის შედეგების შესახებ და ქართველი მეცნიერისაგან იღებდა საჭირო ლიტერატურას ან ცნობებს ქართულად გამოქვეყნებული გამოკვლევების შესახებ, ასევე რჩევებსა და განმარტებებს მისთვის საჭირო გადაუჭრელ პრობლემებზე.

სტატიაში მოყვანილია ამონარიდები მეცნიერთა წერილებიდან და წარმოდგენილია იგნაც რუკერის მოღვაწეობის ზოგადი შეფასება.

*ჰუბერტ კაუფჰოლდი
ჟურნალ Oriens Christianus-ის გამომცემელი
მიუნხენი*

დარეჯან კლდიაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ახალი მასალა მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ქართული ოთხთავიდან*

ერუშეთის ეპარქია

მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული მდიდრულად შემკული ქართული ოთხთავი (მოსკოვი, ГИМ, Щук. 760) სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა ამ საუკუნის დასაწყისში რუს ხელოვნებათმცოდნეთა ორი პუბლიკაციით.¹

ოთხთავი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა. მომცრო ფორმატის (198x148) კოდექსი მაღალი ხარისხის, თხელ, თეთრ ეტრატზეა შესრულებული; მისი შემკულობაც დახვეწილობითა და შესრულების მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა. ხელნაწერი მდიდრულადაა გაფორმებული კამარებით, თავსართებით, საზედაო ასოებით და მახარებელთა მინიატიურებით. XIX საუკუნეში კონსტანტინოპოლური მხატვრული წრის ხელნაწერი ოქროთი მოვარაყებულ ღია ყავისფერ ტყავგადაკრულ ყდაში ჩაუსვამთ, ხოლო ყდის ორსავე მხარეს გადაუტანიათ ოთხთავის შექმნის თანადროული მოოქრული ვერცხლის რელიეფური მოჭედილობა ასომთავრული საქტიტორო წარწერით: „ქ(რისტ)ე, ადიდე აბაზ და ძმანი მისნი“ (სურ. 1-3).

ოთხთავის ტექსტის ბოლოს დართული ვრცელი ანდერძის თანახმად, ოთხთავი გადაწერილია კონსტანტინოპოლის სანახებში, რომანას მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის „მეგეთონად“ (ბერძ. μέγιστον „წარჩინებული“, „დიდი“) წოდებულ სოხასტერში. ხელნაწერი თარიღიანია, გადაწერილია 1070 წელს საბერძნეთში რომანოზ IV დეოგენესის (1068-1071), საქართველოში აფხაზთა და ქართველთა მეფის, ბაგრატ სევასტოსის (IV, 1027-1072) და მისი ძის, გიორგი კურაპალატის (შემდგომში გიორგი II, 1072-1089) მეფობისას, ხოლო რანსა და კახეთში – ხსართანან კურაპალატისა (აღსართან I, 1058-

* სტატიას საფუძვლად უდევს ნარკვევი მოსკოვში დაცული ქართული ოთხთავის შესახებ – კლდიაშვილი, რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი, გვ. 143-167.

¹Добрынина, Неизвестная грузинская лицевая рукопись, с. 259-307; Стерлигова, Чеканный оклад грузинского Тетраевангелия, с. 308-320.



სურ. 1. მოოქრული ვერცხლის ყდის ქვედა ფრთა აბაზის სადიდებელი წარწერით. მოსკოვი, ГИМ, Шук. 760

სურ. 2. წმ. ლუკა მახარებელი. მოსკოვი, ГИМ, Шук. 760, 158v

სურ. 3. საზედაო ასოები. მოსკოვი, ГИМ, Шук. 760, 109v



1054) და მისი ძმების თანამოსაყდრეობისას. კოდექსი გადანერილია გარეჯელი ბერის, თეოდორე მთავარანგელოზ-ყოფილის მიერ აბაზისათვის. ოთხთავის მომგებელი აბაზი, ჰერეთისა და კახეთის მეფის, გაგიკის უმცროსი ვაჟი, ანდერძში ხელნაწერის გადამწერის, თეოდორე გარეჯელის გაზრდილად და სულიერ შვილად არის მოხსენიებული. 27 წლის აბაზი, რომელსაც თეოდორე გარეჯელი „ჭაბუკსა“ და „ბრწყინვალე მეფეს“ უწოდებს, ძმებთან ერთად ანდერძში კახთა და რანთა მეფის, ალსართან კურაპალატის თანამეფედ იხსენიება.² ის ბიზანტიელთა სამსახურში იმყოფება და თრაკიაში, ევროპის პროვინციაში მდებარე *არკადიპოლისის მთავარია*.³ როგორც გაირკვა, აბაზი იყო ძმები ბაკურიანისძეების – გრიგოლ, სევასტოსის და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის და აბაზ მაგისტროსის – ერთ-ერთი იმ გამზითვებული დის ქმარი, რომელიც პეტრინონის ტიპიკონში გრიგოლის სიძედ არის მოხსენიებული.⁴ ამ ნათესაური კავშირების გზით უნდა მოხვედრილიყო ხელნაწერი სამხრეთ საქართველოში.

XV-XVI საუკუნეებში, შესაძლოა უფრო ადრეც, ოთხთავი კლარჯეთის ერთ-ერთი მონასტრის წიგნსაცავში ინახებოდა. ამას ადასტურებს ხელნაწერის თავისუფალ გვერდებსა და ერთ-ერთი კამარის აშიაზე XVI საუკუნის პირველ მესამედში ათაბაგთა ოჯახის წევრებისა და ადგილობრივი სასულიერო პირების სახელზე შესრულებული მოსახსენებლები. ამ ტიპის მოსახსენებლები, ჩვეულებრივ, სახარების ცალკეული საკითხავების არეებსა და თავისუფალ გვერდებზე შექტონდათ, ხოლო მასში მოხსენიებულ პირთა დალოცვა ხდებოდა ლიტურგიის დროს, სახარების შესაბამისი თავების წაკითხვისას. ამის თაობა-


² რანთა და კახთა სამეფო ტახტზე, კვირიკე III დიდის (1009-1037) უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ მისი დისშვილი, ლორეს კვირიკიანების ერთ-ერთი შტოს, ტაშირ-ზორაგერტის მეფის, დავით ანჰოლინის უმცროსი ვაჟი, გაგიკ I (1037-1058) დამკვიდრდა. კვირიკიანთა 67-წლიანი მმართველობის პერიოდში აფხაზთა და ქართველთა მეფეები (ბაგრატ IV, გიორგი II, დავით IV აღმაშენებელი) შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ საქართველოს გასაერთიანებლად, რაც, უპირველეს ყოვლისა, კახეთისა და რანის ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების გაუქმებას სახაზავდა მიზნად. ამ პროცესს მნიშვნელოვნად აბრკოლებდა წარმომავლობით ერთი ოჯახის წევრი მეფეების, კახეთ-რანისა და ტაშირ-ზორაგერტის სამეფოების იმდროინდელ მმართველ კვირიკიან-ბაგრატიუნების წინააღმდეგობა დამოუკიდებლობის დასაცავად, რასაც სხვა ხელისშემშლელი გარემოებებიც ახლდა. საქართველოს გაერთიანების წარმატებით დაგვირგვინების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის, მნიშვნელოვანი იყო XI საუკუნის 40-იანი წლებიდან ბალკანეთის სახლსა და ბაგრატ IV-ს შორის მიმდინარე ბრძოლა და ცენტრიდანული ძალებისადმი ბიზანტიელთა მხარდაჭერა, თბილისის დამოუკიდებელი საამიროს არსებობა, ასევე გადამწყვეტი იყო საგარეო საფრთხე, რომელიც იმ დროისათვის ბიზანტიურ სამყაროსა და სამხრეთ კავკასიას თურქ-სელჯუკთა სახით მოევლინა (პაპუაშვილი, *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.)*, გვ. 217-252; Мкртუмян, *Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв.*, с. 109-142.

³ არკადიპოლისი (დღევანდელი Lüleburgaz) ადრეტიზანტიური ხანიდან მოკიდებული, შედიოდა თრაკიაში შემავალი პროვინციებიდან ერთ-ერთში – *ევროპაში*. ის მოიცავდა კონსტანტინოპოლის შემოგარენს ბოსფორის სრუტის შესასვლელიდან ჰელესპონტამდე, ე.ი. თრაკიის შავიზღვისპირა ნაწილს მცირე ჰეიმოსის მთის ძირში ქალაქ ბიზიმდე (Koromila ed., *The Greeks and the Black Sea*, pp.163, 388).

⁴ შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*, გვ. 65.

ზე თავად ოთხთავის ერთ-ერთ მინანქრში ვკითხულობთ: „სახარებისა წარკითხვათა ზედა დალოცვაჲ განგვნესებია და სახარებასა შინა დაგვნერია ეგრეთვე, ყოველთა თავსა ზედა დავნერდეთ ესე“. მოსახსენებლებში დასახელებული პირები: ივანე ათაბაგ-ამირსპასალარი და მისი ოჯახის წევრები,⁵ დიდი მეფეთ-მეფე და დედოფალთ-დედოფალი ელისაბედ-ყოფილი ეფროსინე, ტანძაგარის დეკანოზი იორდანე იორდანიძე, კუმურდოელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე ლუინასძე, პარეხთ მოძღვარი მაკარ გაბელისძე კარგად არიან ცნობილნი დოკუმენტური წყაროებიდან და კლარჯული სულთა მატინანეების მოსახსენებლებიდან, აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნის და სინას სულთა მატინანის აღაპ-მოსახსენებლებიდან (სურ. 4).⁶

ამ მოსახსენებლების გარდა, ოთხთავის თავისუფალ გვერდზე, ფ. 10v-ზე, შეტანილია განსხვავებული ხელით – წიგნური ნუსხურით ნაწერი ტექსტი, რომლის ამოკითხვაც მეღნის გამქრალების გამო ბოლო დრომდე ვერ ხერხდებოდა.⁷ კალიგრაფიული ნუსხურით, ღია ყავისფერი მეღნით (ჩანანერის დასაწყისი და ზოგიერთი სტრიქონის პირველი




სურ. 4. მოსახსენებლები პარეხთ მოძღვრის, მაკარ გაბელისძის მოხსენიებით. მოსკოვი, ГИМ, Шук. 760, 311v

⁵ ყვარყვარე II დიდის მემკვიდრეებიდან, 1515 წელს სამცხის რეალური მმართველის, მზეჭაბუკის ბერად აღკვეცისა და გარდაცვალების შემდეგ ყვარყვარეს მეხუთე და მეექვსე ვაჟები, ორავჟანდა და მანუჩარი, და მათი შთამომავლები – ორავჟანდას ძეები, ქაიხოსრო და ივანე, და მანუჩარის ძე მანუჩარი დაუპირისპირდნენ ძმისწულს, ათაბაგთა სახლის კანონიერ მემკვიდრეს, ყიზილბაშთა მიერ გაათაბაგებულ ყვარყვარე III ქაიხოსროს ძეს (1500/1516-1535). ოსმალეთისა და ქართლის მეფის მხარდაჭერით შეგულიანებული და „ათაბაგად“, „დიდად“ და „ათაბაგ-ამირსპასალარად“ წოდებული ორავჟანდა და მანუჩარი და მათი ძეები ოლთისსა და არტანუჯში იყვნენ გამაგრებულები. ერთ-ერთი მათგანი იყო მოსკოვის ოთხთავის მოსახსენებლის ორავჟანდას ვაჟი ივანე (გარდაიცვალა 1530 წლებამდე), რომელიც, არტანუჯში გამაგრებული, აქტიურად მონაწილეობდა მიმდინარე მოვლენებში. თურქული დოკუმენტის მიხედვით, ივანესათვის არტანუჯის წართმევა ყვარყვარე ათაბაგმა მხოლოდ XVI საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს მოახერხა (აბულაძე, *თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის*, გვ. 17-11).

⁶ კლდიაშვილი, *სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატინანე*, გვ. 150-156; მისივე, სამხრეთ საქართველოს მონასტრების ხელნაწერებში შესული სულთა მატინანეები (იბეჭდება).

⁷ ამ გამქრალებულ ჩანანერზე მიუთითებს ე. დობრინინა ხელნაწერის არქეოგრაფიულ აღწერ-ილობაში (Добрынина, *Неизвестная грузинская лицевая рукопись*, გვ. 306, შენ. 29)



სურ. 5. ერუშნელი მღვდელმთავრის და მოძღვრის, დავით სოლომონისძის მიერ პარეხის უდაბნოსათვის მიცემული შეწირულების საბუთი.
მოსკოვი, ГИМ, Шук. 760, 10v

ასო მთავრულითა და სინგურით) შესრულებული ჩანანერი დანარჩენ მინან-ერებზე რამდენადმე ადრე უნდა შეეტანათ ხელნაწერში. ტექსტის ამოკითხვა მხოლოდ მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან ციფრული ასლების მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი.⁸ ჩანანერი აღმოჩნდა ერუშნელი მღვდელმთავრი-სა და მოძღვრის, დავით სოლომონისძის მიერ პარეხთა ღვთისმშობლის უდაბ-ნოსათვის საალაპედ მიცემული შეწირულების დოკუმენტი (სურ. 5):

სახელითა ღისათა მამისა ძისათა და სლისა წმ
სათა და მეოხებითა ყდ წისა ღისმშობლისათა
[---]სა ჩნ სოლომონისძეთა მოძღარმან დთმან და
მს ჟმსა ოდეს ერუშნელობა მქონდა და ჩემთა ძ
მათა მახარბელმნ გიორგი და ივანამ შევსწირ
ეთ და მოხსენეთ ყდ წსა ღისმშობელს პარ
ეხთასა ჩნთა საქონლითა ნასყიდი თუხარელთე
ული. თაბძორს პირდაპირ რუსა ზედათ და ლოშს
აქეთ. სიდგწცა წყალი დაგორდების. ნასყიდო
ბისა დედა წინგნი საუდბნოთ დავანერინეთ. და
ჭარას შავშეთს ორი და გაბადი ყანა და ერთი
[--]ა ჩნგნ დაჰსილი დაგიდევით. და თქნ
დაგიდევით საკნო ალაპი აგვსტოსსა: იე
მ[ო]წყალეზე. ღის მშობლისა კარგალებით ვა
[ლ-]ისმშობლობა. მითავე წესითა და ცქირი
ულისა ღვნო მას დღესა წაიგებოდეს თქნისა
ს[უ]ლისა სამლოცველოდ და თქნთ დედა მშთათს:
არა ოდეს მოგიშალო და თუ ვინმენ მოგიშა
[---] მამუღლი თქნთჳს ვინ იყოს: სულსა სოლ
ომონის ძისა დავითს და მიხსა ძმისა მახარებ
ელსა გიორგის დ[-] ივანასა და მათთა დედა მშ
თა შნ ღნ.

სახელითა ღ(მრთ)ისათა, მამისა, ძისათა და ს(უ)ლისა წმ(იდი)სათა,
და მეოხებითა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშობლისათა | [მარი-
ამი]სა, ჩ(უე)ნ, სოლომონისძეთა მოძღ(უ)არმან დ(ავი)თმან, და |
მ(ა)ს ჟ(ა)მსა ოდეს ერუშნელობა მქონდა და ჩემთა ძ[მათა, მახარ(ე)
ბელმ(ა)ნ, გიორგი და ივანამ(ა)ნ შევსწირ|ეთ და მო[ვა]ხსენეთ ყ(ოვ-
ლა)დ წ(მიდ)ასა ღ(მრთ)ისმშობელს პარ[ე]ხთასა ჩ(უე)ნ(ი)თა საქონ-
ლითა ნასყიდი თუხარელთეული თაბძორს პირდაპირ რუსა ზედათ

⁸ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბ-ნ ლაშა პაპაშვილს და ფონდ „ცისკარს“ თანდგომისა და დახმარებისათვის. სწორედ მათი ფინანსური დახმარებით მოხერხდა მოსკოვის ისტორიული მუზეუმიდან ოთხთავის ციფრული ასლების მიღება.

და ლოშს | აქეთ, სიდგ(ა)ნცა წყალი დაგორდების, ნასყიდობისა დედა წინგნი (sic) საუდ(ა)ბნოთ დავანერინეთ. და ჭარას შავშეთს ორი, და გაბადი ყანა, და ერთი | [მინ]ა ჩ(უე)ნგ(ა)ნ დაწს[ნი]-ლი დაგიდევიტ. და თქ(უე)ნ | დაგიდევიტ სა(უ)კ(უ)ნო აღაპი აგვს-ტოსსა იე | მ[ო]წყალეპ(ა)ღ ღ(მრთ)ისმშობლისა კარგალებით, ვ(ით)ა | [ღ(მრთ)]ისმშობლობა, მითავე წესითა. და ცქირიქლისა ღვწო მას დღესა წაიგებოდეს თქ(უე)ნისა | ს[უ]ლისა სამლოცველოდ და თქ(უე)ნთ დედა-მ(ა)მ(ა)თათ(კ)ს. | არაოდეს მოგიშალო, და თუ ვინ-მენ მოგიშა[ლოს] მამული თქ(უე)ნთჳს ვინ იყოს. სულსა სოლქომონის ძისა დავითს და მისსა ძმისა მახარებელ-სა, გიორგის დ[ა] ივანასა და მათთა დედა-მ(ა)მათა შ(ეუ)ნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

საბუთი უთარილოა, მასში მხოლოდ აღნიშნულია, რომ შეწირულება გაიცა დავით სოლომონის ძის ერუშნელობის დროს. პალეოგრაფიული და ისტორი-ული რეალიების (ოთხთავის აშიებზე მოგვიანოდ ჩანერილი მოსახსენებლების) გათვალისწინებით, ჩანანერი XV საუკუნის მეორე ნახევრით უნდა თარიღდებოდეს. ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის გვიან საუკუნეებში ოთხ-თავის დაცულობის ადგილზე. როგორც ეს საბუთიდან გაირკვა, ოთხთავი ეკუთვნოდა პარეხის ღმრთისმშობლის უდაბნოს. სწორედ პარეხის მონასტრის „საუდაბნოდ“ დაუნერინებია დავით ერუშნელს მის მიერ შეწირული „თუხ-არელთეული“ მამულის „ნასყიდობისა დედა წინგნი“, რომელიც მონასტერში ინახებოდა. ისიც ნიშნეულია, რომ ოთხთავში შეტანილ ათაბაგთა ოჯახის წევრების და სასულიერო პირების სახელზე დადებულ მოსახსენებლებში იხსენიება პარეხთ მოძღვარი მაკარ გაბელისძე.

პარეხის უდაბნო მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ბერთის მონასტრის სიახლოვეს, ბერთისწყლის შენაკადის, მდ. დუგანალას ხეობაში სოფელ პარეხის (თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით ართვინის ილის ართვინის ოლჯეს სოფ. Duganala) მახლობლად, შვეული კლდის ვიწრო ჰორიზონტალურ ბაქანზე (სურ. 6).⁹ საბუთის ტექსტში დასახელებული ტოპონიმებიდან *თაბძორი* და *ლოში*, სავარაუდოდ, პარეხის მონასტერთან არსებული ადგილების ძველი სახელებია, სადაც მდებარეობდა მცხეთის ეკლესიის კუთვნილი თუხართა წმ. გიორგის ყმა-მამული (სურ. 7-8).¹⁰ რაც შეეხება შავშეთში მითითებულ ჭარას, ვფიქრობ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ადგილი, საიდანაც წარმომავლობდა კლარჯული ხელნაწერების სულთა მატრიანეებში მოხსენიებული ჭარელ/ჭარელისძეთა საგვარეულო.¹¹


⁹ ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 202 (იხ. აგრეთვე გვ. 38-40, 202-206).

¹⁰ კლდიაშვილი, *სამხრეთ საქართველოს ხელნაწერებში შესული სულთა მატრიანეები*, ბერთის ოთხთავის ანდერძ-მოსახსენებლები (იბეჭდება).

¹¹ მიძინაძორის სვინაქსარი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-97, 361v, 366r); წყაროსთავის სვინაქსარი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-193, 49v).



სურ. 6. პარეხის უდაბნო. გ. ბაგრატიონის ფოტო. 2018 წ.



სურ. 7. ჩანჩქერი ხეობაში. სავარაუდოდ, საბუთში დასახელებული ადგილი თაბძორსა და ლოშს შორის, სადაც მდებარეობდა ერუშნელის მიერ პარეხის ღვთისმშობლისათვის შენირული თუხარელთეული მამული. გ. ბაგრატიონის ფოტო. 2018 წ.



სურ. 8. წისკვილები პარეხის უდაბნოს მახლობლად მდ. დუგანალას ნაპირზე. გ. ბაგრატიონის ფოტო. 2018 წ.

დოკუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერუშეთის საეპისკოპოსოს ისტორიისათვის, რამდენადაც ის ამ უძველესი ეპარქიის საჭეთმპყრობლის მიერ გაცემული ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი დოკუმენტია.

XVI საუკუნის დასაწყისისათვის მღვდელმთავართა რიგში ერუშენელს წყაროსთაველი ეპისკოპოსის შემდეგ მე-15 ადგილი ეკავა. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში ერუშეთის ეპარქიის საზღვრები შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „ერუშენელის სამწყსო: [ტოლოშს]/ტლაოშს ზეითი, სულ არტაანი კოლის სამზღურამდინ“; რაც შეეხება არტაანის მეორე ნაწილს – „ზავეთი და იმის ზეითი პალაკაციო კოლას სამზღურამდინ, მტკვარს აქეთი არტაანი“ – ის წყაროსთაველის სამწყსოში შედიოდა.¹²

ძველი დროიდან ჯავახეთთან, სამცხესთან, ფოცხოვსა და შავშეთთან დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზები, სტრატეგიული თვალსაზრისით, ზრდიდა ერუშეთის მნიშვნელობას და ხელს უწყობდა მის დაწინაურებას.¹³ ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშვნით: „ხოლო ერუშეთს მზღვრის: აღმოსავლით მტკუარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი, და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს; სამწრით არსიანიდამ ჩამოსული მთა აღმოსავლეთად სამღერეთამდე, ერუშეთს და არტანს შორისი; დასავლით მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს; ჩრდილოთ მთა ამასა და ფოცხოვის-წევს შორისი, და ამასა და სამცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდავლენან გზანი ფოცხოვის-წევსა და სამცხეს შინა“.¹⁴

ვახუშტი ერუშეთის საკათედრო ტაძრის მდებარეობას ნაქალაქევთან მიუთითებდა. მისი გადმოცემით: „...ვარძიას ზეით, წრამის თავს, სამღერეთს, მტკუარს მოერთვის ერუშეთის მდინარე. ეს გამოსდის ერუშეთსა და ფორჩხის წევის შორის მთასა. მოდის ჩრდილოთ-დასავლეთს შუადად აღმოსავლეთს-სამწრეთს შუა. ამ წყალზედ არს, სამღერეთის დასავლით, ნაქალაქევი, სადაცა იყო ქალაქი, და ან არს დაბა. აქ ალაშენა ეკლესია გუმბათიანი, შუენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კონსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ მირიან მეფისა თანა, და დაასუენეს მას შინა სამსჭუალი ქრისტეს უფლისა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკუარის დასავლეთისა, ანცა არს ეკლესია დაურღუეველი, არამედ ცარიელი“.¹⁵

ერუშეთში პირველი ქვის ეკლესიის აგება ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. ლეონტი მროველის თანახმად, კონსტანტინე ბერძენთა მეფის მიერ ქართლში ეკლესიების ასაგებად წარმოგზავნილმა იოანე ეპისკოპოსმა „ვითარ მოინივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვან ერუშეთი, და დაუტევნა ხურონი საქმედ

¹² დოლიძე, *ქართული სამართლის ძეგლები*, III, გვ. 245.

¹³ გიორგი რუსის 1191 წლის აჯანყებისას თამარის ლაშქარი და აჯანყებულები ერთმანეთს სწორედ ნიალის ველზე, თმოგვსა და ერუშეთს შუა, ხინგრისის წყალთან შეებრძოლნენ. თამარს სამეფო ლაშქრის გამარჯვება თმოგვის ციხის პატრონმა, სარგის ვარამის ძის მახარობელმა აცნობა. ყაუხჩიშვილი (გამოც.), ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 52-3.

¹⁴ ყაუხჩიშვილი (გამოც.), ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 673.

¹⁵ იქვე, გვ. 672-673.

ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი“.¹⁶ ამის შემდეგ წუნდა-სა და მანგლისში მათ მიერ ეკლესიების შენების დაწყება მირიან მეფის წუხილის მიზეზი გამხდარა, „რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და იწყეს და დაუტევნეს ნაწილინი“.¹⁷ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციებით, საბერძნეთიდან წარმოვლენილმა ქვის მთლელებმა და კირით ხუროებმა მცხეთაში მისვლამდე პირველი ქვის ეკლესიის საძირკველი ერუშეთში დადეს, შემდეგ კი – მანგლისში. „მოქცევაჲს“ სინური ერთ-ერთი ადრეული რედაქციის თანახმად: „წარმოვიდეს ერუშეთა და დადვეს საძირკუველი ეკლესიისაჲ, და დაუტევეს ფერჯთა ფიცარნი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. და წარმოვიდეს მანგლისს და დადვეს საძირკუველი ეკლესიისაჲ, და დაუტევეს სამსჭუალი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად“.¹⁸ ეს ცნობა იმით არის საყურადღებო, რომ ის პირდაპირ ასახელებს იმპერატორ კონსტანტინე I დიდის (324-337) წარმოგზავნილთა მიერ ერუშეთსა და მანგლისში დატოვებულ სინმინდეებს – ერუშეთში მათ დატოვეს „ფერჯთა ფიცარნი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი“, ხოლო მანგლისში – „სამსჭუალი“, და არა პირიქით, როგორც ჩვენს, ისტორიოგრაფიაში ლეონტი მროველის შესაბამისი ცნობაა გაგებული (მომდინარეობს ვახუშტი ბატონიშვილიდან).

ერუშეთში ეკლესიის მშენებლობა დასრულდა IV საუკუნის 50-60-იან წლებში, მირდატის დროს. ლეონტი მროველის ცნობით, მირდატმა „მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდის ეკლესიათა“.¹⁹

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმისას, ანტიოქიის პატრიარქის კურთხევით ერთ-ერთი საეპისკოპოსო სწორედ არტაანში, ერუშეთში დაარსდა. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი – არტაანს ერუშეთს; ერთი – ჯავახეთს წუნდას; ერთი მანგლისს...“.²⁰

VII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში სპარსეთის ლაშქობიდან მობრუნებულმა ჰერაკლე კეისარმა (610-648), ქართლის მთავრის, ადარნასეს ვედრების მიუხედავად, ერუშეთსა და მანგლისში დაუნჯებული სინმინდეები თან გაიყოლა: „წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერჯთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესგან მირიანისადა“.²¹

VIII-IX საუკუნეებში ერუშეთში ძლიერი საეპისკოპოსოა, რომლის საჭეთ-მპყრობელიც კლარჯეთში წმ. გრიგოლ ხანცთელის თანამოაზრედ გვევლინება. წმ. გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრების“ თანახმად, დიდი მირიან აზნაურის

¹⁶ ყაუხჩიშვილი (გამოც.), ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 117.

¹⁷ იქვე, გვ. 118.

¹⁸ ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მათიანის ახალი რედაქცია, გვ. 12.

¹⁹ ყაუხჩიშვილი (გამოც.), ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 131. ეს ცნობა სინურ წუსხაში არ მოიპოვება.

²⁰ ყაუხჩიშვილი (გამოც.), ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 198.

²¹ ყაუხჩიშვილი (გამოც.), ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 227-228.

ძის, არსენის ქართლის კათალიკოსად დადგინებისას, ერუშნელი ეპისკოპოსის სიტყვა გადამწყვეტი აღმოჩნდა ჯავახეთს შეკრებილი არსენის მოწინააღმდეგე გვარამ მამფალისა და ქართლის ეპისკოპოსებისათვის, რათა კრების მონაწილენი კათალიკოსის დასამტკიცებლად კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტს, წმ. გრიგოლ ხანცთელს დალოდებოდნენ. მათ კითხვაზე: „ვისთვის არს ეგე დამტკიცებითი?“ მან მიუგო: „გრიგოლ არქიმანდრიტისათვის, ხანცთისა და შატბერდისა მაშენებელისა“.²²

მნიშვნელოვან სალიტერატურო-სამწიგნობრო ცენტრს წარმოადგენდა ერუშეთი X საუკუნის დამლევსა და XI საუკუნის დასაწყისში. აქ ერუშნელი ეპისკოპოსის, სტეფანეს ბრძანებით, დახელოვნებულმა კალიგრაფმა იოვანე „უცბად მჩხეკალმა“ XI საუკუნის დასაწყისში გადანერა ქალაღდზე შესრულებული ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი: ე.წ. ადიშის იადგარი – ჰიმნოგრაფიული კრებული და აგიოგრაფიული კრებული.

ადიშის იადგარში მომგებლის, სტეფანე მამამთავრის სადიდებელი და სავედრებელი ანდერძები რამდენიმე ადგილას გვხვდება (მესტია, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი Code-479 (კ-74), 82r, 121v, 164v, 184r, 239r, 284v).²³ თუ რომელი ეპარქიის მამამთავარი იყო სტეფანე, ირკვევა 121v-ზე წითელი, მწვანე და შავი მელნით ლამაზი კალიგრაფიული მთავრულით შესრულებული ანდერძიდან (სურ. 9):

წ. ი(ესო)კ ქ(რისტ)ჴ, მ(ეუ)ფ(ე)ო, ს(აუ)კ(უ)ნო ოხი|თა მშობელისა შ(ე)ნი|ს(ა)ჲთა და ვედრებითა | წ(მიდა)თა მოციქულთა | შ(ე)ნი(თ)ა)ჲთა ადიდე ს(უ)ლითა | და ჴორცითა ნების|მყოფელი შ(ე)ნი სტეფანე | ერუშნელ ეპისკოპოსი.


ასევე ქალაღდზეა ნაწერი სტეფანე მამამთავრის მომგებლობითა და იოვანე „უცბად მჩხეკალის“ მიერ გადანერილი მეტაფრასული კრებული,

²² აბულაძე (გამოც.), ცხორება გრიგოლ ხანცთელისა, გვ. 287.

²³ გლოველი (რედ.), *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწები*, გვ. 280.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ქალაღდზე ნაწერი ხელნაწერი შეიცავს 391 ფურცელს (305×230); ჩასმულია რესტავრირებულ ტვიფრულ ტყავგადაკრულ ყდაში; აქვს რვეულებრივი აღრიცხვა მთავრულით; ტექსტი ნაკლულია, სავარაუდოდ, შედგებოდა 48 რვეულისაგან; ტექსტი ნაწერია განკანონებულ ქალაღდზე ერთ სვეტად (17-20 სტრ.), შავი მელნით, კალიგრაფიული ნუსხურით; თავის დასაწყისები და საზედაო ასოები – შავი და წითელი მელნით; მომგებლის ანდერძები – მთავრულით, წითელი (164v, 184r, 239r, 284v) ან წითელი და მწვანე (121v, 82 r) მელნით; განკვეთილობის ნიშნად იხმარება წითელი, მწვანე და შავი მელნით დეკორატიულად გაფორმებული სამი და ორი ნერტილი.

პ. ინგოროყვა ადიშის საწელიწდო იადგარად ცნობილ კრებულს ერუშნულ კრებულს უწოდებდა და იადგარების ტიპოლოგიის კვლევისას, მესხეთის სალიტერატურო სკოლის წარმომავლობისად მიიჩნევდა (ინგოროყვა, ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა, გვ. 513-516). გიორგი მთაწმინდელის რედაქციის თვენის ხელნაწერებზე მუშაობისას ლ. ჯღამაიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ადიშის იადგარად წოდებული კრებული განეკუთვნება თვენის პირველ რედაქციას, იხ. ჯღამაია, *ადიშის ჰიმნოგრაფიული კრებულის შესახებ* (ხელნაწერი ნაშრომი).



სურ. 9. ადიშის იადგარი. ერუშნელი ეპისკოპოსის, სტეფანეს ანდერძი. მესტია, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი Code- 479 (კ-74).

რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (H-341).²⁴ მათი ანდერძები ხელნაწერში რამდენიმე ადგილას გვხვდება:

„ჩ ქრისტე ღმერთო, ადიდე მამადმთავარი სტეფანე შენ-
მიერთა დიდებითა, სულიერთა და ჯორციელითა, ორთავე
სუფევათა შინა, და წმინდათა მღვდელთმოდღუართა თანა და
წმიდათა მონამეთა თანა დაუსაყდრე სასუფეველსა შენსა
სტეფანეთურთ და ყოვლითა კრებულთ მათით, ამენ. ლოცვა
ყავთ იოვანესთჳს, უცბად მჩხრეკალისათჳს, და დაკლებული
ყოველი შემინდვეთ (99r; შდრ. 1r და სხვ.).

ღმერთო, ადიდე მამადმთავარი სტეფანე სულიერთა დიდები-
თა და ძმანი მათნი, ყოველი სამწყსოჲ და კრებულნი მათნი, და
მამაჲ სტეფანე ადიდე, უფალო ღმერთო, სულიერად და ჴულა
(sic) ორთავე სუფევათა შინა. ამენ იყავნ“ (73v; შდრ. 59v).²⁵

²⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-341: ქალაღი, 434 ფ., 330x205, თავბოლო, ნაკლული; ჩასშულია გვიანი ხანის ტყავგადაკრულ ყდაში, რომელზეც ასომთავრულით ამოტვიფრულია: „ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ“; ნაწერია ერთ სვეტად (28-29 სტრ.), აქვს რვეულებრივი აღრიცხვა ქვე-
და აშიაზე; ტექსტი შესრულებულია შავი მელნით, ნუსხურით; სათაურები სინგურით; გადამ-
წერია იოვანე უცბად მჩხრეკალი (1r, 59v, 73v, 99r); მომგებლები – მამადმთავარი სტეფანე (1r);
გიორგი (138r, 142r), აბულაძე (რედ.), *აღწერილობა*, H, I, გვ. 247-251.

²⁵ ხელნაწერის გვიანი ისტორიისათვის საყურადღებოა კრებულის თავისუფალ გვერდებზე
შესრულებული სავედრებელი მინაწერები, რომელთა თანახმადაც, ხელნაწერი მოგვიანებით
სვეტის უდაბნოს ეკუთვნოდა. ამის შესახებ ვიგებთ მუქი შავი მელნით, მსხვილი კალმით,
დაკუთხული ნუსხურით ხალვათად ნაწერი სავედრებელი მინაწერიდან: „ჩ უ(ფალო) ი(ესო)კ
ქ(რისტე), ღ(მერთო) ჩ(უენ)ო, შეგუწყალენ ჩ(უენ). | წ(მინდა)ო ღ(მრ)თისმშობლო, გამ(ი)მარ-
ჯ(ჲ)ოე ძისა შე(ენ)ისა | და ღ(მერთ)ი ჩ(უენ)ისა ძალსა მიხედენ და დაიცვენ შე(ენ)ი | ძმანი სუე-
ტისანი მშკდობით, დღეგრძელე | ბითი ცოდვა-შენდობით, თავისა წინამყუ | დროებით. უ(ფალი)ი
ღ(მერთ)ო ცხ(ო)რებისა ჩ(უენ)ისაო, | ისმინე ვედრებისა ჩ(ე)მისაჲ შე(ენ)ისა ძრიელე | ბისა,
ღ(მერთ)ო საოკუნეთაო, ო(ფალო) ღ(მერთ)ო, გამიმარ | ჯოე, ა(მი)ნ“ (280v). სავარაუდოდ, სვე-
ტის მოწვევები უნდა იყვნენ მიქელი (139v, 142r, 147v, 232r.) და ივანე (415v), რომლებსაც ხელ-
ნაწერის აშიებზე შეუსრულებიათ სავედრებელი და მოსახსენებელი მინაწერები, ანბანის რიგე-
ბითა და ნაქცეული კაცის ნახატი.

გვიანდელი მინაწერების თანახმად, ოსმალთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობის
შემდგომ სვეტის უდაბნოდან წაღებული ხელნაწერი ჯავახეთში, ტბისყურში (ტაბანყურში)
აღმოჩნდა, შემდეგ კი წალკის ღმრთისმშობლის ეკლესიას შეწირეს. ამ თვალსაზრისით, განსა-
კუთრებით საინტერესოა 351r-სა და 290v-ზე შესრულებული მხედრული ჩანაწერები, რომელთა
თანახმად, წალკელ ეპისკოპოსს ნიკოლოზ ხერხეულიძეს ვახტანგის მეფობისას ტბისყურის
„აოხრების“ დროს ნაშოვნია ხელნაწერი წალკის ეკლესიისათვის შეუწირავს: „მეფობასა ვახ-
ტანგისას მე, წაველ ეპისკოპოსმა ხერხეული | ძემ ნიკოლოზ ტბისყ | ური შენად მექ | ანა, ავა-
ოხრე. ეს | ნეტაფ | ა | რსი იქ ვიშოე, წალკის მღთისმშობელს შემო | ვსწირე. ვინც ეს გამოსწიროს,
რისხავს | ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი. იქნა ამისი აოხრება მას თორმეტს. რაც ამაში
წამებული იყოს, | ისმც გაურისხდება, ვინც გამოსწიროს“ (290v). წალკელ ნიკოლოზ ხერხე-
ულიძის მინაწერებს 1660 წლის ახლო ხანებით ვათარილებ. მინაწერში აღნიშნულ ტბისყურის
„აოხრებაში“ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფის, ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) მიერ
მისი მონინააღმდეგე სამცხეში ლტოლვილ ზაალ არაგვის ერისთავის შვილების ჯავახეთში,
ბორჯომ-ბაკურიანისა და ახალციხის საზღვართან, კერძოდ კი, ტბისყურში შეპყრობა და ყაე-
ნთან გაგზავნა (ყაუხჩიშვილი (გამოც.), ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 448). მეტაფრასი XVIII-XIX
საუკუნეების მიჯნაზე მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკასძის/ჩაჩიკაშვილის (XVIII ს. მეორე ნახ. – 1810)
ხელშია. მას ხელნაწერი ტყავგადაკრულ ტვიფრულ ყდაში ჩაუსვმს.



სურ. 10. XI ს-ის 40-50-იანი წწ. ერუშეთის საწინამძღვრო ჯვარი მეფე ბაგრატის და ერუშნელი სოფრონის წარწერებით. ფოტო გ. ჩუბინაშვილის წიგნიდან

XI საუკუნეში კიდევ ერთი ერუშნელი ეპისკოპოსის სახელს უკავშირდება ვერცხლის მოოქრული ჯვარი, რომელიც XIX საუკუნის დამლევეს გელათის მახლობლად მდებარე მონამეთას მონასტრის სიძველეების მიმოხილვისას აღწერეს ნიკოდიმ კონდაკოვმა და დიმიტრი ბაქრაძემ, სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით შეისწავლა გიორგი ჩუბინაშვილმა (სურ. 10).²⁶ საწინამძღვრო ჯვარი (29,5 X 20), რომლის ქვედა ნაწილი დაზიანებულია, ამჟამად ინახება ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (ქიმ. № 3585). მასზე წარმოდგენილია რელიეფური მედალიონები მიქაელ მთავარანგელოზის, იოანეს და მარიამის წელზევითა ფიგურებით და ჯვარცმის გამოსახულებით; ჯვრის ზურგზე მედალიონებში ჩანებულია XI საუკუნის მთავრულით შესრულებული საქტიტორო წარწერები ბაგრატ მეფის და ნოველისიმოსის სადიდებელი წარწერითა და ერუშნელი ეპისკოპოსის, სოფრონ ქველის ძის მოსახსენებლით. ამდენად, საწინამძღვრო ჯვარი ერუშეთის ეპისკოპოსის, სოფრონის მიერ უნდა იყოს დამზადებული ბაგრატ IV-ის სადიდებლად (სურ. 10).²⁷

საწინამძღვრო ჯვრის წარწერები ბაგრატ IV-ის (1027-72) მიერ ნოველისიმოსის ტიტულის ფლობის პერიოდით – 1042/50-1059 წლებით თარიღდება.²⁸ ამ

²⁶ Кондаков (состав.), *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии*, с. 56-57; Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, I, с. 176, 472, 556; II, илл. 392-394.

²⁷ წარწერების ბაქრაძისეული რუსული თარგმანის ქართული შესატყვისი შემდეგია: ქ(რისტ)ე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისი[მოსი]. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე სოფრონ ერუშნელი, ქველის ძე. ქ(რისტ)ე, განუსვენე მხეცის ძეს.

²⁸ ერუშეთის საწინამძღვრო ჯვრის წარწერის ანალოგიური ზედწერილი დასტურდება ბაგრატ ნოველისიმოსის ტიტულით 1050-1060 წლებში მოჭრილ მონეტებზე: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ბ(ა)გ(რა)ტ აფხაზთა მეფე და ნო(ვე)ლისიმოსი“, იხ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, გვ. 228-235.

თარიღის გათვალისწინებით, XI საუკუნის 40-50-იანი წლებით განვსაზღვრავ სოფრონის მღვდელმთავრობასაც ერუშეთში. ამის შემდეგ ცნობები ერუშეთის ეპარქიის შესახებ ქრება ვიდრე XV საუკუნემდე. მოსკოვის ოთხთავში შეტანილ სააღაპე შენირულების დოკუმენტით ამ დროს, როგორც უკვე აღინიშნა, ერუშენელი მღვდელმთავრი და მოძღვრია დავით სოლომონისძე.

XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში ერუშეთი, სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ოსმალეთმა მიიტაცა. ოსმალების მპრობელობისას სამხრეთ საქართველოს საეპისკოპოსოების შევიწროება-გაუქმების პროცესს შეენირა ერუშეთის საეპისკოპოსოც. უკანასკნელი ერუშენელი ეპისკოპოსი იყო დიონისი ლარაძე. XVII საუკუნის შუა ხანებში ის საათაბაგოდან შიდა ქართლში გადავიდა, სადაც რუისის ეპარქია მიიღო და მროველ ეპისკოპოსად იქნა ხელდასმული. ამის შესახებ ცნობა შემოინახა ერუშეთიდან მის მიერ წამოღებულმა, ამჟამად დაკარგულმა საწინამძღვრო ჯვრის წარწერამ. 1716 წელს მროველმა ნიკოლოზ ორბელიშვილმა დიონისი ლარაძის მიერ რუისის საყდრისათვის შეწირული, უკვე დაძველებული („განხრწილი“) ჯვარი განაახლებინა („ხელახლად გავაკეთებინე და ვერცხლიც მოუმატეთ“) და ჯვრის პირველშემწირველი ერუშენელ-ყოფილი მროველი ეპისკოპოსის შენდობით მოხსენიება ითხოვა; „ქ. წო და მარ(ადის) წმიდაო მარიამ, ჯ(უარ)ი ესე, ლარაძე მროველი დიონოსე პირველ ერუშენელი ყოფილა, ამას შემოენირა...“, – აღნიშნავდა ნიკოლოზ ორბელიშვილი მის მიერ განახლებული ჯვრის წარწერაში.²⁹

ვერცხლის ჯვარი შემკული ყოფილა ძირს „ბუშტით“ და ზედ „ქანდაკად ამობერვილი“ ქართველი წმინდანების (წა ნინო, კ~დ წა (sic), წა დედოფალი ქეთევანი, წა ი(ოან)ე ზედაზნელი, წა დავით გარეჯელი, წა შიო მღვიმელი) რელიეფური ხატებით. დიონისი ლარაძის მიერ ერუშეთიდან წამოღებულ საწინამძღვრო ჯვარზე 1624 წელს წამებით აღსრულებული ქეთევან დედოფალის გამოსახვა მიაწინებებს, რომ ჯვარი XVII საუკუნის შუა ხანებზე ადრე არ უნდა ყოფილიყო შექმნილი. სავარაუდოდ, ეს საწინამძღვრო ჯვარი დიონისი ლარაძემ დაამზადებინა მისი ერუშენელობის დროს.³⁰ დიონისი ლარაძე მროველი ეპისკოპოსი იყო ევდემოზის (XVII ს.-ის დამლევი) და ნიკოლოზ ორბელიშვილის (XVIII ს.-ის პირველი მეოთხედი) წინ,³¹ შესაბამისად, ის ერუშენელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო XVII საუკუნის შუა ხანებში. ამავ პერიოდში უნდა გაუქმებულიყო ერუშეთის ეპარქიაც.

ერუშეთში მიტოვებული გუმბათიანი საეპისკოპოსო ტაძარი XVIII საუკუნის დამლევს ჯერ კიდევ „დაურღუეველი“ იდგა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბერლინის 1878 წლის კონვენციით, ყარსის, არდაგანისა და ოლთისის მხარეები

²⁹ ჟორდანიას, *ქრონიკები*, III, გვ. 59-60.

³⁰ ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ქართველ წმინდანთა ხატებს წმ. ქეთევან დედოფლის ხატი დაამატეს ნიკოლოზ ორბელიშვილის მიერ ჯვრის განახლებისას, 1716 წელს.

³¹ დიონისი გვევლინება რუისის სამრეკლოს ამშენებლად, რასაც გვაუწყებს საამშენებლო წარწერა: „ღმერთო, შეინყალე სამრეკლოსა ლარაძე დიონოსი მროველი“.



სურ. 11-13. ერუშეთის
საეპისკოპოსო კათედრალის
ნანგრევები. გ. ბაგრატიონის
ფოტო. 2011/2012 წწ.

რუსეთის ხელში გადავიდა. 1902 წელს მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს, ექსპედიციის წევრებს (ექვთიმე თაყაიშვილი, არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი, ფოტოგრაფი – ალექსანდრე მამუჩაშვილი) არდაგანის ოლქში, სოფელ ორუშეთში მდგარი ეკლესია დანგრეული დახვდათ. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, აწყურის ტაძრის თანაფარდი დიდი ზომის ოთხკუთხა წაგრძელებული ფორმის სამაფსიდიანი ნაგებობა ერთ დროს გუმბათით უნდა ყოფილიყო დაგვირგვინებული. 1902 წლისთვის ამ გრანდიოზული ნაგებობიდან დარჩენილი იყო მხოლოდ ცენტრალური აფსიდისა და დასავლეთი კედლები, ასევე გვერდითა კედლები ორსაფეხურიანი ცოკოლის დონეზე; დასავლეთ კედელზე ჯერ კიდევ გაირჩეოდა ფერნერის კვალი. ასევე შემორჩენილი ყოფილა ერუშენელი ეპისკოპოსის სადგომის ნაშთებიც.³²

ამჟამად ერუშეთის საკათედრო ტაძრი თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული და მისგან მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევიღაა შემორჩენილი (სურ. 11-13).

დამონეხული ლიტერატურა

- აბულაძე** (რედ.), *აღწერილობა*, H, I = *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, H, I, დასაბუჯდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების, ლ. ქუთათელაძის და ნ. კასრაძის მიერ, ი. აბულაძის რედ., თბილისი, 1946.
- აბულაძე** (გამოც.), *ცხოვრება გრიგოლ ხანცთელიისა = ცხოვრება გრიგოლ ხანცთელიისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.
- აბულაძე**, *თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის = თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის*, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბილისი, 1983.
- ალექსიძე**, „მოქცევა ქართლისაჲს“ მატიანის ახალი რედაქცია = ზ. ალექსიძე, „მოქცევა ქართლისაჲს“ მატიანის ახალი რედაქცია. *N/Sin.* 48, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 3 (2004).
- გლოველი** (რედ.), *საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები = საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები. კატალოგი*, შემდგენლები: გ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, შ. გლოველის რედ., თბილისი, 2015.

³² Уварова (ред.), Ардаганский участок, Эрүшети, с. 69-70.

- დოლიძე**, *ქართული სამართლის ძეგლები*, III = *ქართული სამართლის ძეგლები*, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970.
- ინგოროყვა**, *ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა* = პ. ინგოროყვა, *ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა, თხზულებათა კრებული*, III, 1965.
- კლდიაშვილი**, რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი = დ. კლდიაშვილი, *გარეჯა-კონსტანტინოპოლი. თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი, საქართველოს სიძველენი*, VII-VIII (2005).
- კლდიაშვილი**, *სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე* = დ. კლდიაშვილი, *ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე*, I, თბილისი, 2008.
- კლდიაშვილი**, *სამხრეთ საქართველოს ხელნაწერებში შესული სულთა მატიანეები* = დ. კლდიაშვილი, *ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები. სამხრეთ საქართველოს ხელნაწერებში შესული სულთა მატიანეები*, II, თბილისი, 2019 (იბეჭდება).
- პაპუაშვილი**, *რანთა და კახთა სამეფო* = თ. პაპუაშვილი, *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.)*, თბილისი, 1982.
- ჟორდანიას**, *ქრონიკები*, III = *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ*, III, თბილისი, 1967.
- სილოგავა**, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* = ვ. სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, თბილისი, 2006.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა* = *ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება*, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიერ ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა* = *ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება*, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიერ ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი* = *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება*, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიერ ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა* = *ქართლის ცხოვრება*, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიერ ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.
- შანიძე** (გამოც.), *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი* = ა. შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია* (თხზულებანი, IX), თბილისი, 1986.
- ხოშტარია**, *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები* = დ. ხოშტარია, *კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები*, თბილისი, 2005.
- ჯღამაია**, *ადიშის ჰიმნოგრაფიული კრებულის შესახებ* = ლ. ჯღამაია, *ადიშის ჰიმნოგრაფიული კრებულის შესახებ* (ხელნაწერი ნაშრომი).

- Добрынина**, Неизвестная грузинская лицевая рукопись = Э. Добрынина, Неизвестная грузинская лицевая рукопись из Государственного Исторического Музея (Шук. 760), Добрынина (ред.), *Хризограф, Сборник статей к юбилею Г. З. Быковой*, Москва, 2003.
- Koromila** (ed.), *The Greeks and the Black Sea* = М. Koromila (ed.), *The Greeks and the Black Sea from the Bronze Age to the Early 20th Century*, Contributions by A. Alexidze, O. Lordkipanidze, A. Ballian, L. Polychronidou-Loukopoulou, P. N. Protonotarios, Athens, 2002.
- Кондаков** (состав.), *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии* = *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии*, составленная Н. Кондаковым, грузинские надписи прочтены и истолкованы Д. Бакрадзе, С. Петербург, 1890.
- Мкртумян**, *Грузинское феодальное княжество Кахети* = Г. Мкртумян, *Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией*, Ереван, 1983.
- Стерлигова**, Чеканный оклад грузинского Тетраевангелия, = И. Стерлигова, Чеканный оклад грузинского Тетраевангелия Государственного Исторического Музея (Шук. 760), Добрынина (ред.), *Хризограф, Сборник статей к юбилею Г. З. Быковой*, Москва, 2003.
- Уварова** (ред.), Ардаганский участок, Эрүшети = *Материалы по археологии Кавказа*, вып. XII, Под редакцией графини Уваровой, Москва, 1909.
- Чубинашвили**, *Грузинское чеканное искусство* = Г. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство, I-II*, Тбилиси, 1959.

NEW MATERIALS FROM THE GEORGIAN GOSPEL OF THE MOSCOW STATE HISTORICAL MUSEUM: EPARCHY OF ERUSHETI

Abstract

Lavishly illuminated manuscript of the Georgian Gospel deposited at the Moscow State Historical Museum (ГИМ, Шук. 760) was copied in 1070 at the *hesychasterion* of Mother of God called “Megethon” at the Georgian monastery of Romana, located on the European side of the Bosphorus in Constantinople. The codex was copied and decorated by Theodore Garejeli for his spiritual son, governor of Arcadipolis (Thrace) Abaz, who was the brother and co-regnant of the King of Rani and Kakheti (East Georgia) Aghsartan I *Curopolates* (1058-1084) and brother-in-law (husband of the sister) of the *Sebastos* and *Great Domestic* of the West Grigol Bakurianis-dze, founder of the Georgian monastery of Petritzos.

In the 14th-16th centuries, and even earlier the Gospel was kept in the Monastery of Parekhi (Georgian historical province of Klarjeti). This fact is verified by the commemorations of the members of Atabags of Samtskhe, representatives of Tao-Klarjeti

families and local clergymen, written in the first half of the 16th century on the blank pages and in the margin of one of the canon tables of the manuscript. On one of the blank pages (10v) the text written in calligraphic *nuskhuri* script in brown and red ink is earlier than above-mentioned commemorations. As the ink of this text almost faded away, until recent times it was not possible to decipher it. It is clarified that the text represents an act of donation of Bishop of Erusheti Davit Solomonis-dze, given to the monastery of the Mother of God of the Parekhi Monastery in the 15th century. This document is an important source for the definition of the place to which the Gospel belonged, as well as for the history of one of the oldest Eparchy of Georgia, as this is the only document issued by the prelate of Erusheti extant until today.

Darejan Kldiashvili
Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ანჩინური კრიპტოგრაფიები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერში – S-421

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში საიდუმლო დამწერლობის (კრიპტოგრაფიის) მრავალგვარი სისტემაა დაფიქსირებული. მათს ამოხსნასა და კრიპტოგრამების გაშიფვრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მარი ბროსემ,¹ ნიკო მარმა,² აკაკი შანიძემ,³ ივანე ჯავახიშვილმა,⁴ ექვთიმე თაყაიშვილმა,⁵ რუსუდან ორბელმა,⁶ გივი მიქაძემ⁷ და სხვა მკვლევართ, ლილი ათანელიშვილმა კი თავი მოუყარა მეცნიერების მონაპოვარს ქართული კრიპტოგრაფიის დარგში, და თავის შესანიშნავ მონოგრაფიულ ნაშრომში – „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ – მოგვცა კატალოგი ქართული კრიპტოგრამებისა (სულ 363 ხელნაწერიდან).⁸ ამ მონოგრაფიის გამოსვლის შემდეგ კრიპტოგრამების შემცველ ხელნაწერთა ჩამონათვალი კიდევ რამდენიმე ხელნაწერით გაიზარდა. სახელდობრ, ახლახან თემურ ჯოჯუამ მიაკვლია ერთი და იმავე მწერლის (იაკობის) მიერ შესრულებულ კრიპტოგრამებს პეტერბურგისა და კრაკოვის ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში.⁹ წინამდებარე პუბლიკაციით კი ასეთ ხელნაწერთა რიცხვს კიდევ ერთი ერთეული ემატება.

¹ Brosset, Note Supplémentaire, pp. 244-248.

² Март, Один вид, с. 205-207.

³ შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, გვ. 63-68. მისივე: კრიპტოგრაფიული მასალები, გვ. 237-243.

⁴ ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 129-133 (ამავე ნაშრომის 1949 წლის გამოცემაში – გვ. 131-136).

⁵ თაყაიშვილი, ქართული ხელნაწერები.

⁶ Орбели, Из криптографированных записей, с. 393-403.

⁷ მიქაძე, საიდუმლო დამწერლობა; მისივე, ქართული კრიპტოგრაფია; მისივე, ერთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის; მისივე, უცნობი ნიმუშები; მისივე, კრიპტოგრაფიული წერილები, გვ. 251-254; მისივე, შესწავლა და აღწერა, გვ. 10-17. მისივე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ; მისივე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 35-47; მისივე, მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის, გვ. 114-147.

⁸ ათანელიშვილი, საიდუმლო დამწერლობა, გვ. 178-369.

⁹ ჯოჯუა, ვინმე იაკობის მიერ გადაწერილი ლიტურგიკული კრებული, გვ. 100-104, 145-148; ჯოჯუა, კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თერთმეტი ქართული ხელნაწერი წიგნისა და მათი ანდერძ-მინაწერების შესწავლა.

ათანელიშვილის კატალოგით აშკარა გახდა, რომ ქართული კრიპტოგრაფიული სისტემებიდან ყველაზე ხშირად ანჩინურ სისტემას მიმართავდნენ ქართველი მნიგნობრები. ამ კატალოგში 107 ასეთი კრიპტოგრამაა დაფიქსირებული.¹⁰ ჯოჯუას მიერ მიკვლეული კრიპტოგრამებიც ანჩინურია.

ამ სისტემის (ანჩინურის) გარდა ქართულ ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია უცხოური ანბანებით (ბერძნულით, ლათინური, სლავური, სომხური), ასევე სხვადასხვა სათვალავითი სისტემით და სარკისებრი დანერილობით დაშიფრვის შემთხვევები (შესაბამისად, №71, №55 და №35 კრიპტოგრამები).¹¹ უფრო იშვიათია ანჯანური, ანრეული და ანჰოური სისტემებით, ასევე პირობითი ნიშნებისა და უკუდანერილობის მრავალფეროვანი სისტემებით დაშიფრვა.¹²

ამას წინათ, რამდენიმე უცნობი კრიპტოგრამა შევამჩნიეთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთი ეტრატის ხელნაწერში – S-421. ქართული კრიპტოგრამების შემცველ ხელნაწერთა ათანელიშვილისეულ კატალოგში ის ვერ მოხვდა, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ თავის დროზე აღმწერელთ ვერ შეუმჩნევიათ ამ ნიგნში გაბნეული დაშიფრული მინაწერები.¹³

ამ ხელნაწერით დაინტერესება გამოიწვია ჩემი საკვლევი თემის საჭიროება. ეს თემა ეფთვიმე მთანმიდელის ლექსიკა მისი თარგმნითი და ორიგინალური ნაშრომების მიხედვით. ხელნაწერი S-421 სწორედ ეფთვიმეს ერთ-ერთ თარგმანს შეიცავს, სახელდობრ ნმ. მაქსიმე აღმსარებლის „მიგებას თალასე მონაზონის კითხვებზე“ (*Questiones ad Thalassium*),¹⁴ რომელიც აქამდე გამოცემული არ ყოფილა, ამიტომაც ხელნაწერებში უნდა გავცნობოდი ამ ტექსტს, რათა ის ჩემი საკვლევი თემისათვის გამოემყენებინა.

მაქსიმეს თხზულების ეფთვიმესეული თარგმანი დასათაურებულია ასე: „ნმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი, ნეტარისა თალასეს მიმართ,

¹⁰ ათანელიშვილი, *საიდუმლო დამწერლობა*, გვ. 370-371.

¹¹ სათვალავით სისტემათაგან ყველაზე პროდუქტიულია ციფრებზე წერტილების დასმით დაშიფრვა ათეულების, ასეულებისა და ათასეულების გამომხატველი ასოებისა (ათეულების გამომხატველი ასოების შესაბამის ციფრებს თითო წერტილი უზის თავზე, ასეულებისას – ორორი, ათასეულებისას – სამ-სამი, უწერტილო ციფრები კი ერთეულების შესაბამის ასოებს გამოხატავს. ათანელიშვილი, *საიდუმლო დამწერლობა*, გვ. 373-374.

¹² ლ. ათანელიშვილს დაფიქსირებული აქვს ქართულ კრიპტოგრაფიაში გამოყენებულ პირობით ნიშანთა 100 სისტემა, ათანელიშვილი, *საიდუმლო დამწერლობა*, გვ. 381-408. თითოეული მათგანი ერთ ან რამდენიმე კრიპტოგრამაშია გამოყენებული.

¹³ მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* S, I, გვ. 535.

¹⁴ კ. კეკელიძის კატალოგში ამ თხზულების შემცველ ხელნაწერთაგან დასახელებულია ოთხი: მარტვილის მონასტრის I (მოგვიანებით – ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Q-34, XI ს.), ჯრუჭის მონასტრის 3 (მოგვიანებით – ხელნაწერთა ინსტიტუტისავე H-1663, XI ს.), A-636 (1728 წ.) და S-1128 (XVIII ს.), კეკელიძე, *უცხო ავტორები*, გვ. 97. ე. გაბიძაშვილის კატალოგი ამ ჩამონათვალს უმატებს შემდეგ ხელნაწერებს: A-1099 (XVIII-XIX სს.), A-1495 (1818 წ.), H-208 (1855 წ.), H-316 (1820 წ.), H-1022 (XIX ს.), H-1677 (XVIII ს.), H-2816 (XVIII ს.), S-367 (1781 წ.), S-396 (XI ს.), S-421 (XII ს.), Q-848 (XVIII ს.), ქუთ. 185 (1824 წ.), გაბიძაშვილი, *ნათარგმნი ძეგლები*, 4, გვ. 268-269.

ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა, სიტყუათათჳს, რომელთა განმარტება ეთხოა მას ნეტარისა მაქსიმესგან“. არსებობს ამ თხზულების სხვა თარგმანიც, რომელსაც ნიკოლოზ გულაბერისძეს აკუთვნებენ,¹⁵ და ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ქუთაისური ხელნაწერით (№14).¹⁶ ეფთვიმეს თარგმანის შემცველი ხელნაწერები კი მრავალრიცხოვანია. ტექსტის დადგენისათვის მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერები: მარტვილის მონასტრისა (Q-34), ჯრუჭის მონასტრისა (H-1663) და S-396, რომლებიც სიძველესთან ერთად მეტ-ნაკლები სისრულითაც გამოირჩევიან. ამ ხელნაწერთა ტექსტოლოგიური შესწავლისა და ტექსტის დადგენის შემდეგ მიზანშეწონილად მივიჩნიე ვარიანტების დართვა S-421 ხელნაწერიდანაც, რადგანაც, აღმწერლის, თამარ ბრეგაძის აზრით, ისიც XI საუკუნეში უნდა იყოს გადწერილი და, სავარაუდოდ, მასაც ერთგვარი ღირებულება უნდა ჰქონოდა კრიტიკული ტექსტის დამუშავებისათვის. დანარჩენი 13 ხელნაწერი გვიანდელია (XVIII-XIX სს.) და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი შეცდომებით შერყვნილი, რის გამოც, კრიტიკულ ტექსტს ისინი ვერაფერს შესძენენ.

S-421 ხელნაწერი დაშლილია და თავბოლონაკლული, აკლია შიდა ფურცლებიც. ჩვენამდე მოღწეულია ეფთვიმეს თარგმანის მხოლოდ ერთი მესამედი, სულ 98 ფურცელი.

როგორც ცნობილია, ეს ეგზეგეტიკური თხზულება¹⁷ ეფთვიმე მთანმიდელს უთარგმნია მისთვის დამახასიათებელი კლება-მატების პრინციპით, რაც აქ განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოვლენილი.¹⁸ მაქსიმეს თხზულება 65 კითხვა-მიგებისაგან შედგება,¹⁹ ეფთვიმეს კი ზოგი რამ გამოუტოვებია ამ თხზულებიდან, სამაგიეროდ სხვა წყაროთა მასალები ჩაურთავს მასში და კითხვა-მიგებათა რიცხვი 100-მდე გაუზრდია. კორნელი კეკელიძის დაკვირვებით, მაქსიმეს 65 „მიგებათაგან“ ეფთვიმეს მხოლოდ 26 აქვს გადმოღებული, ისიც რამდენადმე შემოკლებით, ე. წ. სქოლიოების გარეშე.²⁰ დანარჩენი კითხვა-მიგების წყაროების ძიება მკვლევარს აღარ გაუგრძელებია, გარდა 29-ე კითხვა-მიგებისა, რომელიც ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული

¹⁵ „მაქსიმე მონაზონისაჲ, თალასის მიმართ, ყოვლადღირისისა ხუცისა და წინამძღურისა, თითოსახეთა უღონობათათჳს წმიდისა წერილისათა“.

¹⁶ კეკელიძე (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისი* I, გვ. 68-75.

¹⁷ მასში განმარტებულია საღმრთო წერილის ძნელად გასაგები ადგილები.

¹⁸ ეფთვიმეს ამ თარგმანის თავისებურება პირველად შენიშნა კ. კეკელიძემ, იხ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები (მეორედ დაიბეჭდა მისსავე კრებულში: *ეტიუდები*, I, გვ. 168-182). იხ. მისივე: *ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 200-201.

¹⁹ ბერძნული ტექსტისათვის იხ.: Laga – Steel (eds.), *Maximi Confessoris Quaestiones ad Thalassium*, I-II. ²⁰ კ. კეკელიძე აღრიცხავს ეფთვიმეს მიერ მაქსიმესაგან გადმოღებულ კითხვა-მიგებებს და მათ ბერძნულ შესატყვისებს: 1 (ქართული) = 1 (ბერძნულს), 32=2, 33=3, 34=4, 35=6, 36=7, 37=8, 38=9, 39=10, 40=11, 41=12, 42=18, 43=19, 44=20, 45=21, 46=22, 47=23, 48=27, 49=30, 50=33, 51=34, 52=35, 53-37, 54=39, 56=63, 57=64. იხ. კეკელიძე, *ეტიუდები* I, გვ. 170.

განრიგების საკითხებს, ე. წ. *Diaperismos*-ს ეხება, და რომელსაც მან საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა. კეკელიძის დასკვნით, ეფთვიმეს უსარგებლია ძირითადად ეპიფანე კვიპრელის († 403) ქრონიკებით, მასში ჩაურთავს ცნობები იპოლიტე რომაელის (III ს.) თხზულებიდან და სხვა წყაროებიდანაც, რომლებშიც მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად, ქართველები და მათი მონათესავე ტომებიც ყოფილან მოხსენიებული.²¹

ეფთვიმეს თარგმანის ცალკეული ნაწილების შესწავლა სცადა მიშელ ვან ესბროკმაც.²² ამ რამდენიმე წლის წინათ კი, ანი ჩანტლაძემ გამოყო ეფთვიმეს თარგმანის წყაროთა 4 ჯგუფი:

- ანასტასი სინელის კითხვა-მიგებანი (რიცხვით 39);
- მაქსიმეს პასუხები თალასეს კითხვებზე (რიცხვით 26);
- ამავე კითხვა-მიგების საეჭვო ნაწილი (რიცხვით 15);
- კითხვა-მიგებანი, რომელთა ბერძნული მოდელი და მათი ავტორები, ჯერჯერობით უცნობია (ამგვარი ოცია დარჩენილი).²³

ამათგან ერთი კითხვა-მიგება, რომელიც კრებულის ბოლოს, მე-100 ნომრად შეუტანია ეფთვიმეს, მე გამოვაქვეყნე 2013 წელს. ის აღმოჩნდა მაქსიმე აღმსარებლის ცალკე სტატია – საუფლო ლოცვის („მამაო ჩვენოს“) განმარტება,²⁴ რომლისათვისაც ეფთვიმეს კითხვა-მიგების ფორმა მიუცია და მისით დაუგვირგვინებია ეს კომპილაციური ნაშრომი.²⁵

S-421 ხელნაწერში წითელი მელნით ასომთავრულად დაწერილ ზოგიერთ „კითხვასა“ და „მიგებას“ ტექსტშივე ერთვის ასევე ასომთავრულით გამოცვანილი ქარაგმიანი კრიპტოგრამები: „ა-ჟ ყ-ჟ რ-ჟ“ და „ა-ჟ ყ-ჟ ძ-რ“. პირველი მათგანი მხოლოდ ერთგან გვხვდება (17r), მეორე კი – რამდენიმე კითხვა-მიგებასთან (24r, 39r, 54r, 67v, 71r, 87 r, 96v).

„ა-ჟ“ და „ყ-ჟ“ ქარაგმიანი სიტყვები ცნობილია იმ კრიპტოგრამებიდან, რომლებიც ანჩინური სისტემით არიან დაშიფრული (ასეთ ხელნაწერთა რიცხვს მიეკუთვნება *Sin. geo.* 26, *Jer. geo.* 53, *Jer. geo.* 73, A-4, A-54, A-134, A-365, A-635, A-743, S-4930, S-4944, საქართველოს ეროვნული არქივი-220, ქუთ. 4, ქუთ. 376 და მრავალი სხვ.),²⁶ და მათი ამოხსნა ასეთია: „ქ-ე“ და „შ-ე“, რაც ნიშნავს „ქრისტე, შეინყალე“.

ანჩინური სისტემით დაშიფრული კრიპტოგრამები პირველად გაშიფრა აკაკი შანიძემ და სახელიც მან შეურჩია ტერმინ „ანჯანურის“ ანალოგიით, რაც ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომიდან იყო ცნობილი.²⁷

²¹ იხ. იქვე, ქვემოთ.

²² Van Esbroeck, La question 66, pp. 329-337. იხ. მისივე, *Ein unbekannter Traktat*, S. 75-82.

²³ Chantladze, Euthymius the Athonite's Translation, pp. 49-58.

²⁴ *Orationis Dominicae brevis expositio*: Patrologia Graeca, 90, col. 871-910.

²⁵ კოჭლამაზაშვილი, ნმ. მაქსიმე აღმსარებლის „საუფლო ლოცვის განმარტება“, გვ. 38-78.

²⁶ ათანელიშვილი, *საიდუმლო დამწერლობა*, გვ. 178-208.

²⁷ შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, გვ. 63-68.

ანჩინურში ერთმანეთს ენაცვლება ერთეულებისა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები – „ა“ (1) და „ჩ“ (1000), „ბ“ (2) და „ც“ (2000), „გ“ (3) და „ძ“ (3000) და ა.შ. ათეულების აღმნიშვნელი ასოები კი ასეულების აღმნიშვნელი იცვლება, და პირიქითაც, ე.ი. ერთმანეთს ენაცვლება „ი“ (10) და „რ“ (100), „კ“ (20) და „ს“ (200), „ლ“ (30) და „ტ“ (300) და ა.შ. ამ სისტემით დაშიფრული ნაწერის კითხვა საკმაოდ იოლია, თუ ზეპირად გვეცოდინება ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები. ეს კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამრიგად, „ა-ჭ ყ-ჭ რ-ჭ“ და „ა-ჭ ყ-ჭ ძ-რ“ გაიშიფრება ასე: „ქ-ე შ-ე ი-ე“ და „ქ-ე შ-ე გ-ი“, რაც ნიშნავს: „ქრისტე, შეიწყალე იოვანე“ და „ქრისტე, შეიწყალე გიორგი“.

იოვანე და გიორგი, სავარაუდოდ, გადამწერები უნდა იყვნენ. შემორჩენილი ფრაგმენტების ფარგლებში ისინი სხვაგან (ანდერძ-მინაწერებში) არსად იხსენიებიან, სწორედ ამიტომაც დარჩენილან ისინი აღმწერელთა ყურადღების მიღმა.

ხელნაწერის რომელი ნაწილია ერთი მნიგნობრის ნამუშევარი და რომელი – მეორისა, ვერ ვიტყვით, რადგან განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება იყოს ხელწერის თავისებურებანი (კალიგრაფიული ნიშნები) და მნიგნობრული ოსტატობის სხვადასხვა დონე (რაც ჩანს, მაგალითად, განსხვავებულ ორთოგრაფიაში). S-421-ის მთელი ტექსტი კი, შემორჩენილი ფრაგმენტების ფარგლებში, ერთიანია, ორი გადამწერის ნაკვალევი იქ არ ჩანს; არც კალიგრაფიული სპეციფიკით და არც მნიგნობრული კვალიფიკაციის დონით ხელნაწერში სხვადასხვა მუშაკის ხელი არ გამოიყოფა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XI საუკუნით დათარიღება თითქოს ნდობით განგვანყობდა ამ ხელნაწერის მნიგნობრული ღირებულებისადმი; თითქოს, მას თუნდაც მცირედი მნიშვნელობა მაინც ექნებოდა კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის და, მაშასადამე, ამ მხრივ, შესაძლებელი გახდებოდა მისი დაყენება ამავე ტექსტის შემცველი XI საუკუნით დათარიღებული სხვა სამი ზემოაღნიშნული ხელნაწერის გვერდით.

სამწუხაროდ, ეს იმედი გავიცრუვდა ტექსტის დეტალური შესწავლით. ის, რომ თვალში საცემია ორთოგრაფიული სიჭრელე²⁸ და უადგილოდ გამოყოფა აბზაცებისა,²⁹ მნიგნობრის ნამუშევრის მთავარი ნაკლი არ არის. უფრო მძიმეა ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების ჩანაცვლება ჟღერადობით მსგავსი, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული სიტყვებითა და გამოთქმებით, მაგალითად:

განმართვება // განმართვება (24v)

რქა ვენაჯის // ჰრქუა ვენახის (12v)

²⁸ მაგალითად, „უ“-ს ხშირად ენაცვლება ხან „ო“, ხან „ჟ“.

²⁹ მსხვილი მთავრული ხშირად დასმული ისეთ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა წინადადება.

ცებნითა // ძებნითა (18v)
 ანცა // არცა (49r, 86v)
 საცოთ-წერანი // საცოდ-წერანი (35r)
 გამოცდითა // გამოსცდიდა (44v)
 მისდა // მისთა (78r)
 საკრველებითა // საკურველებითა (81v)
 დაჰმარხეს // დაამარხეს (81v)
 სახილველად // სახელად (83r)
 ჰგუემს // ჰგურემს (83r)
 მას შინა // მაშინ (90r)
 მამადმთავარნი // მამანი მთავარნი (94r)
 ისრაიტელთა // ისმაიტელთა (94r)
 მოსეს სჯულისათა // მის საშჯელისათა (95r)
 ნებათა // ვნებათა (96r)
 უვნებელობასა // უნებელობასა (97v)
 მიტევებაჲ // მეტყუელებაჲ (15r)
 ქეტელნი // გეტელნი (65v)
 ურცხვნოთა // ცხოთა (68v)
 შემზადებული // შეზავებული (73v)
 უძებნელთა ბრალთა // უნებელთა ბრალთა (18v)
 და მიერიტვან // ამიერიტვან (12v)
 საცოჲ // სასოჲ (76r)
 არს მათ შორის // ამათ შორის (77v)
 თითოფერი // თითო პირი (68r) და სხვ.

ასეთი შეცდომები მოსალოდნელია მხოლოდ კარნახით წერის შემთხვევაში, და ამიტომაც, ვფიქრობთ, S-421 ხელნაწერი კარნახით უნდა იყოს დაწერილი.

ჩვენთვის ცნობილია კარნახით წერის შემთხვევები მოგვიანო ხანაში; მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეების A-186 ხელნაწერში (დავით-გარეჯის გულანი), გვ. 653-ის ქვედა აშიაზე ვკითხულობთ ასეთ მინაწერს: „აქა დავით მღვდლმონაზონი ნემსაძე მიკანანახებდა. ცოდვანი მისნი შეუნდვენეს ღმერთმან“.³⁰

„კანანახება“ ბერძნულიდან შემოსული ტერმინია და კანონარქის (κανονάρχης), ე.ი. მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელის მიერ გალობის ხმისა და კილოს მინიმუმებს გამოხატავს.³¹ ლოტბარი კარნახობს მგალობელთა ამა თუ

³⁰ მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A, I*, გვ. 304.

³¹ მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი (კორიფე, ლოტბარი) გვიანდელ ქართულ წყაროებში „კანანახად“ მოიხსენიება, Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь*, с. 320; გაბიძაშვილი *et al.*, *ენციკლოპედიური ლექსიკონი*, გვ. 447, სტატია: „კანონარქი“. კანანახობა ზოგჯერ ზოგადად მეთაურობის (კორიფეობის) მნიშვნელობითაც ითქმის, მაგ. აკ. წერეთლის ლექსში „მწერლების ფერხული“: „ვახტანგ ჰგოდებს, ჰკვენეს ნიკოლოზ, ჰკანახობს მათ ილია, გრიგოლ ოხრავს, ალექსანდრე იმღერის და ხმა-ტკბილია“, წერეთელი, *მწერლების ფერხული*, გვ. 54.

იმ საგალობლის ტონალობასა და ჰანგს. ამიტომაც კანანახება ზოგადად კარნახის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. თვით ქართული სიტყვა „კარნახი“, აკაკი შანიძის დაკვირვებით, ბერძნული „კანონარქიდან“ მომდინარეობს.³²

S-421-ის მაგალითით ჩანს, რომ ხელნაწერი წიგნები კარნახით უწერიან არა მარტო მოგვიანო ხანაში, არამედ XI საუკუნეშიც და ალბათ, ბევრად უფრო ადრეც.

ამ აზრს ეთანხმება თამარ ოთხმეზურის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ კარნახით უნდა იყოს დაწერილი X-XI საუკუნეების მიჯნის ერთი ათონური ხელნაწერი (*Ivir. geo.* 68), რომელიც შეიცავს წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველის საკითხავს „შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა წმიდისაგან ქალწულისა მარიამისა“ და მის მაქსიმე აღმსარებლისეულ განმარტებას („თარგმანებაჲ ძნად გულისწმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა“). მკვლევრის დაკვირვებით, ამ ხელნაწერში წარმოდგენილ ტექსტებში „თავს იჩენს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ზეპირი გზით შექმნილი, კარნახით ჩაწერილი ტექსტებისათვის. ეს არის მექანიკურ შეცდომათა (*lapsus calami*) სიუხვე და განსაკუთრებული ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სიჭრელე“.³³ მოკარნახედ მკვლევარმა ივარაუდა თვით მთარგმნელი, ეფთვიმე მთაწმიდელი, და დასვა კითხვა – „არის ეს ერთეული შემთხვევა ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში, თუ ამ მეთოდით შეიძლება სხვა შემთხვევაშიც ემუშავა ეფთვიმეს, ან სხვა ქართველ მნიგნობარსაც?“³⁴ მომავალი კვლევა, იმედია, ნათელს მოჰფენს ამ საკითხს.

წინამდებარე სტატიით კი კარნახით დაწერილ წიგნთა რიცხვს ემატება S-421 ხელნაწერი, რომელშიც დიდი რაოდენობით იჩენს თავს კარნახის შეცდომათა ერთი ტიპი – ცალკეული სიტყვებისა და გამოთქმების ჩანაცვლება უღერადობით მსგავსი, მაგრამ შინაარსობრივად განსხვავებული სიტყვებითა და გამოთქმებით. ხოლო ამ ხელნაწერის კრიპტოგრამებში მოხსენიებული ორი პირიდან (იოვანე, გიორგი) ერთი მოკარნახედ შეიძლება ვიგულისხმოთ, მეორე კი – მწერლად.

დამოწმებული ლიტერატურა

ათანელიშვილი, საიდუმლო დამწერლობა = ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბილისი, 1982.

³² შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში*, გვ. 174.

³³ თ. ოთხმეზური, *მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum liber*, გვ. 40.

³⁴ იქვე, გვ. 42.

- გაბიაძევილი**, *ნათარგმნი ძეგლები*, 4 = ე. გაბიაძევილი, *ნათარგმნი ძეგლები*, ბიბლიო-გრაფია 4, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009.
- გაბიაძევილი et al.**, *ენციკლოპედიური ლექსიკონი* = ე. გაბიაძევილი, მ. მამაცაძევილი, ა. ლამბაშიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი*, თბილისი, 2007.
- თაყაიშვილი**, *ქართული ხელნაწერები* = ე. თაყაიშვილი, *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი*, პარიზი, 1933.
- კეკელიძე**, *უცხო ავტორები* = კ. კეკელიძე, *უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში*, კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, V, თბილისი, 1957.
- კეკელიძე**, ხალხთა კლასიფიკაციის საკითხები = კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, VII, თბილისი, 1938.
- კეკელიძე**, *ეტიუდები*, I = კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I, თბილისი, 1956.
- კეკელიძე**, *ლიტერატურის ისტორია*, I = კ. კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, თბილისი, 1980.
- კოჭლამაზაშვილი** (გამოც.), ნმ. მაქსიმე აღმსარებლის „საუფლო ლოცვის განმარტება“ = ე. კოჭლამაზაშვილი (გამოც.), ნმ. მაქსიმე აღმსარებლის „საუფლო ლოცვის განმარტების“ ეფთვიმე მთანმიდელისეული თარგმანი, *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, V, თბილისი, 2012.
- მიქაძე**, საიდუმლო დამწერლობა = გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, *დროშა*, 3 (1951).
- მიქაძე**, ქართული კრიპტოგრაფია = გ. მიქაძე, ქართული კრიპტოგრაფია, *დროშა*, 6 (1953).
- მიქაძე**, ერთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის = გ. მიქაძე, ერთი კრიპტოგრაფიული მინაწერისათვის, *ახალგაზრდა კომუნისტი*, 9.VIII (1956).
- მიქაძე**, უცნობი ნიმუშები = გ. მიქაძე, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის უცნობი ნიმუშები, *საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე*, თბილისი, 1959.
- მიქაძე**, კრიპტოგრაფიული წერილები = გ. მიქაძე, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები (ახალი ცნობები იმერეთის 1810 წ. აშლილობაზე), *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 2 (1960).
- მიქაძე**, *შესწავლა და აღწერა* = გ. მიქაძე, *ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა*, თბილისი, 1957.
- მიქაძე**, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები = გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, *შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული*. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1966.

- მიქაძე**, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ = გ. მიქაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შესახებ, *ლიტერატურული ძიებანი*, XII, 1959.
- მიქაძე**, ძველი საქართველოს პოეტი ქალები = გ. მიქაძე, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, *ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები*, IV, 1973.
- მიქაძე**, მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის = გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის, *ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები*, VI, 1974.
- ოთხმეზური**, მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber* = თ. ოთხმეზური, *მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, თბილისი, 2016.
- მეტრეველი** (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A, I₂ = ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₂*, შეადგინეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1976.
- მეტრეველი** (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა S, I = ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I*, შედგენილია თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1959.
- კეკელიძე** (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისი I = ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, I*, შედგენილია ე. ნიკოლაძის მიერ, თბილისი, 1953.
- შანიძე**, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები = ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, *საქართველოს მუზეუმის მოამბე 1* (1920).
- შანიძე**, კრიპტოგრაფიული მასალები = ა. შანიძე, კრიპტოგრაფიული მასალები, *მიმომხილველი, I*, თბილისი, 1926.
- შანიძე**, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში* = ა. შანიძე, *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი*, თბილისი, 1971.
- წერეთელი**, მწერლების ფერხული = აკ. წერეთელი, მწერლების ფერხული, *თბილისი-ბათა 15-ტომეული*, II, თბილისი, 1950.
- ჯავახიშვილი**, *ქართული პალეოგრაფია* = ივ. ჯავახიშვილი, *ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*, თბილისი, 1926.
- ჯოჯუა**, ვინმე იაკობის მიერ გადანერილი ლიტურგიკული კრებული = თ. ჯოჯუა, ვინმე იაკობის მიერ დოლისყანის მონასტრის წინამძღვრის ეფდემოზის დაკვეთით გადანერილი ლიტურგიკული კრებული (C-25) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან (კრიპტოგრაფიული ანდერძები; მომგებლისა და გადამწერის ვინაობა; გადანერის ადგილი), *საერთაშორისო კონფერენცია საქართველო – ბიზანტია – ქრისტიანული აღმოსავლეთი (მოსხენებათა თეზისები)*, ალბომი, თბილისი, 2017.
- ჯოჯუა**, კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თერთმეტი ქართული ხელნაწერი წიგნისა და მათი ანდერძ-მინაწერების შესწავლა = თ. ჯოჯუა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „პოლონეთში, კრაკო-

ვის ერვნული მუზეუმის თავადი ჩარტორიისკების ბიბლიოთეკაში დაცული XI-XVIII საუკუნეების თერთმეტი ქართული ხელნაწერი წიგნისა და მათი ანდერძ-მინანერების შესწავლა (ხელნაწერი წიგნების აღწერილობა; ანდერძ-მინანერების კორპუსი; კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა)“, *პრეზენტაცია* 2016 წლის 3 ნომბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

Brosset, Note Supplémentaire = M. Brosset, Note Supplémentaire, *Journal Asiatique*, September, t. 14, 1834, pp. 244-248.

Chantladze, Euthymius the Athonite's Translation = A. Chantladze, Euthymius the Athonite's Translation of Maximus the Confessor's *Quaestiones ad Thalassium*. T. Mgaloblishvili & L. Khoperia (ed.), *Maximus the Confessor and Georgia. Iberica Caucasica*, 3, London, 2009.

Laga – Steel (eds.), *Maximi Confessoris Quaestiones ad Thalassium* = C. Laga et C. Steel (eds.), *Maximi Confessoris Quaestiones ad Thalassium*, I, *Quaestiones I-LV, una cum latina interpretatione Ioannis Scotti Eriugenaе iuxta posita* (Corpus Christianorum, Series Graeca 7), Turnhout-Lueven 1980; II, *Quaestiones LVI-LXV, una cum latina interpretatione Ioannis Scotti Eriugenaе iuxta posita* (Corpus Christianorum, Series Graeca 22), Turnhout-Lueven, 1990.

Van Esbroeck, La question 66 = M. Van Esbroeck, La question 66 du “Ad Thalassium” Géorgien, *Analecta Lovaniensia*, 60 (1994).

Van Esbroeck, Ein unbekannter Traktat = M. Van Esbroeck, Ein unbekannter Traktat Ad Thalassium von Maximus dem Bekenner. C. Wunsch (ed.), *XXV Deutscher Orientalistentag vom 8. bis 13.4. 1991 in München. Vorträge. Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft. Supplement X*, 1994.

Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь* = К. Кекелидзе, *Иерусалимский Канонарь VII века. Грузинская версия*, Тифлис, 1912.

Марр, Один вид = Марр, Один вид грузинского криптографического письма, *Христианский Восток*, III, вып. I (1914).

Орбели, Из криптографированных записей = Р. Орбели, Из криптографированных записей Теймураза Багратиони, *Ученые записки Института Востоковедения*, XVI, 1958.

“ANCHINURI” CRYPTOGRAMS IN THE CODEX OF THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPT – S-421

Abstract

In the old Georgian manuscripts are found various types of the secret writing systems (cryptograms). Many Georgian scholars, such as M. Brosse, N. Mari, Iv. Javakhishvili, A. Shanidze, E. Takaishvili, G. Mikadze and others, worked on decryption of these systems. Finally L. Atanelishvili summed up all researches and issued a

brilliant monograph – catalogue of the Georgian cryptographic systems (*Old Georgian Secret Writing Systems*, Tbilisi, 1982) based on 363 manuscripts.

The parchment manuscript S-421, where just recently several unknown cryptograms were found was not included in this work.

The manuscript is missing the beginning and the end (there are preserved only 98 folios). It is dated to the 11th-12th cc. and contains Maximus the Confessor's *Ad Thalassium*. In the manuscript to some "Questions" and "Answers" which are written in mtavruli script, are appended cryptograms: "ⴗ-ⴓ ⴓ-ⴓ ⴒ-ⴓ" (17r), „ⴗ-ⴓ ⴓ-ⴓ ⴓ-ⴒ“ (24r, 39r, 54r, 67v, 71r, 87r, 96v). Decyphered by the "Anchinuri" system they mean: "Christ, have mercy on Iovane" and "Christ, have mercy on Giorgi". Presumably, Iovane and Giorgi were the scribes of the manuscript. These names are not mentioned anywhere else in the colophons and inscriptions of the preserved fragments of the manuscript. Due to this reason this information is not attested in the descriptions of this manuscript.

Ekvtime Kochlamazashvili

Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi

† თამილა მგალობლიშვილი

ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი

ქართული ქრისტიანობის სათავეებთან

რომის იმპერიასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველო, იგივე ქართლი-იბერია, ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, სადაც ქრისტიანობა IV საუკუნის დასაწყისში ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ქრისტიანობის დასაბამი ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული წმ. მინასთან. ეს ურთიერთობები ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორ დიდის დროიდან იწყება, უფრო ზუსტად კი, მის მიერ იერუსალიმის აოხრების შემდეგ, როდესაც ებრაელთა პირველი ტალღა შემოდის ქართლში – იბერიაში.¹ ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, შემდგომშიც ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი მოსულა და დასახლებულა იბერიაში,² თუმცა ებრაული თემის ქართლში არსებობის დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით, ახ. წ.-ის პირველი საუკუნით თარიღდება მხოლოდ.³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უძველესი ქართული წყაროების, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ (VII – XI სს.) ცნობით, ელია ნინასწარმეტყველის ხალენი და უფლის კვართიც მცხეთაშია დაფლული. ისინი მცხეთაში მოსულმა დევნილმა ებრაელებმა წმ. მინიდან ჩამოიტანეს და მათი დაფლვის ადგილს საიდუმლოდ ინახავდნენ საუკუნეების განმავლობაში.⁴

სავარაუდოდ, IV საუკუნის დასაწყისიდან ქართლში სრულიად გამორჩეულია ქართველთა დამოკიდებულება წმ. მინისადმი, განსაკუთრებით კი, წმ. ქალაქ იერუსალიმისადმი. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ჩნდებიან წმ. მინაზე პირველი ქართველი პილიგრიმებიც. ვფიქრობ, ამაზე მეტყველებს 1959 წელს ნაზარეთში არქეოლოგიური გათხრების დროს ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშების (ა. წ. IV-V სს.) აღმოჩენა. წმ. მინაზე დასტურდება პირველი დამონმება ქართული ქრონოლოგიისა – „დასაბამითგან“,⁵ და ეთნონიმისა

¹ ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 15-16.

² იქვე, გვ. 44, 100-101; ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, IV, გვ. 53.

³ Mgaloblishvili, *Juden und Christen in Georgien*, pp. 94-100; მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 165-182; Mgaloblishvili – Gagoshidze, *The Jewish Diaspora*, S. 46-58.

⁴ აბულაძე (გამოც.), *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 127-128, 130; ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 107-108.

⁵ აღექსიძე, *ლუვრი*, გვ. 20-25; Bagatti, *Gli Scavi*; Bagatti, *The Excavations*; Di Segni, *The Beit Safafa Inscription*, pp. 158-168; Di Segni, *A Georgian Chronological system*; Di Segni – Tsafir, *The Ethnic Composition*, pp. 436-440.

„ქართველი“ (V-VI სს.),⁶ რომლებიც საქართველოში ჯერჯერობით, მხოლოდ VIII-IX საუკუნეებიდან არის შემორჩენილი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, აქვე უნდა შექმნილიყო ქართული ანბანიც, რომ ქართულად თარგმნილიყო უძველესი იერუსალიმური ლიტურგიკული ხელნაწერები, რათა ქართლში ღვთისმსახურება ქართულად აღსრულებულიყო. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდია. (ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ავსტრიელ ბიზანტინისტს პროფ. ზაიბტს ანალოგიური ვარაუდი გამოთქმული ჰქონდა თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებამდე გამომიგზავნა კიდეც, რისთვისაც დიდად მადლიერი ვარ მისი).⁷

ქრისტიანობის გავრცელება ქართლში – იბერიაში

ახლა კი ვნახოთ, როგორ ვრცელდებოდა ქრისტიანობა ქართლში, იბერიაში ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

უძველესი ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, ქართლის განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმ. ნინო ქართლში იერუსალიმიდან მოდის IV საუკუნის დასაწყისში. პირველად იგი ურბნისში დაიდებს ბინას. იგი იქ ერთი თვე რჩება იქაურ ებრაულ თემში „ენისათვის ებრაელებისა“.⁸ ურბნისის შემდეგ წმ. ნინო მიდის მცხეთაში, ქართლის დედაქალაქში. მას აქაც განსაკუთრებით ახლო ურთიერთობები ახლა უკვე მცხეთელ ებრაელებთან აქვს. მის მიერ მოქცეულთა შორისაც პირველნი კვლავ ებრაელები არიან: აბიათარი – შემდგომში პირველი ქრისტიანი მღვდელი მცხეთაში, მისი ქალიშვილი, სიდონია და სიდონიას მეგობარი ქალები. ქართული წყაროებიდან ასევე საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ წმ. ნინო იბერიაში მაცხოვრის კვართის ნაკვალებზე მოდის; „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ აქვეა ჩართული ისტორია ქრისტეს კვართის მცხეთელ ებრაელთა მიერ იერუსალიმიდან მცხეთაში ჩატანისა და მისი საიდუმლოდ დაფლვის შესახებაც.⁹

როგორც აღვნიშნეთ, წმ. ნინო იბერიაში მოსვლის შემდეგ თავშესაფარს ურბნისისა და მცხეთის ებრაულ თემში პოულობს „ენისათვის ებრაელებისა“. ეს კი, ჩემი ვარაუდით, პალესტინური არამეული უნდა იყოს, რომელიც ამ პერიოდის წმ. მინაზე არაბერძნულად მოსაუბრე სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანთა და არაქრისტიანთა სალაპარაკო და სამწერლობო ენა იყო.¹⁰

⁶ მგალობლიშვილი, უცნობი ქართული მონასტერი, გვ. 195-203; მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 337-376; მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზი, გვ. 5-17.

⁷ Seibt, Wo, wann, s. 85-92.

⁸ აბულაძე (გამოც.), მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 117-118; მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 169.

⁹ აბულაძე (გამოც.), მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 128-130; 133; მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 169.

¹⁰ Brock, The Syriac, p. 43.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ზემოდასახელებული წყაროებისათვის, იბერიის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით თხრობისას, განსაკუთრებით დამახასიათებელია მცხეთელი ებრაელი მოსახლეობის ღვაწლის აღნიშვნა და მათი წინაპრების დაკავშირება I საუკუნის ქრისტეს დროინდელ იერუსალიმთან.¹¹

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოშიც რომ უნდა არსებულებულიყვნენ ქრისტეს სჯულის მიმდევარნი, ვფიქრობ, ამის დასტური უნდა იყოს VIII საუკუნის ავტორის, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“ შემონახული ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც ქართველები „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარღს-ლა შჯულდებულ ყოფილ [არიან] წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა“.¹² ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებითაც, „ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას თავისი წინასწარიცა და მერმინდელი ისტორია უნდა ჰქონოდა“.¹³

IV საუკუნეში ქართლში ქრისტიანული თემის არსებობას ვარაუდობდნენ: ს. ჯანაშია,¹⁴ გ. ლომთათიძე,¹⁵ პ. ინგოროყვა,¹⁶ გ. გოზალიშვილი,¹⁷ ა. ბოგვერაძე,¹⁸ და სხვ. ამ ვარაუდს მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიაზე მთელ რიგ რაიონებში (დიდი მცხეთა, ერწო, ახალი ყინვალი, არაგვისპირი, ურბნისი, ზღუდერი, მოდინახე და სხვ.) ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები, რომლებიც II-III საუკუნეებით თარიღდება.¹⁹ როგორც არქეოლოგი თ. ბიბილური აღნიშნავს: „ამ კონკრეტულ შემთხვევაში (იგულისხმება სამარხეული ძეგლები) სრული თანხმობაა ეროვნულ ნარატიულ და არქეოლოგიურ წყაროთა შორის“.²⁰

ათეული წლების განმავლობაში, წმ. მინისა და საქართველოს ურთიერთობათა კვლევის საფუძველზე, ვფიქრობ, სრული დარწმუნებით შემიძლია აღვნიშნო, რომ უძველეს ქართულ და უცხოურ წყაროთა თანახმად, წმ. ნინოს მთელი მოძღვრება, მისი ისტორია იერუსალიმური, პალესტინური წარმოშო-

¹¹ მაგლობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 169; ფერაძე, საქართველოს ეკლესია; Peradze, *Die Probleme*, S. 153-171; ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, I, გვ. 338-341.

¹² აბულაძე (გამოც.), აბო თბილელის წამება, გვ. 50; ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, გვ. 338-341.

¹³ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I, გვ. 176.

¹⁴ ჯანაშია, საქართველო, გვ. 213.

¹⁵ ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა, გვ. 3-55.

¹⁶ ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 114-116; ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორია, 2, გვ. 277.

¹⁷ გოზალიშვილი, *ქართლის მოქცევის პრობლემა*, გვ. 95.

¹⁸ ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება*, გვ. 13-14; ავტორი ეყრდნობა ნასტაკისში წარმოებული გათხრების შედეგებს. იხ. ასევე, Бохоцадзе, *Результаты работ*, с. 68.

¹⁹ ბიბილური, *თიხის ფილასამარხები*; ბიბილური, *ქრისტიანობის გავრცელება*; ნიკოლაიშვილი, *ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობი*, გვ. 50-57; ნიკოლაიშვილი, *ისტორიული „დიდი მცხეთა“*, გვ. 92-100.

²⁰ ბიბილური, *თიხის ფილასამარხები*, გვ. 57; ბიბილური, *ქრისტიანობის გავრცელება*, გვ. 2.

ბისაა და მას სხვა ტრადიციას ვერ მივაკუთვნებთ.²¹ როგორც ჩანს, ამ ვარაუდის დასტურია მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც სხვადასხვა წყაროშია შემონახული.

ვინ იყო ქართლის განმანათლებელი: ნმ. ნინოს სახელი

უძველესი ქართული წყაროების თანახმად, ქართლის განმანათლებელი იყო მოციქულთა სწორი ნმ. ნინო. მისი სახელი, სამწუხაროდ, დღემდე საკამათოა და ბინდით მოცული.

ცარიზმის პერიოდში ქართლის განმანათლებელი ნმ. ნინო მამაკაცად იყო გამოცხადებული. შემდეგ ეს მოსაზრება გარკვეულწილად დასავლეთშიც გაიზიარეს: ცნობილი გერმანელი მეცნიერის, ფერი ფონ ლილიენფელდის²² გადმოცემით, ბავშვობაში მის რუს ნათესავთა წრეში და, საერთოდ, უცხოეთის რუსულ ორთოდოქსულ ეკლესიაში მას ხშირად სმენია, რომ ქართლის განმანათლებელი ნმ. ნინო მამაკაცი იყო. თუმცა მაშინ, როგორც თავად იხსენებს, ამის შესახებ იგი დიდად არ დაფიქრებულა. ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთში, რუსულ განათლებულ წრეებში, ნამდვილად არსებობდა მოსაზრება ნმ. ნინოს მამაკაცობის შესახებ.²³

XX საუკუნის 60-იან წლებში მიშელ ბურდომ თავის წიგნში „ოპიუმი ხალხისათვის“ ნმ. ნინო კვლავ მამაკაცად გამოაცხადა.²⁴ ეს აზრი გაიზიარა ბენედიქტელმა არქიმანდრიტმა იოჰანეს ხრიზოსტომუსმა (ბასილ ბლაშკევიჩი). მისი მოსაზრებითაც, ნმ. ნინო მამაკაცი იყო, მოგვიანებით კი ლეგენდაში ქალად გადაიქცა.²⁵

ამგვარი ფაქტები, ბუნებრივია, ქართული წყაროების გაუთვალისწინებლობის გამო ხდებოდა. ამას, ალბათ, ასევე ხელი შეუწყო ორი საუკუნის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფაქტმაც: ჯერ ცარიზმისა და შემდეგ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ამგვარი საკითხების სამეცნიერო კვლევა, ძირითადად, მიუღებელი იყო. ვფიქრობ, ასე ჩამოყალიბდა სტერეოტიპი როგორც ქართლის განმანათლებლის, ნმ. ნინოს შესახებ, ისე ქართული წყაროების არასანდოობის შესახებაც. ამას ასევე დაერთო ზოგიერთ ქართველ მეცნიერთაგან ძირითადად მხოლოდ ქართულ და ბერძნულ წყაროთა კვლევა, რაც, გრიგოლ ფერაძის სამართლიანი შენიშვნით, რალა თქმა უნდა, მე-

²¹ მაგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 168-182.

²² ფერი ფონ ლილიენფელდი, ერლანგენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი, საქსონიის პროვინციის ევანგელიკური ეკლესიის მღვდელი, პირველი ქალი მღვდელი გერმანიაში.

²³ Lilienfeld, *Amt und geistliche Vollmacht*, s. 224-49.

²⁴ იქვე, გვ. 224-225.

²⁵ იქვე, გვ. 224.

თოდოლოგიური შეცდომა იყო.²⁶ მისი აზრით, ყველას, ვინც ამ პრობლემებზე მუშაობს, თავისთვის მაინც უნდა ჰქონდეს მომზადებული ასეთი მიმოხილვა, რათა ზუსტად იცოდეს, როგორ დგას ქართლის ისტორიის ესა თუ ის საკითხი არა მარტო ქართულ, არამედ სომხურ, სირიულ, ბერძნულ, კოპტურ და ეთიოპურ წყაროებში.²⁷

ქართულ ქრონიკებში წმ. ნინოს სახელი მხოლოდ X საუკუნიდან გვხვდება. კ. კეკელიძის მოსაზრებით, იგი არც სომეხი იყო და არც ბერძენი, არამედ ქართველი. თუმცა, როგორც გრ. ფერაძე სამართლიანად შენიშნავს, ეს მხოლოდ მისი, კ. კეკელიძის ვარაუდია.²⁸

წმინდანის სახელი „ნინო“, გრ. ფერაძის თანახმად, არ უკავშირდება სახელს „ნონა“, რომელიც „მონაზონს“ ნიშნავს; მონაზონი პატიმარიც (ტყვეც) რომ ყოფილიყო, იგი ისე დაშორებული იყო დასავლურ ქრისტიანულ სამყაროს, რომ ვერ მიიღებდა ლათინურ სახელს. მით უმეტეს, რომ ეს სახელი მონაზვნობაში მხოლოდ VII საუკუნიდან მკვიდრდება.²⁹ გრ. ფერაძისათვის, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანად ასევე მიუღებელია „ნინოს“ სახელის დაკავშირება წარმართული ღმერთების პანთეონიდან ცნობილ სახელებთან: „აინინა“ და „დანინა“.³⁰

სემიტურ წყაროებში ქართლის განმანათლებელი ნინო ხშირად *თეოგნოსტა* სახელით მოიხსენიება. ერთ-ერთი კოპტური ხელნაწერის კვლევისას, რომლის ფრაგმენტები ინახება ნეაპოლის, პარიზის, კაიროსა და ვენის საცავებში, მ. ვან ესბროეკმა აღმოაჩინა, რომ ქართლის გამაქრისტიანებელს ამ ნუსხაში სიმბოლურად „თეოგნოსტა“ ერქვა. ამ ფაქტის საფუძველს მეცნიერი ახალი აღთქმის ტექსტში ადასტურებს, სადაც ტიმოთესადმი მიწერილი წმ. პავლეს მეორე ეპისტოლეს თანახმად, მან წარმართნი ჭეშმარიტებასა და ღვთის შემეცნებას (*თეოგნოსიას*) უნდა აზიაროს.³¹

ამრიგად, *თეოგნოსტა* საკუთარი სახელი არ არის, ის მხოლოდ ქართლის განმანათლებლის, წმ. ნინოს ზედწოდებაა და „ღმრთის შემეცნებელს“, „მეცნიერ ღმრთისას“ ნიშნავს.³²

საინტერესოა, რომ ქართულ და სხვაენოვან წყაროთა თანახმად, წმ. ნინო ასევე მოიხსენიება როგორც ტყვე, თუმცა მისი ეს სახელიც, ბუნებრივია, არ ნიშნავს უბრალოდ ტყვეობას. ამ შემთხვევაში წმ. ნინო მოიხსენიება, როგორც მაცხოვრის ტყვე (ბერძნ. *doulē*), მისი მსახური, როგორც ამას ბერძნულენოვა-

²⁶ ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, I, გვ. 324.

²⁷ იქვე, გვ. 324.

²⁸ იქვე, გვ. 351.

²⁹ იქვე, გვ. 351; Thelamon, *Paiens et chrétiens*, pp. 87-122.

³⁰ ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, I, გვ. 351.

³¹ Van Esbroeck, *Von welcher Kirche*, s. 4-5; Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, p. 624. Van Esbroeck, *Nino*; გიპერტი, წმ. ნინოს ლეგენდა, გვ. 104-122.

³² შდრ. ასევე გიპერტი, წმ. ნინოს ლეგენდა, გვ. 106-107.

ნი წყაროები ადასტურებს.³³ ეს წყაროები კი, გრ. ფერადის ვარაუდით, ამგვარი კვლევების საფუძველია.³⁴

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ქართლის განმანათლებლის სახელი ნინო?

როგორც უკვე აღვნიშნე, წმ. ნინოს მთელი მოძღვრება, მისი ისტორია იერუსალიმური, პალესტინური წარმოშობისაა. შესაბამისად, მისი სასაუბრო ენაც პალესტინური არამეული უნდა ყოფილიყო, რაც ამ პერიოდის წმ. მიწაზე არაბერძნულად მოსაუბრე სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანთა და არაქრისტიანთა სალაპარაკო და სამწერლობო ენა იყო.³⁵

თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ ნინოს სახელის არამეული ფორმა უნდა იყოს *nūn*, რაც „თევზს“ ნიშნავს. თევზი კი უძველესი დროიდან ქრისტიანულ ხელოვნებასა და მწერლობაში ქრისტეს სიმბოლოა, მისი აკროსტიქია: *Ichtyς as Soter* (=Saviour), ბერძნ. *ΙΧΘΥΣ* = „იესუ ქრისტე ძე უფლისა მხსნელი“.³⁶ ამრიგად, წმ. ნინოს სახელი არამეულიდან მომდინარეობს. მისი სომხური სახელიც – *unē* – ასევე არამეული წარმოშობისა უნდა იყოს და ისიც „თევზს“ უნდა ნიშნავდეს.

წმ. ნინოს „სადიდებელი ლოცვა“

წმ. ნინოს ისტორიის პალესტინურ წარმომავლობაზე მიგვითითებს ასევე „მოქცევაში“ შემონახული წმ. ნინოს „სადიდებელი ლოცვის“ ტექსტი, როგორც მას ფერი ფონ ლილიენფელდი უწოდებს.³⁷ აი, ამ ლოცვის ტექსტიც:

„რამეთუ იშვა, ვითარცა კაცი, პატივ-ეცა, ვითარცა ღმერთსა, ნათელ-ილო, ვითარცა მსახურმან ვინმე შჯულისამან წყლისა და მიწისაგან, ხოლო მამით და სული წმიდით ზეგარდმო იწამა და იდიდა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა, აჰდა მასვე სიმაღლეთა მამისა თანა და მომავალ არს დიდებითა, რომელსა შუენის გალობაჲ ამენითა“.³⁸

ფაქტობრივად, ეს ტექსტი, ფერი ფონ ლილიენფელდის აზრით, ამ არეალისთვის დამახასიათებელ ძალზე ადრეულ, IV-V საუკუნეების (431 წლის ეფესოს კრებამდე) დოქსოლოგიურ ტრადიციას წარმოგვიდგენს. აქ საუბარია მისტიკურ სიკვდილზე ქრისტესთან ერთად ნათლობისას.

აი, რას გვეუბნება ამის შესახებ სახარებაც:

³³ Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, pp. 384-385.

³⁴ ფერადე, *თხზულებათა კრებული*, I, გვ. 326.

³⁵ Brock, *Studies in Syriac Christianity*, pp. 33-37.

³⁶ იხ. Bagatti, *The Church from the Circumcision*, pp. 213-216; Testa, *The Faith of the Mother Church*, pp. 220-222; Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, p. 680; Cross – Livingstone (eds.), *The Oxford Dictionary of the Christian Church*, pp. 613-614.

³⁷ Lilienfeld, *Amt und geistliche Vollmacht*, s. 224-249.

³⁸ იქვე, გვ. 229.

„ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლობით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტი, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით“ (რომ. 6,4).

ან:

„მასთან დამარხულები მონათვლით მასთანვე აღდგით ღმრთის ძალისადმი რწმენით, ვინც აღადგინა იგი მკვდრეთით“. (კოლ. 2,12).

ცნობილი ფრანცისკელი მეცნიერის, ე. ტესტას აზრით, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქრისტიანებისათვის წმ. მიწაზე სანათლავი გაიგივებული იყო მაცხოვრის საფლავთან, მის აკლდამასთან, სადაც მასთან ერთად დაფლულნი ნათლობით, მასთან ერთად აღდგებოდნენ ღმრთის ძალისადმი რწმენით.³⁹

უძველესი ქრისტიანობის კვალი ქართლში – იბერიაში

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ვფიქრობ, მოულოდნელი არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ქართლში ქრისტიანობა მის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე უკვე იქადაგებოდა ებრაელ-ქრისტიანთა მიერ. ქართლში მოსული პირველი მისიონერებიც ქრისტიანობის უძველესი პალესტინური ტრადიციის აღმსარებელნი იყვნენ. ხოლო წმ. ნინოს ქართლში მოღვაწეობის ისტორია, ალბათ, შექმნილი და ჩანერილი უნდა იყოს მცხეთელ ებრაელ-ქრისტიანთა წრეში არამეულ დიალექტზე, საიდანაც იგი მოგვიანებით (IV-V საუკუნეებში) ქართულად ითარგმნა.⁴⁰

ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში (მაგრამ მხოლოდ წმ. ნინოს ისტორიის ფარგლებში) დადასტურებული ე. წ. სინტაქსური სირიზმები, რომლებიც გამოავლინა და შეისწავლა ც. ქურციკიძემ.⁴¹ ნაშრომში ავტორმა გამოყო სინტაქსური თვალსაზრისით საინტერესო სამი შემთხვევა, რომლებიც, მისი აზრით, ორიგინალურ ქართულ ძეგლებში არ დასტურდება. ესენია:

1. მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა წინადადების სხვა წევრებით და საერთოდ, წინადადების წევრების თავისუფალი განლაგება.
2. წინადადებაში ერთი და იმავე სიტყვების გამეორება აზრის უფრო მკვეთრად გამოსახატად.

³⁹ Testa, *The Faith of the Mother Church*, p. 152; Garitte, *Vies Géorgiennes*, p. 19. Mgaloblishvili – Gagoshidze, *The Jewish Diaspora*, pp. 39-58. Rapp – Grego, *The Convestion of Kartli*, pp. 193, 210-211; Winkler, *Über die Entwicklungsgeschichte*, s. 467-520.

⁴⁰ მაგლობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 172.

⁴¹ ქურციკიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გვ. 93-95; იხ. ასევე: აბულაძე, *ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა*, გვ. 54.

3. რთულ ქვეყნობილ წინადადებაში, დამოკიდებულ ნაწილში, ნევრ-კავ-შირთან ერთად (*რომელი*) რამდენიმე შემთხვევაში იმავე ფუნქციის მქონე სხვა ნაცვალსახელის ხმარება.

სამივე შემთხვევის დეტალური ანალიზის საფუძველზე, ავტორი ასკვნის, რომ „ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. სინტაქსური სირიზმები გვაფიქრებინებს, რომ ძეგლის ავტორს ხელთ უნდა ჰქონოდა სირიული თუ არა, სირიულიდან თარგმნილი გარკვეული წყაროები მაინც“.⁴²

ფიქრობ, აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნო, რომ მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციები ასევე დამახასიათებელია პალესტინური არამეულისთვისაც, რომელიც იუდეველ-ქრისტიანთა ერთ-ერთი სამწერლობო ენა იყო. ამის შესახებ, ცნობები მომანოდა პროფ. კ. წერეთელმა, რისთვისაც მადლიერი ვარ მისი.

ამასთანავე, საყურადღებოა ისიც, რომ არამეული ძალზე გავრცელებული იყო ქართლშიც არა მარტო როგორც სასაუბრო, არამედ როგორც სამწერლობო ენაც. აქვე, ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არამეულის ერთ-ერთი განშტოება – ე.წ. არმაზული – წინაქრისტიანულ ქართლში ერთ-ერთი ოფიციალური სამწერლობო ენა იყო.⁴³

იბერიაში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე ქრისტეს სჯულის მიმდევართა არსებობაზე მიუთითებს როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროები. ამასვე მოწმობს საქართველოს ტერიტორიაზე მთელ რიგ რაიონებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები, რომლებიც II-III საუკუნეებით თარიღდება. მცხეთისა და ურბნისის ებრაულ თემებში ქრისტიანთა არსებობის ნაკვალევზე შესაძლებელია, მიგვითითებს მცხეთის მახლობლად სამთავროსა და ურბნისის სამაროვანთა გარკვეულწილად გამოკვეთილი თავისებურება, რითაც ისინი განსხვავდებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა სამაროვანთაგან და რაც, უთუოდ, შემდგომ კვლევას მოითხოვს.⁴⁴

როგორ მოხდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება ქართლში – იბერიაში

უძველესი ქართული და უცხოენოვანი წყაროების თანახმად, იბერთა მეფის, მირიანის მიერ ქრისტიანობის აღიარების მიზეზი მცხეთის მახლობლად, თხოთის მთაზე, მეფის ნადირობისას მომხდარი მზის დაბნელების ფაქტი გახდა. როგორც გრ. ფერაძე აღნიშნავს, „მზის დაბნელებას არაჩვეულებრივი

⁴² ქურციკიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გვ. 95; მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 172.

⁴³ წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები*, გვ. 50-51; მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 170; Mgaloblishvili – Gagoshidze, *The Jewish Diaspora*, pp. 39-58.

⁴⁴ იქვე, pp. 46-58.

შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ადამიანზე, რომლის გული უკვე მომზადებული იყო ახალი სწავლების მისაღებად და რომლის თვალშიაც ამ ფაქტს არ უნდა ჰქონოდა მხოლოდ ბუნებრივი მოვლენის ეფექტი“.⁴⁵

მზის დაბნელებისას მარტოდ მყოფ მეფეს საოცარი შიში დაეუფლა და მან საშველად წმ. ნინოს ღმერთს მიმართა:

„ღმერთო ნინოასო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სახელი შენი, და აღვჰმართო ძელი ჯუარისა შენისაჲ და თაყუანის-ვსცე მას, და აღგიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოასსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა. და ესე რაჲ თქუა და წარმოთქუა, მაშინ განთენა და მსწრაფლ გამობრწყინდა მზე“.⁴⁶

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ქართლის გაქრისტიანების თარიღის დასაზუსტებლად, ბუნებრივია, პირველ რიგში აუცილებელი იყო უძველეს ისტორიულ და ლიტურგიკულ წყაროებში შემორჩენილი ცნობების ურთიერთშეჯერება და, იმავდროულად, მირიან მეფის მეფობისას მზის დაბნელების სავარაუდო თარიღის გამოთვლა.

დაახლოებით ორმოციოდე წლის წინ შევეცადე ამგვარი კვლევა ჩამეტარებინა. ჩემი ფიქრით, შედეგები ძალზე საინტერესო აღმოჩნდა, მაგრამ ამ კვლევებთან დაკავშირებული რეაქცია – საკმაოდ ნეგატიური, მით უმეტეს, რომ ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი ხელმძღვანელების, ბატონი ილია აბულაძისა და ქალბატონი ელენე მეტრეველის მხარდაჭერით ეს კვლევები გავაგრძელე, თუმცა სრულად არ გამომიქვეყნებია.

უძველესი ქართული და უცხოური ისტორიული და ლიტურგიკული წყაროების ურთიერთშეჯერებითი კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებიდან ცნობილი ჯვრის დღესასწაული – „აღვსების ზატიკის ზატიკი“ და იოანე ზოსიმეს კალენდარში (X ს.) დასახელებული „კვირკესა მესამესა ზატიკთა“ ერთსა და იმავე ჯვრის დღესასწაულზე მიგვითითებს, რომელიც აღდგომიდან მესამე კვირას იყო დადებული. იგივე ჯვრის დღესასწაული V საუკუნის ხანმეტ ლექციონარში სათაურის გარეშეა გატანილი, რაც, ბუნებრივია, თავად ხელნაწერის არქაულობაზე მეტყველებს.⁴⁷

ყოველივე ამის შემდეგ ზემოხსენებულ ქართულ და უცხოურ ლიტურგიკულ წყაროებში დადასტურებული ქრონოლოგიური მონაცემები შევეცადე შემემონებინა უძველესი იუდაური და ქრისტიანული კალენდრების გამოყენებით. გაირკვა, რომ 309 წლიდან 370 წლამდე 25 მარტი პარასკევი დღე იყო 11-ჯერ (309 წ., 314 წ., 315 წ., 320 წ., 325 წ., 326 წ., 337 წ., 343 წ., 348 წ., 354

⁴⁵ ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, I, გვ. 347.

⁴⁶ აბულაძე (გამოც.), *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 135.

⁴⁷ მაგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 150-159; იხ. ასევე მაგალობლიშვილი, *ახალი იერუსალიმები*, გვ. 30.

ნ., 365 ნ.). მაგრამ ამათგან მხოლოდ 320, 326, 337 და 348 წწ.-ში აღმოჩნდა წყაროებში დასახელებული ერთ-ერთი თარიღი – 1 მაისი, მოძრავი კალენდრით – „აღვსების ზატიკის ზატიკი“; შესაბამისად, ამ წლებში აღდგომა, თეორიულად, 17 აპრილს იქნებოდა.⁴⁸

იმის გამო, რომ თხოთის მთაზე მომხდარი მირიან მეფის სასწაული ძალიან ჰგავს მზის დაბნელების ფაქტს, ამასთან დაკავშირებით, შევეცადე ინფორმაციის მოპოვებას. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხით XX საუკუნის 20-იან წლებში ივ. ჯავახიშვილიც კი იყო დაინტერესებული.⁴⁹ თუმცა, სამწუხაროდ, ახალ ინფორმაციას ვერ მივაკვლიე და 1991 წელს გამოქვეყნებულ „კლარჯულ მრავალთავში“ ქართლის გაქრისტიანების თარიღად ივ. ჯავახიშვილის თარიღი – 337 წელი – გავიმეორე. მოგვიანებითაც ეს საკითხი რატომღაც მოსვენებას არ მძღვედა. 90-იანი წლების დასასრულიდან, „ახალ იერუსალიმებზე“ მუშაობისას, ამ ნაშრომში ქართლის გაქრისტიანების თარიღად IV საუკუნის 20-იანი წლები – „აღვსების ზატიკის ზატიკის“ ჩემთვის ერთ-ერთი სავარაუდო თარიღი ჩავნერე.⁵⁰

2015 წელს სრულიად შემთხვევით ინტერნეტში მივაგენი ასტრონომ მარინა გიგოლაშვილის ერთ-ერთ ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, ქართლში, თხოთის მთაზე მომხდარი მზის დაბნელების თარიღი იყო 319 წლის 6 მაისი. ამ ჩანაწერის გაცნობამ, ბუნებრივია, დამაინტერესა და დავიწყე მარინა გიგოლაშვილის ძებნა, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილი იყო. თუმცა მოგვიანებით მისმა კოლეგამ, ბ-მა გიორგი რამიშვილმა, სრული ინფორმაცია მომანოდა მათი ჯგუფის მუშაობის შესახებ. ყოველივე ამის გამო ჩემი დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო მთელი ჯგუფის, განსაკუთრებით კი, ქალბატონი მარინა გიგოლაშვილის მიმართ.

ამრიგად, მზის დაბნელების თარიღისა და უძველესი ლიტურგიკული დღესასწაულის „აღვსების ზატიკის ზატიკის“ გამოთვლის საფუძველზე ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება უნდა მომხდარიყო 319 წლის მზის დაბნელების ერთი წლის თავზე, 320 წლის 1 მაისს.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია წმ. ნინოს „ცხოვრებაში“ მოთხრობილი სამი ჯვრის აღმართვის ფაქტი იბერიაში: მცხეთაში ულამაზესი სასწაულმოქმედი ხისგან წმ. ნინო ქმნის სამ ჯვარს. ამ ჯვრების აღმართვის ადგილებიც სასწაულებრივად, ვარსკვლავებით მიენიშნება წმინდანს. ამ ჯვართაგან პირველს წმ. ნინო აღმართავს მცხეთის მოპირდაპირე მთის მწვერვალზე ნიშნად ქრისტიანობის გამარჯვებისა იბერიაში. ეს ტრიუმფალური ჯვარია, რომლითაც კიდევ ერთი წმ. ადგილი მოინიშნება

⁴⁸ მაგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 151.

⁴⁹ ივ. ჯავახიშვილის ქალიშვილის, ქ-ნ ნათელას მიერ მოწოდებული ინფორმაცია; გიგოლაშვილი *et al.*, *მზის დაბნელება*, გვ. 450.

⁵⁰ მაგალობლიშვილი, *ახალი იერუსალიმები*, გვ. 8.

მცხეთაში, ეს ქართველთა გოლგოთაა. დანარჩენ ორ ჯვარს წმ. ნინო ასევე ვარსკვლავებით მონიშნულ ადგილებზე აღმართავს მცხეთის აღმოსავლეთითა და დასავლეთით.⁵¹ ფაქტობრივად, ამ სამი ჯვრის აღმართვის ადგილებით მონიშნება წმ. ნინოს დროინდელი ქრისტიანობის გავრცელების საკრალური სივრცე იბერიაში.

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ჯვრის აღმართვის ადგილი ქართველთა გოლგოთა ხდება. ეს ჯვარი, როგორც იერუსალიმის გოლგოთის ჯვარი, ღია ცის ქვეშ იდგა VI საუკუნის დასასრულამდე, ვიდრე იქ, წმ. ქალაქ იერუსალიმის ანალოგიით, არ აშენდა მცხეთის ჯვრის მონასტერი ხსენებული ჯვრის დასაცავად. წმ. ნინოს დროიდან ამ ჯვარს, ჩემი ფიქრით, უკავშირდება ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ამსახველი ჯვრის დღესასწაულიც, რომელიც ყოველწლიურად ქვემო ეკლესიიდან (იგივე დღევანდელი სვეტიცხოველი) – „წმიდაა წმიდათადაც“ – მცხეთის ჯვარზე ლოცვითი მსვლელობით სრულდებოდა. ეს დღესასწაული V საუკუნიდან უკვე ჩანს *იერუსალიმური ლექციონარის* ქართულ თარგმანში (იგულისხმება *ხანმეტი ლექციონარი*, რომელშიც ასახულია V საუკუნის ლიტურგიკული პრაქტიკა, თუმცა თავად ხელნაწერი VII საუკუნისაა), X საუკუნეში კი – იოანე-ზოსიმეს კალენდარში.⁵²

ხსენებული ლიტურგიკული კალენდრებისა და ქართულ ისტორიულ წყაროთა თანახმად, ამ დღესასწაულის სახელწოდებაა „აღვსების ზატიკის ზატიკი“ – აღდგომიდან მე-3 კვირა დღე. უთუოდ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს დღესასწაული წმ. ნინოს დროიდან საქართველოში ქართველთა გოლგოთასთან – მცხეთის ჯვართან იყო დაკავშირებული, იერუსალიმურ ტრადიციაში კი ის იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს უკავშირდება, როგორც ამას XIV-XV საუკუნეების ლათინი პილიგრიმები გვამცნობენ.⁵³

აღბათ, ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ წმ. ნინოს დროინდელი იერუსალიმის „გოლგოთის ჯვარი“, როგორც ჩანს, ძალზე პოპულარული ხდება მთელ საქართველოში. ის ჩვენში „საკურთხეველის წინა ჯვრის“ სახელწოდებითაა ცნობილი (IX-X სს-დან) და დღეისთვის, ჩემი ფიქრით, მისი ანალოგი არც დასავლურ და არც აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროშია შემორჩენილი. ამ ჯვრების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე, ძირითადად, შემონახულია საქართველოს მთიან პროვინციაში, სვანეთში, და მისი სახით, ვფიქრობ, იერუსალიმის „გოლგოთის ჯვრის“ შუა საუკუნეების სრულიად უნიკალურ ხატებასთან (replica) გვაქვს საქმე.

⁵¹ მგალობლიშვილი, როგორ გახდა მცხეთა, გვ. 17-18. დავიდი, *ნაწერები*, 1, გვ. 296-297.

⁵² შანიძე (გამოც.), *ხანმეტი ლექციონარი*, გვ. 63-64; იხ. ასევე: მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 155-157; მგალობლიშვილი, წმ. ჯვრის უძველესი დღესასწაული, გვ. 226-233; Garitte (ed.), *Le calendrier palestinogéorgien*, p. 117.

⁵³ დავიდი, *ნაწერები*, 1, გვ. 296-297; იხ. ასევე: Bianco, *Viaz*; Poggibonsi, *A Voyage*, p. 53.

ამგვარად, მზის დაბნელების თარიღისა და უძველესი ლიტურგიკული დღესასწაულის „აღვსების ზატიკის ზატიკის“ გამოთვლის საფუძველზე, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება უნდა მომხდარიყო 319 წლის მზის დაბნელების 1 წლის თავზე, 320 წლის 1 მაისს, როდესაც ქალაქი მცხეთის მოპირდაპირე მთის წვერზე აღიმართა პირველი ჯვარი ნიშნად ქრისტიანობის გამარჯვებისა ქართლში და დაწესდა ჯვრის დღესასწაული „აღვსების ზატიკის ზატიკი“.

დამოწმებული ლიტერატურა

- აბულაძე**, *ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა* = ი. აბულაძე, *ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში*, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944.
- აბულაძე** (გამოც.), *მოქცევაჲ ქართლისაჲ* = მოქცევაჲ ქართლისაჲ, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963.
- აბულაძე** (გამოც.), *აბო თბილელის წამება* = აბო თბილელის წამება, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963.
- ალექსიძე**, ლუვრი = ზ. ალექსიძე, ლუვრი, სინას მთა, ნაზარეთი, ეპიგრაფიკული ეტიუდები, *ქრისტიანული კავკასია*, თბილისი, 2011.
- ბიბილური**, *თიხის ფილასამარხები* = თ. ბიბილური, *თიხის ფილასამარხები* (ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 1982.
- ბიბილური**, *ქრისტიანობის გავრცელება* = თ. ბიბილური, *ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში* (ხელნაწერი).
- ბოგვერაძე**, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება* = ა. ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII სს-ში*, თბილისი, 1979.
- გიგოლაშვილი et al.**, *მზის დაბნელება* = მ. გიგოლაშვილი, რ. კილაძე, გ. რამიშვილი, ვ. კუხიანიძე, *მზის დაბნელება და პირველი აღდგომის აღნიშვნა საქართველოში ქრისტიანობიდან მეოთხე საუკუნეში, წმიდა ნინო*, II, თბილისი, 2014.
- გიპერტი**, ნმ. ნინოს ლეგენდა = ი. გიპერტი, ნმ. ნინოს ლეგენდა: განსხვავებულ წყაროთა კვალი, *ენათმეცნიერების საკითხები*, I-II, თბილისი, 2006.
- გოზალიშვილი**, *ქართლის მოქცევის პრობლემა* = გ. გოზალიშვილი, *ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური (ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა)*, თბილისი, 1974.
- დავიდი**, *ნაწერები*, 1 = ი. დავიდი, *ნაწერები*, 1, თელ-ავივი-იერუსალიმი, 1976.

- ინგოროყვა**, ქართული მწერლობის ისტორია, 1 = პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, *მნათობი*, 2 (1939).
- ინგოროყვა**, ქართული მწერლობის ისტორია, 2 = პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, *მნათობი*, 4 (1939).
- ლომთათიძე**, საქართველოს მოსახლეობის კულტურა = გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბილისი, 1977.
- მგალობლიშვილი**, *კლარჯული მრავალთავი* = თ. მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, თბილისი, 1991.
- მგალობლიშვილი**, უცნობი ქართული მონასტერი = თ. მგალობლიშვილი, უცნობი ქართული მონასტერი წმიდა მინაზე, *სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისადმი მიძღვნილი კრებული* (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), თბილისი, 2007.
- მგალობლიშვილი**, წმ. ჯვრის უძველესი დღესასწაული = თ. მგალობლიშვილი, წმ. ჯვრის უძველესი დღესასწაული ქართულ წერილობით წყაროებში, *წმიდა ნინო*, 1, თბილისი, 2008.
- მგალობლიშვილი**, როგორ გახდა მცხეთა = თ. მგალობლიშვილი, როგორ გახდა მცხეთა ქართველთა ახალი იერუსალიმი, *ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული*, 3 (2011).
- მგალობლიშვილი**, *ახალი იერუსალიმები* = თ. მგალობლიშვილი, *ახალი იერუსალიმები საქართველოში*, თბილისი, 2013.
- მუსხელიშვილი**, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის = დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, თბილისი, 1993.
- მუსხელიშვილი**, ქართველთა ეთნოგენეზი = დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის, *ქართველი ხალხის ეთნოგენეზი*, თბილისი, 2002.
- ნიკოლაიშვილი**, ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა = ვ. ნიკოლაიშვილი, ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის ისტორიისათვის (ისტორიულ „დიდ მცხეთაში“ ებრაელთა დიასპორის არსებობის შესახებ), *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XVI, თბილისი, 2003.
- ნიკოლაიშვილი**, ისტორიული „დიდი მცხეთა“ = ვ. ნიკოლაიშვილი, ისტორიული „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე ებრაელთა ცხოვრებისა და მოღვაწეების დამადასტურებელი წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემები, დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, IV, თბილისი, 2006.
- ფერაძე**, *თხზულებათა კრებული*, I = წმ. გრიგოლ ფერაძე, *თხზულებათა კრებული*, I, გამოსაცემად მოამზადა დავით ყოლბაიამ, ვარშავა, 2012.
- ფერაძე**, საქართველოს ეკლესია = გრ. ფერაძე, საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემები, მოხსენება წაკითხული ოქსფორდში 1932 წლის 24 მაისს.
- ქურციკიძე**, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ = ც. ქურციკიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტისა და ენის საკითხები, *ფილოლოგიური ძიებანი*, 1, თბილისი, 1964.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I = ს. ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I, თბილისი, 1955.

- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, IV = ს. ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, IV, თბილისი, 1973.
- შანიძე** (გამოც.), *ხანმეტი ლექციონარი* = ა. შანიძე (გამოც.), *ხანმეტი ლექციონარი* (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1), თბილისი, 1944.
- წერეთელი**, *უძველესი ქართული წარწერები* = გ. წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან*, თბილისი, 1960.
- ჯავახიშვილი**, *ქართველი ერის ისტორია*, I = ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I, თბილისი, 1960.
- ჯანაშია**, *საქართველო* = ს. ჯანაშია, *საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე*, *შრომები*, I, 1949.
- Bagatti**, *The Church from the Circumcision* = B. Bagatti, *The Church from the Circumcision. History and Archeology of the Judeo-Christians*, Jerusalem, 1984.
- Bagatti**, *Gli Scavi* = B. Bagatti, *Gli Scavi di Nazaret*, Jerusalem, 1967.
- Bagatti**, *The Excavations* = B. Bagatti, *The Excavations in Nazareth*, Jerusalem, 1969.
- Bianco**, *Viazo* = N. Bianco, *Viazo da Venezia al sancto Iherusalem (148-1500)*, Roma, 1972.
- Бохочадзе**, *Результаты работ* = А. Бохочадзе, *Результаты работ арх. экспедиции на новостройках двуречья Ксани и Арагви*, Тбилиси, 1976.
- Brock**, *Studies in Syriac Christianity* = S. Brock, *Studies in Syriac Christianity: History, Literature and Theology*, Aldershot: Variorum, 2001.
- Brock**, *The Syriac* = S. Brock, *The Syriac, Christian Palestinian Aramaic and Arabic Manuscripts at Sinai*, C. Mango, M. Mango (eds.), *St. Catherine's Monastery at Mount Sinai: Its Manuscripts and Their Conservation* (Papers given in memory of Professor I. Ševčenko, 27 November, 2010), St. Catheriene Foundation, 2011.
- Cross – Livingstone** (eds.), *The Oxford Dictionary of the Christian Church* = *The Oxford Dictionary of the Christian Church* ed. by F. L. Cross and E. A. Livingstone, Oxford University Press, 1997.
- Di Segni**, *A Georgian Chronological System* = L. Di Segni, *A Georgian Chronological System in the Sixth Century*, 1997 (გამოუქვეყნებელი).
- Di Segni**, *The Beit Safafa Inscription* = L. Di Segni, *The Beit Safafa Inscription Reconsidered and the Question of a Local Era in Jerusalem*, *The Israel Exploration Journal*, 43 (1993).
- Di Segni – Tsafirir**, *The Ethnic Composition* = L. Di Segni, Y. Tsafirir, *The Ethnic Composition of Jerusalem's Population in the Byzantine Period (312-638 CE)*, *Liber Annuus*, 62 (2012).
- Garitte**, *Vies Géorgiennes* = G. Garitte, *Vies Géorgiennes de S. Symeon Stylite l'Ancien et S. Ephrem*, *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, vol. 171, Scriptorum Iberica, t. 7, Louvain, 1957.
- Garitte** (ed.), *Le calendrier palestino-géorgien* = G. Garitte (ed.), *Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle)*, (Subsidia Hagiographica, 30), Bruxelles, Société de Bollandistes, 1958.
- Lampe**, *A Patristic Greek Lexicon* = G. W. H. Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, Oxford, 1994.
- Lilienfeld**, *Amt und geistliche Vollmacht* = F. von Lilienfeld, *Amt und geistliche Vollmacht der heiligen Nino*, „Apostel und Evangelist“ von Ostgeorgien, nach den ältesten georgischen

- Quellen, M. Kohlbacher, M. Lesinski (hrsg.), *Horizonte der Christenheit. Festschrift für Friedrich Heyer zu seinem 85. Geburtstag* (= *Oikonomia*, 34), Erlangen, 1994.
- Mgaloblishvili**, Juden und Christen im Georgien = T. Mgaloblishvili, Juden und Christen im Georgien in den ersten christlichen Jahrhunderten, J. van Amerstfoort und J. van Oort (eds.), *Juden und Christen in der Antike*, Kampen, 1990.
- Mgaloblishvili – Gagoshidze**, The Jewish Diaspora = T. Mgaloblishvili, I. Gagoshidze, The Jewish Diaspora and Early Christianity in the Caucasus, T. Mgaloblishvili (ed.), *Iberica Caucasia*, 1, Richmond, 1998.
- Peradze**, Die Probleme = Gr. Peradze, Die Probleme der ältesten Kirchengeschichte Georgiens, *Oriens Christianus*, 29, Bd. 7 (1932).
- Poggibonsi**, *A Voyage* = Fra Niccolo of Poggibonsi, *A Voyage Beyond the Seas, 1346-1350*, Studium biblicum Franciscanum, Collectio Maior, n. 2, Jerusalem, 1993.
- Rapp – Grego**, The Convestion of Kartli = S. Rapp, P. Grego, The Convestion of Kartli: The Shatberdi Variant, K. Kekelidze Institute, S-1141, *Le Muséon*, 119, 1-2 (2006).
- Seibt**, Wo, wann = W. Seibt, Wo, wann zu welchem Zweck dürfte das georgische Alphabet geschaffen worden sein? *The Creation of the Caucasian Alphabets as Phenomenon of Cultural History*, Wien, 2011.
- Testa**, *The Faith of the Mother Church* = Em. Testa, *The Faith of the Mother Church, An Essay on the Theology of the Judeo-Christians*, Jerusalem, 1992.
- Thelamon**, *Païens et chrétiens* = F. Thelamon, *Païens et chrétiens au IVe siècle. L'apport de l'Histoire acclésiastique de Rufin d'Aquilée*, Paris, 1982.
- Van Esbroeck**, Von welcher Kirche = M. Van Esbroeck, Von welcher Kirche hängt die georgische Kirche geschichtlich ab? *Berliner Georgische Gesellschaft e. V.*, 7-9, n. 52, 1996.
- Van Esbroeck**, Nino = M. Van Esbroeck, Nino, Theognosta et Eustathe (გამოუქვეყნებელი).
- Winkler**, Über die Entwicklungsgeschichte = G. Winkler, Über die Entwicklungsgeschichte des armenischen Symbolums (*Orientalia Christiana Analecta*, 262), Rome, 2000.

ON THE ORIGIN OF THE GEORGIAN CHRISTIANITY

Abstract

In the present paper are discussed important topics such as an existence of the Jewish Christian communities in Kartli of the late antiquity, origin of the *Life of St. Nino* and the date of conversion of Kartli.

The author reviews all available materials on existence of the ancient Jewish communities in Kartli, information preserved in the Georgian literary sources (*Conversion of Kartli, Georgian Chronicles*) and the facts revealed by the archeological excavations conducted in Kartli (Urbnisi, Mtskheta). These Jewish communities had constant relations with the Holy Land. According to the author, symbolic reflections of these

relations are the stories of burial of the Prophet Elia's chasuble and holy robe of the Lord in Mtskheta, mentioned in the *Georgian Chronicles*. Starting from the 4th century, immediately after official recognition of Christianity in Iberia, Georgian pilgrims established intensive relations with the Holy Land. The traces of these relations are still visible in the Georgian epigraphic monuments discovered in the surroundings of Nazareth and Jerusalem.

According to the author, the native language of St. Nino, enlightener of Georgia, was Aramaic. Her name "Nino" seems to be related to the Aramaic word *nūn*, which means *fish*, one of the main symbols of Christ. Based on the content of St. Nino's one blessing and also considering the influence of the Syriac syntax noticeable in the text of the *Life of St. Nino*, the author shares the following conclusions of F. Lilienfeld:

1. The prayer of St. Nino (where the water and the soil are named as attributes of baptism) presents doxological tradition of the Christians in Palestine from very early period, before the Council of Ephesus in 431;

2. St. Nino talked to the Jews in Urbnisi and Mtskheta in Aramaic language;

3. The *Life of St. Nino* initially was recorded in the circle of Jews in Mtskheta in Aramaic language. It was translated into Georgian approximately in the 5th century.

The author considers fully reliable the information preserved in the *Life of St. Nino*, according to which conversion of the King Mirian to Christianity was related to the astronomical event, solar eclipse. Based on comparison of the ancient liturgical date of the Ascension of the Holy Cross (Friday, the 1st of May), noted in the *Life* and the most recent astronomical calculations of the date of the solar eclipse in the 4th century (319), the author assumes that solar eclipse happened on May 1, 319 and on that day King Mirian converted to Christianity. In one year, on May 1, 320 Christianity was announced as an official religion in the Kingdom of Kartli.

Tamila Mgaloblishvili

The Centre for Exploration of Georgian Antiquities

Tbilisi

დამანა მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენოვილური მიმართულების მთარგმნელთა იდეოლოგიის საკითხისათვის

(მეთოდოლოგიური საკითხები და მათი გადაჭრის გზები)

XII-XIII საუკუნეები, ქართული კულტურისა და მწერლობის ოქროს ხანა, ერთსა და იმავე სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ზედწოდების სამი იოანესა (იოანე პეტრიწი, იოანე ჭიმჭიმელი და იოანე ტარიჭისძე) და სამი არსენის (არსენ ვაჩესძე, არსენ იყალთოელი და არსენ ბერი) სახელით ცნობილი ბრწყინვალე თეოლოგიური შრომების ავტორთა საიდუმლოს ინახავს. ივანე ლოლაშვილი თავის შესანიშნავ მონოგრაფიაში, რომელიც არსენ იყალთოელს მიუძღვნა, სინანულით წერს, რომ ძველ ქართულ სამონასტრო კერებში არსებული ღვანღმოსილ მამათა ცხოვრებებისა და მოქალაქობის აღწერის ტრადიცია ხშირად ირღვეოდა, რის გამოც გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გულისტკივილით წერს: „მრავალთა წმიდათა ნათესავსა შორის ჩუენსა გამოჩინებულთა ცხოვრებანი აღუწერლობითა დავინყებისა სიღრმესა მიეცნესო“.¹ ასეთი ბედი ეწია ამ ეპოქაში მოღვაწე სამ იოანესა და სამ არსენს.

პროკლე დიადოხოსისა და ნემესიოს ემესელის უცილობელი მთარგმნელის, იოანე პეტრიწის შესახებ ცნობები მხოლოდ გვიანდელ, XVII-XVIII საუკუნეების მოღვაწეთაგანაა შემორჩენილი. ალორძინების ხანის ქართველ მწიგნობართა წრეში სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობისა და ტიმოთე გაბაშვილის მთავარეპისკოპოსობის პერიოდში, ასევე, ანტონ კათალიკოსის მწიგნობარ-მეცნიერთა წრეში იოანე პეტრიწი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ როგორც დიდი ფილოსოფოსი, რიტორი და გრამატიკოსი, არამედ როგორც ქართული და ბერძნული ენების ზედმინევი მცოდნე: „ესე იოანე იყო გონებამალა და დიდი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი, ზედმინევილი ბერძნულსა და ქართულსა ენასა ზედა“² – გვამცნობს „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“. პეტრიწის ენა კეთილხელოვნების მაღალ ნიმუშად არის მიჩნეული და მის სახელს ეპითეტებით იხსენიებენ: „ქართული-

¹ ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი.

² თაყაიშვილი (რედ.), ძველი საქართველო, I, განყ. III, გვ. 14, 34.

სა ენისა მზე“, „მამზევებელი და მადლევებელი ენისა ჩუენისა“ (cods.: Q-329, S-1137, A-237, A-1162).

პროკლეს თხზულების იოანე ორბელიანისეული თარგმანის 1760 წლის ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ:

„და ესეცა იუწყეთ, რომელ მამზევებელსა ენისა ჩვენისასა, იოანეს პეტრინს, ფილოსოფოსსა, ვითარითა შვენიერებითა ლექსებითა დაუღუქსავს ელადელთა ენაობისაგან ჩუენდა გარდმოღებული! ვითარ ათრობს სიტკბოთა გამგონსა! ამას ვიტყვ, რომელ მეცა ფრიად ვეტრფი და მსურავს ლექსნი პეტრინულნიო“.³

ანტონ კათალიკოსმა, რომელიც თაყვანისმცემელი იყო იოანე პეტრინის, როგორც დიდი ფილოსოფოსის, რიტორისა და გრამატიკოსისა, მისი ენა კეთილხელოვნების მაღალ ნიმუშად აღიარა და მისაბაძ მაგალითად დასახა რიტორიკის, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების დარგის მწერლობისათვის:

„ყოველი ფილოსოფია, ღრამმატიკა, და რიტორიკა, და გეომეტრია, და ასტრონომია, და მუსიკა, და ფიზიკა და მეთეფისიკა, ვითარცა მზემან ზოდნი, ერთბამად შემოვლო და ყოველსა ელინთა ენამზეობასა სიტყვითისა ხელოვნებასა ზედმინევენილ იქმნა“.

„ძნელ სასმენელად“, მაგრამ „შუენიერ გემოანად და სანადელად“ მიაჩნია პეტრინის ენა სულხან-საბა ორბელიანს.

ამბროსი ნეკრესელის კრებულში (XVIII ს.) მოთავსებულ პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ იოანე პეტრინისეულ თარგმანს („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“) ერთვის ანდერძი, რომელიც მოკლედ იუწყება მთარგმნელის ვინაობასა და სადაურობას, ქება-დიდებათ იხსენიებს მას, როგორც განსწავლულ და ბრძენ რიტორსა და ფილოსოფოსს, ხოლო მისნი „ნაქუსნი“, ანუ თხზულებანი, სიბრძნისა და „ენადლეობის“ მაღალი ხელოვნების ნიმუშად არის მიჩნეული:

„სათანადოა უწყებად შენდა ამას, მკითხველო, რომელ ნაქუსნი ესე, რომელთა სჭურეტ, იოანეს მიერ არს თქუმული, ქართუელისა ფილოსოფოსისა, რომელსა ნართაულეზ ზედ-ენოდა პეტრინი, სიმკაცრით გამოძიებისათჳს წერილთასა რომელსა ჰყოფდა. რომელი იყო ნათესავით ქართუელი, სანახებთაგან სამცხესა, დაბით ჭირჭიმით. ხოლო სხუა ვინაობაჲ ანუ სადაობა არა საცნაურ არს ჩუენდა. მხოლოდ ესე გუეუწყების, რომელ ათინას იყო წურთილი და ზედმინევენით მეცვნე სიბრძნეთა მუნებურთა, ვითარცა წამებენ ნაქუსნი მისნი, რომელნი მრავლითა

³ Cod. A-1162, იხ. კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები*, A, IV, გვ. 209-214.

სიბრძნითა იხილვებიან და ენადლეობითა კეთილხელოვნურად, რომელთაგანი ერთი არს ესე „კავშირნი“, მის მიერ გარდმოენებული ელინთა ენისაგან ქართუელთა ჴმასა, თჳს მიერ აჴსნითა, ვითარცა აღმოიჭვრობს, რომლისა სიკეთე ფრიად არს.“⁴

დავით რექტორის ცნობით,

„პეტრინი იყო ფილოსოფოსი, ხოლო სახელითა ვიდრემე არსებითითა იოანედ წოდებული, გვარად ვიდრემე ქართველი, კეთილშობილთა გვართაგანი. ხოლო მე, მაღალკეთილშობილი ალექსის ძე, სრულიად სამეფოსა კახეთისა რექტორი და მოძღვარი ფილოსოფიისა და ღვთისმეტყუელებისა, დავით, ვგონებ იოანე პეტრინისა ფილოსოფოსისასა ნათესავით ვიდრემე საათაბაგოელისა, რომელი იქმნა შემდგომად ათინით უკმოქცევისა ქართლადვე მონაზონ, გინა მწირ. ესე წარიგზავნა ქართველთა მეფისა მიერ, ბაგრატ პირველისა, საბერძნეთად ათინად, რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიისა და ღმრთისმეტყუელებისა სწავლისა მიღებათა შინა. ხოლო ესეოდენ განსწავლულ და ზედმინევენულ იქმნა პლატონურთა ღმრთისმეტყუელებათა, და არისტოტელითთა ფილოსოფოსობათა რჩეულ იქმნა ესეოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეუფო ქალაქსა კონსტანტინეპოლეს შინა (ე. ი. ვიზანტიასა) მოძღურად დაიდგინა“.⁵

ამგვარად, მიუხედავად იოანე ფილოსოფოსისადმი ასეთი დიდი ინტერესისა, იოანე პეტრინის წარმომავლობის, მისი მოღვაწეობის ხანისა და ადგილის შესახებ მეტად მწირი, ბუნდოვანი და არაერთგვაროვანი ცნობებია მოღწეული გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეების პერიოდისა. XIX-XX საუკუნეების სამეცნიერო ლიტერატურაში კი მისი ცხოვრების, მოღვაწეობისა თუ ნაშრომების ავტორობის შესახებ სხვადასხვა, რადიკალურად განსხვავებული ვარაუდია გამოთქმული – ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად არგუმენტირებული (ერთი მხრივ, ა. ცაგარელი, ნ. მარრი, ს. გორგაძე, ს. ყაუხჩიშვილი, მ. გოგიბერიძე, ივ. ლოლაშვილი, მეორე მხრივ, ე. ჭელიძე, თ. ცქიტიშვილი).

გელათელ მწიგნობართა – „სჯულიერ მოღვაწეთა“ – შორის XII საუკუნეში სამი იოანე იხსენიება: იოანე პლატონური ფილოსოფოსი, ზედწოდებით პეტრინი, იოანე ტა(რ)იჭისძე და იოანე ჭიმჭიმელი. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მათი იდენტიფიცირების საკითხი პრობლემადაა ქცეული.

⁴ Cod. H-1283, იხ. კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, II, III, გვ. 218-236.

⁵ ლოლაშვილი (გამოც.), *მცირე უწყებანი*, გვ. 154-155.

„ქართლის ცხოვრების“ ზოგ ნუსხაში მოიპოვება ჩანართი, რომელიც გვაუწყებს, რომ დავით აღმაშენებლის მიერ გელათში მიწვეულ მეცნიერ-მოძღვართა შორის იყვნენ „მთარგმანებელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭის ძე, ქრისტეს აქათ ქორონიკონს ჩრიდ“ (1114 წ.).⁶ როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღ. ბარამიძეზე დაყრდნობით აღნიშნავს „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის სქოლიოში, ამ ნუსხათაგან ე.წ. რუმინანცევისეულ ხელნაწერში (H-2080, 1703 წ.) ეს ჩანართი სულხან-საბა ორბელიანის ხელითაა აშიაზე მიწერილი, ხოლო S-4770 ნუსხაში შიგ ტექსტშია შეტანილი.⁷ ამ მინაწერში ანაქრონიზმია: რუის-ურბნისის ძეგლისწერაში (1103-1104 წწ.) ეფრემ მცირე მიცვალებულთა შორის იხსენიება. მასში არ არის მოხსენიებული იოანე პეტრინი, მაგრამ ნახსენებია იოვანე ტაიჭის ძე, რომელსაც ანტონ კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ ცალკე უძღვნის იამბიკოს, ხოლო იოანე პეტრინსა და იოანე ჭიმჭიმელს ერთმანეთთან აიგივებს და ერთ იამბიკოს უძღვნის, რაც სათაურებიდანაც ჩანს: „თვს მამისა იოანე ფილოსოფოსისა, პეტრინისა ჭიმჭიმელისა“,⁸ „თვს მამისა იოანე ტაიჭისძისა“.⁹ იოანე ტარიჭისძეს იგი მოკლედ და ზოგადად ახასიათებს, როგორც „სიბრძნეთა შინა“ დიდ რიტორს, მჭევრმეტყველსა და ღვთისმეტყველს. რაც შეეხება იოანე პეტრინს, იგი მას დავით აღმაშენებლის თანამედროვედ თვლის: „ესე იყო ჟამისა... დავით მესამისა... რომელი მოიჯსენების სახელწოდებით აღმაშენებლად“, და ვრცელ სიას იძლევა იოანე პეტრინის ნაშრომებისა:

„ამან განმარტა წიგნი პროკლე ფილოსოფოსისა, რომელ არს „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, ბერძულისაგანცა ქართულად გარდამოიღო იგი, და „კატილორია“ არისტოტელისა, და „პერი ერმენია“, და წიგნი ამონიოს ერმისიისა, რომელ არს „განმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათვს ჳმათა“, და „განმარტებაჲ არისტოტელის შესმენათა“, და წიგნი ნემესიოს ემესელის „კაცისა არსებისათვს“ და მრავალნი სხუანი წერილნი, და წიგნი იოანე სინელისა „კლემაქსი“.¹⁰

იოანე პეტრინსა და იოანე ჭიმჭიმელს აიგივებს იოანე ბაგრატიონიც თავის ნაშრომში „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“, რაც მისადმი მიძღვნილი ნაკვეთის სათაურიდანვე ჩანს: „თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებით პეტრინისა-ჭიმჭიმელისა“. იგი პეტრინის უცილებელი ნაშრომის, „კავშირნის“ გარდა პეტრინის თარგმნილად მიიჩნევს იოანე სინელის „კლემაქსს“, ასევე, ლუკასა და მარკოზის სახარებათა თეოფილაქტე ბულგარელი-

⁶ ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 334.

⁷ იქვე.

⁸ ლოლაშვილი (გამოც.), *მცირე უწყებანი*, გვ. 268, 731-742.

⁹ იქვე, გვ. 273, 762-763.

¹⁰ იქვე, გვ. 316.

სეული განმარტებების თარგმანს, როგორც ჩანს, ამ განმარტებათა გვიანდელი ნუსხების (A-113, A-284, S-3625) „ზედანარწერის“ გავლენით: „იოანემან ფილოსოფოსმან ჭიმჭიმელმან ელლადელთა ჳმისაგან სჳანთ მოსახელედ ჳმად გარდამოილო თარგმანებაჲ წმიდისა ევანგელისა სახარება ლუკასი“ (A-113, 1r), რომელიც არ არის ნარმოდგენილი გაცილებით უფრო ადრინდელ, იერუსალიმურ (*Jer. geo.* 22) ნუსხაში. იოანე ბატონიშვილი პეტრინს მიაწერს „დიონოსი არიოპაგელის ღმრთისმეტყველების“ თარგმანსაც, რაც აშკარა შეცდომაა. ეს თარგმანი, როგორც ცნობილია, ეფრემ მცირეს ეკუთვნის.

ანტონ კათალიკოსი იოანე პეტრინის მოწაფედ მიიჩნევს ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელსაც, როგორც ჩანს, ეფრემ მცირის იმ ანდერძის გავლენით, რომელიც ახლავს არეოპაგიტული კორპუსის „საღმრთოთა სახელთათვის“ ტრაქტატის მისეულ თარგმანს. ამ ანდერძში ეფრემი შესთხოვს მკითხველებს, ლოცვა აღავლინონ „იოანესთჳს საღმრთოდ ფილოსოფოსისა და ჳორციელად ღრამატიკოსისათჳს“, რომელიც მისი „მოძღვარი და ძალმწე“ იყო ამ წიგნის თარგმნისას („არა-თუ-მცა იგი ყოფილ-იყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზისთუალისა ამის წიგნისასა“).¹¹ ანტონ კათალიკოსის დროიდან მოყოლებული ყველას, ვინც კი შეხებია პეტრინის მოღვაწეობას, ეფრემ მცირის ამ ანდერძში მოხსენიებული „იოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი“ იოანე პეტრინად და ეფრემ მცირის მოძღვრად, ანუ მასწავლებლად მიაჩნია. როგორც აღნიშნული გვაქვს,¹² „მო-ძღუ-არ-ი“ – „უძღვის“ (<ძელუ) ზმნის სასუბიექტო მიმღეობაა და მისი ამოსავალი მნიშვნელობაა „წინა-მ-ძღ-ოლ-ი“, „გზის მაჩვენებელი“. ეფრემ მცირის ამ ანდერძში „მოძღვარს“ სწორედ ეს მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, და არა „მასწავლებლისა“, და, მით უფრო, სულიერი მოძღვრისა და აღმზრდელისა, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ეფრემ მცირის ანდერძში მოხსენიებული იოანე „საღმრთოდ ფილოსოფოსი“, იგი არის მისი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი და ძალ-მწე არეოპაგელის კორპუსის თარგმნისას, და არა საერთოდ მისი მოძღვარი და მასწავლებელი. ასეთი მცდარი გაგების საფუძველზე ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებია გამოტანილი: ზოგს მიაჩნია, რომ იოანე „საღმრთოდ ფილოსოფოსი“, იგივე პეტრინი, იყო მასწავლებელი ეფრემ მცირისა და, აქედან გამომდინარე, მასზე უფროსი (ანტონ ბაგრატიონი, ზაქარია გაბაშვილი); ზოგი მკვლევრის აზრით, რადგანაც იოანე „საღმრთოდ ფილოსოფოსი“ ეფრემს მოძღვრად ჰყავს დასახელებული, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს პეტრინი (ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ნუცუბიძე), ხოლო ივ. ლოლაშვილმა ამ წინააღმდეგობათა მოხსნის მიზნით ეფრემის ზემოხსენებული ანდერძის საფუძველზე განავითარა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იოანე პეტრინი აღუზრდია ეფრემს, „ხოლო როდესაც მას ცნობილი ფილოსო-

¹¹ ენუქაშვილი (გამოც.), *პეტრე იბერიელი*, გვ. 020.

¹² მელიქიშვილი, იოანე პეტრინი, გვ. 65-66.

ფოსის სახელი მოუხვეჭია, ის გამხდარა მოხუცებული მოძღვრის მოძღვარი, ასეთი პრაქტიკა გარეჯის მონასტერში დასტურდებაო“¹³ მაგრამ, როგორც ვნახეთ, ზემოხსენებული ანდერძის ტექსტი არ იძლევა საფუძველს ამგვარი რთულად სავარაუდებელი ახსნებისათვის.

სხვა ანდერძში, რომელიც ახლავს იოანე დამასკელის „წყაროე ცოდნისას“ თარგმანს, ეფრემ მცირე „მზრდელთა, განმადლიერებელთა, მოძღუართა და მსახურთა“ შორის იხსენიებს არსენ იყალთოელისა და კიდევ ორი იოანეს სახელსაც:

„ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთვის, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, და კეთილთა მოღუანეთა ჩემთა და განმადლიერებელთა, ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა – არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ხუცესთა, სტეფანესთვის და უფროეს ყოველთა – ჩემ საწყალობელისა, რეცა თარგმანისა, ეფრემ მცირისათვის“ (A-24, 137v).

როგორც ჩანს, ამ ანდერძების მიხედვით ასკვნის ანტონ კათალიკოსი, რომ ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი იოანე პეტრინის მოწაფენი იყვნენ:

„ამის ყოვლადბრძნისა მოძღუარისა იყვნეს მრავალნი მოწაფენი შედგომილ, მაგრა უფროეს-ლა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი, რომელნი შესაფერო იქმნნეს ზედმინვენილებითა მოწაფედ ესთა დიდისა მოძღურისა“.¹⁴

ანტონი სხვა ადგილასაც იმეორებს ამ აზრს: „იტყვს თვთ ეფრემ მოძღუარყოფასა თვსად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსის“.

ვინ არის ეფრემ მცირის ანდერძში მოხსენიებული „იოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი“? ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო თვალსაზრისი აქვს წარმოდგენილი ს. გორგაძეს ნემესიოს ემესელის ანთროპოლოგიური ტრაქტატის – „ბუნებისათვის კაცისა“ – გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში. თუმცა ს. გორგაძესაც, ისევე, როგორც ნ. მარს, მიაჩნია, რომ იოანე პეტრინი 1083 წლიდან, სავარაუდოდ, პეტრინონში მოღვაწეობს (ნემესიოსის წიგნის თარგმანამდე, რომელიც მას გადმოუღია უკვე „კელლინსა შინა გაენათისასა“), მაგრამ ამ შემთხვევაში იგი მარსს ეკამათება იოანე პეტრინის ეფრემ მცირის მოძღვრად და „საღმრთოდ ფილოსოფოსად“ წოდების თაობაზე.

ვფიქრობთ, ს. გორგაძის ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება ყურადსაღებია და, რადგანაც ის დავინყებასაა მიცემული, მას სრულად მოვიყვანთ: „ნიკო მარსს მოჰყავს ანტონ I კათალიკოზის „წყობილსიტყუაობის“ ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: „იტყვს ეფრემ მოძღუარ-ყოფასა თვსად იოანესა საღმრთო ფი-

¹³ ლოლაშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. 38-42.

¹⁴ იქვე.

ლოსოფოსის“. აქედან პატივცემული მეცნიერი დაასკვნის, რომ „это предание (ე. ი. გარდამოცემა, რომ პეტრინი იყო მოძღვარი ეფრემისა) восходит к самому Ефрему (Иоанн Петрицкий, стр. 37), მაგრამ „წყობილსიგყუაობის“ მთლიანათ შესწავლა და თვით ამ ადგილის კონტექსტით განხილვა ნებას არ გვაძლევს, პატივცემულს მეცნიერს დავეთანხმობთ: მართლაც, ამ ორ სტრიქონში ეფრემის მასწავლებლად დასახელებულია „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“, ამ ეპიტეტს კი ანტონი კათალიკოზი „ერთხელაც არ მიაწერს იოვანე ჭიმჭიმელს, თუმცა გრძლათ და ენამზიანათ შეაქებს მას და უწოდებს „ფილოსოფოსს“, „ჭემჭმარიტ ფილოსოფოსს“, მაგრამ არასოდეს „საღმრთო ფილოსოფოსს“; ამ ეპიტეტს იგი ხმარობს მხოლოდ იოანე პატრიკ-ყოფილისთვის, რომელსაც სასტიკათ განარჩევს იოვანე ჭიმჭიმელ-პეტრინისაგან... შესაძლოა, იოანე „პატრიკ-ყოფილად“ ანტონ კათალიკოზს მიეღოს ის მესამე იოვანე „ფარაკ-ნელი“, რომელსაც ეფრემ მცირე იხსენიებს ზემოდასახელებული თარგმანის წინასიტყვაობაში“.¹⁵

კ. კეკელიძეც ჟურნალ „პრომეთეს“ 1918 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიაში იოანე პეტრინს იოანე ჭიმჭიმელთან აიგივებდა, მაგრამ შემდგომ, რადგანაც ის ეფრემ მცირის ანდერძში მოხსენიებულ იოანეს „საღმრთოდ ფილოსოფოსს“ იოანე პეტრინად მიიჩნევდა,¹⁶ ჭიმჭიმელი კი „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს თამარ მეფის დაკრძალვაზე წარმოთქმული იამბიკოს ავტორად ჰყავს დასახელებული, მან ეს მოსაზრება უარყო.¹⁷

ივ. ლოლაშვილი თავის მეტად საინტერესო გამოკვლევაში, რომელიც ერთვის იოანე კლემაქსის „სათნოებათა კიბის“ მის მიერ იოანე პეტრინისეულად მიჩნეულ თარგმანს, სამივე იოანეს ერთ პიროვნებად მიიჩნევს.¹⁸ თინათინ ცქიტიშვილიც ასევე აიგივებს სამივე იოანეს.¹⁹

ამგვარად, გამოდის, რომ ერთი ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც დღესაც გავრცელებულია, XI საუკუნის მინურულში, 80-იან წლებში, იოანე პეტრინი ჯერ კიდევ ბიზანტიაშია, მას არსენ იყალთოელთან ერთად მთარგმნელობითი სკოლა უნდა გაეცლო შავ მთაზე, ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით, მაგრამ როდესაც იოანე იტალოსი და მისი მსმენელები განდევნეს კონსტანტინოპოლიდან (1082-1084 წწ.), იოანე პეტრინმა, რომელიც მარის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იტალოსის ერთგულ მონაფედ მოიაზრება,²⁰ მეტროპოლიიდან მოშორებით, ბულგარეთში, გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ ახლად დაარსებულ პეტრინონის ქართველთა მონასტერს შეაფარებდა თავს. ალ. ცაგარელის ვარაუდით, სწორედ ამ მონასტერში მოღვაწეობის აღსანიშ-

¹⁵ გორგაძე (გამოც.), *ნემესიოს ემესელი*, გვ. XII-XIII, სქოლიო.

¹⁶ კეკელიძე, იოანე პეტრინის სამწერლო მოღვაწეობიდან, გვ. 62-70.

¹⁷ კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 285.

¹⁸ ლოლაშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*.

¹⁹ ცქიტიშვილი, *თეოფილაქტე ბულგარელი*, გვ. 90 და შემდ.

²⁰ Март, Иоанн Петрицкий.

ნავად უნდა მიეღო იოანე ფილოსოფოსს ზედწოდება „პეტრინი“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის მოღვაწენი (ანტონ კათალიკოსის წრე – დავით რექტორი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.) საერთოდ არ ახსენებენ პეტრინონის მონასტერს, მათ პეტრინის მოღვაწეობის შესახებ პეტრინონის მონასტერში არაფერი იციან და იოანე ფილოსოფოსის ზედწოდებასაც – პეტრინს – არ უკავშირებენ პეტრინონის მონასტრის სახელს. დავით რექტორი ამ სახელის სხვაგვარ ეტიმოლოგიას იძლევა:

„ამას უკვე, იოანეს, ათინას აკადემიასა შინა უწოდეს პეტრინი. „პეტრ“, რომელი ითქმის „ქვად“ და მარცვალი ქვემორე „მფხე-კელად“ გამოითარგმანების... და ვინაჲთგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჩხრეკელ, ამისთვის უწოდეს პეტრინად, ესე იგი „ქვის მფხეკელად“. ²¹

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ პეტრინონში მოღვაწეს, ქართული სიტყვა-წარმოების წესის თანახმად, „პეტრინონელი“ უნდა დარქმეოდა, ისევე, როგორც პეტრინონში მოღვაწე მონაზონ ხუცესს – დავით პეტრინონელს, რომლის „იძულებითაც“, „დოგმატიკონის“ ერთი მინაწერის ცნობით, არსენ იყალთოელს ნიკიტა სტიტატის სომეხთა წვალეების განმაქიქებელი ხუთი სიტყვა უთარგმნია:

„ლოცვა-ყავთ, მამანო და ძმანო, არსენისთვის თარგმანისა და დავითისთვის პეტრინონელისა, მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გადმოუქართულებიან ე [5] ესე თავნი სომეხთა განმაქიქებელნი. საუკუნომცა არს ჳსენებაჲ არსენისი, ამინ“. ²²

იოანე იტალოსის საერო სასამართლო და მისი მოძღვრების დაგმობა (1082 წ., 13/III), შემდგომ კი მისი შეჩვენება-ანათემა და მოწაფეების განდევნაც (1084 წ.) პეტრინონის დაარსების (1083 წ.) წლებს ემთხვევა და თითქოს მხარს უნდა უჭერდეს იმ მომხიბლავ ვარაუდს, რომ პეტრინი, რომელიც, მარრის აზრით, „იტალოსის ერთგული მოწაფე და მიმდევარი“ და იოანე იტალოსის ეპისტოლის ადრესატი „აბაზგი გრამატიკოსია“, ²³ სამეუფო ქალაქიდან განდევნის შემდეგ თავს შეაფარებდა სწორედ 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ აშენებულ მეტროპოლიიდან დაშორებულ პეტრინონის ქართველთა მონასტერს (მით უფრო, რომ პეტრინონის სანახები მარია-მართა დედოფლის, ბიზანტიის იმპერატორების, ჯერ მიხეილ დუკას, და შემდეგ ნიკიფორე ბოტანიატეს მეუღლის კუთვნილება იყო). ზოგი მკვლევრის აზრით, იოანე პეტ-

²¹ ლოლაშვილი (გამოც.), *მცირე უწყებანი*, გვ. 155.

²² რაფაეა – კასრაძე (გამოც.), *დოგმატიკონი*, II, გვ. 18; S-1463, 264v.

²³ Марр, Иоанн Петрицкий; კეჭაღმაძე – წერეთელი (გამოც.), *იოანე იტალოსი*, გვ. 161, 64.

რინს 20 წელიც კი უმოღვანია პეტრინონში და სემინარიისა და მონასტრის წინამძღვარიც კი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, პეტრინონის მონასტრიდან, გარდა მისი ტიპიკონისა, ჩვენამდე არავითარი მასალა არ მოღწეულა არათუ პეტრინის იქ მოღვაწეობის თაობაზე, არამედ იმის დამადასტურებელიც კი, რომ იქ იყო გელათის ტიპის სასწავლებელი ყრმათათვის. მსოფლიო ომის დროს ხელნაწერები რილის მონასტერში გადაუშალავთ, ომის შემდგომ კი, უკან წამოღებისას, ყველაფერი დაკარგულა.²⁴ რაც შეეხება პეტრინის იოანე იტალოსის მოძღვრებისადმი ერთგულებას და მონაფეობას, მისი შეხედულებები ამ საკამათო საკითხებზე (მატერიის დაუსაბამობა, ბოროტის სუბსტანციურობა და სხვ.) სრულიად ეწინააღმდეგება იტალოსის მოძღვრებას.²⁵

ხელნაწერთა ცნობების მიხედვით, იოანე ფილოსოფოსს თავისი შრომების უმეტესი ნაწილი შეუქმნია სწორედ „კელტინსა შინა გაენათისასა“. XVIII საუკუნის მოღვაწენი მას მრავალი თხზულების ავტორად თუ მთარგმნელად მიიჩნევენ. მაგალითად, დავით რექტორი წერს:

„ჩემისა უკვე ცნობისაებრ, რომელნი მე უკვე მიხილვან და წამიკითხვან, არიან წერილნი უკვე ოთხნი, ქართველთა ჴმასა ზედა მისგან გარდმოღებულნი და ქმნილნი ელადელთა ენისაგან“.

დავით რექტორის მიერ შედგენილი სიის მიხედვით, იოანე პეტრინის კალამს ეკუთვნის:

„1. წიგნნი პლატონური ღმრთისმეტყუელებისანი, პროკლე დიადოხოსისგან ქმნილნი და ამისგან შექმნილი განმარტება; 2. იოანე სინელისაგან „კლემაქსი“ (რომელ არს ოცდაათნი კიბენი); 3. ესევე კლემაქსივე' დალექსილი იროიკოდ და აკროსტიხად კიდურწერილობით; 4. სათვეო სვინაქსარი: ექესი თვე – შვენიერად დალექსილი, რომელსა ეწოდების „პროლოლია“... მეხუთე წიგნიცა არს იმავე იოანესგან ელინურიდამ გადმოთარგმნილი ნემესიოს, ხოლო ვიეთნიმე იტყვიან წიგნსა იოსიპოისასა, ამის იოანესგან ნათარგმნსა ელინურიდამ“.²⁶

ამ ჩამონათვალს ანტონ კათალიკოსი ამატებს არისტოტელეს „კატილორიას“, „პერი ერმენიას“ და ამონიოს ერმისის წიგნს, „რომელ არს განმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათჳს ჴმათა და განმარტებაჲ არისტოტელის შესმენათა“.²⁷

მათ კვალდაკვალ თანამედროვე მკვლევარნიც პეტრინს მრავალი თხზულების მთარგმნელად თუ ავტორად მიიჩნევენ. კ. კეკელიძის აზრით, იოანე პეტ-

²⁴ ვრცლად იხ. ლოლაშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. 44-52.

²⁵ მელიქიშვილი, იოანე იტალოსი, გვ. 170-176.

²⁶ ლოლაშვილი (გამოც.), *მცირე უწყებანი*, გვ. 155-156.

²⁷ ლოლაშვილი (გამოც.), *ანტონ ბაგრატიონი*, გვ. 316-317.

რინს უმოღვანია როგორც ბიბლიურ-ეგზეგეტიკური, ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული, ასკეტიკურ-მისტიკური და აგიოგრაფიული მწერლობის დარგში, ისე ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმნასა და კომენტირებაში.²⁸ ზოგი მკვლევარი იოანე პეტრინის თარგმნილად მიიჩნევს გელათის კატენებიან ბიბლიასაც, ასევე, ელინოფილური სტილით შესრულებულ მარკოზის, მათეს და იოანეს სახარებათა თეოფილაქტე ბულგარელისეული განმარტებების ქართულ თარგმანებს.²⁹ მასვე მიანერენ ისტორიული თხზულების – ფლავიოსის „იუდაებრივი დასაბამსიტყუაობის“ – თარგმნას, რასაც საფუძვლიანად უარყოფს ნ. მელიქიშვილი.³⁰ ზოგიერთნი იოანე პეტრინს დავით აღმაშენებლის ისტორიის ავტორობასაც კი მიანერენ და ჩვენამდე არმოღწეული ქართული ენის გრამატიკის შემდგენლადაც თვლიან.³¹

წლების წინ ძველი ქართული საეკლესიო-თეოლოგიური ლიტერატურის მკვლევარმა, ედიშერ ჭელიძემ, ჟურნალ „რელიგიის“ „სადისკუსიო ტრიბუნაში“ გამოაქვეყნა ვრცელი, მნიშვნელოვანი გამოკვლევა „იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა“,³² რომელშიც გამოთქვამს გაბედულ ვარაუდს პეტრინის მოღვაწეობის დროის შესახებ (XII საუკუნის ბოლო – XIII საუკუნის დასაწყისი) და სვამს საკითხს თამარის დროინდელი თხზულების – „ისტორიათა და აზმათას“ პეტრინის სავარაუდო ავტორობის შესახებ.³³ მკვლევარი ნაშრომში დასკვნების სახით, თეზისურად წარმოადგენს იმ შედეგებსა და სავარაუდო სიახლეებს, რომლებიც თან ახლდა მის მრავალწლიან ტერმინოლოგიურ ძიებებს. აღნიშნულ გამოკვლევაში ავტორი ავითარებს აზრს იმის თაობაზე, რომ ეფრემ მცირის ანდერძში მოხსენიებული იოანე საღმრთო ფილოსოფოსი არ არის იოანე პეტრინი და რომ ეს უკანასკნელი არის არა დავით აღმაშენებლის ხანის, არამედ XII საუკუნის ბოლოს, თამარის ეპოქის მოღვაწე. ამავე დროს იოანე პეტრინის „განმარტების“ ე. წ. „ბოლოსიტყვაობაში“ მოხსენიებული დავითი, რომლის თანადგომას, გამგონებასა და წყალობას მინდობილი იოანე პეტრინი აპირებს განგებისაგან მისთვის წილხვედრი მიზნის განხორციელებას, არის არა დავით აღმაშენებელი, როგორც აქამდე იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ ფსალმუნთა ავტორი – დავით წინასწარმეტყველი.³⁴ უნდა აღინიშნოს, რომ „ბოლოსიტყვაობაში“ მოხსენიებულ დავითთან დაკავშირებით კითხვას სვამს მ. გოგიბერიძეცა და ივ. ჯავახიშვილიც: „ვინაა ეს დავითი, რომლის წყალობასა და თანადგომას პეტრინი მინდობია? იგი დავით

²⁸ კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 284-305.

²⁹ ცქიტიშვილი, *თეოფილაქტე ბულგარელი*.

³⁰ მელიქიშვილი (გამოც.), *იოსებ ფლავიოსი*, I.

³¹ ლოლაშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*; ცქიტიშვილი (გამოც.), *ეზეკიელის წიგნი*; ცქიტიშვილი, *თეოფილაქტე ბულგარელი*.

³² ჭელიძე, იოანე პეტრინის ცხოვრება (1); მისივე, იოანე პეტრინის ცხოვრება (2).

³³ ჭელიძე, იოანე პეტრინის ცხოვრება (2), გვ. 88-89.

³⁴ ჭელიძე, იოანე პეტრინის ცხოვრება (1), გვ. 76-89.

აღმაშენებელი უნდა იყოს“. თუმცა სამართლიან გაკვირვებას გამოთქვამს ივ. ჯავახიშვილი იმის გამო, რომ არ არის ნათქვამი: „მეფისა დავითისაო“.³⁵ ეს შეკითხვა მართლაც სამართლიანია და ვფიქრობთ, რომ ამასთან დაკავშირებით საჭიროა სამი გარემოების გათვალისწინება:

1. ფრაზა, რომელშიც დავითის თანადგომასა და გამგონეობაზეა ლაპარაკი, საერთოდ არ არის ამ ნაშრომის შემცველ უძველეს, XIII საუკუნით დათარიღებულ ხელნაწერში (H-1337) და კიდევ სამ ნუსხაში, რომელთაგან H-2235 ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, კარგი ღირსებების დედნიდან ჩანს გადანერილი ფილოსოფიაში კარგად განსწავლული პირის მიერ, და სხვებთან შედარებით თავისუფალია ტექსტუალური დამახინჯებებისაგან.³⁶

2. ყურადსაღებია ის ტრადიცია, რომელიც, როგორც ჩანს, არსებობდა პატრისტიკაში: ეგზეგეტიკურ თხზულებებში წმინდა წერილის განმარტებისას მასში დაფარული საიდუმლოს სწორად გაგებისათვის შემწეობასა და თანადგომისათვის მიმართავდნენ სწორედ დავით წინასწარმეტყველს, ავტორს ფსალმუნებისა, რომელშიც სამების წინასწარმეტყველებაა დაფარული. ამის შესანიშნავი მაგალითია წმ. მაქსიმე აღმსარებლის ვედრება მეფსალმუნე დავითის მიმართ:

„ვევედრნეთ უკუჲ ჩუენცა გონიერსა დავითსა, რაჲთა დასცეს ქნარსა სულიერსა ხედვისა და მეცნიერებისასა ნივთიერთა მიერ სულელქმნილსა ზედა გონებასა ჩუენსა და განჯადოს ბოროტი სული გრძნობისამიმართისა ნივთიერისა მი-მო-მსტუანვობისაჲ, რაჲთა შეუძლოთ სულიერად გაგონებაჲ შჯულისაჲ და მის-მო-რისისა საიდუმლოჲსა სიტყუსა პოვნაჲ“ (K-14, 165r).

დაბოლოს:

3. საგულისხმო უნდა იყოს ისიც, რომ იოანე პეტრინი დავითის თანადგომისა და გამგონეობის იმედს გამოთქვამს „ბოლოსიტყვაობის“ სწორედ იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკობს დავითის ფსალმუნთა, როგორც ქრისტიანული სამების წინასწარმეტყველების წიგნზე, და „ბოლოსიტყვაობის“ დასაწყისშივე მსმენელისაგან მოითხოვს ღვთისაგან ბოძებული გონებრივი განსჯის უნარის „გულის საბჭოში“ სწორად წარმართვას.

იოანე პეტრინის მოღვაწეობის დრო აღბათ დიდი ხნით მაინც არ უნდა ყოფილიყო დაცლებული დავით აღმაშენებლის ზეობის პერიოდისაგან. აღსანიშნავია, რომ მეორე ძლიერი ტალღა „პლატონურ ფილოსოფოსთა“ და, კერძოდ, პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიით დაინტერესებულთა და მიმდევართა დევნისა ბიზანტიაში XII საუკუნის 50-იან წლებში წამოვიდა იმპერატორ მანუელ კომნენოსისაგან, რომელმაც, როგორც ცნობილია, ნიკოლოზ მეთონელ ეპის-

³⁵ გოგიბერიძე, *რუსთაველი*, გვ. 151.

³⁶ მელიქიშვილი, იოანე იტალოსი, გვ. 170-176.

კოპოსს დაავალა, დაენერა მხილება პლატონური ფილოსოფოსის, პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებისა“ იმისათვის, რომ მან არ მოაქციოს მკითხველნი ცრურწმენის გავლენის ქვეშ და არ მიდრიკოს ჭეშმარიტი რწმენის შეურაცხყოფისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ ბერძენთაგან სწორედ ამ დროის (XII საუკუნის შუა წლების, დემეტრეს ზეობის პერიოდის) დევნაზე უნდა ლაპარაკობდეს იოანე პლატონური ფილოსოფოსი, რომელმაც, როგორც ჩანს, თავშესაფარი გელათის აკადემიაში ჰპოვა. ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ იოანე პეტრინის პლატონურ ფილოსოფიაში განსწავლულობა მონმოზაა იმისა, რომ მას, ცხადია, გავლელი უნდა ჰქონოდა მანგანას ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლა, მაგრამ საწინააღმდეგოდ დამკვიდრებული აზრისა, იგი, თავისი ნაშრომებისა და მსოფლმხედველობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ ყოფილა იოანე იტალოსის „ერთგული მონაფე და მიმდევარი“.³⁷

ამგვარად, როგორც ვნახეთ, XII საუკუნის „სჯულიერ მოღვაწეთა“ შორის მოხსენიებული სამი იოანეს – იოანე პლატონური ფილოსოფოსის – იმავე ზედწოდებით პეტრინის, იოანე ტა(რ)იქისძისა და იოანე ჭიმჭიმელის – იდენტიფიცირების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე პრობლემურია. ამ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა შეპირისპირების გზაზე იოანე პეტრინის მოღვაწეობის დროისა და ადგილის შესახებ შეიძლება სხვა ვარაუდებიც გამოითქვას: მაგალითად, თუ მას გავაიგივებთ იოანე ჭიმჭიმელთან, რომელიც თამარის პერიოდის მოღვაწე ჩანს, მისი სამხრეთ საქართველოდან („დაბით ჭირჭიმით“) წარმომავლობასა და იმ არეალში დროის რომელიმე მონაკვეთში მოღვაწეობის შესაძლებლობას შეიძლება მხარს უჭერდეს ისიც, რომ იმ ეპოქის სამხრეთ საქართველოში, ლორე-ტაშირის მხარეში, მხარგრძელების სამფლობელოში, პლინდაცაკის სომხურ ქალკედონიტურ მონასტერში, დაინტერესდნენ პეტრინის მიერ თარგმნილი და კომენტირებული პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებით“. ეს კი ამ მონასტერში გელათის და იყალთოს ტიპის სასწავლებლის არსებობას გვაგვარაუდებინებს, სადაც, გარდა იოანე პეტრინის „კავშირისა“, ითარგმნა და, ალბათ, ისწავლებოდა კიდევაც ამონიოსისა და დამასკელის ნაშრომები. დავამატებდით იმასაც, რომ შოთა რუსთველის (რომელიც, გადმოცემების თანახმად, წარმოშობით, ჭიმჭიმელის მსგავსად, სამხრეთ საქართველოდან იყო) სააზროვნო და ენობრივ სამყაროზე იოანე პეტრინის ძალზე ცოცხალი გავლენა ძალაუწებურად მათი თანადროულობის დაშვების შესაძლებლობასაც კი იძლევა.³⁸ დაბოლოს, საჭირო იქნება იმის გათვალისწინებაც, რომ ერევანში, „მატენადარანის“ ძველ ხელნაწერთა კოლექციაში, ინახება ქართული ხელნაწერების 34 ფრაგმენტი (ნაწილი დამცავი ფურცლების სახით) XII-XIII საუკუნეებისა, რომელთა შორის, ერთ-ერთ ფრაგმენტში (1, წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის ნაწყვეტს),

³⁷ მელიქიშვილი, იოანე იტალოსი, გვ. 170-176.

³⁸ მელიქიშვილი, რუსთაველის ენობრივი სამყაროს წანამძღვრები, გვ. 112-114.

ბერნარ უტიემ დაადასტურა გელათური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი აქცენტუაციის სისტემა, რაც ახალ პერსპექტივებს შლის საქართველოსა და სომხეთის ისტორიული და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის კვლევისათვის.³⁹

მაგრამ ეს ყველაფერი, თუ შეიძლება ითქვას, ალბათობისა და ვარაუდების სფეროა: როგორც ვნახეთ, იოანე პეტრინის წარმომავლობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ მხოლოდ ბუნდოვანი გადმოცემები და ვარაუდები არსებობს. რაც შეეხება მის მნიგნობრულ-ლიტერატურულ დანატოვარს, ამ მხრივაც, ძველი ცნობები, ხელშესახები უტყუარი ფაქტობრივი მოწმობანი ხელნაწერების ანდერძების სახით მაინც, გარდა XVIII საუკუნის სავარაუდო გადმოცემებისა მისი ავტორობის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს.⁴⁰ ჩვენ შევიძლია აქაც მხოლოდ სათუო ვარაუდები გამოვთქვათ.

ეს პრობლემები მოითხოვს საკამათო ტექსტების კვლევის მეთოდების შემუშავებას, სავარაუდო ავტორების სტატისტიკური შეპირისპირებითი ტექსტუალური ანალიზის შედეგად მიღებული ენობრივ-სტილური მახასიათებლების კრიტერიუმების დადგენას.⁴¹

არსებობს სტატისტიკური მათემატიკური მახასიათებლები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ცალკეულ ავტორთა ინდივიდუალური ენობრივი სტილის შესწავლა და სადავო ავტორების დადგენის საკითხების გარკვევა.⁴² ისეთი შედეგის შემთხვევაში, როდესაც გარკვეული რაოდენობის ენობრივი ნიშნები დასტურდება ცნობილ ავტორთან და მათგან არც ერთი გვხვდება სადავო ტექსტში (ან პირიქით), შეიძლება ცალსახა დასკვნის გამოტანა, რომ სადავო ტექსტი არ ეკუთვნის მოცემულ ავტორს.

ჩვენ მიერ იოანე პეტრინისა და არსენ იყალთოელის სახელით ცნობილ სადავო ტექსტებში შერჩეული სტატისტიკური მახასიათებლები ენის სხვადასხვა

³⁹ Outtier, *Un fragment inconnu*, pp. 155-162.

⁴⁰ რაც შეეხება სომხურ ენაზე სვიმონ პლინძაჰანეცის მიერ შესრულებულ თარგმანში განმარტების ავტორად იოანე პეტრინის ნაცვლად ვინმე ამელახოსის მოხსენიებას, როგორც ვნახეთ, XIII საუკუნის H-1337 ხელნაწერისა და ყველა ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში პროკლეს ტექსტის გასწვრივ სინგურით შემოვლებული პროკლეს ინიციალი პ არის დასმული, ხოლო განმარტების გასწვრივ კი იოანესი – ი. მთარგმნელი და კომენტატორი რომ ნამდვილად ქართველია, ეს თვით ტექსტითაა არაერთხელ დადასტურებული (მაგ. „განმარტების“ №№ 14, 23, 26, 50); ასევე, „წინასიტყვაობაში“, რომელშიც სულისა და გონებისმიერი შემეცნების განსხვავებაზე მსჯელობისას იოანე პეტრინი ქართულ ენაზე ბერძნულის შესატყვის სათანადო ტერმინებს ქმნის და „ბოლოსიტყვაობაში“ გულისტკივილით ლაპარაკობს თავის თანამეტომე ქართველთაგან შურსა და დევნაზე, განიხილავს წმ. ნერილის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებულ პრობლემებს და, გარდა ამისა, საუბრობს სანუკვარ მიზანზე, რომ თავისი გვარ-ტომისათვის, ქართველებისათვის, შექმნას „ენაჲ ვალექსებული და მესხუჲ მდაბრიონთაგან“, ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინის შრომები*, I, გვ. XXII-XXVI.

⁴¹ ბეროზაშვილი, *ტექსტისა და მისი ავტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი*; მელიქიშვილი, *გელათის სალიტერატურო სკოლა*, გვ. 65-74.

⁴² Fuchs, *Mathematische Analyse*; ხარაშვილი, *ქართველ ავტორთა სტილის მათემატიკური მახასიათებლები*, გვ. 158-171.

სფეროს განეკუთვნება: 1. ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების, 2. ყოფით-ლექსიკურის, 3. გრამატიკულის. ამასთანავე, ყველა ამ სფეროდან შერჩეულია ისეთი დიფერენციული ნიშნები, რომელთაგან ერთი ჯგუფი ხშირად და თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებში და საერთოდ არ დასტურდება იოანე პეტრინის უცილობელ შრომებში და პირიქით, მეორე ჯგუფის მახასიათებლები ხშირია იოანე პეტრინის უცილობელ შრომებში და არ გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებში. ამ მხრივ, სამივე სფეროს მონაცემები ერთსა და იმავე სურათს გვიჩვენებენ. რაც შეეხება წინადადების სინტაქსს, ეს ცალკე განხილვის საგანია, რადგანაც სინტაქსური კონსტრუქციები თვით სათარგმნი ტექსტის ავტორის მახასიათებელს წარმოადგენს, ხოლო ადეკვატური თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე, თარგმანი სარკისებურად ზუსტი უნდა იყოს ბერძნულ დედანთან მიმართებით. თუმცა ამ შემთხვევაშიც მთარგმნელებს შორის შეიძლება განსხვავებული ვითარება (ტენდენცია) შეიმჩნეოდეს.

წინამდებარე გვერდებზე წარმოდგენილი ენობრივი მახასიათებლების ცხრილი მთარგმნელ-ავტორთა სავარაუდო იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა გამორიცხვის მეთოდის საშუალებით.

დამონეხული ლიტერატურა

ბეროზაშვილი, ტექსტისა და მისი ავტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი = თ. ბეროზაშვილი, ტექსტისა და მისი ავტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი (თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მასალაზე), თბილისი, 1987.

გოგიბერიძე, რუსთაველი = მ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრინი, პრელუდიები, თბილისი, 1961.

გორგაძე (გამოც.), ნემესიოს ემესელი = ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა“, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.

ენუქაშვილი (გამოც.), პეტრე იბერიელი = პეტრე იბერიელის შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.

თაყაიშვილი (რედ.), ძველი საქართველო, I = ძველი საქართველო (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული), I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909.

კეკელიძე, იოანე პეტრინის სამწერლო მოღვაწეობიდან = კ. კეკელიძე, იოანე პეტრინის სამწერლო მოღვაწეობიდან, ჟურნალი „პრომეთე“, 1 (1918).

კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, = კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.

- კეკელიძე** (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, H, III = კ. კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), III, შემდგენელი ქრ. შარაშიძე, თბილისი, 1948.
- კეკელიძე** (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები*, A, IV = კ. კეკელიძე (რედ.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია)*, IV, შემდგენელი ქრ. შარაშიძე, თბილისი, 1954.
- კეჭალმაძე – წერეთელი** (გამოც.), *იოანე იტალოსი* = ნ. კეჭალმაძე, გ. წერეთელი (გამოც.), *იოანე იტალოსი, თხზულებანი*, თბილისი, 1966.
- კეჭალმაძე – რაფავა** (გამოც.), *ამონიოს ერმიასის თხზულებანი = ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭალმაძემ და მ. რაფავამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფავამ, თბილისი, 1983.
- ლოლაშვილი** (გამოც.), *იოანე პეტრინი* = *იოანე პეტრინი, „სათნოებათა კიბე“*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1968.
- ლოლაშვილი**, *არსენ იყალთოელი* = ი. ლოლაშვილი, *არსენ იყალთოელი*, თბილისი, 1978.
- ლოლაშვილი** (გამოც.), *ანტონ ბაგრატიონი* = *ანტონ ბაგრატიონი, ნყობილსიტყვაობა*, გამოსცა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1980.
- ლოლაშვილი** (გამოც.), *მცირე უწყებანი* = ი. ლოლაშვილი (გამოც.), *მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის*, შ. ძიძიგურის რედაქციით, თბილისი, 1982.
- მელიქიშვილი**, იოანე პეტრინი = დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრინის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსთვის, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 27 (1988).
- მელიქიშვილი**, იოანე იტალოსი = დ. მელიქიშვილი, იოანე იტალოსი და იოანე პეტრინი ორი საწყისის შესახებ, *ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე*, 4 (1995).
- მელიქიშვილი**, გელათის სალიტერატურო სკოლა = დ. მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი*, 2 (1996).
- მელიქიშვილი**, რუსთაველის ენობრივი სამყაროს წანამძღვრები = დ. მელიქიშვილი, რუსთაველის ენობრივი სამყაროს წანამძღვრები, *მოგი თხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ*, თბილისი, 2009.
- მელიქიშვილი** (გამოც.), *იოსებ ფლავიოსი*, I = *იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი*, I, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მელიქიშვილმა, თბილისი, 1987.
- რაფავა**, ამელახოსის იდენტიფიკაციისათვის = მ. რაფავა, ამელახოსის იდენტიფიკაციისათვის, *მრავალთავი*, 18 (1999).

- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ქართლის ცხოვრება, I = ქართლის ცხოვრება, I*, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1955.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *იოანე პეტრინის შრომები, I = იოანე პეტრინის შრომები, I*, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
- რაფავა – კასრაძე** (გამოც.), *დოგმატიკონი, II = დოგმატიკონი, II, ნიკიტა სტითატი, თხზულებანი*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს მ. რაფავამ და მ. კასრაძემ, ლექსიკონი და საძიებლები მოამზადეს მ. რაფავამ და ნ. ჩიკვატიამ, თბილისი, 2013.
- ცქიტიშვილი** (გამოც.), *ეზეკიელის წიგნი = ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები*, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბილისი, 1976.
- ცქიტიშვილი**, *თეოფილაქტე ბულგარელი = თ. ცქიტიშვილი, თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების“ განმარტება და ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, II*, თბილისი, 2014.
- ჭელიძე**, იოანე პეტრინის ცხოვრება (1) = ე. ჭელიძე, იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა (წერილი პირველი), *რელიგია*, 3-4-5 (1994).
- ჭელიძე**, იოანე პეტრინის ცხოვრება (2) = ე. ჭელიძე, იოანე პეტრინის ცხოვრება და მოღვაწეობა (წერილი მეორე), *რელიგია*, 1-2-3 (1995).
- ხარაშვილი**, ქართველ ავტორთა სტილის მათემატუკური მახასიათებლები = ც. ხარაშვილი ქართველ ავტორთა სტილის მათემატუკური მახასიათებლები, *თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 164: ენათმეცნიერება*, 1975.
- Fuchs**, *Mathematische Analyse* = W. Fuchs, *Mathematische Analyse von Sprachelementen, Sprachstil und Sprachen*, Köln, 1953.
- Март**, Иоанн Петрицкий = Н. Март, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатонник XI-XII в., *Зап. Вост. Отд. Имп. Русск. Археол. Общества*, т. XIX, 1909.
- Outtier**, Un fragment inconnu = B. Outtier, Un fragment inconnu d'un poème de Grégoire de Nazianze, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, II*, 2016.

ხელნაწერები

- A-110 – დიონისე არეოპაგელი, თხზულებანი (ხუთ წიგნად), ნუსხური, XII ს.
- A-1108 – გელათის კატენებიანი ბიბლია, ნუსხური XII ს.
- A-52 – თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა, ნუსხური, XII-XIII სს.
- A-16 – გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, ნუსხური, 1739 წ.
- H-1337 – პროკლე დიადოხოსი, „პლატონურისა ფილოსოფოსისაჲ კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, ნუსხური, XII-XIII ს.
- Q-1152 – გელათის კატენებიანი ბიბლია, ნუსხური, XII-XIII სს.
- S-2579 – ნეტარისა მამისა ჩუენისა, ნემესიოს ემესელ მთავარეპისკოპოსისა „ბუნებისათვის კაცისა“, ნუსხური, XIV ს.

S-2562 – კრებული, 1. იოანე დამასკელი, თავნი საფილოსოფოსონი, 2. ამმონიოს ერ-
მისისაჲ „მოსაწესენებელი“, „ხუთთა წმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, „მო-
საწესენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისათა“, ნუსხური, XIII-XIV სს.
K-14 – მაქსიმე აღმსარებელი, თხზულებანი, ნუსხური (ქუთაისის ფონდი), XII ს.
A-24 – იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, „გარდამოცემა“, XIII ს.

On Identification of Georgian Hellenophile Translators (Solving Problems of Methodological Issues)

Abstract

In the 12th-13th cc., golden epoch of the Georgian culture and literature worked brilliant translators and authors of the philosophical-theological works – three Ioanes (Ioane Tchimtchimeli, Ioane Petritsi, Ioane Taritchisdze) and three Arsens (Arsen son of Vache, Arsen of Ikalto and Arsen the Monk), the mystery of whom is not solved until nowadays.

About origin, time and place of work of Ioane Petritsi is preserved rather scarce, unclear and ambiguous information from the period of the 17th-18th cc. According to the old manuscripts Ioane the Philosopher created the most part of his works at the Monastery of Gelati. In the 18th c. he was considered as an author or translator of many various works.

In the 19th-20th cc. scholars had various, radically opinions about Ioane's origin, place of birth and work (Tzagareli, Marr, Gorgadze, Kaukhchishvili, Gogiberidze, Lolashvili, on the other side Chelidze and Tskitishvili).

Due to these problems it is needed to take another way for study of the controversial texts, in particular based on comparative textual analysis, define stylistic-grammatical features, characteristic to the each author/translator.

There exist statistical mathematical features, which are used for analysis of the specific individual stylistic peculiarities of the separate authors (W. Fuchs, 1953, Ts. Kharashvili, 1975, pp. 158-171). In case if the certain number of the defined stylistic/grammatical peculiarities are attested in the works of the known author and do not exist in the disputed text (or *vice versa*), matter of the authorship can unambiguously decided.

The statistical features which we have chosen for study of the disputable texts attributed to Ioane Petritsi and Arsen of Ikalto represent different spheres of the language: (1) terminological; (2) lexical and (3) grammatical.

At the same time from all these spheres are chosen the special types of the dif-

ferential signs: one group of them is often found (almost with equal frequency) in abovementioned translations and is missing in the works which undoubtedly belong to Ioane Petritsi and *vice versa*, another group of the differential signs is often found in the works which undoubtedly belong to Ioane Petritsi and do not exist in the abovementioned translations.

Here findings from all three spheres show one and the same result. Syntaxis of the sentences should be analyzed separately. Syntactic structure of the sentences is a specific feature of the translator and due to the principles of the adequate translation the translated texts should be “mirror reflection” of the original. Although even in such case there might be the certain differences between translators.

In the article language features of the studied material are presented in the table which gives possibility to identify the author based on the method of exclusion.

Damana Melikishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi

ნათია მიროტაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„სად ნაიყვან სადაურსა“: ბიბლიის XIII საუკუნის კოდექსი მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების კოლექციაში¹

მესროპ მაშტოცის სახელობის მატენადარანის (ერევანი) ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში 34 სრული ხელნაწერის გარდა არის ფრაგმენტები, რომლებიც სომხური ხელნაწერების საცავ ფურცლებადაა გამოყენებული, მათი ნაწილი ამჟამადაც ხელნაწერების ყდებშია ჩაკინძული, ნაწილი კი უკვე ამოღებულია ყდებიდან. ფრაგმენტები უმეტესწილად IX-XIII საუკუნეებით თარიღდება. კოლექცია შინაარსობრივად მრავალფეროვანია, მოიცავს ძველი და ახალი აღთქმის, ლექციონარის, თვენისა თუ სხვა ტიპის კრებულთა ნაწყვეტებს. მათი ნაწილი დაწერილია მთავრულით, ნაწილი – ნუსხურიით.

სომხეთის ხელნაწერთა საცავებში – მატენადარანსა და ერმიადინში (სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მუზეუმი) – დაცულ საცავ ფურცლებად გამოყენებულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შესწავლა დაიწყო ნიკო მარ-

¹ მადლობას ვუხდით ბატონ ბერნარ უტიეს მუშაობისას გაწეული კონსულტაციებისა და დახმარებისათვის. ასევე მადლობას ვუხდით მატენადარანსა და მის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი გევორგ ტერ ვარდანიანს, მატენადარანის მთავარ მცველსა და კოდიკოლოგიისა და გენერალური კატალოგის განყოფილების გამგეს. სტატია მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციის – მატენადარანში დაცული ქართული ფრაგმენტული ხელნაწერების კოლექციის გაცნობა, ძველი აღთქმის ერთი ქართული ხელნაწერის რეკონსტრუირება და ტექსტის გადმოწერა – ფარგლებში. ექსპედიცია განხორციელდა თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსებით. ექსპედიციის წევრები იყვნენ შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები: ლიკა აბრალავა, ციცინო გულედანი, ლალი ვაშაყმაძე, თამარ მაგრაქველიძე, თინათინ ჯიქურაშვილი, ნათია დუნდუა, ეკა კვირკველია და ნათია მიროტაძე. ექსპედიციის ხელმძღვანელი: პროფ. ანა ხარანაული. ტექსტი გადმოწერილია და მზადდება გამოსაცემად.

მა გასული საუკუნის დასაწყისში და უკვე 1914 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ზემოაღნიშნულ კოლექციაზე. სხვადასხვა დროს ამავე მასალაზე მუშაობდნენ ილია აბულაძე, უჩა ცინდელიანი, მზექალა შანიძე, ბერნარ უტიე.² ეს უკანასკნელი ამჟამადაც იკვლევს მატენადარანის და სხვა სომხურ საცავებში (მაგ., ახალი ჯულფა, ისპაჰანი, ირანი) არსებულ ქართულ ფრაგმენტებს და კატალოგსაც ამზადებს გამოსაცემად.

ჩვენი კვლევის საგანია მატენადარანის კოლექციაში დაცული ის ქართული ფრაგმენტები, რომლებიც ერთი ხელნაწერის, ძველი აღთქმის შემცველი კოდექსის, ფურცლებს წარმოადგენს. ამჟამად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ამ კოდექსის ფურცლები 11 სხვადასხვა სომხურ ხელნაწერშია საცავ ფურცლებად გამოყენებული. ეს ხელნაწერებია: 223, 719, 891, 1024, 1319, 1320, 1554, 1694, 3001, 6653, 7125. კიდევ 12 ფურცელია³ ფრაგმენტების კოლექციაში ნომრებით: 8 (9 ფფ.), 14 (1 ფ.), 32 (2 ფფ.).

ყველა ზემოდასახელებული ფრაგმენტი ერთი ხელითაა შესრულებული და პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნით თარიღდება. მათი რაოდენობა ჯამში 48-ს შეადგენს. სშირად ფრაგმენტები თავდაპირველი ხელნაწერის ერთი ფურცლის ნაწილებია და შესაბამისად, ეს 48 ფრაგმენტი ორიგინალური კოდექსის სათვალავით მხოლოდ 28, მეტწილად, არასრული ფურცელია.

ჩვენი წერილის მიზანი ამ 48 ფრაგმენტის მიხედვით XIII საუკუნით დათარიღებული ბიბლიის კოდექსის რეკონსტრუირება და იმის დადგენაა, თუ რა ტიპის (შედგენილობის) კრებული იყო ის და როგორ განისაზღვრება მისი ადგილი ქართული ბიბლიის ხელნაწერ ტრადიციაში.

² მატენადარანისა და ერმიაძინის ხელნაწერთსაცავებში ბიბლიის ხელნაწერების შესწავლა დაიწყო ნიკო მარმა, (Марр, Эчмиадзинский фрагмент, с. 378–388). მატენადარანის ფრაგმენტთა კოლექციაზე ილია აბულაძეც მუშაობდა და რამდენიმე ფრაგმენტიდან გადაწერილი ტექსტის მოძიება მის არქივშია შესაძლებელი (იხ. ილია აბულაძის არქივი: №№ 354, 355, 357). სწორედ ამ საარქივო მასალაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა უჩა ცინდელიანმა სტატიები: ცინდელიანი, ქართული ბიბლიის ერმიაძინის ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის, გვ. 74-78; მისივე, მეფეთა წიგნების ქართული ფრაგმენტები, გვ. 38-50. მატენადარანში დაცულ ქართულ კოლექციაზე უმუშავია მზექალა შანიძესაც, შანიძე, ძველი აღთქმის წიგნთა ქართული ფრაგმენტები; ერევანში დაცული ქართული ხელნაწერებისა და ხელნაწერთა ფრაგმენტების კატალოგის შექმნასა და აღწერაზე უკვე წლებია მუშაობს ფრანგი ქართველოლოგი და არმენოლოგი, ბერნარ უტიე, რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ზემოაღნიშნული კოლექციის შესახებ: Outtier, What do Georgian Fragments, pp. 11-18; Outtier, Les feuilles de garde géorgiennes, pp. 7-22; Outtier, Un nouveau témoin géorgien de l'Ancien Testament, pp. 271-275; Outtier, Le plus ancien témoin géorgien de la Caverne, pp. 489-492; უტიე, ახალი ასომთავრული ფრაგმენტი, გვ. 147-148; Outtier, Deux fragments inédits, pp. 195-200; Outtier, Fragments onciaux (1) pp. 110-118; Fragments onciaux (2) pp. 97-98.

³ ფრაგმენტების მიკროფილმები არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტო და მიკროფილმების კოლექციაში ნომრით: micro № 13/9.

მასალა


ხელნაწერი შესრულებულია მაღალი ხარისხის თეთრი ფერის ეტრატზე, რომლის ხორცისა და ბენვის მხარე თითქმის არ განირჩევა ერთმანეთისაგან. სანერად გამოყენებულია შავი და წითელი მელანი.

ფორმატი და ტექსტის ორგანიზება (*mise-en-page*)

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ეს არის საკმაოდ დიდი ფორმატის ხელნაწერი; ზომები: ფურცლის – 315×258;⁴ ტექსტის – 245×170; ზედა აშის – 25, ქვედა აშის – 45, შიდა აშის – 15, გარე აშის – 45; სვეტების ზომა: შიდა სვეტი – 80, გარე სვეტი: 75, სვეტებს შორის მანძილი – 17.

სტრიქონების რაოდენობა ყველა გვერდზე, რომელთა სიგრძეც სრულად არის შემორჩენილი, არის 31. სტრიქონებს შორის მანძილი: 8. საზედაო ასოებისთვის გათვალისწინებულია ლინირებით გამოყოფილი დამატებითი სივრცე, რომლის სიგანე არის 13. გარდა ამისა, გარე აშიაზე ჩამოსმულია დამატებითი ვერტიკალური ხაზი, რომელიც საზედაო ასოს ხაზს დაშორებულია 25-ით.

ლინირების სქემის აღდგენა შესაძლებელია დაახლოებით 95%-ის სიზუსტით. არაა გამორიცხული, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ზედა და/ან ქვედა აშიაზეც ყოფილიყო დამატებითი ხაზ(ებ)ი, რომლებიც ხელნაწერის საცავ ფურცლებად გამოყენებისას აშიებთან ერთადაა მოჭრილი.



სოტელისა და ლეროს სისტემით ამ სქემის კოდია: P4 30C2.⁵

⁴ ზომები ყველგან წარმოდგენილია mm-ში.

⁵ Sautel – Leroy, Répertoire. მითითებულ საძიებელში ლინირების ზუსტად ეს სქემა არ არის, მაგრამ არის P4 30C1. C ისეთ სანერ ბადეს აღნიშნავს, როცა ხაზები ტექსტის ძირითადი ხაზიდან უწყვეტადაა გასმული მეორე ფურცლის ტექსტის ძირითადი ხაზის კიდემდე, არ კვეთს მხოლოდ საზედაო ასოებისათვის დატოვებულ არეს და გარე აშიებს. C-ს შემდეგ მითითებული ციფრი კი აღნიშნავს სვეტების რაოდენობას – მატენადარანის კოდექსი ორ სვეტადაა ნაწერი და, შესაბამისად, C-ს მომდევნო ციფრი უნდა იყოს 2.

პალეოგრაფიული თავისებურებები

ტექსტი დაწერილია ნუსხურით, კალიგრაფიული ხელით. ასოები კუთხოვანია, ოდნავ მარჯვნივ გადახრილი. სათაურები (რაც შემორჩენილია), ნაწერი ამავე ნუსხურით, ოღონდ წითელი მელნით. საზედაო ასოები დაწერილია კიდურნერტილოვანი მთავრულით.

ნუმერაცია

ამჟამად ხელნაწერის გვერდები, როგორც სომხურ ხელნაწერთა ყდებში ჩაკინძული საცავი ფურცლები, რომლებიც ძირითადი ხელნაწერის ნაწილი არაა და არც მის სათვალავში შედის, დანომრილია პატარა სომხური ასოებით: **ა, ბ, გ, დ** და **ა. შ.** თავდაპირველ ხელნაწერს უნდა ჰქონოდა რვეულბრივი სათვალავი შესრულებული ქართული ასომთავრულით. რვეულის ნომერი მითითებული უნდა ყოფილიყო, ტრადიციისამებრ, რვეულის პირველ და ბოლო გვერდებზე. რვეულის დასაწყისში ნომერი ეწერა ზედა აშის ცენტრში, ხოლო დასასრულს – ქვედა აშის ცენტრში. ამას გვაგვარაუდებინებს შემორჩენილ ფრაგმენტთა შორის არსებული ორი გვერდი MM-6653-p1 და MM-1319-kazm-c. MM-6653-p1-ის ქვედა აშის ცენტრში წერია ასომთავრული თ, მამასადამე, ესაა მე-9 რვეულის ბოლო გვერდი, ხოლო MM-1319-kazm-c-ის ზედა აშის ცენტრში წერია იე, შესაბამისად, თავდაპირველ ხელნაწერში ეს უკანასკნელი მე-15 რვეულის პირველი გვერდი იქნებოდა.

დეკორი

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, ხელნაწერის ერთადერთ შემკულობას წითელი მელნით ნაწერი სათაურები და საზედაო ასოები წარმოადგენს.

ძველი აღთქმის ამ კოდექსში საზედაო ასოებად ძირითადად გატანილია ასომთავრულის მრგვალი გრაფემები მათში შენიაღვრული მომდევნო უკვე ნუსხურით ნაწერი ასოებით. განსაკუთრებით თვალშისაცემია *დონის* სიმრავლე, რომელთა რაოდენობაც ერთ გვერდზე შეიძლება 6-იც კი იყოს. ეს, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ ბიბლიის ტექსტებში მუხლი ყველაზე ხშირად სწორედ და კავშირით იწყება, მაგრამ თუ შევადარებთ დაახლოებით იმავე მონაკვეთების შემცველ სხვა კოდექსებს, განსხვავება ცალსახად გამოჩნდება. ამკარაა, რომ საზედაო *დონის* ასეთი ხშირი გამოყენება ერთი გვერდის ფარგლებში დეკორაციის ფუნქციის მქონეა.

საზედაო ასოები, მაგრამ გაცილებით მცირე ზომის, ისე, რომ ხანდახან ძნელი სათქმელიც კი არის, საზედაო ასოა ეს თუ არა, გამოყენებულია ტექსტის შიგნითაც, სამწერტილის შემდეგ, ასეთი სულ 5-მდე შემთხვევა თუ იქნება; მათგან კვლავ ჭარბობს საზედაო *დონის* რაოდენობა.

რამდენიმე გვერდზე შემონახულია ნაივური მინახატები, თუმცა მათი განხილვა ხელნაწერის დეკორის ნაწილად შეუძლებელია.

მინაწერები

ფრაგმენტებს მრავლად აქვს გვიანდელი სომხური მინაწერები.

ფრაგმენტების აღწერილობა, რაობა

ვინაიდან ძველი აღთქმის შემცველი ქართული ხელნაწერის ფურცლები სომხური ხელნაწერების საცავ ფურცლებადაა გამოყენებული, ისინი დაჭრილია სომხური ხელნაწერების ფორმატის შესაბამისად. თითქმის სრული გვერდები შემორჩენილია მხოლოდ *Arm.* 1319-სა და *Arm.* 1320-ში.⁶

1. *Fr.* 32-1 – ფურცლის $\frac{1}{2}$ (ზედა ნახევარი). *r* – II მეფეთა 3:13-17; 3:19-22; *v* – II მეფეთა 3:25-28; 3:30-33.
2. *Fr.* 32-2 – ფურცლის $\frac{1}{2}$ (ქვედა ნახევარი). *r* – II მეფეთა 10:13-16; 10:18 – 11:1; *v* – II მეფეთა 11:3-6; 11:10-11.
3. *Fr.* 8-5 – ფურცლის $\frac{1}{4}$ (ზედა ნახევრის გარე კუთხე). *r* – II მეფეთა 23:10-13; *v* – II მეფეთა 23:16-18.
4. *Arm.* 6653 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 2 ფურცელი. ორივე ფურცელს ჩამოჭრილი აქვს მხოლოდ შიდა აშია; III მეფეთა 2:32-44 და IV მეფეთა 10:2-25.
5. *Arm.* 1319 – 1 სრული ფორმატის ფურცელი, ჩამოჭრილი აქვს მხოლოდ გარე აშია, ტექსტი სრულადაა შენარჩუნებული, მაგრამ ყდაზეა დაწებებული და იკითხება მხოლოდ ერთი გვერდი; IV მეფეთა 9:17-27.
6. *Arm.* 891 – 2 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი, რომელიც გაჭრილია შუაზე, ჩამოჭრილი აქვს ოთხივე აშია და, სავარაუდოდ, პირველი სტრიქონი; IV მეფეთა 14:17-29; 15:1-16.
7. *Arm.* 223 – 2 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი, რომელიც საცავ ფურცლად გამოყენებისას გაკეცილია ორად, მთელ სიგრძეზე აქვს ჩამოჭრილი შიდა აშია და შიდა სვეტის ნაწილი (დაახლოებით $\frac{1}{3}$); I ნეშტთა 9:5-37.
8. *Arm.* 719 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 2 ფურცელი. შემორჩენილია პირველი ფურცლის ზედა გარე კუთხე, რომელიც იტევს მხოლოდ პირველ სვეტს და ტექსტის 16-17 სტრიქონს; მეორე ფურცლის შემორჩენილი ნაწილი კი წარმოადგენს თავდაპირველი ფურცლის ზედა გარე კუთხეს, ტექსტის 18-19 სტრიქონით. უფრო ღრმად მოჭრილი გარე აშიის ხარჯზე მთლიანადაა შენარჩუნებული გარე სვეტი და შიდა სვეტის $\frac{1}{3}$; I ნეშტთა

⁶ *Arm.* 1319-ში შემორჩენილია მხოლოდ ერთი, ყდაზე დაკრული ფურცელი და, შესაბამისად, მისი მხოლოდ ერთი გვერდი ჩანს, ხოლო *Arm.* 1320-ში ჩაკინძულია ოთხი ფურცელი.

- 11:13-22; 18:17; 19:1-19; 20:1.
9. Fr. 8-1 – ფურცლის $\frac{1}{2}$ (ქვედა ნახევარი). r – I ნეშტთა 24:3-6; 24:12-20; v – I ნეშტთა 24:27 – 25:1; 25:3-7.
 10. Fr. 8-2 – ფურცლის $\frac{1}{2}$ (ქვედა ნახევარი). r – I ნეშტთა 25:14-21; 25:30 – 26:5; v – I ნეშტთა 26:9-13; 26:17-21.
 11. Fr. 8-4 – ფურცლის $\frac{1}{4}$ (ზედა ნახევრის გარე კუთხე), არის 8-2-ის ნაწილი. r – I ნეშტთა 25:8-11; 25:22-29; v – I ნეშტთა 26:5-9; 26:14-17.
 12. Fr. 8-3 – ფურცლის $\frac{1}{4}$ (შიდა სვეტის შუა ნაწილის რამდენიმე სტრიქონი). r – II ნეშტთა 5:6-9; v – II ნეშტთა 6:3-4; 6:8-12.
 13. Fr. 8-6 – სრული ფურცელი, ჩამოჭრილი აქვს ზედა და გარე აშია. II ნეშტთა 18:17 – 19:9.
 14. Fr. 8-7 – სრული ფურცელი, ჩამოჭრილი აქვს ზედა და გარე აშია. II ნეშტთა 19:10 – 20:20.
 15. Fr. 8-8 – სრული ფურცელი, ჩამოჭრილი აქვს ზედა და გარე აშია. II ნეშტთა 22:7 – 23:13.
 16. Fr. 8-9 – სრული ფურცელი, ჩამოჭრილი აქვს ზედა და გარე აშია. II ნეშტთა 23:13 – 24:12.
 17. Arm. 3001 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 2 ფურცელი. ორივე ფურცელი გაკეცილია ორად. სრულად აქვს ჩამოჭრილი შიდა აშია და ნაწილობრივ – გარე. შესაბამისად, ტექსტი თითქმის სრულადაა შემორჩენილი; II ნეშტთა 28:12-26; 29:1-31.
 18. Arm. 1024 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი, რომელიც გაჭრილია ორად და თითოეული ნახევარი კვლავ ორადაა გაკეცილი. გარე სვეტი ნაკეცშია მოყოლილი, რის გამოც ტექსტი ნაწილობრივ იკითხება; II ნეშტთა 34:18-33; 35:1-4.
 19. Arm. 1694 – 3 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი. შემონახულია ერთი და იმავე ფურცლიდან სხვადასხვაგვარად ჩამოჭრილი ორი ფრაგმენტი. ორივე მათგანი სრულად ინახავს გარე სვეტს. ფურცლის ზედა ნაწილისთვის გარე აშიის უფრო მოზრდილი ნაწილია მიყოლებული, ამიტომ შიდა სვეტის ტექსტი თითქმის საერთოდ არ იკითხება, ქვედა ნაწილს კი გარე აშია სრულად აქვს მოჭრილი და, შესაბამისად, შიდა სვეტის რამდენიმე ასოც შენარჩუნებულია; II ნეშტთა 36:12-23, ესთერი A:1; A:4-8.
 20. Fr. 14-1 – 1 ფ., თავდაპირველი ფურცლის $\frac{1}{4}$. წარმოადგენს არასრული სვეტის სიგანის 12 სტრიქონის შემცველ ფრაგმენტს. იმის გარკვევაზე შეუძლებელია, გარე სვეტის ნაწილია თუ შიდასი; r – ესთერი B:7(14); v – ესთერი 3:17-4:1.
 21. Arm. 7125 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი. ფურცლის ზედა ნახევარი (შეიცავს ტექსტის 17 სტრიქონს) გაჭრილია სიგრძეზე

და შემდეგ გაკეცილია ორად. ტექსტი სიგანეზე სრულადაა შემორჩენილი, მხოლოდ გაკეცვის ადგილას არ იკითხება რამდენიმე ასო; *ესთერი* 10:31, *ტობი* 1:2-17.

22. *Arm.* 1554 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 1 ფურცელი. ფურცლის ზედა ნაწილი გაჭრილია სიგანეზე და შემდეგ გაკეცილია ორად. ჩამოჭრილია შიდა აშია და შიდა სვეტის 1/3; *ივდითი* 7:27-32; 8:1-16.

23. *Arm.* 1320 – 4 ფფ., თავდაპირველი ხელნაწერის 4 სრულად შემონახული ფურცელი; *ნეემია* 8:4-18; 9:1-37; 10:1-40; 11:1-4.

ამგვარად, ფრაგმენტებში წარმოდგენილია ძველი ალექსის შემდეგი წიგნები: II *მეფეთა* (3:13-17; 3:19-22; 3:25-28; 3:30-33; 10:13-16; 10:18 – 11:1; 11:3-6; 11:10-11; 23:10-13; 23:16-18); III *მეფეთა* (2:32-44); IV *მეფეთა* (9:17-27; 10:2-25; 14:17-29; 15:1-16); I *ნეშტა* (9:5-37; 11:13-22; 18:17; 19:1-19; 20:1; 24:3-6; 24:12-20; 24:27 – 25:1; 25:3-7; 25:14-21; 25:30 – 26:5; 26:9-13; 26:17-21; 25:8-11; 25:22-29; 26:5-9; 26:14-17); II *ნეშტა* (5:6-9; 6:3-4; 6:8-12; 18:17 – 20:20; 22:7 – 24:12; 28:12-26; 29:1-31; 34:18-33; 35:1-4; 36:12-23); *ესთერი* (A:1; A-4-8; B:7(14); 3:17-4:1; 10:31); *ტობი* (1:2-17); *ივდითი* (7:27-32; 8:1-16); *ნეემია* (8:4-18; 9:1-37; 10:1-40; 11:1-4).

ტექსტუალური ტიპი

ბიბლიის ე.წ. ისტორიულ წიგნთა ქართული თარგმანები, ძველი, მხოლოდ წინარეგელათური ვერსიებითაა შემორჩენილი, რომლებიც შემდეგ ხელნაწერებშია წარმოდგენილი: პანდექტებში: ოშკის ბიბლია (*Ivir. Geo.* 1; 978 წ.), საბას ბიბლია (A-51; XVII-XVIII სს.), ბაქარის ბიბლია (1743 წ.) და კიდევ სამ კრებულში: A-646-ში (XV-XVI სს.), A-570-სა (1460 წ.) და H-885-ში (XVII ს.).⁷ ამათგან, A-646 და A-570 მხოლოდ ისტორიულ წიგნებს შეიცავენ, ხოლო H-885-ში, ისტორიულ წიგნებთან ერთად, რვანიგნეულიცაა გაერთიანებული. მატენადარანის კოდექსის ტექსტი ყველაზე ხშირად A-646-ის ვარიანტებს იზიარებს.

კოდექსის შედგენილობა

როგორი იყო ე.წ. მატენადარანის კოდექსის შედგენილობა? რომელ წიგნებს მოიცავდა და რა თანამიმდევრობით იყო ეს წიგნები წარმოდგენილი? III და IV *მეფეთა* რომ კოდექსის დასაწყისში და ერთმანეთის მომდევნოდ უნდა ყოფილიყო, ამას შემორჩენილი რვეულებრივი სათვალავიც მოწმობს და გვერდიც, რომელიც III *მეფეთას* დასასრულს და IV *მეფეთას* დასაწყისს შეიცავს. ერთ ფურცელზეა I, II *ნეშტას* დასასრული და *ესთერის* დასაწყისი. ასევე,

⁷ ძველი ალექსის ქართული თარგმანის გელათური ტიპი მხოლოდ რვანიგნეულსა და წინასწარმეტყველთა წიგნებშია შემორჩენილი და წარმოდგენილია ორ XII-XIII საუკუნეების კატენურ ხელნაწერში: A-1108 და Q-1152. მაშასადამე, ტექსტისა თუ ხელნაწერი ტრადიციის თვალსაზრისით, ეს ორი კოდექსი სრულიად განსხვავებულ ტრადიციას ასახავს.

ესთერის დასასრული და ტობის დასაწყისი. მაშასადამე, უეჭველია შემდეგი მიმდევრობა:

III მეფეთა – IV მეფეთა – I ნემტთა – II ნემტთა – ესთერი – ტობი.

ყველა ეს წიგნი ზემოთ დასახელებულ ყველა ხელნაწერშია (ოშკი, საბა, ბაქარი, A-646, A-570, H-885), მაგრამ ამ თანამიმდევრობით – I ნემტთა-II ნემტთა-ესთერი-ტობი – მხოლოდ A-646-ში, A-570-სა და H-885-ში:

	A-646	A-570	H-885
პირველი მეფეთა	1r-63v	lac	>
მეორე მეფეთა	63v-119v	lac	>
მესამე მეფეთა	119v-186r	1r-12r	>
მეოთხე მეფეთა	186r-252r	12v-33v	>
პირველი ნემტთა	253v-305r	34r-56r	3r-12r
მეორე ნემტთა	307r-376r	57v-84r	13r-30v
ესთერი	376r-404v	84v-95v	31r-39v
ტობისი	404v-426v	95v-103r	39v-47r
ივდიითი	426v-460v	103r-115v	47r-57v
მეორე ეზრა	460v-496v	115r-129r	57v-69r
პირველი ეზრა	496v-517r	129r-137r	69r-75v
ნეემია	517r-532v	137r-146v	75v-82v

ამ სამი ხელნაწერიდან მეფეთა წიგნები მხოლოდ ორში: A-646-სა და A-570-შია წარმოდგენილი. A-570 თავნაკულია და III მეფეთას ტექსტიც მე-13 თავიდან იწყება, რაც გვაფარაუდებინებს, რომ ხელნაწერი მეფეთა I და II წიგნებსაც შეიცავდა. ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ მატენადარანის კოდექსი შედგენილობითა და ტექსტთა თანამიმდევრობით ისეთივე ხელნაწერი უნდა ყოფილიყო, როგორებიცაა A-646 და A-570.

ოშკის, საბასა და ბაქარის ბიბლიებში წიგნების თანამიმდევრობა ერთმანეთისაგანაც განსხვავდება და ზემოთ დასახელებული ე.წ. ისტორიული წიგნების შემცველი კრებულებისგანაც.

ოშკის ბიბლიაში ჯერ ეზრასა და ნეემიას წიგნებია წარმოდგენილი, რომელთაც მოჰყვება ესთერი – ივდიითი – ტობი. ამ წიგნებით სრულდება პირველი ტომი, მეფეთა წიგნები მეორე ტომის დასაწყისშია მოთავსებული, ნემტთა წიგნები კი აკლია:

მეორე ეზრა	ტ. I; 428r-455r
პირველი ეზრა	ტ. I; 455r-460v
ნეემია	ტ. I; 460v-478v
მესამე ეზრა	ტ. I; 478v-495r
ესთერი	ტ. I; 495v-509v
ივდიითი	ტ. I; 509v-528v
ტობისი	ტ. I; 529r-531v
პირველი მეფეთა	ტ. II; 1r-57v
მეორე მეფეთა	ტ. II; 57v-114r
მესამე მეფეთა	ტ. II; 117v-165v
მეოთხე მეფეთა	ტ. II; 165v-213v
პირველი ნეშტთა	>
მეორე ნეშტთა	>

საბასა და ბაქარის ბიბლიებში *მეფეთა* და *ნეშტთა* წიგნებს მოჰყვება *ეზრასა* და *ნეემიას* წიგნები და შემდეგ *ტობი* – *ივდიითი* – *ესთერის* სამეული.

	საბა (A-51)	ბაქარი
I-IV მეფეთა	151r-209v	205-302
I-II ნეშტთა	210v-276v	304-351
პირველი ეზრა	277r-288v	351-356
ნეემია	288v-296v	356-369
მეორე ეზრა	296v-304r	369-381
მესამე ეზრა	>	382-401
ტობისი	304v-309r	402-410
ივდიითი	309v-317v	410-420
ესთერი	318r-325r	420-428

როგორც ვხედავთ, მატენადარანის ფრაგმენტულ კოდექსში წიგნთა თანამიმდევრობა კრებულების – A-646-ის, A-570-ისა და H-885-ის – იდენტურია და განსხვავდება ოშკის, საბასა და ბაქარის ბიბლიებისაგან.

არქეოგრაფიული მონაცემები

მატენადარანის ძველი ალთქმის ტექსტთა შემცველი ფრაგმენტების გადართვისა თუ დაცულობის ადგილის შესახებ არაფერია ცნობილი. ვეცადეთ ამ კოდექსის დაცულობის ადგილის გარკვევას იმ სომხურ ხელნაწერთა წარმომავლობის საფუძველზე, რომელთა საცავ ფურცლებსაც ეს ფრაგმენტები წარმოადგენენ. ცხადია, ქართული ხელნაწერი იმავე ბიბლიოთეკაში და/ან რეგიონში ინახებოდა, სადაც სომხური ხელნაწერები აკინძეს და მათთვის გამოუსადეგარ ქართულ კოდექსს პრაქტიკული დანიშნულება – ყდის გამაგრება – მოუძებნეს. თუმცა, ამ მხრივ, რაიმე ხელმოსაჭიდსა და მნიშვნელოვან ინფორმაციას სომხურ ხელნაწერებში ვერ მივაგენით. დიდი ალბათობით, ეს მნიშვნელოვანი კოდექსი დაშალეს დაახლოებით XVI საუკუნეში, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდისაა სომხური ხელნაწერების ყდები, რომელთა დამცავ ფურცლებად არის გამოყენებული ქართული ხელნაწერების ფურცლები. თუ რომელ სამნიგნობრო კერაში მოხდა სომხური ხელნაწერების ყდაში ჩასმა, აღწერილობებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

მატენადარანის კოდექსის მნიშვნელობა

მატენადარანში დაცული ძველი ალთქმის ტექსტების შემცველი ფრაგმენტები მოწმობს, რომ კოდექსი ბიბლიის ე.წ. ისტორიული წიგნების შემცველ კრებულს წარმოადგენდა, იმავე ტიპისას, როგორებიცაა XV-XVI საუკუნით დათარიღებული A-646 და A-570.

ქართული ბიბლიის ძველი ალთქმის წიგნები ძალიან მცირერიცხოვანი ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული. მათგან ყველაზე ადრეული სრული კრებულია 978 წლით დათარიღებული ოშკის (ათონის) ბიბლია, ხოლო დანარჩენი გვიანდელია და XV-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. რაც შეეხება მატენადარანის ბიბლიის ხელნაწერს, ის XIII საუკუნისაა, ანუ იმ პერიოდს განეკუთვნება, რომლიდანაც ოშკური ტიპის ტექსტთა შემცველი წყაროები თითქმის არაა შემორჩენილი. ეტრატის ხარისხი, ხელნაწერის ფორმატი, ნაწერი გვერდის დახვეწილი ორგანიზება, კალიგრაფიული ხელწერა და შეცდომათა სიმცირე ხელნაწერს ქართული ბიბლიის კვლევის უმნიშვნელოვანეს წყაროდ აქცევს, რომლის გამოყენებაც ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის შესწავლისას, მით უმეტეს, წყაროთა ასეთი სიმცირის პირობებში, აუცილებელია.

დამონეპუღი ლიტერატურა

- უტიე**, ახალი ასომთავრული ფრეგმენტი = ბ. უტიე, ახალი ასომთავრული ფრეგმენტი მარკოზის სახარებისა, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 31, თბილისი, 2004.
- შანიძე**, ძველი ალექმის წიგნთა ქართული ფრეგმენტები = მ. შანიძე, ძველი ალექმის წიგნთა ქართული ფრეგმენტები მატენადარანიდან, *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია*, (თეზისები), 1978.
- ცინდელიანი**, ქართული ბიბლიის ეჩმიადინის ფრეგმენტის იდენტიფიკაციისათვის = უ. ცინდელიანი, ქართული ბიბლიის ეჩმიადინის ფრეგმენტის იდენტიფიკაციისათვის, *მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია*, 2 (1976).
- ცინდელიანი**, მეფეთა წიგნების ქართული ფრეგმენტები სომხეთის წიგნსაცავებიდან = უ. ცინდელიანი მეფეთა წიგნების ქართული ფრეგმენტები სომხეთის წიგნსაცავებიდან, *მრავალთავი (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი)*, 15 (1989).
- Март**, Эчмиадзинский фрагмент = Н. Я. Март, Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета, Христианский восток, II, Вып. III, СПб., 1914.
- Outtier**, Fragments onciaux (1) = B. Outtier, Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, *Bedi Kartlisa*, 33 (1975).
- Outtier**, Fragments onciaux (2) = B. Outtier, Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, *Bedi Kartlisa*, 34 (1976).
- Outtier**, Deux fragments inédits = B. Outtier, Deux fragments inédits de la première traduction géorgienne des Évangiles, C. -B. Amphoux, J. K. Elliott (eds.), *The New Testament Text in Early Christianity (Histoire du texte biblique*, 6), Lausanne, 2003.
- Outtier**, Un nouveau témoin géorgien de l’Ancien Testament = B. Outtier, Un nouveau témoin géorgien de l’Ancien Testament avec des notes marginales hexaplaïres (4 Rois), A. Frey – R. Gounelle (eds.), *Poussières de christianisme et de judaïsme antiques, Études réunies en l’honneur de Jean-Daniel Kaestli et Éric Junod (Publications de l’Institut romand des sciences bibliques*, 5), Lausanne 2007.
- Outtier**, Les feuilles de garde géorgiennes = B. Outtier, Les feuilles de garde géorgiennes des manuscrits arméniens de Nor-Djoulfa (Ispahan), *Pro Georgia, Journal of Kartvelological Studies*, 23 (2013).
- Outtier**, Le plus ancien témoin géorgien de la Caverne = B. Outtier, Le plus ancien témoin géorgien de la Caverne des trésors, A. Mardirossian, A. Ouzounian, C. Zuckerman (eds.), *Mélanges Jean-Pierre Mahé (Travaux et memoires*, 18), Paris 2014.
- Outtier**, What do Georgian Fragments = B. Outtier, What do Georgian Fragments from the Time of Rustaveli Teach Us? *Pro Georgia, Journal of Kartvelological Studies*, 25 (2015).
- Sautel – Leroy**, Répertoire = Répertoire de réglures dans les manuscrits grecs sur parchemin. Base de données établie par J.-H. Sautel à l’aide du fichier Leroy et des catalogues récents, *Bibliologia*, 13, Brepols, Turnhout, 1995.

**WHENCE AND WHITHER EARNEST THOU: THE 13TH CENTURY BIBLICAL
CODEX FROM THE COLLECTION OF GEORGIAN FRAGMENTS OF
MATENADARAN**

Abstract

In the manuscript collection of Matenadaran (Mesrop Mashtots Institute of Ancient Manuscripts, Erevan) are preserved the fragments of the Georgian manuscripts, leaves of which were or still are used as fly-leaves for the Armenian manuscripts. The present article deals with study of the Georgian fragments some of which are preserved as fly-leaves in Armenian manuscripts – *Arm.*: 223, 719, 891, 1024, 1319, 1320, 1554, 1694, 3001, 6653, 7125, while others are included in the collection of Georgian fragments: №№ 8, 14-1, 32.

The study of these fragments revealed that they are from one and the same Georgian codex (13th c.) and contain the parts of the following books of the Old Testament: II *Samuel*, I-II *Kings*, I-II *Chronicles*, *Esther*, *Tobit*, *Judith* and *Ezra-Nehemiah*. Study of the structure of the reconstructed 13th century codex and preliminary textual research of its texts reveal that this codex is close to the manuscript A-646 (the 16th c.) preserved at the National Centre of Manuscript.

The article is a result of collaboration of Iv. Javakhishvili Tbilisi State University and Matenadaran, Mesrop Mashtots Institute of Ancient Manuscripts (Yerevan). Our special thanks go to Gevorg Ter-Vardanyan – Head of the Department of Manuscript Studies of Matenadaran, who kindly supported our work on Georgian material.

Natia Mirotadze

*Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi*

მაგდა მჭედლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოანე პეტრინის „განმარტავის“ უნიტარულობის პრობლემა: პირველი თავის აბაჯულებისა და საზღვრისათვის

როგორი ფორმა უნდა ჰქონოდა თავდაპირველად პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ იოანე პეტრინის (XII ს.) თარგმანსა და თანდართულ კომენტარებს, ე.წ. „განმარტებას“? პროკლეს ტექსტს უშუალოდ მოსდევდა კომენტარი, ანუ ტექსტი და განმარტება თავიდანვე გაბმით იყო ჩანერილი, როგორც ეს დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერებშია, თუ კომენტარები გვერდზე ძირითადი ტექსტის გარშემო იყო განლაგებული? ან, იქნებ, „თეოლოგიის ელემენტები“ და მისი განმარტება ცალ-ცალკე ნაშრომებს წარმოადგენდა (როგორც შალვა ნუცუბიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცეს)? პროკლეს ნაშრომის კომენტირებულ ქართულ თარგმანს ხელნაწერთა ნაწილში¹ შემდეგი მინაწერი აქვთ:

„შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი, კიმენ-სქოლიოდ აღნაწერი, ამისთვის თანაწართვით დავწერეთ, რაათა მწერალთა და მკითხუელთა გაუადვილდეს და ვითა დედასა ეწერა, ეგრე შეცვალებულად² დაგვწერია აქაცა; და რომელი პროკლესია, პარი დაგვსვამს თავსა შავი წითლითა შემოცული, და რომელი იოანესია – ინი, რაათა ორთავე ფილოსოფოსთა სიტყუაჲ თვს-თვს იცნობებოდეს“.³

პირველი, რასაც ამ მინაწერიდან ვიგებთ, არის ის, რომ ამ ხელნაწერის დედანიც „თანაწართვით“, ანუ თხზულების ტექსტისა და მისი კომენტარის

¹ ესენია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორი ხელნაწერი: A-69 (XVI–XVII სს.) და H-1337 (XIII ს.). მინაწერის ტექსტი H-1337-ში თითქმის არ იკითხება, გამომცემლები მას A-69 ხელნაწერის მიხედვით აღადგენენ, მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 59. ხელნაწერთა სრული ჩამონათვალი და აღწერილობა იხ.: ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. LXVIII–LXXVI; მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 81.

² ამ დაქარაგმებულ სიტყვას A-69-ში „შეცვალებულად“ კითხულობს სიმონ ყაუხჩიშვილი, ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. LXIX-LXX, ნათია მიროტაძე კი – „შეცვულებად“, მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 60.

³ ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. LXIX-LXX; მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 37.

მონაცვლეობით ყოფილა დაწერილი. მინანერის ავტორსაც⁴ ტექსტების ამგვარი განლაგებისათვის მიუნიჭებია უპირატესობა, ვინაიდან ეს, მისი აზრით, გადამწერებსაც და მკითხველებსაც უადვილებს საქმეს. ამასთან, დედანს მიჰყვება იგი ავტორთა ინიციალების გაფორმებაშიც.⁵ გამომდინარე იქიდან, რომ პროკლესა და პეტრინის ს ი ტ ყ ვ ე ბ ი მას ერთნაირად გაუფორმებია და ორივეს ერთნაირად იხსენიებს ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ა დ, შეიძლება ვთქვათ, რომ მისთვის პეტრინის ავტორიტეტი პროკლესას არ ჩამოუვარდება. გასარკვევი გვაქვს ერთადერთი რამ: რა იგულისხმება „კიმენ-სქოლიოდ აღნანერ ნიგნში“, რომელიც აქ „თანაჩართვით“ დაწერილს უპირისპირდება: ტექსტების განლაგება თუ ნაშრომის ხასიათი? ან, იქნებ, ორივე ერთად?

სქოლიონი (σχόλιον), იგივე *სქოლიო*,⁶ რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მარგინალური შენიშვნის აღმნიშვნელი ტერმინია⁷, თავდაპირველად ნებისმიერ შენიშვნას ეწოდებოდა, მისი ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად. როგორც თავად სიტყვის ეტიმოლოგია (σχολή) გვიჩვენებს, ეს კომენტარები სასწავლო-ინფორმაციული ხასიათისა იყო და სწავლულთა საქმიანობას უკავშირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ალექსანდრიელი ფილოლოგის სახელია ცნობილი, რომელთაც კომენტარების ხელოვნება უმაღლეს დონეზე აიყვანეს, ბიზანტიური პერიოდის ანთოლოგიებით შემორჩენილი კონკრეტული სქოლიონების ავტორები ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, უცნობია. ანტიკური პერიოდის კომენტარები, როგორც მიჩნეულია, განსამარტავ თხზულებას ცალკე ნიგნად ერთვოდა და *σπόμυμα*-დ იწოდებოდა (მაგალითად, ამონიოს ერმისის კომენტარი პორფიროსზე, რომელიც ქართულად თარგმნილია, როგორც „მოსაჰსენებელი“⁸). ამგვარი ნიგნებისათვის შემუშავებული იყო ტექსტის შესაბამისი ადგილების, ანუ ლემების მითითების დახვეწილი სისტემა; გარკვეული მოკლე შენიშვნები კი შეიძლებოდა იქვე, ტექსტთანაც ყოფილიყო მიწერილი. ამ ტიპის კომენტარების განვითარებად წარმოგვიდგება სპეციალური ჟანრი ფილოსოფიურ-თეოლოგიური განმარტებისა, ასევე *σπόμυμα*-დ ნო-

⁴ ცალკე საკითხია, არის თუ არა გადამწერი და რედაქტორი ერთი და იგივე პირი, თუ გადამწერი რედაქტორის მითითებებს ასრულებს. მთარგმნელები, როგორც ირკვევა, ან თავადვე გადამწერდნენ ხოლმე თავიანთ ტექსტს, ან სხვისი გადამწერილის რედაქტირებას ახდენდნენ (იხ. ოთხმეზური, *მაქსიმე*, გვ. 32).

⁵ H-1337-ში შავი მელნით ნანერ ინიციალს გარშემო წითელი ხაზები აქვს. ფოტო იხ. ნაშრომში: მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 53. როგორც ჩანს, ინიციალების ეს „დიზაინი“ დაცულია ამ ტექსტის შემცველ სხვა ხელნაწერებშიც (შდრ. ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი*, გვ. LXX, შენ.).

⁶ *სქოლიონის* – ამ ტერმინის და შინაარსის, ასევე კომენტარების ფორმების შესახებ მსჯელობისას, მნიშვნელოვანწილად ვყვარდნობით შემდეგ ნაშრომს: Dickey, *Ancient Greek Scholarship*, გვ. 11–16.

⁷ ხელნაწერი ნიგნებისათვის *სქოლიო* სპეციალურად იმ კომენტარებს გულისხმობს, რომლებიც გვერდების ამიებზე იწერებოდა, თუმცა ზოგჯერ სტრიქონებშია მინანერებსაც ამ ტერმინით აღნიშნავენ.

⁸ კეჭალაძე – რაფავა, *ამონიოს ერმისი*, გვ. 032.

დებულის,⁹ რომელიც, როგორც ჩანს, არ იყო გაფორმებული როგორც დანართი განსამარტავი ტექსტის კონკრეტული ხელნაწერისა (ამდენად, იგი ლემების შედარებით ვრცლად ციტირებით ხასიათდება). სრულიად დამოუკიდებელი ნაშრომებია ადრეული ქრისტიანული საავტორო ეგზეგეტიკური თხზულებები, რომელთა შემცველი ხელნაწერები არ არის მიბმული წმინდა წერილის ერთ რომელიმე ხელნაწერს.

ბიზანტიურ ხანაში წიგნის მასალისა და გამოცემის ტექნიკის ცვლილებამ, კერძოდ, პაპირუსის გრაფიკების ეტრატის კოდექსებით შეცვლამ, როგორც მიიჩნევა, დროთა განმავლობაში განაპირობა კომენტარების ფორმის ტრანსფორმაცია. კომენტარები გადავიდა ხელნაწერის აშიებზე (მინდვრებისათვის ვრცელი ადგილის დატოვების საშუალებას იძლეოდა კოდექსის ფორმატი),¹⁰ რომელთათვისაც დამკვიდრდა ცალკე ტერმინი – *σχῆμα*. თუმცა, ამავე დროს, *σχῆμα*-ს შეუნარჩუნდა ძველი მნიშვნელობა, ზოგადად, შენიშვნისა, კომენტარისა.

სულხან-საბასთან *სხოლიო* (*v. l. სხოლიონი*) განიმარტება, როგორც „გარე-შემონერილი თარგმანი წიგნთანი“;¹¹ თავად იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ კი სიტყვა *სხოლიონი*¹² ზოგადად კომენტარს აღნიშნავს, მაგრამ აქვს ასევე სპეციალური გაგებაც ტექსტის კონკრეტული ადგილის, ფრაზისა თუ ტერმინის განმარტებისა, საპირისპიროდ *სიტყვისა*, რომელიც აღნიშნავს ტექსტთან დაკავშირებული პრობლემატიკის შედარებით ვრცლად გადმოცემასა და მასზე მსჯელობას:

„ხოლო პირველთა შორის ვრცელად გარდაიდვა, ვითარ ს ი ტ ყ უ ა დ და არა ს ხ ო ლ ი ო დ.¹³ ვინაჲ ვპოო მეძიებელმან თქმულსა შორის ერთისა და სიმრავლისათჳს“ (*განმარტება*, თ. 5).¹⁴

იქვე, მე-5 თავის ბოლოს, *სხოლიოდ* იხსენიება იგივე ვრცელი მსჯელობა პირველი თავისა: „ხოლო სხუათა აღმოსაჩინთა *სხოლიოდ* პირველთა შორის

⁹ *ἰσχυρὰ*-ს სახით არის დანერილი პროკლეს კომენტარების უმრავლესობა პლატონის დიალოგებზე. გამონაკლისია „კრატილოსზე“ პროკლეს კომენტარის ექსცერპტები, რომელიც *სქოლიად* იხსენიება.

¹⁰ ჩვენი აზრით, გარდამავალი საფეხური *ჰიპომენემას* მარგინალურ კომენტარად ტრანსფორმაციისა უნდა ყოფილიყო ანთოლოგიური, კომპილირებული კომენტარები. ფორმალური თვალსაზრისით, ამ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ კატენებიც, ანუ წმინდა წერილის ტექსტს დართული წყება სქოლიონებისა, რომლებიც სხვადასხვა განმმარტებელს ეკუთვნის და გამომცემლის მიერ არის შეკრებილი. მათი განლაგება ხელნაწერის გვერდებზე სხვადასხვაგვარია (ძირითადი ტექსტის გარშემო, გვერდით, ქვემოთ და სხვ.), ანუ ისინი არა აშიაზე, არამედ გვერდის საწერად განკუთვნილ სივრცეს იკავებენ. რაც მეტი სქოლიოა გვერდზე, მით უფრო მცირეა კიმენი.

¹¹ აბულაძე (გამოც.), *სულხან-საბა*, ტ. 2, გვ. 126.

¹² შევნიშნავთ, რომ „განმარტებაში“ ტერმინი ორი ფორმით გვხვდება: *სხოლიონი* და *სხოლიო*.

¹³ შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ციტირებულ პეტრიწის ტექსტში, აქაც და შემდგომაც, ყველა ტიპის ხაზგასმა ჩვენია.

¹⁴ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 146, 1–3.

გარდავდევით“.¹⁵ უნდა ითქვას, რომ ანალოგიური გარჩევა კომენტარისა (რომელიც აღინიშნება გამოთქმით: εἰς τὸν ...) და ლოგოს-ისა დასტურდება მიქაელ ფსელოსთანაც (მე-11 ს.).

საინტერესოა, რომ „განმარტებაში“ *სხოლიო* ციტატის გაგებითაც გვხვდება: 131-ე თავის ერთ-ერთ მონაკვეთს წინ უძღვის წითელი მელნით დაწერილი „სხოლიო იამელიხოსი“.¹⁶ ვინაიდან მსგავსი რამ ანთოლოგიურ *სქოლია-სა* და ბიბლიური კატენებისათვის არის დამახასიათებელი, ბუნებრივად გვებადება კითხვა: ამ *სქოლიონის* ადგილი ადრე აშიაზე ხომ არ იყო?

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები უთითებენ ასევე ბიზანტიურ პერიოდში საპირისპირო შემთხვევებსაც, როდესაც *სქოლია* დამოუკიდებელ ნაშრომად გარდაიქმნება.¹⁷ როგორც ჩანს, პეტრინის დროისათვის მართლაც აქვს ადგილი უკუტენდენციას – აშიათა კომენტარების ძირითად ტექსტად გაფორმებას, რისი მოტივაციაც შესანიშნავად ჩანს მინანერში: თანჩართვით დაწერილ წიგნზე მუშაობა უფრო ადვილიაო. ამავე დროს გასათვალისწინებელია ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტერესი და ლტოლვა ანტიკურობისადმი, რაც, სავსებით შესაძლებელია, არა მხოლოდ ანტიკურ ნააზრევს (ამ შემთხვევაში, პროკლეს), არამედ ამ ნააზრევის (კერძოდ, პროკლეს კომენტარული ნაშრომების) გაფორმებასაც შეხებოდა.¹⁸

ამრიგად, რა სახე შეიძლებოდა ჰქონოდა პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ ქართულ თარგმანსა და მის კომენტარებს, რომლებიც შინაარსით ეგზეგეტიკური ხასიათისაა, დანიშნულების მიხედვით კი სასკოლო სწავლებისათვის არის განკუთვნილი? რედაქტირება მხოლოდ პროკლესა და იოანეს ტექსტების მათი ინიციალებით აღნიშვნით შემოიფარგლა თუ ნაშრომის სტრუქტურასაც შეეხო? თუკი თავიდანვე „თანჩართვით“ არ იყო ნაწერი კიმენი და *სქოლიო*, რა ფორმა შეიძლებოდა ჰქონოდა „თანჩართველ“ გამოცემას: ისევ და ისევ როგორც *ჰიპომნემა* ბოლოს ერთვოდა ტექსტს, თუ კომენტარები აშიებზე ჰქონდა მიწერილი?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაკი *სქოლიონი* პეტრინთან კომენტარს აღნიშნავს (თანახმად სიტყვის ბიზანტიური გაგებისა), სრულიად

¹⁵ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 147, 7–8. შდრ. *განმარტება*, თ. 186: „...პირველთა შორის სხოლიოთა მდიდრად გარდავეციით“, მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 386, 11.

¹⁶ მელიქიშვილი (გამოც.), *პროკლე*, გვ. 337, 6.

¹⁷ Dickey, *Ancient Greek Scholarship*, გვ. 14. საინტერესოა, რომ ავტორი ლაპარაკობს, კერძოდ, ანთოლოგიის ტიპის ჰომეროსის *სქოლია-ს* დამოუკიდებელ ნაშრომად ტრანსფორმირებაზე. როგორც გელათის კატენებიანი ბიბლიის მკვლევარმა, პროფ. ანა ხარანაულმა, გვიხსრა, პეტრინის ეპოქისათვის ბიზანტიაში კატენებიან წიგნებს „თანჩართვითაც“ წერდნენ. შესაძლოა, საპირისპირო პროცესიც, ანუ *სქოლიოებიდან* დამოუკიდებელი ტიპის კომენტარისაკენ მიბრუნებაც, ისევ ამ ტიპის კრებულებთან იყოს დაკავშირებული.

¹⁸ ამავე ეპოქას განეკუთვნება საქართველოში ფილოსოფიური შინაარსის *ჰიპომნემას* ტიპის კომენტართა თარგმნა: ამონიოს ჰერმიასის „მოსაწესებელი ხუთთა წმათადმი პორფირი ფილოსოფოსისა“ და „მოსაწესებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისთა“.

შესაძლებელია, „კომენ-სქოლიოდ აღნანერში“¹⁹ გადამნერ-რედაქტორი, უბრალოდ, ნაშრომის ხასიათს გულისხმობდეს, ანუ თარგმნილ ტექსტს თანდართული კომენტარებით, და არა – მისი გამოცემის ფორმას; ხოლო ფორმაზე – „თანჩართვით“ დაწერაზე, იგი, შესაძლოა, ყურადღებას ამახვილებდეს იმდენად, რამდენადაც მისი თანამედროვეები უფრო კომენტარების ამიებზე განთავსებას იყენენ მიჩვეულნი. შესაძლოა, მას მხოლოდ იმის დაზუსტება სურდა, რომ „თანჩართვითი“ ფორმა ამ ნაშრომისთვის მისი ინოვაცია კი არ არის, არამედ დედანიც ამგვარად იყო დაწერილი.

პეტრიწის „განმარტების“ ფორმაზე მსჯელობისას, უდავოდ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ ამავე ეპოქაში, XII საუკუნეში, ანალოგიური სახე აქვს პროკლეს ამავე ნაშრომის – „თეოლოგიის ელემენტების“ განმარტებას (ἀνάπτυξις), დაწერილს ნიკოლოზ მეთონელის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მეთონელი ეპისკოპოსი წარმართი ფილოსოფოსის არა ეგზეგეტიკურ, არამედ ნეგატიურ განმარტებას წერს, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი თხზულების თავები მას სრულად აქვს ციტირებული²⁰ (თანახმად პოლემიკის კანონისა)²¹.

უნდა ითქვას, რომ საერთო ხასიათი „განმარტებისა“ – შესავალი ნაშრომისა, ასევე შესავლები მისი ცალკეული თავისათვის, საკმაოდ მოზრდილი განმარტებები, ლემების ვრცლად ციტირება კომენტარებში (რაც ნაკლებად არის დამახასიათებელი მარგინალიებისათვის, რაკი განსამარტავი ტექსტი იქვეა), – პეტრიწის ნაშრომს დამოუკიდებელი კომენტარის – „ჰიპომნემას“ სახით წარმოგვიდგენს. გასათვალისწინებელია პროკლეს მიმართ პეტრიწის პოზიციაც, რომელიც ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის იმანენტურ განმარტებას მისივე საკომენტარო პრინციპებისა და მეთოდების მიხედვით აგებს და, ამდენად, მოსალოდნელია, მისთვის სანიმუშო იყოს ფორმაც თავად პროკლეს კომენტარებისა. მაგრამ პეტრიწი ამავე დროს სარგებლობს ქრისტიანული ეგზეგეტიკის მდიდარი გამოცდილებითაც, რომლისათვის (რაკი ეგზეგეტიკური ნაშრომები კონკრეტული ხელნაწერების დანართს არ წარმოადგენენ) განსაკუთრებით არის დამახასიათებელი საკომენტარო ტექსტის მონაკვეთების ვრცლად ციტირება. „თეოლოგიის ელემენტების“ შემთხვევაში კი კონტექსტის ციტირება სწორედ მისი თავების სრულად მოტანას მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, პეტრიწის კომენტარები – სქოლიონები, ჩვენი აზრით, პროკლესა და ქრისტიანი ეგზეგეტიკების მეთოდების შეზავებით უნდა

¹⁹ სიტყვა „აღნანერი“ კალკი უნდა იყოს ἀναγράφω-სი, რომელიც ჩანერას, წერილობით ფიქსირებას ნიშნავს.

²⁰ იხ. Angelou (ed.) Nicholas of Methone, p. LI. თუმცა ა. დ. ანგელუ მეთონელის ტექსტის გამოცემისას არ თვლის საჭიროდ პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ თავების სრულად ციტირებას.

²¹ როგორც ცნობილია, იულიანე განდგომილის წიგნის „ქრიატიანების წინააღმდეგ“ პირველი ნაწილი თითქმის სრულად არის შემონახული წმ. კირილე ალექსანდრიელის პოლემიკური ნაშრომის წყალობით.

იყოს შედგენილი. ამდენად, ეს უნდა ყოფილიყო არა მარგინალური *სქოლია* (რომლისთვისაც, როგორც უკვე ვთქვით, შეუფერებელია „განმარტების“ ძირითადი ნაწილის სტილი), არამედ დამოუკიდებელი კომენტარი – *ჰიპომენმა*, რომელიც, სავარაუდოდ, ბოლოს კი არ ერთვოდა პროკლეს წიგნის თარგმანს (თუმცა მთლიანად ვერც ამას გამოვირიცხავთ), არამედ მას თავების მიხედვით განმარტავდა (შესაძლოა, კატენებიანი ხელნაწერების მსგავსად, პროკლეს ტექსტი, რათა ის გამოკვეთილი ყოფილიყო, ფურცლის ერთ ნაწილზე ყოფილიყო დაწერილი, კომენტარი კი მის გარშემო განთავსებულიყო). როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ხელნაწერის გვერდებს დატოვებული ექნებოდა მინდვრები, რომლებზეც ანტიკური და, მით უფრო, ბიზანტიური ტრადიციის შესაბამისად, სხვა, შედარებით მცირე კომენტარები იქნებოდა განთავსებული: ტექსტთან და ასევე მის არსებით განხილვასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, შენიშვნები თუ დაზუსტებები.

რამდენადაც „თეოლოგიის ელემენტები“ სასკოლო სწავლებისათვის იყო განკუთვნილი, მოსალოდნელია, რომ პრაქტიკული გამოყენების შედეგად აშიები არსებითი ხასიათის დამატებითი სქოლიონებითაც კი შევსებულიყო.²² ასე რომ, როდესაც მინაწერის ავტორი აცხადებს, წიგნის „თანაწართვით დაწერა“ მის კითხვასა და გადანერას გააადვილებსო, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს მის დროს ჯერ კიდევ გავრცელებული იმ ტიპის ხელნაწერები, რომლებშიც ძირითად და მარგინალურ კომენტარებში გარკვევა უკვე სირთულეს წარმოადგენდა.²³ შემდგომი დამატებები შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც თავად ავტორისეული, ისე სხვისი, ანუ მათი, ვინც ამ ნაშრომს სახელმძღვანელოდ იყენებდა – სხვას ასწავლიდა ან თავად სწავლობდა.²⁴ ბუნებრივია, რომ ამგვარი ნაშრომის სხვა ფორმატში გადატანა გარკვეულ აღრევებთან იქნებოდა დაკავშირებული: როგორც სქოლიონების მიმდევრობის, ისე მათი ავთენტურობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

ჩვენი საკვლევი საკითხი ამჯერად „განმარტების“ პირველი თავის აგებულებაა, უპირველეს ყოვლისა კი – პირველ და მეორე თავებს შორის საზღვარი. „თეოლოგიის ელემენტების“ მეორე თავი იწყება პროტასისით: „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“. შესაბამისად, იოანე პეტრიწის მეორე თავის კომენტარიც მისი ციტირებითა და განმარტებით იწყება:

²² იგივე შეიძლება ითქვას სხვა წყაროს არაერთი მნიშვნელოვანი თხზულების კომენტარების შესახებაც. მაგალითად, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის კომენტარები, რომლებიც მაქსიმე აღმსარებლს მიეწერება, სულ ცოტა, სამი ავტორის დაწერილად არის მიჩნეული.

²³ ერთ-ერთი შესაძლო მარგინალური სქოლიონი, რომელიც იამბლიქოსის ციტაციას შეიცავს, ზემოთ მივუთითეთ.

²⁴ სასწავლო ტიპის ნაშრომები, როგორც ცნობილია, გამოირჩეოდა სქოლიონების სიუხვით, რომლებიც ყოველი შემდეგი გამოცემისას ტექსტის შიგნით ექცეოდა ხოლმე და სივრცეს ათავისუფლებდა ახალი დამატებებისათვის. ასე იზრდებოდა, მაგალითად, დროთა განმავლობაში რიტორიკის სახელმძღვანელოდ გამოყენებული ჰერმოგენეს ნაშრომის კომენტარები.

„ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“. განმარტებაჲ ესე ამის ხედვისაჲ რიცხვსა მიერ მოიღებვის და ბუნებითა მიერ და სიტყვერებითა. ხოლო ჩუენ ვინცოთ რიცხუთა მიერსაცა ს ი ტ ყ ვ - ს ა...“²⁵

მაგრამ ამავე ფრაზას და მის განმარტებას ვხვდებით პეტრინის კომენტარის პირველი თავის ბოლო მონაკვეთშიც:

„ვინაჲ, ან მეორესა პირსა ზედა მოჰმართა აღმოჩენათასა, ვინაჲთგან პირველი გაადამანტა და ყოვლისა მბრძოლისგან ყო უცხო. ხოლო ან პირველ აღმოჩენილსა უსაფუძვლებს მეორისა აღმოსაჩენთა შორის და იტყვს, ვითარმედ „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“, ესე იგი არს, ვითარმედ – ერთქმნული...“²⁶

როგორც ვხედავთ, ხელნაწერებში „განმარტების“ პირველ თავში მოქცეულია მონაკვეთი, რომელიც აშკარად მეორე თავის დასაწყისის კომენტარს წარმოადგენს. პირველი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, არის ის, რომ გადამწერს სქოლიონის ადგილი აერია. მაგრამ ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ პროკლეს მეორე თავის პროტასის მოგვიანებით კიდევ ერთი სქოლიონი დაემატა, რომელიც შემდეგ პირველ თავს იქნა მიბმული. ამდენად, საინტერესოა, რასთან გვაქვს საქმე? თუ ეს გადამწერის შეცდომაა, რა არის ამისი მიზეზი? თუ რადაქციული ცვლილებაა, რა მოსაზრებით? და თუკი ეს მაინც გვიანდელი ინტერპოლაციაა, რამდენად გამართლებულია ახალი თავის დაწყება „ვინაჲ“ კავშირით? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პრობლემური მონაკვეთი კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ იოანე პეტრინი შესავალს²⁷ იწყებს იმის აღნიშვნით, რომ აუცილებელია, დიდ საღვთისმეტყველო ნაშრომთათვის დამახასიათებელი ხედვის რაგვარობას გავეცნოთ და პროკლეს ნაშრომის მიზანს ჩავწვდეთ. კერძოდ, მისი თქმით, პროკლე ეძიებს ყოველივეს დაზესთაებულ, უზადო და წმინდა ერთს და წარმოაჩენს მას ლოგიკის კანონებით.²⁸ აქედან გამომდინარე, პეტრინი პროკლეს აზრის განმარტებასთან ერთად მის მეთოდსაც განმარტავს და ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სწორედ პირველი თავის კომენტარს. იგი გვიხსნის სილოგიზმის რაობას ზოგადად და შემდეგ პროკლეს მიერ მის გამოყენებაზე ამახვილებს ყურადღებას, განმარტავს პროკლესეულ ცნებებსა და ტერმინებს. პეტრინი პირველივე თავში ერთის შესახებ „თეოლოგიის ელემენტების“ არა მხოლოდ პირველი თავის, არამედ,

²⁵ მელიქიშვილი – მროვტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 134, 5 შმდგ.

²⁶ იქვე, გვ. 130, 17 შმდგ.

²⁷ შესავლის სტრუქტურასა და წყაროებზე, ასევე ტერმინოლოგიაზე იხ. ჩვენი სტატიები: მჭედლიძე, პროკლეს „საღვთისმეტყველო ელემენტებზე“ იოანე პეტრინის კომენტართა შესავალი, გვ. 102-105; მჭედლიძე, იოანე პეტრინი და ნიკოლოზ მეთონელი, გვ. 87-112.

²⁸ მელიქიშვილი – მროვტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 114, 8; 115, 1-5; 116, 4-5; 117, 24-25.

არსებითად, პირველი ხუთი თავის (და, გარკვეულწილად, რამდენიმე სხვა თავისაც) შინაარსს ეხება (უნდა ითქვას, შიგადაშიგ, ორიგინალური ინტერპრეტაციებით) და ისეთ საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას, რაზეც პროკლეს ნაშრომის ამ ნაწილში არაფერია ნათქვამი. სწორედ ამიტომ, მეხუთე თავის განმარტებისას პირდაპირ არის ნათქვამი: საკითხი უკვე გადმოიცა პირველ თავში არა სქოლიონის, არამედ „სტიყვის“ (ანუ მსჯელობის, ტრაქტატის) სახით. პირველ თავებში ის არაერთგზის იმეორებს, რომ განსახილველი საკითხები უკვე იქნა განხილული პირველ სქოლიონებში.²⁹

ვნახოთ, კონკრეტულად, როგორ ვითარდება პროკლეს მსჯელობა „თეოლოგიის ელემენტების“ პირველ ხუთ თავში და როგორ არის აგებული პეტრინის „განმარტების“ პირველი თავი (რა სახითაც ის არის წარმოდგენილი ხელნაწერებში).

პროკლეს „თეოლოგიის ელემენტების“ პროტასისები:³⁰

1. „ყოველი სიმრავლე ეზიარება როგორღაც ერთს“ (ასე რომ არ იყოს, სიმრავლეს არ ექნებოდა მისი გამაერთიანებელი განსაზღვრულობა არც თავის მთლიანობაში და არც ნაწილებში).

2. „ყოველი მზიარებელი ერთისა ერთიც არის და არა ერთიც“ (წინა პროპოზიციის დასაბუთებიდან გამომდინარე, არა ერთმა რომ იარსებოს, ის ერთს უნდა ეზიარებოდეს. ამგვარად, არა ერთი ერთიც არის როგორც ერთქმნილი).

3. „ყოველი, რაც ერთი ხდება, ერთთან ზიარებით ხდება ერთი“ (არა ერთნი ერთმანეთს უერთდებიან ერთის წყალობით და ასე განიცდიან იმას, რომ იყვნენ ერთი).

4. „ყოველი, რაც შეერთებულია, სხვა არის და არა – თვითერთი“ (ასე რომ არ იყოს, ერთიც იქნებოდა იმავდროულად სიმრავლე. ნებისმიერი სიმრავლის არსებობას კი საბოლოოდ მაინც ერთის არსებობა ესაჭიროება).

5. „ყოველი სიმრავლე შემდგომია ერთისა“ (წინა პროპოზიციების შესაბამისად, სიმრავლე ვერ იქნება ერთამდე, რადგან არსებობისთვის ერთს საჭიროებს; ვერც ერთბამი იქნება ერთისა ამავე მიზეზით, ანუ, რაკი ერთის გარეშე არ არსებობს; ამდენად, სიმრავლე ეზიარება ერთს და არ არის ზიარებული ერთისგან).

იონანე პეტრინის „განმარტების“ პირველი თავის შინაარსი:

²⁹ შდრ. განმარტება, თ. 3: „რომელნი ითქუნეს პირველსა სხოლიონსა შორის. ვინაჲ ან შემოკლებულად გაიმეცნენ...“ (მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 140, 1–2); განმარტება, თ. 4: „ამისი უკუე განმარტებაჲ ზენათა სხოლიონთა შორის ჰპოო“ (მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 143, 9); „რამეთუ ესე პირველთა შორის აღმოიჩინა, რომელ ყოველსა შედგმულსა მარტივნი ენინაებინან და ყოველსა სიმრავლესა ერთი დაუპირველდების“ (თ. 6: მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 19–20).

³⁰ იხ. ბერძნული ტექსტის გამოცემა: Dodds (ed.), *Proclus*, p. 2-7.

• ციტირებულია დასასაბუთებელი დებულება: „ყოველი სიმრავლე ეზიარება როგორმე ერთს“.³¹

• ბრძენთა სიტყვის რაგვარობის ნათელსაყოფად განმმარტებელი გვაცნობს დასაბუთების მეთოდს, მსჯელობის ნაწილთა შესაბამის ტერმინებს, სილოგიზმის ფიგურას.³²

• ნათქვამია, რომ სიმრავლე ერთს ეზიარება და ჰგავს. მაგალითად მოტანილია რიცხვი ასი.³³

• „ეზიარება როგორღაც ერთს“ – ეს გამონათქვამი განიმარტება, როგორც მრავალი დასაბამის უარყოფა.³⁴

• განიმარტება ტერმინ „ზიარების“ მნიშვნელობები.³⁵

• განიმარტება, რომ სიმრავლე თავის მიზეზში – ერთში – იხილება ერთებრივად და არა შეერთებულად.³⁶

• განიმარტება, რომ თვითერთზე უნინ არაფერია.³⁷

• მეორდება ზემოთ სიმრავლის მიზეზში ყოფნის შესახებ ნათქვამი.³⁸

• მოტანილია ერთში სიმრავლის არა შეერთებულად, არამედ ერთებრივად ყოფნის სახე-მაგალითები (თესლები და მარცვლები).³⁹

• დაზუსტებულია, რომ ეს მაგალითები მხოლოდ იგაგებია, რადგან ერთში რიცხვი და სიმრავლე უსრულობიდან კი არ მოდის სრულებაში და შესაძლებლობიდან – მოქმედებაში, არამედ ზესთაა ყოველ არსებასა და ძალზე, არის თვითსრული და ზესთა სრული. მას, საკუთრივ, არც „სრულობა“ ეკადრება, არც „მოქმედება“.⁴⁰

• ნათქვამია, რომ ერთებრივი რიცხვისა და სიმრავლის შესახებ დიდად საჭირო რამ საღვთისმეტყველო კანონებისამებრ იქნა მოცემული ფრიად ცხადად.⁴¹

• განიმარტება, რომ ამის შემდეგ პროკლე კატასკევეს მიმართავს: დასაბუთების კანონით ამხელს ერთისა და სიმრავლის შესახებ მისი დებულების საწინააღმდეგო შემდეგ დებულებებს: 1. სიმრავლე და ერთი თანასწორნი არიან, როგორც საპირისპირონი; 2. სიმრავლე და ერთი ერთმანეთისაგანაა; 3. სიმრავლე უწინარესია ერთზე; 4. სიმრავლე ერთის შემდგომაც რომ იყოს, მაინც არაფერი აქვს ერთისგან, როგორც თავისი მიზეზისაგან. ჩამოთვლი-

³¹ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 123, 4.

³² იქვე, გვ. 123, 4-124, 28.

³³ იქვე, გვ. 125, 1-10.

³⁴ იქვე, გვ. 125, 11-14.

³⁵ იქვე, გვ. 125, 14-126, 20.

³⁶ იქვე, გვ. 126, 20-25.

³⁷ იქვე, გვ. 126, 25-127, 1.

³⁸ იქვე, გვ. 127, 1-7. შდრ. იქვე, გვ. 126, 20-25

³⁹ იქვე, გვ. 127, 8-16.

⁴⁰ იქვე, გვ. 127, 16-128, 2.

⁴¹ იქვე, გვ. 128, 2-4.

ლი დებულებების უკუსაგდებად პეტრინი წარმოადგენს არგუმენტაციას: შედარებით ვრცლად პროკლეს პირველი თავისას, უფრო მოკლედ – მომდევნო ხუთი თავისას (ნაწილობრივ, საკუთარი ინტერპრეტაციებით). დასკვნის სახით ნათქვამია: „ერთის ზიარებით წარმოდგა ყოველი სიმრავლე და ეზიარება მას, როგორც თავის მაარსებელს“.⁴²

- დამატებითი შენიშვნის სახით ხაზგასმულია, რომ ერთი განყენებული თავის თვითებაში, სიმრავლეს კი არ შეუძლია არსებობა თავისზე უწინდელი ერთის გარეშე.⁴³

- შეჯამებულია მსჯელობა.⁴⁴

- ნათქვამია, რომ პირველ დასაბუთებას პროკლე საფუძვლად უდებს მეორეს და ამბობს, რომ „ყოველი მზიარებელი ერთისა, ერთიც არის და არა ერთიც“, ესე იგი, ერთქმნილი. აქვე განიხილება სამი პირობა, რომელთა არსებობა აუცილებელია ქმნილისათვის.⁴⁵

- წარმოდგენილ მსჯელობასთან დაკავშირებით, განიმარტება ტერმინ „ძალის“ სამი გაგება (რაც, არსებითად, გაღრმავებაა ზემოთ ძალისა და მოქმედების შესახებ ნათქვამისა).⁴⁶

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „განმარტების“ პირველ თავში „თეოლოგიის ელემენტების“ პირველი თავის პროტასისის განმარტებად წარმოდგენილია ერთის შესახებ ვრცელი მსჯელობა, რომელიც „თეოლოგიის ელემენტების“, სულ ცოტა, ხუთი თავის შინაარსს ითვალისწინებს და ამავე თავში იწყება პროკლეს ნაშრომის მეორე თავის პროტასისის განმარტება. პირველი თავის ტექსტთან დაკავშირებით არაერთი კითხვა ჩნდება, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მის ბოლო მონაკვეთს განვიხილავთ. ვნახოთ, მთლიანობაში, რომელ მონაკვეთზე გვაქვს საუბარი:

(*დამატებითი სქოლიონი*) „შეისწავე და ესეცა, რამეთუ ზესთ-მექონე არს თვთებასა შორის თვსსა ერთი, და სიმრავლესა შორის აობასა თვსსა ვერ ძალ-უც დგომად თვნიერ ერთისა, არამედ მოქენე არს პირველ თვსსა ერთსა, რაჟთა ამყოფოს სიმრავლე. არამედ არ წინა-უკუმო, რამეთუ ესე ზესთაჲ ერთი თვნიერ სიმრავლისა შეუძლებს ზემექონეობით მიუდრეკელად დგომასა და არ ვისსა სხვსა მოქენე, არცა უპირატესისა: რამეთუ არა-[რაჲ] არს უპირველეს ერთისა, და კუალად არცა შემდგომთაგან რას მიიღებს და ქცევასა მათსა არ თანა-ექცევის.

⁴² მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 128, 5-129, 27.

⁴³ იქვე, გვ. 129, 28-130, 4.

⁴⁴ იქვე, გვ. 130, 5-16.

⁴⁵ იქვე, გვ. 130, 17-131, 7.

⁴⁶ იქვე, გვ. 131, 8-133, 2.

(1-ლი თავის შეჯამება) ვინაჲთგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ, და წმიდად და თუთერთად და ზესთ-მდებარედ, თუთ მას – ვიტყვ – დასაბამობასაცა... ხოლო ყოველნი ერთბამად ვერ უკმაებენ თან-მოქონებად მისდა, ვითარცა აღმოჩინა [წინაჲთვე ერთისა] და რიცხვსა სახედ მოღებითა, რამეთუ იტყვს, ვითარ „ერთსა თვნიერ რიცხვსა ძალ-უც დგომად, ხოლო რიცხუსა თვნიერ ერთისა – ვერ ვინაჲ.“ და ესრეთ აღმოაჩენს ოდესმე შედარებით პირველობისა და შემდგომობისა, ოდესმე თანდატყუბვისა და სწორგანხეთქილობისა, ოდესმე ერთი ერთისა მეორეობისაგან, და ოდესმე უსაზღვროობით უსაზღვროობისგან, და ოდესმე თუთ მის საზღვრისაგან, რომელნი ესე სხოლიონთა შინა გარდაიცნეს პირველვე თვსთა სახუედრთა ადგილთა შინა.“⁴⁷

(მე-2 თავის დასაწყისი) „ვინაჲ, ან მეორესა პირსა ზედა მოჰმართა აღმოჩენათასა, ვინაჲთგან პირველი გაადამანტა და ყოვლისა მბრძოლისგან ყო უცხო. ხოლო ან პირველ აღმოჩენილსა უსაფუძვლებს მეორისა აღმოსაჩენთა შორის და იტყვს, ვითარმედ „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“, ესე იგი არს, ვითარმედ ერთქმნული. ხოლო ქმნულსა ყოველსა პირველ თვსსა უნდა სამი: პირველად – რაჲსა მიმართ იქმნა და გარდაიტყვრა თვს შორის ხ ა ტ ე ბ ა ე ერთისაჲ; მეორედ – რომლისა მიერ იქმნა და იერთა; მესამედ – რომელთა ნაწილთაგან შედგა, ვითარცა ეტყოდა პარმენიდი სოკრატის: რამეთუ პირველად გ ა მ ო ნ ა თ ლ ე ბ ა დ მის ერთისგან [იტყოდა] გონებისა და დადებად თუთებასა სატყვროჲსა მ ს გ ა ვ - ს ე ბ ი ს ა მისისასა, ვითარცა რაჲ ე კ მ ა გ ი ო ნ ს ა სატყვროჲსა მისისასა, რომელი-და გ ა ხ ა ტ დ ე ბ ი ს ც ა, რამეთუ პირველ ხ ა ტ-ქმნისა ყოველი ე კ მ ა გ ი ო ე, რომელ არს ტყვრვაჲ, და მერმელა ხ ა ტ ი; და კუალად მეორედ იტყოდა ძალსა-გამოსა აღმქმნელთა ნართთა და ნივთითა მის შეერთებულისათვს და მ ა მ ს გ ა ვ - ს ე ბ ე ლ ს ა თვსისა უქმნოჲსა ერთობისადმი; ხოლო მესამედ – თუთ მათ ნაწილთა, რომელთაგან შედგა... ყოველი ძალი და მოქმედებაჲ ბუნებისადა არს თანაშეკრულ, ხოლო იგი ზესთ-პირველი – განწსნილ ყოვლისა ბუნებისგან, ვითარცა პირველთა შორის აღმოჩინა“.⁴⁸

პასაჟი, რომელიც მსჯელობის შეჯამებად გაიგება (ხაზს ვუსვამთ: არა პროკლეს ტექსტის, არამედ – მისი განმარტების შეჯამებად), ხელნაწერში H-1337 მთავრული ასოთი იწყება,⁴⁹ ხოლო ტექსტის გამომცემლებსა და თანამედროვე ენებზე მთარგმნელებთან აზვაციით არის გამოყოფილი. ამ პასაჟზე

⁴⁷ შდრ. მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 129, 28-130, 16.

⁴⁸ იქვე, გვ. 130, 17-133. პასაჟი მოტანილია კუპიურებით.

⁴⁹ მელიქიშვილი (გამოც.), *პროკლე*, გვ. 5 r.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით, ვინაიდან სწორედ მას მოსდევს უშუალოდ მეორე თავის პროტასისის განმარტება. ვნახოთ ეს პასაჟი სრულად:

„ვინათგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ, და ნმიდად და თვთერ-
თად და ზესთ-მდებარედ, თვთ მას – ვიტყვ – დასაბამობასა-
ცა, ამით რომელ დასაბამი ყოველი თან-მოაქუს დასაბამიერთა,
ვითარცა ხუროჲ ნახუროებთა და ბუნებაჲ ნაბუნებებთა. ხოლო იგი
ბევრ-დალექსული ერთი – არ ესთა. რამეთუ თან-მოაქუს მას ყო-
ველი, ხოლო ყოველნი ერთბამად ვერ უკმაებენ თან-მოქონებად
მისდა, ვითარცა აღმოი/ჩინა [წინაჲთვე ერთისა] და რიცხვსა სახედ
მოღებითა, რამეთუ იტყვს, ვითარ „ერთსა თვნიერ რიცხვსა ძალუც
დგომად, ხოლო რიცხუსა თვნიერ ერთისა – ვერ ვინაჲ“. და ესრეთ
აღმოაჩინს ოდესმე შედარებით პირველობისა და შემდგომობისა,
ოდესმე თანდაცყუბვისა და სწორგანხეთქილობისა, ოდესმე ერთი
ერთისა მეორეობისაგან, და ოდესმე უსაზღვროობით უსაზღვროო-
ბისგან, და ოდესმე თვთ მის საზღვრისაგან, რომელნი ესე სხო-
ლიონთა შინა გარდაიცნეს პირველვე თვსთა სახუედრთა
ადგილთა შინა“.⁵⁰

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამის შემდეგ მეორე თავის განმარტება იწყე-
ბა, ეს პასაჟი პირველი თავის განმარტების ლოგიკურ დასასრულად აღიქმება.
ანალოგიური შემაჯამებელი დასკვნა ერთვის „განმარტების“ მე-2 თავსაც (ამ
თავის ვრცელი მსჯელობაც აქ სიტყვად იხსენიება):

„შეისწავე, ვითარმედ მეორესა თავსა შორის ნაწილთა მიერ შედგ-
მულისა ერთისათვს იტყვს, რომელი წარმოდგა ზესთა-ნაწილთა ერ-
თისა ზიარებითა, და იყო ერთცა და არა ერთ, ვითარცა აღმოაჩინა
სიტყუამან რიცხუთა მიერ, ბუნებითთა მიერ, სიტყვერებითთა
მიერ, იტყოდა რაჲ სკლოლოგიზმოჲსა და სკმპერაზმაჲსათვს, სამუშთა
რთვათა და ჴმათათვს“.⁵¹

უნდა ითქვას, რომ ამგვარი დასკვნები „განმარტებაში“ აღარ გვხვდება.
შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პეტრინის აზრით, ვრცელი მსჯელობა – „სიტყ-
ვა“, რომელშიც, ამასთანავე, მეთოდზეც არის გამახვილებული ყურადღება,
რეზიუმირებას მოითხოვს, „სხოლიოდ“ ნათქვამი კი სუმირებას არ საჭიროებს.
თუმცა, ისიც შეიძლება დაფუშვათ, რომ ეს დასკვნები არა პეტრინს, არამედ
რედაქტორს ეკუთვნის. რა გვაძლევს დაეჭვების საფუძველს?

⁵⁰ მელიქიშვილი – მროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 130, 5–16.

⁵¹ იქვე, გვ. 138, 28–139, 3.

„განმარტების“ მეორე თავის დასკვნის ძირითად ტექსტთან ორგანული კავშირის საკითხი (მიუხედავად მისი გარკვეული ორაზროვნებისა)⁵² არ დადგებოდა, რომ არა პირველი თავის შემაჯამებელი პასაჟი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ერთგვარად დისტანცირებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ თავის დანარჩენი ტექსტისაგან,⁵³ რამდენიმე გამონათქვამის გამო იქცევეს ყურადღებას. განვიხილოთ ისინი თანმიმდევრობით.

1. „ვინაა თეგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ...“

„ვინაა თეგან“-ს ციტირებულ პასაჟში არ მოსდევს შესაბამისი გაგრძელება. ფორმალურად მას შეიძლება დაუფუკავშიროთ მხოლოდ იმ მონაკვეთის დასაწყისი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანამდვილებით მეორე თავს ეკუთვნის: „ვინაა, ან მეორესა პირსა ზედა მოჰმართა აღმოჩენათასა, ვინაა თეგან პირველი გაადამანტა...“ მაგრამ ამ ნაწილში „ვინაა“-ს, როგორც ვხედავთ, თავისი „ვინაა თეგან“ მოჰყვება. მიუხედავად ამისა, ნუცუბიძე – ყაუხჩიშვილის გამოცემაში ეს მონაკვეთები ერთ აბზაცშია მოქცეული და, ამდენად, ერთი მსჯელობის ნაწილებად, ურთიერთდაკავშირებულად, გაიგება.⁵⁴ რაც შეეხება მელიქიშვილი – მიროტაძის გამოცემას, აქ „ვინაა“ ახალი აბზაცის დასაწყისია.⁵⁵ ასევეა ეს თხზულების თანამედროვე თარგმანებში.

2. „ვინაა თეგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ და წმიდად და თვთერთად და ზესთ-მდებარედ, თვთ მას – ვიტყვ – დასაბამობასა ცა...“

ერთის ზესთმდებარეობაზე არის მსჯელობა პირველ თავში,⁵⁶ მაგრამ დასაბამობაზე უფრო ზესთაობის შესახებ არაფერია ნათქვამი. პირიქით, ერთის დასაბამობაზეა ლაპარაკი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ შეჯამებისას განმმარტებელი კიდევ უფრო აღრმავებს ნათქვამს და დამატებით ინტერპრეტაციებს გვთავაზობს. მართლაც, ის იქვე განმარტავს, თუ რის საფუძველზე მიაჩნია მას ერთი ამგვარად. უნდა ითქვას, რომ თვითერთის ზესთაობა დასაბამობაზე „განმარტების“ მეოთხე თავშიც არის ნახსენები, როგორც უკვე დასაბუთებული წინა კომენტარებში:

⁵² მეორე თავის შემაჯამებელ დასკვნაში, როგორც ვხედავთ, ნათქვამია: „...ნაწილთა მიერ შედგმულისა ერთისათჳს იტყვს“, ხოლო ნათქვამის დასაბუთება მიენერება მსჯელობას, რომელიც განმმარტებელს ეკუთვნის და არა – პროკლეს: „ვითარცა აღმოაჩინა სიტყუამან რიცხუთა მიერ...“. შეიძლება ითქვას, რომ აქ პროკლეს ნათქვამი და მისი განმარტება ერთად არის შეჯამებული.

⁵³ უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს პასაჟის ბოლო ფრაზა: „სხოლიონთა შინა გარდაიცნეს პირველვე თჳსთა სახუედრთა ადგილთა შინა“. გაუგებარია, რა საჭიროა შეხსენება იმისა, რაც რამდენიმე სტრიქონით ზემოთ არის ნათქვამი.

⁵⁴ ნუცუბიძე – ყაუხჩიშვილი, *იოანე პეტრიწის შრომები*, გვ. 16-17.

⁵⁵ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 130.

⁵⁶ იქვე, გვ. 125, 26, შმდგ.

„იყოს ვინაჲვე თ ვ თ ე რ თ ი მხოლოდ და არა ამისითა ზიარე-
ბითა ერთქმნილი და არცა ნანილთა მიერ შედგომილა, არამედ
თ ვ თ ე რ თ ი ნყაროჲ და ზესთა დასაბამობასაცა, ვითარ პირ-
ველ აღმოიჩინა“.⁵⁷

ამ პასაჟთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ „განმარტებაში“ ეს ერთა-
დერთი შემთხვევაა (თუ რამე არ გამოგვრჩა), როდესაც „არამედ“ კავშირის
შემდეგ მთავარი წინადადების სუბიექტი მეორდება („იყოს ვინაჲვე თ ვ თ ე რ -
თ ი მხოლოდ..., არამედ თ ვ თ ე რ თ ი ნყაროჲ...“), რის გამოც ფრაზა „არამედ“-ის
შემდეგ ინტერპოლაციის შთაბეჭდილებას გვიტოვებს.

3. „...რამეთუ თან-მოაქუს მას ყოველი, ხოლო ყოველნი ერთ-
ბამად ვერ უკმაებენ თან-მოქონებად მისდა, ვ ი თ ა რ ც ა ა ლ -
მ ი ი ჩ ი ნ ა [ნ ი ნ ა ე თ ვ ე ე რ თ ი ს ა] და რ ი ც ხ ვ ს ა ს ა ხ ე დ
მ ო ლ ე ბ ი თ ა, რამეთუ ი ტ ყ ვ ს, ვითარ ერთსა თვნიერ რიცხვსა
ძალ-უც დგომად, ხოლო რიცხუსა თვნიერ ერთისა – ვერ ვინაჲ“.

ეს გამონათქვამი სერიოზულ ახსნას საჭიროებს, რადგან, როგორც უკვე
ვთქვით, მონაკვეთი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, განმარტების შეჯამე-
ბაა. რიცხვის სახეს (მაგალითს) ამ თავში მიმართავს განმმარტებელი, ანუ
პეტრიწი,⁵⁸ და არა პროკლე, და ასევე განმმარტებელი ასაბუთებს აქ, რომ
ერთს რიცხვის გარეშე შეუძლია იყოს, რიცხვი კი ერთის გარეშე ვერ იქნე-
ბა.⁵⁹ სწორედ ამიტომ ყურადღებას იქცევს მესამე პირში ნათქვამი: „ი ტ ყ ვ ს“.
შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს „იტყვს“ აქ ისევ პროკლეზეა ნათქვამი (რო-
გორც ეს ჩვეულებრივ არის „განმარტებაში“) და ნიშნავს „გულისხმობს“,
ანუ „ამის თქმა უნდა“ (ἀέγει ბერძნულში ხშირად სწორედ ამგვარად გაიგება
ხოლმე).⁶⁰ ამასთან, „განმარტების“ შესავალშივეა აღნიშნული, რომ პროკლე
უზენაეს ერთზე მსჯელობს სიმრავლისა და რიცხვთა დასაბამი ერთის მაგა-
ლითზე.⁶¹ მაგრამ რაკი აქ, როგორც ვთქვით, საქმე გვაქვს არა პროკლეს, არა-

⁵⁷ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 143, 17.

⁵⁸ იქვე, გვ. 125, 3.

⁵⁹ ეს არაერთგზის არის აღნიშნული ამ თავში. იხ., მაგალითად, მელიქიშვილი – მიროტაძე (გა-
მოც.), *პროკლე*, გვ. 128, 28; 129, 20, შმდგ.; ასევე: უშუალოდ ამ პასაჟის წინა აბზაცში გვ. 129,
28–130, 2.

⁶⁰ *განმარტებაში* „იტყვის“ ზუსტი ციტირების გაგებითაც გამოიყენება და ნათქვამის აზრის
გადმოცემის თვალსაზრისითაც. მაგალითად, პირველი თავის დასაწყისშივე გვხვდება ორივე
ეს მნიშვნელობა: „იტყვს ფილოსოფოსი, ვითარმედ „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე
ერთსა“. თანა-გუაჯ გუარსა ბრძენთა სიტყვასა დაჭურეტად, ვითარმედ, „ყოველი სიმრავლე
ეზიარების ერთსა“, და თუ არა, „ვიხილოთ“, – იტყვს, – „თუ რაოდენი უჯეროებაჲ შეუდგს...“
(მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 123, 17-20).

⁶¹ იქვე, გვ. 116, 3-4.

მედ მისი განმარტებისას გაშლილი მსჯელობის შეჯამებასთან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მესამე პირში მოხსენიებულია განმმარტებელი, ანუ პეტრინი.⁶²

4. „და ესრეთ აღმოაჩინეს ოდესმე შედარებით პირველობისა და შემდგომობისა, ოდესმე თანდატყუებისა და სწორგანხეთქილობისა, ოდესმე ერთი ერთისა მეორეობისაგან, და ოდესმე უსაზღვროობით უსაზღვროობისაგან, და ოდესმე თვთ მის საზღვრისაგან, რომელნი ესე ს ხოლონთა შინა გარდაიცნეს პირველვე თვსთა სახუედრთა ადგილთა შინა“.

თუკი დაფუძნებთ, რომ „გარდაიცნეს“ აქ მომავალს გულისხმობს (ანუ ამ ყველაფერს უშუალოდ თავის ადგილას ვიტყვივით), პასაჟის დასაწყისის „ვინაჲთგან“ ფორმალურად შეიძლება მეორე თავის დასაწყისის „ვინაჲ“-ს დავუკავშიროთ (რომელიც ციტირებულ სიტყვებს მოჰყვება უშუალოდ) და ამ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია, მეორე თავის დასაწყისად „ვინაჲთგან“-ით დაწყებული მონაკვეთი მივიჩნიოთ (ორი „ვინაჲთგან“ კი სტილისტურ გაუმართაობად ჩავთვალოთ).⁶³ ამგვარად გასაგები იქნება ამ დასკვნის პირველი თავისაგან ერთგვარი დისტანცირება. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ამ ყველაფრის შესახებ უკვე არის ლაპარაკი პირველ თავში? იქნებ, პროკლეს შესაბამისი თავის კომენტარებისას განმმარტებელს თითოეული ამ საკითხის სპეციალურად, ცალკე სქოლიონის სახით განხილვა აქვს მხედველობაში?

მაგრამ, თუკი „გარდაიცნეს“ არა მომავალს, არამედ უკვე განხილულს გულისხმობს (სწორედ ამგვარად არის გაგებული იგი ყველა თანამედროვე ენებზე მთარგმნელთან), მაშინ კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხოთ: ამას ყველაფერს, ანუ ხუთი თავის მსჯელობას, როგორ უდებს საფუძვლად პროკლე მეორე თავის პროტასისს? აქ გარკვევით არის ნათქვამი:

„ვინაჲ, ან მეორესა პირსა ზედა მოჰმართა აღმოჩინათასა, ვინაჲთგან პირველი გაადამანტა და ყოვლისა მბრძოლისგან ყო უცხო. ხოლო ან პირველ აღმოჩენილსა უსაფუძვლებს მეორე-“

⁶² კითხვები შეიძლება გაჩნდეს მე-3 პირში ნათქვამ ამ ტიპის შეფასებებთან დაკავშირებითაც: „ან ესე ფრიად საჭირო ფრიად ცხადად დაიდვა“ (მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 122, 11); „ესე დიდად სათანადოა რიცხვსა ერთებრივისა და სიმრავლისათჳს კანონთაებრ საღმრთისმეტყუელთაჲსა დაიდვა ფრიად ცხადად“ (იქვე, გვ. 128, 3-4). თუმცა, ამ ტიპის ფრაზები პირველ პირშიც გვხვდება: „ხოლო სხუაჲ ყოველი ხედვაჲ ამის თავისაჲ ზემოსა შორის ცხადად გარდავდევით“ (იქვე, გვ. 268, 6-7); „ხოლო ესენი არიან სამსახე, ვითარცა პირველთა შორის ცხადად გარდავდევით“ (იქვე, გვ. 274, 21-22).

⁶³ მსგავსი კონსტრუქცია გვაქვს „განმარტების“ 24-ე თავის დასაწყისში: „ვინაჲთგან ამას ზემოსა თავსა შორის სამად გაყო ერთი, და ორნი ერთნი მის ზესთაჲსა ერთისაგან ნარმოაყენნა, და თვთ ზესთაჲ სირაჲ – ერთი ზესთ დადვა. ხოლო ან ამას თავსა შორის სამად გაჰყოფს მიზეზსა და მიზეზოანსა და უმიზეზოსა“, მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 194, 8-10.

სა აღმოსაჩენთა შორის⁶⁴ და იტყვს, ვითარმედ „ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი“, ესე იგი არს, ვითარმედ — ერთქმნული...“⁶⁵

ამგვარი დასაწყისი აზრობრივად სრულიად ბუნებრივია ახალი თავისათვის,⁶⁶ მიუხედავად იმისა, რომ პირველი თავის ვრცელი მსჯელობა ერთქმნას, შეერთებასაც შეეხება.

მაგრამ თუ მომდევნო მონაკვეთს არა, მაშინ რას მიემართება „ვინაჲთგან“? შესაძლებელია – წინა მონაკვეთს, რომელიც იწყება სიტყვებით: „შეისწავე და ესეცა, რამეთუ ზესთ-მექონე არს თვებასა შორის თვისა ერთი...“⁶⁷ ლოგიკური ბმა ამ მონაკვეთებს შორის ნამდვილად არის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ანუ თუკი პირველი თავის შეჯამება გაერთიანებული იქნება წინა დამატებით კომენტართან, ადგილი ექნება გარკვეულ გამეორებებსაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ „განმარტების“ სხვა პასაჟებსაც ახასიათებს.⁶⁸

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორი სქოლიონი, რომელთაგან ერთი თვითერთს შეეხება, ხოლო მეორე – ქმნილ ერთს, მოგვიანებით ერთდროულად არის დამატებული პეტრინის კომენტარების ძირითად ტექსტზე (მათ შორის ბმაზე მეორე სქოლიონის „ვინაჲ“ კავშირით დაწყებაც მიუთითებს). ეს სქოლიონები ერთად საკმაოდ ვრცელია, რის გამოც ან აშიაზე მათი საკმაოდ წვრილად დაწერა იქნებოდა საჭირო, ან – ხელნაწერში ცალკე ფურცლის დამატება. გვერდიგვერდ დაწერილი სქოლიონების ერთნაირი ხელწერა, ჩვენი აზრით, ის ფაქტორია, რომელსაც შეეძლო მოგვიანებით გამოენვია მათი ერთად დამატება პირველი თავის ბოლოს.

უნდა ითქვას, რომ იოანე პეტრინის პირველი თავის აგებულებისა და მეორე თავთან საზღვრის საკითხი არც მხოლოდ ერთი თუ ორი სქოლიონისათვის ადგილის მიჩენით შემოიფარგლება და არც, უბრალოდ, მათი ავთენტურობის დადგენით (რაც, რა თქმა უნდა, ტექსტის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია). ცნობილია, რომ კომენტარული ჟანრის ნაშრომებში ახალი სქოლიონები ხში-

⁶⁴ მეთოდისათვის შდრ. „... ხოლო აღმოაჩენს ერთსა სახედ მოღებითა სიმრავლისა და ამის რიცხუთა ერთისაჲთა და კანონთაებრ „ორღანოჲსათა“ აღმომიარსებს ჩუენ, ვითარმედ პირველად ერთი არს ყოველთა რიცხუთაჲსა. და ვითარცა ესე აღმოაჩინოს და დამსჭუალოს უძრავად და შეურყევლად ყოვლისა ცთომილისა მბრძოლისაგან, მერმე აღიღებს მას აღმოჩენილსა და უმზილებელსა პირსა და სხუასა შემდგომსა აღმოაჩენს. და შემდგომითი შემდგომად ყოველთა ზედა ამას ჰყოფს: რამეთუ პირველ აღმოჩენილთა მიერ შემდგომთასა დასდებს საფუძველსა აღმოჩენათასა და ესრეთ სრულ-ჰყოფს...“ (შესავალი, მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 116, 3-11)

⁶⁵ იქვე, გვ. 130, 17 შმდგ.

⁶⁶ ანალოგიური დასაწყისი არაერთი შეიძლება ვნახოთ „განმარტებაში“. კერძოდ, აღინიშნება ხოლმე გადასვლა ერთი პროტასისის დასაბუთებიდან მეორეზე. შდრ.: „სრულ-ყო რაჲ სიტყუაჲ მეხუთისა თავისაჲ, მეექუსესა ზედა მოჰმართა. ხოლო ან ამას შინა იტყვს, ვითარმედ...“ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 147, 20 და სხვ..

⁶⁷ იქვე, გვ. 129, 28.

⁶⁸ შდრ. იქვე, გვ. 126, 20-127, 7.

რად ერთხელ უკვე განმარტებულ ადგილს მიემართება ხოლმე, რათა ის ახალი ასპექტით წარმოაჩინოს (ასეთი არაერთი მაგალითის მითითება შეიძლება „განმარტებაშიც“), მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებითი კომენტარის დანერის მოტივაცია პროკლეს იმ პროტასისზე, რომელიც უკვე იყო განმარტებული, მთლიანობაში, „განმარტების“ ერთიანი მეთოდისა და კონცეფციის განსაზღვრასთან და კომენტართა კოჰერენტულობის პრობლემასთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ ამ დამატებით კომენტარს⁶⁹ ტერმინოლოგიური პარალელი მოეპოვება „განმარტების“ იმ სქოლიონთან, რომელზეც აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.⁷⁰ კერძოდ, „თეოლოგიის ელემენტების“ 29-ე თავის განმარტებისას, იმ კონტექსტში, სადაც მიზეზისაგან მიზეზოვანის წარმოშობაზეა საუბარი მსგავსებისა და „უდარესი შთამოშობის“ შესაბამისად, ჩართულია ტექსტი, რომელშიც პავლე მოციქულის დამონშებით, ძე-ლოგოსი იწოდება ერთის, ანუ მამის „ხ ა ტ ა დ, მ ს გ ა ვ ს ა დ და ე კ მ ა - გ ი ო დ“.⁷¹ სწორედ ამიტომ „განმარტების“ პირველი თავის ბოლო მონაკვეთის ძირითად ტექსტთან მიმართების საკითხი უშუალოდ უკავშირდება 29-ე თავის პრობლემური პასაჟის წარმომავლობისა და, შესაბამისად, კომენტარების ტექსტის ერთიანობის საკითხს.

იოანე პეტრინის, როგორც ფილოსოფოსის, ავტორიტეტის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, „თანჩართული“ გამოცემის მომზადებისას ძირითად ტექსტში შეეტანათ ის სქოლიონები, რომლებიც თავად პეტრინის ან მისი უშუალო მოწაფის მიერ დაწერილად, ანუ სკოლის პოზიციის გამომხატველად მიიჩნეოდა; მაგრამ რაკი გამომცემელ-გადამწერთა შეცდომებს ვერ გამოვრიცხავთ⁷² (მით უფრო, რომ ტექსტის გადაწერისას გაპარული არაერთი შეცდომაა გამოვლენილი პეტრინის მკვლევართა მიერ),⁷³ ვერც იმას გამოვრიცხავთ, ზოგიერთი დამატება სხვა მასწავლებელსაც ეკუთვნოდეს. როგორც დღესდღეობით ჩვენ ხელთ არსებული ხელნაწერების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, „განმარტების“ ძირითად ტექსტში უნდა აღმოჩენილიყო ის დამატებები, რომლებიც მის „თანჩართვით“ გადაწერამდე იყო გაკეთებული, რადგან შემდგომი

⁶⁹ საუბარია კერძოდ ამ პასაჟზე: მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 130, 21–131, 7. იხ. ზემოთ.

⁷⁰ უნდა ითქვას, რომ „განმარტების“ ამ ნაწილისათვის ადრევე მიუქცევიათ ყურადღება. საინტერესოა, რომ XVI-XVII სს.-ის A-69 ხელნაწერის ტექსტზე დართულ განმარტებებს შორის ერთ-ერთი სწორედ 29-ე თავს ეხება, რომელშიც ვკითხულობთ: „... ეს თავი მეტადრე გახსნის კრულებასა“, ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინის შრომები*, გვ. LXXII.

⁷¹ მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე*, გვ. 209, 8 შმდგ. 29-ე თავის პრობლემურ პასაჟზე იხ. ჩვენი სტატია: მჭედლიძე, იოანე პეტრინის „განმარტების“ ტექსტის კრიტიკისათვის, გვ. 61-88.

⁷² გადამწერთა შეცდომები, როგორც ცნობილია, ზოგადად, ხელნაწერ წიგნთან დაკავშირებული პრობლემემატიკის აუცილებელი შემადგენელია, იხ. Reynolds – Wilson, *Scribes and Scholars*.

⁷³ შეცდომების დიდი რაოდენობის გამო ედიშერ ქელიძეს (რომელსაც თავად აქვს მითითებული მთელი რიგი უზუსტობები „განმარტების“ ტექსტში) აღნიშნული აქვს პეტრინის ნაშრომის ახლად გამომცემის აუცილებლობა, იხ. ქელიძე, კვლავ იოანე პეტრინის შესახებ, გვ. 86–119.

გადამწერები ცდილობენ, ძირითადი ტექსტი და მინაწერები თავიანთი დედნის მიხედვით გადმოსცენ.⁷⁴

ზოგადად, „განმარტების“ და, კერძოდ, 1-ლი თავის ტექსტთან დაკავშირებით, როგორც ვთქვით, ბევრი სხვა კითხვაც გვიჩნდება. ცხადია, სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომში სქოლიონებს შორის ბმა, შესაძლოა, არ იყოს ყველა თვალსაზრისით თანამიმდევრული (შინაარსობრივი ბმა უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც განსამარტავი ტექსტი არის თანამიმდევრული), ვინაიდან კომენტატორი, რომელსაც პედაგოგიური ამოცანები აქვს, განსამარტავი ტექსტის მსჯელობის ლოგიკის გარდა, თავისი აუდიტორიისა თუ მკითხველისათვის მთელი რიგი საკითხების განმარტების აუცილებლობასაც უწევს ანგარიშს; ასეთ ნაშრომებში შეიძლება გამეორებებსაც შევხვდეთ და ერთი და იმავე აზრის სხვადასხვაგარ ფორმულირებასაც. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიდგომა იოანე პეტრინის ტექსტისადმი, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში ჰიპერკრიტიკულიც იყოს (რაც საზოგადოდაც დამახასიათებელია ხოლმე ინტერპოლაციათა საკითხის კვლევებისათვის),⁷⁵ მაგრამ ტექსტში თუნდაც ერთი ან ორი აშკარა შეუსაბამობის გამოვლენისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა სხვა შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებითაც. ვფიქრობთ, „თეოლოგიის ელემენტების“ კომენტარების ერთიანობის საკითხის დაყენება, ტექსტისადმი პრინციპულად ახალი მიდგომა, მიუხედავად კონკრეტული შედეგისა, მნიშვნელოვანი იქნება, ზოგადად, პეტრინის ტექსტის შესწავლისათვის.⁷⁶

დამოწმებული ლიტერატურა

აბულაძე (გამოც.), *სულხან-საბა* = ი. აბულაძე (გამოც.), *სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული*, ტ. 1-2, თბილისი, 1993.

კეჭალაძე – რაფავა, *ამონიოს ერმისი* = ნ. კეჭალაძე, მ. რაფავა (გამოც.), *ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში*, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები მ. რაფავასი, თბილისი, 1983.

მელიქიშვილი (გამოც.), *პროკლე* = დ. მელიქიშვილი (გამოც.), *პროკლე დიადოხოსი პლატონური ფილოსოფოსი, კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი. თარგმანი, წინა-*

⁷⁴ დღეისათვის შემონახულ ხელნაწერებს მინაწერები აშიებზევე აქვთ დაცული. მაგალითად, 29-ე თავში, იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ლოგოსი მამის „ხატად, მსგავსად და ეკმაგიოდ“ იწოდება, აშიაზე მინაწერია: „და ბრწყინვალეზად“, მელიქიშვილი (გამოც.), *პროკლე*, 29r. ეს მინაწერი ამავე სახით არის გადასული სხვა ხელნაწერებშიც, ნუცუბიძე – ყაუხჩიშვილი, *იოანე პეტრინის შრომები*, გვ. 78, კრიტ. აპარ.

⁷⁵ Tarrant – Tarrant, *Texts*, გვ. 85–86.

⁷⁶ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჰომეროსის პოემების ერთიანობის საკითხის დაყენებამ თავის დროზე თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა ამ უმნიშვნელოვანესი ტექსტის კვლევა, თუმცა კი, აზრთა სხვადასხვაობა დღესაც არსებობს.

სიტყვაობა და განმარტება იოანე პეტრინისა, I, ხელნაწერი H-1337, ფაქსიმილური გამოცემა, თბილისი, 2016.

მელიქიშვილი – მიროტაძე (გამოც.), *პროკლე, კავშირნი* = დ. მელიქიშვილი, ნ. მიროტაძე (გამოც.), *პროკლე დიადოხოსი, პლატონური ფილოსოფოსი, კავშირნი ღმრთისმეტყულებითნი. თარგმანი, წინასიტყვაობა და განმარტება იოანე პეტრინისა, II*, დიპლომატიური გამოცემა, თბილისი 2016, გვ. 33–433.

მჭედლიძე, პროკლეს „საღვთისმეტყველო ელემენტებზე“ იოანე პეტრინის კომენტართა შესავალი = მ. მჭედლიძე, პროკლეს „საღვთისმეტყველო ელემენტებზე“ იოანე პეტრინის კომენტართა შესავალი ნაწილის კონცეფცია და წყაროები, *ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი*, მუშაობის გეგმა და მასალები, თბილისი 1999, გვ. 102-105.

მჭედლიძე, იოანე პეტრინი და ნიკოლოზ მეთონელი = მ. მჭედლიძე, იოანე პეტრინი და ნიკოლოზ მეთონელი პროკლეს ფილოსოფიის შესახებ (ორი ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება პროკლეს ფილოსოფიისადმი XII საუკუნის აღმოსავლურ-ქრისტიანულ აზროვნებაში), თ. ირემაძე (რედ.), *ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში*, თბილისი, 2016, გვ. 87–112.

მჭედლიძე, იოანე პეტრინის „განმარტების“ ტექსტის კრიტიკისათვის = მ. მჭედლიძე, იოანე პეტრინის „განმარტების“ ტექსტის კრიტიკისათვის, *ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული*, 7 (2016), თბილისი, 2018, გვ. 61-88.

ნუცუბიძე – ყაუხჩიშვილი, *იოანე პეტრინი* = შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, *იოანე პეტრინის შრომები*, II, თბილისი, 1937.

ოთხმეზური, *მაქსიმე* = თ. ოთხმეზური, *მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, თბილისი, 2016.

ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინი* = ს. ყაუხჩიშვილი (გამოც.), *იოანე პეტრინის შრომები*, I, შესავალი მ. გოგიბერიძისა, თბილისი, 1940.

ჭელიძე, კვლავ იოანე პეტრინის შესახებ = ე. ჭელიძე, კვლავ იოანე პეტრინის შესახებ, *სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები*, I, თბილისი, 1999, გვ. 86-119.

Angelou (ed.), *Nicholas of Methone* = A. D. Angelou (ed.), *Nicholas of Methone, Refutation of Proclus' Elements of Theology*, A Critical Edition with Introduction, Athènes/Leiden, 1984.

Dodds (ed.), *Proclus* = F. R. Dodds (ed.), *Proclus, The Elements of Theology*, 2nd edition, Oxford, 1963.

Dickey, *Ancient Greek Scholarship* = E. Dickey, *Ancient Greek Scholarship: A Guide to Finding, Reading, and Understanding Scholia, Commentaries, Lexica, and Grammatical Treatises, from Their Beginnings to the Byzantine Period*, Oxford, 2007.

Reynolds – Wilson, *Scribes and Scholars* = L. D. Reynolds, N. G. Wilson, *Scribes and Scholars: A Guide to the Transmission of Greek and Latin Literature*, 4th edition, Oxford, 2013.

Tarrant – Tarrant, *Texts* = R. Tarrant, J. Tarrant, *Texts, Editors, and Readers: Methods and Problems in Latin Textual Criticism*, Cambridge, 2016.

THE PROBLEM OF UNITY OF IOANE PETRITSI'S COMMENTARIES: ON STRUCTURE AND BORDER OF THE FIRST CHAPTER

Abstract

Ioane Petritsi's (12th c.) translation and explanation of Proclus' *Elements of Theology* is an example of a work intended for school education. When applied in practice, the work could be subject to revision, or some more commentaries (*scholia*) could be added to it, as often was the case with this type of literature. Further additions could be made by the author or someone else who used the work as a textbook either for the purpose of teaching or learning. Considering Petritsi's reputation as a philosopher, it is more likely that the passages might be later additions which were attributed to Ioane or to his student, and thus were believed to reflect the position of Ioane's philosophical school. However, as scribes' and editors' errors should not be ruled out, likewise, we cannot be certain that some of additions did not belong to other authors. The surviving manuscripts suggest that the main text of the *Commentaries* may contain additions that were presumably made to it before the *keimena* and *scholia* were rewritten together (i. e. following each other), as the subsequent scribes tried to adhere to the source version when copying the main text and the later metatexts.

The article focuses on the structure of the first chapter of the *Commentaries* and the border between the first and the second chapters. In my opinion, the *scholion* attached to the closing passage of the former is a commentary to the beginning of the latter. The analysis of the closing part of the first chapter reveals that the *scholion* in question must have been added to the *Commentaries* later, together with another *scholion* that summarizes the first chapter. The question of the border between the first and the second chapters is especially important, if we bear in mind that a passage from the additional *scholion* finds parallels in a passage from chapter 29 that has proved to be disputable in many ways and invites diverse opinions.

Raising the question of the unity of Ioane Petritsi's *Commentaries*, which is the aim of the paper, will be very important for the further study of Petritsi's work in general (irrespective of the particular findings), as it introduces an essentially new approach to the analysis of the text.

Magda Mchedlidze

*Ivane Djavakhishvili Tbilisi State University
Tbilisi*

ნუგზარ პაპუაშვილი

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რუსთველოლოგიის ისტორიიდან: პავლე სვეტლოვი – კალისტრატე ცინცაძეს რუსთაველის შესახებ

ბევრს ალბათ ახსოვს ელენე მეტრეველის განსაკუთრებული დამოკიდებულება მისი უწმინდესობის, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატესადმი. პირად საუბრებში ის ერთობ თბილად იხსენებდა ხოლმე მასთან შეხვედრებს, სიამოვნებით იგონებდა მასთან საუბრებს. დოკუმენტი, რომელსაც მიმოვიხილავთ და ვაქვეყნებთ – პავლე სვეტლოვის წერილი რუსთაველის შესახებ, რომელსაც ის თავის მოწაფეს, კალისტრატე ცინცაძეს უგზავნის – ხელნაწერთა ინსტიტუტს სწორედ ელენე მეტრეველის დირექტორობის დროს გადაეცა. ამის გამო მოვალეობად მივიჩნევთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია სწორედ აკადემიკოს ელენე მეტრეველის ღვაწლის გახსენებას დავუკავშიროთ, მით უმეტეს, რომ ეს მასალა მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროდანაა – რუსთველოლოგიურ კვლევებს ხომ ელენე მეტრეველის სამეცნიერო მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.¹

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პირად საარქივო ფონდში, დაცულია პირადი წერილი კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიმართ რუსულ ენაზე (№ 172). ის ხელმოწერილი და დათარიღებულია: Прот. Светлов 14 / 1. VI. 1938. ტექსტი არის ავტოგრაფი, დანერილია იისფერი მელნით, კალიგრაფიული ხელით ცალხაზიანი რვეულის შვიდ გვერდზე. ამავე ფონდის ერთ-ერთ ფოტოალბომში გვხვდება მოხუცი მამაკაცის ფოტოსურათი მინაწერით: Прот. Светлов. 15 / V. 40. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პიროვნებამ, დეკანოზმა სვეტლოვმა, კალისტრატე ცინცაძეს 1940 წელსაც აახლა წერილი აღნიშნული სურათით, რაც მათ ახლობლობასა და ინტენსიურ ურთიერთობაზე მეტყველებს.

Прот. Светлов – პავლე იაკობის ძე სვეტლოვი, ცნობილი რუსი ღვთისმეტყველი, დამსახურებული პედაგოგი და ფუნდამენტური სამეცნიერო-თეო-

¹ შურღაია, *ელენე მეტრეველი*, გვ. 32-33, 220.

ლოგიური ნაშრომების ავტორი რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.² იგი დაიბადა 1861 წლის 1 დეკემბერს რიაზანის გუბერნიაში, სასულიერო პირის ოჯახში. ადგილობრივი სასულიერო სემინარიისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1887 წლიდან 1889 წლამდე, მოღვაწეობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ძირითადი საღვთისმეტყველო საგნების პედაგოგად; 1889 წელს გადაიყვანეს ნეჟინსკის ისტორია-ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც მღვდლად აკურთხეს. 1897 წელს მიიწვიეს კიევის წმ. ვლადიმირის სახელობის საიმპერატორო უნივერსიტეტში დოგმატური და აპოლოგეტური ღვთისმეტყველების პროფესორად, სადაც მსახურობდა მანამ, სანამ საბჭოთა უნივერსიტეტებში საღვთისმეტყველო დისციპლინათა სწავლება გაუქმდებოდა. პავლე სვეტლოვი გარდაიცვალა 1942 წელს დეკანოზის ხარისხში.³

ამგვარად, პავლე სვეტლოვი თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც იქ კალისტრატე ცინცაძე სწავლობდა.⁴ კალისტრატე ცინცაძე მას მემუარებში საუკეთესო მასწავლებლად მოიხსენიებს.⁵ სასამართლო პროცესზე (1924, 12 მარტი), რომელიც კათალიკოს ამბროსი ხელაიასა და მისი თანამოსაგრეების წინააღმდეგ გაიმართა გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის გამო, კალისტრატე ცინცაძემ დაიმონმა თავისი მასწავლებელი, დეკანოზი პავლე სვეტლოვი, რომელიც, მისი თქმით, სასულიერო პირების პოლიტიკაში მონაწილეობას კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევდა.⁶ აქედანაც ჩანს, რომ მოსწავლე ყოველთვის მიაგებდა პატივს მასწავლებლს და მის აზრს ანგარიშს უწევდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მან დამსახურებულ მეცნიერსა და პროფესორს სთხოვა, გამოეთქვა აზრი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. გავითვალისწინოთ, რომ კათალიკოსი კალისტრატე თვითონაც ინტენსიურად მუშაობდა ამ თემაზე და 1937 წელს სოლიდური სამეცნიერო ნაშრომიც ჰქონდა მომზადებული გამოსაქვეყნებლად.⁷

1937 წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა რუსთაველის იუბილე, რამაც სხვადასხვა დარგის ბევრ წარმომადგენელს მისცა სტიმული, პასუხი გაეცა კითხვისათვის შოთა რუსთაველის რელიგიური მრწამსის შესახებ. და

² სვეტლოვის ნაშრომებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მონოგრაფიას *Значение Креста в деле Христовом: Опыт изъяснения догмата искупления*, Киев, 1983, რომლის ერთი თავი ქართულადაც არის თარგმნილი ივანე ამირხანაშვილის მიერ (სვეტლოვი, აღსრულებულ არს! გვ. 322-335).

³ ლიტერატურა პავლე სვეტლოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: *Богословский вестник*, 1, с. 120-131.

⁴ პაპუაშვილი (გამოც.), კალისტრატე ცინცაძე, გვ. 175-178.

⁵ ქავთარია (გამოც.), ცინცაძე, მოგონებანი, გვ. 257.

⁶ ქავთარია (გამოც.), კ. ცინცაძე, ჩემი დაკითხვა, გვ. 151.

⁷ ეკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, გვ. 227; პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება, გვ. 109-112.

აი, ვხედავთ, რომ ამ საკითხს, საქართველოს ეკლესიის იმდროინდელი საჭეთ-მპყრობლის შეგონებით, თეოლოგიის ისეთი ღვანღმოსილი პროფესორიც გა-მოეხმაურა, როგორც იყო დეკ. პავლე სვეტლოვი.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია, გავითვალისწინოთ ეპოქა, რომელსაც ეს დოკუმენტი განეკუთვნება. ამ დროს რუსეთისა და საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიებს შორის ექვარისტული კავშირი შეჩერებულია. ამის მიუხედავად, რუსეთის ეკლესიის შვილი საქართველოს ეკლესიის პირველ-იერარქის მადღმოსილებას აღიარებს და მას ასე მიმართავს: Блаженнейшему Калистрату, Католикосу Патриарху Грузии, старейшему ученику от стараго учителя привет и пожелание: „Святым Духом живитися“ и укреплятися и „о Господе радоватися!“ [უნეტარეს კალისტრატეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უხუცეს მოსწავლეს მოიკითხავს მოხუცი მასწავლებელი და უსურვებს: „ცხონ-დით სულისა მიერ წმიდისა“ და „გაძლიერდით და იხარეთ უფლისა მიერ!“].

ავტორი კმაყოფილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლომდე ნაკითხვის შე-საძლებლობა მიეცა და შეუძლია, პასუხი გასცეს შეკითხვას რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. ის აღიარებს, რომ რუსთაველის მსოფლმხედვე-ლობის განსაზღვრა ადვილი არ არის ისევე, როგორც შექსპირისა, მაგრამ ამ ავტორთა ტექსტების „გულდასმითი ნაკითხვის შემდეგ“ ამ ამოცანის გადაჭრა მაინც ხერხდება. მისი თქმით, „რუსთაველი არ არის წარმართი, არც პანთეის-ტი: ის მონოთეისტია, რომელიც აღიარებს ღმერთს, როგორც შემოქმედს. ის არ არის მაჰმადიანი, ვინაიდან რუსთაველის ღმერთს ახასიათებს ქრისტიან-ული ღმერთის ყველა ნიშანი, და არა ალაჰისა. მის პოემაში არ შეინიშნება რწმენა ბედისა თუ ბედისწერის აბსოლუტურად წინადადგენისა, ვინაიდან ბე-დისწერა იქ შეესაბამება ადამიანების ზნეობრივ ღირსებებს“.

სვეტლოვი პოემაში ხედავს პლატონის ფილოსოფიის იმ ნაწილის კვალს, რომელიც ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსს „ქრისტიანობასთან ანათესავებს“. ესაა, კერძოდ, „აზრი სამყაროს მოჩვენებითობისა და ცვალებადობის შესახებ, სულის ღირსებისა და სხეულზე აღმატებულობის შესახებ, თვითმკვლევლობის შესახებ და მისთ.“ სვეტლოვი, თითქოს, პოლემიკაშიც შედის იმ მკვლევრებ-თან, რომლებიც რუსთაველს ნეოპლატონიკოსად წარმოსახავენ, თუმცა იმა-საც ამბობს, რომ ნეოპლატონიზმის გამოძახილი იგრძნობა იმ სტრიქონებში, რომლებშიც ლაპარაკია ციური მნათობების შესახებ“. ასევე შეინიშნება ირა-ნულ-სპარსული გავლენაც, რაც, თეოლოგის დაკვირვებით, ჩანს ქაჯებთან დაკავშირებულ ამბებში. იგრძნობა ჰომეროსის გავლენასაც. ამის მიუხედა-ვად, დასძენს მკვლევარი, ეს გავლენები ვერ ცვლის საერთო შთაბეჭდილე-ბას, რომლის თანახმად რუსთაველი საპატიო ადგილს იკავებს მსოფლიო ლი-ტერატურაში, „იმ ლიტერატურაში, რომელიც დასახელების გარეშე ადიდებს ქრისტეს, ღვთაებრივ გონს, სიტყვას ანუ ლოგოსს“.

დეკ. პავლე სვეტლოვის სიტყვით, „სულით მდიდრები და მაღალნი ღვთის სიტყვის ცხოველმყოფელი ნათლის ერთგვარ შემკრებლებად გვევლინებიან და თავიანთი სხივებით ანაყოფიერებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც ადამიანური გენიის მიერ არის შექმნილი ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში. ამის გამო რუსთაველის სადარი ლიტერატურული ნაწარმოებები იძენენ ეკლექტური ფილოსოფიის სახეს, მსგავსად ციცერონის ფილოსოფიისა, ანდა ახალი დროის კუზენის ფილოსოფიისა“ (იგულისხმება ფრანგი ფილოსოფოსი ვიქტორ კუზენი, 1792-1867).

დოკუმენტი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მასში ციტირებულია წინადადება კალისტრატე ცინცაძის იმ წერილიდან, რომლის პასუხადაც დაინერა ეს ტექსტი და რომელიც ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ავტორი მიმართავს ადრესატს: „და თქვენ ახლოს ხართ ჭეშმარიტებასთან, როდესაც ამბობთ, რომ რუსთაველი „*пленяет всякое помышление в послушание Христу*“ (2 Кор. X, 5), т. е. что он Христианин в лучшем смысле этого слова“ [„წარმოსტყუენავს ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“, (2 კორ. X, 5), ე. ი. ის არის ქრისტიანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით]. ამ სიტყვებს, ჩვენი აზრით, არანაკლებ საყურადღებო სიტყვები მოჰყვება:

„ლოგოსის შესახებ მოძღვრების სულისკვეთებით გამსჭვალული ძველი ქრისტიანი აპოლოგეტები პლატონისა და პითაგორას ფილოსოფიის მიმდევრებს გარკვეულწილ ქრისტიანებად მოიხსენიებდნენ და მკვეთრად არ უპირისპირებდნენ ქრისტიანობას პლატონის ფილოსოფიას“.

ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ შთაგონების მთავარ წყაროდ ბიბლიას ასახელებს და შესაბამისი ბიბლიური პერსონებისა და ნიგნების დასახელების დროს საკუთარ სულიერსა და ფიზიკურ მდგომარეობაზეც გვესაუბრება. შეუძლებელია, მოვისმინოთ და გულგრილი დავრჩეთ მისი ამ სიტყვების მიმართ:

„გულისხმობდა რა, ალბათ, მძიმე სიბერეს (არსებობს კეთილი სიბერეც), „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ამბობს: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“. ძველი აღთქმის ბრძენი (იგავთ ნიგნის ავტორი) კი უფრო შორს მიდის და ამბობს: „*Лучше смерть, чем нищета в старости*“ [უმჯობეს არს სიკვდილი სიგლახაკესა სიბერისასა]. სიკვდილი და სიცოცხლე ღვთის ხელთაა და არა ჩვენს ხელთ. და თუ ვცოცხლობთ, ეს ნიშნავს, ღვთის ნებაა, რომ ჩვენ ვიცოცხლოთ თვით ყველაზე საშინელ, მათხოვრულ სიბერეშიც კი, ეულობაში, უშვილობაში... მივენდობი რა ღვთის გულმონყალების სასწაულს, რომელმაც დღემდე გაგვადლებინა, და თქვენს ჩვენზე ლოცვებს (ძალიან შეუძლოდ მყოფ C. И.-სთან ერთად⁸), სრულ თანხმობაში ვრჩები რუსთაველთან, რომელიც ამბობს: „*Милостив Создатель, хоть скупа стезя земная*“ (136) и „*В мире зло не*

⁸ ინიციალები პავლე სვეტლოვის მეუღლეს უნდა გულისხმობდეს.

долговечно, а добро во всех царств“ (198) [ლმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია] [931: 3] და [ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი] [1435: 4].

მრავლისმთქმელია და, ვფიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება P. S.-ს, რომელშიც სვეტლოვი გამოხატავს თავის განსაკუთრებულ სიყვარულს თბილისის მიმართ, სადაც მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები – ახალგაზრდობა – გაატარა.

რომელი თარგმანით ისარგებლა ავტორმა?

რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი პირველად კონსტანტინე ბალმონტმა შეასრულა 1915-1917 წლებში, მაგრამ ის გვიან გამოქვეყნდა: ჯერ პარიზში – 1933 წელს, შემდეგ კი, თბილისში, მოსკოვსა და ლენინგრადში 1935, 1936 და 1937 წლებში. 1937 წელს ამ პოემის კიდევ სამი რუსული თარგმანი გამოჩნდა: გიორგი ცაგარელის, ნიკოლოზ ზაბოლოცკისა და პანტელეიმონ პეტრენკოსი (შესრულებული კონსტანტინე ჭიჭინაძესთან თანამშრომლობითა და რედაქციით). ასე რომ, სვეტლოვის წერილის შედგენის დროს, 1938 წლის 14 ივლისისათვის, რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ეს ოთხი თარგმანი არსებობდა.⁹ განსაკუთრებული პოპულარობით ბალმონტისეული თარგმანი სარგებლობდა. 1933-იდან 1938 წლამდე ის ხუთჯერ გამოიცა; დაზუსტდა სათაურიც: 1936 წლამდე ეს თარგმანი დასათაურებული იყო ასე: „Носящий барсову шкуру“, 1936 წელს კი მთარგმნელმა სათაური დააზუსტა და როგორც ამ თარგმანისათვის, ისე რუსულენოვანი სხვა თარგმანებისათვის დამკვიდრდა ფორმა „Витязь в тигровой шкуре“. უეჭველია, სვეტლოვს ხელთ ჰქონდა პოემის რუსული თარგმანის 1936 წლის, ან მომდევნო წლების გამოცემები, რადგან მის წერილში დასტურდება სწორედ სათაური: „Витязь в тигровой шкуре“.

სვეტლოვის წერილის საიდენტიფიკაციო ნიშნების – ციტატებისა და გვერდების ნომერთა დასახელებულ თარგმანებთან და მათ 1939 წლამდე გამოცემებთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ავტორი სარგებლობდა ცაგარელისეული თარგმანით, რომელიც სახელმწიფო გამომცემლობამ, „Художественная литература“-მ, 1937 წელს გამოსცა.¹⁰ იმის მიუხედავად, რომ ეს გამოცემა რუსეთში, მოსკოვში განხორციელდა, ის ძირითადად მაინც ქართული გამოცემათამარ აბაკელიას ილუსტრაციებით, ბ. ავალიანის დიზაინით (ყდით, ფორზაციით, ტიტულით, ორნამენტებით) და ალექსანდრე სვანიძის წინასიტყვიით (გვ. 3-7), რომელმაც, ჩანს, პროფესორ სვეტლოვის ყურადღება განსაკუთრებული ძალით მიიპყრო და მან გააკრიტიკა კიდევ წინასიტყვაში განვითარებული თვალსაზრისი რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის შესახებ.

შემთხვევითობას ვერ მივანეროთ იმ ფაქტს, რომ განხილული დოკუმენტის წყაროდ გიორგი ცაგარელის თარგმანი გვევლინება. სპეციალისტიების შე-

⁹ Бабаян, Шота Руставели, с. 12 ; მენაბდე (რედ.), „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, გვ. 29-30.

¹⁰ Шота Руставели, *Витязь в тигровой шкуре*.

ფასებით, „ეს იყო დედნიდან შესრულებული პირველი თარგმანი, რომელიც დედანთან სიახლოვის გამო შემდგომ დიდად დაეხმარა რუსულ თუ უცხო ენებზე „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მთარგმნელებს“. ¹¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ალექსანდრე სვანიძე (1886-1942), რომლის წინასიტყვა ცაგარელისეული თარგმანის გამოცემას ამდიდრებს, გახლდათ იოსებ სტალინის ცოლისძმა, რაც მის სახელს იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პოპულარობას სძენდა. მას უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა გერმანიაში და ის რუსთველოლოგიაშიც ნაყოფიერად მუშაობდა ¹². ამასთანავე, გიორგი ცაგარელი დიდხანს ცხოვრობდა უკრაინაში და შესაძლებელია, მას პროფესორი სვეტლოვი პირადადაც იცნობდა და აღნიშნული გამოცემის ეგზემპლარი მთარგმნელმა მას თავადვე აახლა. უნდა ვიფიქროთ, რომ ღვთისმეტყველების დამსახურებული პროფესორისა და საქართველოს დიდი მეგობრის თვალში მეტი ნდობა „ვეფხისტყაოსნის“ იმ თარგმანმა დაიმსახურა, რომელიც ქართველი მთარგმნელის მიერ იყო შესრულებული და ქართველი სწავლულისაგან კომენტირებული.

ბუნებრივია, რომ პავლე სვეტლოვის ცალკეული რუსთველოლოგიური თვალსაზრისი საგანგებო განხილვას საჭიროებს. ამჟამად ჩვენი მიზანი შემოიფარგლება დოკუმენტის პუბლიკაციით მის ქართულ თარგმანთან ერთად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამიერიდან რუსთველოლოგიის ისტორია ახალი და თვალსაჩინო ფურცლით შეივსო.

პავლე სვეტლოვის წერილი კალისტრატე ცინცაძეს მიმართ (№ 172) ¹³

Блаженнейшему Каллистрату, Католикосу Патриарху Грузии, старейшему ученику отъ стараго учителя привет и пожелание „Святым Духом живитися“ и укреплятися и „о Господе радоватися“!

Обстоятельства позволили мне, наконец, дочитать Шота Руставели, и теперь я могу дать ответ на Ваш вопрос о мировоззрении его.

Поэма Руставели испытывает судьбу всех истинно-художественных произведений, лишенных тенденциозности и суб‘ективизма; известно, что литературоведы затрудняются, напр., в определении мировоззрения Шекспира; однако в книге Руставели, как и в произведениях Шекспира, внимательному чтению открывается возможность с вероятностью определить его. Руставели не язычник, не пантеист:

¹¹ მეგრელიძე, ცაგარელი გიორგი, გვ. 138.

¹² მეგრელიძე, აღმოსავლეთმცოდნე, გვ. 193-168; მეგრელიძე, *რუსთველოლოგები*, გვ. 264-272.

¹³ წარმოვადგენთ პ. სვეტლოვის წერილის დიპლომატიურ გამოცემას ქართული თარგმანითურთ. დიდ მადლობას ვუხდით ქ-ნ სალომე ყუბანეიშვილსა და ბ-ნ ვახტანგ კვანტალიანს ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს აღმოჩენილი დახმარებისათვის.

он монотеист, исповедующий веру в Бога, как ворца. Он не магометянин, так как Бог Руставели имеет все черты христианского Бога, а не Аллаха, и в его поэме с верою в Провидение наряду с роком или судьбою не видится абсолютного предопределения, так как Провидение здесь соотнобразуется в своих отношениях к людям с их нравственным достоинствам... Есть следы влияния философии Платона в том, что есть общаго в ней с христианством, напр., в мыслях о призрачности и изменчивости земного, о достоинстве духа и о превосходстве над телом, о самоубийстве и т. п. Нельзя сказать, чтобы поэма была слишком насыщена философиєю неоплатонизма (предисл. 5), но эхом неоплатонизма являются страницы, где последний тщится дать философское оправдание языческого обоготворения светил небесных (стр. 121-122, 139-140). Отзвуки иранско-персидского влияния можно видеть в XLVII, 203 и д. XLVIII, 206 и д. о злых духах (каджах); нельзя не заметить влияния Гомера «Одиссеи», но все эти влияния не изменяют общаго впечатления от поэмы Руставели, по своему духу занимающей почетное место в мировой литературе, воспевающей Христа, Божественный Разум, Слово или Логос, не называя Его. Вообще литературоведы по обычаю склонны искать человеческие источники в произведениях слова, а не в озарении человеческого ума и души истинным светом Слова, просвещающего всякаго человека, светившаго миру, об'ятому тьмою язычества, в лучших произведениях слова, в литературе и в философии. Богатые и высокие духом являются как-бы аккумуляторами животворящаго света Божественного Слова, оплодотворяющаго лучами Своими все лучшее в созданиях человеческого гения в литературе, науке, искусстве, философии; литературныя произведения в роде Руставели вследствие этого принимают вид эклектической философии, в роде философии Цицерона или в новом времени Кузена, только без их системы. Отсюда ясно следует, что Вы близки к истине, когда говорите, что „Руставели *«пленяет всякое помышление в послушание Христу»* (2 Кор. X, 5), т. е. что он Христианин в лучшем смысле этого слова“. В духе и смысле учения о Слове древние христианские апологеты называли последователей философии Платона и Пифагора „в некоторой мере христианами“ и не делали резкаго противопоставления философии Платона Христианству.

Лучшее, христианское, открывается в золотых россыпях многочисленных „афоризмах философскаго порядка“, во многом напоминающих изречения ветхозаветных мудрецов в книгах Прем. Сол., Зир., Еккл., Притч. Разумея, вероятно, патологическую старость (бывает старость добрая), творец Витязя в тигровой шкуре говорит: «Старость горше всех болезней», а ветхозаветный мудрец (автор кн. Притчей) идет даже дальше, говоря: «Лучше смерть, чем нищета в старости». Смерть и жизнь в руках Божиих, а не наших, и если живем, то, значит, Богу угодно, чтобы мы жили, даже в самой ужаснейшей нищенской старости,

заброшенной, бездетной, которой не обеспечено даже физическое существование, как кров и пища. Говорю это под тягостным впечатлением внезапного исчезновения из нашего скромного бюджета необходимого для уплаты за квартиру (пятидесяти руб. из семидесяти в месяц, а домовладельцы у немалосердные).

Поручая себя чуду милосердия Божия, доселе нас сохранявшего, и молитвам Вашим о нас с плохо выздравливающей С. И., остаюсь тем не менее в полном согласии с Руставели, что *«Милостив Создатель, хоть скупа стезя земная»* (136) и *«В мире зло не долговечно, а добро во всех царит»* (198).

Р. С. Привет сердечный Виссариону и всем помнящим нас! Привет Тифлису с горой Давида, рекой Курой, Муштайдом, с улицами, которыми я ходил в Семинарию, всему, обвеянному дорогими воспоминаниями верной памяти и сердца благодарного лучезарной Грузии за незабываемые от нея светлые впечатления лучших дней, невозвратной молодости!

Прот. Светлов
14 / 1. VI. 1938

უნეტარეს კალისტრატეს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უხუცეს მოსწავლეს მოიკითხავს მოხუცი მასწავლებელი და უსურვებს: „ცნობდით სულისა მიერ წმიდისა“ და გაძლიერდით და „იხარეთ უფლისა მიერ“!

ბოლოსდაბოლოს საშუალება მომეცა, ბოლომდე წამეკითხა შოთა რუსთაველი და, აი, შემიძლია ვუპასუხო თქვენს შეკითხვას მისი მსოფლმხედველობის შესახებ.

რუსთაველის პოემას წილად ხვდა ბედი ყველა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებისა, რომელიც თავისუფალია ტენდენციურობისა და სუბიექტივიზმისაგან. ცნობილია, თუ როგორ უჭირთ ლიტერატურათმცოდნეებს, მაგალითად, შექსპირის მსოფლმხედველობის გარკვევა. თუმცა რუსთაველის წიგნის, ისევე, როგორც შექსპირის ნაწარმოებების გულდასმით წაკითხვის შედეგად შესაძლებელი ხდება ამის დიდი ალბათობით განსაზღვრა. რუსთაველი არ არის წარმართი, არც პანთეისტი, ის მონოთეისტია, რომელიც აღიარებს ღმერთს, როგორც შემოქმედს. ის არ არის მაჰმადიანი, ვინაიდან რუსთაველის ღმერთს ახასიათებს ქრისტიანული ღმერთის ყველა ნიშანი, და არა ალაჰისა. მის პოემაში არ შეინიშნება რწმენა ბედისა თუ ბედისწერის აბსოლუტურად წინადადგენისა, ვინაიდან ბედისწერა იქ შეესაბამება ადამიანების ზნეობრივ ღირსებებს... შეინიშნება პლატონის ფილოსოფიის იმ ნაწილის კვალი, რომელიც მას ქრისტიანობასთან ანათესავებს. ასეთია, მაგალითად, აზრი სამყაროს მოჩვენებითობისა და ცვალებადობის შესახებ, სულის ღირსებისა და სხეულზე აღმატებულობის შესახებ, თვითმკვლელობის შესახებ და მისთ. ვერ ვიტყვით, რომ პოემა გადატვირთულია ნეოპლატონიზმის ფილოსოფიით (წინა-

სიტყვა 5 [7]). თუმცა ნეოპლატონიზმის გამოცხადებული იგრძნობა იმ სტროფებში, რომლებშიც [რუსთაველი] ფილოსოფიურ ახსნას უძებნის ციური მნათობების წარმართულ გაღმერთებას (გვ. 121-122, 139-140). ირანულ-სპარსული გავლენის გამოცხადებული ბოროტი სულების (ქაჯების) შესახებ შეიძლება დავინახოთ XLVII, [გვ.] 203 და სხ. და XLVIII, [გვ.] 206 და სხვა მუხლებში. ასევე შეუძლებელია არ შევნიშნოთ ჰომეროსის „ოდისეას“ გავლენა. მაგრამ ყველა ეს გავლენა არ ცვლის საერთო შთაბეჭდილებას რუსთაველის პოემაზე, რომელიც თავისი სულისკვეთებით საპატიო ადგილს იკავებს მსოფლიო ლიტერატურაში, იმ ლიტერატურაში, რომელიც დასახელების გარეშე ადიდება ქრისტეს, ღვთის გონს, სიტყვას ანუ ლოგოსს. ლიტერატურათმცოდნეები, ჩვეულებისამებრ, იჩენენ მისწრაფებას, ადამიანური სანყისი მოიძიონ მხატვრულ ლიტერატურაში, და არა ადამიანის გონებისა და სულის განათებაში ლოგოსის ჭეშმარიტი ნათლის მიერ, რომელიც განანათლებს ყოველ ადამიანს და წარმართობის სიბნელეში მყოფ სამყაროს ლიტერატურისა თუ ფილოსოფიის საუკეთესო სიტყვიერი ქმნილებების მეშვეობით. სულით მდიდარი და მაღალნი ღვთის სიტყვის ცხოველყოფელი ნათლის ერთგვარ შემკრებლებად გვევლინებიან და თავიანთი სხივებით ანაყოფიერებენ ყოველივე საუკეთესოს, რაც ადამიანური გენიის მიერ არის შექმნილი ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში. ამის გამო რუსთაველის სადარი ლიტერატურული ნაწარმოებები იძენენ ეკლექტური ფილოსოფიის სახეს მსგავსად ციცერონის ფილოსოფიისა, ანდა ახალი დროის კუზენის ფილოსოფიისა, ოღონდ მათი სისტემის გარეშე. აქედან ცხადია, და თქვენ ახლოს ხართ ჭეშმარიტებასთან, როდესაც ამბობთ, რომ რუსთაველი „წარმოსტყუენავს ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა (2 კორ. X, 5), ე. ი. ის არის ქრისტიანი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით“. ლოგოსის შესახებ მოძღვრების სულისკვეთებით გამსჭვალული ძველი ქრისტიანი აპოლოგეტები პლატონისა და პითაგორას ფილოსოფიის მიმდევრებს „გარკვეულნილ ქრისტიანებად“ მოიხსენიებდნენ და მკვეთრად არ უპირისპირებდნენ ქრისტიანობას პლატონის ფილოსოფიას.

ის, რაც საუკეთესო და ქრისტიანულია, გაცხადებულია მრავალრიცხოვან „ფილოსოფიური ხასიათის აფორიზმებში“. ისინი ხშირად გვაგონებენ ძველი აღთქმის ბრძენთა გამონათქვამებს: სიბრძნე სოლომონისა, ზირაქი, ეკლესიასტე, იგავნი. გულისხმობდა რა, ალბათ, მძიმე სიბერეს (არსებობს კეთილი სიბერეც), ვეფხისტყაოსნის შემოქმედი ამბობს: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“. ძველი აღთქმის ბრძენი (იგავთ წიგნის ავტორი) კი უფრო შორს მიდის და ამბობს: „უმჯობეს არს სიკვდილი სიგლახაკესა სიბერისასა“. სიკვდილი და სიცოცხლე ღვთის ხელთაა და არა ჩვენს ხელთ. და თუ ვცოცხლობთ, ეს ნიშნავს, ღვთის ნება არის, რომ ჩვენ ვიცოცხლოთ თვით ყველაზე საშინელ, მათხოვრულ სიბერეშიც კი, ეულობაში, უშვილობაში, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი ფიზიკური არსებობისათვის ისეთი საშუალებებიც კი, რო-

გორიცაა ჭერი და საკვები. ამას ვამბობ მძიმე შთაბეჭდილებით, რადგან ჩვენს მცირე ბიუჯეტს მოაკლდა ბინის ქირის აუცილებელი თანხა (ორმოცდაათი მან. ყოველთვიური სამოცდაათიდან, ბინის მფლობელი კი ულმობელია).

მივენდობი რა ღვთის გულმონყალების სასწაულს, რომელმაც დღემდე გაგვაძლებინა, და თქვენს ჩვენზე ლოცვებს, ძალიან შეუძლოდ მყოფ ს. ი.-სთან ერთად, სრულ თანხმობაში ვრჩები რუსთაველთან, რომელიც ამბობს: „ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“ (136) და „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (198).

P. S. გულითადი მოკითხვა ბესარიონ ზაქარიას ძეს და ყველას, ვისაც ვახსოვართ. მოკითხვა თბილისს თავისი მამადავითით, მდინარე მტკვრით, მუშტაეთით, ქუჩებით, სემინარიაში რომ დამატარებდნენ; მოკითხვა ყველაფერს, რაც უკავშირდება ჩემს ძვირფას მოგონებებს და რაც მადლიერების გრძნობით აღავსებს ჩემს გულს მზით გასხვიოსნებული საქართველოს მიმართ ნათელი შთაბეჭდილებების გამო, ჩემი გაფრენილი სიჭაბუკის დაუვნყარი დღეების გამო.

დეკ. სვეტლოვი
14 / 1. VI. 1938

დამონევაჲული ლიტერატურა

ეკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის = კ. ეკაშვილი [ცინცაძე], „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის, *შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი*, თბილისი, 1966.

მეგრელიძე, ცაგარელი გიორგი = ი. მეგრელიძე, ცაგარელი გიორგი კონსტანტინეს ძე (1893-1955), *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, 11, თბილისი, 1987.

მეგრელიძე, აღმოსავლეთმცოდნე = ი. მეგრელიძე, აღმოსავლეთმცოდნე და რუსთველოლოგი (აღ. სვანიძის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო), *მნათობი*, 8 (1962).

მეგრელაძე, *რუსთველოლოგები* = ი. მეგრელაძე, *რუსთველოლოგები*, თბილისი, 1970.

მენაბდე (რედ.), „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები = „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები. *ბიბლიოგრაფიული საძიებელი*, ლ. მენაბდის რედაქციით, თბილისი, 1992.

პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება = ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, 13 (1986).

პაპუაშვილი (გამოც.), კალისტრატე ცინცაძე = კალისტრატე ცინცაძე სარწმუნოების, მოქალაქეობისა და კულტურის შესახებ, ნ. პაპუაშვილი (გამოც.), *კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები*, თბილისი, 2014

სვეტლოვი, აღსრულებულ არს! = პ. სვეტლოვი, აღსრულებულ არს! (რამდენიმე საკითხი გამოსყიდვის დოგმატის შესახებ), *საღვთისმეტყველო კრებული*, 3, 1987.

ქავთარია (გამოც.), კ. ცინცაძე, ჩემი დაკითხვა = მ. ქავთარია (გამოც.), კ. ცინცაძე, ჩემი დაკითხვა, *მნათობი*, 9 (1990).

ქავთარია (გამოც.), ცინცაძე, მოგონებანი = კ. ცინცაძე, მოგონებანი არაშორეული წარსულიდან (ნაწყვეტები), მ. ქავთარია (გამოც.), კ. ცინცაძე, *თბულებანი ორ წიგნად*, 1 (მნიგნობრობა ქართული, 9), თბილისი, 2010.

შურლაია, *ელენე მეტრეველი* = *ელენე მეტრეველი (1917–2003)*, *ბიო-ბიბლიოგრაფია*, შემდგენელი: გ. შურლაია, თბილისი, 2007.

Бабаян, *Шота Руставели* = А. М. Бабаян, *Шота Руставели, 1712-1970*, Москва, 1975.

Богословский вестник, 1 = Богословский вестник, 1 (1), (1894).

Шота Руставели, *Витязь в тигровой шкуре* = Шота Руставели, *Витязь в тигровой шкуре*, Перевод с грузинского Георгия Цагарели под редакцией Вл. Элбснера, Москва, 1937.

FROM THE HISTORY OF RUSTVELOLOGY: PAVEL SVETLOV'S LETTER ABOUT RUSTAVELI ADDRESSED TO KALISTRATE TSINTSADZE

Abstract

The article is about a letter preserved in the private archive of Kalistrate Tsintsadze, Catholicos-Patriarch of Georgia (archive is kept at the K. Kekelidze National Centre of Manuscripts, Georgia), which was written by K. Tsintsadze's teacher, prominent Russian theologian, author of many scientific-theological works, Pavel Svetlov. The letter discusses the world-view of Shota Rustaveli's *Knight in the Panther's Skin*. In the paper is presented diplomatic edition of the letter (in Russian), which is supplemented by the Georgian translation prepared by the author of the article.

Nugzar Papuashvili

Georgian National Centre of Manuscripts

Tbilisi

Fr. Charles Renoux

Abbaye d'En Calcat

Dourgne, France

L'IMPORTANCE HISTORIQUE ET THÉOLOGIQUE DU IADGARI

Si l'on met à part les hymnes liturgiques, entiers ou fragmentaires, conservés dans les *Épîtres de Pierre et de Paul* et en d'autres livres de la Bible,¹ il n'existe aucune hymnographie liturgique qui soit représentative d'une situation antérieure au VIII^e siècle, comme l'est celle de *l'უძველესი იადგარი, l'užvelesi iadgari, le plus ancien iadgari*, publiée en 1980 par Mme Metreveli et ses collaboratrices, Mmes Č'ank'ievi et Xevsuriani.² Par ses différents hymnes, cette hymnodie géorgienne ancienne renvoie en effet aux trois pôles de la liturgie dominicale des Églises, celle que mentionnent déjà les *Actes des Apôtres*:³ la Louange matinale, le Repas eucharistique et l'Office du soir.

Deux groupes de documents différents ont servi à la publication de *l'ancien iadgari*. D'abord le célèbre manuscrit H-2123 du IX^e-X^e siècle,⁴ le *ჭილ-ეტრატის იადგარი, čil-etrat'is iadgari*, le plus ancien témoin hymnographique géorgien, mais seulement d'un point de vue codicologique,⁵ composé de feuillets entremêlés de papyrus et de parchemin; il est conservé au Centre National des Manuscrits Géorgiens de Tbilisi.⁶ En second lieu, les trois éditrices de *l'ancien iadgari* ont fait appel à un groupe de six manuscrits du X^e siècle

¹ Cf. M.-É. BOISMARD, *Quatre Hymnes baptismales dans la Première Épître de Pierre* (Lectio Divina 30), Paris, 1961, pp. 7-14; M. LATKE, *Hymnus. Materialien zu einer Geschichte der antiken Hymnologie*, Göttingen, 1991, pp. 231-273.

² Cf. E. METREVELI, C. Č'ANK'IEVI et L. XEVURIANI, *Užvelesi iadgari, Le plus ancien hymnaire*, Tbilisi, 1980 (en géorgien; désormais *iadgari* ou *l'ancien iadgari*). Les hymnes d'Éphrem de Nisibe († 373) et de Romanos le Mélode († vers 535) n'ont pas, comme le *iadgari*, de canons hymnodiques concernant l'ensemble des fêtes d'une année liturgique complète.

³ Cf. Actes 2, 42-47.

⁴ Cf. A. ŠANIŽE, A. MARTIROSOV et A. ĴIŠIAŠVILI, *Le iadgari sur papyrus et parchemin, édition et étude*, Tbilisi, 1977 (en géorgien); désormais A. ŠANIŽE et autres. Comme le *iadgari*, il contient les textes des célébrations (fêtes et jours ordinaires) de l'année liturgique pour lesquelles il est fréquemment lacunaire.

⁵ Les six manuscrits cités à la note 7, copiés un peu plus tardivement, possèdent en effet, on le verra par la suite, des textes plus anciens que n'a pas le *iadgari* sur papyrus et parchemin.

⁶ Lire la présentation faite par B. OUTTIER dans *Bedi Kartlisa, Revue de kartvélogie*, 37, 1979, pp. 336-341.

conservés au Couvent Sainte-Catherine du Sinäï, les codex Sinäï 18, 40, 41, 34, 26 et 20.⁷ Ces derniers reprennent pour les célébrations de l'année liturgique, mais en les enrichissant de tropaires qui leur sont propres, les hymnes du ქილ-ეტრატის იადგარი, le manuscrit H-2123; ils comportent aussi un oktoechos que n'a pas le ქილ-ეტრატის იადგარი, *čil-etratīs iadgari*, et enfin une célébration vespérale, le საღამოს ნირვა,⁸ *saḡhamos cirva*, l'offrande du soir, le lucernaire composé de quatre hymnes, dont le ms H-2123 ne comporte toujours que le premier;⁹ nous verrons plus loin la signification de cette restriction. Les pages ci-dessous sont consacrées uniquement à ces quatre textes du lucernaire des manuscrits du Sinäï, en vue de montrer combien l'hymnographie géorgienne ancienne se révèle riche d'histoire liturgique et de contenu théologique. Bien que depuis sa publication en 1980, *l'uḡvelesi iadgari* ait fait l'objet de nombreuses présentations, recherches, traductions, commentaires et études particulières, comme le détaille l'impressionnante bibliographie déclinée sur internet du Pr Stig Simeon Frøyshov de l'Université d'Oslo,¹⁰ il semble cependant qu'il y ait encore quelque intérêt à s'y investir. Les quatre textes de l'Office du soir du *iadgari*, auxquels sont consacrées ces pages, le ფსალმუნი, le *p'salmuni*, l'ოხითაჲ, *l'oxitai*, l'აქა აკურხევედით-სა, *l'ak'a akurtxevditsa* et les ჯუარისანი, *les ĵuarisani* offrent un terrain propre à manifester une nouvelle fois l'intérêt de l'ancienne hymnographie liturgique géorgienne.

Iadgari et histoire

Les références patristiques rassemblées par le Père Juan Mateos au sujet des textes de l'Office vespéral sont peu nombreuses et peu explicites.¹¹ Les *Constitutions apostoliques* de

⁷ Cf. E. METREVELI et autres, *Catalogue des manuscrits liturgiques géorgiens du Sinäï*, Tbilisi, 1978 (en géorgien), pp. 53-73, 73-77, 77-93, 143-152 et 153-156. Voir quelques précisions concernant ces documents dans les introductions rédigées à l'occasion de la traduction de leurs hymnes (cf. Ch. RENOUX, *Les Hymnes de la Résurrection I. Hymnographie liturgique géorgienne*, Paris, 2000, pp. 1-88 ; désormais Ch. RENOUX, 2000); IDEM, volume II, *Textes des manuscrits Sinäï 40, 41 et 34* (Patrologia Orientalis [désormais PO], t. 52, fascicule 1, № 231), Turnhout, 2010; IDEM, *Textes des manuscrits Sinäï 26 et 20* (PO, t. 52, fasc. 2, № 232), Turnhout, 2010; IDEM, *L'Hymnaire de Saint-Sabas (V^e-VIII^e siècle): Le manuscrit géorgien H-2123*, vol. I, *Du samedi de Lazare à la Pentecôte* (PO, t. 50, fasc. 3, № 224), Turnhout, 2008; IDEM, vol. II, *De la Nativité de Jean-Baptiste à la liturgie des défunts* (PO, t. 53, fasc. 3, № 237), Turnhout, 2015; IDEM, vol. III, *De la Nativité de Notre Seigneur Jésus Christ au Samedi de Lazare* (à paraître).

⁸ Traduction du grec du Ps 140, 2, ἡ θυσία ἐσπερινή.

⁹ L'existence d'un Office du soir dans le manuscrit H-2123 est manifestée par l'ordre suivant des hymnes: à l'უფალო ლაღადყავსა, *up'alo ḡaḡadqavsā*, *ô Seigneur, j'ai crié*, premier hymne de la célébration du *lucernaire*, succède immédiatement l'უგალობდითსა, *l'ugalobditsa*, *Au chantez*, premier hymne de l'Office du matin (cf. A. Šaniḡe et autres, pp. 39-40, 44, 60, 91, etc.).

¹⁰ Travail paru en 2013 en quatre parties dans le *Canterbury Dictionary of Hymnology*; sur internet, voir: <https://hymnology.hymnsam.co.uk/>, et pour Jérusalem: <https://hymnology.hymnsam.co.uk/r/rite-of-jerusalem>.

¹¹ J. MATEOS, Quelques anciens documents sur l'office du soir, dans *Orientalia Christiana Periodica* (désormais *OCP*), vol. XXXV, 1969/2, pp. 347-374.

l'année 380¹² indiquent de manière laconique: «*Vous vous rassemblez chaque jour pour prier... le soir (vous direz) le psaume 140*». ¹³ La pèlerine Égérie qui séjourna à Jérusalem dans les années 381-384¹⁴ est encore plus concise, elle si proluxe d'ordinaire, se contente de signaler qu'à l'Office du soir, le *licinicon*, τὸ λυχνικόν, «on dit les psaumes du lucernaire». ¹⁵ Cette énigmatique imprécision est riche toutefois, on le verra plus avant, en raison du pluriel qu'elle emploie pour désigner la partie psalmique de la liturgie vespérale: *psalmi lucernares*, écrit-elle. Dernier témoignage de la tradition grecque antérieure au VI^e siècle, l'homélie de Jean Chrysostome sur le Psaume 140: ce dernier était chanté tous les jours au dire du saint orateur. ¹⁶ Quant à des témoignages patristiques plus anciens qui informeraient sur la liturgie du *lucernaire* et sur le mode d'utilisation du Psaume 140, seul ou accompagné d'autres psaumes, on n'en connaît aucun jusqu'à maintenant. ¹⁷

Face à cette pénurie d'indications concernant la célébration de l'Office du soir et le mode d'utilisation du Psaume 140, la tradition liturgique hiérosolymitaine du V^e siècle conservée en géorgien projette une lumière nouvelle. En effet, alors que dans la version arménienne du *Lectionnaire de Jérusalem*, il n'est fait mention que très brièvement de la liturgie du *lucernaire* et de l'emploi du Psaume 140, ¹⁸ la version géorgienne du même document, plus tardive de quelques décennies, ¹⁹ signale plusieurs fois la présence de ce Psaume, ²⁰ et cela avec l'incipit de l'antienne qui accompagne le chant de ses versets. ²¹

Mais plus encore que la version géorgienne du *Lectionnaire de Jérusalem*, les quatre textes mentionnés précédemment des six manuscrits géorgiens du Sinaï²² (le ფსალმუნნი, le *p'salmuni*, l'ოხითაჲ, l'*oxitai*, l'აქა აკურხევედითა, l'*ak'a akurtxevditsa*, ჯუარისანი,

¹² Cf. M. METZGER, *Les Constitutions Apostoliques*, I (Sources Chrétiennes [désormais SC], № 320), Paris, 1985, pp. 57-60.

¹³ Cf. IDEM, *Les Constitutions Apostoliques*, I, livre II, 59, pp. 324-325.

¹⁴ ÉGÉRIE, *Journal de voyage (Itinéraire)*, introduction, texte critique (latin), traduction, notes, index et cartes par P. MARAVAL (SC 296), Paris, 1982, pp. 27-39 (désormais ÉGÉRIE).

¹⁵ EADEM, pp. 238-239.

¹⁶ Cf. PG (*Patrologiae cursus completus ... accurante* J.-P. MIGNE), t. 55, col. 427, Paris, 1862.

¹⁷ Voir S. BÄUMER, *Histoire du Bréviaire*, traduction française de R. BIRON, tome premier, Paris, 1909, pp. 146-157; A. BAUMSTARK, *Festbrevier und Kirchenjahr der syrischen Jakobiten*, Paderborn, 1910, pp. 106-121; A. BLUDAU, *Die Pilgerreise der Aetheria*, Paderborn, 1927, pp. 54-58 et 67; A. G. MARTIMORT, *L'Église en prière*, t. IV: *la liturgie et le temps*, Paris, 1983, pp. 173-190.

¹⁸ Cf. Ch. RENOUX, *Le Codex arménien Jérusalem 121* (PO, t. 35, fasc. 1, № 163; LA I désormais), Turnhout, 1969, pp. 169-184, et (PO, t. 36, fasc. 2, № 168; LA II désormais), Turnhout, 1971, pp. 210-211 et 238-253. L'omission résulte sans doute du fait que l'Office du soir s'ouvrait toujours avec le Psaume 140.

¹⁹ Cf. IDEM, LA I, pp. 22-24, et LA II, pp. 166-172.

²⁰ Cf. M. TARCHNISCHVILI, *Le Grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (V^e-VIII^e siècle)*, (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, 188-189 et 204-205; désormais LG), Louvain, 1959-1960, № 86, pp. 699, 716 et 895.

²¹ Cf. IDEM, № 86, et *iadgari*, p. 39, 24-28; № 699 et *iadgari*, p. 204, 29-35. La collusion entre les deux livres géorgiens – lectionnaire et hymnaire – est flagrante ici comme ailleurs.

²² Voir supra, p. 255, note 7.

les *ĵuarisani*) font progresser d'une manière notable la connaissance de l'Office vespéral des IV^e-V^e siècles. Ces quatre hymnes montrent en effet, de manière unanime, que le lucernaire géorgien ancien est d'origine hiérosolymitaine et comprend deux parties nettement distinctes: d'abord une section psalmique, transformée tardivement, on va le voir, puis un second moment que l'on pourrait appeler «la louange jérusalémite».

La partie psalmique remodelée

La partie psalmique de l'Office du soir de l'*ancien iadgari* comprend toujours trois volets: tout d'abord, les deux seuls premiers mots du Psaume 140, უფალო ღაღადყავსა, *up'alo ġaġadqavsā, ô Seigneur, j'ai crié*, suivis eux-mêmes, ce qu'il faut bien qualifier d'intrusion dans le schéma originel, d'une succession de tropaires dépourvue de titre; en deuxième lieu est inscrite intégralement une ὀξिताί, *oxitai*, une Prière, et enfin le Psaume 140, accompagné lui-même d'une antienne-refrain tirée de ce même psaume et destinée à être reprise après chacun de ses versets, conformément au mode de la psalmodie responsoriale.²³

Cette succession de textes où apparaît par deux fois la mention du Psaume 140 et où l'*oxitai, la prière*, est mise à une place différente, tantôt après les tropaires des voix modales 2-8, et tantôt après le Psaume 140 dans la voix modale 1, manifeste clairement qu'un bouleversement est survenu dans l'ordre originel des pièces de l'Office du soir. L'insertion dans l'office liturgique de tropaires chantés selon l'une ou l'autre des huit voix musicales, tradition qui aurait vu le jour au VII^e-VIII^e siècle au Couvent de Saint-Sabas et dont l'initiateur serait André de Crète,²⁴ est la cause d'un nouvel ordre des textes du *lucernaire*.²⁵ Auparavant, ce dernier s'ouvrait, selon les témoignages rapportés plus haut des *Constitutions Apostoliques* et de Jean Chrysostome, avec le chant du Psaume 140: «*Vous direz le Psaume 140*».²⁶ C'est une telle disposition que rappelle le *lucernaire* du *iadgari*, mais du Psaume 140, début primitif de cet Office il n'est resté que les deux premiers mots, უფალო ღაღადყავსა, *up'alo ġaġadqavsā, ô Seigneur, j'ai crié*, organes-témoins d'un état antérieur à l'adoption, au VII^e-VIII^e siècle, de compositions poétiques, les tropaires.²⁷ Toutefois, le Psaume 140, pièce maîtresse et traditionnelle de l'Office du soir dès le IV^e-V^e siècles,²⁸ ne pouvait être omis; aussi est-il chanté après les strophes poétiques, et là en entier, comme le signifie l'an-

²³ Cf. L. PETIT, Antiphone dans la liturgie grecque, dans *Dictionnaire d'Archéologie chrétienne et de Liturgie*, t. I, col. 2461-2468, Paris, 1907.

²⁴ Cf. Ch. RENOUX, 2000, pp. 55-57 et 72-76.

²⁵ Sur ce passage du texte biblique aux tropaires, voir M. HARL, *Voix de louange. Les Cantiques bibliques dans la liturgie chrétienne*, Paris, 2014, pp. 318-323.

²⁶ Voir supra, p. 256, note 12.

²⁷ La même disposition existe dans le *iadgari* pour les neuf Odes de l'*oktoechos* géorgien: elles ont chacune pour titre le premier terme de l'ode biblique géorgienne, vocable qui est lui-même une traduction du premier mot de l'ode biblique grecque. L'insertion de tropaires a fait disparaître, là encore, le texte biblique de l'ode dont il ne reste que le premier mot.

²⁸ «*Que ma prière monte devant toi comme l'encens, l'élévation de mes mains comme le sacrifice du soir*» (Ps. 140, 2).

tienne-refrain, დასადებელი, *dasadebeli*, dont la fonction est ici de s'intercaler entre les versets d'un psaume.²⁹ L'insertion de compositions non-bibliques dans l'Office vespéral a donc modifié son ordre initial. Cette disposition nouvelle des textes dans *l'ancien iadgari* montre aussi comment s'est effectué, dans l'Office divin des rites orientaux, le passage de la psalmodie à l'hymnodie: le chant des psaumes a disparu au profit de strophes poétiques, les tropaires, comme l'explique la remarquable démonstration des pages de L. Petit.³⁰

Cependant, la mention par deux fois du Psaume 140 dans l'Office du soir de *l'ancien iadgari*, ne signifie pas qu'il ait toujours été le seul psaume que l'on y chantait. Remarquons d'abord qu'il est inséré dans l'Office du *lucernaire* sans le chiffre numérique «140» qui lui donnerait une position claire dans le Psautier. La première fois, où il est cité, avant les tropaires, c'est uniquement par ses deux premiers mots, უფალო დაღადყავსა, *up'alo gāgādqavsā*, *ô Seigneur; j'ai crié*;³¹ et la seconde fois, après l'*oxitai*, c'est encore le premier mot du verset 2 du même psaume 140 qui l'introduit, ნარემართე, *caremart'e*, *que monte-ma prière*. Pareille absence de numérotation semble déjà signifier à elle seule que la psalmodie ne se réduit pas au seul Psaume 140, mais que ce dernier entraînait d'autres psaumes à sa suite.³²

L'*Itinerarium* d'Égérie qui décrit l'Office hiérosolymitain des années 381-384,³³ confirme cet usage. En effet, dans sa description du *lucernaire*, la pèlerine mentionne les *psalmi lucernares*,³⁴ les *psaumes du lucernaire*, un pluriel que toutefois elle ne justifie pas, en précisant le nombre de ces psaumes chantés et leur place dans le Psautier;³⁵ elle signale seulement que la psalmodie dure «*diutius, assez longtemps*». Il faut recourir à la version arménienne du *Lectionnaire de Jérusalem*, reflet d'une situation liturgique antérieure à 439,³⁶ pour décrypter les allusions faites à ce seul Psaume 140 dans *l'ancien iadgari*. En effet, l'Office de la nuit du Grand jeudi au Grand vendredi à Jérusalem, à l'époque où s'y trouvait Égérie, est pourvu selon le *Lectionnaire arménien* de 15 psaumes au sujet desquels une rubrique précise qu'ils seront dit *trois par trois*,³⁷ une unité psalmique appelée en arménien, ԳՆԻՍԱՊԱՅԻՆՈՒ,

²⁹ Cf. L. PETIT, Antiphone dans la liturgie grecque.

³⁰ IDEM, où l'auteur donne des exemples de refrains qui pouvaient ne comporter que quelques mots et donc être repris sans difficulté par les fidèles.

³¹ Et c'est aussi le cas pour les hymnes accompagnant les neuf odes bibliques. Comme dans les lectionnaires anciens, psaumes et lectures ne sont pas toujours annoncés par des chiffres indiquant leurs places dans la Bible; rédacteurs et lecteurs anciens savaient situer un texte de la Bible seulement d'après son incipit.

³² Est-ce déjà l'existence des cathismes, sections du psautier?

³³ Cf. ÉGÉRIE, pp. 27-39.

³⁴ Cf. EADEM, pp. 238-239.

³⁵ Voir dans A. BLUDAU, *Die Pilgerreise der Aetheria*, Paderborn, p. 56; V. JANERAS, *La partie vespérale de la Liturgie byzantine des Présanctifiés*, dans OCP 30 (1964), pp. 212, 217-222, et J. MATEOS, *Quelques anciens documents*, OCP 35 (1969), p. 361, pages où sont dressées des listes de psaumes qui pouvaient être chantés les uns à la suite des autres.

³⁶ Cf. Ch. RENOUX, LA I, pp. 169-188 et LA II, pp. 166-172.

³⁷ IDEM, LA II, pp. 270-273. Égérie indique elle aussi (p. 245) qu'à la vigile du dimanche les psaumes sont dits trois par trois.

գորադայիւն, *gobala*,³⁸ dont seul est copié l'incipit du premier psaume de la triade. La même organisation du chant des psaumes est attestée en plusieurs Églises.³⁹ C'est à cette manière de psalmodier que renvoie l'ancien hymnaire géorgien; il n'existe pas, en effet, de liturgie vespérale qui n'ait comporté la lecture ou le chant que d'un seul psaume. *L'ancien iadgari* plonge donc ses racines dans les usages des liturgies anciennes, en particulier ceux que décrivent, pour Jérusalem, Égérie à la fin du IV^e siècle (*psalmi lucernares*) et le *Lectionnaire arménien de Jérusalem* avant 439 (le *gobala*).

Le second texte de la première partie de l'Office du soir ԼՕԽԾԾԶ, l'*oxitai*, la prière, apparaît lui aussi, en raison des places différentes qu'il occupe dans la liturgie vespérale du *iadgari*, comme la victime de l'insertion au VII^e-VIII^e siècle de compositions poétiques. Le dix-septième canon du Synode de Laodicée, dont la date est incertaine (fin du IV^es.?), rappelle en effet que «dans l'assemblée des fidèles il ne convient en aucune manière de dire les psaumes en série continue, mais d'insérer entre chacun d'eux une lecture»,⁴⁰ c'est-à-dire une prière sacerdotale, comme l'explique, au XIV^e siècle, Syméon de Thessalonique.⁴¹ Avant l'insertion des tropaires, l'*oxitai* était en effet en dépendance directe des Psaumes 140 et suivants. Cette succession, *Psaume-Prière*, affirmée dans le *de Institutis cœnobiorum* de Cassien et le *de Virginitate* attribué faussement à Athanase d'Alexandrie,⁴² est présentée avec précision, pour Jérusalem, par la pèlerine Égérie. Dans sa description de la vigile dominicale, elle signale en effet que «dès que le peuple est entré, l'un des prêtres dit un psaume et tous répondent, après quoi on fait une prière... un des diacres dit un psaume et on fait de même une prière... un troisième psaume est dit par un clerc, et l'on fait une troisième prière». ⁴³ Une Prière s'insérait donc entre chacun des psaumes, c'est-à-dire entre les groupes de psaumes, comme l'indiquent les versions arménienne et géorgienne du *Lectionnaire de Jérusalem* pour l'Office de la nuit du jeudi saint.⁴⁴ C'est à cette forme de «psalmodie-prière» que se rattachent les manuscrits géorgiens de *l'ancien iadgari* lorsqu'ils prescrivent une *oxitai*, une Prière, après le Psaume 140 réduit à ses deux premiers mots en raison de l'insertion de strophes poétiques.

³⁸ Cf. G. WINKLER, The armenian night Office II, dans *Revue des Études arméniennes* 17 (1983), pp. 472-551 (voir pp. 476-483).

³⁹ Le traité *de Virginitate* attribué à tort à saint Athanase (cf. *Clavis Patrum Graecorum*, t. II, Turnhout, 1974, № 2248) prévoit ces mêmes dispositions (cf. J. MATEOS, *Office de minuit et Office du matin chez saint Athanase*, dans OCP 28, 1962, p. 174).

⁴⁰ Cf. P. P. JOANNOU, *Les canons des synodes particuliers* (Fonti, fasc. IX, Discipline Générale Antique, IV^e-IX^e s.), Grottaferrata, 1962, p. 137.

⁴¹ Cf. H. CHIRAT, dans son compte-rendu (*Revue du Moyen Age Latin*, t. 5/1, 1949, pp. 247-254) du livre de L. BROU, *The Psalter Collects from V-VI Centuries Sources*, Henry Bradshaw Society, vol. 83, London, 1949.

⁴² Cf. J. MATEOS, Office de minuit et du matin chez s. Athanase, dans OCP 28 (1962), pp. 173-180.

⁴³ ÉGÉRIE, pp. 242-245. Sur l'*oratio* dans l'*Itinerarium Egeriae*, voir E. BERMEJO CABRERA, *La Proclamation de la Escritura en la liturgia de Jerusalem*, Jerusalem, 1993, pp. 108-112.

⁴⁴ Cf. LA II, pp. 268-273, et LG, № 642-664.

Quant aux textes eux-mêmes de cette *Prière* après le psaume, nous n'en avons pour trace que l'ოხითაჲ, l'*oxitai* elle-même du *iadgari* géorgien, attestée par le célèbre codex ქილ-ეტრატის, *čil-etratis*,⁴⁵ et les six manuscrits du Sinaï mentionnés précédemment.⁴⁶ S'agit-il dans ces textes-*oxitai*, de caractère laudatif ou déprécatif,⁴⁷ d'une prière du prêtre ou d'une réponse des fidèles? On ne saurait le dire. Il faut cependant signaler qu'une très lointaine postérité de ces oraisons du IV^e siècle, connues du rite géorgien ancien à la suite de Cassien, d'Athanase et d'Égérie, a survécu dans les liturgies latines jusqu'au XI^e siècle avec les *Collectes du Psautier* éditées par Louis Brou.⁴⁸

L'analyse précédente montre donc qu'avant sa byzantinisation, à partir du IX^e-X^e siècle,⁴⁹ la liturgie géorgienne ancienne était en lien avec les usages d'autres Églises, et particulièrement, on va le voir par les deux textes suivants, avec ceux de l'Église de Jérusalem.

La louange jérusalémite

Les deux derniers hymnes de l'Office du soir de l'*ancien iadgari* géorgien, l'აქაკურთხევდითსა, *ak'a akurtxevditsa*, *Ici, au Bénissez*, et le ჯუარისანი, *juarisani*, *Les (hymnes) de la Croix*, mettent en évidence la relation tout à fait particulière du rite géorgien ancien avec la liturgie du IV^e siècle de la Ville Sainte.

Notons d'abord, et cela mérite d'être souligné: le manuscrit H-2123 conservé au Centre National des Manuscrits Géorgiens de Tbilisi, le célèbre ქილ-ეტრატის იადგარი, *čil-etratis iadgari*, qui prévoit parfois un Office du Soir pour les célébrations de l'année liturgique, n'inclut jamais cette seconde partie du lucernaire,⁵⁰ alors qu'il atteste l'ოხითაჲ, l'*oxitai*, conformément à la pratique des autres Églises codifiée dans la recommandation du dix-septième canon du Synode de Laodicée.⁵¹ Du fait de cette absence, le document de papyrus et de parchemin dévoile de manière probante son origine sabaïte:⁵² on ne pouvait, en effet, au Couvent de Saint-Sabas du désert de Judée, pratiquer des rites, faire des processions et

⁴⁵ Cf. A. ŠANIŽE et autres, 1977, pp. 7, 8, 10, etc.

⁴⁶ Voir supra, p. 255.

⁴⁷ Cf. Ch. RENOUX, 2000, pp. 144, 178, 216, 256, etc.

⁴⁸ Voir l'ouvrage de L. BROU référencé à la note 41; P. VERBRAKEN, *Oraisons sur les 150 psaumes* (Lex Orandi 42), Paris, 1967, pp. 10-20; A.G. MARTIMORT, *L'Église en Prière*, IV, *la liturgie et le temps*, Paris, 1983, pp. 221-223.

⁴⁹ Cf. J. KARST, *Littérature géorgienne chrétienne*, Paris, 1934, p. 23; M. TARCHNISCHVILI, *Geschichte der kirchlichen Literatur* (Studi e Testi 185), Città del Vaticano, 1955, pp. 34-39; B. MARTIN-HISARD, *Christianisme et Église dans le monde géorgien*, dans *Histoire du Christianisme* sous la direction de J.-M. MAYEUR et autres, t. 4, Paris, 1993, pp. 549-603.

⁵⁰ Le rite arménien ancien, héritier comme le rite géorgien des structures liturgiques jérusalémites des IV^e-V^e siècles, n'a également rien de semblable dans son ordonnance de l'Heure vespérale (cf. *Breviarium Armenium*, ... , Venetiis in Insula Lazzari, 1908, 210-238).

⁵¹ Cf. supra, p. 259.

⁵² Voir aussi d'autres preuves de l'origine sabaïte du manuscrit dans Ch. RENOUX, 2000, pp. 9-13.

chanter des hymnes qui n'étaient adaptés qu'à la topographie et aux usages liturgiques hiérosolymitains. L'exemple suivant le prouve à nouveau.

Avant-dernier hymne de l'Office du Soir, l'აქა აკურთხევდითსა, *ak'a akurtxevditsa, Ici, au Bénissez*, ne fait pas allusion à un texte psalmique, comme pourrait le faire accroire le terme *Bénissez* si fréquent dans le Psautier. Il faut exclure aussi que cette appellation *ak'a akurtxevditsa* dénote quelque lien de parenté avec les odes 7 et 8 du canon de l'*oktoechos* du *iadgari*, intitulées respectivement კურთხეულ არსა, *kurtxeul arsa, Au béni es-tu*, et აკურთხევდითსა, *akurtxevditsa, Au bénissez*.⁵³ Ces deux odes du canon hymnique, dont les tropaires ont remplacé les textes du prophète Daniel, 3, 26-56 et 3, 57-88 constellés eux-mêmes du terme *béni კურთხეულ, kurtxeul*, sont en effet insérées uniquement entre les odes 6 et 9 du canon de l'*oktoechos* dont elles font régulièrement partie:⁵⁴ leurs thèmes sont étrangers à ceux de l'hymne აქა აკურთხევდითსა, *ak'a akurtxevditsa, Ici, au Bénissez*, du *lucernaire*. La signification de cette titulature, აქა აკურთხევდითსა, *ak'a akurtxevditsa, Ici, au Bénissez*,⁵⁵ syntagme introduisant le premier hymne de l'Office du soir, ne se déchiffre de manière exacte qu'en faisant recours au texte de la pèlerine Égérie. Lorsque celle-ci décrit la finale du *lucernaire* qui vient d'être célébré à la basilique de l'Anastasis, elle déclare en effet par deux fois: «*Alors, debout, l'évêque dit une bénédiction sur les catéchumènes*», puis une seconde fois: «*l'évêque bénit les fidèles, puis on fait le renvoi de l'Anastasis*».⁵⁶ Deux bénédictions de *renvoi*⁵⁷ données par l'évêque sont ainsi prononcées en la basilique de l'Anastasis, აქა, *ak'a, ici*, avant que l'assemblée ne la quitte pour se rendre à l'église de la Croix, le Golgotha. Le vocable აკურთხევდითსა, *akurtxevditsa, au Bénissez*, n'est donc pas ici un terme biblique, contrairement au titre analogue introduisant les odes 7 et 8 du canon de l'*oktoechos*, mais il fait allusion au geste de bénédiction qu'accomplissait l'évêque sur les catéchumènes puis sur les fidèles au départ de l'Anastasis, აქა, *ak'a, ici*. Ce rite, répété deux fois sur les assistants au *lucernaire* et réclamant donc quelques instants, était ainsi accompagné d'un hymne, l'აკურთხევდითსა, *akurtxevditsa, au Bénissez*, dont le nom est calqué sur celui du geste de l'évêque qui *bénissait* catéchumènes et fidèles à la fin de l'Office du soir. L'*ancien iadgari* est ainsi l'unique témoin d'un hymne qui n'a donc pu voir le jour qu'après la construction constantinienne de l'Anastasis en 325, – აქა, *ak'a, ici*, l'Anastasis –, et c'est l'*Itinerarium* d'Égérie qui donne la clef nécessaire à la complète compréhension de son titre აქა აკურთხევდითსა, *ak'a akurtxevditsa, Ici, au Bénissez*, et de l'hymne qu'il introduit. Le lien entre l'*Itinerarium* et l'*ancien iadgari* montre une fois de plus l'intérêt de l'hymnodie géorgienne ancienne: elle est la seule à attester, en finale d'un

⁵³ Cf. E. METREVELI, 1980, pp. 9, 17, 18, 25, 33, etc.

⁵⁴ Cf. A. ŠANIŽE et autres, 1977, pp. 9, 11, 14, etc.; E. METREVELI, 1980, pp. 376, 390, 408, etc.

⁵⁵ Soulignons l'emploi de l'adverbe აქა, *ak'a, ici*, qui sous-entend nécessairement le lieu d'une action.

⁵⁶ ÉGÉRIE, pp. 249-241.

⁵⁷ «*missa*», en latin, c'est ainsi qu'Égérie les appelle (cf. note 56). Sur le sens des vocables *missa* et *benedictio*, souvent repris dans l'*Itinerarium Egeriae*, voir E. BERMEJO CABRERA, 1993, pp. 46-56 et 113-132.

Office du soir, d'une cérémonie de bénédiction accompagnée d'un chant, écho sans doute de celui du IV^e siècle. Mais ce rite n'était pas seulement processionnel: il visait aussi, par le lieu où il se déroulait et les textes qui l'accompagnaient, à rappeler l'apogée du Mystère du Salut, la Résurrection du Christ source de toute bénédiction, là même où elle s'était produite, l'Anastasis, l'ἀνάστασις édifiée par l'empereur Constantin. Citons quelques strophes de strophes chantées au moment où les fidèles quittaient l'église de l'Anastasis pour se rendre à celle de la Croix: «Chantons la Résurrection, l'*Anastasis*, nous qui nous tenons dans la maison de Dieu; chantons le Seigneur qui nous a sauvés par *la Croix*; le Christ a pris sur lui d'être crucifié et le troisième jour il est ressuscité et il nous a donné de ressusciter».⁵⁸ Ces hymnes consonnent vraiment avec le nom des sanctuaires où ils retentissaient.

Le nom du dernier hymne de l'Office du soir, ჯუარისანი, *juarisani*, *Les De la Croix*, est assorti d'une désinence plurielle en géorgien, car ainsi que l'indique Égérie il fallait des *hymnes*, *cum ymnis*, écrit-elle, pour se rendre de l'Anastasis au lieu dénommé La Croix.⁵⁹ C'est bien à une église, en effet, que font allusion ces strophes ჯუარისანი, *juarisani*, et non à la relique de la croix que détenait alors l'Église de Jérusalem.⁶⁰ Ce lieu, *La Croix*, ჯუარი, *juari*, en géorgien, un vaste parvis situé au sud-est de l'Anastasis,⁶¹ était désigné de la même manière en grec, «ὁ σταυρός». En effet, Jean Moschus, qui séjourna à Jérusalem dans les années 575-593,⁶² appelle plusieurs fois ce lieu «*la Sainte-Croix*, τὸν ἅγιον σταυρόν, ou encore *la cour d'entrée de la Sainte-Croix*, τοῦ μεσαλίου τοῦ ἁγίου σταυροῦ». Il s'agit donc bien du lieu où s'achevait le *lucernaire* au dire de la pèlerine Égérie.⁶³ Le premier traducteur géorgien qui a dénommé ჯუარისანი, *juarisani*, *Les De la Croix*, c'est-à-dire les hymnes chantés à la Croix, (le Golgotha), avait donc sous les yeux un texte d'origine grecque qui appelait aussi ces hymnes, «*Les de La Croix*», car la liturgie était en effet célébrée en grec à Jérusalem.⁶⁴ Peu nombreuses et habituellement courtes, ces strophes *De la Croix* du *iadgari* n'étaient chantées qu'au lieu dénommé *La Croix* ou *La Sainte-Croix*; on ne les trouve nulle part ailleurs, ni dans les huit voix de l'*oktoechos* géorgien ancien, ni dans l'*Hymnaire de Saint-Sabas* dont la liturgie était calquée sur celle de Jérusalem.⁶⁵ Voici l'une d'entre elles qui rappelle le souvenir de la croix du Christ au Golgotha et du salut qu'elle a engendré: «*Ta croix, ô Christ, a illuminé les extrémités du ciel et elle a érigé les Églises; elle a fait voir les yeux des aveugles et marcher les boiteux, elle nous a tracé le chemin pour monter au ciel, et*

⁵⁸ Ch. RENOUX, 2000, pp. 106, 145,

⁵⁹ Cf. ÉGÉRIE, pp. 240-241.

⁶⁰ EADEM, pp. 284-291. La relique de la Croix resta en possession de l'Église de Jérusalem jusqu'en 635, date à laquelle, face aux menaces de l'invasion arabe, elle fut transportée à Constantinople (cf. A. FROLOW, *La relique de la vraie croix*, Paris, 1961, pp. 62-66 et 188-189).

⁶¹ H. VINCENT et F. M. ABEL, *Jérusalem Nouvelle*, tome second, Paris, 1914, pp. 185-189, 198-201.

⁶² Cf. Jean Moschus, *Le Pré Spirituel. Introduction et traduction* de M.-J. ROUËT DE JOURNAL (SC 12), Paris, 1946, pp. 7-12.

⁶³ Cf. ÉGÉRIE, pp. 240-241.

⁶⁴ EADEM, pp. 314-315, mais le terme grec désignant ces hymnes n'est pas connu.

⁶⁵ Cf. Ch. RENOUX, 2008 (PO, t. 50, fasc. 3, № 224, p. 247-249).

elle nous a manifesté la vie éternelle».⁶⁶ La encore, il y a corrélation parfaite entre le texte et le lieu où il était chanté.

Ainsi, en accompagnant la sortie de l'église de l'Anastasis et la venue à celle de la Croix, les deux hymnes, აქა აკურთხევედითსა, *ak'a akurtxevditsa*, et ჯუარისანი, *juarisani*, d'origine incontestablement jérusalémite, proclamaient le noyau central du Mystère du salut que l'empereur Constantin avait voulu graver dans la pierre: Croix et Résurrection sont inséparables.

Iadgari et Théologie

Ce rapide exposé sur les quatre hymnes du *lucernaire* de l'ancien *iadgari* géorgien serait incomplet, si l'on ne faisait pas allusion au milieu spirituel où ils ont vu le jour. Ce n'est pas uniquement, en effet, la splendeur des constructions constantiniennes du IV^e siècle, encore dans leur nouveauté, que l'on honorait en y célébrant selon le rituel bien décrit par l'*Itinerarium Egeriae* dans les années 381-384. L'Économie rédemptrice, opérée par le Christ et inscrite dans la pierre du Martyrium, de la Croix et de l'Anastasis, était sans cesse proclamée par les processions en ces lieux et les hymnes que l'on y chantait. L'hymnodie géorgienne ancienne est ainsi la seule qui laisse apparaître constamment et visuellement la source locale d'où elle provient. Celle-ci s'écoule toujours selon un double registre, sotériologie et christologie, celui-là même des *Catéchèses* de l'évêque Cyrille de Jérusalem (349-386), organisateur avec ses prédécesseurs Macaire (314-335) et Maxime († vers 348), de la liturgie stationnelle commémorative de la Ville Sainte. Cyrille n'a cessé, en effet, de mouler son enseignement aux catéchumènes en des formules que reprennent çà et là les hymnes géorgiens: «*Le Christ noya dans la mer Pharaon et ses chars, le Verbe de Dieu monta sur le bois, tu nous donnas ta croix pour vaincre l'ennemi et affermir les Églises*». Les actions de Dieu dans l'histoire sont ainsi rapportées au Verbe incarné, ce qui est aussi une réplique claire aux négateurs ariens de la divinité du Christ contre lesquels Cyrille de Jérusalem lutta durant sa vie.⁶⁷ Les vocables *corps* et *chair* sont aussi de ceux qui reviennent souvent dans ces hymnes à propos du Verbe de Dieu; son incarnation dans une chair en tout point humaine rappelle ainsi fréquemment la profession de foi du concile de Nicée (325) qui condamna les thèses d'Arius. Le contenu de cette hymnodie liturgique en accord avec le Credo nicéen invitait ainsi les fidèles à tourner leur piété vers le Christ: c'est lui, le Verbe de Dieu qui est le Sauveur, et c'est autour des événements de sa vie rédemptrice, Passion, Mort et Résurrection, sans cesse rappelée par les édifices constantiniens où l'on processionnait et les textes que l'on y chantait, que gravitent les strophes du *lucernaire* de l'ancien *iadgari*. Pareille œuvre hymnodique, connue uniquement en géorgien, apparaît réellement comme un grand texte chrétien

⁶⁶ IDEM, 2000, p. 257.

⁶⁷ Cf. M. SIMONETTI, *La crisi ariana nel IV secolo* (Studia Ephemeridis «Augustinianum», 11), Roma, 1975, pp. 206-209.

qui concerne non seulement l'histoire de la liturgie géorgienne, mais aussi la théologie et la spiritualité de toutes les Églises chrétiennes.

Aussi en terminant cet aperçu trop bref sur les quatre hymnes géorgiens de l'Office du soir de *l'ancien iadgari*, il est nécessaire de rendre hommage à Mme Elena Metreveli qui, aidée de ses collaboratrices, Mmes Cankievi et Xevsuriani, s'est engagée dans le long travail d'édition de *l'უძველესი იადგარი, l'užvelesi iadgari, le plus ancien hymnaire* de la tradition liturgique géorgienne. Pour avoir, durant plusieurs années, vécu et déjeuné avec elle chez sa sœur, Mme Khétévan Kharashvili, je sais l'intérêt qu'elle portait à ce monument hymnique dont elle désirait qu'il soit travaillé. Des lignées d'historiens des textes liturgiques continueront, en s'y référant, à l'en remercier.

იადგარის ისტორიული და თეოლოგიური მნიშვნელობა

რეზიუმე

ელენე მეტრეველის, ცაცა ჭანკიევისა და ლილი ხევსურიანის მიერ 1980 წელს გამოცემული „უძველესი იადგარი“, რომელიც ეფუძნება IX-X საუკუნეების ხელნაწერებს, წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ლიტურგიკულ და ჰიმნოგრაფიულ კრებულს. „უძველესი იადგარის“ გარდა არ არსებობს არც ერთი ჰიმნოგრაფიული ძეგლი, რომელიც ასახავს VIII საუკუნეზე ადრეულ ლიტურგიკულ ტრადიციას. ეს თვალნათლივ იკვეთება საღამოს წირვის ოთხი ჰიმნის მიხედვით.

პირველი ჰიმნი, ანუ ფსალმუნი, ასახავს საღამოს წირვის ჩატარების ტრადიციას აღმოსავლეთის ეკლესიებში და გვიჩვენებს, როგორ მოხდა გადასვლა ფსალმუნიდან რვახმიან საგალობელზე დაახლოებით VII-VIII საუკუნეებში. ეს ცვლილება, სავარაუდოდ, ანდრია კრეტელის (660-740) მიერ შემოღებულ ტრადიციას უკავშირდება. ფსალმუნების შემადგენელმა საგალობლებმა და ბიბლიურმა ტექსტებმა ადგილი დაუთმო უცნობი ავტორის მიერ შექმნილ პოეტურ კომპოზიციებსა და ტროპარებს. ფსალმოდინში დარჩა მხოლოდ ფსალმუნის ფრაგმენტები და ბიბლიის საკითხავები. ეს კარგად ჩანს საღამოს წირვის პირველ საგალობელში, რომელშიც შემორჩენილია 140-ე ფსალმუნის დასაწყისი ფრაზა *უფალო ღაღადყავსა*, რომელიც უძღვის ჰიმნის ტექსტს.

მეორე ჰიმნის სახელწოდებაა *ობითაი*. ლაოდიკონის სინოდის (IV ს.) კანონის მიხედვით, *ობითაი* წარმოითქმოდა სამი ფსალმუნისაგან შემდგარი ჰიმნების ჯგუფის შემდეგ. იერუსალიმში IV საუკუნეში მოქმედი ფსალმოდინის მიხედვით ამ ჰიმნის შესრულების ტრადიციის შესახებ მოგვითხრობს პილიგრიმი ქალი ეგერია, რომელიც იერუსალიმში სალოცავად იმყოფებოდა 381-384 წლებში. *ობითაი*-მ დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია ნაკითხული-

ყო ფსალმუნების შემდეგ. წმინდა საბას ჰიმნების კრებულში და ქართულ ოქტოიხოსში ის ტროპარების შემდეგაა განთავსებული, ფსალმუნის საგალობელი კი ამოღებულია.

ბოლო ორი ჰიმნი – *აქა აკურთხევდითსა და ჯუარისანი* ზუსტად ექვემდებარება სალამოს წირვის შესრულების ტრადიციას, რომელიც სრულდებოდა იერუსალიმში IV საუკუნეში. სალამოს წირვის ეს ტრადიციაც აღწერილი აქვს მომლოცველ ეგერიას.

ამ ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტების ქრისტოლოგია ეხმიანება კირილე იერუსალიმელის († 386) ქადაგებას კათაკმეველებისადმი, რომელიც იცავდა ქრისტეს ღვთიურ ბუნებას და მიმართული იყო არიანელი მწვალებლების წინააღმდეგ.

მამა შარლ რენუ
ანკალკატის მონასტერი
დურნი, საფრანგეთი

ვერონიკ სომერსი, თამარ პატარიძე

ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
ბელგია

გრიგოლ ნაზიანზელი: ლუვენ-ლა-ნევისა და თბილისს, ბეჭდურ გამოცემებსა და ონლაინ „თესაურუსებს“ შორის

როცა ასეთი სათაური ავირჩიეთ მოხსენებისთვის – „გრიგოლ ნაზიანზელი, ლუვენ-ლა-ნევისა და თბილისს, ბეჭდურ გამოცემებსა და ონლაინ თესაურუსებს შორის“, ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს სათაური უცნაურია – ცხადია, გრიგოლ ნაზიანზელმა არაფერი იცოდა ამ ორი ქალაქის არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სწორედ მან მოგვცა შესაძლებლობა, ამ ქალაქებში მდებარე ორ მნიშვნელოვან კვლევით ცენტრს შორის, ღრმა სამეცნიერო თანამშრომლობა გაგვევითარებინა. ქალბატონ ელენე მეტრეველს ჩვენ არასოდეს შევხვედრით, მაგრამ ბევრი რამ გვსმენია მის შესახებ, განსაკუთრებით, პროფესორ ჟუსტენ მოსესაგან. ის ქართულად არ ლაპარაკობდა, ამიტომაც საქართველოში ჩამოსვლისას ყველა საშუალებას იყენებდა, რომ ადამიანებთან კომუნიკაცია დაემყარებინა. მაგალითად, ჩანახატებს აკეთებდა და ამ გზით აგებინებდა ადამიანებს სათქმელს. როგორც გვითხრეს, ხელნაწერის ტექსტის კრიტიკული გამოცემის პრინციპების შესახებ ქართველ კოლეგებთან სამეცნიერო დისკუსიის დროსაც ჩანახატებს იშველიებდაო, რაც ფრიად გონებამახვილური სტრატეგია იყო. წარმოიდგინეთ, რა საინტერესო იქნებოდა ასეთი შეხვედრები! ჩვენი სტატია ამ ორ დიდ მეცნიერს ეძღვნება.



პროფესორმა ჟუსტენ მოსემ საერთაშორისო მულტიდისციპლინურ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში კვლევითი ჯგუფის ჩამოყალიბების პრაქტიკა არც ისეთი გავრცელებული იყო, როგორც ახლა. როგორც ბრწყინვალე ელინისტს, პროფესორ ჟუსტენ მოსეს ყოველთვის განსაკუთრებულად იზიდავდა გრიგოლ ნაზიანზელის ორატორული ნიჭი. მისი ერთ-ერთი პროექტი იყო ეკლესიის მამათა თხზულებების გამოცემა და ფრანგულად თარგმნა კოლექციაში

Sources Chrétiennes.¹ ტექსტის გამოცემას ამ სერიაში სპეციფიკური პრინციპები დაედო საფუძვლად და მას ყველა იცავდა: ასეულობით ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერიდან ირჩევდნენ და ეყრდნობოდნენ ათამდე ხელნაწერს. ბუნებრივია, შემორჩენილ ხელნაწერთა რაოდენობასა და გამოცემისათვის გამოყენებულ მცირე რაოდენობის ხელნაწერთა შორის, განსხვავება დიდი იყო. ამან პროფ. მოსე კიდევ უფრო დაარწმუნა გრიგოლ ნაზიანზელის შრომებთან მიმართებაში *editio maior critica*-ს საჭიროებაში.

ამგვარი პროექტი წამოიწიეს პოლონელმა მკვლევრებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში.² სამწუხაროდ, ამ წამოწყებას დასრულება არ ეწერა ორი მსოფლიო ომის გამო. ასე გადაწყვიტა პროფესორმა მოსემ ახალ სიმალლეზე აეყვანა ეს პროექტი. მან მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები თარგმნილი იყო აღმოსავლურ ენებზე, კერძოდ, სირიულად, არაბულად, სომხურად, ქართულად, სლავურად და მათი გამოცემისათვის თავის კოლეგებთან ერთად ახალი პროექტი წამოიწყო ლუვენის ორიენტალისტიკის ინსტიტუტში. ბუნებრივია, ქართული ვერსიების გამოცემა აკად. ელენე მეტრეველისა და მისი კოლეგების საზრუნავი გახდა ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამით საფუძველი ჩაეყარა მრავალწლიან თანამშრომლობას ლუვენ-ლა-ნევის ორიენტალისტიკის ინსტიტუტსა და ხელნაწერთა ინსტიტუტს შორის.

გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტებთან დაკავშირებით ყველა ენაში სხვადასხვაგვარი ტრადიცია არსებობს. ენათა მიხედვით სხვადასხვაა ნათარგმნი ჰომილიების რაოდენობა (რამდენიმე ჰომილიიდან ჰომილიათა მთელ კორპუსამდე), სხვადასხვაა თარგმანის განხორციელების პერიოდი (V-დან XIV საუკუნემდე), განსხვავებულია თარგმანთან დაკავშირებული გარემოებებიც (ზოგი ჰომილია ნათარგმნია ერთგზის, ზოგი ორგზის, ზოგი ხელახლა შედარებულია დედანთან და ა.შ.), სხვადასხვაა შემონახულ ხელნაწერთა რაოდენობაც. ერთი რამ კი იყო საერთო როგორც ქართული, ისე სხვა აღმოსავლური ვერსიებისათვის: პროექტის საწყის ეტაპზე არც ერთი იყო გამოცემული. ბერძნულში არსებობდა მავრისტების მიერ შესრულებული XVIII საუკუნის გამოცემა *Patrologia Graeca*-ს სერიით. ახალი გამოცემა კი მზადდებოდა *Sources Chrétiennes*-ის სერიით.

შემდგომ ეტაპზე განხორციელებულ გამოცემებს დაეთმო ახალი კოლექცია *Corpus Nazianzenum*, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნა. ის ჩამოყალიბდა, როგორც *Corpus christianorum, series graeca*-ს შემადგენელი სერია. ამგვარად, საფუძველი დაედო აღმოსავლური ვერსიების – სირიულის, არაბუ-

¹ Mossay (ed.), *Grégoire de Nazianze. Discours 20-23*; Mossay (ed.), *Grégoire de Nazianze. Discours 24-26*.

² Thaddeus Sinko, Leo Sternbach და სხვები.

ლის, ქართულის, სომხურის და ა.შ. *editiones principes*-ს. ბერძნულ ვერსიაზე ამ პროექტის ფარგლებში მუშაობა საჩქარო არ ყოფილა იმ მიზეზით, რომ ბერძნულად გამოცემული ტექსტები უკვე არსებობდა. თავად ჟუსტენ მოსემ გამოსცა *Orationes* 10, 12.³ ალბათ, იკითხავთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბერძნულ ტექსტებზე მომუშავე ჯგუფი პროექტის განმავლობაში უქმად იყო? ცხადია, არა. ბერძნული ჯგუფი ბერძნული ხელნაწერების დიდი ტრადიციის შესწავლაზე ფოკუსირდა და, ამას გარდა, გამოსცა ლემატიზებული კონკორდანსები („თესაურუსები“).



BNF, Lat. 520, f. 316r, (AD 1325-1350), მესამე კონკორდანსი (Hugues de Saint-Cher)

კონკორდანსის კონცეფციაში არაფერია ახალი. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან (AD 1286) სენტ ჟაკის დომინიკელთა საძმომო პარიზში ქმნიდა კონკორდანსს, რომელიც ანბანურ რიგზე იძლეოდა ვულგატას (ლათინური ბიბლია) ლექსიკურ ერთეულებს, უთითებდა მათ ადგილს კონტექსტში და იძლეოდა ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობის შესწავლის შესაძლებლობას. პირველ კონკორდანსში (AD 1235) კონტექსტი საერთოდ არ იყო მოცემული, მეორე კი პირიქით, იძლეოდა ძალიან ვრცელ კონტექსტს.⁴ ამან წარმოქმნა მესამის შედგენის საჭიროება.

თავის სტატიაში ჩვენი კოლეგა ბასტიენ კინდტი მოკლედ და ზუსტად განმარტავს, რა არის ლემატიზებული კონკორდანსი.⁵ ტე-


³ Mossay (ed.), *Gregorius Nazianenus I. Or. X et XII*.

⁴ Kindt, *Des concordances*. კონკორდანსის პირველი ნიმუშები მეორადი საჭიროებისთვის XV საუკუნის ხელნაწერების ყდის გასაკეთებლად იყო ხელახლა გამოყენებული და ამან ინფორმაცია შემოგვინახა მათი მეთოდოლოგიის შესახებ. კერძოდ კი ჩანს, რომ ჯერ გამოყენებული ლექსიკის/სიტყვების იდენტიფიკაცია ხდებოდა ტექსტში და შემდეგ მათი ანოტირება. სამუშაოს პირველი ნაწილი ცალკე ადებულ ფურცლებზე სრულდებოდა. რამდენიმე ადამიანი თანამშრომლობდა და დავალებას ინანილებდა ანბანის შერჩეული ასოების შესაბამისი სიტყვების სიის შესადგენად. შემდეგ ეს ფურცლები რვეულებად იკინძებოდა, რაც ამ სამუშაოს დასრულებულ სახეს აძლევდა. სენტ ჟაკის („*saint-Jacques*“) კონკორდანსის ორი ხელნაწერი 1240 წელზე ადრინდელია. დანარჩენი 23 ხელნაწერი XIII საუკუნის შუა პერიოდით თარიღდება. მიუხედავად ამისა, ყველა ხელნაწერი ერთმანეთის მსგავსია. ამ პირველ კონკორდანსებს ნაკლები გავლენა ჰქონდა თავად დომინიკელების ორდენის გარეთ. მომდევნო 50 წლის განმავლობაში კონკორდანსებმა საბოლოო სახე შეიძინა და სიტყვების სიას მათი კონტექსტის მცირე ამონარიდებიც დაემატა ტექსტში მათ ადგილმდებარეობაზე მითითებით, ასე რომ, უკვე შესაძლებელი გახდა კონკორდანსების ეფექტურად მოხმარება.

⁵ “The lemmatization of a text is the operation by which each *word-form* of this text is attached to a lexical entry, i.e. *lemma*.” (...) “as, in ancient Greek, the *word-form* ποιῆσας belongs to the *lemma*

ქსტის ლემატიზაცია ისეთი ოპერაციაა, როცა ტექსტის ყოველი ლექსიკური ერთეულის-ფორმისთვის ვუთითებთ მის ლემას. შესაბამისად, ძველ ბერძნულში ფორმისთვის $\pi\omicron\iota\varsigma\epsilon\alpha\delta$ ლემა იქნება $\pi\omicron\iota\varsigma\epsilon\alpha$. ასეთი სამუშაოს ავტომატიზაცია ადვილი რამ არის. კომპიუტერული პროგრამა ადარებს ტექსტის ფორმებს იმ ფორმებს, რომელთა სიაც მას უკვე აქვს ელექტრონულ ლექსიკონში. ლექსიკონში ფორმის შესახებ ბევრი სხვა ინფორმაციაა მოცემული, მაგალითად, ლემა, გრამატიკული ანალიზი (ძველ ბერძნულში – ბრუნვა, სქესი, რიცხვი, გვარი, კილო, პირი და ა.შ.); მორფო-სინტაქსური კატეგორია (ზედსართავი, არსებითი სახელი და ა.შ.), ან სემანტიკური ინფორმაცია (ანთროპონიმი, ტოპონიმი). როცა ფორმა უკვე დაფიქსირებულია ლექსიკონსა და ტექსტში, ის ინფორმაცია, რაც ამ ფორმაზე ლექსიკონში ინახება, უკავშირდება ტექსტის შესაბამის ფორმასაც. ეს პროცესი აღწერს ინდექსს, ანუ ტერმინთა ანბანურ სიას. კონკორდანსის შემთხვევაში კი კონტექსტიცაა მოცემული. ეს უკანასკნელი იმ სიტყვებისგან შედგება, რომლებიც განსახილველ ფორმას წინ უსწრებს ან უშუალოდ მოსდევს.

მაგალითი: Nazianzen's Oratio 1 (GRNA_Or_1_CONC):



როგორც ხედავთ, ლემა მოცემულია მწვანე ფერით (e.g.: ἄρα, ან ἄρα). და მას მოსდევს ინფორმაცია ლემის მორფო-სინტაქსური კატეგორიის შესახებ (იმის შესახებ, თუ მეტყველების რა ნაწილია ის) ნიითლად. ჩვენ შემთხვევაში

$\pi\omicron\iota\varsigma\epsilon\alpha$. Such an operation is easily automatable. A computer program compares the *word-forms* of the text with those of a list of *word-forms* gathered in a computer file, called a *dictionary* in the field of natural language processing. In this *dictionary*, multiple information may accompany each *word-form*: *lemma*, grammatical analysis (in ancient Greek: case, genre, number, voice, mode, tense, person, etc.), morphosyntactic class (adjective, noun, etc.), or semantic information (anthroponym, toponym, etc.). When a *word-form* is present in the *dictionary* and in the *text*, the information recorded for this *word-form* in the *dictionary* is linked to the *word-form* of the text: Kindt –Pirard, *De Nazianze à Ninive*.

საქმე ეხება არსებით სახელსა და ზედსართავს. მოცემულია, აგრეთვე, ინფორმაცია, რომ ეს სახელი ანთროპონიმია. ამას მოსდევს სიხშირის ინდექსი: ამ ტექსტში Ἁαρών ერთხელ გვხვდება, ხოლო ἀγαθός ოთხგზის. მომდევნო სტრიქონზე გვხვდება მითითება ამ ფორმის შესახებ ტექსტში: ტექსტის ავტორის სახელი, ენა (რომელიც მისათითებელია იმის გამო, რომ მონაცემთა ბაზაში ამავე ტექსტის ქართული და სირიული ვერსიებიც გვაქვს), თხზულება, თავი და მითითება გამოცემის შესახებ (ამ შემთხვევაში *Patrologia Graeca*). ფორმა თანმხლები ტექსტური კონტექსტითაა მოცემული, გამოკვეთილია ლურჯი ფერით. ეკრანის მარჯვენა მხარეს ჩანს ლემების სია შესაბამისი მორფო-სინტაქსური კატეგორიებით; ცხადია, ამ სიიდან რომელიმე ლემის ამორჩევით ეკრანზე მის შესახებ სრულ ინფორმაციას დავინახავთ.

Ἁαρών {N+Ant} 1

GRNA GRC Or. 1 1 35 396 A 15

καὶ Ἱερεμίας ὕστερον, καὶ προσδραμεῖν εἰοίμας καλοῦντι, ὡς Ἁαρών τε καὶ Ησαίας, μόνον εὖ

Ἀβραάμ {N+Ant} 1

GRNA GRC Or. 1 7 35 400 C 8

Ταῦτα μὲν οὖν ὑμῖν ὁ σεμνὸς Ἀβραάμ οὗτος ὁ πατριάρχης ἦ ἰ

ἀγαθός {A} 4

GRNA GRC Or. 1 1 35 396 A 12

GRNA GRC Or. 1 2 35 397 A 3

GRNA GRC Or. 1 5 35 397 C 6

GRNA GRC Or. 1 1 35 396 A 11

ὡς τάχα γε κρείττων αὐτῆ καὶ πτωχότερα Θεῷ τῆς ἐτέρων ταχυτήτος· ἀγαθὸν γὰρ καὶ ὑποχαρῆσαι Θεὸν ἀνθρώπων, ὅψ τῆ καινῆ κτίσει τοῖς κατὰ Θεὸν γεννημένοις πλάστην ἀγαθὸν καὶ διδάσκαλον Χριστὸν ἐπειδὴ κάκεινος δι' ἡμᾶς ἀνθρώπος. Προσέλαβε τὸ χεῖρον ἵνα ὅψ τὸ βέλτιον· ἐπώχευσεν ἰν' ἡμεῖς τῆ τυραννήσαντες, εἴ τί μοι μέμφοισθε τῆς βραδυτήτος, ὡς τάχα γε κρείττων αὐτῆ καὶ πτωχότερα Θεῷ

ἀγάπη {N+Com} 1

GRNA GRC Or. 1 1 35 396 A 6

εἴπωμεν, ἀδελφοί, καὶ τοῖς μισοῦσιν ἡμᾶς, μὴ ὅπι τοῖς δι' ἀγάπην τι πεποιήκοσιν, ἢ πεπο

ἀγιος {A} 1

GRNA GRC Or. 1 7 35 401 A 5

ἀπὸ μὲν τῆς ὑγιούς πίστεως ἀπαγούσης τῆς εἰς Πατέρα καὶ Υἱὸν καὶ ἅγιον Πνεῦμα τὴν μίαν θεότητά :

ἀδελφός {N+Com} 1

αἰῶνα GRC Or. 1 7 35 400 C 9

οὖν οὖν ὁ σεμνὸς Ἀβραάμ οὗτος ὁ πατριάρχης ἦ τῷ κερῶν καὶ ἀδέλφους τοῦ πάντων τῶν καλῶν καταγόνων ὁ τῆς ἀρετῆς κατῶν ἢ τῆς ἰερουσύνης τελέσεως ὁ

ლუვენ-ლა-ნევეში შექმნილი პირველი კონკორდანსი რთული არ იყო. იმ დროს მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა ის, რომ ბერძნული ტექსტი ინფორმაციულად ყოფილიყო დამუშავებული. პირველმა კონკორდანსებმა გააანალიზეს გრიგოლ ნაზიანზელის *Orationes*, *Epistulae* and *Testamentum* და მოგვცეს სტატისტიკური ბაზა და *Enumeratio lemmatum* (ეს არის ლემების სია – *lemmata*; თითოეულს მოსდევს შესაბამისი ფორმა და მისი სიხშირის ინდექსი). ეს მასალა დაიბეჭდა წიგნის სახით⁶ და თან ახლდა მიკროფიშები.

ამავე მოდელის მიხედვით, 24 სხვადასხვა კონკორდანსი გამოქვეყნდა 1990-2012 წლებში კოლექციაში, რომელიც სპეციალურად ამისთვის დაარსდა: *Thesaurus Patrum Graecorum*. პირველი ტომები ეკლესიის მამებს მიეძღვნა, მაგრამ კვლევის არეალი მალევე გაფართოვდა და მოიცვა, მაგალითად, ბიზანტიელი ისტორიკოსებიც. ამ ტექსტების ლექსიკა თანამიმდევრულად ინტეგრირდა მონაცემთა ბაზაში DAG (*Dictionnaire Automatique Grec* = Automatic

⁶ Mossay & Cetedoc.

Greek Dictionary).

თანდათანობით, ინფორმატიკული დამუშავების პროცესი გაუმჯობესდა და უფრო და უფრო ეფექტური გახდა. ლექსიკონის მოცულობაც გაიზარდა.

განალიზებული ფორმების რიცხვი	456.869
ლემების რაოდენობა	71.824
ლემისა და მისი ფორმის რაოდენობა	485.631

მიკროფიში სწრაფად გამოვიდა ხმარებიდან. ამის გამო 2012 წელს ეს კოლექცია მისი კომერციული გამომცემლის მიერ დაიხურა, თუმცა სამუშაო გაგრძელდა, ამჯერად – pdf ფორმატის ფაილებით და ნიგნური პუბლიკაციის გარეშე. ამით მონაცემებზე ონლაინ წვდომის შესაძლებლობა გაჩნდა. ეს ახალი ტექნოლოგიები პროექტმა GREgORI განავითარა. მის მიმოხილვამდე რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გვინდა გაგიზიაროთ, რაზეც კონკორდანსის შექმნამ დაგვაფიქრა. ავიღოთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტი, მაგალითად, კორპუსი, რომელიც შედგება ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაზიანზელის საერთო ლემებისაგან და მეორე, გალენ პერგამონელის სამედიცინო ტრაქტატი.

ეკლესიის მამათა ტექსტების ყველაზე ხშირი ათი ლემა შემდეგია:

- θεός { N+Com } 1030
- λόγος { N+Com } 727
- κύριος (ὁ) { N+Com } 544
- ἐκκλησία { N+Com } 483
- πατήρ { N+Com } 456
- γράμμα { N+Com } 419
- ψυχή { N+Com } 380
- ἄνθρωπος { N+Com } 379
- ἀνήρ { N+Com } 356
- πράγμα { N+Com } 349

გალენთან კი ყველაზე ხშირია:

- δύναμις { N+Com } 485
- φάρμακον { N+Com } 185
- ρίζα { N+Com } 177
- τάξις { N+Com } 142
- φύλλον { N+Com } 118
- καρπός (μῆλον) { N+Com } 113
- οὐσία { N+Com } 101
- κράσις { N+Com } 100

ποιότης { N+Com } 87

σπέρμα { N+Com } 87

ყველაზე გავრცელებული ხუთი ყველა კატეგორიის ლემა არის ეკლესიის მამებთან:

ὁ { DET } 32092

καί { I+Part } 11188

δέ { I+Part } 3652

ἡμεῖς { PRO+Per1p } 3431

αὐτός { PRO+Dem } 2921

გალენთან:

ὁ { DET } 4981

καί { I+Part } 3620


δέ { I+Part } 1469

εἶμι { V } 1093


αὐτός { PRO+Dem } 718

ამრიგად, აქ ჩანს, ერთი მხრივ, ფოკუსი გარკვეულ ლექსიკაზე, რაც სულაც არ არის გასაკვირი, თუ ამ ტექსტების თემატიკას გავითვალისწინებთ. მეორე მხრივ, ყველაზე გავრცელებული სიტყვები ენის ყველაზე საერთო და საზიარო ლექსიკის კუთვნილებაა და ამ ეკლესიის მამებთან და გალენთან ისინი თითქმის ერთნაირია. გამოყენებული ტექნოლოგიებით შესაძლებელია ამ ფენომენის რაოდენობრივად აღნუსხვა.


GREgORI პროექტს რომ დაგუბრუნდეთ, ის იმავე პრობლემატიკას ამუშავებს, ოღონდ ონლაინ რეჟიმში. ვებ-გვერდზე ორი შესაძლებლობა მოცემული: აირჩიო სპეციფიკური ტექსტი, ან პირდაპირ ესა თუ ის კონკორდანსი. ვნახოთ ეს უკანასკნელი. მაგალითად, πῶλεω-ის ძიების ველში შეტანის შემდეგ, შეგვიძლია მისი გამოყენების ყველა მაგალითი ვნახოთ კორპუსში:




ამრიგად, გვეძლევა საძიებო სიტყვის გამოყენების ყველა შემთხვევა მისი უშუალო კონტექსტის თანხლებით. ყოველი სტრიქონის დასაწყისში მოცემულია მითითება ავტორსა და ტექსტზე, რომელშიც ეს სიტყვა დასტურდება. შესაძლებელია, აგრეთვე, შედეგების დახარისხებაც. თუ ლემის პტლეა ნაცვლად, რომლის 18 შემთხვევაც გვხვდება, მოვითხოვთ პტლც-ს, თვრამეტის ნაცვლად 184 მაგალითი გამოჩნდება. ამრიგად, ლემა პტლც-ის ყველა არსებული ფორმის კონკორდანსი გვექნება ხელთ.




მონაცემების დახარისხება შესაძლებელია ანბანური რიგით ამ ტერმინის წინა ან მომდევნო კონტექსტის მიხედვით.




თუ დავანკაპუნებთ მენიუში *text selection*-ზე, საშუალება მოგვეცემა, ავირჩიოთ კორპუსის ერთი რომელიმე ნაწილი, მაგალითად, დოროთეოს მიტილენის *On the Siege of CP* და გრიგოლ ნაზიანზელის *Letters* ტექსტები:




ამათგან, პირველი XV საუკუნის ავტორია, მეორე კი – IV საუკუნისა. ისევ თუ მოვძებნით *πῶς*-ს ამ ორი ავტორის ტექსტში, ახლა შედეგად 40 ფორმა ამოვა.




ჰატარა ისრის საშუალებით სხვა უამრავი დეტალის გარკვევა შეიძლება კონკორდანსზე; ასეთია, მაგალითად, ტექსტზე მითითება, ფართო კონტექსტის ნახვა, ანალიზი იმ ლექსიკური ერთეულისა, რომელიც არჩეული ფორმის უშუალო მეზობლობაშია მათი ლემებით და მორფო-სინტაქსური კატეგორიებით, მითითება წყაროზე, თარიღზე, შინაარსზე, ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ეს ტექსტი TLG-ში, ხელნაწერში გვხვდება ის, თუ ეპიგრაფიკაში, ორიგინალი ბერძნულია თუ ნათარგმანია. ეკრანის მარჯვენა მხარეს შეიძლება ვნახოთ ინფორმაცია გამოცემის შესახებ, არსებული ბიბლიოგრაფიის შესახებ, იქვე შეიძლება გამოცემის ფოტოს ნახვა და ინფორმაციის მოპოვება საკონტაქტო პირის შესახებ.



შესაძლებელია უფრო რთული საძიებო მოთხოვნაც, მაგალითად, ისევე ლემას პბსაც რომ დავუბრუნდეთ, შეგვიძლია, მოვითხოვოთ ყველა შემთხვევა, როცა მას მოსდევს ზედსართავი.



დავინახავთ, რომ ასეთი მაგალითი არის 6.



ამ მონაკვეთის ელემენტების გადაადგილებაცაა შესაძლებელი, მაგალითად, შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ზედსართავი რიგით პირველი იყოს (*Move to left*). ამრიგად, ლექსიკური თავისებურებების, ეპოქის, ლიტერატურული ჟანრისა და ტექსტის სხვა თავისებურებების შესასწავლად ეს ძალიან საინტერესო იარაღია.

როგორც ნახეთ, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ლემატიზებული კონკორდანსი ბერძნულში უკვე ხელმისაწვდომია. მომდევნო ეტაპზე ის მეთოდოლოგია, რომელიც ძველი ბერძნულის ლემატიზაციისას განვახილეთ, გამოვიყენეთ ქართული ენისთვისაც.

ქართულში ლემატიზებული კორპუსი შედგება *Corpus Nazianzenum*-ში გამოქვეყნებული ცამეტი ჰომილიისაგან.⁷ როგორც ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიები მრავალგზის ითარგმნა ქართულად სხვადასხვა ავტორის მიერ. გრიგოლ ნაზიანზელის კორპუსის გარდა, ჩვენ ლემატიზაცია გავუკეთეთ ისააკ ასურისა და ფსევდო-მაკარის ქართულ თარგმანებს. ისევე, როგორც ბერძნულში, ქართულშიც ყოველი ტექსტური ფორმა ანოტირებულია მისი ლექსიკური (ლემა) და მორფო-სინტაქსური (მეტყველების ნაწილი) მახასიათებლით. ამის გასაკეთებლად, ქართული ენისათვის განისაზღვრა ლემატიზაციის პრინციპები.⁸ ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა ქართული ტექსტის ლემატიზაციისას ასეთია:

(1) რამდენადაც შესაძლებელია, გათვალისწინებულია ტრადიციული ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების მიერ შემუშავებული მორფო-სინტაქსური კატეგორიების კლასიფიკაციები;

(2) როგორც უკვე ითქვა, პროექტ GREgORI-ის აქვს ამბიცია, გააკეთოს ყველა ძველი ენის ტექსტების – ბერძნულის, სირიულის, არაბულის, ქართულის, სომხურის, კოპტურის – ლემატიზაცია. ეს აუცილებლად მოითხოვს ჰომოგენურ მიდგომას უამრავ ისეთ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ყველა ამ ენისათვის საერთოა. მაგარლითად, შეკითხვა, რა გადანყვეტილება მივიღოთ ისეთი ფორმების ლემებთან მიმართებაში, რომლებმაც ისტორიულად სახე იცვალეს, ყველა ენის მიმართ აქტუალურია. ჩვენ ყველა ენის მიმართ მივიღეთ გადანყვეტილება, მივუთითოთ ლემის ყველაზე არქაული სახე.

(3) როგორ ავირჩიოთ მორფო-სინტაქსური კატეგორიები, ესეც რთული საკითხია. არსებობს სხვადასხვა შესაძლებლობა. ამ პროექტს ორი პრინციპი აქვს. პირველი ქართული გრამატიკული ტრადიციის გაზიარებაში მდგომარეობს და მეორე ჰომოგენურობის მიღწევაში იმ მეთოდოლოგიის ფარგლებში, რომელიც ყველა ენისადმი ერთნაირადაა გამოყენებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი არჩევანი, ლოგიკური და მიზნისკენ ორიენტირებულია. პროექტის მიზანია არა ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც ენის მორფო-სინტაქსურ აღწერილობას მოგვცემს, როგორც ასეთს, არამედ ფილოლოგიის, კრიტიკულად დადგენილი ტექსტის გამომცემლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. შესაბამისად, ჩვენი ინსტრუმენტები იძლევიან სრულ ინფორმაციას ტექსტის შესახებ, მისი ლექსიკისა და თარგმანის ტექნიკის შე-

⁷ *Orationes* 1, 11, 15, 19, 21, 24, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45.

⁸ Coulie, Kind, Pataridze, Lemmatisation automatique, pp. 161-201; http://poj.peeters-leuven.be/content.php?url=issue&journal_code=mus&issue=1&vol=126

სახე. ისინი ფილოლოგების მოთხოვნილებებისთვისაა შექმნილი.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

აგებულთა, აგებული. V+Part
აგინებდა, გინება. V+Mas
ადგილთა, ადგილი. N+Com
ამაღლებითა, აღმაღლებაჲ. N+Com
ათთა, ათი. NUM+Car
ამაოსა, ამაოჲ. A
ამით, ესე. PRO+Dem

არა ცალკემდგომი თანდებულები და ნაწილაკები დისკრიმინირებულია:

ნარ-რაჲ-ვიდეს:

/{@ნარ-რაჲ-ვიდეს@ } {რაჲ,რაჲ.PRO+Int} {ნარვიდეს, წარსლვა.
V+Mas}

განცხადებულად-რე:

/{@განცხადებულად-რე@ } {განცხადებულად, განცხადებული.
V+Part} {რე,რე. I+Part}

ანგელოზთათჳს :

/{@ანგელოზთათჳს@ } {ანგელოზთა, ანგელოზი.N+Com} {თჳს,
თჳს. I+Prep}

ამისთჳსვე :

/{@ამისთჳსვე@ } {ამის, ესე. PRO+Dem} {თჳს, თჳს. I+Prep} {ვე, ვე. I+Part}

ლექსიკონი:

ძველი ქართული ენის ელექტრონული ლექსიკონი, რომელიც ფორმის, ლემისა და მისი მორფო-სინტაქსური კატეგორიის მითითებისაგან შედგება, ხელმისაწვდომია და მისი გამოყენება შეიძლება ახალი ტექსტების დასამუშავებლად. ის 50 000 ფორმას შეიცავს. ლექსიკონი ივსება და უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება დროთა განმავლობაში.

კონკორდანსები:

GREgORI ვებ-გვერდზე შესაძლებელია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ქართული ვერსიების კონკორდანსების ნახვა.

GREGORY of Nazianzus, Orationes. Versio Iberica - Georgian

Part I: p. 1 [ა] – p. 1005 [დეკნული]; Part II: p. 1006 [დეზი] – p. 2001 [მიდგომილი];

Part III: p. 2002 [მიდევენება] – p. 2996 [სიყრმშ];

Part IV: p. 2997 [სიკვთლმ] – p. 4300 [ჴ];

Preliminary Version February 12th 2018

Editions :

Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. I. Orationes I, XLV, XLIV, XLI, ed. Hélène Métrévélí (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 42 ; Corpus Naizanzenum, 9), Turnhout, Leuven, 1998. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. II. Orationes XV, XXIV, XIX, ed. Hélène Métrévélí (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 42 ; Corpus Naizanzenum, 9), Turnhout, Leuven, 2000. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. III. Oratio XXXVIII, Bernard Coulle et Hélène Métrévélí (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 45 ; Corpus Naizanzenum, 12), Turnhout, 2001. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. IV. Oratio XLIII, ed. Bernard Coulle et Hélène Métrévélí † (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 52 ; Corpus Naizanzenum, 17), Turnhout, 2004. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. V. Orationes XXXIX et XL, ed. Bernard Coulle et Hélène Métrévélí † (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 58 ; Corpus Naizanzenum, 20), Turnhout, 2007. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica. VI. Orationes XI, XXI, XLII, ed. Bernard Coulle et Hélène Métrévélí † (et al.) (Corpus Christianorum. Series Graeca, 78 ; Corpus Naizanzenum, 26), Turnhout, 2011.

Lemmatization : Bernard Coulle, Bastien Kindt, Tamara Pataridze

<p>მიმღებლობა (N+Com) 4 24 EPHR 6 18 85 9 41 EPHR 17 71 205 26 40 EPHR 27 126 233 40 19 EPHR 12 87 203 28</p> <p>მიმცანებელი (V+Part) 15 43 EUTH 11 54 58 33 43 EPHR 35 155 157 15 43 EUTH 21 100 100 5 43 EUTH 21 100 100 12 43 EPHR 29 285 307 33 40 EPHR 29 137 241 31 40 EUTH 3 9 125 13 38 EPHR 16 79 111 17 43 EUTH 62 252 264 8 43 EPHR 54 216 233 4 15 EPHR 4 9 17 26 43 EUTH 21 100 100 9 38 MIRAV T 5 13 6 9 38 EUTH 5 13 62 7 38 MIRAV A 5 13 6 6</p> <p>მიმყოფება (N+Com) 3 43 EPHR 6 28 35 17 40 EPHR 29 133 239 8 24 TBML 3 6 7 4</p> <p>მიმშეხველი (V+Part) 1 39 EPHR 6 20 59 21</p>	<p>დიდაზნაურების გამოსაჩინებლად, სწავლითა ზანების მიმღებლობა და თანამცემობა, სიკბუჯის ყუცილი, ბუნების სიხარული, ნათესაეთა შორის განთესულია მანინ მემორებთია ვიციმე მიმღებლობა საკრველებისაგან.</p> <p>დიდა უგანმყოფრეგებს მიმღებლობისა, ვიდრედა სხუანს მიმღებლობისა. შხლოდ ნუმე ვინაზლებით სულმოკლებსათჳს თხიდად მცირეთა სრეს თანამდებთა თავსაუფლების მიმღებლობისათა. არამედ ზუმე თავსაწმინდებულთა თანად ვაქმნეთ და მცერართ</p> <p>მივითულებთ, ხლო რადეინი არს მის შორის უმეტათა მიმართ მიმცანებელ და საფთურად და უფსკრულად წარმუშებისა, იგი მივიციეთ. და არიან, ხლო რად იგი ამისა მემდომ იყო და ამით მიმართ მიმცანებელ, იგი მივიციდა და ქმნა მთოდ სარწმუნობითა. რამეთუ სიტყვა ეს იგი არიან, რომელ იგი სამდელოთა მათ ტანათა მიმართ მიმცანებელ იყო და მუნ მყოფთა მათ მიდუარათა, ხლო სხუად იგი, რომელი რამეთუ არა რად არს პატოსან, რომელი არა საინობად მიმცანებელ იყოს და კეთილისმყოფელ მოქმედთა მათა. რამეთუ სრუათა სრუად იფინი აღმწერბოდეს, უფროსად ჭემარბებისა მიმართ მიმცანებელად იყოს და უღმრთთა პირის დამყოფელად, ზემდა უკედ იყვნ და ვინცა ზედნება სასწულთა და საკრველუთა, სახარებისა მიმართ მიმცანებელია. ამირ — შურა, ამისგან — სიძული, სიძულითისგან — ზაკუფის დამწერილი ბნელისა. ნათესაებთა ეტლი არს, ღმრთის მიმცანებელი, გამლვად ქრისტეს თანა, სიტყვიწმ სარწმუნობისათა, სრულყოფილი ცოდვისა, ვითარცა კრავი მიმცანებელი და ვითარცა მდელო მიმცანებელი, ვითარცა კვი და ფილელი და ვითარცა ღმრთი ადგილობის ამისა ქალწულთა, ვითარცა ამირ მიმცანებელი და საუკუნოდ მიმცანებელი. ვინ უკედ უფროს მისსა ანუ პატოსან კალწულბას, ანუ აფსარულა ამის ზედა ეკორბობა, და არარად შორს იყო მისს მიმართ მიმცანებელი. დამე მოქმედელი იყო, საფიცილი შუა, მოძულენი მტყუალელი.</p> <p>ვინ მილოვრან მოქმედულმან, ვერცა მტარვალმან მიმცანებულმან, ვერცა ასითა გამრთითა, ვერცა კორფითა იგი გზანი ყოველივე შორს კვეთითა ზედნემან სახილვლად მიმცანებელნი, გინა თუ სიხარულად და ხადილობად, რამეთუ არა რად არს პატოსან, გემოსიხილვითა. არა მივრადეთ კელის მუნებასა, მწორად მიმცანებელსა სიხარობესა დედისასა. არა შევიმონწეთ სამოსლითა ჩველითა, ვისიძეთ, არცა კელის მუნებასა მივერადეთ, მწორად მიმცანებელსა სიხარობესა ცოდვისასა. არა შევიმონწეთ სამოსლითა ჩველითა, გემოსს ხილვითა, არა მივერადეთ კელისა მუნებასა, მწორად მიმცანებელსა სიხარობესა ცოდვისასა. არა შევიმონწეთ სამოსლითა ჩველითა.</p> <p>სიტყვე ვამისა (რამეთუ, ვითარ იტყვან, მრავლად განრევისა მიმოვება ლტოლვისა ვიდრე უღამედ მიუდედ და მცირედ წამართ), ამს თანა შეისრნა კორფი უკორფიმან მან, არცა რად ზედვად იყო მისს მიმოვება ნათესაებისა, რამეთუ იგი თავადი იყო ტან გუნბისა თესისა, ვითარ და მტკბობად ურთიერთს, რამეთუ არა თავსიძებს მიმოვებასა შური და ცხორებად თეს ყოველი ვითომ დედე ურთად მტარავტს,</p> <p>კორფინ დარბლისაგან, სულსა ზედა დადებულისა და არა მიმშეხველისა სიწმიდით ზედვად საღმრთოსა წარავანდესა, ხლო სკდა — სიწმიდე,</p>
--	--

ფილოლოგიური ინტერესის თვალსაზრისით, მთარგმნელობითი სკოლების სპეციფიკის შესასწავლად და დიაქრონიული ლინგვისტიკის სფეროში კვლევებისათვის ძალიან საინტერესოა სპეციფიკური ლემების სია ეფთვიმე ათონებისა, ეფრემ მცირისა და ორი ანონიმი მთარგმნელის „მრავალთაგებიდან“.

- [Specific lemmata list Ephr](#) (= Ep’rem Mcire)
- [Specific lemmata list Euth](#) (= Ep’t’vime At’oneli)
- [Specific lemmata list Mr](#) (= Mravalt’avi)
- [Specific lemmata list Mr A](#) (= mravalt’avi de l’Athos)
- [Specific lemmata list Mr T](#) (= mravalt’avi de Tbet’i)

- Specific lemmata list Mr TP (= mravalt'avi de Tbet'i et de Park'ali)
- Specific lemmata list Tbel (= David Tbeli)

გარდასაქმდელი { V+Part }	2	გასამქდესურება { V+Mas }	1	N+Com }	1	დადვლება { V+Mas }	1
გარდასახლება { N+Com }	1	გასერება { V+Mas }	1	გრესლიტყუაობა {	1	დადლებლება { V+Part }	1
გარდაულება { V+Mas }	2	გასუნება { V+Mas }	1	N+Com }	1	დადკობა { V+Mas }	1
გარდაულება { N+Com }	1	გასუნება { N+Com }	1	გრძნება { V+Mas }	1	დავანება { N+Com }	1
გარდაცემული { V+Part }	1	გაყოფა { V+Mas }	1	გრძნობადი { V+Part }	2	დავრღობა { V+Mas }	1
გარდაცვალება { V+Mas }	2	გატრუნა { V+Mas }	1	გრგუნოსანქნილი {	1	დავრღობა { N+Com }	1
გარდაცვალება { N+Com }	2	გატრუნა { V+Mas }	1	V+Part }	1	დავრღობა { V+Mas }	1
გარდაცვალება { N+Com }	1	ვაბაი { N+Com }	2	გრგუნოსანყოფა { N+Com }	1	დავრღობა { V+Mas }	1

პროექტი სიხშირის ინდექსის ლექსიკონსაც იძლევა ქართული ან ბერძნული ტერმინის მიხედვით:


Frequency Index, Gregory of Nazianzus - Oratio 1 – Bilingual Greek-Georgian and Georgian-Greek Concordance (Ephrem)

5 სული { N+Com }		
1	2 πνεύμα	4 πνεύμα {N+Com}
	1 სული	5 სული { N+Com }
1	1 πνεύματι	4 πνεύμα {N+Com}
	1 სულითა	5 სული { N+Com }
1	2 πνεύμα	4 πνεύμα {N+Com}
	2 სულისა	5 სული { N+Com }
1	1 πνεύματος	4 πνεύμα {N+Com}
	2 სულისა	5 სული { N+Com }
1	1 ψυχῆν	1 ψυχῆ {N+Com}
	1 სულსა	5 სული { N+Com }

5 სული { N+Com }		
1	2 Πνεύμα 1 სული	4 Πνεύμα {N+Com} 5 სული { N+Com }
1	1 Πνεύματα 1 სულითა	4 Πνεύμα {N+Com} 5 სული { N+Com }
1	2 Πνεύμα 2 სულისა	4 Πνεύμα {N+Com} 5 სული { N+Com }
1	1 Πνεύματος 2 სულისა	4 Πνεύμα {N+Com} 5 სული { N+Com }
1	1 ψαχήν 1 სულსა	1 ψαχήν {N+Com} 5 სული { N+Com }

ორენოვანი კორპუსები ბერძნულ-ქართული

GREgORI პროექტის ფარგლებში შეიქმნა პირველი ბილინგვური ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული გათანაბრებული კორპუსი მოდელსა (ST) და თარგმანს შორის (TT).⁹ ესაა გრიგოლ ნაზიანზელის პირველი ჰომილიის ბილინგვური კონკორდანსი, ბერძნული მოდელი და მისი ეფერემ მცირისეული თარგმანი.



⁹ source tekst / targeted text


მარჯვენა ზედა კუთხეში ლილაკი “I” ტექსტის მეტა-დატას მოგანვდით. საჭირო ინფორმაცია ტექსტის ქართულ-ბერძნული ვერსიების გამოცემებისა, ამ კორპუსზე მომუშავე ლინგვისტების და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველმყოფი ლაბორატორია CENTAL-ის შესახებ.

აქ შესაძლებელია არჩევანის გაკეთება, თუ რომელი ტიპის ბილინგვური კორპუსი გვინდა. ვებ-გვერდი გვთავაზობს ორი ტიპის კონკორდანსს, ბერძნულ-ქართულსა და ქართულ ბერძნულს. იქვე მოცემულია შესაძლებლობა, იგივე კონკორდანსები ერთენოვან ფორმატში გახსნათ – მხოლოდ ქართული, მხოლოდ ბერძნული ვერსიის კონკორდანსი. მეტიც, ყველა ტიპის კონკორდანსის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ ლემების სიის გამოძახება, ან მხოლოდ მეტყველების ნაწილების მიხედვით დაწყობილი მასალის კონკორდანსის მოთხოვნა, და ყველაფერი ეს – როგორც ქართულად, ისე ბერძნულად.




დავაკვირდეთ ბერძნულ კონკორდანსს. ცხადია, შეგვიძლია მოვითხოვოთ ნებისმიერი ტექსტური ფორმა და ყველა მისი გამოყენების შემთხვევა გამოჩნდება ეკრანზე მისი უშუალო კონტექსტის თანხლებით. ანალოგიურად, შესაძლებელია მოთხოვნილი ლემის მიხედვით, მოცემულ კონკორდანსზე დაკვირვებაც.


მარცხენა ლურჯი ფერის ისრებით არჩეული პასაჟის შესაბამისი ტექსტის შესახებ მოიპოვება ინფორმაცია. ბილინგვურ კორპუსში ერთი ენის ფორმასთან კურსორის მიახლოება ამ ფორმასაც ააქტიურებს და მის შესატყვის ფორმასაც გათანაბრებული ტექსტების მეორე ენიდან. ორივე ენის ტექსტში გააქტიურებული ფორმების გვერდით ჩანს ინფორმაცია მათ ლემებსა და მათ შესატყვის მეტყველების ნაწილზე.




ძიების ველში კომბინირებული მოთხოვნაც შეიძლება, მაგალითად, მოვითხოვოთ, ყველა ლემა მხარე, რომელსაც მოსდევს ზმნა. ასეთი შემთხვევის კონკორდანსი კვლავინდებურად შეიცავს ინფორმაციას ლექსიკური ერთეულების ლემებსა და მათ მორფო-სინტაქსურ კატეგორიაზე.



იგივე ხდება ქართულშიც:



ქართულშიც ასევე შეგვიძლია განვახორციელოთ კომბინირებული ძიება – ლმერთი + ზმნა¹⁰:



ამრიგად, ცხადია, რომ ასეთი ტიპის ლემატიზებული კონკორდანსები

¹⁰ ძიების შედეგების დისკრიმინაცია ასეთი ტიპის კომბინირებულ მოთხოვნებში სასვენინი ნიშნის გათვალისწინებით არ ხდება იმის გამო, რომ ბეჭდურ გამოცემებში სასვენინი ნიშნები ხშირად ხელნაწერის გამომცემელი ფილოლოგის მიერ არის დასმული და ამას გარდა, ზოგი ტიპის ტექსტოლოგიური კვლევისთვის სასვენინი ნიშნით გაყოფილი სემანტიკური შეიძლება საინტერესო და მხედველობაში მისაღები აღმოჩნდეს.

ახალ ეტაპზე აიყვანს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების კვლევას მათი ენობრივი პარამეტრების, ლექსიკისა და თარგმანის ტექნიკის შესწავლის თვალსაზრისით.

დამონეხული ლიტერატურა

- Coulie, Kind, Pataridze**, Lemmatisation automatique = B. Coulie, B. Kind, T. Pataridze, Lemmatisation automatique des sources du géorgien ancien, *Le Muséon*, 126 (1-2), 2013.
- Kindt**, Des concordances = B. Kindt, Des concordances et du Thesaurus Patrum Graecorum: la ligne éditoriale du Projet de Recherche en Lexicologie grecque (1990-2009), A. Schmidt (ed.), *Studia Nazianzenica* 2, Turnhout, 2010.
- Kindt – Pirard**, De Nazianze à Ninive = B. Kindt, M. Pirard, De Nazianze à Ninive, La couverture lexicale du Dictionnaire Automatique Grec, V. Somers – P. Yannopoulos (ed.), *Philokappadox. In memoriam Justin Mossay* (OLA, 251; Bibliothèque de Byzantion, 14), Leuven, Paris, Bristol, 2016.
- Mossay** (ed.), *Grégoire de Nazianze. Discours 20-23* = *Grégoire de Nazianze. Discours 20-23*, Introduction, texte critique, traduction et notes par J. Mossay avec la collaboration de G. Lafontaine, *Sources Chrétiennes*, 270, Paris, 1980.
- Mossay** (ed.), *Grégoire de Nazianze. Discours 24-26* = *Grégoire de Nazianze. Discours 24-26*, Introduction, texte critique, traduction et notes par J. Mossay avec la collaboration de G. Lafontaine, *Sources Chrétiennes*, 284, Paris, 1981.
- Mossay** (ed.), *Gregorius Nazianzenus I. Or. X et XII* = J. Mossay (ed.), *Gregorius Nazianzenus, Opera. Versio Graeca. I. Or. X et XII* (CCSG 64, CN 22), Turnhout, 2007.
- Mossay & Cetedoc** = J. Mossay & Cetedoc, *Thesaurus*, 1990.

GREGORY OF NAZIANZUS: BETWEEN LOUVAIN-LA-NEUVE AND TBILISI, PRINTED EDITIONS AND ONLINE THESAURUSES

Abstract

The article shows significant developments related to the tagged corpus and production of lemmatized concordances in the Centre for Oriental Studies of UCL (Belgium). These developments are supported by NLP (Natural Language Processing) tools and applied to the Greek and Oriental Languages (<https://uclouvain.be/fr/instituts-recherche/incal/ciol/gregori-project.html>).

The first part of the article address the Greek concordances, showing their development from the beginning of this project to its actual state. This will be the occasion to honour Prof. J. Mossay (Centre for Oriental Studies, UCL) and Acad. H. Metreveli

(National Centre of Manuscripts, Tbilisi), who developed a long-range collaboration between both our institutions. The main subject of the collaboration is the writings of Gregory of Nazianzus (4th c.), producing first critical editions and then lemmatized concordances. The second part of the article shows how the latest developments were applied to other (patristic, historic, etc.) texts and other oriental languages (Armenian, Georgian, Arabic, Syriac, etc.), with main focus on Georgian.

Véronique Somers, Tamara Pataridze
Catholic University of Louvain
Belgium

მზია სურგულაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ტაო-კლარჯეთი ბიზანტიური თანამეგობრობის პოლიტიკურ კონტექსტში

„ბიზანტიური თანამეგობრობა“ (*Byzantine commonwealth*) არის ცნება, რომელიც პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა დიმიტრი ობოლენსკიმ გამოიყენა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ არეალში მოქცეული აღმოსავლეთ ევროპის ხალხების მიმართ.¹ ავტორი ნაშრომისა *The Byzantine Commonwealth, Eastern Europe 500-1453* (1971) საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ ცნებაზე, რათა მკითხველს თავიდანვე აარიდოს ცდუნება, რომელიც, შესაძლოა, გამოიწვიოს თანამეგობრობის ცნების თანამედროვე გაგებებმა. ბიზანტიურ თანამეგობრობაში იგი გულისხმობს შუა საუკუნეების აღმოსავლეთ ევროპის მეტ-ნაკლებად სუვერენულ სახელმწიფოებს, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთთან დაპირისპირებულებს, მაგრამ პოლიტიკური, სამართლებრივი, საეკლესიო-ინსტიტუციური, კულტურული განვითარების ძირითადი ვექტორებით შემჭიდროებულებს ერთი ცივილიზაციური ცენტრის გარშემო. ეს იყო იერარქიულად ორგანიზებული, ზენაციონალური, კულტურულ-იდეოლოგიურად შემსჭვალული ერთობა, რომელიც ემყარებოდა საერთო აღმსარებლობას, რომაულ-ბიზანტიურ სამართალს, ბიზანტიური მწერლობის და ხელოვნების თარგმნა-ადაპტაციას და ბიზანტიის იმპერატორის ავტორიტეტის უზენაესობის აღიარებას. თანამეგობრობის პერიფერიული წევრებისათვის ცენტრთან ურთიერთობა სრულებით არ იყო სტაბილურად მშვიდობიანი და პოლიტიკურ დაძაბულობას მოკლებული, თუმცა მან მაინც მოახერხა ერთიანობის ძირითადი მახასიათებლების შენარჩუნება XI საუკუნის დასაწყისიდან XV საუკუნის შუა ხანებამდე. ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს თანამეგობრობის თითოეული წევრი ხალხისა თუ სახელმწიფოს მიერ ერთობამდე განვლილ

¹ ბიზანტიური თანამეგობრობის მეცნიერული კონცეფციის ფარგლებში მისი ავტორი დ. ობოლენსკი განიხილავს მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის (ძირითადად, სლავური წარმომავლობის) ხალხებს, რომლებმაც გაიარეს ურთულესი გზა მომთაბარე ბარბაროსობიდან სახელმწიფოებრიობამდე და დაახლ. X-XI სს.-დან XV ს.-ის პირველი ნახევრის ჩათვლით, შეადგენდნენ ერთიან ქრისტიანულ ოიკუმენეს ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის სუზერენობით, Obolensky, *The Byzantine Commonwealth*, pp. 2-3.

ხანგრძლივ და საკმაოდ არასწორხაზოვან გზებს, რომლებიც ხასიათდებოდა მრავალი განსხვავებული – გეოგრაფიული, პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, ეთნიკურ-ენობრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული – ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით, მაგრამ დროთა განმავლობაში ამავე ფაქტორების ჰარმონიზაციამ შექმნა საფუძველი ამ ხალხთა და სახელმწიფოთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და ეთნოკულტურული იდენტობების ახლებური კონფიგურაციების ჩამოყალიბებისათვის. ობოლენსკის გამოკვლევა მართლაც ინტერდისციპლინური და კონცეპტუალური ნაშრომი იყო (პირველად ის მკითხველმა იხილა 1971 წელს), რომელმაც გამოსვლისთანავე დაიმსახურა ბიზანტინოლოგთა უმაღლესი შეფასება და კვლევის ახალ მიმართულებას დაუდო სათავე.

უკანასკნელ ათეულ წლებში უცხოელმა მკვლევრებმა სცადეს ბიზანტია-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობათა გაანალიზებაც ობოლენსკის კონცეფციის საფუძველზე. ამ მიმართულებით უკვე არაერთი ნაშრომი შეიქმნა, მათ შორის აღსანიშნავია გართ ფოუდენის ნაშრომი „იმპერიიდან თანამეგობრობამდე: მონოთეიზმის შედეგები გვიანდელ ანტიკურობაში“,² რომელშიც გამოყოფილია ბიზანტიური თანამეგობრობის ორი პერიოდი: პირველი იწყება კონსტანტინე დიდის დროიდან და ყალიბდება ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქალკედონიზმის გავრცელების კვალდაკვალ. ამ პერიოდისათვის ნიშანდობლივია ორთოდოქსული ქრისტიანობის პოზიციებიდან ერესებთან წარმოებული ბრძოლის გადაჯაჭვა პოლიტიკასთან და ამ ფაქტორების უდიდესი ზეგავლენა ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხებზე მათი სპეციფიკური კულტურული იდენტობების (მათ შორის, კავკასიის ხალხების) ფორმირების თვალსაზრისით.³ მეორე პერიოდს ფოუდენი, ისევე, როგორც ობოლენსკი, ბალკანეთის გაქრისტიანებას უკავშირებს და სრულებით არ ახსენებს კავკასიის ხალხების წვლილს ამ „მეორე თანამეგობრობაში“.⁴ ამავე საკითხებს ეხება სტივენ რეპის ნაშრომებიც, რომლებშიც ერთგვარად მორიგებულია ობოლენსკისა და ფოუდენის შემოთავაზებული მოდელები და მეტ-ნაკლებად დაძლეულია ის ცალმხრივობა, რომელიც ახასიათებს ზემოხსენებულ ავტორებს კავკასიის როლის შეფასებისას ბიზანტიურ თანამეგობრობაში.⁵ ავტორი მსჯელობს ბიზანტია-კავკასიის ქვეყნების თანამეგობრობის განსხვავებულ ეტაპებზე – ქრისტიანობის მიღებიდან VII საუკუნის შუა ხანებამდე (სასანური ირანის დამხობა) და ადრეული შუა საუკუნეებიდან XIII საუკუნის შუა ხანებამდე.

² Fowden, *Empire to Commonwealth*.

³ იქვე, p. 169.

⁴ იქვე, pp. 104-109.

⁵ Rapp, *Caucasia and the Byzantine Commonwealth*; მისივე, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა, გვ. 60-67.

ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ავტორი, მართლია, ზოგად ხაზებში, მაგრამ მაინც არსებითად ეხება ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა ბიზანტიურ „თანამეგობრობაში“ კავკასიური საზოგადოებების (სომხეთი, საქართველო) თავსებადობის პრობლემა ამ საზოგადოებათა ელიტების ირანიზაციის მაღალი ხარისხის, განსხვავებული სოციალური წყობისა და ძალაუფლების სტრუქტურების გათვალისწინებით. მსჯელობს აგრეთვე კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული ეკლესიის ადმინისტრირების თავისებურებებზე, აღმსარებლობით საკითხებზე, ადგილობრივი ენებისა და დამწერლობების როლზე მათი კულტურული იდენტობების ფორმირებაში, ლიტერატურულ ტენდენციებზე, რომლებიც გამოვლენილია ნათარგმნი და ეროვნული ლიტერატურების ძეგლებში, საეტაპო ცვლილებებზე ღვთისმსახურებაში და ტექსტების ე.წ. „ბიზანტიზაციის“ პროცესზე, როგორც კონსტანტინოპოლური ორიენტაციის მკაფიო ნიშნებზე და ა.შ. ასეთია მითითებულ ავტორთან დასმული საკითხების წრე, თუმცა მათზე მსჯელობა არ სცილდება ზოგადი მიმოხილვის ჩარჩოებს.

ხსენებულ მიმოხილვებში ავტორი ეხება ტაო-კლარჯეთის რეგიონს, რომელსაც უწოდებს „გადასახლებაში მყოფ ქართლს“, ან „ნეო-ქართლს“, სადაც IX-X საუკუნეებში, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის პირობებში, ჩამოყალიბდა ქართული სამთავრო და სადაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ქრისტიანულმა კულტურამ. აღნიშნავს აგრეთვე, რომ ამ რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში დიდი იყო სომხური ქალკედონიტი მოსახლეობის წვლილი. საკუთრივ ბიზანტიასთან რეგიონის მჭიდრო ურთიერთობის ნიშნებს ავტორი ხედავს ბიზანტიური ტიტულების უპრეცედენტო სიმრავლეში კავკასიის არისტოკრატთა შორის.

ხსნებულ ავტორთა მიერ დასმული საკითხები, უპირველეს ყოვლისა, აჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მრავალგანზომილებიანი პრობლემის ერთიანობაში, სხვადასხვა ასპექტით განხილვა, რამდენად დაგვეხმარება იგი ქართველი და კავკასიის ხალხების მიერ იმპერიული (კონსტანტინოპოლური) კულტურის მიღების (ასევე სელექციის ან არმიღების მიზეზების) ხარისხის განსაზღვრაში და ამ პროცესის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში საქართველოს ეკლესიის და ქართველი ხალხის კულტურული პროფილის ჩამოყალიბების პროცესში, ასევე, იმ წვლილის წარმოჩენაში, რომელიც ქართველებმა კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად საკუთარი შემოქმედებით და ადამიანური რესურსებით შეიტანეს ბიზანტიურ სამყაროში.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორსაუკუნოვანი ისტორია მართლაც საგულისხმო მასალას იძლევა ბიზანტიასთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის დროს შემუშავებული მოდელის შესახებ, რომელიც დროდადრო იცვლებოდა როგორც იმპერიის, ასევე ტაო-კლარჯეთის მესვეურთა კონკრეტული ამოცანების შესაბამისად. ამ ურთიერთობებს ახლდა მშვიდობიანი თანამშრომლობისა და უკიდურესი დაძაბულობის პერიოდები, მაგრამ ასეთ

პირობებშიც კი არასოდეს დამდგარა ეჭვქვეშ ბიზანტიურ კულტურასთან ზიარების უკიდურესი აუცილებლობის საკითხი. განსაკუთრებით ძლიერდება ბიზანტიური გავლენა ტაო-კლარჯეთზე IX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან, როდესაც ბიზანტია არაბებთან ბრძოლაში თავდაცვითი პოზიციებიდან შეტევით პოზიციებზე ინაცვლებს. ამ დროიდან იმპერია იბრუნებს ქრისტიანი ხალხების ქომავის შებღალულ ავტორიტეტს როგორც თვით ბიზანტიის უშუალო ქვეშევრდომ ხალხებს შორის, ასევე იმპერიის პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეული სხვა ქვეყნების სამოქალაქო და საეკლესიო წრეებში. ამ თვალსაზრისით არც ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწენი წარმოადგენდნენ გამონაკლისს. ისინი აღიარებდნენ ბიზანტიის იმპერატორის ზენაციონალურ მნიშვნელობას, ბიზანტიური განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების ეტალონურ მნიშვნელობას, ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების უპირატესობას, ბიზანტიის იმპერატორის ღვთაებრივ ძალაუფლებას და საიმპერატორო კარის ასეთივე „ღვთაებრივ“ ესთეტიკას, ეტიკეტს და ა.შ. სწორედ ეს აღიარება ბადებდა მათში „მიზაძვის“, „ბიზანტინიზაციის“ ძლიერ იმპულსებს, რომლებმაც დიდი ხნით განსაზღვრა ქართული საზოგადოების ცივილიზაციური არჩევანი და ინტელექტუალური წინსვლა. ამ იმპულსების გამოვლინებებს ვხვდებით ტაო-კლარჯეთის მმართველი დინასტიისა და საეკლესიო იერარქების ტიტულატურაში („აღმოსავლეთის კურაპალატი“, „აღმოსავლეთის პატრიარქი“), ხუროთმოძღვრებაში, ნათარგმნ და ორიგინალურ მწერლობაში, საეკლესიო ლიტურგიის კონსტანტინოპოლურ წესზე „გადაწყობის“ ხანგრძლივი და რთული პროცესის დაწყებაში და ა.შ.

ტაო-კლარჯეთის ისტორიის მკვლევარნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სამთავროს ბიზანტიასთან ურთიერთობის იურიდიული სტატუსის საკითხს. ივ. ჯავახიშვილი ხედავდა, რომ ამ ურთიერთობის ნორმები გარემოებათა მიხედვით ხშირად იცვლებოდა⁶ და ამიტომ მკაფიო განსაზღვრება ამ ურთიერთობისა არც მოუცია. მომდევნო თაობის ისტორიკოსები (ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, შ. ბადრიძე) ამ ურთიერთობას, მართალია, სიუზერენულ-ვასალურს უწოდებენ, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ ბაგრატიონები გაცილებით მეტ თავისუფლებას ავლენდნენ, ვიდრე ეს ჩვეულებრივი ფეოდალურ-ვასალური მორჩილების ფარგლებში იყო შესაძლებელი.⁷ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტია არ იყო ფეოდალური სახელმწიფო და მისი ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კატეგორიებით არც აღინერება. ამიტომ ობოლენსკი ბიზანტიასა და თანამეგობრობის ნევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის იურიდიული ფორმის შესაფასებლად უფრო

⁶ ჯავახიშვილი, *ისტორია*, II, გვ. 112.

⁷ კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა*, გვ. 22; ლორთქიფანიძე, *ტაო-კლარჯეთი*, გვ. 465-467; ბადრიძე, „ქართველთა სამეფო“, გვ. 253.

მოხერხებულ ტერმინად მიიჩნევა რომაულ *foederatio*-ს, ვიდრე დასავლეთ ევროპულ სიუზერინიტეტ-ვასალიტეტს.⁸ მხარეებს შორის ურთიერთვალდებულებები განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით, რომელიც ავალდებულებდა ფედერატს საკუთარი ძალებით იმპერიის საზღვრების დაცვას, სამაგიეროდ, იმპერიისაგან იღებდა მფარველობას, ფულად საფასურს და შეუზღუდავი თვითმმართველობის უფლებას. ამგვარად გაგებული ბიზანტიური თანამეგობრობა მეტ შესაძლებლობას იძლევა, ახსნა მოექცნოს მთელ რიგ მოვლენებს ბიზანტია – ტაო-კლარჯეთის ურთიერთობაში, რომელიც მართლაც სცილდება ფეოდალური სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულებების ჩარჩოებს. ეს ურთიერთობა ტაო-კლარჯეთთან ფორმალურად პარტნიორული იყო, თუმცა რეალურად აქ მხოლოდ ძლიერი იმპერიისა და პატარა ქვეყნის „ასიმეტრიული“ პარტნიორობა იგულისხმება. ბიზანტიური დიპლომატიის ენაზე ამ ურთიერთობას „მეგობრობა“ ეწოდებოდა. ფორმალურ-იურიდიულად ის გამოხატული იყო ხელშეკრულებებით⁹ და ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ბოძებით.¹⁰ თუ ამას დავუმატებთ კონსტანტინოპოლში ვიზიტებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს და ბიზანტიურ ქედმაღლობასაც, ყოველივე ეს, ცხადია, აფართოებდა მმართველი ელიტის თვალსაწიერს და ხელს უწყობდა ახლებური ხედვის ჩამოყალიბებას სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და კულტურული მნიშვნელობის მოვლენების მიმართ.

ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ხასიათი ბიზანტიასთან, ინტენსივობის თვალსაზრისით, განსხვავებული იყო IX და X საუკუნეებში. ამ სხვაობას განაპირობებდა თავად იმპერიის საგარეო და საშინაო პრობლემები. აშოტ I კურაპალატისა და მისი ძის, ბაგრატ I კურაპალატის პოლიტიკური მისწრაფებები მიმართული იყო უფრო ქვეყნის შიგნით, აღმოსავლეთ ქართლის დაუფლებისაკენ, რომლის ლეგიტიმურ მემკვიდრეებად ბაგრატიონები საკუთარ დინასტიას განიხილავდნენ. როგორც წყაროებიდან ჩანს, გარკვეულ პერიოდში აშოტ I ამ მიმართულებით ნარმატებულად იღვწის და მიზნის მისაღწევად თანამშრომლობს იმ არაბებთან, რომლებმაც ქართლის ძველი დინასტია გაანადგურეს. არაბთა დახმარებით შიდა ქართლს ეუფლება მისი ძე, ბაგრატ I კურაპალატიც. ასეთი ფაქტები მეტყველებენ, რომ ტაოს ბაგრატიონები IX საუკუნეში საკუთარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ბიზანტიისაგან სრულიად შეუბოჭავად მოქმედებენ. ვითარება მკვეთრად იცვლება IX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ არაბებთან განცდილი მრავალი

⁸ Obolensky, *The Byzantine Commonwealth*, p. 275.

⁹ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 237, 263, 269.

¹⁰ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები ატარებდნენ კურაპალატის, მაგისტროსის, ანთიპატოსის/ანთიპატოს-პატრიკიოსის საკარისკაცო ტიტულებს, ყაუხჩიშვილი (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 376, 378, 381. საკარისკაცო ტიტულით დაჯილდოვებულებს საიმპერატორო კარი შესაფერის სამოსს, სამკაულებსა და საჩუქრებს უგზავნიდა, კოპალიანი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, გვ. 14-19.

მარცხის შემდეგ კავკასიის ქვეყნებთან და, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებთან შეცვალა დიპლომატია და ტაქტიკა.¹¹ ცვლილება გულისხმობდა ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში არაბთა წინააღმდეგ ადგილობრივი ხალხების სამხედრო პოტენციალის გამოყენებას, რაც შეუძლებელი იყო ამ ხალხების პოლიტიკური და კულტურული ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ ბიზანტია მოქმედებას იწყებს როგორც „მეგობარი“, თუმცა, ამ „მეგობრობაში“ ჩადებული იურიდიული მექანიზმები პატარა სუვერენული ქვეყნების პოზიციებიდან ხშირად ძალზე ორაზროვნად და სახიფათოდ გამოიყურებოდა. მაგრამ სარგებელი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველი ბაგრატიონები სომეხ ბაგრატუნებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ბიზანტიის მხარეზე საერთო ანტიარაბული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში.

ბასილი I მაკედონელი და მისი მემკვიდრეები იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გატარებაში განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდნენ ახლად გამოცხადებულ ტარონის სომეხთა სამეფოს, რომლის პირველ მეფეს, აშოტ I ბაგრატუნის (885-891), ნიშნად აღიარებისა, ბასილი I მაკედონელმა (867-886) 885 წელს სამეფო გვირგვინი გაუგზავნა. უფრო ადრე იგივე გააკეთა არაბთა ხალიფამ,¹² რაც ცხადად აჩვენებს, რომ იმჟამად გაძლიერებული და დიდი პოლიტიკური ამბიციების მქონე ბაგრატუნების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ორივე დაპირისპირებული მხარე ერთნაირად ცდილობდა.¹³ ტარონის ბაგრატუნებთან უახლოესი ნათესაური და პოლიტიკური კავშირები ჰქონდა ქართველთა მეფეს, ადარნასე II კურაპალატს (888-923). სწორედ ადარნასე დაეხმარა 891 წელს აშოტის ძეს, სუმბატ I-ს, ტახტზე ასვლაში, სწორედ მან შემოსა სუმბატი სამეფო სამოსით.¹⁴ ცოტა ხნის შემდეგ, 893 წელს, იმპერატორმა ლეონ ბრძენმა (886-912) სუმბატთან დადო სამოკავშირეო ხელშეკრულება.¹⁵ დაახლოებით ამავე პერიოდში ლეონ ბრძენი ადარნასე კურაპალატთანაც

¹¹ ბასილი I მაკედონელი ბიზანტიის დიდ პოლიტიკურ შეცდომად აღიარებდა აღმოსავლეთში პავლიკიანთა წინააღმდეგ გამოცხადებულ შეურიგებელ რელიგიურ დევნას, რის შედეგადაც იმპერიის საშინაო პრობლემა დიდ საგარეო პრობლემად იქცა – ამ დროს არაბებმა პავლიკიანების სახით ძლიერი მოკავშირეები შეიძინეს და დიდად შეაფერხეს იმპერიის წინსვლა აღმოსავლეთის ფრონტზე, *Успенский, История*, 3, с. 208.

¹² ცაგარეიშვილი (გამოც.), *იოანე დრასხანაკერტელი*, გვ. 37, 38.

¹³ ტარონის სამეფო ყალიბდებოდა იმ პერიოდში, როდესაც სახალიფო თითქმის დაშლილი იყო, ხოლო ბიზანტია ჯერ კიდევ არ იყო გადასული შეტევით პოლიტიკაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ სამთავროთა წინააღმდეგ. ამ ვითარებით ისარგებლეს ბაგრატუნებმა და შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მთელ კავკასიაზე აცხადებდა პრეტენზიას. სომხურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მათი ამგვარი პრეტენზიები გახდა მიზეზი აზერბაიჯანის საჯი ამირას (ქართული წყაროების მიხედვით, აბულ კასიმი) შემოსევისა (Тер-Гевондян, *Армения*, с. 233-240), მაგრამ, როგორც ჩანს, საჯი ამირას შემოჭრის მიზეზთა შორის არ უნდა გამოირიცხოს ბაგრატუნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბიზანტიასთან.

¹⁴ ცაგარეიშვილი (გამოც.), *იოანე დრასხანაკერტელი*, გვ. 47.

¹⁵ იქვე, გვ.61; *Успенский, История*, 3, с. 239.

(იოანე დრასხანაკერტელი მას ყოველთვის „დიდ კურაპალატად“ მოიხსენიებდა) და კიდევ რამდენიმე „სხვა იბერიელ დიდებულთან“ აგზავნის ე.წ. სწრაფი დრომოსის ქარტულარს კონკრეტული დავალებებითა და შესაფერი საჩუქრებით.¹⁶

ეს ფრაგმენტული ცნობები მოწმობს, რომ ბიზანტიამ სომეხ და ქართველ მოკავშირეებთან თითქმის ერთდროულად შეკრა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. IX საუკუნის ბოლო წლებში (899 წელს) სუმბატ სომეხთა მეფემ ადარნასე კურაპალატს „ქართველთა მეფის“ გვირგვინი¹⁷ დაადგა, რაშიც შეუძლებელია ბიზანტიის იმპერატორის კეთილი ნება არ დავინახოთ.¹⁸ ბიზანტიასთან შეთანხმებული პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო ადარნასესა და სუმბატის ურთიერთდახმარება შინაურ აშლილობაში და მათი მონაწილეობა ლეონ ბრძენის მიერ ორგანიზებულ ლაშქრობაში თეოდოსიოპოლის მისადგომებამდე.¹⁹ სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ იწყება აზერბაიჯანის ამირას (ქართული წყაროების მიხედვით, აზულ კასიმის, იოანე დრასხანაკერტელის მიხედვით, იუსუფ ოსტიკანის) სადამსჯელო ლაშქრობები სომხეთში, მესხეთსა და ქართლში. ეს გამანადგურებელი ლაშქრობები მცირე შესვენებებით ხუთ წელიწადს (907 წლიდან 914-მდე) გრძელდებოდა და დასრულდა სუმბატ მეფის შეპყრობითა და სიკვდილით დასჯით (ამ დროს ანამეს ქართველი მეციხოვნე მიქელ-გობრონიც). ლეონ ბრძენი 912 წელს გარდაიცვალა და ვერ მოასწრო თავისი მოკავშირის დაცვა.²⁰ ამ მოვლენასთანაა დაკავშირებული კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი იოანე დრასხანაკერტელისადმი, რომელშიც პატრიარქი სამძიმარს უცხადებს სომეხ მღვდელმთავარს დიდი მსხვერპლის გამო და გამამხნეველ სიტყვებს უთვლის სომხეთის ხალხისა და ქართლისა და ალბანეთის გადარჩენილ ნაწილს.²¹

აღმოსავლეთის საკითხს მეტი ყურადღება და, რაც მთავარია, მეტი სამხედრო ძალა დაუთმო იმპერატორმა რომანოზ I ლაკაპენოსმა (920-944). მან განაახლა ხელშეკრულებები სომეხ და იბერიელ მმართველებთან, რაც კარგად აჩვენა კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში გამოყენებული წყა-

¹⁶ ყაუხჩიშვილი (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 237-239.

¹⁷ ცაგარეიშვილი (გამოც.), იოანე დრასხანაკერტელი, გვ. 89.

¹⁸ სუმბატ დავითის ძე, რომელიც გამოირჩევა ქრონოლოგიური ცნობების სიუხვით, ადარნასე II კურაპალატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებას ათარიღებს 888 წლით, ყაუხჩიშვილი (გამოც.), ქართლის ცხოვრება, I, გვ. 379. ამავე დროს ადიშის ოთხთავის 897 წლის ანდრძში ადარნასე მხოლოდ კურაპალატად იხსენიება. ადარნასეს ტიტულების თარიღითა ამ ერთგვარმა შეუთავსებლობამ წარმოშვა სრულიად ლოგიკური ვარაუდი, რომ ადარნასემ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო 888 წელს, მაგრამ ბიზანტიამ იგი აღიარა მოგვიანებით, 899 წელს, აზდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა, გვ.192.

¹⁹ Успенский, История, 3, с. 239.

²⁰ იქვე.

²¹ ცაგარეიშვილი (გამოც.), იოანე დრასხანაკერტელი, გვ.101.

როების გაანალიზებამ.²² იგულისხმება იმპერატორების მიმართეები იბერიის კურაპალატებისადმი და მათი არქონტებისადმი, ორმხრივი ხელშეკრულებები და, ასევე, ბიზანტიის ელჩობათა ანგარიშები. კონსტანტინე პორფიროგენეტი რამდენჯერმე ახსენებს ქართველ ბაგრატიონებს საიმპერიო ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის თუ საბრძოლო მოქმედებების ამსახველ ცალკეულ ეპიზოდებში, მაგ., ადარნასე II კურაპალატი და ქართველთა მეფე (გარდ. 923 წ.), რომლისთვისაც კურაპალატის ხარისხი მიუნიჭებია ლეონ ბრძენს; ადარნასეს შვილი, ბაგრატ მაგისტროსი, რომელსაც 928 წელს მონაწილეობა მიუღია თეოდოსიოპოლისათვის ბრძოლაში იოანე კურკუასის მხედართმთავრობით; სუმბატ I, ქართველთა მეფე და კურაპალატი (გარდ. 958 წ.) და ადარნასე III კურაპალატი (გარდ. 961 წ.) მოხსენიებულნი არიან ბასიანის მიწებთან დაკავშირებულ დავებში და ა.შ.²³

X საუკუნის 40-იანი წლებიდან ბიზანტიამ უკვე საგრძნობლად წაინია წინ სირიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. ამ ბრძოლებში, დიდი ალბათობით, მონაწილეობდნენ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებიც თავიანთი ჯარებით, რასაც მათ ბიზანტიურ ტიტულებთან ერთად ირიბად ის დავებიც მოწმობს, რომლებიც პერიოდულად წამოიჭრებოდა ხოლმე მათსა და საიმპერატორო კარს შორის.²⁴ ერთი ასეთი სადავო საკითხის განხილვისას კონსტანტინე პორფიროგენეტი იბერიის კურაპალატთან დადებული ხელშეკრულების პირობებსაც გადმოგვცემს: იბერიის კურაპალატს დახმარება უნდა გაენია იმპერიის ჯარებისათვის, მაგრამ გათავისუფლებული მიწა-წყლიდან შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ ის მიწები, რომლებსაც დამოუკიდებლად წაართმევდა სარკინოზებს.²⁵ მოდავე მხარე, იბერიის კურაპალატი (ეს უნდა იყოს სუმბატ I, ქართველთა მეფე), თავისი მოთხოვნის კანონიერების დასადასტურებლად იმპერატორს უგზავნის მის ხელთ არსებული ოქრობეჭდების პირებს, საიდანაც ჩანს, რომ სადავო მიწები კურაპალატს წამდვილად ეკუთვნოდა. მართალია, კონსტანტინე პორფიროგენეტი ირწმუნება, რომ ამ ოქრობეჭდებში არ არის კურაპალატის სასარგებლო ჩანაწერი, მაგრამ საბოლოოდ მაინც დათმობაზე

²² კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომში *De administrando Imperio* საიმპერიო კანცელარიის დოკუმენტთა ქრონოლოგიური ფენები გამოყო Fr. Dölger-მა (დაწვრილებით იხ. ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან*, გვ. 7); ამავე ნაშრომის 43-46 თავების, რომლებიც სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკური სტატუსისა და ბიზანტიასთან ურთიერთობის ფორმების განსაზღვრის საშუალებას იძლევა, დაწერის დრო (952 წ.) და წყაროები დაადგინა ს. რანსიმენმა, Dvornik – Jenkins *et al.*, *Constantine Porphyrogenitus*, pp. 157-159.

²³ ყაუხჩიშვილი (გამოც.) კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 243, 364, 271.

²⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტის ტრაქტატიდან „საკარო ცერემონიების შესახებ“ ცნობილია, რომ ბიზანტიის წარგზავნილები სომხეთში კრებდნენ მეომრებს უფრო შორეული სამხედრო ექსპედიციებისათვისაც, მაგ., ამ საქმით ყოფილა დაკავებული პროტოსპათარი თეოდორე, ბაგრატის ძე, Литаврин (ред.), *Константин Багрянородный*, с. 408, შენ. 18.

²⁵ ყაუხჩიშვილი (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 267.

მიდის, „რადგან კურაპალატი ჩვენი მორჩილი და მეგობარია“.²⁶ ამ ეპიზოდში წარმოდგენილი წინააღმდეგობრივი დასკვნა, რასაკვირველია, საფუძვლიან ეჭვს აღძრავს, რომ კურაპალატი მართალი იყო.²⁷ სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა გაეგზავნა მას ბიზანტიის იმპერატორთან თავისთვის საზიანო დოკუმენტები.

ეს ეპიზოდი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ უეჭველობით ადასტურებს ბიზანტიასა და ტაო-კლარჯეთის კურაპალატებს შორის სამართლებრივი ხელშეკრულებების არსებობას, რის საფუძველზე კურაპალატს დავაც კი შეეძლო წამოეწყო საიმპერიო ხელისუფლებასთან. ამ შემთხვევაში იმპერატორი იძულებული გამხდარა „დათმობაზე“ წასულიყო, რის შედეგად ტაოს სამეფომ და ბიზანტიამ სადავო მიწები (ლაპარაკია ფასიანზე, იმავე ბასიანზე) არაქსის გაყოლებაზე შუაზე გაიყვეს.²⁸ ეს ის მიწებია, რომლებსაც ქართული წყაროები „ზემო ქვეყნებს“ უწოდებს.

ბიზანტიასთან კავშირი კიდევ უფრო ღრმავდება დავით III კურაპალატის (961-1001) დროს. მისი მმართველობა დაემთხვა მეზობელი იმპერატორების, ნიკიფორე ფოკას (963-969) და იოანე ციმისხის (969-976) მმართველობის წლებს, როცა ბიზანტიამ საბოლოო გარდატეხა შეიტანა არაბებთან ბრძოლაში და წინა აზიაში თითქმის სრულად დაიბრუნა ძველი საზღვრები. ბიზანტიის ჯარებმა ზედიზედ დაიკავეს კვიპროსი, სირიის, ლიბანის, პალესტინის და ჩრდილო მესოპოტამიის უმთავრესი ციხე-ქალაქები. მიუხედავად ცნობათა სიმწირისა, სავსებით ცხადია, ამ ბრძოლებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართველ ბაგრატიონებსაც, მათ შორის დავითსაც, რომელსაც კურაპალატობამდე ბევრად ადრე მაგისტროსობა ჰქონდა მიღებული. „იოანე და ეფთვიმე მთაწმინდელების ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ ეფთვიმეს მცირეწლოვნების დროს ბიზანტიის იმპერატორმა დავით კურაპალატს (აქ წყარო გვიან მიღებული ტიტულით მოიხსენიებს ტაოს მეფეს) „ზემონი ქუეყანანი“ გადასცა და მძევლებად აზნაურთა შვილები წაიყვანა. მათ შორის ყოფილა მცირეწლოვანი ეფთვიმეც.²⁹ ამ ცნობაში კვლავ „ზემო ქვეყნებთან“ დაკავშირებულ კონფლიქტურ სიტუაციაზეა ლაპარაკი, რომლის კონკრეტული გარემოებანი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ჩანს, რომ ქართველები უკან არ იხევენ ამ მიწების მოთხოვნაში. ეს მიწები თავიდან ხდება სადავო, როცა ბასილი და კონსტანტინე იმპერატორები დავით მაგისტროსს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გალაშქრებას სთხოვენ. ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების სანაცვლოდ დავითმა იმპერატორებისაგან მიიღო კურაპალატის ტიტული, იგივე „ზემო ქვეყნები“ და დამატებით – არაქსს გადაღმა კანტონი, კარნი/კარინი (ძველი

²⁶ ყაუხჩიშვილი (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 271.

²⁷ იქვე, გვ. 272, სქოლიო.

²⁸ კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა*, გვ. 13.

²⁹ აბულაძე (გამოც.), ცხორება იოვანესი და ეფთვიმესი მთაწმინდელისაჲ, გვ. 43.

თეოდოსიოპოლი), აგრეთვე, ჭოროხისა და ევფრატის სათავეებთან მდებარე სომხური მიწები (ხალტო-არიჭი, სეფუქი, ჰარქი, აპაჰუნიქი).³⁰ რეალურად ამ მიწების ერთი ნაწილი (კარინის ოლქი, ბასიანის ჩრდილოეთი) ტაოელ ბაგრატიონებს უფრო ადრეც ჰქონდათ საკუთარი ძალებით შემოერთებული, რასაც ამტკიცებს კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ გადმოცემული დავის შინაარსი.³¹ მეორე ნაწილი (ჰარქი, აპაჰუნიქი) კი, როგორც ჩანს, ახლად ებოძათ ბაგრატიონებს. ეს ის ოლქები იყო, რომლებზეც, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, X საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიას ტარონის სამეფოზე გავლით მიუწვდებოდა ხელი, ამჯერად კი ისინი დავით კურაპალატის განკარგულებაში აღმოჩნდა. ამ ოლქების განსაკუთრებულ სტრატეგიულ მდებარეობაზე („რომანიასა და არმენიას შორის“) ამახვილებს ყურადღებას კონსტანტინე პორფიროგენეტი.³²

X საუკუნის ტაო-კლარჯეთის სამთავრო ყველა პარამეტრით აკმაყოფილებდა ბიზანტიასთან ურთიერთობის იმ პრინციპებს, რომლებიც ემყარებოდა ბიზანტიური თანამეგობრობის პარადიგმას, რაც ნიშნავდა, რომ სამთავროს, რეალურად, იმაზე მეტი უფლებები ეძლეოდა, ვიდრე ფეოდალურ ვასალს. მაგრამ ბიზანტია – ტაო-კლარჯეთის ურთიერთობებში ჩადებული იყო ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებსაც ბიზანტია საჭიროებისამებრ თავის სასარგებლოდ იყენებდა. ეს კარგად გამოჩნდა „ზემო ქვეყნების“ ისტორიაში, მაგრამ ხელშეკრულებათა განახლების გზით ქართველებს მაინც ეძლეოდათ შესაძლებლობა, შემოერთებულ ტერიტორიებზე საკუთარი პოლიტიკა გაეტარებინათ. X საუკუნის ბოლოს, როგორც კი ამის საბაზი მიეცა (დავით კურაპალატის გამოსვლა აჯანყებული ფოკას მხარეზე), ბიზანტიამ ეს სამართლებრივი მექანიზმები თავის სასარგებლოდ აამუშავა. საქმე ის არის, რომ ბიზანტიური სახელმწიფო სამართალი არ ცნობდა მემკვიდრეობით საკუთრებას.³³ ბიზანტიური კანონების თანახმად, იმ მიწა-წყლის ნაწილი, რომლებსაც ქართველები ბიზანტიელებთან ერთად იკავებდნენ, ბაგრატიონებს მხოლოდ ლენური წესით (სიცოცხლის ვადით) შეეძლოთ დაეკავებინათ. ამის საპირისპიროდ, ქართული სამართლებრივი წარმოდგენები, ისევე, როგორც მთელი სოციალური და პოლიტიკური სისტემა, მემკვიდრეობით მფლობელობაზე იყო დაფუძნებული, რაც პოტენციურად შეიცავდა გარდუევალ წინააღმდეგობას ბიზანტიურ „თანამეგობრობაში“ – ქართველებს დიდ უსამართლოდ მიაჩნდათ საკუთარი ბრძოლით („ხმლით“) მოპოვებული მიწების დათმობა იმპერიისათვის.³⁴ ბიზანტია კი, რასაკვირველია, სრულებით არ იზიარებდა ქართველების

³⁰ ინგოროყვა, *მერჩულე*, გვ. 524-526; კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა*, გვ. 38.

³¹ ყაუხჩიშვილი (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 260.

³² ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები*, გვ. 50-51, 58.

³³ იქვე, გვ. 49.

³⁴ იქვე, გვ. 49-50.

ამგვარ სამართლებრივ წარმოდგენებს და მათზე დაფუძნებულ განწყობებს, მაგრამ, თუ რიგ შემთხვევებში, ქართველების მიმართ მაინც მიდიოდა დიდ დათმობებზე (მაგ., კეჯეს ციხის ეპიზოდი).³⁵ ეს მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშიანობით იყო განპირობებული.

„ზემო ქვეყნების“ ისტორია აჩვენებს, რაოდენ შორს იყო ბიზანტიასთან პატარა ქვეყნის „მეგობრობა“ თანაბარი პარტნიორული ურთიერთობისაგან, მაგრამ მან მაინც უაღრესად სასარგებლო და ნაყოფიერი შედეგი გამოიღო ორივე მხარისათვის. ბიზანტიისათვის ეს იყო სამხედრო დახმარება მუსლიმთა პოზიციების გარღვევის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ხოლო ტაო-კლარჯეთისათვის – ფეოდალური კარჩაკეტილობის გადალახვა, სახელმწიფოებრივი და დიპლომატიური კულტურის ამაღლება, ეკონომიკური დაწინაურება და მაღალ ბიზანტიურ კულტურასთან ინტენსიური კავშირი, რამაც ტაო-კლარჯეთის მმართველი წრეები დაარწმუნა საკუთარ ქვეყანაში „ბიზანტიური სწავლულების“ ტრანსპლანტაციის აუცილებლობაში. მხოლოდ ამ გზით შეძლებდნენ ისინი ბიზანტიურ ოიკუმენეში ღირსეული ადგილის მოპოვებას და იმავდროულად საკუთარი სუვერენული უფლებების დაცვას.

ახლად დაპყრობილ ადგილებში დავით კურაპალატს შეჰქონდა ქართული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და ქართული კულტურა – არსებობს სტეფანოს ტარონელის პირდაპირი მოწმობა, რომ შემოერთებული ოლქებიდან დავით კურაპალატი ყრიდა მაჰმადიან მოსახლეობას და იქ ქალკედონიტ სომხებსა და ქართველებს ასახლებდა.³⁶ ამგვარი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას დავით კურაპალატი, რასაკვირველია, ბიზანტიის მოწაფე ჩანს, მაგრამ მისი შედეგებით იგი ქართული ენის არეალის გაზრდას და ქართული სახელმწიფოს შენებას ემსახურებოდა.

X საუკუნის ტაო-კლარჯეთის საეკლესიო მშენებლობებიც ქართული სახელმწიფოს შენების მიზანს ემსახურებოდა. ამ დროს აშენდა ამიერ ტაოში ბანას საეპარქიო ტაძარი, იმიერში – ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია (ეს უკანასკნელი განახლდა), რომელთა მრავალრიცხოვანი ქართულენოვანი წარწერები და ამ ეკლესიათა სკრიპტორიუმებში შესრულებული ხელნაწერები ნათლად მეტყველებენ, რომ ისინი ქართული სამწყობოსთვის იყვნენ განკუთვნილნი. X საუკუნის მიწურულს ახლად შემოერთებულ ბასიანში ვალაშკერტის ეპარქია დაარსდა.³⁷ ვალაშკერტელობა ბანელს ჰქონდა შეთავსებული და ორივე სამწყობო მცხეთის კათლიკოსს ექვემდებარებოდა. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში სრულიად ახლებური სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა

³⁵ ყაუხჩიშვილი (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი, გვ. 264-265.

³⁶ ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი, გვ. 483; Степанос Таронский, *Всеобщая история*, с.191-192, 198-198.

³⁷ ჭეიშვილი, ვალაშკერტი, გვ. 81-82.

ქართულმა ენამ,³⁸ რომელიც გამოიყენებოდა როგორც ეთნიკურად ქართული, ასევე ტაოს მკვიდრი სომხური და ბერძნული მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლისთვისაც ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში ქართული როგორც საკომუნიკაციო, ისე საეკლესიო ენად იყო ქცეული. ამასთანავე, ირკვევა ისიც, რომ ტაოში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდა სომეხი ქალკედონიტი მოსახლეობა, საღვთისმსახურო-სამწიგნობრო ენად ისევ სომხური რჩებოდა. ამისი თვალსაჩინო მონიშვნაა ამ რეგიონში აღმოჩენილი X, XI და XIII საუკუნეების სომხურ ხელნაწერთა ფრაგმენტები³⁹.

ამ შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად პოლიტიკური სიძნელებისა, ბიზანტიისა და ტაო-კლარჯეთის ურთიერთობა იყო ორმხრივი გაცვლა, იგი შეიცავდა დინამიკური განვითარების იმპულსებს – დანინაურებული ქრისტიანული კულტურის მქონე იმპერიასთან პოლიტიკურმა პარტნიორობამ ტაო-კლარჯეთს შესძინა ბიზანტიური განსწავლულობის მქონე ახალი საერო და სასულიერო ელიტა, რომელმაც პერსპექტივაში გაიაზრა ბიზანტიური განათლების მნიშვნელობა აღმავლობის გზაზე დამდგარი ქართული სახელმწიფოს შენებისა და მისი სუვერენული უფლებების დაცვისათვის. სწორედ ამ ამოცანებმა შვა ბიზანტიურ თანამეგობობაში არსებობის ის მოდეელი, რომელიც თავის თავში ერთდროულად მოიცავდა ბიზანტიურ კულტურასთან ინტეგრირებას და ქართული ეთნოკულტურული თვითშეგნების ახალ საფეხურზე აყვანას.

დამონეპული ლიტერატურა

აბდალაძე, *ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა* = ალ. აბდალაძე, *ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში*, თბილისი, 1988.

აბულაძე (რედ.), ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვმესი მთანმიდელისაჲ = *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ი. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967.

ბადრიძე, „ქართველთა სამეფო“ = შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, *თსუ შრომები*, 113 (1965).

ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები* = შ. ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან*, თბილისი, 1984.

ინგოროყვა, *მერჩულე* = პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, თბილისი, 1954.

³⁸ ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები*, გვ. 52.

³⁹ კეკელია, ტაო-კლარჯეთის კულტურული კონტაქტის არეალი, გვ. 54.

- კეკელია**, ტაო-კლარჯეთის კულტურული კონტექსტის არეალი = ვ. კეკელია, ტაო-კლარჯეთის კულტურული კონტექსტის არეალი და სომეხი ქალკედონიტების ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი, *საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“*. მასალები, თბილისი, 2010.
- კოპალიანი**, *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა* = ვ. კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში*, თბილისი, 1969.
- ლორთქიფანიძე**, ტაო-კლარჯეთი = მ. ლორთქიფანიძე, ტაო-კლარჯეთი („ქართველთა სამეფო“), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, II, თბილისი, 1973.
- რეპი**, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა = ს. რეპი, კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა: გაბიზანტიელება, კოსმოპოლიტიზმი და ქართველი მთწმინდელები, *ლოგოსი, სამეცნიერო ჟურნალი*, 6 (2011).
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), კონსტანტინე პორფიროგენეტი = *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, IV, 2, სრული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952.
- ყაუხჩიშვილი** (გამოც.), *ქართლის ცხოვრება*, I = *ქართლის ცხოვრება*, I, ტესტი დადგენილი ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.
- ჭეიშვილი**, ვალაშკერტი = გ. ჭეიშვილი, ვალაშკერტის საეპისკოპოსო, *ტაო-კლარჯეთი. II საერთაშორისო კონფერენცია*, (მოხსენებათა თეზისები), 5-8 სექტემბერი, თბილისი – ბათუმი, 2012.
- ცაგარეიშვილი** (გამოც.), *იოანე დრასხანაკერტელი* = *იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევიდა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1965.
- ჯავახიშვილი**, *ისტორია*, II = ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, თხზულებანი 12 ტომად, II, თბილისი, 1983.
- Dvornik – Jenkins-Lewis et al.**, *Constantine Porphyrogenitus = Constantine Porphyrogenitus. De administrando Imperio*, v. II, Commentary by F. Dvornik, R. J. Jenkins, B. Lewis, G. Moravcsic, D. Obolensky, S. Runsiman, London, 1962.
- Fowden**, *Empire to Commonwealth* = G. Fowden, *Empire to Commonwealth: Consequences of Monotheism in Late Antiquity*, Princeton, 1993.
- Литаврин** (ред.), *Константин Багрянородный* = *Константин Багрянородный, Об управлении империей*, текст, перевод, комментарий Г. Литаврина, Москва, 1989.
- Obolensky**, *The Byzantine Commonwealth* = D. Obolensky, *The Byzantine Commonwealth, Eastern Europe 500-1453*, London, 1971; რუს. თარგმანი: Д. Оболенский, *Византийское содружество наций. Шесть византийских портретов*, Научно-издательский центр „Ладомир“, 1998.
- Rapp**, *Caucasia and the Byzantine Commonwealths* = S. Rapp, *Caucasia and the Byzantine Commonwealths: Towards an Integrated Vision of Georgian, Armenian and Byzantine*

History (2009 წელს „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ მონვევით თბილისში ნაკითხული მოხსენების ხელნაწერი ტექსტი).

Степанос Таронский, *Всеобщая история = Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия*, Москва, 1864.

Тер-Гевондян, *Армения* = А. Н. Тер-Гевондян, *Армения и Арабский халифат*, Ереван, 1977.

Успенский, *История*, 3, = Ф. Успенский, *История Византийской империи*, 3, Москва – Ленинград, 1948.

TAO-KLARJETI IN THE POLITICAL CONTEXT OF THE BYZANTINE COMMONWEALTH

Abstract

In the paper is discussed relationship of Tao-Klarjeti province with Byzantium in the 9th-11th cc. in terms of Byzantine *commonwealth* concept. Here are reviewed scholarly works related to the main topic of the paper, parameters of integration of the countries of Caucasus with the Byzantine *commonwealth* in the different periods of time (late antiquity, early medieval centuries) and is evaluated perspective of the further research in this direction.

Tao-Klarjeti was one component of the huge areal of the *commonwealth* in the South Caucasus. The role of Tao-Klarjeti in the politics of Byzantine Empire was defined by the following conditions: geographical location, common enemy (Arabs) and common faith. Political and judicial relations between Byzantine Empire and Tao-Klarjeti, which developed on this basis, were quite tensed and uneasy. But these relations appeared to be useful for the both sides. For Byzantium it was a big support in the struggle against the Arab emirates and in defense of the south-east borders; for Tao-Klarjeti this was possibility to get familiar with cultural tendencies of Byzantine Empire (Constantinople, in particular) and new perspectives for the further cultural development.

Mzia Surguladze

*Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi*

ზაზა სხირტლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს 1218 წლის დაკარგული წარწერის ახლად მიკვლეული ფრაგმენტები*

ნაქალაქარ ანისის ჩრდილოეთ ნაწილში, მთავარი კარიბჭის სიახლოვეს მდებარე „ქართული ეკლესიის“ ამჟამად დანგრეულ სამხრეთ და, როგორც ჩანს, დასავლეთ ფასადებზე ამოკვეთილი იყო მრავალრიცხოვანი ქართული წარწერა, მათ შორის – სამი ვრცელი, თარიღიანი ეპიგრაფიკული საბუთი (სურ. 1 და 2). ამ წარწერათაგან XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ანელი წარწინებულის, საჰმადინის 1288 წლის ვრცელი ქართული წარწერის ფრაგმენტები.¹ სწორედ ამ ფრაგმენტული წარწერის ნაკლები ადგილების კუთვნილი ნაწილების მოძიების მიზნით და ტექსტის ფრაგმენტული ადგილების შეძლებისდაგვარი სისრულით აღსადგენად 1910 წლის აგვისტოში, ანისში არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის დროს, ნიკო მარის გად-ანყვეტილებით, დაიწყო ნაგებობის სამხრეთი კედლის მიმდებარე მონაკვეთის განმენდა. სამუშაოთა შედეგები მოსალოდნელზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: მართალია, საჰმადინის წარწერასთან დაკავშირებული მასა-ლის მოძიების ცდას არსებითი ხასიათის სიახლეები არ მოჰყოლია, მაგრამ აღმოჩნდა ახალი, მანამდე უცნობი, ამასთან კავკასიოლოგიისთვის დიდად ფასეული ეპიგრაფიკული ძეგლი – კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს 1218 წლის ოცსტრიქონიანი ქართული ლაპიდარული წარწერა-საბუთი ანელი მოქალაქეე-ბისადმი. წარწერა ეკლესიის დაზიანებამდე მის სამხრეთ კედელზე, საჰმადინის წარწერის დასავლეთით იყო შესრულებული. ნიკო მარმა თავი მოუყარა განმენდის პროცესში აღმოჩენილ წარწერიან ქვებს, დაალაგა ისინი და ში-ნაარსობრივად, ფაქტობრივად, სრულად გამართა ტექსტი.² ამ პუბლიკაციაზე

* ნაშრომი შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ (HE15-022) ფარგლებში.

¹ წარწერის შესახებ იხ. სხირტლაძე, საჰმადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში, გვ. 104-119.

² Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии, с. 1433-1442.



სურ. 1. ანისი. ნაქალაქარის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან (ზ. სხირტლადის ფოტო).



სურ. 2. ანისი. ქართული ეკლესია აღდგენამდე. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1900-იანი წლების ფოტო (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, საქმე 532).

დაყრდნობით შემდგომი ათწლეულების განმავლობაში კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერა მრავალჯერ იქნა გამოცემული და შესწავლილი (სურ. 3).³

წარწერის ტექსტს ბოლოში ახლავს დამტკიცება სომხურ ენაზე, ანისის სომეხი ეპისკოპოსისა, გრიგოლისა და ქალაქის ამირასი, ვაჰრამისა. წარწერა ასე იკითხება:

[†] იტყუ(ი)ს ჳ(მა)ჲ სალ(მრ)თ[ოჲ]: „[უს]ასყ(ი)დლოდ მიგილ[ე]ბ[ი]ეს, უსასყიდლოდ მისცემდით“.⁴ ესე იგ(ი) არს, გეტ[ყუ]ის | ლ(მერ)თი უკვ(დავი): „ჩ(ე)მდა რაჲ მიგიცემიეს მა(დ)ლ(ი)სა მ[ი]ს[თ]ო(უ)ის, რ(ომე)ლი ჩ(ე)მგ(ა)ნ მი(ი)ლით? თქ(უ)ენცა ჰყიდდ(ი)თ დიდსა | მ(ა)დლს(ა) ჩ(ე)მგ(ა)ნ უსყიდ[ულ]სა. უჴკითი (*sic*) მე უსასყიდ[ლო]დ მომიცემიეს(ს), არცა თქ(უ)ენგ(ა)ნ ჯერ-ა(რ)ს [სყ]იდაჲ ლო[ც]ვათა ერ[ი]სა მიმ[ართ]“.

ან, სასონო ჩ(ე)მო, ან[ე]ლნო ხუცესნო, ნუ [ი]ქნებით დასაბრკოლებელ | [სი]ტყ(უ)ათ და ნ(უ)ცა გარ[დაჰ]დებით მოციქულთ[ა] მც[ნ]ება[ს] (ა) ცუდისა და წა[რ]მავალი[სა]თ(უ)ის.

ყ(ოვლა)დ უწეს[ო] | არს აღ[ე]ბ[ა] თქ(უ)ენგ(ა)ნ(ცა) გუ(ი)რგუ(ი)ნთა კუ[რ]-თხე[ვისათუ]ის ასისა დრამის[აჲ], | [ხოლო] ასისა ტფილურისაჲ – ჯერ-[ა]რს; თ[უ] ძალი ედვას, პური აჭამოს.

ეგრეთვე მკუ[დარი]სათ(უ)ის, რ(ომე)ლი [ჭ]ირი[-]ის [-]თანა | [უ]ფრო შეს[ჭ]ირდების, მი[ს]ი(ს)ა სული[ს]აჲ. ეგდენივე ასისა ტფილურისა მიეცეს და [თუ] ძალი ედვას, | [პ]ური აჭამოს და სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრად.

³ Март, Ани, таб. XLII, рис. 182 (ფოტო); ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში*, გვ. 10-11 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии, с. 643-649; Таq'aishvili, L'inscription d'Épiphane, Catholico de Géorgie, pp. 216-224 (ფრანგული თარგმანი, ფოტო); ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, გვ. 139 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, გვ. 479 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); Орбели, *Гіқასն Հայ Կիմագրության*, I, გვ. 61 (187), ტაბ. XX (წარწერის სომხური დამტკიცების ტექსტი); დონდუა, *საისტორიო ძეგლები*, I, გვ. 51-54 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); დოლიძე (გამოც.), *ქართული სამართლის ძეგლები*, III, 153-154, 11 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); Մուրադյան, *Հայաստանի Կրպղերն Արձանագրությունները*, გვ. 41-43, ტაბ. I (დედნის შრიფტი; მხედრული ტრანსლიტერაცია; სომხური თარგმანი; ფოტო); Mahé, L'étude de P. M. Muradyan, p. 296-297 (ფრანგული თარგმანი); ჯავახიშვილი, *თხზულებანი*, VI, გვ. 347 (წარწერის ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია ნ. მარის გამოცემის მიხედვით); ბერძნიშვილი, ანისის ქართული წარწერა, გვ. 161 (ფოტო); სილოგავა, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 41-44 (დედნის შრიფტი; მხედრული ტრანსლიტერაცია; თურქული თარგმანი; ფოტო); Eastmond, *Inscriptions and Authority in Ani*, p. 78, fig. 8 (ინგლისური თარგმანი; ფოტო).

⁴ მათე, 10:8.

ყ(ოველი)ვე მისაც(ე)მელი მღ[დე]ლთა | უბრკოლ[ე]ბელი იყ[ა]ვნ თქ(უ)ენ[დ]ა მოსაცემლად.

მ[კუ]იდრნო ა[მ]ის ქალაქ[ისა]სანო, ქართველნო, რ[აო]დენ[ც]ა | პ(ირველ)ად დიდად პატივცემდით! მღდელთაგ(ა)ნ გიჴმს ლოცვაჲ და წირვაჲ, ნუ გენყინების [მ](ა)თთ(უ)ის ძა[ლი]||საებრი მისაცემელი! [უ]ფრ[ო]ჲსად მხია{რ}ულებით მისცემდით, თუ(ი)ნიერ დაჭირებ[ი]სა, „რ(ამეთუ) მხია[რ]||ულებით მისაცემელი უყ(უ)არს უ(ფალს)[ა]“.⁵ და თქ(უ)ენ[დ] გიყ(უ)არდენ, ვ(ითარც)ა მამანი სულიერნი, და მ(ა)თ [უყ(უ)არდით, ვ(ითარც)ა | შვილნი სულიერნი. ლოცვასა ნუც[ა] [თ(ქუ)ენ] დააკლდები[თ] და ნუცა თქ(უ)ენ. ყ(ოველ)სა [ზ](ე)და უფრო(ა)-სა[დ] ს[ა]ღმროთოჲ [იგი] | [ს]იყ(უ)არული ერთმანერთისაჲ მოიგეთ [დ]ა ამით მ[ი]ეცით სას(უ)რ(ვ)ო საღმროთოთა მცნებათაჲ.

ესე მე, ეტიფ[ან]ეს კ(ათა)ლიკ(ო)ზ(სა) ჩ(ე)მითა ჴელითა დ[ა]მინერია, ოდეს ანის[ს] ეკლესიანი ვაკურთხენ.

ტფილური ასი დრა[მაჲ] | იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს.

და ზროხის ტყავი, რ(ომე)ლ ერთობ ნაგ[ი]ლია აქამდ[ი]ს, ან სანირავ[ად]||ვე მისცემდით თუ(ი)თო შოლტსა; [ჩ](უ)ენ საეკლესიოთა წესთაგ(ა)ნ რად შევიცვალეებით?

ვინცა ესე ჩ(ე)მი გა[ნგე]||ბული შე[ცვ]ალოს, არ[ა] ცვალაა მან ბრ[ძან]ებაჲ ღ(მრ)თის[ა]გ(ა)ნ და მისთა წ(მიდ)ათაგ(ა)ნ?

ქრ(ონ)იკ(ო)ნ(სა) კლჴ.

[ⲠⲰⲪⲬ] ⲒⲨⲬ. Ⲭ[Ⲥ] Ⲭ(Ⲉ)Ⲓ ⲒⲒⲪⲒⲒⲒ ⲒⲒ[...][ⲈⲒⲪⲬⲨⲒⲒⲒ]ⲒⲒⲬ, ⲬⲬ ⲰⲘⲘⲒⲘⲬ ⲘⲬⲒⲒⲘⲬ ⲘⲘⲒⲘⲬⲒⲬ ⲰⲘⲘⲬⲬⲬⲬⲬⲬ ⲒⲒ ⲘⲘⲘⲘⲒⲒⲒⲒⲒⲒⲬ ⲘⲘⲘⲘⲬⲬⲬⲬⲬⲬ ⲬⲒⲘⲘⲘⲬⲬⲬⲬ ⲬⲒ

(თარგმანი:)

667 (1218) წელს. მეუფე გრიგორი ირიცაპეტი ეპისკოპოსი, მე, ვაჰრამი, ამირა ქალაქისა, მოწამენი ვართ, რომ კათალიკოსის ბრძანება [მტკიცე] და ჭეშმარიტი].

ქვები კათალიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის ტექსტით ანისში, არქეოლოგიური ექსპედიციის სიძველეთსაცავში (ე. წ. მანუჩეს მეჩეთის დარბაზი) ინახებოდა.⁶

1912 წელს, არქეოლოგიური გათხრების თანადროულად, „ქართული ეკლესია“ ნაწილობრივ აღადგინეს; ამოაშენეს ნაგებობის აღმოსავლეთი ფასადის

⁵ II კორ. 9:7.
⁶ Мирзоян (изд.), Письма Н. Я. Марра, с. 103-104.



სურ. 3. კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის ფოტო
(ნ. მარის პუბლიკაციიდან – Надпись Епифания, католикоса Грузии).

ქვედა, გამონგრეული არე, იქვე ნაპოვნი საპირე ქვებით შეიმოსა აღმოსავლეთი ფასადის დიდი ნაწილი, სახელდობრ, ქვედა ნახევარი.

შემდგომში, პირველი მსოფლიო ომის დროს, ნაქალაქარი მიტოვებული იყო. როგორც ჩანს, იმავე პერიოდში გაიძარცვა ძველის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების ნაწილი, მათ შორის – „ქართული ეკლესიის“ კედლები. ამჟამად 1912 წელს განხორციელებული ნაწილობრივი აღდგენის მონაწილეობა ორი ძველი ფოტოა (სურ. 4 და 5), აგრეთვე ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ქვედა მონაკვეთზე შემორჩენილი საპირე წყობა, რომელიც არ გამოირჩევა მაღალი ოსტატობით და წარმოდგენას ქმნის XX საუკუნის დასაწყისში განხორციელებული განახლების ხარისხზე.

დღეს ეკლესიისაგან მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის ნაწილი და კრიპტის აღმოსავლეთი მონაკვეთია დარჩენილი (სურ. 6).

კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერიანი ქვები, ანისის სიძველეთა მუზეუმის სხვა ექსპონატებთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის დროს გაიბნა და დაიკარგა. მათ შესახებ ათწლეულების განმავლობაში არაფერი იყო ცნობილი.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ანისში მუშაობდა თურქულ-ფრანგული სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიციის წევრებმა წარწერის ხუთ ქვას 1998 წელს მიაკვლიეს ნაქალაქართან მიმდებარე სოფლის, ოშაქლის (Oşaklı) მცხოვრებთა სახლების კედლებში (იმჟამინდელი



სურ. 4. ქართული ეკლესია. ინტერიერის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
1910-იანი წლების ფოტო (საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და
ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის – ხელოვნების სასახლის ფოტოარქივი).



სურ. 5. ქართული ეკლესია ნანილობრივი აღდგენის შემდეგ. ხედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან. 1910-იანი წლების ფოტო (ჩილემ ილდირიმის ფოტოარქივი).



სურ. 6. ქართული ეკლესია დღეს.
ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
(გ. ბაგრატიონის ფოტო).

სურ. 7. სოფ. ოშაქლი.
კათოლიკოს-პატრიარქ
ეტიფანეს ნარნერიანი
ქვები საცხოვრებელი
სახლის სამეურნეო
სათავსოს აღმოსავლეთ
კედელზე (ზ. სხირტლაძის
ფოტო).



ნუმერაციით სახლი 120 – სამი ქვა; სახლი 129 – ორი ქვა).⁷ მომდევნო წლების განმავლობაში ამ ქვების მოძიება და აღნუსხვა აღარავის უცდია.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის „ანისი: ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში ანისში ჩატარებული პირველი ექსპედიციის მუშაობისას, 2016 წლის აგვისტოს მეორე დეკადაში, ადგილობრივ მკვიდრთა ყოველმხრივი დახმარებისა და ხელშეწყობის მიუხედავად, ამ ქვების მიგნება ვერ მოხერხდა, რადგან სახლების ნუმერაცია უკვე შეცვლილი იყო. 2017 წლის აგვისტოს დასაწყისში, ხელმეორე ცდისას, კვლავ ადგილობრივთა დახმარებით, აღმოჩნდა სამი ქვა – ისინი სოფელ ოშაქლის ახლა უკვე №92 (ადრინდელი №120) სახლის აღმოსავლეთ (ორი) და დასავლეთ (ერთი) კედლებში იყო ჩაშენებული (სურ. 7). ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ქვები სოფელში იყო გადატანილი დაახლოებით ხუთი ათეული წლის წინ (შესაბამისად – 1960-იან წლებში) სამხედრო დანიშნულების ნაგებობიდან, რომელიც ნაქალაქარის სიახლოვეს მდებარეობდა; მისი დანგრევის შემდეგ ქვები საცხოვრებელი სახლის ასაგებად გამოიყენეს, ამასთან, პირით ფასადისკენ, რათა ამით ნაგებობის სახე გაელამაზებინათ.

წარწერის ფრაგმენტებზე იკითხება:

ა. ქვის წყობის მესამე რიგის მეცხრე ქვა – საცხოვრებელი ნაგებობის დასავლეთ ფასადზე, კედლის შუა მონაკვეთზე (სურ. 8 და 9):

[ბ]ღ[ც] [- -]
[ჟ]ღ~ღსჰ[-ზ]
სც . ჯ~ ჰქ
ყცჰღღ . ჴ[ც]
ღიჰჰღა

ბ. ქვის წყობის მეოთხე რიგის მეორე ქვა – საცხოვრებელი ნაგებობის აღმოსავლეთ ფასადზე, კარის ღიობის გასწვრივ (სურ. 10 და 11):

ღზღ ჴღჰღღ
: ჴზღ : ჴ~ზ : ჴჰღღ
ღღ ჴღღღღ
ღღღღღღ ჴ

⁷ იხ. Mahe, Epigraphic Evidence on the Site of Ani, p. 434; იმავე ნაშრომის გვ. 438-ზე გამოქვეყნებულ ნახაზზე აღნიშნულია წარწერის კუთვნილი ის ქვები, რომლებიც ნაქალაქარის მიმდებარე სოფლის სახლებში იქნა მიკვლეული.



სურ. 8.




სურ. 9.



სურ. 10.



სურ. 11.



სურ. 12.



სურ. 13.

სურ. 8-13. ქვები კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის ფრაგმენტებით:
 8-9 – ქვის წყობის მესამე რიგის მეცხრე ქვა; 10-11 – ქვის წყობის მეოთხე რიგის
 მეორე ქვა; 12-13 – ქვის წყობის მეოთხე რიგის მეცხრე ქვა
 (ზ. სხირტლადის ფოტოები; ნ. ჩაკვეტაძის მონახაზები).


გ. ქვის ნყოფის მეოთხე რიგის მეცხრე ქვა – საცხოვრებელი ნაგებობის აღმოსავლეთი ფასადის სამხრეთ კუთხეში, შუა მონაკვეთზე (სურ. 12 და 13):

𐌆𐌱𐌸 𐌱𐌹 𐌹𐌺𐌱
𐌶𐌹 𐌸𐌸𐌹 𐌸𐌶𐌸𐌸𐌸[-]
𐌹𐌸𐌸𐌹𐌶𐌸𐌸[-𐌸]
𐌹𐌸𐌸 𐌹𐌸 𐌶𐌸𐌹 𐌸𐌸

კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის ზომების დადგენა ნიკო მარის მიერ მითითებული მონაცემების (ლაპიდარული ტექსტის მომცველი საპერანგე ნყოფის თითოეული რიგის სიმაღლის), აგრეთვე ძველი ფოტოს მიხედვით, ადრევე იყო შესაძლებელი: ლაპიდარული ტექსტის მთლიანი ფართი შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 445 x 290 სმ. ამჟამად უკვე ნივთიერად მოპოვებული მასალის – სოფელ ოშაქლის მკვიდრთა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კედლებში ჩართული ცალკეული წარწერიანი ქვისა და მათზე არსებული ფრაგმენტების ურთიერთშეჯერებით შესაძლებელია ლაპიდარული ტექსტის ცალკეულ მახასიათებელზე მსჯელობა: წარწერა შესრულებული იყო სიმაღლით თითქმის თანაგვარ, ხოლო სიგანით განსხვავებულ ქვის ფილებზე. სტრიქონები სწორხაზოვანია – თანაბარი ინტერვალით დაშორებულ რიგებად, მწყობრად ამოღარული; სტრიქონებს შორის სიმაღლე, ფაქტობრივად, მუდამ არის დაცული. სიტყვები ერთმანეთისგან ზოგან დაშორებული არაა, ზოგან კი მათ შორის არსებული მანძილი განსხვავებულია. მთლიანობაში წარწერა გულმოდგინე კვეთით და გრაფემების მკაფიოებით გამოირჩევა (სურ. 14).

წარწერის კუთვნილი სამი ქვის აღმოჩენის შემდეგ ცნობილი გახდა ასოების სიმაღლეც, ის 5,5-6,5 სმ. შორის მონაცვლეობს. ამასთანავე, ეს სხვაობა ვრცელი ლაპიდარული ტექსტის საერთო მხატვრული სახის ფარგლებში ნაკლებად თვალშისაცემია. ამკარაა, რომ წარწერა ერთი ხელითაა შესრულებული. განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ერთი და ორი წერტილი; ქარაგმის ნიშანი – განივი, სწორი ხაზი.

კათოლიკოს ეტიფანეს წარწერის კუთვნილი ქვების აღმოჩენა სანინდარი ჩანს იმისა, რომ სოფელ ოშაქლის სახლებში, აგრეთვე თავად ნაქალაქარის მიდამოებში, ამ მნიშვნელოვანი ეპიგრაფიკული ძეგლის სხვა ფრაგმენტებიც აღმოჩნდება. ამასთანავე, დიდად საურველი და საშური, რომ აღიძრას შუამდგომლობა თურქეთის კულტურის სამინისტროს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესაბამის დაწესებულებებისადმი, რათა კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერიდან შემორჩენილი ქვები გამოიღონ სოფელ ოშაქლის საცხოვრებელი სახლების კედლებიდან და გადაიტანონ რეგიონის სიძველეთსაცავში. ამის კარგი მაგალითია ოშკის ეკლესიაში მიკვლეული ორი



სურ. 14 . კათოლიკოს-პატრიარქ ეტიფანეს წარწერის გრაფიკული ასლი (ნ. ჩაკვეტაძის ნახაზი). რუხი ფერით და მსხვილი კონტურით აღნიშნულია ახლად აღმოჩენილი ქვები.

სტელა ბაგრატ მაგისტროსისა და დავით კურაპალატის გამოსახულებებით,⁸ რომლებიც ამჟამად ერზერუმის მუზეუმში ინახება, ანდა იშხანის კათედრალის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი,⁹ რომელიც რიხეს მუზეუმის ეზოშია გამოფენილი.

⁸ სილოგავა, *ოშკი*, გვ. 66-84, ტაბ. 8-33; სხირტლაძე, *ოთხთა ეკლესიის ფრესკები*, სურ. 190; დადიანი – კვაჭატაძე – ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება*, გვ. 149-150, სურ. 385, 386.

⁹ კუდავა – საითიძე, ახლად აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი იშხნიდან, გვ. 184-196; ნარკვევი დაიბეჭდა ცალკე ბროშურის სახითაც. იხ. აგრეთვე, დადიანი – კვაჭატაძე – ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება*, გვ. 224-225, სურ. 474.

დამონემაჲული ლიტერატურა

- ბერძნიშვილი**, ანისის ქართული წარწერა = მ. ბერძნიშვილი, ანისის ქართული წარწერა. 1218, *ენციკლოპედია „საქართველო“*, თბილისი, 1997.
- დადიანი – კვაჭატაძე – ხუნდაძე**, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება = თ. დადიანი, ე. კვაჭატაძე, თ. ხუნდაძე, *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება*, თბილისი, 2017.
- დოლიძე** (გამოც.), *ქართული სამართლის ძეგლები*, III = *ქართული სამართლის ძეგლები*, III, *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970.
- დონდუა**, *საისტორიო ძიებანი* = ვ. დონდუა, *საისტორიო ძიებანი*, I, თბილისი, 1969.
- კუდავა – საითიძე**, ახლად აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი იმხნიდან = ბ. კუდავა, გ. საითიძე, ახლად აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი იმხნიდან, *საქართველოს სიძველენი*, 18 (2015).
- სილოგავა**, *ოშკი* = ვ. სილოგავა, *ოშკი, მემორიალური ტაძარი*, თბილისი, 2006.
- სილოგავა**, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა = ვ. სილოგავა, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა, *ახალციხე-ყარსი (სიმპოზიუმის შრომები)*, თბილისი, 2001.
- სხირტლაძე**, *ოთხთა ეკლესიის ფრესკები* = ზ. სხირტლაძე, *ოთხთა ეკლესიის ფრესკები*, თბილისი, 2010.
- სხირტლაძე**, საჰმადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში = ზ. სხირტლაძე, საჰმადინის 1288 წლის ქართული წარწერა ანისში: ფრაგმენტული ტექსტის დადგენის ცდა, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2 (2017).
- ჯავახიშვილი**, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში* = ი. ჯავახიშვილი, *სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში*, ტფილისი, 1934.
- ჯავახიშვილი**, *ქართველი ერის ისტორია*, V = ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, V, თბილისი, 1953.
- ჯავახიშვილი**, *ქართველი ერის ისტორია*, III = ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III, თბილისი, 1966.
- ჯავახიშვილი**, *თხზულებანი*, IV = ი. ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, VI, თბილისი, 1982.
- Eastmond**, *Inscriptions and Authority in Ani* = A. Eastmond, *Inscriptions and Authority in Ani*, in: N. Asutay-Effenberger, F. Daim (eds.), *Der Doppeladler, Byzanz und die Seldschuken in Anatolien vom späten 11. bis zum 13. Jahrhundert [Byzanz zwischen Orient und Okzident:1]*, Mainz, 2014.
- Mahé**, *L'étude de P. M. Muradyan* = J.-P. Mahé, *L'étude de P. M. Muradyan sur les inscriptions géorgiennes d'Arménie, Bedi Kartlisa. Revue de Kartvelologie*, 38 (1980).

- Mahe**, Epigraphic Evidence = J.-P. Mahe, Epigraphic Evidence on the Site of Ani, 21. *Kazi sonuclari toplantisı, 2. cilit, 24-28 Mayıs 1999* (Ankara, 2000).
- Тақ’аишвили**, L’inscription d’Épiphanie = E. Тақ’аишвили, L’inscription d’Épiphanie, Catholicos de Géorgie, *Revue de l’Orient Chrétien*, III, t. X (XXX), N1-2 (1935-1936).
- Дондуа**, К социально-экономической жизни средневековой Грузии = В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по анисской надписи (1218) Епифания, И. Мещанинов (ред.), *Академия наук СССР академику Н. Я. Марру, XLV*, Москва – Ленинград, 1935.
- Марр**, Ани = Н. Марр, *Ани. Книжная история города и раскопки на месте городища*, Москва – Ленинград, 1934.
- Марр**, Надпись Епифания, католикоса Грузии = Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии (из раскопок в Ани 1910), *Известия Императорской Академии Наук*, 17 (1910).
- Мирзоян** (изд.), Письма Н. Я. Марра = Письма Н. Я. Марра об археологических раскопках в Ани (1904-1917 гг.), изд. С. Я. Мирзоян, *Լրարեր հասարակական գիտություններ*, 12 (1979).
- Մուրադյան**, Հայաստանի Վրացերեն Արձանագրությունները = Պ. Մուրադյան, Հայաստանի Վրացերեն Արձանագրությունները, Երեվան, 1977.
- Օրբելի**, Դիվան I = Հ. Օրբելի, Դիվան Հայ Վիճագրության, I, Երեվան, 1966.

NEWLY REVEALED FRAGMENTS OF THE LOST INSCRIPTION OF THE CATHOLICOS-PATRIARCH ETIPHANE OF THE 1218

Recently discovered fragments of the Georgian lapidary inscription of Catholicos-Patriarch of Georgia Etiphane are published in the present article. The inscription was placed on the south facade of the “Georgian church” of the Ani city site. The fallen wall stones with the fragments of the inscriptions were found during the archeological excavations of Ani led by Nicolai Marr in August of 1910. Marr collected all the stones with the carved inscription, put them together and almost fully reconstructed the text. All the publications and studies of the inscription done in the following decades were based on Marr’s publication.

The stones with the carved inscription were kept in Ani, at the depository of the antiquities found during the archeological expedition (in the Manuchir mosque). Later, during the First World War they were lost together with the other exhibits of the repository. During several decades there was no information about them.

According to the Turkish-French expedition report of 1998 five stones of the lost inscription were inserted in the walls of the inhabitants of the village Osakli, located

close to the Ani city site. There were no attempts to find and record these stones in subsequent years.

During the expedition in Ani and its environs conducted within the framework of the project *Ani: Georgian Cultural Heritage* (implemented with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation), in August 2017 Georgian scholars found three stones – they were inserted in the east (two stones) and west (one stone) walls of the house № 92 in the village Osakli. These are: (a) the ninth stone of the third line of the masonry; (b) the second stone of the fourth line of the masonry; (c) the ninth stone of the fourth line of the masonry.

The found stones give possibility to study and discuss individual characteristics of the lapidary inscription.

Discovery of the stones with the inscription of Catholicos-Patriarch Etiphane indicates that in the houses of the village Osakli, also in the vicinity of the ancient settlement can be found the other fragments of this important epigraphic monument. At the same time it would be highly desirable to initiate a motion to the Ministry of Culture and the other relevant institutions of preservation of the cultural heritage of the Republic of Turkey in order to remove discovered stones from inhabitants' houses of the village Osakli and convey them to the regional depository of the antiquities.

Zaza Skhirtladze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi*

ბერნარ უტიე

საფრანგეთი

**სინას მთის ქართული ხელნაწერები *N/Sin. geo. 84*
და *N/Sin. geo. 90*: მათი რაობის ახლებური გააზრება**

დღევანდელი დღე არ არის ჩვეულებრივი. დღეს ქალბატონი ელენე მეტრეველის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საჯარო ზეიმი. გასული წლის დეკემბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ამ საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, დღეს კი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 60 წლისთავის იუბილეზე უცხოელ კოლეგებთან ერთად კიდევ ერთხელ ცოცხლდება მისი ხსოვნა. მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა პარიზში ნინო და კალისტრატე სალიების მეშვეობით 45 წლის წინ! კურთხეული და სამარადისო იყოს ქალბატონი ელოს ხსოვნა!

ქალბატონმა ელომ იცოდა, რომ სინას მთაზე აღმოჩნდა ქართული ხელნაწერების ახალი კოლექცია, თუმცა, სამწუხაროდ, მას არ მიეცა ამ კოლექციის ნახვის შესაძლებლობა და ვერც მის აღწერილობას მოესწრო. როგორც ცნობილია, ქართველი მეცნიერები ახლად აღმოჩენილ სინურ ხელნაწერებს წმ. ეკატერინეს მონასტერში საკმაოდ რთულ პირობებში აღწერდნენ; სინას მთაზე მასალის დასამუშავებლად ქართული სამეცნიერო ლიტერატურა არ არსებობდა და ექსპედიციებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისშიც ვერ ხერხდებოდა დეტალების დაზუსტება, რადგან სინას ახალი კოლექციის ხელნაწერების ფოტოები, სამწუხაროდ, არ არსებობდა და არც ახლა არსებობს საქართველოში.

ბოლო წლებში მომეცა საშუალება, მემუშავა რამდენიმე პალიმფსესტურ ხელნაწერზე სინას წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში, რომელთა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ორმა უაღრესად საინტერესო ხელნაწერმა: *N/Sin. geo. 84* (8 ფფ.) და *N/Sin. geo. 90* (37 ფფ.). ამ ხელნაწერების ქვედა ფენა ხანმეტი მრავალთავისა და ხანმეტი-ჰაემეტი ფსალმუნების ნაწყვეტებია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ასევე საინტერესოა ამ ხელნაწერების ზედა ფენა. ეს არის დაზიანებული და არათანმიმდევრულად დალაგებული ერთი ხელნაწერის ორი ნაშთი. ნამდვილად დასანანია, რომ ამ ხელნაწერის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის დაკარგულია. ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება, წარმოვადგინოთ უფრო დეტალური აღწერილობა ამ ხელნაწერის ზედა ფენისა.¹

¹ ამ ხელნაწერების მოკლე აღწერილობისათვის იხ. ალექსიძე *et al.* (გამოც.), *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 303, 306-307.

შედგენილობა:

1. *N/Sin. geo.* 84: 1-2 ფფ., შემდეგ აკლია 2 ფურცელი; ფ. 3r: იოვანე ოქროპირი, აღდგომის საკითხავი.

ეს არის ფსევდო-ოქროპირის ტრაქტატი, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნის მელიტონ სარდელს; ასევე დასტურდება უდაბნოსა² და ივირონის მრავალთავებში. პირველად ეს ტექსტი ივირონის მრავალთავის მიხედვით გამოაქვეყნა მიშელ ვან ესბროკმა,³ შემდგომ მანვე გამოსცა უდაბნოს მრავალთავის კითხვა-სხვაობები.⁴ ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილია თხზულების შემდეგი ნაწილები: §§ 93-97 და §§ 103-105, ე. ი. ჰომილიის ბოლო ნაწილი. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფრაგმენტში წარმოდგენილია რედაქტირებული ტექსტი.

2. *N/Sin. geo.* 84: ფ. 3 + *N/Sin. geo.* 90: ფ. 25: იოვანე ოქროპირი, მარხვისათვის.

ესეც ფსევდო-ოქროპირია, სინამდვილეში ჰომილია ეფრემ ასურს ეკუთვნის. ეს ტექსტი მხოლოდ ერთი სინური ხელნაწერით (*O/Sin. geo.* 25) იყო აქამდე ცნობილი, რომელიც ჩემ მიერ არის გამოქვეყნებული.⁵ ჩვენს ფრაგმენტში დასტურდება ჩემი პუბლიკაციის მხოლოდ 1-26 სტრიქონები. თავის დროზე ეს თხზულება ვთარგმნე ლათინურად, ეს იყო ჟერარ გარიტის მიერ დამკვიდრებული წესი. მახსოვს, ქალბატონმა ელენემ მთხოვა: „ამიერიდან, თუ შეიძლება, თარგმნეთ ფრანგულად“ (ძალიან კარგად ფლობდა ფრანგულ ენას, ეს მისი ოჯახიდან მომდინარეობდა. და რა თქმა უნდა, ასეც მოვიქეცი).

აქ მოვიყვან ორივე რედაქციის ნიმუშს:

O/Sin. geo. 25

თქმული ეფრემისი მარხვისათვის
და სინანულისათვის

მარხვაჲ სრბაჲ სულისაჲ სიბრძნისა

მარხვაჲ სულნელებაჲ სულისაჲ

მარხვაჲ წინდი გუირგუინისაჲ

მარხვაჲ დედაჲ გონიერებისაჲ

რაჟამს განეყენიან

ჯორცნი იგი საჭმელთაგან, მაშინ აღივს

ის იგი სულითა წმიდითა და ა

ვსის კაცი იგი უკუეთუ ვინ

მე ჭამდეს ჯორცსა და სუმი

N/Sin. geo. 90

[3r] თქოკმოკლი იოვანე ოქროპირისაჲ

რამეთუ მარხვაჲ არს სრბაჲ სიბრძნისაჲ

მარხვაჲ სულისა სურნელებაჲ

მარხვაჲ არს წინდი გუირგუინისაჲ

[3v] მარხვაჲ სულნელებ[აჲ] ჯორცთაჲ

რაჟამს ჯორცნი განეყენიან

საჭმელთა, მაშინ სულნელებაჲ მ[ისი აღივს]ის

სულისა წმიდისაჲ და ა

ვსის კაცი იგი უკუეთუ ვი[ნ]

მე ჭამდეს ჯორცსა და სუმი

² უდაბნოს მრავალთავის გამოცემისათვის იხ. შანიძე – ჭუმბურიძე (რედ.), *უდაბნოს მრავალთავი*.

³ Van Esbroeck, *Le traité*, pp. 373-394.

⁴ Van Esbroeck, *Les œuvres de Méliton de Sardes* pp. 48-63.

⁵ Outtier, *Une homélie sur le jeûne*, pp. 109-117.

დეს ლუინოსა გარდარეულ
ად მან დააყენნის ჯორცნი
თუისნი სიბრძნისაგან ვითარცა სა
ხლსა მცირესა და მდაბალსა
დადგის კუამლი და აორვე
ბნ შინა მყოფთა მისთა, ეგრეცა
ლუინომან გარდარეულმან
წარუწყმიდის გონებაჲ ბრძენთაჲ
მარხვაჲ თანამზრახ[ვა]
ლი წინაშე საყდარსა
ღმრთისასა მდგომარეჲ: მარხვაჲ
საყდარი ეკლესიათაჲ

მარხვაჲ სამოსელი ცხ
ორებისაჲ

მარხვაჲ, რომელმან გარემოიქცია
ვეცხლის-მოყუარებაჲ
მარხვაჲ სიმდიდრისა
მორიდეჲ და მათუტებელი ეშმაკთაჲ
მარხვაჲ აღმადგინებელი და
ცემულთაჲ
მარხვაჲ განმანათლებელი სულ
ისაჲ მარხვაჲ სულ წრ
ფელ წმიდა
ყუდრო მშვიდ
დაუჭნომელ
მარხვაჲ დედაჲ სიმართლისაჲ და
სიყუარულისაჲ და
მშვიდობისაჲ ძმაჲ
მარხვაჲ შუენიერ არს სამოთხესა
შინა ფუფუნებისასა

დეს ლუინოსა გარდარეულ
ად მან ჯორცნი თუისნი დაა
ყენნა სიბრძნისაგან ვითარცა სა
ხლსა მდაბალსა და მცირესა
დადგის კუამლი და აურვე
ბნ შინა მყოფთა, ეგრეცა გ
არდარეულმან ლუინომან
წარწყმიდის სიბრძნეჲ კაცისაჲ:
[25r] მარხვაჲ თანამზრახვა
ლი ა]რს საყდარსა დიდებისა
[ღმრთი]სასა: მარხვაჲ გალობაჲ
[სული]სი (?) მარხვაჲ დედაჲ
[წინას]წარმეტყუელთაჲ, კარავ და
[ფა]რ მამად-მთავართა:
[მა]რხვაჲ სამოსელი ცხ
ორებისაჲ ფერად-ფერადი
თა ოქრო-ქსოვილითა:
მარხვაჲ, რომელი გარემოიქცე
[ვ]ს სიმდიდრისაგან ამის [ს]ო
ფლისა: მარხვაჲ ქადაგი
ჭეშმარიტებისაჲ : მარხვაჲ
[მ]ათუტებელი ეშმაკისაჲ:
მარხვაჲ მონანულთა წი
ნამძღუარი :
[25v] მარხვაჲ განწმედე[ლი სულ]
ისაჲ: მარხვაჲ სულ [წრ]
ფელ მეცნიერ წმიდა მყ . .
ყუდრო მშვიდ დაბ(?)
შეუგინებელ დაუჭნო[მელ]

3. ეფრემ ასურის ჰომილიის ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტის შემდეგ *N/Sin. geo.* 84 ნაკლულია; შემდეგ იწყება ახალი თხზულება – ხუთი თავი „ეგვიპტეში ბერების ისტორიიდან“ (*Historia monachorum in Aegypto*); თავი 1: *N/Sin. geo.* 84, ფ. 6; *N/Sin. geo.* 90, ფფ. 30-33; *N/Sin. geo.* 84, ფ. 7. თავი 2: *N/Sin. geo.* 90, ფფ. 1-5ბ. თავი 3: *N Sin. geo.* 90, ფფ. 5ბ-7ა. თავი 11: *N/Sin. geo.* 90, ფფ. 7ა-10ბ. თავი 21: *N/Sin. geo.* 90, ფფ. 10ბ-16ბ.

დღემდე ქართულად ცნობილი იყო ამ თხზულების მხოლოდ ერთი ფრაგმენტი მე-8 თავიდან, რომელიც ჩემ მიერაა გამოქვეყნებული.⁶ შემდგომში აღმოჩნდა ამავე თავის შემცველი სხვა ხელნაწერი: *N/Sin. geo.* 13, 93ბ-95ა, §§ 52-60.⁷ ამ თხზულების ფრაგმენტებს შეიცავს ასევე შემდეგი ხელნაწერები: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი H-622 (ფფ. 110ბ-111ა, §§ 55-58), *Ivir. geo.* 17 – ასკეტიკური კრებული (მე-18 თავი, §§ 55-56 და მე-10 თავი), *N/Sin. geo.* 13 (ფ. 95ბ, §§ 17-18). ვამზადებ ამ თხზულების სრულ გამოცემას, რომელსაც უახლოეს მომავალში გამოვცემ.

4. *N/Sin. geo.* 90, ფფ. 7-24: ექვსი ანბანური აპოფთეგმა – *მამისა ეფრემისთვის* 1-3 (გამოუქვეყნებული), *მამისა მელისთვის* 1-2,⁸ *მამისა კარიონისთვის* 2.⁹

5. *N/Sin. geo.* 84, ფფ. 4-5: ბერების თხრობები (აპოფთეგმები). ჩემი აზრით, ეს არის ანბანურ-ანონიმური აპოფთეგმების (№№ 25, 15, 22¹⁰ და ერთიც ახალი) რამდენამდე განსხვავებული, საბანმინდური თარგმანი. ვფიქრობ, ფფ. 4-5 უადგილოდაა მოქცეული *N/Sin. geo.* 84-ში, ისინი მოთავსებული უნდა იყოს *N/Sin. geo.* 90-ში, ფ. 25-ის – ანბანური აპოფთეგმების – შემდეგ და ფ. 29-ის წინ. ესეც რედაქტირებული ტექსტია.

ანონიმური N/25: „ვ(ითა)რ წერილ არ[ს]: მო[იცა]ლეთ და გულის-ხმა-ყავ[ვთ], რ(ამეთუ) მე ვარ ღ(მერთი), და მერმე იტყვს: თუალნი ჩემნი წ(მიდა)თა თანა ქუეყანისათა რ(აჲთ)ა დასხდენ იგინი ჩემ თანა“¹¹ (ეს ტექსტი არ დასტურდება ბერძნულში).

ანონიმური №15: „განიწმიდე გული შენი და მოირტყენ წელნი შენნი და მ(არადი)ს წ(ინაშე) ღ(მრ)თისა დეგ ყ(ოველი)თა გულითა შენითა, ადიდებდ მ(ა)ს და ჰმსახურებდ“ (ტექსტი რედაქტირებულია, არ დასტურდება ბერძნულში).

ანონიმური №25: „მიუტევე ო(კვალს)ა ყ(ოველ)ი ნებაჲ შენი და ყ(ოველ)ი ზრუნვაჲ შენი და მან გამოგზარდოს შენ /ფ. 4ბ/ ალავსოს ყ(ოველ)ი ნებაჲ გ(ულ)ისა შენისა: და თუ რ[ას]მე ითხოვდე ღ(მრ)თისაგან და დაგაყოვნოს შენ მცირედ ნუ სულ-მოკლე იქმნები: ა(რამედ) გულის-ხმა-ყავ რ(ამეთუ) ღ(მერთმა)ნ გამოცადის კაცი: ვ(ითა)რ-ძი აქუნდეს სარწმუნოებაჲ: და მოთმინება ღ(მრ)თისა

⁶ Outtier, Un fragment géorgien, pp. 49-52.

⁷ Gippert et al. (eds.), *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai*, I, 1-23-24.

⁸ დვალი (გამოც.), *შუა საუკუნეებს ნოველები*, II, გვ. 149-150.

⁹ იქვე, 105-106.

¹⁰ იქვე.

¹¹ შდრ. იქვე, გვ. 267.

მიმართ: შენ დაუბრკოლებლად ილოცევდ ღ(მრ)თისა მიმართ: ყ(ოვ)ლითა გუ-
ლითა შენითა და სარწმუნოებითა: და სულ-გრძელებით მოელოდე ყ(ოვ)ლითა
აღნათქუემთა ღ(მრ)თისათა“ (სინამდვილეში ეს არის სტეფანე თებელის ას-
კეტიკური თქუემული, რედაქტირებული).¹²

ანონიმური № 25, დასასრული: „ვ(ითა)რ თქუა ო(ვფალმა)ნ რ(ომელმა)ნ
დაითმინოს იგი სრულიად ცხონდეს“.

ანონიმური № 22: „ძმამან ვინმე ჰკითხა ბერსა და ჰრქუა: რ(ომე)ლნი
მარხვასა და ლოცვასა ჰყოფენ და მღუიძარე არიან მ(არადი)ს: რაჲლა ჴამს
მათთვის სხუაჲ? რქუა მას ბერმნ: ესე უჴმს მათ რ(აჲთ)ა სიმდაბლე და მოთ-
მინებაჲ მოიპოონ: რ(ამეთუ) წერილ არს: იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ
ჩემი და შენ მომიტევენ მე ყ(ოვე)ლნი ცოდვანი ჩემნი (ფს. 24, 18) და იხილოს
ღ(მერთმა)ნლა სიმდაბლე და შრომაჲ მისი მიუტევენეს ყ(ოვე)ლნი ცოდვანი
მისნი.“¹³

შენიშვნის სახით: რქუა ნაცვლად ჰრქუა კვალია ხანმეტობისა, როდესაც
ხანი ჩამოშორებულია და ჰაე ჯერ არ აქვს დამატებული.

ანბანურ-ანონიმურ კრებულში დასტურდება სამი ხანმეტი სიტყვა:

– ხაქუნ / ხ(ოლო) აქუნ, მაგრამ ხასხნ *O/Sin. geo.* 35-ში.¹⁴

– ხეკრძალე / ხ(ოლო) ეკრძალე.¹⁵

– ხეძიებენ / ხ(ოლო) ეძიებენ¹⁶

ეს ნიშნავს, რომ ეს კრებული თარგმნილია ხანმეტობის დროს.

6. *N/Sin. geo.* 84, ფფ. 4-5: ანონიმური Nau 566¹⁷ და 582;¹⁸ *N Sin. geo.* 90, ფფ.
34-38: ანონიმური Nau 527;¹⁹ *N/Sin. geo.* 90, ფფ. 29 და 26ა (სამივე ქართულად
გამოუქვეყნებულია).

7. *N/Sin. geo.* 90, ფ. 26r: „სწავლანი წ(მიდა)თა მამა[თანი]: თქუა ბერმან ო(ვ-
ფალ)ი იტ[ყუის]“ ფ. 26v: „წ(მი)დასა შინა სახარებასა: ასწავებდით და ახარებ-
დით სასუფეველსა ღ(მრ)თისასა: და მერმე იტყუის რ(ომელმა)ნ არა დაუტეოს:
სოფელი და მონაგებნი თუისნი იგი არა არს ჩემდა ღირს“ ... ჩემთვის ეს ტექ-
სტი ჯერჯერობით უცნობია.

დასკვნა: ამ დაზიანებული ფრაგმენტების საშუალებით ჩვენ ვიგებთ, თუ
რას კითხულობდნენ ქართველი ბერები X საუკუნეში სინას მთაზე, თავიანთ
სენაკებში; ეს არის ჰომილეტიკა და ბერებისათვის განკუთვნილი აპოფთეგმუ-

¹² Garitte, *Le Discours ascétique*, 73-93, § 65.

¹³ დვალი (გამოც.), *შუა საუკუნეებს ნოველები*, II, გვ. 265, 14-18.

¹⁴ იქვე, გვ. 35, 9.

¹⁵ იქვე, II, გვ. 95, 2.

¹⁶ იქვე, გვ. 246, 22.

¹⁷ Guy, *Recherches sur la tradition*, p. 69.

¹⁸ იქვე, გვ. 70.

¹⁹ იქვე, გვ. 68.

რი ლიტერატურა. მსგავსი კრებულია ალ. ცაგარელის აღწერილობის მიხედვით *O/Sin. geo.* 92. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი ტექსტები საკმაოდაა რედაქტირებული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ტექსტებით აქტიურად სარგებლობდნენ სინელი ბერები, ეს იყო ძალიან ცოცხლი ლიტერატურული ტრადიცია. დაბოლოს, ეს ფრაგმენტები გვანვდიან მეტად იშვიათ და სრულიად უცნობ მასალას.

დამონმებული ლიტერატურა

- ალექსიძე et al.** (გამოც.), *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა = სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა, მ. ქავთარიამ, ათენი, 2005.
- დვალი** (გამოც.), *შუა საუკუნეებს ნოველები*, II = *შუა საუკუნეებს ნოველების ძველი ქართული თარგმანები*, II, *ანბანურ-ანონიმური პატერიკები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა, თბილისი, 1974.
- შანიძე – ჭუმბურიძე** (რედ.), *უდაბნოს მრავალთავი = უდაბნოს მრავალთავი*, ა. შანიძისა და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1994.
- Garitte**, *Le Discours ascétique = G. Garitte, Le Discours ascétique d'Étienne le Thébain en géorgien, Le Muséon*, 83 (1970).
- Gippert et al.** (eds.), *The Caucasian Albanian Palimpsests*, I = *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai*, I, J. Gippert, W. Schulze, Z. Aleksidze, J.-P. Mahé (eds.), Turnhout, 2008.
- Guy**, *Recherches sur la tradition = J.-C. Guy, Recherches sur la tradition grecque des Apophthegmata Patrum*, Bruxelles, 1962.
- Outtier**, *Une homélie sur le jeûne = B. Outtier, Une homélie sur le jeûne et la pénitence attribuée à saint Ephrem en géorgien, Bedi Kartlisa*, 32 (1974).
- Outtier**, *Un fragment géorgien = B. Outtier, Un fragment géorgien de l'Historia monachorum in Ægypto, Bedi Kartlisa*, 36 (1978).
- Van Esbroeck**, *Le traité = M. Van Esbroeck, Le traité sur la Pâque de Méliton de Sardes en géorgien, Le Muséon*, 84 (1971).
- Van Esbroeck**, *Les œuvres de Méliton de Sardes = M. Van Esbroeck, Les œuvres de Méliton de Sardes en géorgien, Bedi Kartlisa*, 32 (1973).

GEORGIAN MANUSCRIPTS OF THE SINAI MANUSCRIPT COLLECTION
***N/SIN. GEO. 84* AND *N/SIN. GEO. 90*:**
A NEW SURVEY OF THEIR CONTENT

Abstract

The paper deals with the two manuscripts of the new collection of Sinai: *N/Sin. geo. 84* and *N/Sin. geo. 90*. It is clarified that these are two fragments of one manuscript of the 10th c. Detailed analyses of the content revealed that this is a collection of the *apophthegmata* and homilies – the reading book, which was actively used by the Georgian monks of the Monastery of Sinai.

Bernard Outtier
France

ახალი დაკვირვებები სინური კოლექციის ქართულ წინათონურ კურთხევანებაზე

უკვე მეოთხე წელია, რაც კიოლნის უნივერსიტეტში, ბიზანტოლოგიის განყოფილებაში, მიმდინარეობს ძველი იერუსალიმური ლიტურგიკული ტრადიციის შესწავლა ძველი ქართული ხელნაწერების საფუძველზე. ამ პროექტის კვლევითი ჯგუფი ძირითადად, წინათონური რედაქციის სინის მთის ქართულ ხელნაწერებს იკვლევს, აგრეთვე რამდენიმე *კურთხევანს*, რომლებიც დღეს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება; ერთი ხელნაწერი კი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მესტიაში, სვანეთის მუზეუმშია დაცული.¹

მოცემულ სტატიაში ჩემს მიზანს წარმოადგენს ლიტურგიკული თვალსაზრისით განვიხილო მკვლევართათვის კარგად ცნობილი *კურთხევანები* სინის მთის ქართული ხელნაწერების ე.წ. ძველი (*O*) და ახალი (*N*) კოლექციებიდან: *O/Sin. iber.* 12, *O/Sin. iber.* 66 და *N/Sin. iber.* 53.²

ყველა ეს ხელნაწერი პალესტინური, ანუ წინათონური ტრადიციისაა. ამ ერთი ლიტურგიკული ტრადიციის ფარგლებში ღვთისმსახურების გარკვეული მრავალფეროვნება რომ არსებობდა, ეს ფაქტი დამოწმებულია არაერთ ქართულ ხელნაწერში. მათში გვხვდება მითითებები, რომ საბანმინდას, სინანმინდას და იერუსალიმის აღდგომის ეკლესიას შიგადაშიგ განსხვავებული ადათ-წესები ჰქონდათ.³

ზემოთ დასახელებული თითოეული ხელნაწერის შინაარსის დეტალურად შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვთქვათ ვარაუდი მათი წარმოშობის და გამოყენების ადგილზე.

¹ მესტიის ხელნაწერის აღწერილობა და ანალიზი იხ. Chronz – Sode, Ein unbekanntes georgisches Euchologion, S.173-186.

² სინური ძველი კოლექციის *კურთხევანები* კარგად არის აღწერილი და შესწავლილი ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ: ალექსანდრე ცაგარელი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, ჟერარ გარიტი, ბერნარ უტიე, ლილი ხევსურიანი და სხვ.

³ მაგალითად, საბანმინდაში გადაწერილ იადგარში *O/Sin. iber.* 40 ალვსების დღეს აღნიშნულია: „მეცხრესა ჟამსა ლიტანიაჲ ყოველივე აღესრულონ, ვითარცა კანონმა მოსცეს. იერუსალემს მთად წმიდად აღსლვაჲ არს“, შდრ. მეტრეველი (გამოც.), *სინური კოლექცია*, I, გვ. 148. X ს. ლექციონარში *O/Sin. iber.* 37 აღწერილია დიდი შაბათი მწუხრის საბანმინდური და იერუსალიმური ვერსიები, იხ. Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem*, § 711-721 App. და § 708-741.

O/Sin. iber. 12 = Sinaiticus iber. 12/O + Birminghamensis Mingana iber. 5⁴

O/Sin. iber. 12 X საუკუნის ლიტურგიკული კრებულია, რომელიც შედგება *კურთხევანისა* (ფ. 1r–190v) და ვრცელი ლექციონარული ნაწილისგან (ფ. 191r–286r). მისი შინაარსის თავისებურებანი გვაფიქრებინებს, რომ ეს წიგნი სამონასტრო დანიშნულებისაა, მასში აღბეჭდილია იუდეის უდაბნოს ერთ-ერთი მონასტრის, საბანმინდის ლიტურგიკული პრაქტიკა. პირველ რიგში, მინდა დავასახელო ის მიზეზები, თუ რატომ ვთვლი ამ ხელნაწერს სამონასტრო დანიშნულების წიგნად:

1. სხვადასხვა *კურთხევების* გარდა ეს წიგნი შეიცავს *ჟამნის* მასალას: 1, 3, 6 და 9 *ჟამის* ლოცვებს, ანუ *მცირე ჟამნს*.

2. ლექციონარული ნაწილი მოიცავს დიდი მარხვის პერიოდისათვის არა მარტო კვირა დღეების საკითხავებს, არამედ შაბათების მასალასაც. პალესტინის წმინდანების *ცხოვრებებიდან* ვიცით, რომ *ჟამისწირვა* შაბათობით და კვირაობით საბანმინდაში და აგრეთვე წმ. გერასიმეს მონასტერში აღესრულებოდა,⁵ თვით იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში კი – ყოველ დღე.

3. რაც შეეხება თვით აღდგომის კვირადღეს, *O/Sin. iber. 12*-ის ლექციონარულ ნაწილში შეტანილია საკითხავები იმ (ღმრთის)მსახურებების, რომლებიც, როგორც ხელნაწერი *O/Sin. iber. 37* ადასტურებს,⁶ საბანმინდაში აღესრულებოდა: ღამის საკითხავები, ცისკრის სახარება და შემდგომი *ჟამისწირვის* სამოციქულოს და სახარების საკითხავები. თვით იერუსალიმში კი, როგორც ლატალის ლექციონარი⁷ მოგვითხრობს, „*ჟამსა მეცხრესა აღვიდენ წმიდასა მთასა ზეთის ხილთასა ... იკითხონ სახარებაჲ ლუკაჲსი ...*“.⁸ ეს სახარება *O/Sin. iber. 12*-ში შეტანილი აღარ არის. როგორც ჩანს, თვით ქალაქ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ლიტურგიკულ ადათ-წესებს ეს ხელნაწერი არ აღბეჭდავს.

ჩამოთვლილი მიზეზების გამო, *O/Sin. iber. 12* არ შეიძლება იყოს სამრევლო კრებული, არამედ ეს არის სამონასტრო დანიშნულების ლიტურგიკული წიგნი.

O/Sin. iber. 12-ის კალენდარში 28 იანვარს დამონმებულია „*სსენებაჲ ყოველთა მამათა მეუდაბნოელთაჲ*“, თუმცა არ არის შეტანილი „*სსენებაჲ მამათა*

⁴ აღწერილობისათვის იხ. მეტრეველი (გამოც.), *სინური კოლექცია*, III, გვ. 33–47, Цагарели, *Памятники грузинской старины*, с. 211, № 35; ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 31–32; Outtier, *Un nouveau témoin partiel*, p. 162-174.

⁵ იხ. სტეფანე საბანმინდელის ცხოვრება († 794): *Vita Stephani Sabaitae* II, 12; წმინდა საბას ცხოვრება: *Vita Sabae* 18, 32 და ა. შ., წმინდა გიორგი ქოზიბელის ცხოვრება: *Vita Georgii Chozebitae*, § 12.

⁶ *O/Sin. iber. 37* (982 w.), f. 272v, Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem* § 756 App.

⁷ შარლ რენუ სრულიად სამართლიანად ლატალის ლექციონარს ქალაქ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკის აღმსახველ წიგნად მიიჩნევს: Renoux, *Le Lectionnaire albanien*, p. 621 n. 20; p. 95 n. 4; Renoux, *La fête de la Transfiguration à Jérusalem*, p. 285-286; 290-291; 293; 296.

⁸ Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem*, § 752-754, Кекелидзе, *Иерусалимский канонарь VII века*, 95f.

სინელთა და რაითელთა“, რომელიც იოანე ზოსიმეს კალენდრის მიხედვით, 13 იანვარს აღესრულებოდა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს ხელნაწერი სინანმინდური არაა, არამედ ის იუდეის მეუდაბნოელებისთვის იყო განკუთვნილი.

კურთხევანის ნაწილში ერთიანად მოთავსებულია ვნების შვიდეულის ტექსტები: კურთხევა „ბაჲსაჲ ბზობაზე“, მას მოსდევს წყლის კურთხევა „ფერჳთა ბანისაჲ“, „კურთხევაჲ ტაბლისაჲ საღმრთოჲ“ და „კურთხევაჲ თესლისაჲ“. ბოლო ლოცვის ტექსტში, თვით თესლის კურთხევის გარდა, საუბარია ზეთის, ღვინისა და თევზის კურთხევაზეც, ანუ იმ პროდუქტებზე, რომელიც მარხვის დასრულების შემდეგ იყო მონასტრებში დაშვებული. ვნების შვიდეულის ბოლო ლოცვა ეხება ახალი სანთლის კურთხევას, რომელიც, როგორც იერუსალიმური ლექციონარებიდან კარგად ჩანს, სააღდგომო მწუხრის დროს იკურთხებოდა.⁹

ვნების კვირის ციკლის შემდეგ მოთავსებულია ნათლობის წესი. ისევე, როგორც ახალი სანთლის კურთხევა, ნათელმღებელთა ნათლისცემა აღდგომის ღამეს სრულდებოდა.¹⁰ ეს შემთხვევითობით არ არის განპირობებული, ვინაიდან აღდგომა ნათლობის ერთ-ერთი უძველესი დღეა.

ერთი მხრივ, *O/Sin. iber. 12* დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ლიტურგიკულ ტრადიციასთან, მეორე მხრივ კი, როგორც ვნახეთ, ის იუდეის მეუდაბნოელებისთვის განკუთვნილი სამონასტრო დანიშნულების წიგნია. ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო *O/Sin. iber. 12* მიგვაჩნია საბანმინდური ლიტურგიკული პრაქტიკის ნიმუშად.

O/Sin. iber. 66 = Birminghamensis Mingana iber. 1 + Sinaiticus iber. 66/O + Sinaiticus iber. 18/O II¹¹

O/Sin. iber. 66 არის X საუკუნის *კურთხევანი*, რომლის პირველი რვეულის პირველი ფურცელი დაცულია ბირმინგემში და მეორე რვეულის ექვსი ფურცელი (ff. 2-7) *O/Sin. iber. 18* ბოლოს არის მოთავსებული. 2r-ზე, ქვედა აშიაზე იკითხება მინანერი: „მოიჴსენე უფალო თევდორე ...“. პალაგრელი ბერი თევდორე მოხსენიებულია საბანმინდაში გადაწერილ X საუკუნის იადგარში *O/Sin. iber. 40* (253r)¹² და ახალი სინური კოლექციის ფრაგმენტში *N/Sin. iber. 93*.¹³ ვინმე თევდორესა და მარიამის სული მოიხსენება *N/Sin. iber. 58*-ში – იაკობის

⁹ Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem*, § 716; Brakmann – Chronz, *Ein neuer Zeuge des Ordos der Osternacht*.

¹⁰ Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem*, § 720.

¹¹ აღწერილობა: Цагарели, *Памятники грузинской старины*, с. 212-213, № 37; Мapp, *Описание грузинских рукописей*, с. 152-162, მეტრეველი (გამოც.), *სინური კოლექცია*, III, გვ.70-76; Chronz, *Das Jerusalemer Euchologion Sin. iber. 66/O*, S. 137-152.

¹² მეტრეველი (გამოც.), *სინური კოლექცია*, I, გვ. 152.

¹³ ალექსიძე *et al.*, *სინის მთის 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 308.

ჟამისწირვაში (f. 31v).¹⁴

შინაარსის მიხედვით, *O/Sin. iber. 66 კურთხევანი*, შიგადაშიგ (ანუ ცალკე ნაწილად გამოყოფის გარეშე) ის მოიცავს საუფლო დღესასწაულების საკითხავებსაც, მათ შორის მოთავსებულია ვნების შაბათის მწუხრისა და აღდგომის ღამის საკმაოდ ვრცელი აღწერილობა.¹⁵ აღდგომის ეს ახალი წყარო ძირითადად ადასტურებს იერუსალიმური ლექციონარის მასალას და ავსებს მას. მაგალითად, აღდგომის ეკლესიის ლექციონარში ლატალის ხელნაწერის მიხედვით გვაქვს ასეთი ლიტურგიკული შენიშვნა: „ღამისთევადლა შევიდენ: კანონი არა თქუჳან: წიგნსა ოდენ იკითხვიდენ რამეთოჳ სიხაროჳლი ჯერ-არს ღამესა მას“. თუ რა წიგნი იკითხებოდა აღდგომის ღამეს იერუსალიმში, იქ მითითებული არ არის. *O/Sin. iber. 66* კი გვიჩვენებს (f. 62r): „საკითხავი თქუმული ჰოვანე ოქროპირისა: ანგელოზი იგი, რომელი მოვიდა გარდაგორებად ლოდისა მის პირისაგან სამარისაჲსა...“.¹⁶ ეს საკითხავი ჩვენ იოანე ოქროპირის ტექსტებში ვერ ვნახეთ. IX-X საუკუნეების მრავალთავებში ის გვხდება, როგორც „წმიდასა დღესა დიდსა, ნათლითა შემოსილისა აღვსებასა, აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსა საკითხავი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მელეტი ეპისკოპოსისაჲ“ და მისი დასაწყისია: „ნათელ იღე, ნათელ იღე, იერუსალჳმ, რამეთუ მონეწულ არს ნათელი შენი ...“.¹⁷ საინტერესოა ის ფაქტი, რომ კლარჯულ მრავალთავში აღდგომაზე შეიდი საკითხავია მოყვანილი და ეს მათ შორის პირველია.

O/Sin. iber. 66 სამონასტრო ღვთისმსახურების მასალას არ მოიცავს, აქ არაერთხელ გვხდება მითითება იერუსალიმის ტოპოგრაფიაზე, მაგალითად, ვნების ხუთშაბათის რუბრიკაში ვკითხულობთ: „და აღვიდენ მთასა ზეთის-ხილთასა და იწყონ ღამისთევად ...“ (f. 65v), გვაქვს აგრეთვე „განგებაჲ წმიდაჲ ქალაქისა იჳროსალემისა მკდარსა ზედა“ (f. 29r). ეს ყველაფერი ნათლად ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ *O/Sin. iber. 66* არის სამრევლო ღვთისმსახურების *კურთხევანი*, ქალაქ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ლიტურგიკული ტრადიციის მატარებელი.

N/Sin. iber. 53

ახალი სინური კოლექციის ეს ხელნაწერი არის X საუკუნის პალესტინური ტრადიციის *კურთხევანი*.¹⁸ როგორც ჩანს, ის ორი დამოუკიდებელი ნაწილისა-

¹⁴ Khevsuriani et al., The Old Georgian Version of the Liturgy of Saint James, p. 19.

¹⁵ Brakmann – Chronz, Ein neuer Zeuge des Ordos der Osternacht, S. 112–171.

¹⁶ იქვე.

¹⁷ მაგლობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი*, გვ. 226-250, № 10. ხელნაწერებისათვის, რომლებიც შეიცავენ ამ საკითხავს იხ. გაბიაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, 3, გვ. 83, № 95.

¹⁸ იხ. ალექსიძე et al., *სინის მთის 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 285-286. ხელნაწერი შესწავლილია *de visu* 2018 წ. დეკემბერში, ჩემი სინაწმინდაზე ყოფნის დროს. წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკარს, მამა იუსტინეს, დიდ მადლობას ვუხდის ამ შესაძლებლობის მოცემისათვის.

გან შედგება: ff. 1r-35v, აქვს შავი მელნით შესრულებული რვეულებრივი სათვალავი. იკითხება მხოლოდ f. 7r: ე~, f. 28r: ზ~, f. 35r-იდან ბოლომდე რვეულებრივი სათვალავი შესრულებულია სინგურით, იწყება პირველი რვეულით. ამოკითხვა ხერხდება მე-14 რვეულამდე. ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი ქვედა კიდე არის ძლიერ გაფუჭებული. ამიტომ ტექსტის ამოკითხვა ყოველთვის არ ხერხდება. გთავაზობთ იმ შინაარსს, რომლის ნაკითხვა შესაძლებელი გახდა მიუხედავად აღნიშნული სირთულისა:

– იაკობის ჟამისწირვა (ff. 1-27v)¹⁹ და წმინდა საიდუმლოს განახლების წესი (ff. 27v-34v),

– იერუსალიმურ კალენდარზე განყოფილი საუფლო და დიდი დღესასწაულების ჟამისწირვათა კვერექსები (ff. 35r-85r),

– „მოსაწესნებელი ჟამისწირვასა, რომელი იერუსალჴმს შინა წართქუმის“ (ff. 86r-93r); ეს არის ტექსტი, რომელიც იაკობის ჟამისწირვის დროს იკითხება და ძირითადად ემთხვევა თვით ჟამისწირვაში ჩართულ ტექსტს.

– კურთხევები და სხვა ლოცვები (ff. 93r-163v). ესენია:

„ლოცვაჲ წყალთა ზედა განცხადებასა ...“ (ff. 93r-100r),

„ლოცვაჲ მოდრეკილთაჲ“, მის ბოლოს მოთავსებულია რუბრიკა სინგურით: „ამისა შემდგომად ზეთი წმიდაჲ აზიარონ წყალსა და ერსა ასხუროს მღდელმან და განუყოს“ (ff. 100r-101r),

„კურთხევაჲ ბაიაჲსაჲ“ (ff. 101r-105r),

„კურთხევაჲ ბაიაჲსაჲვე მეორჴ“ (ff. 105r-107v),

„ლოცვაჲ ფერხთ საბანელსა ზედა წყალსა დიდსა წმიდასა ხუთშაბათსა“ (ff. 107v-108v),

„ახალსაღა ჯუარსა აღმართებდენ ...“ (ff. 108v-114r),

ნაყოფის შეწირვის სხვადასხვა ლოცვები (ff. 114r-117v),

„კურთხევაჲ ახლისა სახლისაჲ ...“ (f. 118r-v),

„ლოცვაჲ სახლსა მორწმუნისასა ...“ (f. 119r-v),

შემდეგი ლოცვის სათაური არ იკითხება (ff. 119v-120r)

„ლოცვაჲ სახლადღა შეხვიდოდე ...“ (f. 120v),

„ლოცვაჲ მომკალთა ზედა ...“ (ff. 120v-121r),

„კურთხევაჲ ახალთა ნაყოფთაჲ ...“ (ff. 121v-122r),

„ლოცვაჲ მათ ზედა, რომელნი ახალთა ნაყოფთა შესწირვიდენ ...“ (ff. 122v-123v),

„კურთხევაჲ თესლისაჲ საღმრთოჲ ...“ (ff. 123v-126v),

„კურთხევაჲ თესლისაჲ შესვენებულთასა წსენებელსა ...“ (ff. 126v-128v),

„კურთხევაჲ მარილისაჲ ...“ (ff. 128v-129v),

„კურთხევაჲ ქერიონისა და სანთლისა აღნთებასა ...“ (ff. 129v-130v),

„კურთხევაჲ საკუმეველისაჲ პირველი“ (f. 130v, სათაური ტექსტის გარეშე),

¹⁹ ტექსტი გამოცემა იხ. Khevsuriani *at al.*, The Old Georgian Version of the Liturgy of Saint James.

„კურთხევაჲ საკჳმეველისაჲ ...“ (f.131r-v),

„ლოცვაჲ მწუხრისა კჳმევესა შინაგან ეკლესიასა პირველ კართა განხჳმისა დიდსა შაბათსა და ყოვლადვე ოდესცა გინდეს ...“ (ff. 131v-132r),

შემდეგი სათაური „ლოცვაჲ ... მსაარებელთა კჳრიაკესათა რომელსა ეწოდების მივე`დრებულ“ ბოლომდე არ იკითხება დაზიანების გამო (ff. 132r-134r),

„უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი, ხუცესი გინა დიაკონი გინა მონაზონი ილოცვიდეს თავისა თჳსისა ...“ (ff. 134r-138r),

„ლოცვაჲ მათ ზედა რომელნი ეპისკოპოსისა სიტყჳთა კრულ-არიან ...“ (ff. 138r-139r),

„ვინყოთ ამიერიტგან თუ რომელთა მწვალებელთაგანთაჲ წმიდისა მით ნელსაცხებლითა აღბეჭდვად ხოლო ჯერ-ა(რს) ...“ (ff. 139r-147v),

„სნეულთათჳსილა წყალსა წმიდა-ჰყოფდე ...“ (f. 148r),

„კურთხევაჲ წყალსა ზედა და ზეთსა ...“ (ff. 148r-149v),

სხვადასხვა ლოცვები „სნეულთათჳს“ (ff. 149v-158r),

„ლოცვაჲ წყალთა ზედა შეგინებულისათჳს“ (ff. 158r-163v),

– ხელნაწერის ბოლოს აღბეჭდილია სამონასტრო მასალა:

ჟამნის დიდი ფრაგმენტი (ff. 164r-188v), რომელშიც სხვა ლოცვათა შორის მოთავსებულია: „ათორმეტნი ჟამნი დღისანი“²⁰(ff. 175r-185v), „ლოცვაჲ წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ ოდესცა გინდეს შესწირო“ (f. 189rv), „ლოცვაჲ ჯუარსა წინაშე ყოველსა ჟამსა“ (ff. 189v-190r), „ლოცვაჲ წმიდათა წინაშე ყოველსა ჟამსა“ (f. 190v) და აგრეთვე პურის ჭამის ლოცვები (ff. 191r-192v).

ამ მასალას მოსდევს რამდენიმე ლიტანიის ლოცვა:

„ლოცვაჲ ლიტანიისაჲ პირველი“ (f. 193r-v),

„ლოცვაჲ ლიტანიისაჲ მეორე“ (f. 194r-v),

„უნჳმრობისაჲთჳს“ (ff. 194v-195v),

„ლოცვაჲ მეორე“ (ff. 196r-198r),

„ლოცვაჲ ლიტანიით სლვასა მონამეთა ეგუტერსა“ (ff. 198r-199v),

„ლოცვაჲ აერისა დანყნარებისა და ნაყო...ად მოცემისათჳს“ (ff. 199v-200v, ამოკითხვა ბოლომდე არ ხერხდება)

„ლოცვაჲ ლიტანიისაჲ ძრვისათჳს“ (ff. 200v-204v),

სინგურით შესრულებული ახალი სათაურის კვალი, არ იკითხება (ff. 204v-208r),

კურთხევა „ახლისა სარეკლისა“ (ff. 208r-v),

„ლოცვაჲ დადგინებასა მონაზონისასა“ (ff. 210v-215r)

„განგებაჲ მათ ზედა, რომელნი მოვიდოდნან მონაზონებად გინა ენკრატისებად“ (ff. 222r-227v).

²⁰ პალესტინური 24-საათიანი ჟამნის შესახებ იხ. FRØYSHOV, *L'Horologe géorgien du Sinaiticus ibericus* 34.

ხელნაწერში გვხვდება ორი „ლოცვა ლიტანიისა“ და კიდევ „ლოცვა ლიტანიით სლვასა მონამეთა ეგვტერსა“. ლიტანიის ლოცვები ხშირად გვხვდება *კურთხევანებში*, მაგრამ გამოთქმა „ლიტანიით სლვასა“ სხვა წინათონურ *კურთხევანებში* ჯერ არ შეგვხვედრია. ჩემი აზრით, ეს იმას მონიშნავს, რომ „მონამეთა ეგვტერი“ მონასტრიდან დაშორებულ ადგილას მდებარეობდა. ასეთი სახელწოდების ეგვტერი არის დღეს დამონმებული სინანმიდაზე, წმ. ეკატერინეს მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთ მხარეს,²¹ და კიდევ მონასტრიდან ცოტა დაშორებით, ვადი-ლეჯაში.²² გამორიცხული არ არის, რომ ეს „ლოცვა ლიტანიით სლვასა მონამეთა ეგვტერსა“ ზუსტად ვადი-ლეჯაში მდებარე ეგვტერს გულისხმობს. ის ფაქტი, რომ მასში დამონმებულია მოსახსენებელი „რომელი იერუსალჴმს შინა წართქუმის“ (f. 86r), არ არის გასაკვირი, ვინაიდან სინანმინდა ძირითადად იერუსალიმის ლიტურგიკულ ტრადიციას მიეკუთვნებოდა.²³

ამიტომ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ხელნაწერი გადაწერილი იყო სინანმინდის ქართველ საძმოსთვის.

კურთხევათა შორის მოთავსებულია „ლოცვა წყალთა ზედა განცხადებასა“ დასაწყისით „დიდ ხარ შენ, უფალო ...“. ქართული წინათონური *კურთხევანები* ამ ცნობილი ლოცვის ავტორად გრიგოლ ნაზიანზელს ასახელებენ. ბერძნულ ხელნაწერებში ეს ტექსტი დასაწყისით Μέγας εἰ, Κύριε ... ვრცლად არის დამონმებული, მაგალითად, VIII საუკუნის *კურთხევანში Barb. gr. 336*²⁴ იქ და სხვა ხელნაწერებში ლოცვის დასასრულს, დოქსოლოგიის წინ, იკითხება მეფეთა მოსახსენებელი (სავედრებელი) დასაწყისით Καὶ σὺν, Κύριε, τοῦς διῦλοις σὺν τοῦς πιστοῦς βασιλεῖς ἡμῶν ... (მისი ქართული თარგმანია: „და აცხოვნენ მონანი შენნი მორწმუნენი მეფენი ...“). თუმცა წყლის კურთხევის ლოცვა Μέγας εἰ, Κύριε ცნობილია ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა ტრადიციის (სომხური, სირიული, კობტური და ეთიოპური), ეს პასაჟი იქ აკლია.²⁵ არც წინათონური ქართული ხელნაწერები შეიცავენ ამ ტექსტს, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან ისინი აღმოსავლურ ტრადიციას ეკუთვნიან.

ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს მეფეთა სავედრებელს, არის *N/Sin. iber. 53*. მეფეთა სავედრებლის ქართული ტექსტის შედარებამ ბერძნულთან გვიჩვენა, რომ ქართული ტექსტი ბევრად ვრცელია, ვიდრე ბერძნული

²¹ იხ. მონასტრის მთავარი ეკლესიის გეგმა: Manafis, *Sinai. Treasures*, p. 37: Right pastophorion, the Chapel of the Holy Fathers from Sinai and Raithou.

²² Τσάμης - Κατσάνης, *Τὸ Μαρτυρολόγιον τοῦ Σινᾶ*, p. 186: Μοῦνῆ τῶν σαράντα μαρτύρων და რუქა № 1.

²³ შდრ. მაგ., ბერძნული *Sin. gr. 56+5* (X ს.), იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის ტროპოლოგიონი, ანუ იადგარი, რომელშიც ნათლად ჩანს ეგვიპტური ღვთისმსახურების გავლენა: Chronz – Nikiforova, *Beobachtungen zum ältesten bekannten Tropologion-Codex*, S. 147-174.

²⁴ იხ. Велковска - Паренти, *Евхологий Барберини гр. 336*, № 131.

²⁵ იხ. Scheidt, *Die Taufwasserweihegebete*, S. 28-29.

textus receptus. ის, რაც ქართულ ტექსტში მეტია, ეყრდნობა ბასილი დიდის (და არა პალესტინური იაკობის) ჟამისწირვის მეფეთა მოსახსენებელს და კიდევ ორ სხვა ბიზანტიურ ლოცვას. მათ ტექსტს *Barb. gr.* 336-ში ახლავს რუბრიკა, რომლის მიხედვითაც მათ პატრიარქი კითხულობს, როდესაც ესტუმრება იმპერატორს.²⁶

სინურ ბერძნულ ხელნაწერში *Sin. gr.* 957, IX-X საუკუნეების ბიზანტიური ტრადიციის *კურთხევანში*, *Μέγας* *ἔν*, *Κύριε*-ს ტექსტში მეფეთა სავედრებელს ნინ უძღვის რუბრიკა, რომელშიც ნათქვამია: როდესაც პატრიარქი წყალს სასახლეში აკურთხებდეს, დაამატოს ეს სავედრებელი.²⁷

ეს მითითება ცხადს ხდის, რომ *Μέγας* *ἔν*, *Κύριε*-ს ტექსტი თავდაპირველად ამ სავედრებელის გარეშე იყო შექმნილი, როგორც ის აღმოსავლურმა ტრადიციებმა შემოგვინახეს; ამ ლოცვის გაფართოება და სავედრებელის ჩამატება გვიანდელ ეტაპზე კონსტანტინოპოლში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ *N/Sin. iber.* 53 პალესტინური ტრადიციის *კურთხევანს* წარმოადგენს, მასში შესული „ლოცვაჲ წყალთა ზედა განცხადებასა“ მეფეთა ვრცელი სავედრებლით ბიზანტიურ გავლენას გვიჩვენებს.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იტალიელი ლიტურგისტის, სტეფანო პარენტის პოზიციას, რომ *კურთხევანის* ინდივიდუალური ეგზემპლარის კვლევა, როგორც წიგნის ტიპისა, საკმარისი არ არის, რომ ასევე საჭიროა თითოეული საეკლესიო დღესასწაულისა და ყველა მისი კომპონენტის დეტალური შესწავლა.²⁸

დამონეგული ლიტერატურა

ალექსიძე et al., *სინის მთის 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* = ზ. ალექსიძე – მ. შანიძე – ლ. ხევსურიანი – მ. ქავთარია, *სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ათენი, 2005.

გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*, 3 = ე. გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები*. ბიბლიოგრაფია, 3. *ჰომილეტიკა*, თბილისი, 2009.

მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი* = თ. მგალობლიშვილი, *კლარჯული მრავალთავი* (ძველი ქართული მწერლობის ძეგლები 12), თბილისი, 1991.

ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* = ივ. ჯავახიშვილი, *სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბილისი, 1947.

²⁶ იხ. Велковска - Паренти, Евхологий Барберини гр. 336, № 173 და 175: *Εὐχὴ ἐπὶ βασιλέως γυνομένη ὁσάκις εἰσέλθῃ πρὸς αὐτὸν ὁ πατριάρχης* ...

²⁷ იხ. *Sin. gr.* 957, fol. 38v: *Ὅταν δὲ ἐσλογῆ ὁ πατριάρχης τὰ ὑδατα εἰς τὸ πάλαισιον, προστίθῃσι τῆ παροῦσῃ εὐχῇ καὶ τούτο*.

²⁸ Parenti, *L'euclologio slavo del Sinai*, pp. 11-34.

- მეტრეველი** (რედ.), *სინური კოლექცია*, I = მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია*, I, შემდგენლები: ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, თბილისი, 1978.
- მეტრეველი** (რედ.), *სინური კოლექცია*, III = ელ. მეტრეველი (რედ.), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია*, III, შემდგენლები: რ. გვარამია, ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, თბილისი, 1987.
- Brakmann – Chronz**, Ein neuer Zeuge des Ordos der Osternacht = H. Brakmann, T. Chronz, Ein neuer Zeuge des Ordos der Osternacht in Jerusalem Tradition, *Ostkirchliche Studien*, 66 (2017), S. 112-171.
- Chronz**, Das Jerusalem Euchologion *Sin. iber.* 66/O = T. Chronz, Das Jerusalem Euchologion *Sin. iber.* 66/O, *Oriens Christianus*, 100 (2017), S. 137-152.
- Chronz – Nikiforova**, Beobachtungen zum ältesten bekannten Tropologion-Codex = T. Chronz, A. Nikiforova, Beobachtungen zum ältesten bekannten Tropologion-Codex *Sinaiticus Graecus* 56+5 des 8.-9. Jhs. mit Erstedition ausgewählter Abschnitte, D. Atanassova – T. Chronz (eds.), *Συναξίς καθολική. Beiträge zu Gottesdienst und Geschichte der fünf altkirchlichen Patriarchate für Heinzgerd Brakmann zum 70. Geburtstag (Orientalia – Patristica – Oecumenica* 6.1), 1, Berlin, Wien, 2014, S. 147-174.
- Chronz – Sode**, Ein unbekanntes georgisches Euchologion = T. Chronz, C. Sode, Ein unbekanntes georgisches Euchologion Jerusalem Tradition: Mestia, Svaneti-Museum, 9 (k-51). Beschreibung und liturgiewissenschaftliche Analyse, *Le Muséon*, 131 (2018), pp. 173–186.
- Frøyshov**, *L'Horologe géorgien* = S. Frøyshov, *L'Horologe géorgien du Sinaiticus ibericus* 34. Edition, traduction et commentaire, Paris IV (Sorbonne), 2003
- Garitte**, *Catalogue* = G. Garitte, *Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai* (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium 165/Subs. 9), Louvain, 1956.
- Garitte**, *Le calendrier* = G. Garitte, *Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (Xe siècle)* (Subsidia hagiographica 30), Bruxelles, 1958.
- Khevsuriani et al.**, The Old Georgian Version of the Liturgy of Saint James = L. Khevsuriani, M. Shanidze, M. Kavtaria, T. Tseradze (eds.), The Old Georgian Version of the Liturgy of Saint James, in: *Liturgia Ibero-Graeca Sancti Iacobi. Editio - translatio - retroversio - commentarii (Jerusalem Theologisches Forum* 17), Münster, 2011.
- Manafis** (ed.), *Sinai. Treasures* = K. Manafis (ed.), *Sinai. Treasures of the Monastery of Saint Catherine*, Athens, 1990.
- Outtier**, Un nouveau témoin partiel = B. Outtier, Un nouveau témoin partiel du lectionnaire Géorgien ancien (Sinai Géorgien 12), *Bedi Kartlisa. Revue de kartvélologie*, 41 (1983), pp. 162–174.
- Parenti**, *L'eucologio slavo del Sinai* = S. Parenti, *L'eucologio slavo del Sinai nella storia dell'eucologio bizantino* (Seminario del Dipartimento di Studi Slavi dell'Europa Centro-orientale, Università di Roma "La Sapienza", Filologia Slava, 2), Roma, 1997.
- Renoux**, *Le Lectionnaire albanien* = Ch. Renoux, *Le Lectionnaire albanien des manuscrits géorgiens palimpsestes N/Sin. 13 et N/Sin. 55 (Xe-XIe siècle)* (Patrologia Orientalis 52, 4), Turnhout, 2012.

- Renoux**, La fête de la Transfiguration à Jérusalem = Ch. Renoux, La fête de la Transfiguration à Jérusalem et l'église de l'Ascension dans les Lectionnaires géorgiens, A. Lossky, G. Sekulovski, T. Pott (éd.), *Liturgie et religiosité. 64e Semaine d'Études liturgiques*, Paris, Institut Saint-Serge, 26-29 juin 2017, Münster, 2018, pp. 281–298.
- Scheidt**, *Die Taufwasserweihegebete* = H. Scheidt, *Die Taufwasserweihegebete im Sinne vergleichender Liturgieforschung untersucht* (Liturgiegeschichtliche Quellen und Forschungen 29), Münster in Westfalen, 1925.
- Tarchnischvili**, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem* = M. Tarchnischvili, *Le Grand Lectionnaire de Jérusalem (V^e–VIII^e siècle)*. (Éd. 1-2; Tr.1-2) (CSCO 188-189. 204-205/ Iber. 9-10.13-14), Lovanii, 1959-1960.
- Vita Georgii Chozebitae** = C. Houze, Sancti Georgii Chozebitae confessoris et monachi vita auctore Antonio eius discipulo, *Analecta Bollandiana*, 7 (1888), pp. 95–144, 336–359.
- Vita Sabae** = E. Schwartz, *Kyrillos von Skythopolis*, (Texte und Untersuchungen 49.2), Leipzig, 1939, S. 85–200.
- Vita Stephani Sabaitae** = *Acta Sanctorum* 30, Paris – Rom, 1867, pp. 497–584.
- Велковска – Паренти**, *Евхологий Барберини гр. 336* = E. Велковска, С. Паренти, *Евхологий Барберини гр. 336*, Омск, 2011.
- Кекелидзе**, *Иерусалимский канонарь VII века* = К. Кекелидзе, *Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия)*, Тифлис, 1912.
- Март**, *Описание грузинских рукописей* = Н. Март, *Описание грузинских рукописей Синайского монастыря*, Москва – Ленинград, 1940.
- Цагарели**, *Памятники грузинской старины* = А. Цагарели, *Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае*, *Православный Палестинский сборник*, IV/I (1888).
- Τσάμης – Κατσάνης**, *Τὸ Μαρτυρολόγιον τοῦ Σινᾶ* = Δ. Γ. Τσάμης, Κ. Α. Κατσάνης, *Τὸ Μαρτυρολόγιον τοῦ Σινᾶ* (Σιναΐτικα Κείμενα 2), Θεσσαλονίκη, 1989.

NEW SURVEYS OF GEORGIAN PRE-ATHONITE *EUCHOLOGIA* OF THE SINAI MANUSCRIPT COLLECTION

SUMMARY

The article deals with the Georgian liturgical collections of the Old Jerusalem rite preserved on Mount Sinai: *O/Sin. iber. 12*, *O/Sin. iber. 66* and *N/Sin. iber. 53*. The detailed study of their contents allows to verify the place of their origin and/or utilisation. The peculiarities of *O/Sin. iber. 12* show that it is a liturgical collection of monastic, presumably Sabaitic, tradition. The content of *O/Sin. iber. 66* makes clear that it is an *Euchologion* in the cathedral tradition of the city of Jerusalem. A detailed analysis of *N/Sin. iber. 53* is given here for the first time. The codex is a monastic *Euchologion* with signs of Byzantine influence and was probably intended for the Georgian community on Mount Sinai.

დავით შულღიაშვილი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უმაღლესი სასწავლებელი
თბილისი

ნევემების მრავალსახეობა მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“

საეკლესიო გალობის წიაღში ჩამოყალიბებული უძველესი ქართული მუსიკალური დამწერლობა საუკუნეზე მეტია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა, 1960-იან წლებში ქართული ნევემების მნიშვნელობის თითქოსდა ამოხსნის მიუხედავად (გგულისმობ პავლე ინგოროყვას ცნობილ ნაშრომს¹), სინამდვილეში ქართული ნევემური სისტემა დღემდე ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება.

მართალია, არსებობს არაერთი სპეციალური კვლევა თუ მონოგრაფიული შრომა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ნევემირებული კრებულები კვლავ საინტერესო დაკვირვებებისა თუ აღმოჩენების მდიდარ წყაროს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულია მიქაელ მოდრეკილის „სანელინდო იადგარი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-425) – „საუნჯე X საუკუნისა“, როგორც მას პირველი აღმწერი, მოსე ჯანაშვილი უწოდებს. ქართულ ნევემირებულ კრებულთა შორის, მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ეს ხელნაწერი იპყრობს იორდანეს, იგივე ალავერდულ კრებულთან ერთად (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-603). მიქაელ მოდრეკილის კრებულზე, როგორც გალობის ქართული მუსიკალური დამწერლობის უმნიშვნელოვანეს წყაროზე კვლევებს და დაკვირვებებს ათეულობით მეცნიერი, მგალობელი, მუსიკოსი აწარმოებდა. მათ შორის იყვნენ: ფილიმონ ქორიძე, ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, მოსე ჯანაშვილი, ჟან-ბატისტ ტიბო, დიმიტრი არაყიშვილი, ია კარგარეთელი, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, შალვა ასლანიშვილი, ელენე მეტრეველი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ოთარ ჩიჯავაძე, ვაჟა გვახარია და სხვ. ამ საკითხზე თანამედროვე მკვლევრებიც მუშაობენ: ეკატერინე ონიანი, ზაალ წერეთელი და სხვ.

ჩემი სტატიის მიზანია, მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ ნევემების იმ სახეობების გამოვლენა, რომლებზეც მკვლევრებს სპეციალური ყურადღება აქამდე ან არ გაუმახვილებიათ, ან მექანიკურად ნევემების ამა თუ იმ ტიპის ჯგუ-

¹ ინგოროყვა, ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა.

ფისათვის მიუკუთვნებიათ და ცალკე ერთეულებად არ განუხილავთ. მასალის გადამონმებამ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი არაერთი ნევმური აღნიშვნის არსებობა დაადასტურა.

ფილოლოგიური, ენათმეცნიერული თვალსაზრისით „იადგარის“ მრავალჯერადი სიღრმისეული შესწავლის პარალელურად, ასევე, ნევმების კვლევის არაერთი მცდელობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ კრებულის დაწვრილებითი სემიოგრაფიული აღწერა სრულყოფილად დღემდე არ განხორციელებულა. ვიდრე ამ მოსაზრების დამტკიცებას შევუდგებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ ამ კრებულში დანახულ და წარმოდგენილ ქართული ნევმების არსენალს, ყურადღებას გავამახვილებთ განსხვავებულ შეხედულებებზე, რომლებიც არსებობს ნევმების სახეობათა რაოდენობასთან დაკავშირებით.

პირველი, ვინც მიქაელ მოდრეკილის ნევმების ცალკეული ნიმუში ნაბეჭდი სახით წარუდგინა საზოგადოებას, იყო მოსე ჯანაშვილი. 1891 წელს გამოცემულ ნიგნაკში „საუნჯე მეთე საუკუნისა“² ავტორი ხელნაწერს ისტორიულ ასპექტში განიხილავს, და მართალია, ნაშრომში ნევმების აღწერას მეტად მცირე ადგილს უთმობს, მაგრამ, ნევმების ნიმუშთა ჩვენების გარდა, იმ ორიოდ აბზაცშიც საინტერესო დაკვირვებას, მოსაზრებას და ერთ ისეთ მივიწყებულ ტერმინსაც გვანვდის, როგორცაა ნევმის კბილის აღმნიშვნელი სიტყვა *ბულუმი*. იგი წერს: „საგალობლების ნიშნები დაწერილია წითელი მელნით. ამ ნიშნების ზოგიერთი (*sic*) ჰგავს გრძელს ფრჩხილს, მაღლა ამართულს, ზოგი ხაზი მაღლა ადის და მერე უცბად განზე გადატყდება და მერე ისევ მაღლა აიმართება. ამგვარ ხაზს ხშირად ორი, სამი, ოთხი და სხვ. გადატყეხილი *ბულუმი* აქვს. სხვა ხაზი ღელვით მიდის მაღლა (აღბათ ის „სარაკრაკო“ ხმას აღნიშნავს). ხშირად ერთსა და იმავე ასოს ზემოდანაც უზის ნიშანი (ხაზი) და ქვემოდანაც“³ წერილის ავტორი არ ეხება ქართული ნევმების რაოდენობის საკითხს, თუმცა ნიმუშად თავის ნაშრომში 14 ნევმის გრაფიკული ასლი აქვს მოყვანილი (სურ. 1).

მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ გალობის დიდი მცოდნის, ვასილ კარბელაშვილის დაკვირვებისა და ინტერესის საგანი რომ იყო, ამას 1903 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მისი წერილი – „მიქაელ მოდრეკილის ქართულ საეკლესიო საგალობელთა კრებული“⁴ – მოწმობს, რომელშიც ავტორი აღნიშნავს: „იქიდან გამომდინარე, რომ დასახელებულ ხელნაწერში 500-ზე მეტი ისეთი საგალობელი გვხვდება, რომელიც ამ სტატიის ავტორის მამის (ანუ გრიგოლ კარბელაშვილის, დ. შ.) მიერ არის გადმოცემული, შესაძლებლობა

² ჯანაშვილი, *საუნჯე X საუკუნისა*.

³ იქვე, გვ. 50.

⁴ Карбелов, *Сборник грузинских церковных песнопений*.

იქმნება გახსნილ იქნას „გორდიას კვანძი“.⁵ ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ვასილ კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერები, რომლებშიც მას ნევმირებული ხელნაწერების მიხედვით აქვს ნიშნები დასმული საგალობლებში (სურ. 2). სამნუხაროდ, ვასილ კარბელაშვილს რაიმე სახის წერილობითი ცნობა, რომელიც ნევმების კონკრეტულ მნიშვნელობათა მისეულ განმარტებას შეიცავდეს, არ დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით *ცისკრის საგალობელთა* სანოტო კრებულის შესავალში მოყვანილ ნევმური დამწერლობის ნიმუშებს შორის ერთ აღნიშვნას, რომელზეც ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით.

ქართული ნევმების სემიოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილ პირველ ნაშრომად ფრანგი მკვლევრის, ჟან-ბატისტ ტიბოს წერილი „სანოტო ნიშნები ქართულ ხელნაწერებში“⁶ უნდა ჩაითვალოს, რომელიც 1914 წელს „Христианский восток“-შია დაიბეჭდა. ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს ნევმირების ქართულ ტრადიციაზე, რაც როგორც სტრიქონზედა, ისე სტრიქონქვედა ნიშანთა არსებობაში გამოიხატება. ნევმებს იგი ტიპოლოგიურად აჯგუფებს და სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნიშანთა ხუთ-ხუთ ჯგუფს გამოყოფს, რომლებშიც, მთლიანობაში, 16 სახის ნევმია გაერთიანებული (სურ. 3).

ქართველ მუსიკისმცოდნეთაგან საყურადღებოა შალვა ასლანიშვილის ნაშრომი „ძველი ქართული სანოტო ნიშნების საკითხისათვის“.⁷ მას განხილული აქვს ხუთი ნევმირებული კრებული (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: S-425, A-603, A-596, A-85 და Q-298), რის საფუძველზეც ის ნევმების სამ ჯგუფს გამოყოფს. სანოტო ნიშნების პირველ ჯგუფს ასლანიშვილი ქართული სემიოგრაფიის საფუძვლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „სულ გვაქვს 13 ნიშანი“.⁸ (სურ. 4).

ნიშანთა რიცხვი პავლე ინგოროყვას კვლევაში რვამდეა დაყვანილი; ნიშნებს მკვლევარი „ძველ-ქართულ სამუსიკო ანბანს“ უწოდებს, მათ ორი ტეტრაქორდის საფეხურებად განიხილავს და ოქტავის ფარგლებში თითოეულ ნევმს დიატონური გამის ნოტთან აიგივებს (სურ. 5). დანარჩენ ნიშნებს, რომლებსაც კბილთა სიმრავლე ახასიათებთ, დამატებით ნიშნებად მოიხსენიებს, რასაც ორი მიზეზით ასაბუთებს: „(1) ეს დამატებითი ნიშნები თავიანთი გრაფიკული სახეობით სრულებით არ არიან დამოუკიდებელნი, არამედ ნ ა ნ ა რ მ ო ე ბ ი ა ძირითადი სამუსიკო ნიშნებიდან, და წარმოადგენს მათ გრაფიკულ ვარიაციას; (2) ეს მეორე ჯგუფის ნიშნები, პირველთან შედარებით, ძალზე იშვიათად იხმარება“.⁹ პირველი დასაბუთება დამაჯერებლობას ისევეა მოკლებული, როგორც, მაგალითად, ასო ჰაე-ზე რომ ვთქვათ, ანი-

⁵ Карбелов, *Сборник грузинских церковных песнопений*.

⁶ Thibaut, *Нотные знаки въ грузинских рукописях*, с. 207-212.

⁷ ასლანიშვილი, ძველი ქართული სანოტო ნიშნების საკითხისათვის.

⁸ იქვე, გვ. 39.

⁹ ინგოროყვა, ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა, გვ. 147.

დან არის ნაწარმოები, მისი ვარიაციაა და ამიტომ ის ანბანში დამოუკიდებელ ასოდ არ უნდა ჩავთვალოთ, დამატებითი ასო უნდა ვუწოდოთ. რაც შეეხება ე.წ. „იშვიათ ნიშნებს“, ამის შესახებ ეკატერინე ონიანი აღნიშნავს: „ის, რომ რომელიმე მათგანი იშვიათად ჩნდება, მისი იგნორირების საფუძველს არ გვაძლევს“.¹⁰ შესაბამისად, სხვა მკვლევრებთან შედარებით, ონიანი გამოყოფს მეტ ნევმურ გრაფემას, როგორც დამოუკიდებელ ნიშანს. „ჩვენი ვარაუდით, ქართულ ნევმურ სისტემაში 23 დამოუკიდებელი ნიშანი ფუნქციონირებს“ – წერს მკვლევარი და იძლევა „ნიშანთა ანბანის“ საკუთარ ვარიანტს (სურ. 6).

სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნევმთა 23 სახეობისთვის მკვლევარი ხუთ-ხუთ ერთსახელიან ჯგუფს ადგენს. ესენია: ხაზი, რკალი, ორკბილიანი, სამკბილიანი და მრავალკბილიანი; ხოლო სტრიქონზედა ნიშნებში გამოყოფს ე.წ. ალმისებურ ნევმთა ჯგუფს, რომელთა შესატყვისი სტრიქონქვედა სახეობებში არ მოიპოვება. ნევმთა სახეობების შეძლებისდაგვარად სრულად წარმოჩენა უდავოდ სწორი მიდგომაა, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ონიანის „ნიშანთა ანბანში“ შემავალი 23 დამოუკიდებელი ნევმით ამოიწურება „იადგარში“ არსებული ნიშნების სახეობათა რაოდენობა, რომ არაფერი ვთქვათ ზოგადად ქართულ სემიოგრაფიულ ნიშანთა სრულ არსენალზე.

დამოუკიდებელი ნიშნების სახეობათა სიმრავლისადმი ონიანის მოსაზრებას არ იზიარებს ზაალ წერეთელი¹¹ და ძველ ქართულ ნევმებს მხოლოდ 9 ნიშნით განსაზღვრავს. ის მათ გარკვეულ რიტმულ თუ ინტონაციურ სეგმენტებად განიხილავს (სურ. 7), თუმცა მისი შეხედულება ჯერ კიდევ ითხოვს სათანადო არგუმენტაციას. მით უმეტეს, რომ მის მიერ ნიშანთა მთელი რიგი სახეობების უგულვებელყოფა მრავალ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს.

ნევმების რაოდენობასთან მიმართებაში მკვლევართა ზემოაღნიშნული მოსაზრებები ასე განისაზღვრება:

- მოსე ჯანაშვილი – 14
- ჟან-ბატისტ ტიბო – 16
- შალვა ასლანიშვილი – 13
- პავლე ინგოროყვა – 8
- ეკატერინე ონიანი – 23
- ზაალ წერეთელი – 9

როგორც ვხედავთ, მკველავართა მოსაზრებები განსხვავებული რჩება ნევმთა სახეობათა რაოდენობასა და მათ მნიშვნელობებთან დაკავშირებით. არადა, ნევმთა სახეობების ზუსტი რაოდენობის დადგენის გარეშე, მათი განლაგების, სიხშირისა და კომბინირების გაუთვალისწინებლად, ნიშანთა მნიშვნელობის დადგენის ყოველი მცდელობა უთუოდ ცდომილების შემცველი იქნება.

ქართული ნევმური სისტემის კვლევისას, დიდი ხანია ჩანს საკითხისადმი

¹⁰ ონიანი, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა*, გვ. 62.

¹¹ წერეთელი, *სამი ნევმირებული კანონი*.

ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვით, სხვადასხვა (თუნდაც ერთი ეპოქის) ნევმირებულ კრებულში არსებულ სემიოგრაფიულ ნიშნებს მეცნიერები ერთიან სისტემაში განიხილავენ და, შესაბამისად, ნიშნების ოდენობასაც ერთიანად, შეჯამებულად განსაზღვრავენ.

ჩემი ხედვით, ნევმური სისტემის ამოსახსნელად, ნიშანთა მნიშვნელობისა და რაოდენობის განსაზღვრისათვის ეს მიდგომა ერთმნიშვნელოვნად სწორი არ უნდა იყოს. მე არ უარვყოფ სხვადასხვა ხელნაწერში იდენტური გრაფემების არსებობას, მაგრამ ცხადად შესამჩნევია ნიშნებში სხვაობაც. ყოველ ხელნაწერში არსებობს უშუალოდ მისთვის დამახასიათებელი სემიოგრაფიული თავისებურებები, ამიტომ თითოეული კრებული ცალკე უნდა იქნას ამ თვალსაზრისით დაწვრილებით აღწერილი, შესწავლილი და, ამის შემდგომ, ერთმანეთთან შედარებული. სანამ დადგენილი არ იქნება სხვადასხვა ხელნაწერში ამა თუ იმ ნევმის სემანტიკური იდენტობა, მხოლოდ ნაწილობრივი მსგავსების გამო მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება შეიძლება ნევმთა გრაფიკული და, შესაბამისად, სემანტიკური თავისებურების უსაფუძვლო იგნორირების წინაპირობა აღმოჩნდეს.

გადავიდეთ ჩვენი დაკვირვების კონკრეტულ შედეგებზე.

პირველ რიგში, ერთი შეხედვით ყველაზე მარტივ ნიშანზე შევჩერდებით. ეს არის მუხლების გამყოფი წერტილები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ორწერტილის სახით არის წარმოდგენილი. მისი მნიშვნელობის შესახებ, თითქმის, ყველა მკვლევარს ერთიანი აზრი აქვს იმდენად, რომ ბევრი მათგანი თავის კვლევაში ამ საკითხს საერთოდ არ განიხილავს, თუმცა, ჩვენი ხედვით, არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

პავლე ინგოროყვა წერტილების მნიშვნელობას ასე განმარტავს: „წერტილი – მუსიკალური მეტრის აღმნიშვნელი ნიშანი – იწერება წითელი მელნით (როგორც ყველა სამუსიკო ნიშანი), ხოლო უბრალო სალექსო მეტრის აღმნიშვნელი ნიშანი იწერება შავი წერტილით (ისევე, როგორც საერთოდ სიტყვიერი ტექსტი)... ორივე წერტილი, ჩვეულებრივ, როგორც წესი, ერთსა და იმავე ადგილას უწევს, ერთსა და იმავე ადგილას ხვდება, ე.ი. სალექსო მეტრულ-რიტმული ნაკვეთების ბოლოს“.¹² უფრო ზუსტი და მართებული იქნებოდა, თუკი ღვანჭმოსილი მეცნიერი წითელი წერტილის განმარტებაში მუსიკალური მეტრის ნაცვლად ტერმინ „მუხლს“ გამოიყენებდა. თუმცა, ეს ახსნა ამ შემთხვევაშიც არასრულია, რადგან მასში უგულებელყოფილია შავი და წითელი წერტილების მდებარეობის ვარიანტული სხვაობები (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). მართალი გითხრათ, ჩემთვის შავი წერტილის განმარტებაც გაუგებარია. კერძოდ, რას ნიშნავს „უბრალო სალექსო მეტრის აღმნიშვნელი წერტილი“? რა დანიშნულება და გამოყენება უნდა ჰქონოდა მას ცოცხალ სამგალობლო პრაქ-

¹² ინგოროყვა, ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა, გვ. 135.

ტიკაში ასეთი მნიშვნელობით? შავი წერტილი ჩვეულებრივი წერტილის, ანუ ტიპური პუნქტუაციის ნიშნის სახით რომ არ გამოიყენება ხელნაწერში, ამაში დასარწმუნებლად, ნებისმიერი საგალობლის ერთჯერადი თვალის გადავლება საკმარისია. ვფიქრობთ, რომ შავი წერტილი, წითელი წერტილის პარალელურად, მუსიკალურ მუხლებთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული, და არა როგორც პოეტური ტექსტის კუთვნილება.

მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ ორწერტილი, ძირითადად, შავი და წითელი მელნით არის შესრულებული, რომელთაგან ზედა შავი, ხოლო ქვედა წითელი წერტილია (სურ. 8); წითელი წერტილი, როგორც წესი, ოდნავ დიდი ზომისაა შავ წერტილთან შედარებით. ამავე დროს, არცთუ იშვიათად, გვხვდება ორწერტილი, სადაც წერტილები შეტრიალებულად არის დასმული: წითელი – ზემოთ, ხოლო შავი – ქვემოთ (სურ. 9).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოგიდგენთ ვასილ კარბელაშვილის მინიშნებით განმარტებას წითელი და შავი წერტილების ორ პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც მას *ცისკრის* სანოტო კრებულში,¹³ შესავლის წინ, ჩანართში, გრაფიკულად აქვს მოცემული (სურ. 10). მაღლა, მარჯვენა მხარეს, შავი ხაზით შემოფარგლულია ორივე ნიშანი. უკეთ დასანახად მას ცალკეც, გადიდებულად წარმოგიდგენთ (სურ. 11): ზედა ნიშანში ზემოთ შავი და ქვემოთ წითელი წერტილია დასმული, ქვედაში – პირიქით. ზედა ნიშანთან ტაქტის ხაზი, ანუ მუხლის დამასრულებელი ხაზია დასმული, ხოლო ქვედასთან – ე.წ. ცეზურა, ანუ ჩასუნთქვის აღმნიშვნელი მძიმე („იადგარში“ ორივე ნიშნის ერთ საგალობელში არსებობის ნიმუშად იხ. სურ. 12). იმ შემთხვევაში, თუკი მივიჩნევთ, რომ შავი წერტილი საერთოდ არ იკითხება და აქ მხოლოდ წითელი წერტილი უნდა დავინახოთ, ასეთი განცალკევებული წითელი წერტილიც მრავლად გვხვდება „იადგარში“ (სურ. 13). ყველა შემთხვევაში, კარბელაშვილის მიხედვით, ეს ორი ნიშანი ერთმანეთისგან განსხვავებული სემანტიკის მქონეა.

მუხლების გამყოფი ორწერტილის საკითხი ამით არ ამოიწურება. საქმე ის არის, რომ მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერში წითელი და შავი წერტილების განლაგება მხოლოდ ამ ორი პოზიციით არ განისაზღვრება. წითელი წერტილი შავთან მიმართებაში შეიძლება მის თავზეც იყოს დასმული (სურ. 14), მარჯვნივ გადახრილიც (სურ. 15), მის გასწვრივაც, როგორც მარჯვნიდან (სურ. 16), ისე მარცხნიდანაც (სურ. 17), ქვემოდან მარჯვნივ დიაგონალურადაც (სურ. 18), რაც ყველაზე ხშირი პოზიციაა მიქაელ მოდრეკილთან, და ქვემოდან მარცხნივ დიაგონალურადაც (სურ. 19).

ჩვენი შეფასებით, სრულიად არასწორი იქნება, თუ წერტილთა ამ განლაგებებს უნიფიცირებულ სახით, მუხლის დასრულების, ერთი მნიშვნელო-

¹³ კარბელაშვილი, *ცისკარი* (დანართი).

ბის მქონე აღნიშვნებად წარმოვიდგინოთ. მეცნიერთა სემიოლოგიურ კვლევებში ნერტილთა ასეთ დიფერენცირებაზე ყურადღება აქამდე არ გამახვილებულა.

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე. საგალობელთა ხუთხაზიან სანოტო ჩანაწერებში იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა სიტყვა ორად არის გაყოფილი და ორ მუხლშია გადანაწილებული. ამის ცხადი მაგალითია თუნდაც წმ. გიორგის ტროპარი,¹⁴ რომელშიც წმინდანის სახელი „გიორგი“ ორ მუხლშია გაყოფილი: გიო | რგი (სურ. 20). ამასთან დაკავშირებით ყურადღება მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერში არსებულ მუხლის გამყოფ კიდეც ერთ ნერტილოვან ნიშანზე მსურს გავამახვილო, რომელიც სწორედ მსგავს მოვლენას უნდა ასახავდეს. ის თავისებურად გამოიხატება: ერთი ნერტილი ტექსტის (ანუ სიტყვის) ზემოთ ინერება, ხოლო მეორე – ქვემოთ. ამასთანავე, ორივე ნერტილი წითელია (სურ. 21). წარმოდგენილ ფრაგმენტში, ერთ საგალობელში, ასეთი აღნიშვნა ექვსჯერ გვხვდება, რაც, თავის მხრივ, განსაკუთრებული შემთხვევაა. ყურადღება მივაქციოთ სამ მათგანს, რომელშიც სიტყვის გამყოფ ორ წითელ ნერტილს შორის შავი ნერტილიც არის დასმული. ე. ი. ორნერტილის ნაცვლად ვერტიკალური სამნერტილია გამოყენებული. კერძოდ, სიტყვები: „ქალწუ | ლო“, „მნი | სა“ და „ქალწუ | ლისაგან“ (სურ. 22, 23, 24). რატომღაც ეს საინტერესო ელემენტიც აქამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.

ახლა განვიხილოთ ტექსტთან დამოკიდებულებაში ნევმების გრაფიკული მიმართულების საკითხი. ამასთან დაკავშირებით კვლავ ონიანის დაკვირვებას მივუბრუნდეთ. ქართული ნევმების სტრიქონზედა და სტრიქონქვედა განლაგებაზე იგი აღნიშნავს, რომ „ნევმების ასეთ განლაგებასა და გრაფიკულ მოხაზულობაში დადგინდა სიმეტრიის პრინციპის მოქმედება“.¹⁵ „ნევმები ერთმანეთს სარკისებურად არეკლავს და ცენტრისკენ – ჰიმნის პოეტური ტექსტისკენაა მიმართული“.¹⁶

ამ საინტერესო დაკვირვების მიუხედავად, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის ნიშნები, რომლებიც ამ სიმეტრიისა და არეკვლის წესს ერთგვარად „არღვევენ“. უნდა ითქვას, ყველა მკვლევარი აპრიორი მიიჩნევს, რომ ნევმი, სტრიქონზედა იქნება ის, თუ სტრიქონქვედა, ტექსტთან მიმართებით აუცილებლად მარცხნიდან მარჯვნივ არის დიაგონალურად მიმართული, ამიტომ ამ საკითხზე სპეციალურ ყურადღებას აღარც ამახვილებენ და ყველა მკვლევარს ნიშანთა საკუთარ ჩამონათვალში მხოლოდ მარჯვნივ მიმართული გრაფემები მოჰყავს. თუმცა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ არსებობს ნევმები, რომელთაც განსხვავებული მიმართულება აქვთ. უპირველეს ყოვლისა, შევეჩერდეთ სტრიქონქვედა მოკლე და გრძელ ხაზისებურ ნევმებზე.

უმეტეს შემთხვევაში ისინი მართლაც მარჯვნივ არიან მიმართულნი,

¹⁴ კარბელაშვილი, *მწუხრი*, გვ. 92.

¹⁵ ონიანი, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა*, გვ. 142.

¹⁶ იქვე, გვ. 48

მაგრამ იგივე ნიშნები ვერტიკალური სახითაც მრავლად გვხვდება, რაც მათ შორის არსებულ სემანტიკურ სხვაობაზე გვაფიქრებინებს (სურ. 25). ზოგ შემთხვევაში ორივე სახის ნიშანი (მარჯვნივ მიმართულიც და ვერტიკალურიც) ერთმანეთთან ახლოს, ან სულაც ერთ სიტყვასთან არის დაწერილი, რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას მათ შორის სემანტიკური სხვაობის შესახებ (სურ. 26).

შემდეგ სურათში (27) ორი სტრიქონის ბოლოს თითო სიტყვა ძირითად ტექსტთან მიმართებაში პერპენდიკულარულად არის დაწერილი მარგინალიაზე, ანუ მინდვრის ზოლში. თუ დავაკვირდებით, ამ სიტყვების პირველ მარცვლებთან დასმული სტრიქონქვედა დიაგონალური ხაზები მარჯვნივ კი არა, მარცხნივ არის მიმართული. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს გამონეულია სიტყვების მარგინალიაზე დაწერის მიზეზით, მაგრამ მსგავსი შემთხვევა ძირითად ტექსტშიც არაერთგზის დასტურდება (სურ. 28). შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ხაზთა მიმართულების ეს სხვაობა ნევმთა სემანტიკაშიც არ იყოს ასახული.

მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“ რომ დახვეწილი, მაღალი დონის კალიგრაფიით არის შესრულებული, სიახლეს არ წარმოადგენს. ის მხატვრული გაფორმებითაც საკმაოდ მდიდარია – საზედაო ასოები იქნება ეს, ორნამენტები, მინიატიურა თუ სხვ. ამ კონტექსტში ყურდღებას იქცევს ზოგიერთი გვერდის ტექსტის ბოლო სტრიქონი, რომლის ასოები სპეციალურად არის დაგრძელებული და ქვედა მარგინალიის სივრცეს იკავებს (სურ. 29). ცხადია, ამასაც მხატვრული დანიშნულება აქვს და არა რაიმე დამატებითი სემანტიკური დატვირთვა.

უნდა ითქვას, რომ მსგავს მოვლენას ნევმებშიც ვხვდებით. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში ბოლო სტრიქონთან ნევმის დაბოლოება თვალშისაცემად არის წაგრძელებული და მარგინალიის სივრცეშია შეჭრილი. (სურ. 30) მარგინალიებთან სიახლოვეში მსგავსი წაგრძელებული ნევმები არცთუ იშვიათია. მათ შორის, ასეთი ნევმი, ერთ შემთხვევაში, სწორედ დაგრძელებულ ასოებთანვე არის დაწერილი (სურ. 31). ცხადია, რომ ეს შემთხვევაც ნაწერის გაფორმების ელემენტად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სახის ნევმების უმეტესობა სტრიქონქვედა ნიშანია, თუმცა ამ ტიპის ნევმები სტრიქონის ზევითაც გვხვდება მარჯვენა მარგინალიაზე (სურ. 32). აღსანიშნავია შემთხვევა, როცა მარგინალიაზე პერპენდიკულარულად დაწერილ სიტყვასაც ახლავს წაგრძელებული ორნამენტული ნევმი (სურ. 33).

როგორც ჩანს, წაგრძელებულ ასოებს და ნევმებს ვასილ კარბელაშვილზე შთაბეჭდილება მოუხდენია და *ცისკრის* სანოტო კრებულის შესავალში მოცემულ გრაფიკულ დანართში X საუკუნის ქართული სემიოგრაფული დამწერლობის ნიმუშებად ეს ნევმებიც ჩაუსვამს (სურ. 10).

როგორც აღვნიშნეთ, მარგინალიებთან ახლოს დაწერილი ნევმების წა-

გრძელებები ხელნაწერის ორნამენტული გაფორმება უნდა იყოს და რაიმე განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა არ უნდა გააჩნდეს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმ წაგრძელებულ ნევმთა სახეობებზე, რომლებიც შუა ტექსტში გვხვდება (სურ. 34). მათ შესახებ ეკატერინე ონიანი წერს: „წაგრძელებული დაბოლოებით გვხვდება თითქმის ყველა ძირითადი ნიშანი როგორც იორდანეს, ასევე მიქაელ მოდრეკილის კრებულში; და თუ ამ სახის ერთი ნიშანი დამოუკიდებლობას ამჟღავნებს, ასევე დამოუკიდებლად უნდა განვიხილოთ დანარჩენებიც“.¹⁷ ამ საყურადღებო მოსაზრების ფორმულირება დასაზუსტებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარგინალიებზე დაწერილი ზემოაღნიშნული წაგრძელებული ორნამენტული ნევმებიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონედ უნდა ჩაითვალოს, რასაც სწორად ვერ მივიჩნევთ. ამავე დროს, სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, ონიანი თავის ე.წ. „სამუსიკო ნიშანთა ანბანის“ 23 ნევმის შემცველ ცხრილში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი (სურ. 6), ნევმთა წაგრძელებულ სახეობებსაც ითვალისწინებს, რაც პრინციპულად სწორ მიდგომად მიგვაჩნია. ერთია მხოლოდ, რომ ასეთი ნიშნები მას ნაწილობრივ აქვს მოტანილი და, ზოგ შემთხვევაში, არაზუსტად. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ჩამონათვალში, ე.წ. ალმისებურ ნევმთა ჯგუფში, ავტორს სამი სახეობა აქვს წარმოდგენილი, პირობითად რომ ვუნოდოთ: პატარა, დიდი და წაგრძელებული ალაში. ალმისებური ნევმი, ისევე, როგორც რკალი, ერთკბილიანი ნიშანია. რკალისგან იგი იმით განსხვავდება, რომ მას აქვს „ფეხი“, რომელიც „ალამთან“ კუთხეს ქმნის. მიქაელ მოდრეკილის კრებულში, იორდანეს კრებულისგან განსხვავებით, ალმისებური ნიშანი გრძელი ან წაგრძელებული სახით, ფაქტობრივად, არ არსებობს. მაშინ, როცა რკალი სამივე სახით – პატარა, დიდი და წაგრძელებული – გვხვდება. სურ. 35-ზე წარმოდგენილ ფრაგმენტში ერთ სიტყვაზე დასმულია როგორც ალმისებური ნიშანი, ისე რკალის ტიპის სამივე სახის ნევმი: პატარა, დიდი და წაგრძელებული რკალი. გამოდის, რომ „იადგართან“ მიმართებაში ონიანის ცხრილში ორი ზედმეტი ალმისებური ნიშანია დასმული, ხოლო რკალის ჯგუფს ერთი ნიშანი აკლია.

ჩვენი ყურადღება მიიქცია, ასევე, მორკალული ორკბილიანი წაგრძელებული ნევმის კიდევ ერთმა სახეობამ, რომელშიც არა მხოლოდ ნევმის ბოლო რკალია წაგრძელებული, არამედ სანყისი რკალიც (სურ. 36, 37). „იადგარში“ არსებული ნევმის ამ სახეობამ რატომღაც ვერც ერთი მკვლევრის „სამუსიკო ნიშანთა ანბანში“ ვერ მოიპოვა ადგილი.

ონიანის საინტერესო დაკვირვებით, სტრიქონზედა და სტრიქონქვედა ნევმები გრაფიკულად სარკისებურ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან და თითქოს ერთგვარ თაღს ქმნიან. მათ ავტორი საერთო ტერმინებითაც იხსე-

¹⁷ ონიანი, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა*, გვ. 66.

ნიებს: ხაზი, რკალი, ორკბილიანი, სამკბილიანი, მრავალკბილიანი. თუმცა, მკვლევრის აზრით, სტრიქონქვედა ნიშნებში აღმისებური ნიშანი არ მოიპოვება. იმის დასტურად, რომ მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერში სტრიქონქვედა ორი, სამი და მრავალკბილიანი გრაფემები სწორედ აღმისებური სახითაც გვხვდება, იხილეთ სურ. 38 და 39. როგორც ვხედავთ, ამ ნევმებში სარკისებურადაა მოცემული აღმისებური ნიშნისთვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოხატული „ფეხისა“ და „ალამის“ კუთხოვანი გადაბმა. რატომღაც ეს ნიშნებიც აღმოჩნდა როგორც ონიანის, ისე სხვა მკვლევართა ყურადღების მიღმა.

ხელნაწერში რამდენიმე სამკბილიანი და მრავალკბილიანი ნაგრძელებული ისეთი ნევმიც აღმოვაჩინეთ, რომელიც ტიპური ნიმუშებისგან იმით განსხვავდება, რომ ნევმის ბოლო რკალი კი არ არის ნაგრძელებული, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არამედ ის რკალის დახრილი დაბოლოებიდან კუთხის წარმომქმნელი ნაგრძელებული ხაზით ბოლოვდება (სურ. 40, 41). ამ თავისებურების გამო ასეთ გრაფემას შეიძლება „ტეხილი ნევმი“ ვუწოდოთ.

„იადგარში“ ნევმების სახეობათა მრავალფეროვნებაზე ასევე მეტყველებს კიდევ ერთი ტიპის გრაფემა, რომელიც ცალკე ყურადღებას ითხოვს. ის თითქოს რამდენიმე სეგმენტისგან შედგება: ნევმის მესამე, ნაგრძელებულ კბილს კვლავ მოკლე რკალები მოსდევს და ასევე ნაგრძელებით სრულდება (სურ. 42, 43).

დაბოლოს, ყურადღებას შევაჩერებ „იადგარის“ კიდევ ერთ ფრაგმენტზე, რომელშიც მართლაც რომ უნიკალური ნევმია გამოსახული. როგორც ვიცით, ქართული ნევმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება და თვითმყოფადობა იმაში მდგომარეობს, რომ ნევმები როგორც სტრიქონს ზემოთ, ისე სტრიქონს ქვემოთ იწერება. ეს ნევმი კი იმით არის უნიკალური, რომ ის თავისი მოხაზულობით ორივე სივრცეს მოიცავს უწყვეტად (სურ. 44). ეს ნიშანი მთელ კრებულში მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

„იადგარის“ გადამწერთა შესახებ პავლე ინგოროყვა აღნიშნავს, რომ თვით მიქაელ მოდრეკილის გარდა მას კიდევ ორი გადამწერი ჰყავდა: ანონიმი და ეფთვიმე. იქვე ასეთ შენიშვნას ურთავს: „იმ დროს, როდესაც კრებულის ორი ძირითადი ნაწილი, გადამწერილი მიქაელის და ანონიმის მიერ, სანოტო ნიშნებით არის განყოფილი, მესამე ნაწილი, გადამწერილი ეფთვიმეს მიერ, არაა ნოტირებული... ეფთვიმეს გადამწერილ ნაწილში, 90 გვერდის მანძილზე, სანოტო ნიშნები გვხვდება მხოლოდ ერთგან, სახელდობრ, 294-ე გვერდის სულ ერთ სტრიქონში.“¹⁸ თუმცა კრებულში არანევემირებული ტექსტი არა მხოლოდ ამ 90 გვერდის ფარგლებში, არამედ სხვა, რამდენიმე მოზრდილი, მრავალგვერდიანი ნაწილის სახითაც გვხვდება, რომლებშიც ადგილ-ადგილ ნევმირებული საგალობლებიც მოიპოვება. მათი რიცხვი ჯამში 27-ს შეადგენს. აქვე

¹⁸ ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე*, გვ. 005.

აღსანიშნია ნევმის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც ხელნაწერის სწორედ ამ ე.წ. არანევემირებულ ნაწილში გვხვდება. შესაძლოა, ეს ნევმი კითხვის ინტონირების აღმნიშვნელი ნიშანი იყოს. მისი მოხაზულობა წითელი წერტილის ქვემოდან იწყება და სტრიქონქვედა მარცხნივ მიმართულ მოგრძო რკალს წამოადგენს (სურ. 45).

საინტერესოა, „იადგარში“ სამი გადამწერის მონაწილეობის გათვალისწინებით შეგვიძლია თუ არა საუბარი რამდენიმე მეხელის (ამ ტერმინის ელენე მეტრეველისეული განმარტებით¹⁹), ანუ ნევმების დამწერთა განსხვავებული ხელწერის არსებობაზე მიქაელ მოდრეკილის კრებულში? სავარაუდოდ, ასეც არის, მაგრამ ამის დასადაგენად, ხელნაწერის სრულ სემიოგრაფიულ აღწერასთან ერთად, მისი გრაფოლოგიური კვლევაც არის ჩასატარებელი. შესაძლოა, ყოველივე ეს ჩემი სამომავლო მუშაობის საგანი გახდეს. ამჯერად კი შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ არსებული ნევმური ნიშნები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სრულად აღრიცხული და განხილული მკვლევართა მიერ და რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს აჭარბებს. ყოველივე ეს კი კვლავ საიდუმლოებით მოცული ქართული ნევმური დამწერლობის მრავალსახეობაზე მეტყველებს.

დამონემაჲული ლიტერატურა

ასლანიშვილი, ძველი ქართული სანოტო ნიშნების საკითხისათვის = შ. ასლანიშვილი, ძველი ქართული სანოტო ნიშნების საკითხისათვის. სანოტო ნიშნების სისტემა ძველ ქართულ ხელნაწერებში (X–XII სს.), *თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომათა კრებული*, თბილისი, 1991.

ინგოროყვა, ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა = პ. ინგოროყვა, ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა, *პ. ინგოროყვა, თხზულებათა სრული კრებული*, 5, თბილისი, 2012.

ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე* = პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა*, თბილისი, 1954.

კარბელაშვილი, *მწუხრი* = *ქართლ-კახური ვალობა. ნაწილი 1. მწუხრი, კარბელაანთ კილოთი. ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელოვის მიერ*, თფილისი, 1897.

კარბელაშვილი, *ცისკარი* = *ქართლ-კახური ვალობა. ნაწილი 2. ცისკარი, კარბელაანთ კილოთი. ნოტებზედ გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელოვის მიერ*, თფილისი, 1898.

მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის = ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, II, რედ.: თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე, ნ. მიროტაძის მონაწილეობით, თბილისი, 2012.

¹⁹ მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის.


- ონიანი**, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა* = ე. ონიანი, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა ღვთისმსახურების ქართულ პრაქტიკაში (X-XI და XVIII საუკუნის ხელნაწერთა მაგალითზე)*, სადისერტაციო ნაშრომი, 2004.
- წერეთელი**, *სამი ნევმირებული კანონი* = *სამი ნევმირებული კანონი*, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო, ნევმირება მოახდინა, საგალობლები გაამარტივა ზაალ წერეთელმა, თბილისი, 2013.
- ჯანაშვილი**, *საუნჯე X საუკუნისა* = მ. ჯანაშვილი, *საუნჯე X საუკუნისა*, ტფილისი, 1891.
- S-425** = მიქაელ მოდრეკილი, *სანელინდო იადგარი*, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- Карбелов**, *Сборник грузинских церковных песнопений Микаеля Модрекили* = В. Карбелов, *Сборник грузинских церковных песнопений Микаеля Модрекили*, Весь Кавказ, 1, Тифлис, 1903.
- Thibaut**, *Нотные знаки в грузинских рукописях* = Abbe J. B. Thibaut, *Нотные знаки в грузинских рукописях*, *Христианский восток*, 3, II (1914).

სურათების წყაროები:

- № 1. მოსე ჯანაშვილი, *საუნჯე X საუკუნისა*, გვ. 53
- № 2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის არქივი, 264
- № 3. *Христианский восток*, III, II, 1914, გვ. 59
- № 4. ასლანიშვილი, *ძველი ქართული სანოტო ნიშნების საკითხისათვის*, გვ.39
- № 5. ინგოროყვა, *ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა*. გვ.138
- № 6. ონიანი, *ნევმური დამწერლობა და ნევმირების სისტემა*, გვ.66
- № 7. წერეთელი, *სამი ნევმირებული კანონი*, გვ. XXXVIII
- № 8. S-425, გვ. 082
- № 9. S-425, გვ. 054
- № 10. კარბელაშვილი, „ცისკარი“, (დანართი)
- № 11. იქვე.
- № 12. S-425, გვ. 515
- № 13. S-425, გვ. 019
- № 14. S-425, გვ. 054
- № 15. S-425, გვ. 025
- № 16. S-425, გვ. 029
- № 17. S-425, გვ. 101
- № 18. S-425, გვ. 096
- № 19. S-425, გვ. 095
- № 20. კარბელაშვილი, „მწეხრი“, გვ. 92
- № 21. S-425, გვ. 063
- № 22. იქვე.

- № 23. ოქვე.
- № 24. ოქვე.
- № 25. S-425, გვ. 040
- № 26. S-425, გვ. 116
- № 27. S-425, გვ. 037
- № 28. S-425, გვ. 012
- № 29. S-425, გვ. 015
- № 30. S-425, გვ. 089
- № 31. S-425, გვ. 015
- № 32. S-425, გვ. 113
- № 33. S-425, გვ. 087
- № 34. S-425, გვ. 237
- № 35. S-425, გვ. 008
- № 36. S-425, გვ. 005
- № 37. ოქვე.
- № 38. S-425, გვ. 018
- № 39. ოქვე.
- № 40. S-425, გვ. 520
- № 41. ოქვე.
- № 42. S-425, გვ. 014
- № 43. ოქვე.
- № 44. ოქვე.
- № 45. S-425, გვ. 203

№1



№2

№3

Signes supérieurs.

Signes inférieurs.

№4

ანოტი ნიშნის პირველი ჯგუფი (I) წარმოადგენს კარდული სუ-
ბოქტავის საღებავს. ამ ჯგუფიდან ექვსი ნიშნი იწერება სტრიქონის
ხარისხით:

მეტი სტრიქონს ქვიშობი:

მეტი ერთი ნიშნი ტექსტის შუაში: ---o---o---o---

სულ ჯგუფის 13 ნიშნი.

№5

ძველი-ქართული სამუსიკო ანბანი:
ოქტავის ნიშნები დიატონური წყობისა.

მეტი ტეტრაქორდი
(მაშასადამე სტრიქონს ხეობი)

ქვემო ტეტრაქორდი
(მაშასადამე სტრიქონს ხეობი)

I	II	III	IV	V	VI	VII	I (VII)
ქვემო ტონი	ხ. ზემო-ლი ტონი (საღებავი)	ხ. მდინარე (ტეტრაქორდი)	სუბოქტავის სანტი (ფორტი)	ფორტი-ტა (ფორტი)	ქვემო-ლი ტონი (საღებავი)	ქვემო-ლი ტონი (საღებავი)	ხეობი ტონი (საღებავი)

№6

ხაზი		ხაზი	
რკალი		რკალი	
აღმისებური		ორკბილიანი	
ორკბილიანი		საშკბილიანი	
საშკბილიანი		მრავალკბილიანი	
მრავალკბილიანი			

№7

წიგნი	საძგარი

№8



№10

ბესბული ნიშნები სრულ. ქართული ნიშნები ზეგ. ნომ. ვიანი.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

XI-XII სს. შეთხრობა - ქართული სიგელი.

1X ს. მთ. სთ. მთ. სთ. 223. №163 აღნიშნ. ხე. აღნიშნ.

შეუძლია სიგელის წარმოების უწყვეტობა. შეუძლია იმის დადგენა, ხარდობითობა არის არსებული რაიმე უკუშედეგობა და რა თქმის მიხედვით უნდა შეიქმნას სიგელი და რა თქმის მიხედვით.


№9



№11



№12




№13



№14



№15




№16



№17



№18




№19



№20



№21



№22



№23




№24




№27



№25




№26



№28




№29



№31




№30



№32



Nº33




Nº34



Nº35



Nº36



Nº37




Nº38



Nº39



№40



№41




№42




№43



№44



№45



MULTIPLICITY OF THE NEUMES IN THE “IADGARI” OF MICHAEL MODREKILI

Abstract

For more than a century the ancient Georgian musical writing of church chants is a subject of the great interest for Georgian and foreign scholars. In this regard Michael Modrekili's *Iadgari* as the biggest and most impressive manuscript among the Georgian collections with neumes is of the special importance. Respectively this manuscript still is actively studied. But regardless of this fact even nowadays the full stock of the neums is neither deciphered, nor properly described. In the researches of the scholars of different generations number of the neumes' species varies from 8 to 23.

Main subject of the paper is finding in Michael Modrekili's *Iadgari* those species of neums which until today either were not noticed or mechanically were added to the different groups of neums and were not considered as separate, specific group. This kind of approach proved existence of the different types of neumes, number of which is more than several dozens.

David Shugliashvili

*Giorgi Mtatsmindeli High School of Chanting
Tbilisi*

ლელა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომანოზ მელოდოსის საგალობლების ძველი ქართული თარგმანები

(გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ მიხედვით)

ჰიმნოგრაფიის ისტორიაში რომანოზ მელოდოსს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამამთავრად მიიჩნევა, რომლის შემოქმედებამ უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის განვითარებაზე. რომანოზ მელოდოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა მრავალი პუბლიკაცია და გამოკვლევა.

ჯერ კიდევ 1903 წელს ცნობილი ბიზანტინოლოგი, კ. კრუმბახერი წერდა: „რომანოზი, შესაძლოა, ყველაზე დიდი პოეტი აღმოჩნდეს მომავალში“.¹ შემდგომმა კვლევამ დაადასტურა დიდი მეცნიერის ეს ვარაუდი. რომანოზ მელოდოსის შემოქმედების მკვლევრების, პ. მაასისა და ს. ტრიპანისის შეფასებით: „ის მართლაც ყველაზე დიდი ქრისტიანი პოეტი“.²

რომანოზი მოღვაწეობდა სამი იმპერატორის – ანასტასი I-ის, იუსტინე I-ის და იუსტინიანე დიდის პერიოდში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მის შემოქმედებაში ასახულია იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი მწვავე დოგმატურ-პოლემიკური პრობლემები.³

რომანოზის სახელს უკავშირდება ახალი პოეტური ფორმის – *კონტაკიონის* შემოტანა და დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში.

კონტაკიონი, როგორც წესი, შეიცავს 18-დან 30-მდე ან ზოგჯერ მეტ ტროპარს, რომლებიც სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსია. ტროპარი შედგება სხვადასხვა რაოდენობის (3-დან 30-მდე) სტრიქონისგან. იწყება მოკლე ტროპარით, რომელიც მეტრულად დამოუკიდებელია მისგან. ესაა ე.წ. *პროომიონი* ან *კუკულიონი* – ერთგვარი შესავალი, რომელშიც გადმოცემულია საგალობლის შექმნის მიზანი. ყოველ ტროპარს აქვს რეფრენი. *კონტაკიონი*, როგორც წესი, შეიცავს სხვადასხვა ტიპის აკროსტიქს.⁴

¹ Krumbacher, *Geschichte*, S. 336.

² Maas – Trypanis, *Sancti Romani*, p. 3.

³ Wellesz, *A History*, pp. 177-178.

⁴ Krumbacher, *Die Akrostichis*; Wellesz, *A History*, pp. 177-178.

რომანოზს შეუქმნია 1000-ზე მეტი საგალობელი. აქედან ჩვენამდე მოღწეულია 89 (სრული ან ფრაგმენტული სახით), მათგან 79-ს ავტორის სახელი აკროსტიქში აქვს აღბეჭდილი.⁵

რომანოზის საგალობლები, როგორც ჩანს, ადრევე ითარგმნა ქართულად. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია მისი შემოქმედების ცალკეული საკითხები.

ამის მიუხედავად, რომანოზ მელიოდოსის საგალობლების ქართული თარგმანები დღემდე სრულად გამოვლენილი და შესწავლილი არ არის. რომანოზ მელიოდოსის საგალობლების ქართულ თარგმანებს მიეძღვნება ჩვენი საგანგებო მონოგრაფია.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, რომანოზის მიერ შემოღებული პოეტური ფორმის (*კონტაკიონი*, ანუ *იბაკონი*) ტიპის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკვე VII საუკუნიდან ჩნდება. უძველეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში, იერუსალიმის ლექციონარში, ავტორის სახელწაუნერლად შესული *იბაკონი* გვხვდება არქაულ ლიტურგიკულ განგებაზე – ვნების შეიდუელში. ამავე ტიპის საგალობლები სახელწაუნერლადაა შესული ახალი ტიპის იადგარებსა და *Sin. geo.* 5 (1052 წ.) და *Sin. geo.* 75 (XI ს.) ხელწაუნერებში.

ჩვენი ნაშრომი ამჯერად ეძღვნება რომანოზ მელიოდოსის იმ საგალობლებს, რომლებიც დაცულია მნიშვნელოვან ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში – გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“. წარმოვადგენთ ამ საგალობელთა ტექსტებს და განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს.

ქართული „მარხვანის“ რედაქციებზე წლების განმავლობაში ვმუშაობთ და დღეისათვის ამ კრებულის ჩამოყალიბების პროცესი ასე წარმოგვიდგება: პირველი ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც გამოეყო „იადგარს“ და დამოუკიდებლად განაგრძო განვითარება, იყო „მარხვანი“. ქართული „მარხვანის“ პირველი რედაქცია შედგენილია სინას მთაზე X საუკუნის პირველ ნახევარში დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის მიერ.⁶ ამ კრებულმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ათონის სალიტურატურო სკოლაში და სრულყოფილი სახე მიიღო გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“.

რომანოზ მელიოდოსის შემოქმედების და მისი საგალობლების ქართული თარგმანების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა სწორედ ეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული – „მარხვანი“, რომელიც შედგენილია საქართველოს ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტის, გამორჩეული მოღვაწისა და მთარგმნელის, საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიების წმინდანის, გიორგი მთაწმინდელის მიერ XI საუკუნის შუა წლებში ანტიოქიაში, შავ მთაზე. ეს ხელწაუნერი – *Paris. geo.* 5, რომელიც ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონეა, დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ხელწაუნერის

⁵ Grosdidier de Matons, *Romanos le Mélode*, p. 20.

⁶ ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია*, გვ. 37.

მიკროფირი წლების წინ ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩამოიტანა ცნობილმა ქართველოლოგმა, ბერნარ უტიემ, რომელიც ამ პალიმფსესტური ხელნაწერის ძველ ფენას იკვლევს. ხელნაწერის ზედა ფენა კი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“ (1r-216v), რომელსაც ერთვის მასთან კომპილაციით შედგენილი „მარხვანის“ ახალი რედაქცია (217r-292v).

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ავტოგაფული მნიშვნელობის მქონე ამ „მარხვანში“ აღმოჩნდა X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის, იოანე მინჩხის უცნობი მემკვიდრეობა, რომელსაც 1987 წელს მიეძღვნა ჩვენი მონოგრაფია (რედაქტორი აკად. ელ. მეტრეველი).⁷

„მარხვანის“ ამ რედაქციისათვის, როგორც გიორგი მთაწმინდელის შემოქმედებისათვის საერთოდ, დამახასიათებელია დიდი სიზუსტე საგალობლებისათვის ავტორების მითითებასა და მათი პირვანდელი სახით აღდგენაში. ბერძნულ და ქართულ ენაზე შექმნილ ვრცელ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში დროთა განმავლობაში დაკარგული და დავიწყებული ავტორების გამოსავლენად გაწეული დიდი შრომა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა. ამისი არაერთი მაგალითი გამოავლინა მის მიერ შედგენილი „თუენისა“ და „მარხვანის“ შესწავლამ.⁸ მის მიერ შედგენილ „მარხვანში“ ავტორები ხშირად მითითებულია არა მხოლოდ კონკრეტულ საგალობლებთან, არამედ კომპილაციური საგალობლების ცალკეულ მონაკვეთებთანაც. ამის საშუალებას მას აძლევდა, ერთი მხრივ, ძველი ქართული თარგმანების, მეორე მხრივ, მისი თანამედროვე ბერძნული წყაროების სრულყოფილი ცოდნა.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“ გაცილებით ვრცელია, ვიდრე მისი თანამედროვე ბერძნული „ტრიოდონები“. ბერძნული და სლავური „მარხვანების“ არსებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბერძნულ-სლავურ ხელნაწერებთან შედარება ცხადყოფს, რომ ესაა უნიკალური კრებული, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა საბერძნეთსა და საქართველოში. ამას ადასტურებს თავად გიორგი მთაწმინდელის ანდერძები, რომლებითაც ნათელი ხდება მისი მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპები, სტილი და მეთოდოლოგია. მოვიტანთ ერთ-ერთ ანდერძს:

„ვინაშთგან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს-მყო მე, გლახაკი გიორგი ხუცეს-მონაზონი, მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა, განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისაჲ, რომელ ჭემმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაჲსმე დატეობაჲ ...“

⁷ ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია*.

⁸ ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია*, გვ. 69-72; ჯღამაია (გამოც.), *სექტემბრის თვენი*, გვ. 18.

ამ კრებულში დაცულია V-XI საუკუნეებში მოღვაწე თოთხმეტი ბიზანტიელი პოეტ-მელოდოსის მრავალრიცხოვანი საგალობლების თარგმანები. მათ შორისაა რომანოზ მელოდოსი.⁹

ხელნაწერში *Paris. geo. 5* დაცულ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ რომანოზის სახელით შესული აღმოჩნდა ცხრა მცირე ფორმის საგალობელი. ყველა მათგანთან მიწერილია *იბაკონი*. რომანოზის *იბაკონი* დადებულია შემდეგ დღეებზე: ყველიერის კვირიაკე, პირველი პარასკევი, მეოთხე ხუთშაბათი, დიდი ორშაბათი, დიდი სამშაბათი, დიდი ოთხშაბათი, დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი და დიდი შაბათი. გიორგი მთაწმინდელის მუშაობის წესის თანახმად, ყველა მათგანის დასაწყისთან მიწერილია ავტორი.

წარმოვადგენთ ამ საგალობელთა ნუსხას *Paris. geo. 5*-ის მიხედვით:

1. ყველიერისა კვირიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. იბაკონი. ჳმაჲ დ გუერდი. არა დააკლდისავე[ე]. – „უსწავლელთა მასწავლელო...“ 42r.

2. პირველი პარასკევი. იბაკონი. ჳმაჲ დ გუერდი. არა დააკლდი... 57r.* (ტექსტი ძალიან დაზიანებულია).

3. მეოთხესა ხუთშაბათსა. მწუხრი. ჳმაჲ დ. ედემნი. – „რომელი აჰმალღდი ჯუარსა ზედა...“ **110v-111r.

4. დიდსა ორშაბათსა. იბაკონი. [ჳმაჲ] დ გუერდი. არა დააკლდი. – „საადუმლოთა ვნებათა შენთა მგალობელნი, ქრისტე...“ 191r.

5. დიდსა სამშაბათსა. იბაკონი. [ჳმაჲ] დ გუერდი. ედემთანი. – „მესმა რაჲ იგავი იგი საღმრთოჲ ...“ 195v.

6. დიდსა ოთხშაბათსა. იბაკონი. ჳმაჲ გ გუერდი.მჯდომარე. – „ქრისტე, რომელმან ცრემლნი მეძავისანი...“ 198r.

7. დიდსა ხუთშაბათსა. იბაკონი. [ჳმაჲ] გ გუერდი. არა დააკლდისა. – „მიიღო პური ჳელითა...“ 202r.

8. დიდსა პარასკევსა. იბაკონი. ჳმაჲ დ გუერდი. ედემთა ზედა. – „იხილა რაჲ გლოვაჲ ქალწულისაჲ...“ 207r.

9. დიდსა შაბათსა. იბაკონი. ჳმაჲ გ გუერდი. მჯდომარენი. – „რომელმან დაჰჳმნა უფსკრულნი, მკუდრად იხილვების...“ 208v.

ამ საგალობელთაგან პირველი („ყველიერისა კვირიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. იბაკონი. ჳმაჲ დ გუერდი. არა დააკლდისავე[ე]. – „უსწავლელთა მასწავლელო...“) გამოქვეყნებული და შესწავლილია ქვემოთ. მეორის („პირვე-

⁹ ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია*, გვ. 72-73.

* საგალობლის დასაწყისთან აშიაზე სინგურით მიწერილი ჩანს „რ“. რომანოზის ავტორობა შესაძლებელია, მაგრამ შესამომწებელი.

** №№ 3, 7 და 8 გამოქვეყნებული აქვს ნიკო მარსაც *Sin. geo. 70*-ის მიხედვით, *Март, Описание*, с. 199-201. მან, როგორც ჩანს, 1902 წელს სინურ ხელნაწერებზე მუშაობისას, საგალობელთა ავტორიდან გამომდინარე, საჭირად მიიჩნია მათი ტექსტების სრულად გამოქვეყნება. ავტორს მიზნად არ ჰქონია აღნიშნული საგალობლების მეცნიერულად დადგენილი ტექსტების პუბლიკაცია, რის გამოც, მათში მრავალი უზუსტობაა.

ლი პარასკევი. იბაკონი. ჳმაჲ დ გუერდი. არა დააკლდი...“) ტექსტი *Paris. geo.* 5-ში დაზიანებულია და არ იკითხება.¹⁰ წარმოვადგენთ დანარჩენი შვიდი საგა-ლობლის ტექსტებს *Paris. geo.* 5 ხელნაწერის მიხედვით:

**110v მეოთხესა ხუთშაბათსა. მწუხრი. სხუანი. [ჳმაჲ დ გუერდი]
ძლ. ედემნი**

რომელი აჰმალღი ჯუარსა ზედა
[წყ]ალობითა შენითა
თანამკვდრითურთ
დაიცევ სოფელი,
|რომელსა ზედა წოდებულ არს 111r
სახელი შენი, უფალო
და მონიჭე
მშკდობაჲ ქალაქთა
და დაბათა
და უდაბნოთა და შეჭურენ ჯუარითა შენითა
და მოჰმადლე
ძლევაჲ მტერთა მიმართ მეფესა ჩუენსა მო-
რწმუნესა
და საძლეველ მტერთა
და საჭურველ მშკდობისა ექმენინ ცხოველსმყოფელი
ჯუარი შენი ძლიერი
და ერი და ეკლესიაჲ შენი
დაიფარენ, მხოლოო,
რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ.

ჯუარსა რაჲ შეგმსჭუალეს ჰურიათა
კრებულმან, ქრისტე ღმერთო,
უხრწნელისა მის
გუერდისა შენისაგან
აღმოგვცენენ ჩუენ წყარონი,
განმწმედელნი ცოდვათანი
და განპყრობითა
ჳელთაჲთა განბნეულნი
ერთად შეგუკრიბენ
და მი-რაჲ-იდრიკე თავი ჯუარსა ზედა,
სამოთხისა

¹⁰ ტექსტის აღდგენა, შესაძლოა, მოხდეს გიორგი მთანმინდელის რედაქციის „მარხვანის“ შემცველი სხვა ხელნაწერებით.

კარნი განახუენ ჯუართა შენითა, კაცთმოყუარე.
ანცა წესიერად
მარხვითა და ჯუარისა შენისა წინამძღურობითა
ღირს-მყვენ ჩუენ, განწმედილნი,
თაყუანისცემად ღმრთივბრწყინვალისა
აღდგომისა შენისა
და ვნებათა შენთა დიდებულთა.

მსთუად მენიენ წყალობაჲ შენი, უფალო,
რაჲთა არაჲ იქადონ
მტერთა ჩუენ ზედა,
არამედ დაამჴუენ
რისხვითა პირისა შენისაჲთა
იგინი და მბრძოლნი ჩუენნი
მოსრენ ძალითა
ჯუარისა შენისაჲთა,
რაჲთა ისწაონ
სიმტკიცე მკლავისა შენისაჲ უძლეველი
და ჭემარიტი
სარწმუნოებაჲ მართლმადიდებელთაჲ, მეუფეო,
და უძლური [ესე]
მარხვაჲ და ვედრებაჲ ჩუენი შეინირე წყალობით
და მოგკტევენ ბრალნი
მეოხებითა ღმრთისმშობელისაჲთა
და ღირს-გუყვენ წყალობასა
შენსა, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

**191r იბაკონი დიდსა ორშაბათსა. წმაჲ დ გუერდი.
ძლ. არაჲ დააკლდი**

საადუმლოთა ვნებათა
შენთა მგალობელნი, ქრისტე,
ნათლითა შენითა წმიდა გუყვენ ვნებათაგან
და გჴსნენ ცოდვათაგან, ყოლადძლიერო,
და ყოლადვე გუფარევედ მაღლითა შენითა
და ღირს გუყვენ მკვდრყოფად სასუფეველსა
შენსა ღმრთივბრწყინვალესა,
ვითარცა მხოლოჲ კაცთმოყუარე ხარ.

**195v იბაკონი დიდსა სამშაბათსა. სხუანი. ჳმაჲ დ გუერდი.
ძლ. ედემთანი**

მესმა რაჲ იგავი იგი საღმრთოჲ
ათთა მათ ქალწულთა,
გულისზრახვათა
და ურვათა მომიცვეს –
ვითარ უბინოჲ ქალწულებაჲ
ათთავე სწორად მოიგეს,
ხოლო ხუთთაჲ მათ
უნაყოფო იქმნნა
და ხუთთა მათ
ლამპარნი განბრწყინდეს კაცთმოყუარებითა,
ამისთვისცა
შეიყვანნა იგინი სიძემან მან უკუდავმან
სიხარულსა თვისსა
და განუღო მათ კარი სასძლოჲსა მის ცათაჲსაჲ
და განუყვნა გვრგვინი
დაუჭნობელნი სიმართლისანი,
რამეთუ მონყალებაჲ
შეაუღლეს მათ ქალწულებასა.

სძლევს სათნოებათა მონყალებაჲ
და უბრწყინვალეს სხუათა
მოღუანებათა
კამკამებს ჭეშარიტად,
რამეთუ განჰკუეთს ჰაერთა,
თანანარჰჰედების ღრუბელთა
და ვარსკულავთა და
მზესა და მთუვარესა
და უშრომელად
მიინევის ბჭეთა თანა ცისათა
და არცალა
მუნ დაადგრების, არამედ შეერთვის ანგელოზთა
და ღმრთისა საყდართა
უმაღლეს ყოველთაჲსა წარდგების წინაშე მეუფისა
და მეოხ არს კაცთათჳს
და დაღადებს მწურვალედ მისსა მიმართ:
„ღირს ყვენ მუშაკნი ჩემნი
მწსნელო, გვრგვინსა დაუჭნობელსა!“

**198r იბაკონი დიდსა ოთხშაბათსა. ჳმაჲ გ გუერდი.
ძლ. მჯდომარე**

ქრისტე, რომელმან ცრემლნი მეძავისანი
და სიტყუანი მისნი, ნადიერებით თქუმულნი,
წყალობით შეინირენ,
შეინირე ჩემიცა,
მრავალმონყალე,
ვედრებაჲ და მადლი შენი მომმადლე
და განბანე
მნიკული სულისა ჩემისაჲ
და ნაბრძკლნი გულისა
ჩემისანი განწმიდენ
და სურნელ-მყავ
მიჰრონთა შენთა მიერ
და ღირს-მყავ, სახიერ,
დაუდუმებელად
დიდებასა შენსა,
სულთა და ჳორცთა ჩუენთა მკურნალო,
ქველისმოქმედო
უფალო, დიდებაჲ შენდა!

**202r დიდსა ხუთშაბათსა. იბაკონი. [ჳმაჲ] დ გუერდი.
ძლ. არაჲ დააკლდისა**

მიიღო პური ჳელითა
შინაგანმცემელმან იუდა
ჳელთაგან დამბადებელისათა,
რომელმან ჳელითა შექმნა ადამი
და მერმე განჰმარტნა
და მოიღო ფასი
მოძღურისა და ღმრთისაჲ მზაკუვარმან
და არაჲ შეიგონა,
არამედ ეგო უკურნებელად.

**207r იბაკონი დიდისა ჰარასკევისანი. ჳმაჲ დ გუერდი.
ძლ. ედემთა ზედა**

იხილა რაჲ გლოვანა ქალწულისაჲ
და მდულარენი ცრემლნი
მისნი ქრისტემან,
ჯუარსა ზედა ვნებულმან,

ესრეთ ეტყოდა სიტკბოებით:
„რახსა სცრემლოჲ, დედაო,
რად ემსგავსები
დაწსნილთა დედათა,
გულიწმა-ყავ,
რამეთუ სიკუდილითა და ვნებითა ჩემითა
ჯოჯოხეთით
ვიწსნი ადამს და მის თანა დაშჯილთა მათ სულთა
და ღმრთეებაჲ ჩემი
შეუხებელ არს ვნებათა ამათგან კაცობრივთა,
ამისთვის განიშორე
გლოვაჲ, დედაო და იტყოდე,
ვითარმედ: „ნეფსით ივნო
ქემან და მეუფემან ჩემმან“.
კუალად ეტყოდა მაცხოვარი

წმიდასა ღმრთისმშობელსა
ესრეთ, ვითარმედ:
„განაგდე შენგან გლოვაჲ,
დედაო, რამეთუ უცხო არს
შენგან გლოვაჲ და გოდებაჲ,
ვითარცა იგი
ცხადჰყოფს სახელი შენი
და რამეთუ
ქეშმარიტად სახარულევან გენოდების,
ამისთვისცა
ნუ დაჰფარავ სიხარულსა ჯუარცუმისა ჩემისასა
გოდებათა მიერ,
მ ყოლადბრძენო დედაო
და ქალწულებით მშობელო ჩემო,
და ესრეთ ღალადებდი
სიხარულით და მადლობით, ვითარმედ:
„ნეფსით ივნებს უფალი
ცხორებად ყოვლისა სოფლისა“.
ნუ აჩუენებ მწარედ ვნებისა ამის

ჩემისა ბრწყინვალესა
და ტკბილსა დღესა,
კურთხეული დედაო,
რომელი ესე ცხორებისა

მიზეზ ექმნების სოფელსა
და დასნუავს ცეცხლებრ
მტერსა გუნდითურთ მისით
და რამეთუ
სიტკობება საღმრთოჲ გარდამოვჳედ შენ ზედა
და სიტყუამან
ღმრთისამან უწორცომან ჯორცნი შევისხენ შენგან,
ვითარცა ვინებე,
რომლითა იგი ვივნებ და რომლითა ვაცხოვნებ კაცთა,
ამისთვის გიხაროდენ
სასოებითა აღდგომისათა,
რამეთუ ღმრთივბრწყინვალედ
აღვდგე საფლავით და გადიდო შენ.

**208v დიდსა შაბათსა. იბაკონი. ჳმაჲ გ გუერდი.
ძლ. მჯდომარენი**

რომელმან დაჰჳშნა უფსკრულნი, მკუდრად იხილვების
და მურითა და ალოთა შემურვილი
საფლავსა დაიდების,
წარგრაგნილი სუდართა,
ვითარცა მკუდარი,
უკუდავებისა მომცემელი
და დედანი,
ნელსაცხებლის მომღებელნი,
საფლავსა მისსა ზედა
გოდებით ღალადებენ
ესე არს დღე
უფროსად კურთხეული
შაბათისაჲ, წმიდაჲ,
რომელსა ქრისტესა
ღმერთსა, ვითარცა რაჲ
ძილისაგან აღდგომაჲ ჰნებავს
საფლავისაგან
მესამესა დღესა.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ დაცული ამ საგალობლების შედარებამ წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებთან ნათელყო, რომ ზოგიერთი მათგანი გვხვდება წინადროინდელ ქართულ კრებულებშიც, ოღონდ განსხვავებული თარგმანით; ასე მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის

„მარხვანში“ მეოთხე ხუთშაბათს დადებულია *იბაკონი*, რომელიც განსხვავებულია წინადროინდელ, კერძოდ, *Sin. geo. 5* (1052 წ.)¹¹ ხელნაწერში დაცული თარგმანისაგან. *Sin. geo. 5* ხელნაწერში საგალობელი ავტორწაუნერლადაა შესული. უცნობია მისი მთარგმნელის ვინაობა.

მოვიტანთ ამ საგალობლის I ტროპარის ქართულ თარგმანებს *Paris. geo. 5* და *Sin. geo. 5* ხელნაწერების მიხედვით:

Paris. geo. 5

რომელი აჰმაჰლდი ჯუარსა ზედა,
წყალობითა შენითა
თანამკვდრითურთ
დაიცევ სოფელი,
რომელსა ზედა წოდებულ არს
სახელი შენი, უფალო,
და მონიჭე მშკდობაჲ
ქალაქთა და დაბათა და უდაბნოთა,
და შეჭურენ ჯუარითა შენითა.
და მოჰმადლე ძლევაჲ მტერთა მიმართ
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა,
და საძლეველ მტერთა
და საჭურველ მშკდობისა ექმენინ.
ცხოველსმყოფელი ჯუარი შენი ძლიერი
და ერი და ეკლესიაჲ შენი დაიფარენ,
მხოლოო, რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ.

Sin. geo. 5

რომელი აჰმალდი ჯუარსა ზედა
ნებსით თვსით,
წყალობითა შენითა დაიცევ სოფელი
თანამკვდრითურთ,
რომელსა ზედა წოდებულ არს
სახელი წმიდა შენი, მეუფეო,
მოჰმადლე მშკდობაჲ
ქალაქთა, უდაბნოთა და დაბათა,
შეჭურენ ჯუარითა შენითა.
მონიჭე ძლევაჲ მტერთა მიმართ
მეფესა მორწმუნესა,
საჭურველ მშკდობისა
და საძლეველ მტერთა ექმენ.
ცხოველსმყოფელი ჯუარი შენი
და ერი შენი დაიცევ, მხოლოო,
რომელსა გაქუს დიდი წყალობაჲ.

როგორც ჩანს, გიორგი მთაწმინდელი იცნობს, ითვალისწინებს და აზუსტებს წინადროინდელ თარგმანს. მას ცვლილება შეაქვს მეტრული საზომშიც, რამაც, შესაძლოა, განაპირობა კიდევ ტექსტოლოგიური სხვაობა.

ანალოგიური მდგომარეობაა რომანოზის სხვა საგალობლებთან დაკავშირებითაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ შესული რომანოზის *იბაკონების* ქართული თარგმანები თავად გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის. როგორც ჩანს, სწორედ მის სახელს უკავშირდება რომანოზ მელიქოდოსის საგალობლების სისტემატურად შემოტანა ქართულ „მარხვანში“.

ყურადღებას იმსახურებს *Paris. geo. 5*-ში შესული რომანოზის ამ საგალობლების სტრუქტურა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა *კონტაკიონების* მოცულობის შემცირე-

¹¹ *Sin. geo. 5* ასახავს გიორგი მთაწმინდელის წინადროინდელ – X საუკუნის გასულისა ან XI საუკუნის დასაწყისის ტრადიციას.

ბა. ამის მაგალითია პატმოსის კონტაკარიონი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერია რომანოზის შემოქმედების შესასწავლად. რომანოზ მელოდოსის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი და გამომცემელი, გროსდიდე დე მატონი ხელნაწერს XI საუკუნით ათარიღებს.¹² ეს ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლეს თ. არენცენმა და დ. კროგერმა. მათი დაკვირვებით, რომანოზ მელოდოსის *კონტაკიონების* ტროპარების შემცირება იწყება X საუკუნიდან. პატმოსის *კონტაკარიონშიც* რომანოზის საგალობლები შემცირებული სახითაა წარმოდგენილი.¹³ რომანოზის ვრცელი კონტაკიონების მოცულობის შემცირებას პრაქტიკული ლიტურგიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელნაწერებში, კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“, აგრეთვე *Sin. geo.* 5 (1052 წ.) და *Sin. geo.* 75 (XI ს.) ხელნაწერებსა და სინური კოლექციის „დიდ იადგარებში“ *კონტაკიონების* ევოლუციის სწორედ ეს პერიოდია ასახული.

რომანოზი საგალობლებს წერდა საეკლესიო კალენდრის მიხედვით, დიდ საეკლესიო დღესასწაულებსა და წმინდანებზე. რომანოზის *კონტაკიონებს* გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ შესაბამისი ლიტურგიკული კონტექსტი აქვს მოძებნილი, რაც ბერძნული „მარხვანებიდან“ უნდა მომდინარეობდეს; ასე მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ ყველიერის კვირიაკეზე დადებულია ქვემოთ განხილული *იბაკონი*, რომელიც ეძღვნება „ადამის ექსორიობას“. საგალობელში დიდი დრამატიზმითაა წარმოდგენილი ადამის განდევნა სამოთხიდან. ეს *კონტაკიონი* გოდების ჟანრის უძველეს ნიმუშადაა მიჩნეული სასულიერო პოეზიაში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს საგალობელი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ დადებულია ყველიერის კვირიაკეზე – უშუალოდ დიდმარხვის დაწყების წინ, რაც მორწმუნეს შეახსენებს ცოდვით დაცემის ტრაგედიის შედეგებს. დიდმარხვის მეოთხე ხუთშაბათს არის განწესებული რომანოზ მელოდოსის ჯვრის თემაზე შექმნილი საგალობელი, რადგან ეს შვიდეული ეძღვნება ჯვრის თაყვანისცემას. ანალოგიური მდგომარეობაა რომანოზის სხვა საგალობლებთან დაკავშირებითაც.

ამჯერად წარმოვადგენთ გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის „მარხვანში“ – *Paris. geo.* 5 ხელნაწერში შესულ რომანოზის პირველ საგალობელს. ეს არის *იბაკონი*, რომელიც ყველიერის კვირიაკეზეა დადებული და ეძღვნება „ადამის ექსორიობას“. საგალობლის დასაწყისთან მითითებულია ავტორი – რომ[ანოზ]. საგალობელი შედგება 7 ტროპარისაგან.

¹² Grosdidier de Matons, *Romanos le Mélode*, p. 70.

¹³ Arenzen – Krueger, *Romanos in Manuscript*, p. 649.

**42r [ყველიერისა] კვრიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. ჳმაჲ დ გუერდი.
ძლ. არაჲ დააკლდისავ[ე]**

„უსნავლელთა მასნავლელი
და სიბრძნისა მომცემელი
და გლახაკთა ჳელის ამჳყრობელი, ქრისტე,
განამტკიცე და განაბრძნვე გული ჩემი
და მომეც მე სიტყუაჲ,
სიტყუაო ღმრთისაო,
რათა ღმობიერად გილაღადებდე:
„ჳ მრავალმონყალეო,
შემინყალე მე, დაცემული ესე!“
წინაშე სამოთხესა მას

ფუფუნებისასა დაჯდა
ადამ ოდესმე და მწარედ გოდებდა
და ჳელითა იცემდა მკერდსა თჳსსა,
დაილტობვოდა იგი
ღუარითა ცრემლთაჲთა
და ღმობილი ტკივნეულად იტყოდა:
„ვაჲმე სანყალობელსა,
შემინყალე, ქრისტე, მრავალმონყალე!“
იხილა რაჲ ანგელოზი

ჭენებით მდევნელი ადამ,
რომელმან საღმრთოჲსა მის სამოთხისა
და მტილისა კარი რისხვით განავლო
და დაჳკრძალა იგი,
სიმწარით სულ-ითქუნა
დიდად, სიღრმით გულისაჲთ და ღაღად-ყო:
„ჳ მრავალმონყალეო,
შემინყალე დაცემული ესე!“
ჩემ თანა იგლოვდ, წმიდაო

და შუენიერო სამოთხეო,
რომელი ესე დავგლახაკენ შენგან,
ვითარცა ურჩი დამბადებელისა
და რტოთა და ნერგთა
და ფურცელთა შენთა
ძრვითა და ჳმითა ევედრე შემოქმედსა,

რაფთა კუალად განმილოს
და შემინყალოს დაცემული ესე!
|არლარა ვიყნოს ყუავილთა

42v

მათ შენთა სურნელებასა,
არამედ ეკალთა და კუროსთავთა
აღმომიცენებს მე რისხვით ქუეყანაჲ,
ჟ სამოთხეო,
ყოლად ბრწყინვალეო,
ღირსთა მათ ურჩებისა ჩემისათა,
ჟ მრავალმონყალეო,
შემინყალე დაცემული ესე!
ან გულისჴმა-ვყავ ნაყოფი

მნარეთა ურჩებათა ჩემთაჲ,
ან ვცან, რაჲ იგი მიბრძანა უფალმან
უბადრუქსა ამას და სანყალობელსა,
ვითარმედ „უკუეთუ
ურჩ მექმნე, სიკუდილი
გეუფლოს და განიჴადო სამოთხით“.
ჟ მრავალმონყალ[ეო,
შემინყალე დაცემული ესე!]
სამოთხეო დიდებულო,

ყოლადნმიდაო, შუენიერო
და სანადელო, ადამისთჴს დასხმულო
და ევაჲს მიერ ურჩებითა დაჴშულო,
ვითარმე გტიროდით
შენგან უცხოქმნილნი
და სიკუდილსა და ხრწნილებასა მიცემულნი?
ჟ მრავალმონყალეო,
შეგვწყალენ დაცემულნი ესე!

რომანოზის შემოქმედების ბოლოდროინდელი მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის გროსდიდიე დე მატონს. ამ გამოცემაში თავმოყრილია რომანოზის სახელით დღეისათვის ცნობილი საგალობლების ავთენტური ტექსტები.¹⁴ აღნიშნული საგალობელი ამ პუბლიკაციაში შეტანილი არ არის იმის გამო, რომ რომანოზი დღეისათვის არ მიიჩნევა მის ავტორად. ეს საგალობელი არ არის შესული პ. მაასისა და ს. ტრიპანისის ნაშრომშიც.¹⁵ აღნიშნული კონტაკიონის

¹⁴ Grosdidier de Matons, *Saint Ronamus*.

¹⁵ Maas – Trypanis, *Sancti Romani*.

ტექსტი გამოქვეყნებულია პ. მაასის მიერ სათაურით „დაკარგული სამოთხე“.¹⁶ ამ გამოცემაში კონტაკიონი ანონიმურია. პ. მაასის გამოცემაში საგალობელი აკროსტიქულია და 23 ტროპარისგან შედგება. პირველი ტროპარი წარმოადგენს პროომიონს და ის აკროსტიქში არ შედის. პ. მაასის აზრით, ბერძნულ ენაზე შექმნილი ამ ერთ-ერთი უძველესი საგალობლის უცნობი ავტორი რომანოზზე ადრე მოღვაწეობდა.

ამ საგალობლის ქართული, გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი, შემცირებულია და 7 ტროპარს შეიცავს. ქართულ თარგმანსა და პ. მაასის მიერ გამოცემულ ტექსტს შორის საერთოა პირველი 7 ტროპარი. წარმოვადგენთ ანონიმურად მიჩნეული ამ ბერძნული საგალობლის ტექსტს პ. მაასის გამოცემის მიხედვით:

DAS VERLORENE PARADIES

Akrostichis: εις τὸν προτόπλαστον (sic) [| Ἄδὰμ.]

ἦχος πλάγιος β΄
ιδιόμελα

Τῆς σοφίας ὀδηγέ, φρονήσεως χορηγέ,
τῶν ἀφρόνων παιδευτά και πτωχῶν ὑπερασπιστά,
στήριξόν συνέτισον τὴν καρδίαν μου δέσποτα·

5 σὺ δίδου μοι λόγον ὁ τοῦ πατρὸς λόγος·

5 ἰδοὺ γὰρ τὰ χεῖρά μου οὐ καλύσω ἐν τῇ κράζειν σοι·
ἐλεήμων ἐλέησον τὸν παραπεσόντα.

α΄ Ἐκάθισεν Ἀδὰμ τότε και ἔκλαισεν ἀπέναντι
τῆς τρυφῆς τοῦ παραδείσου χερσὶ τύπτων τὰς ὄψεις
και ἔλεγεν· /: Ἐλεήμων ἐλέησον τὸν παρα-
πεσόντα.:/

β΄ Ἰδὼν Ἀδὰμ τὸν ἄγγελον ὠθήσαντα και κλείσαντα
τὴν τοῦ θεοῦ κήπου θύραν ἀνεστέναξε μέγα
και ἔλεγεν· /: Ἐλεήμων . . .:/

γ΄ Ὑνάληθσον παράδεισε τῇ κτήτορι πτωχεύσαντι
και τῇ ἡγῆ σου τῶν φύλλων ἰκέτευσον τὸν πλάστην,
μὴ κλείσῃ σε· /: Ἐλεήμων . . .:/

δ΄ Τα δένδρα σου κατάκαμψον ὡς ἔμψυχα και πρόσ-
πεσον
τῇ κλειδοῦχῳ, ἵνα οὕτως μείνης ἀνεφγμένος
τῇ κράζοντι· /: Ἐλεήμων . . .:/

ε΄ Ὁσφραίνομαι τοῦ κάλλους σου και τήκομαι μνη-
σκόμενος,
πῶς ἐν τούτῳ γῆσφραინόμην ἀπο τῆς εὐδοσμίας
τῶν ἀνθέων· /: Ἐλεήμων . . .:/

¹⁶ Maas (ed.), *Frühbyzantinische Kirchenpoesie*, S. 18-20.

- ζ' *Νυν ἔμαθον ἅ ἔπαθον, νυν ἔγνωκα ἅ εἶπε μοι
ὁ θεός ἐν παραδείσῳ, ὅτι ἔϋαν λαμβάνων
λανθάνεις με /: ἐλεήμον . . . :/*
- ζ' *Παράδεισε πανάρετε πανάγιε πανόλβιε,
δι' Ἀδάμ πεφυτευμένε, δι' ἔϋαν κεκλεισμένε,
πως κλάσω σε; /: ἐλεήμον . . . :/*
- η' *Ἐρπύωμαι, ἠφάνισμαι, δεδούλωμαι τοῖς δούλοις μου·
ἔρπετά γαρ καὶ θηρία, ἅ ὑπέταξα φόβῳ,
πτοοῦσι με· /: ἐλεήμον . . . :/*
- θ' *Οὐκέτι μοι τα ἄνθεα προσάγουσιν ἀπόλαυσιν,
ἀλλ' ἀκάνθας καὶ τριβόλους ἢ γῆ μοι ἀνατέλλει,
οὐ πρόσσοδον· /: ἐλεήμον . . . :/*
- ι' *Τὴν τράπεζαν τὴν ἄμοχθον κατέστρεψα θελήματι·
καὶ λοιπὸν ἐν τῷ ἰδρώτι τοῦ προσώπου μου ἐσθίω
τὸν ἄρτον μου· /: ἐλεήμον . . . :/*
- ια' *Ὁ λάρυγγί μου, ὃν ᾔθοναν τα γάματα τα ἅγια,
ἐπικράνθη ἀπο πλήθους τῶν ἀναστεναγμῶν μου,
βοῶντος μου· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιβ' *Πως ἔπεσα; πῶς ἔφθασα; ἐκ βήματος εἰς ἔδαφος·
ἀπο θαλάσσης νοθεσίας εἰς ἀθλίαν οὐσίαν
κατήτησα· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιγ' *Λοιπὸν Σατάν ἀγάλλεται γυμνῶσάς με τῆς δόξης μου·
ἀλλ' οὐ χαίρεται ἐν τούτῳ· ἰδοὺ γὰρ ὁ θεός μου
ἐνδύει με· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιδ' *Αὐτός θεός οἰκτεῖρας μου τὴν γύμνωσιν ἐνδύει με·
δια τοῦτο μοι δεῖκνυε, ὅτι καὶ παραβάντος
φροντίζει μου· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιε' *Σημαίνει μοι τὸ ἔνδυμα τὴν μέλλουσαν κατάστασιν·
ὁ γὰρ ἄρτι με ἐνδύσας μετ' ὀλίγον φορεῖ με
καὶ σώζει με· /: ἐλεήμον . . . :/*
- ις' *Ταχύ Ἀδάμ ἐγνώρισας τὸ θέλημα τῶν σπλάγγ-
νων μου·
δια τοῦτο οὐ στερῶ σε τῆς ἐλπίδος σου ταύτης
κραυγάζοντα· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιζ' *Οὐ θέλω οὐδε βούλομαι τὸν θάνατον οὐ ἔπλασα·
σωφρονίσας δε μετρίως αἰωνίως δοξάσω
τὸν κράζοντα· /: ἐλεήμον . . . :/*
- ιη' *Νῦν οὖν σωτήρ καμέ σῶσον τὸν πόθῳ με ζη-
τούντα σε·
ἐγὼ κλέψαι σε οὐ θέλω, κλαπήναι δέ σοι θέλω
καὶ κράζειν σοι· /: ἐλεήμον ἐλέησον τὸν παρα-
πεσόντα.:/*
- [[ιδ' *Ἀναίκαστε πανάγιε πανάχραντε ἐπίβλεψον
οὐρανόνθεν ὡς εὐσπλαγγχος καὶ σῶσον με ἀναξίως
κραυγάζοντα· /: ἐλεήμον . . . :/*

κ' Διέχειρον προς αἴνεσιν το φρόνημα, ἀνάστησον
τον ἐν κλίτῃ κατακείμενον, ὅς ἀναξίως σῶτερ
κραυγάζει σοι· /:ἐλεήμων . . .:/

κα' Ἀνάστηθι συνίστησον φιλόνηραπε τον πταίσαντα
νον ἀσώτως ἐν τῷ βίῳ· προσέγγισον μοι σῶτερ
τῷ κράζοντι· /:ἐλεήμων . . .:/

κβ' Μονάς τριάς ἀχάριστε ἀμέριστε πρεσβείαις τῆς
θεοτόκου οὐκείρησόν με και πάριθε ἀμαρτίας
των κραζόντων· /:ἐλεήμων . . .:/

აღნიშნული კონტაკიონი მიჩნეულია რომანოზისა და მისი სკოლის ერთ-ერთ „უძველეს ნინაპრად“.¹⁷ მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა საგალობლის I ტროპარის – *პროომიონის* – მის მიერ შესრულებული თარგმანი ახალ ქართულ ენაზე.¹⁸

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ დაცულია ამ საგალობლის ქართული თარგმანი და დასახელებულია ავტორი – რომანოზ მელოდოსი.

საგალობლის გიორგისეული თარგმანის შედარება პ. მასის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან მოწმობს, რომ მსგავსება აშკარაა, მაგრამ ეს არაა ამ ტექსტის ზუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი.¹⁹ ქართულ თარგმანში საგალობლის ტროპარები შედარებით უფრო ვრცელი და მხატვრულად სრულყოფილია. როგორც ჩანს, გიორგის ხელთ ჰქონდა სწორედ ამგვარი ბერძნული ორიგინალი. ეს უნდა იყოს XI საუკუნის შუახანების (40-იანი წლების) ბიზანტიური ტრადიციის ასახვა. ამავე ტრადიციას უნდა ასახავდეს საგალობლის სტრუქტურა და მეტრული საზომი.

ეჭვგარეშეა, რომ საგალობლის I ტროპარი *პროომიონს* ანუ შესავალ სტროფს წარმოადგენს, რასაც მოწმობს შემდეგი: 1) ბოლო ორი სტრიქონი, მცირეოდენი განსხვავებით, მეორდება დანარჩენ ტროპარებში; 2) *პროომიონი* განსხვავებული შინაარსისაა. იწყება მაცხოვრისადმი ვედრებით – ავტორი ითხოვს „სიტყვის მინიჭებას“ – შთაგონებას საგალობლის შეთხზვისთვის. საგალობელში რომანოზისთვის დამახასიათებელი დრამატიზმითაა წარმოდგენილი ადამის განდევნა სამოთხიდან. გლოვას კიდევ უფრო ამძაფრებს „ჭენებით მდევნელი ანგელოზი“, რომელმაც დაუხშო და „დაჰკრძალა“ სამოთხის კარი.

სამეცნიერო ლიტერატურში აღნიშნულია რომანოზის საგალობლებისათვის დამახასიათებელი დიალოგური ფორმა. ასეა ამ საგალობელშიც. საგა-

¹⁷ Maas (ed.), *Frühbyzantinische Kirchenpoesie*; ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, III, გვ. 148.

¹⁸ ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, III, გვ. 149.

¹⁹ ვგულისხმობთ მათ შორის საერთო შვიდი ტროპარის ტექსტს.

ლობლის IV ტროპარში ადამი მიმართავს სამოთხეს და ევედრება შველას. ეს საგალობლის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მონაკვეთია.

შემდგომი, V ტროპარიც სამოთხისადმი მიმართავს წარმოადგენს და აქვე შემოდის წმინდა წერილის თემა. შდრ.: დაბადება 3, 18: „ეკალსა და კუროს-თავსა აღმოგიცვენებდეს შენ, და სჭამდე თივასა ველისასა“.²⁰

საგალობლის მომდევნო, VI ტროპარშიც წმინდა წერილის შესაბამისი მონაკვეთის პერიფრაზია მოცემული: შდრ.: დაბადება 2, 17: „ხოლო ხისა მისგან ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა, არა შჭამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღისა შჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“.²¹ კონტაკიონებისთვის დამახასიათებელი რეფრენი საგალობლის ყოველ ტროპარში მეორდება. საინტერესოა, რომ საგალობლის უკანასკნელ ტროპარში ხდება განზოგადება და გამოხატულია ევედრება არა ოდენ ადამის, არამედ ადამის მოდგმის სახელით.

Paris. geo. 5 ხელნაწერში საგალობელი მოიხსენიება, როგორც იბაკონი და დადებულია IV დამხმარე ხმაზე – ჳმაჲ დ გუერდი. მითითებულია ძლისპირიც: „არა დააკლდისავე[ე]...“

საინტერესოა, რომ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ დაცულ რომანოზის სხვა იბაკონებთანაც ხშირად მითითებულია იგივე ხმა (ჳმაჲ დ გუერდი) და იგივე („არაჲ დააკლდი“) ძლისპირი.

როგორც წესი, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ რომანოზის სახელით წარწერილი საგალობლების – იბაკონების დასაწყისებთან მითითებულია ძლისპირები. ეს გარემოება ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ რომანოზის მოღვაწეობის დროისათვის ძლისპირ-დასდებლის შესატყვისობაზე დამყარებული საზომი ჯერ არ არსებობდა.

დღეისათვის ძნელია იმის თქმა, როდის და ვის მიერ მოხდა რომანოზის კონტაკიონების ამ ახალი წესის მიხედვით „გამართვა“. საგულისხმოა, რომ პატმოსის კონტაკარიონში, რომელიც აგრეთვე XI საუკუნით თარიღდება, რომანოზის კონტაკიონები ამავე წესით – ძლისპირთა საზომებზეა განყოფილი²² ისევე, როგორც გიორგის რედაქციის „მარხვანში“.

როგორც წინააღმდეგ ხელნაწერებთან შედარებამ ცხადყო, რომანოზის კონტაკიონების „გამართვა“ ახალი წესის მიხედვით – ძლისპირებზე დადება – ქართულ ჰიმნოგრაფიაში პირველად სწორედ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ხელნაწერებში დასტურდება. საგალობელთა რიტმულ-მელოდიური საზომების ზუსტად დაცვა, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, გიორგის მუშაობის მეთოდის კიდევ ერთი თავისებურება და ღირსებაა. როგორც გაირკვა, მას საგანგებო სამუშაო ჩაუტარებია „მარხვანში“ შესული

²⁰ დოჩანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი*, I, გვ. 52.

²¹ დოჩანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი*, I, გვ. 5.

²² Arenzen – Krueger, *Romanos in Manuscript*.

ქართველი ავტორის, იოანე მინჩხის საგალობლების ტექსტებისა და რიტმული განკვეთის ნიშნების დადგენის თვალსაზრისით.²³

როგორც ჩანს, ასეთივე სამუშაო ჩაუტარებია მას „მარხვანში“ შესული ბერძნულიდან თარგმნილი მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართულ თარგმანებთან დაკავშირებითაც. ამის მაგალითია რომანოზ მელოდოსის განხილული საგალობელი. საგალობლის დასაწყისთან, წესისამებრ, მითითებულია ძლისპირი – „არაჲ დააკლდისავ[ე]“; საგალობლის 7-ვე ტროპარში სწორადაა დასმული რიტმული განკვეთის ნიშნები და დაცულია საზომი. ამ საზომს ექვემდებარება არა მხოლოდ იკოსები, არამედ შესავალი ტროპარიც – *პროომიონი*, რომელსაც, ჩვეულებრივ, კონტაკიონებში განსხვავებული საზომი აქვს.

ამრიგად, რომანოზ მელოდოსის ამ საგალობლის გიორგისეული თარგმანი საყურადღებოა მისი რიტმულ-მელოდიური საზომის დადგენის კვლევის თვალსაზრისითაც.

ქართული წყაროების მნიშვნელობას რომანოზ მელოდოსის ამ კონტაკიონის კვლევისათვის კიდევ უფრო ზრდის შემდეგი გარემოება – *Paris. geo. 5* ხელნაწერის II ნაწილში (217r-292r), რომელიც წარმოადგენს ქართული „მარხვანის“ ახალ, გიორგი მთაწმინდელის შემდგომდროინდელ რედაქციას, შესული აღმოჩნდა რომანოზის ამ საგალობლის ახალი თარგმანი.

„მარხვანის“ ეს რედაქცია ქმნის მნიშვნელოვან ეტაპს ქართული „მარხვანის“ ფორმირების რთულ და საინტერესო გზაზე. იგი შედგენილია *Paris. geo. 5*-ის I ნაწილში დაცულ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანთან“ კომპილაციით.²⁴ მის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მითითებები გიორგი მთაწმინდელის „მარხვანში“ შესულ საგალობლებზე, რომელთა ტექსტები სრულად მოტანილი არ არის, რადგან ისინი ამავე (*Paris. geo. 5*) ხელნაწერის I ნაწილშია შესული.

„მარხვანის“ ამ რედაქციის მეორე ფენას ქმნის ბერძნულიდან თარგმნილი ახალი საგალობლები, რომელთა ტექსტები სრულადაა მოტანილი.

„მარხვანის“ ეს რედაქცია შედგენილი უნდა იყოს დიდი ქართველი მოღვაწისა და მწიგნობრის, ეფრემ მცირის მიერ XI საუკუნის 80-იან წლებში ანტიოქიაში, შავ მთაზე, სადაც ის ათწლეულები მოღვაწეობდა.²⁵

ეფრემ მცირის ეპოქალური მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო წინააღმდეგობა ქართული თარგმანების შემდგომი დაახლოება ბერძნულ ორიგინალებთან. მან შექმნა მთარგმნელობის საკუთარი თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა ბერძნული ორიგინალების სიტყვასიტყვით გადმოცემას.²⁶ ამ მიზნით

²³ ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია*, გვ. 79.

²⁴ ხაჩიძე, *ეფრემ მცირის შესახებ*, გვ. 8-10.

²⁵ იქვე, გვ. 18-20.

²⁶ კეკელიძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, I, გვ. 253-254.

თარგმნა მან *Paris. geo.* 5-ის II ნაწილში დაცული იოანე დამასკელის „აღდგომის კანონი“, რომელიც ეფრემამდე სამჯერ იყო თარგმნილი ქართულად.²⁷

Paris. geo. 5-ის II ნაწილში დაცული „მარხვანის“ ახალი კრებულის შექმნის მიზანი მისი თანამედროვე – XI საუკუნის 80-იან წლებში ბიზანტიის საეკლესიო ტრადიციაში არსებული პრაქტიკის ასახვა უნდა იყოს.

Paris. geo. 5-ის II ნაწილში დაცული „მარხვანი“ არ წარმოადგენს ეფრემ მცირის ავტოგრაფს. ის გადაწერილია ორი ხელნერიტ. პირველი გადამწერის ვინაობა უცნობია, მეორე გადამწერია ვინმე „ოქროპირი“.²⁸

„მარხვანის“ ამ რედაქციაში, როგორც აღვნიშნეთ, შესულია რომანოზ მელოდოსის „კონტაკიონის“ ახალი თარგმანი. საგალობელს არ ახლავს მითითება ავტორზე.

წარმოვადგენთ ამ თარგმანს:

ყველიერისა კურიაკესა. ადამის ექსორიობაჲ. 225 r
კონდაკი. ჳმაჲ ბ გ ი.

სიბრძნისა წინამძღუარო,
ცნებისა მომცემელო,
უგუნურთა მასწავლელო,
და გლახაკთა ჳელისამყრობელო,
განამტკიცე და განაგრცე გული ჩემი,
მეუფეო, შენ მომეც მე სიტყუაჲ, სიტყუაო მამისაო,
რამეთუ, აჰა ესერა, ბაგენი ჩემნი არა დავაცხრვნე ჳმოზად შენდამი:
„მონყალეო, შემონყალე დაცემული ესე“!

დაჯდა ადამ მაშინ და ტიროდა ა
წინაშე საშუებლისა მის სამოთხისა²⁹
ჳელითა იცემდა პირსა და იტყოდა:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

იხილა რაჲ ადამ ანგელოზი, ბ
რამეთუ უჭენებდა მას და დაჰჳა
სალმრთოხსა მის მტილისა კარი, სულთ-ითქუნა დიდად და იტყოდა:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

გელმოდენ ჩემ თანა, სამოთხეო, გ
მომგებელისა შენისა დაგლახაკებულისა
და ძრვითა ფურცელთა შენთაჲთა

²⁷ ხაჩიძე, *საკითხები*, გვ. 73-81.

²⁸ ხაჩიძე, *ეფრემ მცირის შესახებ*, გვ. 7.

²⁹ ხელნაწერშია: სამოთხესა

ევედრე დამბადებელსა არა დაწშვად შენდა,
მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე!

ნერგნი შენნი დადრიკენ, ვითარცა სულიერმან **დ**
და შეუვრდი კლიტემპყრობელსა,
რაათა ესრეთ ეგო განლებულად მჭმობელისათჳს:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

ვიყნოს სიკეთესა შენსა **ე**
და განვეფდები, მოვიწსენო რაჲ,
თუ ვითარ ვიშუებდ შენ შორის
სულნელებითა ყუავილთა შენთაჲთა
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

ან, მაცხოვარ, მეცა მაცხოვრე, **ვ**
რომელი სურვილით გეძიებ შენ,
არლარა მნებავს მოპარვაჲ შენი,
არამედ რაათა შენგან მოპარულ ვიქმნე
და ჳმა-ყყო შენდამი:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

უმსგავსოო, უხრწნელო, **ზ**
ყოლადნმიდაო, მოხედვა-ყავ
ზეციით, ვითარცა მონყალემან
და მაცხოვრე მე, უღირსებით მჭმოზარე:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

ალადგინე ქებად შენდა **წ**
გონებაჲ ჩემი და აღჳმართე
სიმძიმით დამძიმებული,
რამეთუ ვითარცა უღირსი, ნეფსით შეგივრდები შენ,
მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე!

ალდეგ, შეემთხვე, **თ**
კაცთმოყუარე, შეცთომილსა
უძლებსა ცხორებითა,
მომეახლე და ნუ მომიძაგებ სულმთქმელსა:
„მონყალეო, შემინყალე დაცემული ესე“!

ერთღმრთეებაო, სამებაო განუყოფელო, **ი**
მეოხებითა ღმრთისმშობელისაჲთა,
შემინყალე მე და უგულებელს-ყვენ ცოდვანი ჩემნი,

რომელი გიჟობ:

„მონყალო, შემინყალო დაცემული ესე“!

როგორც ვხედავთ, ეს თარგმანი გიორგი მთაწმინდელის თარგმანისაგან განსხვავდება როგორც ტექსტობრივად, ისე სტრუქტურულად და მეტრული საზომის თვალსაზრისით.

ახალი თარგმანი 7-ის მაგიერ (როგორც ესაა გიორგისეულ თარგმანში) შეიცავს 11 ტროპარს. უკანასკნელი – XI ტროპარი – „სამებისანს“ წარმოადგენს. გიორგისეულ თარგმანში ტროპარები უფრო ვრცელია და მეტრულ საზომზეა განყოფილი.

Paris. geo. 5-ის II ნაწილში დაცულ რომანოზის ამ საგალობელთან ძლისპირი მითითებული არ არის და საგალობელი მეტრულ კანონზომიერებას არ ემორჩილება. საგალობლის ტროპარებში სალექსო სტრიქონებისა და მარცვალთა რაოდენობა განსხვავებულია.

საინტერესოა, რომ *Paris. geo.* 5-ის II ნაწილში საგალობლის ტროპარები (შესავალი ტროპარის – *პროომიონის* გარდა) დანომრილია: თითოეული ტროპარის გასწვრივ მიწერილია შესაბამისი ნუსხური ასო-ნიშნები: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ზ, თ და ი. *Paris. geo.* 5-ის II ნაწილში საგალობლის ტროპარების ასეთი დანომვრა მხოლოდ ამ ერთ საგალობელთან გვხვდება.

რომანოზ მელოდოსის *კონტაკიონის* ეს თარგმანი შევუდარეთ პ. მაასის მიერ გამოცემულ ტექსტს. შედარებამ გვიჩვენა, რომ ქართული თარგმანის პირველი 5 ტროპარი (ა, ბ, გ, დ, ე) ზედმიწევნით ემთხვევა პ. მაასის მიერ გამოცემული ტექსტის პირველ 5 ტროპარს; ქართული თარგმანის VI, VII, VIII, IX და X ტროპარები (ვ, ზ, ზ, თ, ი) კი – პ. მაასის გამოცემის XVIII, IX, XX, XXI და XXII ტროპარებს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ თარგმანში საგალობლის ტროპარების რაოდენობა შემცირებულია, რაც პრაქტიკული ლიტურგიკული საჭიროებით უნდა აიხსნას.

საინტერესოა, რომ მეტრული საზომი არც პ. მაასის მიერ გამოცემულ ტექსტშია დაცული. საგალობლის ბერძნულ ტექსტზე დართული სათაურის მიხედვით, ის *თვთღლისპირია* (ἰδιόμελα).

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ბერძნული ტექსტის აღნიშნულ გამოცემაში საგალობლის ტროპარები (შესავალი სტროფის, *პროომიონის* გარდა) დანომრილია ბერძნული ანბანის შესაბამისი ასო-ნიშნებით. ამავე ტრადიციას ასახავს *Paris. geo.* 5-ის II ნაწილში დაცული ქართული თარგმანიც.

როგორც აღნიშნულ თარგმანში, ისე პ. მაასის გამოცემაში, საგალობლის ავტორი მითითებული არ არის.

ყოველივე ზემოთქმული მონიშნავს, რომ *Paris. geo.* 5-ის II ნაწილში დაცული ქართული თარგმანი, რომელიც XI საუკუნის 80-იან წლებით თარიღდება, და

პ. მასის მიერ გამოცემული ტექსტი ერთი და იმავე ბიზანტიურ ტრადიციას ასახავს.

უფრო ძველი და, ამავე დროს, გაცილებით ინფორმაციულია *Paris. geo.* 5-ის I ნაწილში დაცული თარგმანი, რომელშიც მითითებულია საგალობლის ავტორი, ძლისპირი, განსხვავებულია ტროპართა მოცულობა და დაცულია მეტრული საზომი. გიორგი მთაწმინდელის მიერ XI საუკუნის 40-იან წლებში შესრულებული ეს თარგმანი მხატვრულადაც უფრო სრულყოფილია.

ამრიგად, *Paris. geo.* 5 ხელნაწერში დაცული რომანოზ მელოდოსის ამ საგალობლის ორი ძველი ქართული თარგმანი შესაბამისი პერიოდების ორ, განსხვავებულ ბიზანტიურ ტრადიციას ასახავს.

როგორც ირკვევა, რომანოზ მელოდოსის ეს საგალობელი საუკუნეების მანძილზე შემორჩა საქართველოს ეკლესიას. ის სახელწაუნერლადაა შესული საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში დღეს არსებულ „მარხვანში“, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებშია შემუშავებული.³⁰ შედარებამ გვიჩვენა, რომ „მარხვანის“ ამ, დღეისათვის მოქმედ რედაქციაში, დაცულია გიორგი მთაწმინდელის თარგმანი მცირე ვარიანტული სხვაობებით.

ქართული „მარხვანის“ ამ ბოლოდროინდელ რედაქციაში საგალობელი 5 ტროპარისაგან შედგება. ტექსტი, როგორც აღვნიშნეთ, ემთხვევა გიორგისეულ თარგმანს. გიორგისეულ თარგმანთან შედარებით, გამოტოვებულია V და VI ტროპარები. საგალობლის დასაწყისთან აქაც მითითებულია ძლისპირი – „არა დააკლდი“.

რომანოზ მელოდოსის ეს საგალობელი შესულია ბერძნული და სლავური „მარხვანების“ არსებულ პუბლიკაციებშიც.³¹ საგალობელი აქაც ყველიერის კვირიაკეზეა დადებული, ოღონდ წარმოდგენილია არა ცალკე, არამედ ჩართულია ამ დღეზე განწესებული ქრისტეფორე პროტოსიკრიტის ჰიმნოგრაფიული კანონის VI ოდის შემდეგ.

ბერძნული და სლავური „მარხვანების“ პუბლიკაციებში რომანოზის ეს საგალობელი სახელწაუნერლადაა შესული. საგალობლის I ტროპართან („უსწავლელთა მასწავლელო და სიბრძნისა მომცემელო...“) მიწერილია „კონდაკი“, დანარჩენ 4 ტროპართან კი – „იკოსი“. განსხვავებაა საგალობლის სტრუქტურაშიც: გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანში“ საგალობელი შეიცავს 7 ტროპარს, ბერძნულ და სლავურ „მარხვანებში“ კი – 5-ს, აკლია V და VI ტროპარები („არღარა ვიყნოს ყუავილთა“ და „ან გულისგმა-ვყავ ნაყოფი“) ისევე, როგორც ბოლოდროინდელ ქართულ „მარხვანში“.

ბერძნული და სლავური „მარხვანების“ არსებული პუბლიკაციები, ისევე, როგორც ბოლოდროინდელი ქართული „მარხვანი“, ხელნაწერთა გვიანდელ ტრადიციას ემყარება, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“ კი

³⁰ *ტრიოდონი*, გვ. 36.

³¹ Τριώδιον, σ. 105; Триодъ, с. 140-141.

შედგენილია XI საუკუნეში, შავ მთაზე, იმდროინდელი ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრში გიორგი მთაწმინდელის მიერ, რომელიც, ამავე დროს, ათონზეც მოღვაწეობდა და ზედმინევნით იცნობდა მის თანადროულ ბიზანტიურ ტრადიციას. ამავე დროს ხელთ გვაქვს საგალობლის მეორე ქართული თარგმანიც, დაცული ბიზანტიური მწერლობის ზედმინევნით მცოდნე სწავლულის, ეფრემ მცირის მიერ XI საუკუნეში ანტიოქიაში, შავ მთაზე შედგენილ „მარხვანში“.

გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის „მარხვანის“ მონობით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მიჩნეული ამ ანონიმური საგალობლის ავტორი რომანოზ მელოდოსია.

ვფიქრობთ, განხილული საგალობელი კიდევ ერთხელ ნათლად მონობს ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობას თვით ისეთი ცნობილი ავტორის შემოქმედების შესწავლისათვის, როგორც რომანოზ მელოდოსია.

დამონეპული ლიტერატურა

დოჩანაშვილი (გამოც.), *მცხეთური ხელნაწერი, I = მცხეთური ხელნაწერი, I*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981.

ტრიოდონი = *ტრიოდონი, რომელ არს სამსაგალობელი*, ტფილისი, 1901.

ყაუხჩიშვილი, *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III = ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, III, ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა*, თბილისი, 1973.

ხაჩიძე, *იოანე მინჩხის პოეზია = იოანე მინჩხის პოეზია*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, თბილისი, 1987.

ხაჩიძე, *ეფრემ მცირის შესახებ = ლ. ხაჩიძე, ეფრემ მცირის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის შესახებ*, თბილისი, 2009.

ხაჩიძე, *საკითხები = ლ. ხაჩიძე, ძველი ქართული მწერლობის საკითხები*, თბილისი, 2012.

ჯღამაია (გამოც.), *სექტემბრის თვენი = გიორგი მთაწმინდელის თვენი (სექტემბერი)*, გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლ. ჯღამაიამ, თბილისი, 2007.

Arenzen – Krueger, *Romanos in Manuscript = T. Arenzen, D. Krueger, Romanos in Manuscript: Some Observations on the Patmos Kontakarion, Proceedings of the 23rd International Congress of Byzantine Studies*, Belgrade, 2016.

Grosdidier de Matons, *Saint Ronamus = J. Grosdidier de Matons, Hymnes, Saint Ronamus (Melodus)*, Paris, 1964.

Grosdidier de Matons, *Romanos le Mélode = J. Grosdidier de Matons, Romanos le Mélode et les origines de la poésie religieuse à Byzance*, Paris, 1977.

- Krumbacher**, *Geschichte* = K. Krumbacher, *Geschichte der byzantinischen Litteratur*, München, 1891.
- Krumbacher**, *Die Akrostichis* = K. Krumbacher, *Die Akrostichis in der griechischen Kirchenpoesie*, 1903.
- Maas** (ed.), *Frühbyzantinische Kirchenpoesie* = *Frühbyzantinische Kirchenpoesie*, I, *Anonyme Hymnen des V-VI Jahrhunderts*, ediert von Dr. P. Maas, Bonn, 1910.
- Maas – Trypanis**, *Sancti Romani* = P. Maas, C. Trypanis, *Sancti Romani Melodi Cantica*, Oxford, 1963.
- Март**, *Описание* = Н. Я. Март, *Описание грузинских рукописей Синайского монастыря*, Москва, 1940.
- Pitra**, *Analecta* = J. B. Pitra, *Analecta sacraspicilio solesmensi parata*, I, Paris, 1876.
- Триодион** = Τριодиον κατανυκτικόν, Rome, 1879
- Триодь** = *Триодь Постная*, I-II, Москва, 1975.
- Wellesz**, *A History* = E. Wellesz, *A History of Byzantine Music and Hymnography*, Oxford, 1980.

OLD GEORGIAN TRANSLATIONS OF THE HYMNS BY ROMANOS THE MELODIST (ACCORDING TO THE *TRIODION* EDITED BY GIORGI THE HAGIORITE)

Abstract

The paper studies Georgian translation of the hymns of the great Greek hymnographer, Romanos the Melodist, preserved in *Triodion* – cod. *Paris. geo. 5*. This unique collection was created in the middle of the 11th c. by the prominent scholar Giorgi the Hagiorite.

For this version of *Triodion*, as for Giorgi the Hagiorite's work in whole, is typical precise identification of the authors and restoration of the initial versions of the hymns. In the redaction of Giorgi's *Triodion* preserved in the manuscript *Paris. geo. 5* there are presented 9 small form hymns attributed to Romanos the Melodist. All of them are supplemented by *ypakoes*. *Ypakoes* of Romanos are written for the following days: Shrovetide Sunday, the First Friday, the Second Thursday, the Great Monday, the Great Tuesday, the Great Thursday, the Great Friday and the Great Saturday. In accordance to the general rule of Giorgi the Hagiorite's work, at the beginning of the each *ypakoe* is indicated its author.

In the paper for the first time is presented publication of the hymns by Romanos the Melodist according to the manuscript *Paris. geo. 5*. The special attention is paid to the hymn of the Shrovetide Sunday. This hymn (*kontakion*) is omitted in all Greek

editions of Romanos the Melodist's hymns due to the simple reason that he was not considered as an author of it. The text of this hymn was published by P. Maas under the title *Paradise Lost*. According to P. Maas, the author of this ancient Greek hymn lived and worked earlier than Romanos the Melodist. As it is indicated in the *Triodion*, which most probably is an autographic manuscript of Giorgi the Hagiorite, author of the abovementioned ancient Greek hymn is Romanos the Melodist.

Georgian sources are even more important for the study of this hymn due to the fact that in the second part of the manuscript *Paris. geo.* 5 (217r-292r), which contains the new, post-Athonite redaction of the *Triodion*, is included another, different Georgian translation of Romanos' mentioned hymn.

Lela Khachidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi

ელგუჯა ხინთიბიძე, ირმა მაკარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი „ვარლაამი და იოასაფი“: გარდატეხა მეცნიერულ შესწავლაში და კვლევის შემდგომი პერსპექტივები

„ვარლაამის და იოასაფის“ ავტორობის საკითხი საკვლევ პრობლემად XIX საუკუნის დასასრულიდან იქცა. საკითხთან დაკავშირებით აზრები წლების განმავლობაში რადიკალურად იცვლებოდა. მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან კვლევის ახალი ეტაპი დაუკავშირდა გერმანული ბიზანტინისტიკის სკოლას, რომლის წარმომადგენელთა კვლევებშიც ბერძნული თხზულების შექმნა ქართულ წყაროებსა და ეფთვიმე ათონელის სახელს დაუკავშირდა, თუმცა ევროპელ მეცნიერთა უაღრესად მნიშვნელოვანი კვლევები მაინც შემცველია მნიშვნელოვანი უზუსტობებისა. საკითხის კვლევის აღნიშნული ეტაპის მიმართულება პრინციპულად განსაზღვრა ქართველ მეცნიერთა შრომებმა (კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ი. აბულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ე. ხინთიბიძე). „ვარლაამის და იოასაფის“ ავტორობის კვლევის ბოლო ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პროფ. ე. ხინთიბიძის მიერ მთელი რიგი საკითხების ახლებურად დასმამ, ბიზანტინისტთა და მედიევისტთა მსოფლიო კონგრესებსა და კონფერენციებზე ამ საკითხების წარდგენამ და ევროპაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებამ. საკითხის კვლევის დღევანდელ ეტაპზე ევროპელი სპეციალისტების მიერ წამოყენებული არგუმენტები იმის სამტკიცებლად, რომ ნაწარმოების ავტორი ეფთვიმე ათონელია, აშკარა თანხმობაშია ქართველი მეცნიერის მიერ ევროპაში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ კვლევებთან. ამ გარემოებაზე მითითებულია უახლეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.¹ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ევროპელ მეცნიერთა უაღრესად მნიშვნელოვანი კვლევები მაინც შემცველია პრინციპული ხარვეზებისა. წინამდებარე სტატია ეძღვნება სწორედ თანამედროვე ევროპულ მეცნიერებაში „ვარლაამის და იოასაფის“ ავტორობის საკითხთან დაკავშირებით არსებული უზუსტობების მიმოხილვასა და გასწორების აუცილებლობას.

ერთი უაღრესად პოპულარული ლიტერატურული სიუჟეტი შუა საუკუნეებისა, რომელიც აზიისა და ევროპის კონტინენტებს აერთიანებს შორეული

¹ Shekrladze, Euthymius the Athonite, pp. 180, 186, 192.

აღმოსავლეთიდან ევროპის უკიდურესი დასავლეთის, ალბიონის ჩათვლით, არის ამბავი უფლისწულისა, რომელიც თავის ქვეყანაში ახალ რელიგიურ რწმენას დაამკვიდრებს. ეს ამბავი სხვადასხვა გადამუშავებით ბუდისტური რელიგიის შემქმნელის ბიოგრაფიასაც ქმნის, მაჰმადიანური ინტერპრეტირების სახითაც ვრცელდება, შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანულ ეკლესიაში ორი წმინდანის სახელსაც დაამკვიდრებს და გვიანდელი შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის დიდ მოაზროვნეთა შემოქმედებით თემატიკადაც იქცევა.

დღეისათვის მეცნიერები ითვლიან ამ თხზულების 150-მდე თარგმანს თუ გადამუშავებას, შესრულებულს სხვადასხვა ენაზე. ესენია: ფალაური, თურქული, ხუთი არაბული, ორი ქართული, ბერძნული, ორი ლათინური, სლავური, ძველი რუსული, სომხური, ეთიოპური, ცხრა იტალიური, რვა ფრაგული, ხუთი ესპანური, პორტუგალიური, გერმანული, ინგლისური, ჩეხური, ირლანდიური, პოლონური, უნგრული, ჰოლანდიური, ნორვეგიული და სხვ. თარგმანები. განსაკუთრებით გავრცელებულია „ვარლაამის და იოსაფის“ ტექსტი XIII-XVIII საუკუნეების რუსულ ხელნაწერებში. შენიშნულია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ძველ რუსულ ხელნაწერთა შორის, ბიბლიის შემდეგ ყველაზე მეტი ამ თხზულების რუსული თარგმანის შემცველი ხელნაწერებია, რომელთა საერთო რაოდენობა, ფრაგმენტების ჩათვლით, ათასს უახლოვდება.

სანამ დასავლეთ ევროპის ხალხთა მწერლობებში დაიმკვიდრებდა თავს, ეს ამბავი მრავალმხრივ და მრავალგზის გადამუშავდა. მიჩნეულია, რომ მისი თავდაპირველი ქრისტიანული გადააზრება ქართულ ენაზე უნდა მომხდარიყო.² ის XI საუკუნიდან დაწყებული ევროპის ეროვნულ ლიტერატურებში დამკვიდრებულ ფორმას იღებს ბერძნულ ენაზე შექმნილი თხზულების ლათინურად ორგზის და სლავურ ენებზე თარგმნილი სახით. ამდენად, XII-XVI საუკუნეების ევროპის ამ ყველაზე პოპულარული (ბიბლიური წიგნების შემდეგ) თხზულების ავტორად მისი ბერძნულენოვანი რედაქციის შემქმნელი ითვლება და დასადგენია სწორედ ამ ავტორის ვინაობა, რომელსაც ერთი ცნობილი ევროპელი ბიზანტიანისტი, 1925-1964 წლებში ჟურნალ „ბიზანტიონის“ რედაქტორის, ანრი გრეგუარის აზრით, ნობელის პრემია ეკუთვნოდა, ბიზანტიური ლიტერატურის შეფასება თანამედროვე კრიტიერიუმებით რომ შეიძლებოდა.³

სიუჟეტური ქარგა, რომელმაც გაუძლო გადამუშავებას შუა საუკუნეების თითქმის ყველა რელიგიისა და მოთხოვნილების შესაბამისად, საწყისს მაინც ბუდისტური და ქრისტიანული თემების შეხვედრის პუნქტებიდან უნდა იღებდეს.⁴ ჩვენ დრომდე მოღწეული, თუმცა სხვადასხვა გადამუშავებით და გადააზრებით, ეს ნაწარმოები ჩანს ადრინდელ შუა საუკუნეებში არაბულ სქელტანიან მუსლიმურ წიგნში „ბალაჰვარსა და ბუდასფზე“ და ორი რედაქციით დაცულ

² Lang, St. Euthymus the Georgian, pp. 306-325.

³ იხ. ყაუხჩიშვილი, *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*, III, გვ. 313-318.

⁴ Кузнецов, Повесть, с. 238-245.

ქართულ ქრისტიანულ „ბალავარიანში“ – „სიბრძნე ბალავარისა და წმინდა იოდასაფის ცხოვრება“; გვიანდელი შუა საუკუნეების ბერძნულ და ლათინურ თხზულებაში სათაურით „სულსმარგებელი ისტორია ვარლაამსა და იოასაფზე“; დაბოლოს, რენესანსის პერიოდის ევროპის ყველა ეროვნულ ლიტერატურაში უაღრესად პოპულარულ „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიაში“.

ამ დიდი ბიზანტიელი ავტორის ვინაობის ამოცნობა XX საუკუნის მედიევ-ისტისკის ერთი უმთავრესი პრობლემა იყო. საქმე ისაა, რომ XI საუკუნის ბერძნული ხელნაწერის ტრადიციით, ამ ამბის წმინდა ქალაქში მიმტანად ვინმე საბანძინდელი ბერი, სახელად იოანე, იყო სახელდებული. უფრო მოგვიანებით, უპირატესად XII საუკუნიდან, ეს ამბის მიმტანი იოანე ზოგიერთ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერში თხზულების ავტორად მიიჩნიეს და თანდათან მისი ვინაობის დაზუსტება დაიწყეს. კანდიდატთა შორის იყვნენ იოანე დამასკელი, იოანე მოსხი, იოანე ტაბაისელი და სხვ. უპირატესობა იოანე დამასკელს მიენიჭა – თხზულების ავტორად პირველივე ბეჭდურ პუბლიკაციაში (ლათინური თარგმანის 1577 წლის გამოცემა) VII–VIII საუკუნის მიჯნის დიდი ბიზანტიელი მწერალი, იოანე დამასკელი დასახელდა და ეს ტიტული მან შეინარჩუნა ლათინური და ბერძნული ტექსტების თითქმის ყველა პუბლიკაციაში (ბერძნული ტექსტი პირველად გამოსცა J. F. Boissonade-მ 1832 წელს).

თხზულების ავტორობა საკვლევ პრობლემად XIX საუკუნის დასასრულს აქცია ფრანგმა ბიზანტინისტმა ჰ. ზოტენბერგმა. მან შენიშნა, რომ იოანე დამასკელი არ უნდა იყოს ამ თხზულების ავტორი და მიაგნო ცნობას, რომ ის თარგმნილია ქართულიდან ბერძნულად ბერი ეფთვიმეს მიერ, თუმცა ამ ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვი შეიტანა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაზე მცდარი წარმოდგენის გამო. ეს უნდობლობა ეფთვიმე ათონელის ავტორობისადმი იმთავითვე აქციეს კრიტიკის საგნად რუსეთში ნ. მარმა და ვ. როზენმა, ხოლო ინგლისში – ფ. კონიბირმა. ბელგიელმა ქართველოლოგმა პ. პეეტერსმა იპოვა ამ თხზულების ლათინურად პირველი მთარგმნელის ანდერძი, რომელშიც იკითხებოდა, რომ ბერძნულად ის ნათარგმნი იყო ქართულიდან. ცნობილი გერმანელი ბიზანტინისტი ფ. დიოლგერი 1953 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ამტკიცებდა, რომ თხზულების ავტორი ნამდვილად იოანე დამასკელია. ამ პერიოდიდან საკითხის კვლევაში აქტიურად ჩაებნენ ქართველი მეცნიერები – კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე და სხვ., ასევე ევროპელი მკვლევრები – პ. დევი, ჰ. ბეკი, ა. გრეგუარი, დ. ლანგი, ა. კაჟდანი და სხვ.

სრულიად ახალი ეტაპი ამ საკითხის კვლევაში შექმნა გერმანული ბიზანტინისტიკის სკოლამ XXI საუკუნის დასაწყისიდან რ. ფოლკის ხელმძღვანელობით. იგი თავდაპირველად იცავდა ფ. დიოლგერის მოსაზრებას იოანე დამასკელის ავტორობის შესახებ, მაგრამ ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბერძნული თხზულების შექმნა ქართულ წყაროებსა და ეფთვიმე ათონე-

ლის სახელს უნდა დაუკავშირდეს.⁵ ამავე პერიოდში ეფთვიმე ათონელის ავტორობას ასევე კატეგორიულად ასაბუთებს სხვა გერმანელი ბიზანტინისტი, ი. გროსმანი.⁶ უკანასკნელ ათწლეულში ეფთვიმე ათონელის ავტორობას მხარს უჭერენ სხვა ევროპელი და ამერიკელი მეცნიერებიც. კერძოდ, სილვია რონჩი (იტალია),⁷ ანდრე რიბასი (პორტუგალია),⁸ დონალდ ლოპესი და პეგი მაკრაკენი (აშშ),⁹ და სხვ. პრობლემის ახლებური ინტერპრეტაციაა წარმოდგენილი XX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან პროფ. ე. ხინთიბიძის სამეცნიერო გამოკვლევებში.

„ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ავტორად ეფთვიმე ათონელის მტკიცებას ბიზანტინისტიკაში საუკუნეზე მეტი წინააღმდეგობებით სავსე ისტორია აქვს. ძირითადი არგუმენტების გამოვლენა თანდათანობით ხდებოდა, მათ შორის თვით იმ მკვლევართა მიერ, რომლებიც უარყოფდნენ ეფთვიმეს ავტორობას. ამ თვალსაზრისით უმთავრესი არგუმენტები შემდეგია:

– ეფთვიმეს ავტორობასთან დაკავშირებული XI საუკუნის სამი ცნობის გამოვლენა და ამ მასალის შემოტანა საერთაშორისო მედიევისტურ კვლევებში; ესენია: „ვარლაამ და იოასაფის“ შემცველი ბერძნული ხელნაწერის ცნობა (პ. ზოტენბერგი), გიორგი ათონელის „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ (ნ. მარი), თხზულების ლათინი მთარგმნელის ცნობა (პ. პეეტერსი).

– გამოვლენა იმისა, რომ XI საუკუნემდე „ვარლაამის და იოასაფის“ ტრადიცია ბერძნულ წყაროებში არ დასტურდება (პ. პეეტერსი).

– დასაბუთება იმისა, რომ გიორგი ათონელის ცნობა ეფთვიმეს მიერ „ვარლაამის და იოასაფის“ თარგმანის შესახებ არ არის მცდარი და რომ ეს თხზულება დაკავშირებულია სვიმეონ მეტაფრასტის სკოლასთან (კ. კეკელიძე, დ. ლანგი).

– „ბალავარიანის“ ორი ქართული რედაქციის („სიბრძნე ბალავარისი“, „წმინდა იოასაფის ცხოვრება“) მეცნიერული კომენტირება, გამოქვეყნება და ინგლისურად თარგმნა (ი. აბულაძე, დ. ლანგი).

– „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული, არაბული და ქართული ვერსიების შედარებითი კვლევა და ქართულის – არაბულზე და ბერძნულის – ქართულზე დამოკიდებულების გამოვლენა (დ. ჟიმარე, ე. ხინთიბიძე).

– დასაბუთება, რომ ეფთვიმე ათონელის „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ თარგმნაზე მუშაობა უნდა დათარიღდეს X საუკუნის უკანასკნელი ათწლეულით და არა XI საუკუნით (ე. ხინთიბიძე).

⁵ Volk, Das Fortwirken der Legende, S. 127-169.

⁶ Grossmann, Die Abhängigkeit der Vita, S. 87-94.

⁷ Ronchey, *Quando Buddha*; Ronchey, *The Byzantine Life of the Buddha*.

⁸ Ribas, *A Construção*.

⁹ Lopez – McCracken, *In Search of the Christian Buddha*.

– დასაბუთება, რომ „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ შექმნა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბიზანტიის სამეფო კარისა და ეკლესიის წარმართობის წინააღმდეგ პოლემიკის ინტერესით, რისი საჭიროებაც იმპერიის წინაშე X საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გამოიკვეთა და ბიზანტიის მიერ ჩრდილოეთის მეზობელი სლავური ქვეყნების გაქრისტიანებით დასრულდა (ე. ხინთიბიძე).

– „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ბერძნულ ტექსტში იმ ლიტერატურული წყაროს გამოვლენა, რომელიც X საუკუნის II ნახევარშია შექმნილი (ასეთია თეოდორე დაფნოპატის „ქრიზოსტომოსის ეკლოგები“, რ. ფოლკი).¹⁰

რ. ფოლკისა და ბიზანტინისტთა გერმანული სკოლის დამსახურება ეფთვიმე ათონელის ავტორობის საბოლოოდ დამკვიდრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ევროპულ ფილოლოგიაში არსებული საუკუნოვანი ტრადიცია იოანე დამასკელის ავტორობასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნებოდა გერმანელი ბიზანტინისტის, ფ. დიოლგერის თეორიას, იმავე გერმანელ ბიზანტინისტთა სკოლაში უარყოფილი იქნა დიდი ფილოლოგიური კვლევის შედეგად.

ბიზანტინისტთა საერთაშორისო წრეების ყურადღება უნდა გავამახვილოთ ქართველოლოგთა ფილოლოგიური სკოლის ღვანლზე ეფთვიმე ათონელის ავტორობის მტკიცებაში. ქართულ მეცნიერებაში არც ერთხელ არ დამდგარა ეჭვის ქვეშ დიდი წმინდა მამის, მწერლისა და მეცნიერის, გიორგი ათონელის ცნობის ჭეშმარიტება ეფთვიმე ათონელის ავტორობაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ორიგინალურ არგუმენტებს, რომლებიც ქართველმა მეცნიერებმა უკანასკნელ ათწლეულებში წამოაყენეს, გამოაქვეყნეს ევროპაში და წარადგინეს მედიევისტთა და ბიზანტინისტთა საერთაშორისო ფორუმებზე და რომლებსაც ემთხვევა როგორც გერმანელ ბიზანტინისტთა, ასევე სხვა ევროპულ მკვლევართა დასკვნები ეფთვიმე ათონელის ავტორობის მტკიცებისას.

დავინწყით იმით, რომ გერმანული ფილოლოგიური სკოლა ბერძნული „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ შექმნას ორ ეტაპად წარმოადგენს (ქართულიდან თარგმნა და შემდგომი გადამუშავება) და ხედავს მის მიმართებას სვიმეონ მეტაფრასტის მენოლოგთან (რ. ფოლკი, ი. გროსმანი). ეს თვალსაზრისი თავდაპირველად გამოთქვა კ. კეკელიძემ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს და ინგლისურენოვან სამეცნიერო წრეებში გადაიტანა დ. ლანგმა.

რ. ფოლკის არგუმენტირების ერთი უმთავრესი ასპექტია „ვარლაამის და იოასაფის“ სამედიცინო ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნა: ბერძნული ტექსტი კავშირს ამყარებს ქართულთან და არა არაბულთან, ხოლო ქართული, ბერძნულიდან განსხვავებით, არაბულ ტექსტთანაც

¹⁰ Volk, Medizinisches im Barlaam-Roman, S. 192-193.

ავლენს მიმართებას.¹¹ ზუსტად ამგვარია ე. ხინთიბიძის დასკვნები, მიღებული ბერძნული, ქართული და არაბული ტექსტების საკუთარი სახელების, იგავები-სა და რამდენიმე ვრცელი პასაჟის პარალელური შესწავლის შედეგად, რომლებიც გამოქვეყნებულია პარიზში 1976 წელს და ამსტერდამში – 1996 წელს.¹²

ერთი უმთავრესი არგუმენტი ფ. დიოლგერისა წმ. ეფთვიმე ათონელის ავტორობის უარსაყოფად ემყარებოდა ქართულ ფილოლოგიაში გავრცელებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეფთვიმე „ვარლაამის და იოასაფის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნაზე, ალბათ, მისი შემოქმედების მეორე პერიოდში იმუშავებდა, როცა შემოქმედებითი სრულყოფილების უმაღლეს ეტაპზე იყო. ფ. დიოლგერმა კი მიუთითა, რომ ამ თხზულების რამდენიმე ბერძნული ხელნაწერი X საუკუნის დასასრულით შეიძლება დათარიღდეს.¹³ 1997 წელს რომში გამოქვეყნებულ ე. ხინთიბიძის სტატიაში, ასევე 1996 და 2011 წლებში ბიზანტინისტთა XIX და XXII კონგრესებზე კოპენჰაგენსა და სოფიაში წარდგენილ მოხსენებებში არგუმენტირებულია ახალი პოზიცია ეფთვიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად ამ თხზულების გადამუშავების თარიღის შესახებ; კერძოდ, ბერძნული რომანის შექმნა X საუკუნის უკანასკნელი ათწლეულითაა დათარიღებული.¹⁴ გერმანელ ბიზანტინისტთა ახალი თვალსაზრისი ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობაზე (ი. გროსმანი, რ. ფოლკი) ამ ქრონოლოგიას ემთხვევა და ემყარება.

ე. ხინთიბიძის სტატიებსა და მოხსენებებში ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი, რომ „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული თხზულების შექმნა და მყისიერი გავრცელება ბერძნულ და სლავურ სამყაროებში ინსპირირებული უნდა ყოფილიყო იმ რელიგიური პოლემიკის მოთხოვნილებებით, რაც ბიზანტიის იმპერიას სჭირდებოდა კიევის რუსეთის გაქრისტიანების პროცესში. ამ თვალსაზრისის ორიგინალური არგუმენტირება წარმოდგენილია ა. რიბასის 2013 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში.¹⁵

გერმანელ ბიზანტინისტთა მიერ ეფთვიმე ათონელის ავტორობა ორი, ერთმანეთისაგან გასხვავებული გააზრებით ჩამოყალიბდა. რ. ფოლკის აზრით, ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი ქართული „ბალავარიანისა“ თავდაპირველად ლიტერატურული ნყარო აღმოჩნდა სვიმეონ ლოლოთეტიცის მეტაფრასული კორპუსის, მენოლოგიონისა, ხოლო შემდეგ ის გადამუშავდა ისევე ეფთვიმეს მიერ „ვარლაამ და იოასაფის“ მეორე რედაქციად. ი. გროსმანის აზრით, ეფთვიმე ათონელის თარგმანი სხვა, უცნობი ბიზანტიელი ავტორის მიერ გადამუშავდა ამ თხზულების მეტაფრასულ რედაქციად. ჩვენი აზრით,

¹¹ Volk, *Medizinisches im Barlaam-Roman*, S. 192-193.

¹² Khintibidze, *Concerning the Relationship; Khintibidze, Georgian-Byzantine*, pp. 192-291.

¹³ Dölger, *Der griechische Barlaam-Roman*.

¹⁴ Khintibidze, *New Materials*, pp. 491-501; Khintibidze, *The Creation*; Khintibidze, *Mount Athos*.

¹⁵ Ribas, *A Construção*.

არც ერთი ამ ორი თვალსაზრისიდან სრულყოფილად არ ითვალისწინებს ეფთვიმე ათონელისა და საზოგადოდ, ათონის ქართული კულტურული ცენტრის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წყაროებს. ამიტომაც ბერძნული „ვარლაამის და იოასაფის“ შესახებ გერმანელ ბიზანტინისტთა ძალზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების შემდგომი კორექტირება ისევ ქართული მეცნიერების პრეროგატივა უნდა გახდეს.

დავინყოთ იმით, რომ რ. ფოლკის თვალსაზრისი ეფთვიმეს თარგმნილი „ვარლაამის და იოასაფის ცხოვრების“ სვიმეონ მეტაფრასის მენოლოგიონთან დაკავშირებისა, აშკარად კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული აზრის საფუძველზეა მოდიფიცირებული. თავისთავად კ. კეკელიძის მიერ ეს თვალსაზრისი არ არის სათანადოდ არგუმენტირებული.¹⁶ იგი მეცნიერის ვარაუდია, გამოთქმული ფ. დიოლგერის იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ ქართველი მწიგნობარი ვერ შექმნიდა ისეთ მაღალმხატვრულ ბერძნულენოვან თხზულებას, როგორც „ვარლაამის და იოასაფის ცხოვრება“. იმის სამტკიცებლად, რომ ქართული წყარო, რომელიც ეფთვიმეს მთარგმნელობაზე მიუთითებს, ნამდვილად უტყუარია, კ. კეკელიძე გამოთქვამს შემდეგ აზრს: ეფთვიმე თარგმნიდა ქართულ „ბალავარიანს“ და ამ თარგმანზე დაფუძნებული მაღალმხატვრული „ვარლაამის და იოასაფის ისტორია“ შესაძლებელია, შემდგომი მეტაფრასირების შედეგად იყოს შექმნილი თვით სვიმეონ მეტაფრასტის მიერაც. იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეფთვიმეს და სვიმეონის შემოქმედებათა ქრონოლოგიის დეტალები ერთმანეთს ძალდატანების გარეშე არ თანხვდებოდა, ამიტომაც დ. ლანგმა აქცენტი სვიმეონ მეტაფრასტის რომელიმე უცნობ გამგრძელებელზე გადაიტანა. ამ თვალსაზრისის არგუმენტირება ძნელია (და ალბათ შეუძლებელი), მისი უარყოფა კი – უფრო ადვილი. როგორც ცნობილია, სვიმეონმა გაამეტაფრასა წმინდანთა „ცხოვრებანი“ საეკლესიო კალენდრის სექტემბრიდან იანვრის თვის ჩათვლით. წმ. ვარლაამისა და წმ. იოასაფის ხსენების დღე არ შედიოდა ამ თვეებში. უფრო მეტიც, ის საერთოდ არ ყოფილა შეტანილი მაშინდელ ბერძნულ საეკლესიო კალენდარში. ასე რომ, არაა მოსალოდნელი, სვიმეონი ამ წმინდანთა ცხოვრებით დაინტერესებულიყო. არც ბერძნულ და არც ქართულ წყაროებში არ ჩანს რაიმე მინიშნება იმაზე, რომ სვიმეონ მეტაფრასი ან მისი საქმის რომელიმე გამგრძელებელი „ვარლაამის და იოასაფის ცხოვრებით“ დაინტერესებულიყო. უფრო მეტიც, ქართული წყაროები, რომლებიც ასახავენ ეფთვიმეს შემოქმედებით საქმიანობას, არავითარ მინიშნებას არ შეიცავენ ეფთვიმესა და სვიმეონის სავარაუდო თანამშრომლობაზე. თუ ეფთვიმეს მთარგმნელობით მოღვაწეობას ბერძნულ მწერლობაში გამოყენება და განვითარება თვით X საუკუნეში ჰქონდა, მოულოდნელია, რომ მასზე რაიმე მინიშნება მაინც არ ჩანდეს ეფთვიმეს მამის, იოანე ათონელის ანდერძ-

¹⁶ კეკელიძე, ბალავარიანის რომანი, გვ. 41-71.

ში, რომელიც 1002 წელსაა შედგენილი და ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობას მიმოიხილავს.

რ. ფოლკი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მეტაფრასტის მენოლოგიონის ტექსტთან „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ გარკვეული პასაჟების მსგავსებას.¹⁷ ამ გარემოებას ყურადღება პ. რაბომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მიაქცია. რ. ფოლკის აზრით, სვიმეონ მეტაფრასტი მენოლოგიონში სამიჯნურო ცდუნების ეპიზოდის აღწერისას ეფუძნება „წმ. მარტინიანეს ცხოვრების“ ე.წ. კიმენური რედაქციის ტექსტს, და ამავე დროს ეფთვიმე ათონელის ქართულიდან თარგმნილი „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ პირველ ვარიანტს (ამ ვარიანტის შექმნას გერმანელი მკვლევარი სავარაუდოდ 975 წლით ათარიღებს). ამ აზრის საილუსტრაციოდ მას მოაქვს ვრცელი ამონარიდები ამ სამი თხზულებიდან. ეს თვალსაზრისი, და კონკრეტულად რ. ფოლკის მიერ მოტანილი პარალელური ამონარიდების ურთიერთმიმართება, კრიტიკულად განიხილა ბიზანტინისტმა ი. გროსმანმა და დაასკვნა, რომ „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ მოყვანილი პასაჟები მსგავსებას ამჟღავნებს მხოლოდ მენოლოგიონის ტექსტთან; ეს უკანასკნელი კი – „წმ. მარტინიანეს ცხოვრების“ ადრინდელ რედაქციასთანაც. მკვლევრის დასკვნით, პარალელურ ტექსტებში ჩანს, რომ „ვარლაამის და იოასაფის ისტორია“ დამოკიდებულია მენოლოგიონის ტექსტზე, და არა პირიქით.¹⁸

ფიქრობთ, ი. გროსმანის დასკვნა სავსებით სწორია. ეფთვიმეს მიერ ქართული „ბალავარიანის“ თარგმნის 975 წლით დათარიღებას ქართული წყაროები მხარს არ უჭერს; და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვიმეონ მეტაფრასტის მიერ ეფთვიმეს თარგმანის გამოყენება არ დასტურდება. აშკარა მხოლოდ ისაა, რომ ეფთვიმე იცნობს სვიმეონის მეტაფრასულ კორპუსს და სვიმეონის გამეტაფრასებულ რვა თუ ცხრა თხზულებას თავად თარგმნის ქართულად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „წმ. მარტინიანეს ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც XI საუკუნის ნუსხაშია წარმოდგენილი, ათონის მთის ქართული წიგნთსაცავის კუთვნილება იყო.¹⁹

რ. ფოლკის მიერ ჩატარებული კვლევების ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ყველა ბერძნული ხელნაწერის სრულყოფილი აღწერა და მათი შედარების საფუძველზე გამოვლენა ორი რედაქციისა, როგორც თვითონ ვარაუდობს – ორი გადამუშავებისა. მისი აზრით, ორივე ეფთვიმე ათონელის ხელიდან უნდა იყოს გამოსული. პირველი (მკვლევრის მითითებით, დაცულია იმ ხელნაწერებში, რომელთა ლემა ეფთვიმეს ავტორობაზე მიუთითებს. ესენია: cod. *Marcianus gr. VIII*, 26 და cod. *Parisinus gr. 1771*), შედარებით მოკლე რედაქცია, ეფთვიმეს მიერ ქართულიდან

¹⁷ Volk, Das Fortwirken der Legende, S. 127-169.

¹⁸ Grossmann, Die Abhängigkeit der Vita.

¹⁹ კეკელიძე, *ეტიუდები*, II გვ.15.

შესრულებული ადრინდელი თარგმანია. მეორე კი (კიევი, უკრაინის ნაციონალური ბიბლიოთეკა, ფონდი V, 3692, 1021 წ.), მკვლევრის აზრით, ეფთვიმეს მიერ შესრულებული შემდგომი გადამუშავებაა.

„ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ სავარაუდო მეორე გადამუშავების შესახებ სხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი ი. გროსმანის გამოკვლევაში. ის ვარაუდობს, რომ ამ თხზულების საბოლოო გადამუშავება (კიევის 1021 წლის ხელნაწერში შემონახული) ეფთვიმე ათონელს არ უნდა უკავშირდებოდეს და სხვა უცნობი რედაქტორის ხელიდან უნდა იყოს გამოსული. მკვლევარს არ მოჰყავს ამ ვარაუდის დამამტკიცებელი რაიმე მნიშვნელოვანი არგუმენტი. ეს აზრი იმ ადრინდელი ვარაუდის ტრადიციითაა გაპირობებული, რომელიც კ. კეკელიძიდან მომდინარეობს და ევროპელ ბიზანტინისტთა წრეში დ. ლანგის საშუალებით შევიდა. ამ თვალსაზრისს კი არ გააჩნია მყარი მეცნიერული საფუძველი. ჩვენი აზრით, არაა სავარაუდებელი, რომ ათონის მთაზე XI საუკუნის პირველ და მეორე ათწლეულში წმ. ეფთვიმეს მიერ თარგმნილ „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ტექსტს გადასამუშავებლად სხვა ვინმე მოჰკიდებდა ხელს შემდეგი მიზეზების გამო:

1. ათონის სამონასტრო კორპორაციის სულიერი და ინტელექტუალური მოღვაწეობის სათავეში XI საუკუნის პირველ მეოთხედში ივირონის ქართველი ბერ-მონაზონი და მნიგნობარნი დგანან. ესაა განწესებული ათანასე დიდის 1001 წლის ანდერძით. ეფთვიმე, ივირონის წინამძღვარი, გარდაცვალებამდე – 1028 წლამდე – ათონის დიდი ლავრის ეპიტროპი, ანუ სულიერი მოძღვარია. ათონის მთის დიდი ლავრა და ივირონის მონასტერი მჭიდრო კონტაქტში იყვნენ ბიზანტიის სამეფო კართან და ამ კურსს ეფთვიმე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ინარჩუნებდა.

2. „ვარლაამის და იოასაფის ცხოვრების“ რედაქტირება, სავარაუდოდ, ისევ ათონის მთაზე უნდა მომხდარიყო. არც ბერძნული და არც ქართული წყაროები არ მიანიშნებენ ეფთვიმეს გარდა ათონის მთის არც ერთ მოღვაწეზე, რომელსაც „ვარლაამის და იოასაფის ისტორიის“ ტექსტთან კავშირი ჰქონდეს.

3. 1021 წლიდან ათონის მთაზე დაიწყო ბერძენთა მძაფრი დაპირისპირება ივირონის ქართველი ბერ-მონაზვნების მიმართ, რაც საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის გართულებული პოლიტიკური მდგომარეობითაც იყო გამონვეული. შემდგომი ათწლეულები აღინიშნება ქართველთა მრავალჯერადი თხოვნით ბიზანტიის სამეფო კარისადმი ათონზე ქართველთა უფლებების აღსადგენად და ბერძენთა ბრალდებებისა და ძალმომრეობისაგან დასაცავად. ამას ბიზანტიის საერო და სასულიერო ხელისუფალთაგან ათონელ ბერძენ-ქართველთა დაპირისპირების არაერთი გამოძიება მოჰყვა. ამ პირობებში მოულოდნელია, რომ ათონელი ქართველი მოღვაწეები აშკარა მკრეხელობას ჩადიოდნენ – ათონის მთაზე ვინმე ბერძენი რედაქტორის მიერ გადამუშავებულ და საქვეყნოდ გავრცელებულ თხზულებას ეფთვიმე ქართველს მიაწერდნენ.

ეფთვიმეს ავტორობა არაორაზროვნადაა მითითებული XI საუკუნის ათონის მთის ქართულ და ამავე პერიოდის ლათინურ წყაროებში.²⁰

4. ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები განსაკუთრებულად აქტიური სამწერლობო შემოქმედებითი საქმიანობით წარიმართა. 1019 წელს იგი გადადგა ივირონის წინამძღვრობიდან და მთლიანად ინტელექტუალურ საქმიანობას მიჰყო ხელი. ამიტომ არაა მოსალოდნელი, რომ ათონის მთის სულიერი მოძღვარი და დიდი ლავრის ეპიტროპი (ეს პოზიცია ეფთვიმემ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა) მის მიერ ქართულიდან ბერძნულად გადამუშვებულ თხზულებას შემდგომი რედაქტირებისა და საერთაშორისო სასულიერო წრეებში გავრცელებისათვის სხვას მიანდობდა.

უფრო მეტიც, ათონის მთაზე შექმნილი ქართული წერილობითი წყაროები თითქოს საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ეფთვიმე სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას და თარგმნიდა წიგნებს არა მხოლოდ ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. მისი გარდაცვალების უმალ მისი თანამედროვის, ბასილი ბაგრატიის ძის მიერ ათონის მთაზე შექმნილ ეფთვიმეს სვინაქსარულ „ცხოვრებაში“ იკითხება: „ვიდრე სიკუდილადმე არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმრთოჲსა მისგან შრომისა. და არა ხოლო ბერძულისაგან ქართულად თარგმნნა ღრმანი და ძნად სათარგმნელნი წიგნნი, არამედ რაოდენნიმე ბერძულადცა ქართულისაგან“.²¹

დასკვნის სახით უნდა ითქვას: ადრინდელ შუა საუკუნეებში შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი რელიგიური მოთხრობა საუკუნეების განმავლობაში მუშავდებოდა სამი დიდი რელიგიის – ბუდიზმის, მაჰმადიანობისა და ქრისტიანობის ფარგლებში; ის გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპელი ხალხების უაღრესად პოპულარულ რომანად იქცა ათონის ივირონის მონასტრის ბერის, ეფთვიმე ათონელის მიერ ქართული წყაროების ბაზაზე შექმნილი სასულიერო რომანით – „ვარლაამის და იოასაფის სულისმარგებელი ისტორია“. ამ თხზულების ავტორობის საკითხი XX საუკუნის მედიევისტის ერთი უმთავრესი პრობლემა იყო და მისი პრინციპული დადასტურება კვლევის შედეგად ბიზანტინისტთა გერმანული სკოლის მიერ მოხდა. პრობლემის მეცნიერულ შესწავლაში უდიდესია ქართველოლოგთა დამსახურება. შემდგომი კვლევები ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს ბერძნული, ქართული და ევროპული მასალის ერთობლივი დამუშავებით.

²⁰ Khintibidze, *Georgian-Byzantine*.

²¹ მეტრეველი, *ნარკვევები*, გვ. 138.

დამონეხული ლიტერატურა

- კეკელიძე**, *ეტიუდები*, II = კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, II, თბილისი, 1945.
- კეკელიძე**, „ბალავარიანის“ რომანი = კ. კეკელიძე, „ბალავარიანის“ რომანი ქართულ მწერლობაში, *ეტიუდები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან*, VI, თბილისი, 1960.
- მეტრეველი**, *ნარკვევები* = ე. მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, 1996.
- ყაუხჩიშვილი**, *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*, III = ს. ყაუხჩიშვილი, *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*, III, *ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა*, თბილისი, 1973.
- Dölger**, *Der griechische Barlaam-Roman* = F. Dölger, *Der griechische Barlaam-Roman, ein Werk des H. Johannes von Damaskos* (Studia Patristica et Byzantina, I), Ettal, 1953.
- Grossmann**, Die Abhängigkeit der Vita = J. K. Grossman, Die Abhängigkeit der Vita des Barlaam und Ioasaph vom Menologion des Symeon Metaphrastes, *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik*, 59 (2009).
- Khintibidze**, New Materials = E. Khintibidze, New Materials on the Origin of *Barlaam and Ioasaph*, *Orientalia Christiana Periodica*, V. 63, II (1997).
- Khintibidze**, The Creation = E. Khintibidze, The Creation of the Byzantine Version of Barlaam and Ioasaph and the Christianization of the Rus, *Byzantium: Identity, Image, Influence: XIX International Congress of Byzantine Studies*, University of Copenhagen, 18-24 August, 1996.
- Khintibidze**, Mount Athos = E. Khintibidze, Mount Athos: the Origin of the Edifying Story of Barlaam and Ioasaph and its Connection with the Slavonic World, *22nd International Congress of Byzantine Studies*, Sofia, 22–27 August, 2011.
- Khintibidze**, *Concerning the Relationship* = E. Khintibidze, *Concerning the Relationship of the Georgian and Greek Versions of Barlaam and Ioasaph* (Supplément au Revue de kartvélologie, 34), Paris, 1976.
- Khintibidze**, *Georgian-Byzantine* = E. Khintibidze, *Georgian-Byzantine Literary Contacts*, Amsterdam, 1996.
- Кузнецов**, Повесть = Б. Кузнецов, Повесть о Варлааме и Иоасафе (К вопросу о происхождении), *Древнерусские литературные памятники* (Труды отдела древнерусской литературы), Наука, Ленинградское отделение, 1979.
- Lang**, St. Euthymus the Georgian = D. M. Lang, St. Euthymus the Georgian and the Barllam and Ioasaph Romance, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, XVII/2 (1955).

- Lopez – McCracken**, *In Search of the Christian Buddha* = D. Lopez, P. McCracken, *In Search of the Christian Buddha: How an Asian Sage Became a Medieval Saint*, NY, 2014.
- Ribas**, *A Construção* = A. Ribas, *A construção da lenda de Barlaão e Josafá: um estudo do processo de elaboração hagiográfica em Bizâncio (séculos X –XI)*, Dissertation, Federal University of Paraná, 2013.
- Ronchey**, *The Byzantine Life of the Buddha* = S. Ronchey, *The Byzantine Life of the Buddha, Faith and Freedom*, New Delhi, http://www.india-seminar.com/2015/667/667_silvia_ronchey.htm
- Ronchey**, *Quando Buddha* = S. Ronchey, *Quando Buddha era un santo cristiano. La storia bizantina di Ioasaf, bestseller del Medioevo che anticipa il Siddharta di Hesse e avvia la lunga marcia dell'Illuminato in Occidente*, 13.11.2012: <http://www.lastampa.it/2012/11/13/cultura/quando-buddha-era-un-santo-cristiano-1ehLuOmIdGSI9lz4csj8LI/pagina.html>
- Shekriladze**, Euthymius the Athonite = I. Shekriladze, Euthymius the Athonite: A Call to Rethink the Great Heritage, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე*, 9, 2 (2015).
- Volk**, Das Fortwirken der Legende = R. Volk, Das Fortwirken der Legende von Barlaam und Ioasaph in der byzantinischen Hagiographie, insbesondere in den Werken des Symeon Metaphrastes, *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik*, 53 (2003).
- Volk**, Medizinisches im Barlaam-Roman = R. Volk, Medizinisches im Barlaam-Roman. Ein Streifzug durch den hochsprachlichen griechischen Text, Seine Vorläufer. Parallelen und Nachdichtungen, *Byzantinische Zeitschrift*, 99 (2006).

**MEDIEVAL BYZANTINE NOVEL *BARLAAM AND JOSAPHAT*:
TURN IN A SCHOLARLY STUDY AND PERSPECTIVES
OF THE FURTHER RESEARCH**

Abstract

In the article is presented the history of the study of the authorship of the medieval Byzantine novel *Barlaam and Josaphat*. Here is discussed concept according to which the author of the novel could be the prominent Georgian writer and translator Euthymius the Hagiorite.

The focus is on those arguments which were presented by the Georgian scholars at the international forums of medievalists and Byzantinists. Conclusions done by the European scholars in the recent times coincide with these arguments and once again prove the authorship of Euthymius the Hagiorite.

Elguja Khintibidze, Irma Makaradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 1/3. ტელ.: 995 (32) 247 42 42

www.manuscript.ge info@manuscript.ac.ge

1/3 M. Alexidze str., Tbilisi 0193, Georgia. Tel.: +995 (32) 247 42 42

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS